# უუფლებობის ზონა

(საქართველოში ადამიანის ძირითადი
უფლებებისა და თავისუფლებათა დარღვევის
შესახებ მასალების კრებული)

წიგნში გამოყენებულია მასალები საქართველოს სახალხო დამცველის ყოველწლიური მოხსენებებიდან, აგრეთვე, სხვადასხვა უფლებადამცველი ორგანიზაციის მიერ და დამოუკიდებელი ჟურნალისტური გამოძიების შედეგად გამოვლენილი ფაქტები

# უუფლებობის ზონა

## (საქართველოში ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებათა დარღვევის შესახებ მასალების კრებული)

გამომცემელი: აიპ „ისტორიული მემკვიდრეობა“
თბილისი, 2009 წ.

# წინასიტყვაობა

თითქმის ორი ათეული წელია, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა და ახალი სახელმწიფოს მშენებლობა დავიწყეთ. დავიწყეთ ქვეყნის ახალი საგარეო-პოლიტიკური კურსის ძიება, ახალი საგარეო მოკავშირეების ძებნა და ახალი საშინაო პოლიტიკის შემუშავება და დანერგვა.

ოცი წელია, ხელისუფლება ცდილობს, მართოს ქვეყანა ყოველივე მანამდე არსებულის უარყოფით და მუდმივად ეძებს „ახალ ფორმასა და მეთოდებს“.

ახლის ძიება, როგორც წესი, ქართულ სინამდვილეში იმ სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტების მხოლოდ და მხოლოდ ხელოვნურად გადმოტანით შემოიფარგლებოდა, რომლებიც დასავლეთსა და აშშ-ში ათეულობით წლის განმავლობაში ყალიბდებოდა. ყოველივე ეს კეთდებოდა და კეთდება ადგილობრივი სპეციფიკის, საქართველოს ისტორიული განვითარების თავისებურებათა, სოციოკულტურული მრავალფეროვნებისა და ქართველი ხალხის ტრადიციულ ღირებულებათა სრულიად გაუთვალისწინებლად.

ეს არც უნდა გაგვიკვირდეს, თუ შევხედავთ, რომ „ახლის“ დანერგვის პროცესს ასეულობით სხვადასხვა ყაიდის ისეთი უცხოელი მრჩეველი, კონსულტანტი და საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი ხელმძღვანელობს, რომელთაც ძალზე ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ „ადგილმდებარეობის ქვეყნის“ ისტორიაზე, კულტურაზე, სულიერ-ზნეობრივ კლიმატზე.

ამ რჩევა-რეკომენდაციათა ერთ-ერთი არსებითი ნაწილი იყო დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დასავლური სტანდარტების შემოღება-დამკვიდრება. ქართველი საზოგადოება კმაყოფილებით შეხვდა ისეთი სრულფასოვანი დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის პერსპექტივას, რომელიც უზრუნველყოფდა და გარანტი იქნებოდა ადამიანის და მოქალაქის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებისა და დაცვისა. თუკი უცხოელთა რჩევები ეკონომიკისა და სოციალურ სფეროებში საზოგადოების ეჭვს იწვევდა, ადამიანის უფლებათა დასავლური სტანდარტების მხარდაჭერაში ყველა ერთსულოვანი იყო.

ასე გავიდა ოცი წელი. აშშ და დასავლეთ ევროპის წამყვანი ქვეყნები არ იშურებდნენ ძალისხმევას, ქებას და სხვადასხვა საერთაშორისო ჯილდოებს საქართველოს ხელისუფლებისთვის დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დამკვიდრების ფლაგმანის სტატუსის შესაქმნელ-შესანარჩუნებლად. ამ პროცესმა აშშ-ში ჯორჯ ბუში-უმცროსის პრეზიდენტობის დროს აპოგეას მიაღწია, ხოლო საქართველოში — მ. სააკაშვილის პრეზიდენტობისას. ჯორჯ ბუში-უმცროსი და მისი ხელისუფლება არ იღლებოდნენ სააკაშვილისთვის სხვადასხვა აღმატებითი ეპითეტების გამოგონებით და მისი ქებით. ბოლოს იგი დემოკრატიის შუქურად შერაცხეს და იმ აზრსაც ნერგავდნენ, რომ ამერიკაში დემოკრატიის განვითარების ინსტიტუტი უნდა შეექმნათ, რათა იქ წამყვან სპეციალისტად პრეზიდენტობის დამ-

თავრების შემდეგ მ. სააკაშვილი მიეწვიათ და ამ უკანასკნელს სხვა განვითარებადი ქვეყნების ხელმძღვანელთათვის ესწავლებინა, როგორ განევითარებინათ დემოკრატია თავიანთ ქვეყნებში.

საქართველო მართლაც გახდა მაგალითი, მაგრამ ის სამაგალითოდ იქცა დემოკრატიისმომტანი უფლებებისა და თავისუფლებების უგულებელყოფის, პიროვნების ელემენტარულ უფლებათა ხელყოფის და არა მარტო საზოგადოების მოთხოვნილებათა, არამედ თვით ადამიანის სიცოცხლის უფლების უარყოფის საქმეში.

ცოტა ხნის წინათ გაზეთ „ფრანკფურტენ რუნდშაუს“ ჟურნალისტმა შტეფან შოლმა ასეთი რამ აღნიშნა საქართველოს შესახებ:

„ევროპაში იმის იდეალიზებული სურათია წარმოდგენილი, რაც აქ, თქვენთან ხდება. რამდენიმე დღეა, აქ ვარ და მექმნება შთაბეჭდილება, რომ არსებობს ორსართულიანი საქართველო. პირველი სართული — ესაა უცხოელებისთვის, დასავლეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლებისთვის საჩვენებელი საქართველო. აქ ყველაფერი უმაღლეს დონეზეა...

თუმცა მე მოვხვდი საქართველოს მეორე სართულზეც და აქ რეალობა სულ სხვაგვარია“.

ქართველი საზოგადოება, რომელიც ამ „მეორე სართულის“ რეალიებში ცხოვრობს და მისთვის ყოველდღიურობადაა ქცეული ხელისუფლების განუკითხაობა და ადამიანის უფლებათა ფეხქვეშ გათელვა, სამართლიანად სვამს კითხვას: ნუთუ ასეთი დემოკრატიის მშენებლობას გვთავაზობდა დემოკრატიული დასავლეთი? თუ ისინი ამას გვირჩევდნენ, ამას ესალმებოდნენ და სხვებს სამაგალითოდ უთითებდნენ, გამოდის, მათ ეს სურდათ და ამისკენ მიჰყავდათ ჩვენი ქვეყანა...

ქართველებს გვაქვს ერთი ანდაზა — „ჩამდენმა ერთი დააშავა და წამქეზებელმა ათასიო“.

მრავალი ქვეყნის სისხლის სამართლის კანონმდებლობა დანაშაულის ჩამდენთან ერთად მის წამქეზებელსაც დამნაშავედ აცხადებს და შემსრულებლის თანაბრად სჯის.

თუკი საერთაშორისო საზოგადოებრიობა, საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციები, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის სამთავრობო წრეები არასაკმარისად არიან ინფორმირებული, რა მდგომარეობაა საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მხრივ, მაშინ ეს წიგნი შეავსებს თეთრ ლაქებს მათ ცოდნაში და ხელს შეუწყობს საქართველოში გამეფებული სასტიკი რეჟიმისადმი დამოკიდებულების კორექციას.

თუკი ასეთი კორექცია დააგვიანებს, გამონათქვამს დამნაშავისა და წამქეზებლის შესახებ ქართველთა შეგნებაში კონკრეტული პერსონაჟები შეემატება.

# პოლიტიკური ოპონენტების დევნა

ბოლო სამი-ოთხი წლის განმავლობაში რამდენიმე პოლიტიკური პარტია საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფლებას გაერთიანებულ ოპოზიციად მოევლინა. ოპოზიციაში გადასვლის ხმამაღლა გაცხადებული ერთ-ერთი მიზეზი მოქალაქეთა უფლებების უხეშად ფეხქვეშ გათელვა გახდა, რაც წესად ექცა ყველა დონის ჩინოვნიკსა თუ მთელ რიგ უწყებებს. 2008 წლის ივნისში გაერთიანებული ოპოზიცია გეგმავდა მიტინგების ჩატარებას პარლამენტის შენობის წინ 2008 წლის 21 მაისს არჩეულ პარლამენტთან დამოკიდებულების დასაფიქსირებლად. მიტინგების დაწყებისთანავე გართიანებული ოპოზიციის აქტივისტებს ფიზიკურად უსწორდებოდნენ. ოპოზიციის აქტივისტებზე თავდასხმისა და სერიოზული ფიზიკური ძალადობის რამდენიმე გახმაურებული შემთხვევის შემდეგ ფორმალურად დაიწყო წინასწარი გამოძიება, თუმცა დღემდე ადეკვატური სასჯელი არავისთვის მიუსჯიათ.

ოპონენტებთან ანგარიშსწორების ასეთი პრაქტიკა ხელისუფლებამ გაცილებით ადრე დანერგა. 2007 წლის ოქტომბერში თავდასხმა განხორციელდა ზუგდიდში მაშინდელ ოპოზიციონერ პარლამენტარებზე — ბეჟან გუნავასა და ბიძინა გუჯაბიძეზე. სასტიკად ნაცემები დიდხანს გადიოდნენ სერიოზულ მკურნალობას.

თავდამსხმელთა ვინაობა ყველასთვის, განსაკუთრებით, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებისათვის კარგადაა ცნობილი. ისინი არიან მმართველი „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტები: **გიორგი სამუშია, გოგა ღურწკაია, მანუჩარ ფუტკარაძე, გიორგი მანია, ირაკლი მიქაია, ბიქტორ მიქაია და აკაკი როგავა.** სამართლებრივი თვალსაზრისით, ცემა და სხეულის მძიმე დაზიანება ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მიერ აღნიშნული პირებისთვის მათი ქმედების უფრო მსუბუქი ადმინისტრაციულსამართლებრივი კვალიფიკაციით შეფასდა. ოქმის შემდგენი პატრულ-ინსპექტორებისა და ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მეტისმეტი ლმობიერების გამო შეუძლებელი ხდება ზემოხსნებულ პირთათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება იმ ქმედებისათვის, რისთვისაც ისინი ცნობილი იყვნენ სამართალდამრღვევებად (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-7 დამატებითი ოქმის მე-4 პუნქტით აღიარებული Ne bis in idem პრინციპი). **ბეჟან გუნავასა და ბიძინა გუჯაბიძეზე მოწყობილი თავდასხმის მონაწილეების დასჯა არც არავის უფიქრია. პირიქით, ისინი წაახალისეს კიდეც, რაშიც ადვილად რწმუნდები, როცა თვალს გადაავლებ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პროპორციულ საარჩევნო სიას. აღნიშნული სია განთავსებულია ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებგვერდზე. საარჩევნო სუბიექტის — „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა — გამარჯვებული საქართველოსათვის“ — პროპორციული საარჩევნო სიის ერთ-ერთ ნომრად დასახელებულია გოგა ღურწკაია.**

მისი სახელისა და გვარის გასწვრივ მითითებულია დაბადების თარი-

ღი — 1982 წლის 21 დეკემბერი; **საქმიანობა — ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო, მთავარი სპეციალისტი.** ეს სწორედ ის **გოგა ღურწკაიაა,** რომელიც ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოსამართლის დავით კეკენაძის 2007 წლის 29 ოქტომბრის დადგენილებით ცნობილი იქნა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად და სახდელის ზომად განესაზღვრა ადმინისტრაციული პატიმრობა ოცი დღით, ასევე, ჯარიმა ოთხასი ლარის ოდენობით. გოგა ღურწკაიას მიერ ბეჟან გუნავას მიმართ გამოვლენილი სისასტიკის კადრები დაფიქსირებულია ტელეკომპანიების — „რუსთავი 2-სა“ და „იმედის“ მიერ. **იმავე პროპორციულ სიაში 91-ე ნომრად ისაკო ცქიფურიშვილია. იგი 2007 წლის ნოემბერში კრიტიკული რეპორტაჟების გამო ლაგოდეხში მოქმედი დამოუკიდებელი რადიოსადგურის დარბევით იმუქრებოდა.** არსებობს მუქარის დამადასტურებელი აუდიოჩანაწერიც. **ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის 2007 წლის მსოფლიოში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ ყოველწლიურ ანგარიშში აღნიშნულია: „პოლიტიკური ოპოზიციის გარკვეული წარმომადგენლები საქართველოში დაექვემდებარენ პოლიტიკურ ძალადობას. იყო ანგარიშები იმაზე, რომ პოლიტიკურად აქტიურმა პირებმა, რომლებიც მმართველ პარტიას არ ეკუთვნოდნენ, განიცადეს პრობლემები, რაც დაკავშირებული იყო დევნასთან და კორუფციაში ბრალდებასთან“.**

ოდესღაც ძლევამოსილ პიროვნებას, პრეზიდენტ სააკაშვილთან განსაკუთრებულად დაახლოებულ ყოფილ გენპროკურორს, ქვეყნის შინაგან საქმეთა და თავდაცვის ექს-მინისტრ ირაკლი ოქრუაშვილს საფრანგეთის სახელმწიფომ პოლიტიკური თავშესაფარი მისცა. მიუხედავად იმისა, რომ ოქრუაშვილი ოდიოზურ ფიგურად წარმოგვიდგება, სახელმწიფო თანამდებობებზე მისი მოღვაწეობა ფრიად არაერთმნიშვნელოვანია. თავდაც-

ვის ყოფილი მინისტრის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა ტელეეთერში გაკეთებული განცხადებების შემდეგ დაიწყო, სადაც იგი ხელისუფლებას და პირადად სააკაშვილს ადანაშაულებდა. მალე ოქრუაშვილი დაეპატიმრეს. განთავისუფლების შემდეგ კი საფრანგეთს შეაფარა თავი. შეიძლება თამამად ითქვას, რომ 2007 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ექსმინისტრი პოლიტიკურ პატიმრობაში იმყოფებოდა. ამის შემდეგ ხელისუფლების ორგანოებთან პრობლემები არა მხოლოდ ირაკლი ოქრუაშვილს, არამედ მის ნათესავებსა და მეგობრებსაც შეექმნათ. პოლიტიკური პარტიის ჩამოყალიბების ფაქტის საჯარო გახმიანების შემდეგ ფინანსურმა პოლიციამ დაიწყო ირაკლი ოქრუაშვილის ახლო მეგობრის — ქიბარ ხალვაშის კუთვნილი საწარმოების შემოწმება. გადაისინჯა მასთან სახელმწიფო შესყიდვების საფუძველზე წარმოებული ხელშეკრულებები. კორუფციის დანაშაულის ჩადენის ბრალდებით ირაკლი ოქრუაშვილთან ერთად დააკავეს შიდა ქართლის ყოფილი სახელმწიფო რწმუნებული, გუბერნატორი მიხეილ ქარელი, გორის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე მარლენ ნადირაძე და სხვები. სამსახურიდან მოულოდნელად დაითხოვეს ირაკლი ოქრუაშვილის დედა ჟანა გიგუაშვილი. სახალხო დამცველის 2007 წლის მეორე ნახევრის საპარლამენტო მოხსენებაში, ასევე, აღნიშნული იყო თავდაცვის ყოფილი მინისტრის თანაპარტიელის, პარლამენტარ თეო ტლაშაძის დის, თამარ ტლაშაძისა და ირაკლი ოქრუაშვილის ნათესავის, ნანა მღებრიშვილის სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე. ოპოზიციური შეხედულებების მქონე პირების მიმართ პოლიტიკური დევნა გამოიხატებოდა შეთითხნილი მოტივებით საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან პედაგოგების პოლიტიკური შეხედულებების გამო გათავისუფლებაში ან სამსახურიდან დათხოვნის მუქარაში, პოლიტიკური ოპოზიციის აქტივისტებზე თავდასხმასა და ფიზიკურ ანგარიშსწორებაში, თვალთვალში. ადამიანის პოლიტიკურ არჩევანზე ფსიქიკური ზემოქმედების არაორდინარულ საშუალებას წარმოადგენს მისი იძულება, დაიფიცოს ხატზე, ხოლო მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, ასეთ მოხელეს სამსახურს დაატოვებინებენ. ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის აქტივისტების მიმართ ჩადენილი ყველა ზემოხსენებული ქმედება დაკავშირებული იყო 2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნებთან... **ხელისუფლების მიერ მიღებულ პოლიტიკურ სარგებელზე შეიძლება ვისაუბროთ მერაბ რატიშვილისა და იოსებ ჯანდიერის საქმესთან დაკავშირებითაც. გათავისუფლების სანაცვლოდ, მერაბ რატიშვილისაგან ითხოვდნენ ინფორმაციას პოლიტიკური ოპოზიციის ლიდერებზე. 2007 წლის 7 ნოემბრის აქციის აქტიური მონაწილე იოსებ ჯანდიერი საკმაოდ დაახლოებული იყო ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირებთან. მიუხედავად ამისა, იგი სიტყვით გამოვიდა 2007 წლის 7 ნოემბრის მიტინგზე, რაც ღალატად აღიქვეს და ანგარიშიც გაუსწორეს. პოლიტიკური პატიმრობის დამახასიათებელ მტკიცებულებას წარმოადგენს სამოხელეო დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული პირის წინააღმდეგ იმ დოკუმენტური მასალის გამოყენება, რომელსაც ხელს არ აწერს აღნიშნული მოხელე და ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების დაფუძ-**

**ნება ისეთ გარემოებაზე, რომელიც არ არის შექმნილი პასუხისგებაში მიცემული პირის მიერ (მაგალითად, დიმიტრი გოდაბრელიძის საქმე).** იმ ადამიანთა უმრავლესობა, ვინც თავს მიიჩნევს პოლიტიკურ პატიმრად, სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაშია მიცემული ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებით. მსოფლიო პრაქტიკაში იშვიათია შემთხვევები, როცა კანონმდებლობა კრძალავს იმ პოლიტიკურ საქმიანობას, რა მოტივითაც დააპატიმრეს პირი. ამ კუთხით გამონაკლისს წარმოადგენდა საბჭოთა კავშირი. აღნიშნულ სახელმწიფოში დანაშაულად იყო გამოცხადებული ისეთი ქმედებები, როგორიცაა, თუნდაც, ანტისაბჭოთა აგიტაცია-პროპაგანდა. ადამიანი, რომელიც აღნიშნული დანაშაულისათვის იყო მსჯავრდებული, ავტომატურად მიიჩნეოდა პოლიტიკურ პატიმრად. თანამედროვე ეპოქაში პოლიტიკური პატიმრების იდენტიფიცირება არც ისე მარტივია, როგორც ეს საბჭოთა პერიოდში იყო შესაძლებელი. დღეისათვის ფსევდოდემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმები საკანონმდებლო დონეზე დეკლარირებენ პლურალიზმს. მიუხედავად ამისა, ასეთ სახელმწიფოებში სამართალგამოყენებითი პრაქტიკა რადიკალურად განსხვავდება დეკლარირებული პრინციპებისაგან. ავტორიტარული რეჟიმები საკანონმდებლო დონეზე ვერ მოახდენენ მშვიდობიანი პოლიტიკური აქტივობის კრიმინალიზაციას. ისინი, უბრალოდ, პატიმრობის პოლიტიკურ მოტივს ნიღბავენ სხვადასხვა ზოგადი დანაშაულებრივი ქმედების ინკრიმინაციით.

**მიუღებელ პოლიტაქტივისტთა სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა ხდება პოლიტიკის მიმართ ზოგადი და ნეიტრალური დამოკიდებულების მქონე საკანონმდებლო დისპოზიციების საფუძველზე... აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ოპოზიციის მიერ დასახელებული ზოგიერთი პირისათვის პოლიტიკური პატიმრის სტატუსის მინიჭება რთულდება. მხოლოდ ის გარემოება, რომ სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემული პირი ცალკეული პოლიტიკური პარტიის წევრია და ახორციელებდა პოლიტიკურ აქტივობას, არ წარმოადგენს საკმარის პირობას პოლიტიკური პატიმრის სტატუსის მისანიჭებლად. აუცილებელია უტყუარი მტკიცებულებებითა და დამაჯერებელი არგუმენტებით იმ გარემოების დადგენა, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა პოლიტიკური მოტივით ხორციელდება. ჯერ კიდევ „ვარდების რევოლუციამდე“ სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე (იარაღის უკანონო შეძენა ან შენახვა) და 260-ე (ნარკოტიკული ნივთიერების შეძენა ან შენახვა) მუხლები სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს აძლევდა თვითნებობის ფართო შესაძლებლობას. ძალზე ადვილია ზემოხსენებული მუხლების საფუძველზე ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებისას მტკიცებულებათა ფაბრიკაცია. ეს გამოწვეულია იმით, რომ აღნიშნული ქმედების ჩადენისათვის ბრალის წასაყენებლად არ არის დადგენილი მტკიცებულებათა მაღალი სტანდარტი. მაგალითად, ამ დროს არ ხდება ბრალდებულის კავშირის დადგენა ნარკოტიკულ ნივთიერებასა და იარაღთან.**

ბრალის დასადასტურებლად სულაც არაა აუცილებელი იმ გარემოე-

ბების დადგენა, თუ სად, როდის ან ვისგან იყიდა ნარკოტიკული ნივთიერება ან იარაღი, არის თუ არა დაფიქსირებული ასეთ საგანზე თითის ანაბეჭდები და ა.შ. სამი ყოფილი სამართალდამცველის, რევაზ კლდიაშვილის (საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე), დავით ტატიშვილის (ქალაქ თბილისის ისანი-სამგორის შს რაიონული სამმართველოს უფროსი) და მიხეილ გიორგაძის (ქალაქ თბილისის მთაწმინდა-კრწანისის შს რაიონული სამმართველოს უფროსი) საქმეები ამგვარი ფაბრიკაციის ნათელი ნიმუშია. როცა ყოფილი სამართალდამცველები ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის წევრები ხდებიან, მონაწილეობენ მასშტაბურ საპროტესტო აქციებში, ყოფილ კოლეგებს საჯაროდ მოუწოდებენ, არ გამოიყენონ ძალა მშვიდობიანი მომიტინგეების წინააღმდეგ (როგორც ეს გააკეთა მიხეილ გიორგაძემ 2007 წლის ნოემბერში), ამგვარ ქმედებებს მოსდევს მათგან ჩხრეკის შედეგად იარაღის, საბრძოლო მასალისა და ნარკოტიკული საშუალების ამოღება. რაგინდ უცნაურადაც უნდა მოგვეჩვენოს, წარსულში სწორედ ზემოხსენებულ ყოფილ სამართალდამცველებს ადანაშაულებდნენ იმ არაკანონიერი ქმედებების ჩადენაში, რომელთა მსხვერპლი დღეს თავად არიან. სწორედ ისინი ახდენდნენ იარაღისა და ნარკოტიკული საშუალებების გამოყენებით ხელისუფლების ოპონენტთათვის მტკიცებულებათა ფაბრიკაციას (2004 წელს რევაზ კლდიაშვილის მიერ „ხალხის გაზეთის“ რედაქტორის, რევაზ ოქრუაშვილის დაკავება) და მათ პოლიტიკურ დევნას (2003 წელს მიხეილ გიორგაძის მიერ მოძრაობა „კმარას“ აქტივისტების ადმინისტრაციული წესით დაკავება და საპროტესტო აქციის ერთ-ერთი მონაწილის, ლაშა ჩხარტიშვილისათვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება). **პოლიტიკური მოტივით დაპატიმრებულმა ყოფილმა სამართალდამცველებმა ყველაზე უკეთ იციან მტკიცებულებათა ფაბრიკაციისა და პოლიტიკური დევნის მექანიზმები. კონტექსტის გათვალისწინებით, ყველაზე ტიპურ პოლიტიკურ დანაშაულად გვევლინება სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლი. აღნიშნული ნორმის შესაბამისად, ისჯება „პოლიციის მუშაკის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ წინააღმდეგობა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ხელის შეშლის, მისი საქმიანობის შეწყვეტის ან შეცვლის მიზნით, აგრეთვე, აშკარა უკანონო ქმედებისათვის მისი იძულება, ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით“.** 2008 წლის 13 თებერვალს „ერთიანი ეროვნული საბჭოს“ მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკური პატიმრების სიაში ვხვდებით სულ ხუთ პიროვნებას **(ზაალ ქოჩლაძე, ლევან ბარაბაძე, ლევან მინაშვილი, ილია წურწუმია, როსტომ ონიანი),** რომლებიც სწორედ სისხლის სამართლის კოდექსის **353-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სავარაუდო ჩადენის გამო დააკავეს.** ყველა მათგანი მონაწილეობდა საპროტესტო აქციაში. ნოემბერში აღნიშნული პირები პოლიციის ყურადღების ცენტრში მოექცნენ. მათ მიმართ განხორციელდა სხვადასხვა სახის საპროცესო მოქმედებები, რომლებიც, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების განმარტებით, დაკავებულების მხრიდან „წინააღმდეგობის გაწევით“ დასრულდა. ამ მოტივით პა-

სუხისგებაში მიცემის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს პოლიციელისათვის ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება. **აღსანიშნავია, რომ ბრალდებულების მხრიდან სამართალდამცველებზე მსგავსი ხასიათის ზემოქმედებები მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოების ჩვენებებით დასტურდებოდა.** ბრალდებულის სახით სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ პოლიციელებისათვის სავარაუდო ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში უამრავი ადამიანის თანდასწრებით ხდებოდა, ბრალდება მოკლებული იყო შესაძლებლობას, **პოლიციელისათვის წინააღმდეგობის გაწევა დაესაბუთებინა სხვა პირების და არა მხოლოდ დაზარალებული პოლიციელების ჩვენებებით. უფრო მეტიც, ის პირები, რომლებიც ესწრებოდნენ დაკავებას ან პოლიციის მიერ ჩატარებულ საპროცესო ღონისძიებებს, სახალხო დამცველისათვის მიცემულ ახსნა-განმარტებებში კატეგორიულად უარყოფენ დაკავებულების მიერ პოლიციისათვის ფიზიკური ან სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების ფაქტს (იხილეთ ზაალ ქოჩლაძისა და როსტომ ონიანის საქმე).**

ადამიანისათვის სხვა პირის ან პოლიციელის შეურაცხყოფის მიყენების ინკრიმინირება პოლიტიკური დევნის აპრობირებულ ხერხს წარმოადგენს.

**თავდასხმა პოლიტიკურ ოპონენტებზე, მათი ფიზიკური შეურაცხყოფა და ანგარიშსწორება 2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნების საარჩევნო კამპანიისას, ისევე, როგორც არჩევნების შემდეგ რუსთაველის გამზირზე საპროტესტო აქციის მზადების პერიოდში, ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ჯგუფური თავდასხმის მსხვერპლი, ძირითადად, პოლიტიკური ოპოზიციის წარმომადგენლები ხდებოდნენ.** გვხვდება რესპუბლიკური პარტიის წევრის მხრიდან მმართველი პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტ გვანცა ხოსიტაშვილზე თავდასხმის ერთი შემთხვევაც. სხვა დროს ფიზიკური ანგარიშსწორების მსხვერპლი ოპოზიციონერები არიან. თავდამსხმელთა იდენტიფიცირება შესაძლებელი იყო საარჩევნო კამპანიისას ძალადობის დროს. ისინი ხელისუფლების წარმომადგენლები ან კონკურენტი პარტიის მხარდამჭერები იყვნენ (დანართში იხილეთ გვანცა ხოსიტაშვილის საქმე). გაცილებით რთულია მათი იდენტიფიცირება, ვინც არჩევნების შემდეგ ესხმოდა თავს და სასტიკი მეთოდებით უსწორდებოდა პოლიტიკური ოპოზიციის აქტივისტებს. **სახალხო დამცველის ხელთ არსებული ინფორმაციით, საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ფიზიკური ანგარიშსწორების ობიექტი, სულ ცოტა, ცამეტი პირი გახდა (რამინ აბულაძე, დავით საზანიშვილი, ამირან იობაშვილი, ნუგზარ ხუცურაული, გიორგი თავდგირიძე, გიორგი შერვაშიძე, ბორის ძანაშვილი, ლევან ჯღარკავა, ლევან გვარჯალაძე, დავით მეტრეველი, იოსებ ბორცვაძე, ზურაბ გიგუაშვილი და ნონა საღარეიშვილი). უმეტეს შემთხვევაში, თავდამსხმელებს ნიღბები ეკეთათ. თუკი თვალს გადავავლებთ ყველა ინციდენტს, ყოველი თავდასხმა კარგად ორგანიზებულია. ფიზიკურ ანგარიშსწორებამდე მსხვერპ-**

**ლის მიმართ ხდება ფსიქოლოგიური ზემოქმედება. იგი წარმოადგენს მუდმივი თვალთვალისა და მუქარის ობიექტს (იხილეთ ნონა საღარეიშვილისა და რამინ აბულაძის საქმეები).** ძალადობის უშუალო აქტს ზოგჯერ წინ უსწრებს მსხვერპლის გატაცება, თავზე პარკის ჩამოცმა ან წებოვანი ლენტით შებორკვა და ავტომანქანაში ძალით ჩასმა (დავით საზანიშვილის, ზურაბ გიგუაშვილის, მამუკა კვარაცხელიას საქმეები). თავდამსხმელები ზოგჯერ საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის სიმულაციით ცდილობდნენ, დაეფარათ თავდასხმის პოლიტიკური მოტივი. **მაგალითად, მამუკა კვარაცხელიასა და ზურაბ გიგუაშვილზე განხორციელებული ძალადობისას თავდამსხმელებმა წაიღეს დაზარალებულების პირადი ნივთები. აღნიშნული თავდასხმების უმეტესობა განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩევა. თავდამსხმელები ფიზიკურ ძალასთან ერთად იყენებენ რეზინის ხელკეტს (მაგალითად, რამინ აბულაძის, ამირან იობაშვილის, ლევან ჯღარკავას, გიორგი შერვაშიძის, ნუგზარ ხუცურაულის საქმეები), ბეისბოლის ჯოხს (იოსებ ბორცვაძის საქმე), რკინის ნაჭერს (გიორგი თავდგირიძის საქმე).** ცამეტი დაზარალებულიდან ერთი ქალბატონია — პოლიტიკური გაერთიანება „ეროვნული ფორუმის“ წევრი ნონა საღარეიშვილი. თავდამსხმელები ყველაზე მეტი სისასტიკით სწორედ მის მიმართ გამოირჩეოდნენ. ნონა საღარეიშვილს საკუთარ სადარბაზოსთან თოკით ახრჩობდნენ. დასახელებული ცამეტი თავდასხმიდან ზოგიერთ შემთხვევაში თავდასხმის პოლიტიკური მოტივი ნათლად იკვეთება თავად თავდამსხმელთა სიტყვებიდან. მოძალადეები თავდასხმამდე და ფიზიკური ანგარიშსწორების დროსაც ქალბატონისგან ღიად მოითხოვდნენ პოლიტიკური აქტივობის შეწყვეტას. ისინი ზოგჯერ არც მალავენ, რომ სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენლები არიან. ნონა საღარეიშვილის მობილურ ტელეფონში შენახულია მოკლე ტექსტური შეტყობინება, სადაც ფსიქოლოგიური დამუშავების მეთოდით მას მიმართავდნენ უხამსი გამონათქვამებით და აიძულებდნენ, ჩამოშორებოდა პოლიტიკურ ოპოზიციას. მაგალითად, 2008 წლის 22 მაისს საღარეიშვილს ტელეფონიდან 877 77 47 76 დაურეკა უცნობმა პიროვნებამ, რომელიც ლაშა ხერხელაურად — საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლად გაეცნო. უცნობმა ნონას განუცხადა, რომ უნდა დაეტოვებინა პოლიტიკური პარტიის რიგები, წინააღმდეგ შემთხვევაში მის ნათესავს დააბრუნებდნენ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. ნონა საღარეიშვილმა სააპელაციო სასამართლოში 2008 წლის 21 მაისის არჩევნებთან დაკავშირებით მოწმედ დაკითხვის დროს მიიღო შეტყობინება ტელეფონის ნომრიდან 860 47 00 00. უცნობი მას ფიზიკური ანგარიშსწორებით ემუქრებოდა. **აღსანიშნავია, რომ იმავე ნომრიდან 2008 წლის 26 მაისს მუქარის შემცველ შეტყობინებას იღებდა რადიო „მწვანე ტალღის“ კორესპონდენტი სოსო ხოფერია. ეს უკანასკნელი რადიო „იმედის“ კორესპონდენტ ნანა ფაჟავასა და პარტია „თავისუფლების“ აქტივისტებთან ერთად ზუგდიდიდან თბილისში მოდიოდა ოპოზიციის საპროტესტო აქციაზე დასასწრებად.** ნიშანდობლივია, რომ ტელეფონის ნომრის მფლო-

ბელის ვინაობა გამოძიებას დღემდე არ დაუდგენია. ნონა საღარეიშვილის მსგავსად, პოლიტიკური მოტივი ნათლად ჩანს რამინ აბულაძესა და ზურაბ გიგუაშვილზე ფიზიკურ ზემოქმედებაში. რამინ აბულაძეს, რომლის საჩივრის საფუძველზე გაუქმდა გორის №32 საარჩევნო ოლქის სოფელ კარალეთის №48 საარჩევნო უბნის კენჭისყრის შედეგები, მუდმივად უთვალთვალებდნენ და ემუქრებოდნენ, კერძოდ, მას ეკითხებოდნენ, როდემდე ეყოფოდა „რესპუბლიკური პარტიის" მიერ „კარდაკარის" პროგრამის ფარგლებში მიცემული ანაზღაურება. ზურაბ გიგუაშვილს ცემის დროს ეკითხებოდნენ, რატომ უღალატა ვანოს.

**ნათელია, რომ ყველა ზემოხსენებული თავდასხმის მიზანი იყო არა მხოლოდ დაზარალებულის, არამედ მთელი საზოგადოების დაშინება. ფიზიკური ანგარიშსწორების სხვა შემთხვევებში თავდამსხმელები მსხვერპლთან ვერბალურ კონტაქტს არ ამყარებდნენ. ერთი შეხედვით, ეს გარემოება შეუძლებელს ხდის ძალადობის მოტივის დადგენას, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ ყველა ზემოთ დასახელებული ქმედება, დროის თვალსაზრისით, ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია, თავდასხმის მეთოდიც ყველა შემთხვევაში — იდენტური და მსხვერპლიც — ყოველთვის ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის აქტივისტი.** საინტერესოა თავდასხმის ობიექტის შერჩევის კრიტერიუმებიც. მსხვერპლი არ უნდა იყოს ოპოზიციური პარტიის გამორჩეული ლიდერი, რომ შედეგად არ მოჰყვეს საერთაშორისო სკანდალი და საქართველოს, როგორც დემოკრატიული ქვეყნის, იმიჯის შელახვა. სამაგიეროდ, არსებობს გრანდიოზული ოპოზიციური საპროტესტო აქციის მოწყობის საშიშროება, რომელიც მიმართული იქნება 2008 წლის 21 მაისს არჩეული პარლამენტის პირველი სხდომის ჩაშლისკენ. ეს საფრთხე დროულად უნდა აღმოიფხვრას. ამისათვის აუცილებელია ოპოზიციური პარტიის აქტიური რიგითი წევრების ნეიტრალიზება, რადგან ნაკლები ხმაური და მეტი ეფექტი ექნება. ყურადღება გამახვილებულია ისეთ აქტივისტებზე, რომლებიც წარსულში ახდენდნენ საპროტესტო აქციებზე ხალხის მასის ორგანიზებას. დაზარალებულთაგან უმრავლესობა სწორედ ასეთი აქტივისტია. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენენ გიორგი თავდგირიძე და გიორგი შერვაშიძე, საქართველოს შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები, რომელთა ოპოზიციურ პარტიაში გაწევრების ფაქტი შესაძლოა, შურისძიების საბაბი ყოფილიყო. იგივე შეიძლება ითქვას ზურაბ გიგუაშვილზეც, რომელიც თავდამსხმელების ინტერესის სფეროში, თუნდაც, იმიტომ შეიძლებოდა მოქცეულიყო, რომ თავდაცვის ყოფილი მინისტრის — ირაკლი ოქრუაშვილის ბიძაა და წარსულში შინაგან საქმეთა ორგანოებში მაღალ თანამდებობაზე მუშაობდა.

სახალხო დამცველის მიერ დასახელებული პოლიტიკური დევნის ყველა ფაქტზე დაიწყო წინასწარი გამოძიება. სავარაუდო დანაშაულებრივი ქმედებები, უმეტეს შემთხვევაში, წინასწარი გამოძიების მიერ დაკვალიფიცირებულია სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლით (ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება), გარდა მამუკა კვარაცხელიაზე განხორციელებული თავდასხმისა, რომელიც თავდაპირველად ძარცვად დაკ-

ვალიფიცირდა. მოგვიანებით კვალიფიკაცია შეიცვალა და ამჟამად წინასწარი გამოძიება გრძელდება დამატებით სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით. ეს უკანასკნელი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას თავისუფლების უკანონო აღკვეთისათვის სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით. **გამოძიება ამ დრომდე თავს არიდებს გაერთიანებული ოპოზიციის აქტივისტების მიმართ განხორციელებული თავდასხმის კვალიფიკაციას სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლის მე-2 პუნქტით. აღნიშნული ნორმა ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ადამიანის დევნისათვის სიტყვის, აზრის, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან დაკავშირებით.** სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევისათვის პოლიტიკური შეხედულებებისა და საზოგადოებრივი გაერთიანებისადმი კუთვნილების გამო, თუკი ამგვარმა თანასწორუფლებიანობის დარღვევამ მძიმე შედეგი გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის კოდექსის ცალკე აღებული 118-ე მუხლი, სანქციის თვალსაზრისით, ბევრად მკაცრია, ვიდრე სსკ 156-ე და 142-ე მუხლები, პოლიტიკურ აქტივისტთა მიმართ განხორციელებულ თვალთვალს, მუქარას და მოთხოვნას — შეეწყვიტათ პოლიტიკური აქტივობა — საქმიანობა, რომლის უფლებასაც ქვეყნის კონსტიტუცია იძლევა, უნდა მიეცეს ცალკე სამართლებრივი კვალიფიკაცია სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე (ადამიანის თანასწორუფლებიანობის დარღვევა) და 156-ე (დევნა) მუხლებით. საბოლოო შედეგი მხოლოდ ორ საქმესთან დაკავშირებით არსებობს. ორივე შემთხვევაში, საგამოძიებო ორგანოებმა დაადგინეს ოპოზიციური პარტიის იმ აქტივისტების ბრალეულობა, რომლებიც თავად ამტკიცებდნენ, რომ პოლიტიკურად მოტივირებული თავდასხმის მსხვერპლი გახდნენ. **გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა სამმართველოს უფროსის №გ22.08.2008/7 წერილიდან ირკვევა, რომ ალექსანდრე სხირტლაძე კი არ დაესხა თავს „გაერთიანებული ოპოზიციის“ აქტივისტ ლევან გვარჯალაძეს, არამედ — პირიქით, თავად ლევან გვარჯალაძე დაესხა თავს ალექსანდრე სხირტლაძეს და მიაყენა ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება. ამასთან დაკავშირებით 2008 წლის 28 მაისს დაიწყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის №007082112 საქმეზე. 2008 წლის 6 ივნისს საქმეზე კვალიფიკაცია შეიცვალა სსკ 239-ე მუხლის პირველი ნაწილით (ხულიგნობა). დაიკითხნენ (დაზარალებულად) ალექსანდრე სხირტლაძე და მოწმეები. ჩატარდა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზები. 2008 წლის 7 ივნისს ლევან გვარჯალაძე ბრალდებულად ცნეს. ასეთივე გაგრძელება ერგო სეიმურ თანავერდიევის საქმეს. ეს უკანასკნელი აცხადებდა, რომ „გაერთიანებული ოპოზიციის“ მხარდაჭერისათვის დანით ჭრილობა მიაყენა თანასოფლელმა ალახ იაროვ შქურიმ და ფიზიკური შეურაცხყოფა — სოფელ ქვემო ყარაბულახის საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ყურბან ქაზიმოვმა.**

# სამსახურიდან დათხოვნა პოლიტიკური მოტივით

**პოლიტიკური დევნის გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მქონე პირის ან მისი ახლო ნათესავის გათავისუფლება სამსახურიდან. პოლიტიკური შეხედულებების გამო პირი ან მისი ნათესავები შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის რეალური საშიშროების წინაშე დგანან როგორც საჯარო სამსახურსა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მქონე დაწესებულებაში, ასევე, კერძო სექტორშიც (ჟანა გიგუაშვილის საქმე). ხშირად შრომითი ურთიერთობები წყდება დაქირავებულის ინიციატივით, თუმცა ამგვარ გადაწყვეტილებას მუქარის ძალით იღებენ (იხილეთ არჩილ ჯორჯაძისა და ნელი ცქიტიშვილის საქმე). ყველაზე დიდი წნეხის ქვეშ მაინც საგანმანათლებლო დაწესებულების თანამშრომლები — პედაგოგები მოექცნენ. საქართველოში უცხო არ არის შემთხვევა, როცა საარჩევნო კომისიებს სწორედ სკოლების ადამიანური რესურსის ხარჯზე ავსებენ.**

ეს გარემოება პედაგოგებზე ზეწოლის უმთავრესი მიზეზი გახდა. პოლიტიკური პარტიის მიერ არჩევნებში გამარჯვების უმთავრეს გარანტიას წარმოადგენს სწორედ სკოლის პერსონალის დაქვემდებარება და მათი პარტიული ინტერესების შესაბამისად გამოყენება. სამუშაოს დაკარგვის შიშით პედაგოგი იძულებულია, მონაწილეობა მიიღოს მმართველი პარტიის საარჩევნო კამპანიაში, გამოიყენოს თავისი მდგომარეობა და მოუწოდოს მოსწავლის მშობელს, ხმა მისცეს მმართველ პარტიას. სკოლის შენობას, ადმინისტრაციულ რესურსს ერთი პარტიისა და მისი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის ინტერესების სასარგებლოდ იყენებენ. ოპოზიციურ პარტიებსა და მათი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებს არ აქვთ შესაძლებლობა, ამომრჩევლებთან შეხვედრებისთვის ისარგებლონ სკოლის შენობით. ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლების მიერ მსგავსი შენობებით სარგებლობის შემთხვევა შეხვედრის ინიციატორი საგანმანათლებლო დაწესებულების თანამშრომლისათვის სამსახურიდან გათავისუფლებით მთავრდება.

**მაგალითად, 2008 წლის 15 მაისს ზუგდიდის №67 საარჩევნო ოლქში „რესპუბლიკური პარტიის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის ნონა თოლორაიას განმარტებით, მისი შტაბის წევრი გოგიტა მორგოშია შეუთანხმდა განმუხურის საჯარო სკოლის დირექტორს — მზია გერგედავას, ამომრჩევლებთან შესახვედრად მისთვის დაეთმო სკოლის დარბაზი. ადგილზე მისულ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატსა და საარჩევნო შტაბის წევრებს სკოლის კარი ჩაკეტილი დახვდათ.**

2008 წლის 7 მაისს თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის დარბაზში „გაერთიანებული ოპოზიცია — ეროვნული საბჭო, მემარჯვენეების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ფიქრია ჩიხრაძის შეხვედრის ორგა-

ნიზებისათვის უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და რექტორის აპარატის უფროს ნელი ცქიტიშვილსა და თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული სპეციალობის კოორდინატორ არჩილ ჯორჯაძეს სამსახურის დატოვება მოსთხოვეს. ნელი ცქიტიშვილის განმარტებით, რამდენიმე დღით ადრე იმავე დარბაზით ისარგებლა „ნაციონალური მოძრაობა — გამარჯვებული საქართველოსათვის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა გიორგი არსენიშვილმა. არჩილ ჯორჯაძის განმარტებით, როგორც მას უთხრეს, თუკი სამსახურს არ დატოვებდა, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი ფინანსური შემოწმების ობიექტი გახდებოდა და არჩილ ჯორჯაძის მეგობარს, უნივერსიტეტის რექტორ გია გოცირიძეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაემუქრებოდა. ნელი ცქიტიშვილმა და არჩილ ჯორჯაძემ გათავისუფლების თაობაზე განცხადება დაწერეს, სამსახურიდან წასვლის მიზეზად კი მათზე განხორციელებული პოლიტიკური ზეწოლა დაასახელეს. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის უფროსმა აღნიშნული განცხადებები მხოლოდ 2008 წლის 22 მაისს დააკმაყოფილა.

**პედაგოგებს არა თუ აქტიურად იყენებენ მმართველი პარტიის სამსახურში, არამედ ხელსაც უშლიან, მხარი დაუჭირონ ან წარმოადგინონ ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის ინტერესები, მათი კვოტით დაინიშნონ საარჩევნო კომისიებში. ოპოზიციურად განწყობილ პედაგოგებს ერთმნიშვნელოვანი გზავნილი მისცა შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულმა, გუბერნატორმა ლადო ვარძელაშვილმა. ამ უკანასკნელმა გორში გამომავალი გაზეთის — „ქართლის ხმის“ რედაქტორ საბა წიწიკაშვილთან საუბარში (აღნიშნული საუბარი ჩაწერილია დიქტოფონით და შენახულია აუდიოჩანაწერი) განაცხადა, რომ მას სკოლაში არ სჭირდება ისეთი პედაგოგები, რომლებიც ვერ ხედავენ ქვეყანაში მიმდინარე დადებით პროცესებს და რომ ამჟამინდელი ხელისუფლების პირობებში მათი სოციალური მდგომარეობა მკვეთრად გაუმჯობესდა.**

იმავე პათოსით იყო განწყობილი მესტიის მუნიციპალიტეტის ყოფილი გამგებელი **ნინო ჯაფარიძე.** მან დაიბარა მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ მულახის სპორტული სკოლის დირექტორის მოადგილე **ზაზა ლახუტაშვილი** და „გაერთიანებული ოპოზიცია — ეროვნული საბჭო, მემარჯვენეების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის — **ვიქტორ ჯაფარიძის** მხარდაჭერის გამო უსაყვედურა. ნინო ჯაფარიძისათვის გაუგებარი დარჩა, რატომ იყო „ნაციონალური მოძრაობით“ უკმაყოფილო ზაზა ლახუტაშვილი. ამ პარტიის მმართველობის პირობებში ხომ ზაზა ლახუტაშვილი — სპორტულ სკოლაში, ხოლო მისი დედა საჯარო სკოლის დირექტორის თანამდებობაზე საქმიანობდნენ. **გამგებელი ნინო ჯაფარიძე სამსახურიდან გათავისუფლებით დაემუქრა მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ყარსგურიშის საბავშვო ბაღის გამგე ირმა ჩხვიმიანსაც. გამგებელი ირმა ჩხვიმიანის „გაერთიანებული ოპოზიციის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ვიქტორ ჯაფარიძესთან გამართულ შეხვედრაზე დასწრებამ გააღიზიანა.**

**სამართლებრივ ლოგიკაში არ თავსდება ერთი სკოლის დირექტორის მიერ მეორე სკოლის დირექტორის იძულება, დატოვოს სამსახური. ამ დროს გადამწყვეტი არა დირექტორის სტატუსია, არამედ ის, რომ პიროვნებას, რომელიც თანამდებობიდან ათავისუფლებს სხვა სკოლის დირექტორს, მინდობილი აქვს მმართველი პარტიის სასარგებლოდ ამომრჩეველთა ხმების მობილიზება. იგი არის პარლამენტის თავმჯდომარის მამამთილი — შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის მამა. ასეთ შემთხვევაში მეზობელი დირექტორის თანამდებობიდან გასათავისუფლებლად არანაირი ფორმალური კომპეტენცია არ არის საჭირო.**

განსაკუთრებით აღსანიშნავია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიისა და ფილოსოფიის ფაკულტეტის დეკანის — შოთა კვირტიას შემთხვევა. წარმოადგენს რა ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა საქართველოს ასოციაციის დამფუძნებელსა და თავმჯდომარეს, ასევე, აიპ „ისტორიული მემკვიდრეობის“ საზოგადოებრივი საბჭოს წევრს, მან 2009 წლის მარტში სხვა პირებთან ერთად ხელი მოაწერა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის — დიმიტრი მედვედევისადმი მიმართვას. მიმართვის გამოქვეყნებისა და ბატონი მედვედევის საპასუხო წერილის მიღებისთანავე საქართველოს ხელისუფლებამ მიმართვაზე ხელმომწერ ყველა პირზე ზემოქმედების ბერკეტების ძიება დაიწყო. შოთა კვირტია აავსეს პრეტენზიებით, როგორ თუ ხელი მოაწერე ამ ანტისახელმწიფოებრივ (!) დოკუმენტსო და ულტიმატუმის ფორმით მოსთხოვეს, განეცხადებინა, რომ იგი შეცდომაში შეყვანის გზით აიძულეს, ეს გაეკეთებინა; გააფრთხილეს, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში მისი პოზიცია შეუთავსებელი იქნებოდა სახელმწიფო სამსახურში ყოფნასთან და ვეღარ მიიღებდა მონაწილეობას (!) შემდგომში ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმეში. დღეისათვის ბატონი კვირტია უმუშევარია (სხვათაშორის, იგი აფხაზეთიდან დევნილია) და არაერთგზის მცდელობის მიუხედავად, საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამუშაოდ მიღებაზე გამუდმებით უარს ეუბნებიან.

სამსახურიდან გათავისუფლებას უკავშირდება მეორე პრობლემაც — სამართალდამცავი ორგანოების პოლიტიზება. პოლიცია ჯაჭვის ის მნიშვნელოვანი რგოლია, რომელსაც არჩევნების დროს ყოველთვის ეყრდნობა ხელისუფლების სათავეში მყოფი ნებისმიერი მმართველი პარტია. ხელისუფლებაში მყოფი ძალა სამართალდამცველის სამსახურიდან გათავისუფლების მუქარით უზრუნველყოფს არა მხოლოდ მის მხარდაჭერას, არამედ ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლის მეშვეობით დამატებითი ხმების მოზიდვასაც. სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენელთა საარჩევნო პროცესში ჩართვის უზრუნველსაყოფად ყველანაირ საშუალებას იყენებენ. პოლიციის ორგანოებსა და სამხედრო სამსახურში განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია სუბორდინაციული ურთიერთობა. მმართველი პოლიტიკური ძალა თავის დასაყრდენს სწორედ პოლიციის უფროსების დონეზე პოულობს. ეს რგოლი ხელქვეითზე იძულების მექანიზმია, რაც, საბოლოო ჯამში, უზრუნველყოფს არჩევნებში მმართველი პოლიტიკური გუნდის გამარჯვებას.

სუბორდინანტის საარჩევნო ნების კონტროლის ფორმა ყველგან განსხვავებულია. მესტიის მუნიციპალიტეტში პოლიციის უფროსი ბესიკ გაბულდანი პოლიციელებს აიძულებდა, შეესრულებინათ რელიგიური რიტუალი — ხატზე დაეფიცათ. საქართველოს მთიან რეგიონში რელიგიური შეხედულებები და ტრადიციები უდიდეს გავლენას ახდენს პიროვნების ყოველდღიურ ცხოვრებაზე, განსაზღვრავს ადამიანის ქცევას. ფიცი მომავალში ქცევის კონტროლის საშუალება ხდება. 2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნების წინ მესტიის შს სამმართველოს უფროსმა ბესო გაბულდანმა ხელქვეითები აიძულა, ხატზე დაეფიცათ, რომ მმართველ პარტიასა და მისი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს მისცემდნენ ხმას და არ გაამხელდნენ, რომ 2008 წლის 5 ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნებზე მიხეილ სააკაშვილის ნომერი შემოხაზეს. მესტიის შს სამმართველოს სოფელ ბეჩოს განყოფილების თანამშრომელი მელიტონ პაკელიანი ყველაფერს დათანხმდა „ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატისთვის ხმის მიცემის გარდა. „გაერთიანებული ოპოზიციის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ვიქტორ ჯაფარიძე მელიტონ პაკელიანის დისშვილი იყო და ადგილობრივი წეს-ჩვეულებების მიხედვით, საარჩევნო ხმის უფლებას ახლო ნათესავის წინააღმდეგ ვერ გამოიყენებდა. ხატზე დაფიცებისათვის უარის გამო მელიტონ პაკელიანი პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლი შეიქნა. სამეგრელო-ზემო სვანეთის შს მთავარი სამმართველოს უფროსის, თენგიზ გუნავას ბრძანებით, 2008 წლის 22 მაისს იგი დაითხოვეს შინაგან საქმეთა პირადი შემადგენლობიდან.

# მეწარმეებზე ზეწოლა

საქართველოში არცთუ იშვიათია საგადასახადო ორგანოების მხრიდან მეწარმეობის თავისუფლების ხელყოფის შემთხვევები. სახელმწიფოს მხრიდან ზემოქმედება საწარმოსათვის სოლიდური რაოდენობის ჯარიმების უსაფუძვლო დაკისრებაში, სამუშაოს შეჩერებასა და საწარმოს ტერიტორიაზე პერსონალის დაუშვებლობაში გამოიხატება, რისთვისაც ფართოდ გამოიყენება შენობისა და ქონების დალუქვა სახელმწიფოს სასარგებლოდ დავალიანების შესაძლო ამოღების უზრუნველყოფის საბაბით. სახალხო დამცველმა განიხილა არაერთი განცხადება, სადაც მეწარმეები საგადასახადო სანქციების დაკისრების მიზეზად პოლიტიკური ოპოზიციის წარმომადგენელთან ნათესაურ კავშირს ასახელებდნენ ან უშუალოდ მეწარმის პოლიტიკურ პოზიციასა და ოპოზიციონერ ლიდერთან სიახლოვეს.

2007 წლის ოქტომბერში ,,ხალხის პარტიის“ წევრის, ჯუმბერ თავართქილაძის ოჯახის კუთვნილ სუპერმარკეტ ,,ბუმერანგს“ დააკისრეს ჯარიმა 216 000 ლარის ოდენობით. 2007 წლის დეკემბერში ერთი თვით დალუქეს აღნიშნული სუპერმარკეტი, რითაც მფლობელმა 50 000 ლარის ოდენობით იზარალა. დაიხოცა ეგზოტიკური თევზები და ფრინველები — სუპერმარკეტის დეკორაციული ნაწილი, რაკი პერსონალს ტერიტორიაზე შესვლა ეკრძალებოდა. მოიძევება მათი ლპობის ამსახველი შემზარავი კადრები. ეს კი აშკარად მიუთითებს საგადასახადო ინსპექციის თანამშრომლების უკანონო ქმედებაზე. ხელისუფლების წარმომადგენლებმა წინასწარი შეცნობით დალუქეს ის შენობა, სადაც იმყოფებოდნენ სულიერი არსებები, რითაც მათ განადგურების გარდაუვალი საფრთხე შეუქმნეს.

**ოპოზიციური ლიდერების მიმართ სიმპათიისა და მეგობრობის გამო მეწარმეებს პრობლემები ექმნებათ მსხვილ ბიზნესშიც. მეგობრის ხელისუფლებაში ყოფნის შემთხვევაში მეწარმეს გარანტირებული აქვს საქმიანობის ხელშეუხებლობა და მფარველობა. საკმარისია, პოლიტიკური ლობი ოპოზიციაში გადავიდეს, რომ საგადასახადო ინსპექცია და შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო ჯგუფი მოულოდნელად აღმოაჩენს მეწარმის დავალიანებას ბიუჯეტის მიმართ. ამ საფუძვლით სახელმწიფოს ჩარევით ირღვევა ნებისმიერი ხელშეკრულება (თუკი ასეთი არსებობს. ისე კი, როგორც წესი, ნებისმიერ მსხვილ თუ საშუალო ბიზნესში ხელშეკრულებები გაფორმებულია სახელმწიფო დაწესებულებებთან) ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე და სახელმწიფო ითვისებს მეწარმის საკუთრებას. თავად ბიზნესმენი კი შესაძლოა, სისხლისსამართლებრივ დევნას დაექვემდებაროს და დააპატიმრონ.**

ქიბარ ხალვაშის საქმე პოლიტიკური მოტივით ბიზნესსაქმიანობაში ჩარევის ტიპური შემთხვევაა. მისი ახლო მეგობრის, ზემოხსენებული ირაკლი ოქრუაშვილის პოლიტიკურ ოპოზიციაში გადასვლამდე ხალვაში ერთ-ერთ წარმატებულ ბიზნესმენად ითვლებოდა. იგი იოლად იგებდა სახელმწიფოს მიერ გამოცხადებულ საქონლის შესყიდვისა და მომსახურების

ქიბარ ხალვაში

თითქმის ყველა ტენდერს. მაგალითად, მისი წილობრივი მონაწილეობის მქონე კომპანია აშენებდა თბილისის მე-8 საპყრობილეს, გორისა და სენაკის სამხედრო ბაზებს. მეგობრის ოპოზიციაში გადასვლამდე ქვეყნის პრეზიდენტსა და იუსტიციის მინისტრს საჯაროდ არაერთხელ გამოუთქვამთ კმაყოფილება თბილისის მე-8 საპყრობილის მშენებლობასთან დაკავშირებით. პრეზიდენტის შეფასებით, შენდებოდა სასჯელაღსრულების ევროპული სტანდარტის ახალი დაწესებულება, რისთვისაც მადლობას უხდიდნენ შპს ,,ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანის", გორის სამხედრო ბაზა, სადაც ხალვაში ფლობდა წილს. 2007 წლის სექტემბერში, როცა ცალკეული მოქმედებები შეინიშნებოდა ახალი ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის შესაქმნელად, რომლის სავარაუდო დამფინანსებლადაც ქიბარ ხალვაში სახელდებოდა, ლიდერი კი ირაკლი ოქრუაშვილი უნდა ყოფილიყო, ბიზნესმენის საწარმოები შემოსავლების სამსახურის განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მოექცა. ერთ დროს ყველაზე წარმატებული ბიზნესმენის წილობრივ მონაწილეობაში არსებული საწარმო ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე 2007 წლის 22 სექტემბერს აიძულეს, შეეწყვეტა გორის სამხედრო ბაზის მშენებლობა და იძულებით სამშენებლო ობიექტზე დაატოვებინეს 4 000 000 (ოთხი მილიონი) ლარის (თითქმის 2,5 მლნ ამერიკული დოლარი) ღირებულების ქონება. ხელთარსებული ახსნა-განმარტებებითა და სატელეფონო საუბრების ამონაწერებით ირკვევა, რომ ხელისუფლება საკუთარი შეხედულებისამებრ უშუალოდ მონაწილეობდა პარტნიორთა ნების საწინააღმდეგოდ შპს ,,ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანის" წილების გადანაწილებაში. რამდენადაც ოქრუაშვილის წინააღმდეგ ბრალდებები აგებული იყო იმაზე, რომ სახელმწიფო შეკვეთების შესრულება არაკანონიერად, სხვადასხვა ხრიკებით მინდობილი ჰქონდა ხალვაშის კომპანიებს, მეტი დამაჯერებლობისათვის ხელისუფლებას სურდა, საჯაროდ მოეხდინა ირაკლი ოქრუაშვილისა და ქიბარ ხალვაშის მეგობრობისა და ბიზნესპარტნიორობის დემონსტრირება და ეს გამოეყენებინა მათი დისკრედიტაციის მიზნით. ამისათვის ხელისუფლებამ საჭიროდ ჩათვალა, ქიბარ ხალვაშის კუთვნილ საწარმოს ირაკლი ოქრუაშვილისათვის გადაეხადა ადგილობრივი საზომით უპრეცედენტო რაოდენობის გირაოს თანხა — ათი მილიონი ლარი. მოქმედებების განვითარება ხელისუფლებისათვის იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ წავიდნენ უპრეცედენტო ნაბიჯზე — გირაოს დიდი ნაწილი მას თავად უნდა გადაეხადა, ცხადია, გაუხმაურებლად. იმ პირობებში კი, როცა ხალვაში „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანის" მხოლოდ 25%-ს ფლობდა, ამგვარი პიარკამპანია დამა-

ჯერებელი ვერ იქნებოდა. **საჭირო იყო მთელი საწესდებო კაპიტალის წილების ქიბარ ხალვაშზე გადაფორმება. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე ბაჩო ახალაია პირადად მონაწილეობდა მოცემული სქემის რეალიზაციაში. წინააღმდეგ შემთხვევაში კი, ქიბარ ხალვაშს მთელი ქონების წართმევით ემუქრებოდნენ. მუქარა მომდინარეობდა როგორც ბაჩო ახალაიას, ასევე, მის სამსახურებრივ დაქვემდებარებაში მყოფი პირების — რევაზ ჭარბაძისა და კახა ბუცხრიკიძის მხრიდან ახალაიას უშუალო მითითებით.** აღნიშნული გარემოება დასტურდება ,,არტი ჯგუფის" (ესეც ხალვაშის კუთვნილი კომპანიაა) სამსახურის უფროს ზაზა გოცირიძესთან და „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანის" დირექტორ მალხაზ ოსაძესთან სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მაღალჩინოსნების სატელეფონო საუბრებით. საბოლოოდ შეთანხმდნენ, რომ წილებს არა ქიბარ ხალვაშზე, არამედ მასთან დაახლოებულ ორ პირზე — ზაზა გოცირიძესა და მალხაზ ოსაძეზე გადააფორმებდნენ. ამ ფორმალობებს უშუალოდ აგვარებდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის თანაშემწე რეზო ჭარბაძე. საწესდებო კაპიტალის წილების კახა გოცირიძესა და მიხეილ ოსაძეზე გადაფორმების შემდეგ, 2007 წლის 24 ოქტომბერს, 5 საათზე, შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანის" საბანკო ანგარიშზე, რომელიც კომპანიას გახსნილი აქვს ბანკ „რესპუბლიკაში", სასჯელაღსრულების დეპარტამენტიდან და საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან ჩაირიცხა 6 440 000 (ექვსი მილიონ ოთხას ორმოცი ათასი) ლარი, ხოლო ორი დღის შემდეგ — 650 000 (ექვსას ორმოცდაათი ათასი) ლარი. აღნიშნული თანხა, სულ 7 100 000 (შვიდი მილიონ ასი ათასი) ლარი 2007 წლის 24 ოქტომბერს შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანის" დირექტორმა მალხაზ ოსაძემ გადარიცხა ირაკლი ოქრუაშვილის გირაოს ანგარიშზე. ბოლოს შედგა ხელისუფლების მიერ დაგეგმილი პიარაქცია. გენერალური პროკურორის მოადგილე ნიკა გვარამიამ მოიწვია პრესკონფერენცია, სადაც საზოგადოებას დაუსვა კითხვა: „საინტერესოა, 10 მილიონ ლარს სხვის მაგივრად ვინმე იხდის საქართველოში ან სხვაგან?! — და განმარტა, — ამ გირაოს ნაწილი, 6 მილიონ ხუთასი ათასი ლარი გადაიხადა „International Building Company"-მ, რომელიც ოქრუაშვილის მეგობრის — ქიბარ ხალვაშის მფლობელობაშია, ნაწილი კი ვინმე ნიჟარაძემ დაფარა, ისიც ბიზნესმენია".

ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა, რომ „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანის" წილები ქიბარ ხალვაშის საკუთრებაში მოქცეულიყო. პრესკონფერენციის მსვლელობისას კი ხალვაშს ნომინალურად კომპანიის საწესდებო კაპიტალის ერთი პროცენტიც აღარ ეკუთვნოდა.

# შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლების შეზღუდვა

როგორც ადრე, სასამართლო ამჯერადაც შეუწყნარებელი იყო შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლების მიმართ. შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებით სარგებლობისათვის მოქალაქეები საქართველოში კვლავ ექვემდებარებიან ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას. 2008 წლის პირველ ნახევარში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულმა კოლეგიამ განიხილა 10 პირის საქმე. ყველა მათგანი საპროტესტო აქციის ჩატარების დროს დააკავეს და ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მისცეს. რვა პირის ქმედება დაკვალიფიცირდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით (სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის კანონიერი მოთხოვნისადმი ბოროტი დაუმორჩილებლობა), ხოლო ორ პიროვნებას დამატებით წაუყენეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლი (წვრილმანი ხულიგნობა).

ყველა მათგანი ცნეს ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისათვის (ორი პირის — ლუკა წულაძისა და დაჩი ცაგურიას მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება შეწყდა სასკ-ის 166-ე მუხლით). წინა პერიოდებთან შედარებით, სასამართლო გაცილებით ლმობიერი იყო ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომის განსაზღვრისას. ათივე შემთხვევაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ სამართალდამრღვევს ჯარიმა დააკისრა ოთხასი ლარის ოდენობით. ადმინისტრაციული პატიმრობის გამოყენების რეციდივები, წინა პერიოდებისაგან განსხვავებით, ამჯერად არ მომხდარა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული კოლეგია ასკ-ის 173-ე მუხლთან დაკავშირებით მიღებულ ყველა დადგენილებაში მიუთითებს „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 16 მაისის №634 ბრძანების მე-16 მუხლის „დ“ ქვეპუნქტზე, რომელიც საპატრულო პოლიციის თანამშრომელს ანიჭებს უფლებამოსილებას, მოსთხოვოს მოქალაქეს მართლწესრიგის დაცვა, ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში კი მიიღოს კანონით გათვალისწინებული ზომები. რას ნიშნავს ტერმინი „მართლწესრიგი“? ამ კითხვას შინაგან საქმეთა მინისტრის №634 ბრძანება პასუხს არ სცემს. **პასუხს, თუ რით გამოიხატება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მართლწესრიგის დარღვევა, ვერც სასამართლოს დადგენილებაში ვპოულობთ. შეკრებისა და მანიფესტაციის დროს მართლწესრიგის დაცვის კონკრეტული კრიტერიუმი დადგენილია საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოხსენებულ გადაწყვეტილებაში და საერთო სა-**

**სამართლოები ვალდებული არიან, ყოველ კონკრეტულ საქმეში არსებული გარემოებები შეუსაბამონ აღნიშნულ კრიტერიუმს. სამწუხაროდ, საქართველოს კონსტიტუციის, „შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლების შესახებ“ კანონის სტანდარტები არ არის გაზიარებული საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში. ხშირად მოსამართლე „შეკრებისა და მანიფესტაციის“ შესახებ კანონის მე-7 მუხლის დარღვევას ადგენს იმ შემთხვევაში, როცა მანიფესტაციის გამართვის ტერიტორიაზე ტრანსპორტი საერთოდ არ მოძრაობს, ხოლო ფეხით მოსიარულეებს აქციის გამართვის ადგილზე რჩებათ დიდი სივრცე შეუფერხებლად გადაადგილებისათვის.**

2008 წლის 16 მაისს ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის შენობის წინ, ქვეითთათვის განკუთვნილ ტერიტორიაზე, ცხრა აპრილის მემორიალსა და პარლამენტის შენობის დასაწყისში მდებარე შადრევნებს შორის, რადიო „არ დაიდარდოს“ დიჯეიმ ბეგლარ ლოგუამ დადგა მცირე ზომის კარავი. **ბეგლარ ლოგუა აპროტესტებდა დედის, გულნარა ჯინჯოლავას სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემას სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურის მიერ. ბეგლარ ლოგუასთან ერთად იმყოფებოდა რამდენიმე პირი. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარე მამია ფხაკაძემ ბეგლარ ლოგუასათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ 2008 წლის 17 მაისის დადგენილებაში აღნიშნა: „ბეგლარ ლოგუას... საპატრულო პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან მიეცა გაფრთხილება, მითითებული ტერიტორიიდან აეღო თვითნებურად განთავსებული კარავი, რომელიც, გარდა იმისა, რომ იწვევდა მითითებული ტერიტორიის იერსახის შეცვლას, ასევე, იწვევდა მოქალაქეთა ყურადღებას და აშკარა საფრთხეს უქმნიდა ხალხისა და ტრანსპორტის მოძრაობის შეუფერხებლობას“.**

რუსთაველზე, პარლამენტის შენობის წინ, ტრანსპორტის მოძრაობისათვის საფრთხის შექმნის ორი შესაძლებლობაა: **პირველი — ავტომანქანა უნდა გადავიდეს ქვეითთა სავალ ნაწილზე, სადაც მის გადაადგილებას ხელი უნდა შეუშალოს კარავმა; მეორე — გზის სავალ ნაწილზე მოძრაობის დროს მძღოლს ყურადღება უნდა გაუფანტოს პარლამენტის წინ დადგმულმა კარავმა. მოსამართლე მამია ფხაკაძის აზრით, კარვის დანახვის შემდეგ მძღოლები მოძრაობის წესების დაცვაზე კი არა, გულნარა ჯინჯოლავას დაპატიმრების საშიშროებაზე დაიწყებენ ფიქრს. ამ დროს კი საგზაო შემთხვევების რისკი გაიზრდება. მძღოლები რომ კონცენტრირებულნი იყვნენ მოძრაობის უსაფრთხოების წესების დაცვაზე და მათი გონება ზედმეტი ფიქრებით არ გადაიტვირთოს, ყურადღება საპროტეტო აქციაზე არ გადაიტანონ, საქმის ვითარებაში გარკვევის მიზნით არ უნდა გააჩერონ მანქანები და არ შეაფერხონ ტრანსპორტის მოძრაობა. მოსამართლე მამია ფხაკაძეს გამართლებულად მიაჩნია, შეწყდეს აქცია და მის ორგანიზატორს ადმინისტრაციული სახდელი დაეკისროს.**

სასამართლოს აღნიშნული დადგენილება მეტყველებს მისი ავტორის

ფასეულობათა სისტემაზე. მამია ფხაკაძე მზადაა, უარი თქვას მშვიდობიანი მანიფესტაციის უფლებაზე, რათა თავიდან იქნეს აცილებული არარეალური, ჰიპოთეტური და მხოლოდ მოსამართლის ფანტაზიაში არსებული საფრთხე. მას არ აქვს გათავისებული დემოკრატიულ საზოგადოებაში გამოხატვის, შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლების მნიშვნელობა, **დაუსაბუთებელი და ყოველგვარ რაციონალურ საფუძველს მოკლებული სანქციებით ცდილობს, დააკნინოს შეკრების თავისუფლების მოქმედების ძალა. შეკრებისა და მანიფესტაციის, ასევე, გამოხატვის თავისუფლების არსი მდგომარეობს საზოგადოების მიმართ გზავნილში, რომელიც სწორედ ყურადღების მიპყრობისკენაა მიმართული. სამწუხაროა, როდესაც საზოგადოებრივი ყურადღების მიპყრობის მცდელობა მოსამართლე მამია ფხაკაძემ მართლწესრიგისათვის საფრთხის შემქმნელად მიიჩნია.** როგორც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა: **„მშვიდობიან შეკრებაში მონაწილეობის მიღება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ დაუშვებელია, ამის გამო ადამიანი დაექვემდებაროს რაიმე სახის პასუხისმგებლობას, მათ შორის, პასუხისმგებლობის ისეთ მსუბუქ ზომას, როგორიცაა დისციპლინური სახდელი, ვიდრე მისი კონკრეტული მონაწილე არ ჩაიდენს გასაკიცხ ქმედებას“.** ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომა კი, რაც ბეგლარ ლოგუას მიმართ იქნა გამოყენებული, დისციპლინურთან შედარებით გაცილებით მძიმეა, ვინაიდან ითვალისწინებს ჯარიმასა და ადმინისტრაციულ პატიმრობას.

„შეკრებისა და მანიფესტაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის თანახმად („შეხედულებების საჯაროდ გამოხატვა პლაკატებით, ლოზუნგებით, ტრანსპარანტებით ან სხვა სახვითი საშუალებებით“), შე-

საძლოა, „სახვითი საშუალებების“ გამოყენებით ჩატარებული მანიფესტაციის მიმდინარეობის დროს ტრანსპორტის მოძრაობა შეფერხდეს, მაგრამ ეს დემონსტრანტების ბრალით არ იყოს გამოწვეული. „შეკრებისა და მანიფესტაციის შესახებ“ საქართველოს კანონი ყურადღებას სწორედ იმ შემთხვევაზე ამახვილებს, როდესაც მანიფესტანტები აფერხებენ ტრანსპორტისა და ხალხის მოძრაობას. ამრიგად, კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა წარმოიშობა მანიფესტანტთა ბრალეული ქმედების შედეგად. პასუხისმგებლობა გამოირიცხება იმ შემთხვევაში, როდესაც ტრანსპორტისა და ხალხის მოძრაობის შეფერხება გამოწვეულია მანიფესტანტთაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო.

**2008 წლის 2 ივლისს ატენის ქუჩაზე, ბანკი „სოსიეტე ჟენერალის“ ოფისის წინ ჩატარდა არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდული ფრონტის“ საპროტესტო აქცია. მანიფესტანტები ტროტუარზე და ავტომანქანის სავალ ნაწილზე პულივიზატორების დასხმით აკეთებდნენ საპროტესტო წარწერებს — მუყაოს ქაღალდისგან დამზადებულ ე.წ. სტენსილებს. ამ პროცესისთვის 10 წამი საკმარისია. დროის ამ მცირე მონაკვეთში შეუძლებელია, გამზირზე ჭედვა გამოიწვიო. საპროტესტო აქციის მიმდინარეობისას, პიკის საათში, ატენის ქუჩაზე წარმოშობილ ჭედვაში ახალს ვერაფერს ხედავენ ატენის ქუჩის მცხოვრებნი. ამავე ქუჩაზე მანქანების პარკირებაზე ზედამხედველმა პირმა ირაკლი მაჩიტიძემ სახალხო დამცველს მისცა ახსნა-განმარტება, სადაც აღნიშნა, რომ საცობი ატენის ქუჩაზე, განსაკუთრებით, შუადღეს, ჩვეულებრივი მოვლენაა. ისედაც ვიწრო ქუჩა ყოველდღიურადაა გადატვირთული.**

2008 წლის 2 ივლისს მოსამართლე ლელა კალიჩენკომ არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდული ფრონტის“ ორი წევრის — დაჩი ცაგურიასა და ლუკა წულაძის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებულ დადგენილებაში აღნიშნა: „ქალაქ თბილისში ჭავჭავაძისა და ატენის ქუჩები 15 საათისათვის გადატვირთული მოძრაობით ხასიათდება. ატენის ქუჩის ორივე მხარეს ჩერდება ავტომანქანები და ავტომობილების სავალ ნაწილზე წარწერების შესრულება კიდევ უფრო შეაფერხებდა როგორც ფეხით მოსიარულეთა, ასევე, ავტომანქანების მოძრაობას. პატრულის თანამშრომლები ვალდებული იყვნენ, უზრუნველეყოთ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა“.

**დადგენილების ტექსტიდანაც ჩანს, რომ მოსამართლის დასკვნა ეფუძნება სავარაუდო მსჯელობებს. მოსამართლემ უტყუარად ვერ დაადგინა, რომ ატენის ქუჩაზე ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთა მოძრაობა სწორედ დაჩი ცაგურიამ და ლუკა წულაძემ შეაფერხეს. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 264-ე მუხლით სასამართლო ვალდებული იყო, დაედგინა, ბრალეული იყო თუ არა პირი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენაში. მოსამართლემ აღნიშნული გარემოება ვერ დაადგინა უტყუარი მტკიცებულებების გამოკვლევის საფუძველზე. ამიტომაც ვხვდებით დადგენილებაში სავარაუდო მსჯელობებს. ალტერნატიული არგუმენტის სახით სახალხო**

**დამცველი მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ დაჩი ცაგურიასა და ლუკა წულაძეს რომც შეეფერხებინათ ტრანსპორტის მოძრაობა, სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად.**

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ „ოია ატამანი თურქეთის წინააღმდეგ“ საქმეში განაცხადა: „გარკვეული სახის დემონსტრაციას შეუძლია გამოიწვიოს საზოგადოებრივი ცხოვრების ჩვეული რიტმიდან ამოვარდნა, მათ შორის, ტრანსპორტის მოძრაობის შეფერხება. მაშინ, როდესაც დემონსტრანტები არ ჩადიან ძალადობრივ აქტებს, მაგრამ, უბრალოდ, აფერხებენ ტრანსპორტის მოძრაობას, მნიშვნელოვანია, ხელისუფლებამ გამოავლინოს შემწყნარებლობა ამგვარი მშვიდობიანი შეკრების მიმართ, ვინაიდან აღნიშნული უფლება დაცულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლით და არ შეიძლება ამ უფლებას მთლიანად დაეკარგოს ღირებულება“. აქვე მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ 2008 წლის 2 ივლისს ქალაქ თბილისში, ატენის ქუჩაზე გამართული საპროტესტო აქცია გრძელდებოდა თხუთმეტ წუთს. აქედან ტრანსპორტის სავალ ნაწილზე წარწერების გასაკეთებლად იმყოფებოდნენ ათი წამის განმავლობაში. ატენის ქუჩაზე გამართული საპროტესტო აქციის ერთადერთ მიზანს მხოლოდ წარწერების გაკეთება წარმოადგენდა. შემჭიდროებულ ვადაში ჩატარებული შეკრება დაცვის გაცილებით მაღალი ხარისხით სარგებლობს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევს შეკრების ხანგრძლივობას. ოია ატამანის საქმეში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გაკვირვება გამოხატა მთავრობის მოუთმენლობასთან დაკავშირებით, რომელიც ცდილობდა იმ მსვლელობის სწრაფად დასრულებას, რომელიც სულ რაღაც ნახევარ საათს გაგრძელდა. იმავე დროს, არ არსებობდა მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა პირთა ჯგუფის მიერ საზოგადოებრივი წესრიგისათვის საფრთხის შექმნის ფაქტს, გარდა იმისა, რომ ტრანსპორტის მოძრაობა შეფერხდა.

ტრანსპორტისა და ხალხის სამოძრაო ადგილას ჩატარებულ საპროტესტო აქციასთან დაკავშირებით იდენტური პოზიცია დააფიქსირა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეებში „ბალჩიკი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ“ და „ნურეტინ ალდემირი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ“.

# სასჯელის (სანქცია) სიმკაცრის ხარისხი

**სამართლიანი სასამართლოს უფლების ძირითადი ასპექტი ისაა, რომ სისხლისსამართლებრივი პროცედურა უნდა წარიმართოს შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით. მტკიცებულებათა წარდგენისა და გამოკვლევის დროს ბრალდებისა და დაცვის მხარე სარგებლობს თანაბარი შესაძლებლობებით.**

ადმინისტრაციულ სამართალდაღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებთან დაკავშირებული საქმეების განხილვისას თანასწორობის პრინციპთან შეუთავსებელია ბრალდების მხარე, პატრულ-ინსპექტორის ახსნა-განმარტების კრიტიკული განხილვის გარეშე შეფასება და სასამართლოს გადაწყვეტილების მხოლოდ ამგვარ მტკიცებულებაზე დაფუძნება. როგორც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, პირველ რიგში, ეროვნული სასამართლოების საქმეა მტკიცებულებათა შეფასება. მიუხედავად ამისა, ევროპული სასამართლოს ამოცანაა, ყოველ საქმეში გაარკვიოს, გადაწყვეტილების მიღების პროცესის დროს დაცული იყო თუ არა მხარეთა თანაბარი შესაძლებლობის პრინციპი და იყო თუ არა ადეკვატურად დაცული ბრალდებულის ინტერესები. მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევად ჩაითვლება, თუ სასამართლო არ გამოიკვლევს დაცვის მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს, არ გამოიძახებს დაცვის მოწმეებს და საბოლოო გადაწყვეტილებას არ მიიღებს სხვადასხვა მტკიცებულების შეფასების საფუძველზე.

**სასამართლომ 166-ე და 173-ე მუხლებთან დაკავშირებით საქმეების განხილვისას საქმის გარემოებები უნდა დააფუძნოს სხვადასხვა უტყუარი მტკიცებულების ერთობლიობას. დაუშვებელია, გადაწყვეტილება ეფუძნებოდეს მხოლოდ და მხოლოდ ერთი მხარის ახსნა-განმარტებას, რადგან იმ დროს, როცა სავარაუდო სამართალდამრღვევს ემუქრება ადმინისტრაციული პატიმრობა 15 ან 30 დღემდე, სახეზეა სისხლისსამართლებრივი სამართალდარღვევა და ამ დროს სასამართლომ სათანადოდ უნდა უზრუნველყოს მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა, დაცვის უფლება და გადაწყვეტილების მიღებისას უნდა იხელმძღვანელოს უტყუარი მტკიცებულების ერთობლიობით.**

შაბლონური ტექსტი, რომლითაც თბილისის საქალაქო სასამართლო ხელმძღვანელობს, პირველად 2007 წლის 16 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული კოლეგიის თავმჯდომარემ, მაია კოპალეიშვილმა გამოიყენა თავის დადგენილებაში. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სხვა საქმეებისაგან განსხვავებით, ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როდესაც სახდელის დადების შესახებ დადგენილებაში მითითებული იყო სტრასბურგის სასამართლოს მიერ განხილული საქმის სახელწოდება. ამ დროს მიღებულ არც ერთ დადგენილებაში (მოსამართლეების — მამია ფხაკაძისა და ლელა კალიჩენკოს მიერ) არ არის მი-

თითებული საქმის სახელწოდება. თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლებასთან დაკავშირებით მიღებული დადგენილების წინასწარ მომზადებული სტანდარტული ტექსტი ასეთია: „ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენცია მიუთითებს გამოხატვისა და მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებაზე, თუმცა იქვე აწესებს პოლიციისა და სახელმწიფო ადმინისტრაციის წევრების მიერ ამ უფლებათა განხორციელებაზე კანონიერი შეზღუდვის დაწესების შესაძლებლობას, შეკრების მონაწილეებმა უნდა დაიცვან ამ პროცესის მარეგულირებელი ნორმები ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის დაცვით.

**ხელისუფლება სარგებლობს შეფასების ფართო კრიტერიუმებით და უფლებამოსილია, ლეგიტიმურად შეზღუდოს შეკრება, თუ შესაძლოა, იგი გადაიზარდოს საზოგადო არეულობაში. ასეთი ჩარევა აბსოლუტურად პროპორციულია, რადგან შეკრება იზღუდება არა ზოგადად, არამედ ერთ კონკრეტულ ფაქტთან მიმართებაში. სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები სარგებლობენ დაცვის უფრო მაღალი ხარისხით, ვიდრე პოლიტიკოსები; საზოგადოებრივი ნდობის განმტკიცების მიზნით აუცილებელია სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა სიტყვიერი შეურაცხყოფისაგან დაცვა მათ მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს“.**

მართალია, მითითებული არ არის, მაგრამ პირველ და მესამე აბზაცში მოყვანილი ტექსტი არის ამონარიდი ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებიდან „იანოვსკი პოლონეთის წინააღმდეგ“ საქმეზე. აღნიშნული გადაწყვეტილება ეხება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლს (გამოხატვის თავისუფლება) და არა მე-11 მუხლს (შეკრების თავისუფლება). განხილული საქმეების უმრავლესობა უკავშირდებოდა არა გამოხატვის, არამედ შეკრების თავისუფლებას. ეს უკანასკნელი დაცულია არა მე-10, არამედ მე-11 მუხლით. შეკრების თავისუფლება ზემოხსენებულ საქმეებთან მიმართებაში არის Lex Specialis იანოვსკის საქმე, რომელსაც ასე გაუცნობიერებლად ფართოდ იყენებს საქართველოს სასამართლო და არანაირ კავშირში არ არის შეკრების თავისუფლებასთან.

„თანასწორობის ინსტიტუტისა“ და მალხაზ ჯანგირაშვილის მიერ მოწყობილი საპროტესტო აქცია ატარებდა პოლიტიკური ხასიათს, „ახალგაზრდული ფრონტისა“ და ბეგლარ ლოგუას საპროტესტო აქცია იყო გამოძახილი საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე საკითხისა. ევროპულ სასამართლოს არაერთხელ განუცხადებია, რომ პოლიტიკურ და საზოგადოებრივი მნიშვნელობის სხვა საკითხებთან დაკავშირებით სახელმწიფოს შეფასების ზღვარი ვიწროა. მაია კოპალეიშვილის 2007 წლის 16 ოქტომბრის დადგენილება ირაკლი ჯაფარიძისა და სხვათა მიმართ ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების თაობაზე უფრო რელევანტური იყო. ირაკლი ჯაფარიძე, ირაკლი გაფრინდაშვილი, ირაკლი ჩუხუა და გიორგი მესტუმრიშვილი ცნეს სამართალდამრღვევებად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე (წვრილმანი ხულიგნობა) მუხლის შე-

საბამისად. სრულიად გაუგებარია, რატომ გამოიყენა თბილისის საქალაქო სასამართლომ ევროპული სასამართლოს ზემოხსენებული გადაწყვეტილება „თანასწორობის ინსტიტუტისა“ და მალხაზ ჯანგირაშვილის საქმეში, ბეგლარ ლოგუას, ასევე, დაჩი ცაგურიასა და ლუკა წულაძის საქმეში. „თანასწორობის ინსტიტუტის“ წევრები მალხაზ ჯანგირაშვილი და ბეგლარ ლოგუა არასოდეს ყოფილან მიცემული ადმინისტრაციულ პასუხისგებაში წვრილმანი ხულიგნობის მუხლით, მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლე მამია ფხაკაძემ დადგენილებაში მიუთითა, რომ ბეგლარ ლოგუამ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა პოლიციის თანამშრომელს. სამართლიანობის თვალსაზრისით, უნდა აღინიშნოს, რომ დაჩი ცაგურია და ლუკა წულაძე, მართალია, ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული იყვნენ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით, თუმცა მოსამართლე ლელა კალიჩენკომ საქმის წარმოება შეწყვიტა ასკ-ის 166-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ნაწილში.

**სიტყვიერი შეურაცხყოფა წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის შემადგენლობის ობიექტური მხარის ელემენტს. გაუგებარია, რატომ უთითებს საქართველოს სასამართლო ევროპული სასამართლოს იმ გადაწყვეტილებაზე, რომელიც იცავს პოლიციელს სიტყვიერი შეურაცხყოფისაგან, მაშინ, როცა პიროვნება არასოდეს ყოფილა მიცემული სიტყვიერი შეურაცხყოფის გამო ადმინისტრაციულ პასუხისგებაში (166-ე მუხლით), ან ამ ნაწილში საქმისწარმოება თავად საქმის განმხილველმა მოსამართლემ შეწყვიტა. სასამართლოებისათვის ნათელი უნდა იყოს ერთი გარემოება, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი არც სიტყვიერ შეურაცხყოფას მოიცავს.** პოლიციელისთვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების დადგენის შემთხვევაში ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით, თუნდაც, ეს უკანასკნელი ერთობლიობაში მოდიოდეს 173-ე მუხლთან. ეს ფაქტები მიუთითებს, რომ საქართველოს მოსამართლეებს ვერ გაუცნობიერებიათ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სულისკვეთება.

## შეკრებისა და მანიფესტაციის მონაწილეთა უსაფრთხოება და საარჩევნო კამპანია

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, დაიცვას დემონსტრანტები იმ პირების ფიზიკური თავდასხმისაგან, რომლებიც არ იზიარებენ დემონსტრაციის მიზნებს. ამ დროს პოლიცია უნდა ჩადგეს დაპირისპირებულ მხარეებს შორის და არ მისცეს დემონსტრანტებსა და კონტრდემონსტრანტებს ერთმანეთთან მიახლოების საშუალება.

საქართველოს საარჩევნო კოდექსი ადგენს სპეციალურ დებულებებს წინასაარჩევნო შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლების დაცვის კუთხით. საარჩევნო კამპანიის მიზანია ამომრჩეველთა მაქსიმალური

ინფორმირება დროის თვალსაზრისით მკვეთრად შეზღუდული პერიოდის განმავლობაში. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებული არიან, ხელი შეუწყონ საარჩევნო სუბიექტების ამომრჩევლებთან შეხვედრებისა და კრებების, საჯარო დებატებისა და დისკუსიების, შეკრებებისა და მანიფესტაციების ორგანიზებასა და ჩატარებაში, უზრუნველყონ ამ ღონისძიებათა უსაფრთხოება.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ნორმატიული აქტების თანახმად, მართლწესრიგის დაცვის ამოცანა ეკისრება საპატრულო პოლიციას. საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები ასე უნდა გავიგოთ: ორი დღით ადრე შეკრებისა და მანიფესტაციის პასუხისმგებელი პირი აფრთხილებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შეკრების ჩატარების თაობაზე. თავის მხრივ, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო შეკრების დროისა და ადგილის შესახებ ინფორმაციას აცნობს საპატრულო პოლიციას, რომელიც ვალდებულია, დემონსტრაციის ჩატარების დღეს დაიცვას მონაწილეთა ფიზიკური უსაფრთხოება.

2008 წლის 9 მაისს ნაძალადევის ოლქში „გაერთიანებული ოპოზიცია — ეროვნული საბჭო, ახალი მემარჯვენეების“ დეპუტატობის კანდიდატის, ეკა ბესელიას საარჩევნო შტაბის წევრებმა საპროტესტო აქცია მოაწყეს „ნაციონალური მოძრაობა — გამარჯვებული საქართველოსათვის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, მერაბ სამადაშვილის საარჩევნო შტაბთან. დემონსტრანტების განცხადებით, მერაბ სამადაშვილი ამომრჩევლებს ნარკოტიკულ ნივთიერებებს ურიგებდა. პროტესტის ნიშნად, ეკა ბესელიას მომხრეებმა საარჩევნო შტაბის შესასვლელთან ერთჯერადი შპრიცები დაყარეს. აღნიშნულმა ქმედებამ მერაბ სამადაშვილის საარჩევნო შტაბის წევრების გაღიზიანება გამოიწვია. ამის შემდეგ „ნაციონალური მოძრაობისა“ და „ეროვნული საბჭოს“ აქტივისტები ფიზიკურად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. პოლიცია საქმეში მოგვიანებით ჩაერთო. საბოლოოდ მოხერხდა დაპირისპირებული მხარეების დაშოშმინება, თუმცა ფიზიკური შეჯახება მაინც ვერ აიცილეს თავიდან.

## გადაადგილების თავისუფლება

2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნების შედეგებით უკმაყოფილო „გაერთიანებულმა ოპოზიციამ“ ოფიციალური შედეგების გამოცხადების შემდეგ ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის შენობის წინ, საპროტეტო აქციის ჩატარება განიზრახა. ოპოზიციურმა პოლიტიკურმა პარტიებმა ორი საპროტესტო აქცია გამართეს — 2008 წლის 26 მაისსა და 7 ივნისს. აღნიშნული საპროტესტო აქციები მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობდა, თუმცა დემონსტრაციაზე შეკრებილთა უმრავლესობა გარკვეულ სირთულეებს წააწყდა. მაგალითად, თბილისში დაგეგმილ საპროტესტო აქციაზე მომავალ პირებს ექმნებოდათ წინაღობები ტრანსპორტირებისას. ხელის შეშლა გამოიხატებოდა მძღოლთათვის მართვის მოწმობის ჩამორთმევაში; სატრანსპორტო საშუალებების დაზიანებაში, მათ შორის, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების გზით; სატრანსპორ-

ტო საშუალებიდან ჩამოსვლის იძულებაში. ამგვარი სირთულეები შეიქმნა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში. დაზარალებულთა განმარტებით, თავად სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლები აფერხებდნენ მათ გადაადგილებას. საპატრულო პოლიცია არ რეაგირებდა ძალადობის ფაქტებზე. ყველა ზემოხსენებულ შემთხვევასთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება. დედაქალაქისკენ დაძვრამდე აქციის მონაწილეებს ტელეფონით უკავშირდებიან და ემუქრებიან, თავი შეიკავონ თბილისში გამგზავრებაზე. მუქარის ზარები ხორციელდება სპეცნომრებიდან. ერთ-ერთი ასეთი ნომერია 860 47 00 00. ეს ნომერი ფიგურირებს წინაღობის შექმნისა და შანტაჟის სხვა შემთხვევებშიც.

გზად მიმავალი აქტივისტების დაკავებას მხოლოდ ერთ შემთხვევაში ჰქონდა ფორმალურად კანონიერი სახე: საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა გააჩერეს ავტომანქანა და საჭესთან მჯდომი პირი შეამოწმეს სიმთვრალეზე. ამის შემდეგ ავტომანქანა საჯარიმო სადგომზე გადაიყვანეს, მგზავრები კი დატოვეს ავტომაგისტრალზე, დაუსახლებელ ადგილას (იხ. ირაკლი კაკულიას საქმე). მეორე შემთხვევაში გადაადგილებისას ხელის შეშლა უფრო ძალადობრივ ფორმას ატარებს — თავდამსხმელები დაშინების გზით ცდილობდნენ, შეეფერხებინათ დედაქალაქისკენ გადაადგილება. თბილისისკენ მიმავალ სატრანსპორტო საშუალებას თავს დაესხნენ ნიღბიანები, დააზიანეს სატრანსპორტო საშუალების საქარე მინები (ნანა ფაჟავასა და პარტია „თავისუფლების“ აქტივისტების საქმე), ქალაქის ცენტრში ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის ლიდერის სახლის მახლობლად დაცალეს ავტომატის ჯერი (ირაკლი კაკულიას საქმე). თავდამსხმელთა ქმედებაში სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ნიშნები იკვეთება. აღნიშნული ნორმა ითვალისწინებს პასუხისმგებლობას სხვისი ქონების განადგურებისათვის. თავდამსხმელთა მიერ დარღვეულია შეკრების თავისუფლებაც, რაც სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელთა მხრიდან მოითხოვს ქმედების დამატებით კვალიფიკაციას 161-ე მუხლით. აღნიშნული ნორმა ითვალისწინებს პასუხისმგებლობას შეკრებისა და მანიფესტაციაში მონაწილეობისათვის ხელის შეშლისათვის, რაც ჩადენილია ძალადობით. აღნიშნული დანაშაულის შემადგენლობა ფორმალურია. დანაშაული დამთავრებულია ხელისშემშლელი ქმედების განხორციელების მომენტიდან. კვალიფიკაციისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს იმ გარემოებას, შეძლეს თუ არა შეკრებასა და მანიფესტაციაში მონაწილეობის მიღება დაზარალებულებმა დანაშაულებრივი ზემოქმედების შედეგად.

აქვე თვალში საცემია საპატრულო პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან გამოვლენილი სამსახურებრივი გულგრილობა — სისხლის სამართლის კოდექსის 242-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება. სამართალდამცველებმა დროულად არ მოახდინეს რეაგირება თავდასხმის ფაქტთან დაკავშირებით და „ცხელ კვალზე“ არ დააკავეს დაზარალებულთა მიერ მითითებული დანაშაულის ჩამდენი პირები. არადა, ფაქტი ხდება სამართალდამცველთა თანდასწრებით (იხ. ნანა ფაჟავასა და პარტია „თავისუფლების“ საქმე).

## წინასწარი გამოძიების მიმდინარეობა

როგორც ზემოთ აღინიშნა, 2007 წლის 7 ნოემბრის საპროტესტო მიტინგი თბილისში სასტიკად დაარბიეს. მოვლენებთან დაკავშირებით 2008 წლის 8 იანვარს შპს დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტიზის ცენტრმა „ვექტორმა“ სახალხო დამცველს გაუგზავნა სასამართლო-სამედიცინო დასკვნების ქსეროასლები. აღნიშნული დასკვნის თანახმად, სამ მომიტინგეს მიადგა სხეულის მძიმე დაზიანება. მაგალითად, ვახტანგ ინასარიძეს მარცხენა წვივის წინა ზედაპირის ქვემო მესამედში აღენიშნება კანის დაჟეჟილი ჭრილობა, კანქვეშა რბილი ქსოვილების დაზიანებითა და ჭრილობის შესაბამისად ორივე წვივის ძვლის მსხვრევადი მოტეხილობა. ვახტანგ ინასარიძის სხეულის დაზიანება მიეკუთვნება სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე ხარისხს. ნიკა დიდიშვილთან დაკავშირებით აღნიშნულია: „ჭრილობებში უცხო სხეულების არსებობის გათვალისწინებით, დაზიანება განვითარებული უნდა იყოს საკმაო კინეტიკური ენერგიის მქონე რაიმე ფეთქებადი საგნის მოქმედებით“. გიორგი თევდორაშვილის დასკვნაში წერია: „დაზიანება განვითარებული უნდა იყოს ცეცხლსასროლი კომპონენტისა და საკმაო კინეტიკური ენერგიის მქონე ფეთქებადი საგნის მოქმედებით“. 2008 წლის 7 აპრილს სახალხო დამცველმა მიმართა საქართველოს გენერალური პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროს თინათინ გოლეთიანს და მოითხოვა ინფორმაცია შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

**1. რა მუხლით მიმდინარეობს გიორგი თევდორაშვილის, ნიკა დიდიშვილისა და ვახტანგ ინასარიძის ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტზე წინასწარი გამოძიება;**

**2. რა საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდა აღნიშნულ საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დასადგენად;**

**3. ცნეს თუ არა დაზარალებულად გიორგი თევდორაშვილი, ნიკა დიდიშვილი და ვახტანგ ინასარიძე;**

**4. გამოიკვეთა თუ არა კონკრეტული პირების ბრალეულობა ზემოხსენებულ საქმეზე.**

წერილს ერთვოდა ალტერნატიული ექსპერტიზის დასკვნის ასლიც.

2008 წლის 16 მაისს სახალხო დამცველს გენერალური პროკურატურიდან ტრაფარეტული წერილობითი პასუხი ეცნობა: „2007 წლის 10 ნოემბერს დაიწყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის №06078035 საქმეზე, 2007 წლის 7 ნოემბერს ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირსა და რიყის ტერიტორიაზე განვითარებული მოვლენების შედეგად ცალკეულ მოქალაქეთა მიერ მიღებული სხეულის დაზიანების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.“

საქმეზე დაიკითხნენ მოწმეები, მათ შორის, გიორგი თევდორაშვილი (როგორც მოწმე), ნიკოლოზ დიდიშვილი და ვახტანგ ინასარიძე. ჩატარდა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზები. ამ ეტაპზე დაზარალებულად არავინ არის ცნობილი. ამჟამად საქმეზე გრძელდება გამოძიება.

წინასწარი გამოძიება ეთანხმება იმას, რომ 2007 წლის 7 ნოემბერს ცალ-

კეული პირის მიმართ ჩადენილ იქნა დანაშაული. ამ ცალკეულ პირთაგან სამმა წარადგინა მტკიცებულება, რომ აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედების შედეგად განიცადა, სულ მცირე, ფიზიკური ზიანი. გამომძიებელი ან პროკურორი იმავე 68-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ვალდებული იყო, მიეღო დადგენილება მათი დაზარალებულად ცნობის თაობაზე, რაც მოცემულ შემთხვევაში არ მოხდა.

სიტუაციის სწორად გაგებისათვის უნდა განიმარტოს, რომ დაზარალებულს აქვს მთელი რიგი უფლებებისა, მთ შორის, შეუძლია განაცხადოს შუამდგომლობის აღძვრაზე, გაეცნოს საქმის მასალებს, გაასაჩივროს და სხვ. მოწმე კი მოკლებულია ამ შესაძლებლობებს. როგორც ჩანს, გამოძიებას არაფერში სჭირდება „არაფრისმაქნისი", „დაუყოლიებელი" დაზარალებულები, რომელთაც, საჭირო არ არის, იცოდნენ საქმის არსის შესახებ. შეიძლება თამამად ვივარაუდოთ, რომ არსებითად დამნაშავეთა „დასადგენად" არაფერი კეთდება.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ალტერნატიული ექსპერტიზის დასკვნები მიჩნეულია ჩვეულებრივ მტკიცებულებად და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 364-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ასეთი დასკვნა აუცილებლობის რეჟიმში თან ერთვის სისხლის სამართლის საქმეს და ფასდება სხვა მტკიცებულებებთან ერთად.

**როგორც ჩანს, გამოძიების მიერ სრულიად უგულებელყოფილია აღნიშნული ალტერნატიული ექსპერტიზის დასკვნის შედეგები და, რაც მთავარია, უხეშად ირღვევა სისხლის საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნები. აქვე თვალშისაცემია ის გარემოებაც, რომ გიორგი თევდორაშვილის, ნიკოლოზ დიდიშვილისა და ვახტანგ ინასარიძის მიმართ ჩადენილი ქმედება დაკვალიფიცირებულია სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლით. აღნიშნული მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანებისათვის. სამივე ზემოხსენებული პიროვნების ალტერნატიული ექსპერტიზის დასკვნაში წერია, რომ სხეულის დაზიანება მიეკუთვნება სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე ხარისხს. ეს ქმედება წარმოადგენს არა ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე, არამედ მძიმე დაზიანებას. ამ ქმედებისათვის პასუხისმგებლობა დადგენილია არა სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლით, არამედ უფრო მკაცრი სანქციის მქონე 117-ე მუხლით. 118-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომლითაც წინასწარი გამოძიება მიმდინარეობს, სანქციის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სამიდან ხუთ წლამდე. იმავე ზომის სანქციას ითვალისწინებს 117-ე მუხლის პირველი ნაწილი. თუ მხედველობაში მივიღებთ ფაქტს, რომ რიყეზე სხეულის მძიმე დაზიანება მიიღო არა ერთმა, არამედ სამმა პირმა, მაშინ ქმედების კვალიფიკაცია უნდა მომხდარიყო 117-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით. ეს უკანასკნელი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისათვის, რაც ჩადენილია ორი ან მეტი პირის მიმართ. 117-ე მუხლის მე-7 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით უფრო მკაცრი სანქციაა დაწესებული — თავისუფლების აღკვეთა ცხრიდან თორმეტ წლამდე ვადით.**

## გაერთიანების თავისუფლება

საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის პირველი პუნქტი ყველასათვის უზრუნველყოფს საზოგადოებრივი გაერთიანებების შექმნისა და მათში გაწევრების უფლებას. იმავე მუხლის მე-2 პუნქტი კი შეეხება მოქალაქეთა მიერ პოლიტიკური გაერთიანების შექმნისა და მის საქმიანობაში მონაწილეობის მიღების უფლებას. აღნიშნული უფლების განხორციელების მიმართ ამავე მუხლის მე-3 პუნქტით დაწესებულია შემდეგი შეზღუდვები: „დაუშვებელია ისეთი საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაერთიანების შექმნა და საქმიანობა, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს“.

საქართველოს კონსტიტუციის გარდა, გაერთიანების თავისუფლება უზრუნველყოფილი და დაცულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლით.

პოლიტიკური გაერთიანების საქმიანობის თავისუფლებასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა: „დემოკრატიის დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს ქვეყნის წინაშე არსებული პრობლემების დიალოგის გზით გადაწყვეტის შეთავაზების შესაძლებლობა. რამდენადაც მოსაბეზრებელი უნდა იყოს დიალოგის პროცესი, ამ დროს გამორიცხულია ძალადობა. არ შეიძლება, არსებობდეს პოლიტიკური ჯგუფის საქმიანობისათვის ხელის შეშლის რაიმე გამართლება, როდესაც ეს უკანასკნელი ითხოვს ქვეყნის მოსახლეობის ნაწილის მდგომარეობის თაობაზე საჯარო დებატებს და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღებას, იმ მიზნით, რომ დემოკრატიული წესების დაცვით მიაღწიოს პრობლემის ყველასათვის მისაღები გზით გადაჭრას“... გაერთიანება, პოლიტიკური პარტიის ჩათვლით, არ არის გამორიცხული კონვენციით გარანტირებული დაცვის სფეროდან მხოლოდ იმის გამო, თუ ეროვნულ ხელისუფლებას მიაჩნია, რომ ასეთი გაერთიანების საქმიანობა ზიანს აყენებს სახელმწიფოს კონსტიტუციურ სტრუქტურას და ამის გამო ხელისუფლება ასეთ გაერთიანებას შეზღუდვებს უწესებს“.

**ჩვენს ქვეყანაში გაერთიანების თავისუფლებას სერიოზული დარტყმა მიაყენა „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილმა ცვლილებამ. 2008 წლის 15 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დეპუტატების — პავლე კუბლაშვილის, კახაბერ ანჯაფარიძის, მურთაზ ზოდელავასა და ჩიორა თაქთაქიშვილის საკანონმდებლო ინიციატივა და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „5. პარტიას, რომელსაც უკანასკნელი საპარლამენტო არჩევნების შედეგის მიხედვით ამ კანონის 30-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხა ეკუთვნის, დაფინანსებას ვერ მიიღებს**

**ან დაფინანსება შეუწყდება, თუ: ა) პარტიის პროპორციული სისტემით არჩეულ ყველა წევრს შეუწყდა პარლამენტის წევრის უფლებამოსილება“.** ეჭვგარეშეა, რომ აღნიშნული ცვლილების მიღება განაპირობა 2008 წლის ივნისში საარჩევნო ბლოკის — „გაერთიანებული ოპოზიცია — ეროვნული საბჭო, მემარჯვენეების“ პროპორციული სიით არჩეული ათი დეპუტატის მიერ პროტესტის ნიშნად პარლამენტის წევრის უფლებამოსილებაზე უარი თქმამ. ამ ბლოკის პროპორციული სიით არჩეულმა პარლამენტარებმა (ლევან გაჩეჩილაძე, კონსტანტინე გამსახურდია, გუბაზ სანიკიძე, გიორგი ხაინდრავა, ეკა ბესელია, კობა დავითაშვილი, ზვიად ძიძიგური, მამუკა კაციტაძე, ფიქრია ჩიხრაძე და ირაკლი იაშვილი) და ამავე ბლოკის მაჟორიტარმა დეპუტატებმა (დავით გამყრელიძე და დავით საგანელიძე) მიიჩნიეს, რომ 2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნები გაყალბდა. ასეთი წესით არჩეული პარლამენტი, ყოფილი დეპუტატების აზრით, არალეგიტიმური იყო, რის გამოც მოითხოვეს მათთვის პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა. სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილების მიღებით იმ პარტიების მიმართ გატარებული სანქცია, რომელთა პროპორციული სიით არჩეულმა პირებმა უარი თქვეს პარლამენტის წევრის მანდატზე, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტით და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლით აღიარებული პოლიტიკური პარტიის საქმიანობის თავისუფლების პრინციპს.

# სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა

**ქართულ ელექტრონულ მედიაში 2007 წლის ნოემბერში დაწყებული კრიზისი უცვლელი დარჩა 2008 წლის პირველ ნახევარში. მწვავედ იჩინა თავი 2007 წლის 7 ნოემბერს „ტელეიმედის“ დარბევისა და 2007 წლის 26 დეკემბერს ამავე სატელევიზიო სადგურის ჟურნალისტების გადაწყვეტილების — მაუწყებლობის შეჩერების შესახებ — შედეგებმა. ქართული მედია ნაკლებად პლურალისტური გახდა.**

პოლიტიკური კონსენსუსის საფუძველზე ფორმირებულმა საზოგადოებრივი ტელევიზიის სამეურვეო საბჭომ საარჩევნო კამპანიის პერიოდში, გარკვეულწილად, დადებითი როლი შეასრულა მაყურებლისათვის მრავალფეროვანი ინფორმაციის მიწოდების საქმეში. ცალკეული ხარვეზების მიუხედავად, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის საპარლამენტო არჩევნებზე დამკვირვებელი სპეციალური კომიტეტის (თავმჯდომარე მათიას იორში) მოხსენებაში აღნიშნულია, რომ არჩევნების პერიოდში, სხვა ელექტრონულ მედიასაშუალებებთან შედარებით, „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ იყო ერთ-ერთი სრულყოფილი საშუალება, რომლის მეშვეობითაც საქართველოს მოქალაქეებს შესაძლებლობა ჰქონდათ, გაეკეთებინათ ინფორმირებული არჩევანი 2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნების საარჩევნო სუბიექტებს შორის. მიუხედავად ამისა, არჩევნების დასრულების შემდეგ „საზოგადოებრივ მაუწყებელზე“ პოლიტიკური დებატები შეწყდა, საინფორმაციო გამოშვებებში კვლავ გაჩნდა დაუბალანსებელი ინფორმაცია. რუსეთ-საქართველოს საომარი დაპირისპირების დროს „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ „რუსთავი 2“-ის მსგავსად წარმოადგენდა პროპაგანდის საშუალებას. საომარი ოპერაციების დასრულების შემდეგ „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში ცვლილების ძალით საქართველოს პარლამენტმა დაავალდებულა „საზოგადოებრივი მაუწყებელი“, არასაარჩევნო პერიოდში სამაუწყებლო ბადეში განეთავსებინა პოლიტიკური დებატები. გატარებული ღონისძიებების მიუხედავად, კვლავ საჭიროა დიდი ძალისხმევა ობიექტური, მიუკერძოებელი და მრავალფეროვნების ამსახველი „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ფორმირებისათვის. ამ პერიოდში გვხვდებოდა პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს ჟურნალისტების ფიზიკური ხელყოფის შემთხვევებიც. ეს კი, ძირითადად, ხდებოდა ემოციურად დატვირთული ისეთი მოვლენების გაშუქებისას, როგორიცაა საარჩევნო პროცესი ან საპროტესტო აქცია. აღნიშნული მოვლენების შეფასებისას ავტორიტეტულმა საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციამ — **„რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ — განაცხადა: „არჩევნების დროს ქართველი საზოგადოების პოლარიზებამ არ უნდა მიაყენოს ზიანი ჟურნალისტებს. ნათელი უნდა იყოს ის, რომ ჟურნალისტები არ მოქმედებენ არც ხელისუფლების, არც ოპოზიციის სასარგებლოდ. ჟურნალისტები არიან დამკვირვებლები, რაც ემსახურება საზოგადოებრივ ინტერესებს“.**

საქართველოში გამოხატვის თავისუფლების სფეროში არსებული

უკუსვლა შეუმჩნეველი არ დარჩენია არცერთ ავტორიტეტულ საერთაშორისო ორგანიზაციასა და სახელმწიფოს. 2008 წლის 2 ივლისს ავტორიტეტულმა საერთაშორისო ორგანიზაცია Freedom House-მა გამოაქვეყნა გლობალური ანგარიში „თავისუფლება მსოფლიოში.“ აღნიშნულ ანგარიშში გამოყენებულია შეფასების შვიდბალიანი სისტემა. ერთი ქულა ნიშნავს სრულიად თავისუფალს, ხოლო შვიდი — სრულიად არათავისუფალს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო კვლავ რჩება „ნაწილობრივ თავისუფალ“ ქვეყნად, საქართველოს მდგომარეობა, მედიის თავისუფლების კუთხით, წინა წელთან შედარებით, გაუარესებულია. თუკი 2007 წელს მედიის თავისუფლების ხარისხი შეფასებული იყო 4.00 ქულით, 2008 წელს ამ მაჩვენებელმა 4,25 ქულა შეადგინა. საქართველოს შესახებ Freedom House-ის ანგარიშის ავტორის — გია ნოდიას აზრით, „მთავარი ოპოზიციური ტელე და რადიოკომპანია „იმედის“ დროებითმა გათიშვამ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა სახელმწიფოს ვალდებულებები თავისუფალი მედიის მიმართ და ნათლად გამოავლინა მედიაპლურალიზმის მყიფიერება“. ამერიკული ორგანიზაცია „ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტის“ განმარტებით, „სააკაშვილი ხელისუფლებაში დემოკრატიული რეფორმების გატარების დაპირებით მოვიდა. პრესასთან ხანმოკლე თაფლობის თვის შემდეგ ხელისუფლების წარმომადგენლებმა გამოამჟღავნეს კრიტიკის მიმართ შეუწყნარებელი დამოკიდებულება. სააკაშვილის მთავრობამ დაწვრილებით გააანალიზა შექმნილი მდგომარეობა და გადაწყვიტა, ზეგავლენა მოეხდინა სატელევიზიო რეპორტაჟებზე, ქვეყანაში ყველაზე პოპულარულ და გავლენიან ინფორმაციის წყაროზე. ამ კუთხით საქართველოს მთავრობამ საბოლოო წარმატებასაც მიაღწია“. ამის შემდეგ გავლენიან ორგანიზაციას მოჰყავს ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ისა და „202“-ის ირგვლივ განვითარებული მოვლენები.

**ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის 2007 წლის ანგარიშში, რომელიც 2008 წლის 11 მარტს გამოქვეყნდა, ნათქვამია: „მიუხედავად იმისა, რომ გასულ წელს ზოგიერთ სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობა გაუმჯობესდა, ...ვითარება სიტყვის თავისუფლების, პრესის, შეკრებისა და პოლიტიკური მონაწილეობის კუთხით გაუარესებულია. ...კონსტიტუცია და კანონმდებლობა უზრუნველყოფს სიტყვისა და პრესის თავისუფლებას. არასამთავრობო ორგანიზაციების, დამოუკიდებელი ექსპერტებისა და ჟურნალისტების მხრიდან ისმის ბრალდებები იმის თაობაზე, რომ ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლები, ახალი ამბების სამსახურის ხელმძღვანელებთან და არხის აღმასრულებლებთან კავშირის შედეგად, ერევიან სარედაქციო და პროგრამული გადაწყვეტილების მიღების პროცესში. გვხვდება შემთხვევები, როდესაც ადგილობრივი ხელისუფლებისა და ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები უშუალოდ ან სხვების წაქეზებით ფიზიკურად უსწორდებიან ჟურნალისტებს. ზოგიერთი აცხადებს, რომ რეპრესიის საშიშროების გამო თავს არიდებს ხელისუფლების კრიტიკას საჯაროდ ან სატელეფონო საუბრების მეშვეობითაც კი“.**

**2003 წლის ნოემბრის შემდეგ (როცა ხელისუფლების სათავეში საა-კაშვილი მოვიდა) ინფორმაციის თავისუფლებასა და მოსახლეობის ინ-ფორმირების არჩევანთან ამჟამინდელი ხელისუფლების დამოკიდებუ-ლების, მედიის სფეროში მთავრობის მიერ გატარებული ზომების თვალსაჩინო მაგალითად წარმოგვიდგება, როგორც წესი, მუქარითა და შანტაჟით ტელეეთერიდან მთლიანად გაძევებული 75-80% რეიტინგის მქონე პოლიტიკური თოქ-შოუ.**

## კაბელური მაუწყებლობის ლიცენზირება

კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ შეშფოთება გამოხატა სპეცია-ლიზებული ლიცენზიის მქონე მაუწყებლის ეთერში საზოგადოებრივ-პო-ლიტიკური თემატიკის პროგრამების ჩვენებასთან დაკავშირებით. კომისი-ამ „სტუდია მაესტროს“ სანქცირების მიზნით 2008 წლის 18-20 მარტს მიი-ღო №143 გადაწყვეტილება. გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ მაუწყე-ბელს შეცვლილი აქვს 2007 წლის 23 თებერვლის №104/1 გადაწყვეტილე-ბის პირველი პუნქტით განსაზღვრული ლიცენზიის სახეობა. კერძოდ, ნაც-ვლად სპეციალიზებული შემეცნებითი, მუსიკალური და გასართობი ტელე-მაუწყებლობისა, ახორციელებს საერთო მაუწყებლობას. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფორმატის თოქ-შოუს, „პროფესია ჟურნალისტის“, „პოლი-ტიკური მოვლენების“ ამსახველი პროგრამის, „უკომენტაროდ“ და ინტე-რაქტიური გადაცემა „გამოკითხვის“ სამაუწყებლო ბადეში განთავსებისათ-ვის „სტუდია მაესტროს“ დაეკისრა გაფრთხილება. ზემოაღნიშნული სატე-ლევიზიო პროგრამები არხის ხელმძღვანელობამ სანქცირების თაობაზე ად-მინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ შეტყობინების მიღებისთა-ნავე მოხსნა ეთერიდან. ამის პარალელურად, „სტუდია მაესტრომ“ განცხა-დებით მიმართა კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას და მოითხოვა საკა-ბელო ქსელის გამოყენებით კერძო საერთო მაუწყებლობის ლიცენზია. კო-მუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ იხელმძღვანელა „მაუწყებლობის შე-სახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტით და დაასკვნა, რომ ახალ სალიცენზიო განცხადებას, თუ იგი წარადგინა ლიცენზიის მფლობელმა ამ კანონით გათვალისწინებული დარღვევისათვის მის მიმართ კომისიის მიერ სანქციის გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილების მიღე-ბიდან 1 წლის განმავლობაში, განაცხადი არ განიხილება. შესაბამისად, კო-მუნიკაციების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ უარი განაცხადა „მაესტროს“ განცხადების განხილვაზე საკაბელო ქსელის გამოყენებით ახალი ლიცენზიის მინიჭების თაობაზე. კონკრეტულ შემთხვევაში, პრობ-ლემა მდგომარეობს როგორც კომუნიკაციების ეროვნული კომისიის არას-წორ ადმინისტრაციულ პრაქტიკაში, ისე საქართველოს კანონმდებლობა-ში. საქართველოს კანონმდებლობა საკაბელო და თანამგზავრულ მაუწყებ-ლობას უქვემდებარებს ლიცენზირებას. „მაუწყებლობის შესახებ“ კანო-ნის 38-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად: „ტელერადიოსამაუწყებლო თა-ნამგზავრული სისტემების მიწისზედა სადგურების ან საკაბელო ქსელის გამოყენებით მაუწყებლობის ლიცენზიის გაცემა და მოდიფიცირება ხორ-ციელდება მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით“.

რამდენად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობის აღნიშნული მიდგომა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა მივმართოთ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.

**ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განცხადებით, „ევროპის საბჭოს ზოგიერთ წევრ ქვეყანაში სატელეკომუნიკაციო სატელიტიდან არაკოდირებული პროგრამების ტრანსლირება არ მოითხოვს იმ სახელმწიფოს თანხმობას, სადაც გადამცემი სატელიტური სადგურია განთავსებული და საიდანაც აღნიშნული სიგნალი მოდიოდა“. ნებისმიერი აკრძალვა ამ კუთხით არღვევს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლს. ერთ-ერთ საქმეში სტრასბურგის სასამართლომ გამორიცხა სახელმწიფოს ნებართვითი რეგულირება სატელიტური სადგურის მეშვეობით მაუწყებლობის დროს და აღნიშნა, რომ სახელმწიფოებს უფლება ეძლევათ, ლიცენზირების სისტემის მეშვეობით დაადგინონ მათ ტერიტორიაზე მაუწყებლობის წესი. აღნიშნული რეგულირების უფლებამოსილება განსაკუთრებით შეეხება მაუწყებლობის ტექნიკურ ასპექტს. ეს უკანასკნელი უდავოდ მნიშვნელოვანია, მაგრამ სამაუწყებლო ლიცენზიის გაცემა ან უარის თქმა შესაძლოა, დამოკიდებული გახდეს განსაზღვრულ პირობებსა და მოსაზრებებზე, როგორიცაა, მაგალითად, აღნიშნული სამაუწყებლო სადგურის ხასიათი და მიზნები; ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე პოტენციური აუდიტორიის შემადგენლობა; სპეციფიკური აუდიტორიის მიზნები და უფლებები. საკაბელო მაუწყებლობაზე დაწესებულ შეზღუდვასთან დაკავშირებით, ევროსასამართლომ, ასევე, განაცხადა: „ტექნიკური პროგრესის შედეგად დღეისათვის მაუწყებლისათვის ხელმისაწვდომი გახდა შეუზღუდავი რაოდენობის არხი და სიხშირე, რაც აღარ ამართლებს კაბელური მაუწყებლობის მიმართ დაწესებულ შეზღუდვებს“. სრულიად ნორმალური მოვლენაა სახელმწიფოს მხრიდან სიხშირის გამოყენებით მაუწყებლობის (საეთერო მაუწყებლობა) ლიცენზირება. სიხშირეები ბუნებაში შეზღუდული სახითაა წარმოდგენილი. ერთი და იმავე სიხშირის გამოყენებით ორი ან მეტი ტელერადიოსადგურის ურთიერთთავსებადობა და, შესაბამისად, ხარისხიანი მაუწყებლობა შეუძლებელია. სიხშირული სპექტრი განსაკუთრებულ საზოგადოებრივ სიკეთეს წარმოადგენს. შესაბამისად, მის განაწილებაში სახელმწიფოს, საზოგადოებრივი ინტერესებისა და მოთხოვნილებების გათვალისწინებით, აქტიური რეგულირების ფუნქცია ეკისრება. სახელმწიფოს მხრიდან სიხშირეთა განაწილება უნდა ხდებოდეს ისე, რომ შეძლებისდაგვარად თანაბრად ასახავდეს საზოგადოებაში არსებულ განსხვავებულ მოთხოვნილებებს. ამასთან, სიხშირის მფლობელს შესაძლოა, დაეკისროს მწვავე სოციალური აუცილებლობიდან გამომდინარე დამატებითი ვალდებულებები. სხვაგვარადაა საქმე კაბელურ და თანამგზავრულ მაუწყებლებთან მიმართებაში. ეს რესურსი ბუნებაში არ არის შეზღუდული.** აღნიშნულ ბაზარზე ნებისმიერი სუბიექტის

სახელმწიფოსაგან თავისუფლად შესვლის შესაძლებლობა არ შეიძლება, ზიანს აყენებდეს სხვა სოციალური ჯგუფებისა თუ ფენების ინტერესებს. რესურსების შეუზღუდაობის გამო შეუძლებელია, საზოგადოების რომელიმე ჯგუფის ინტერესები შეილახოს, ვინაიდან მათაც აქვთ იმავეს გაკეთების შესაძლებლობა. აღნიშნული სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ამგვარი მაუწყებლები თავისუფლდებიან სახელმწიფო კონტროლის სფეროდან. სახელმწიფოს კვლავ რჩება აღნიშნული მაუწყებლის საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის კონტროლის ფუნქცია. სახელმწიფოს ეს უფლებამოსილება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც მაუწყებელი არღვევს საზოგადოების დაუცველი წევრების უფლებებს.

იმ მომენტისათვის კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას „რუსთავი 2“-ისა და „მზის“ მესაკუთრეებზე მეტად აინტერესებდა ის სქემა, რითაც ბადრი პატარკაციშვილი დაკავშირებული იყო „ტელეიმედთან“. ეს ჩანს იქიდანაც, რომ სამივე ტელეკომპანიის მიერ კომუნიკაციების ეროვნული კომისიისათვის ინფორმაციის მიწოდების შემდეგ დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ტელეიმედის“ კუთვნილი ლიცენზიის მოქმედების შეჩერების თაობაზე, იმ საფუძვლით, რომ პოლიტიკური პარტიის ლიდერი ბადრი პატარკაციშვილი თავისი საქველმოქმედო ფონდის მეშვეობით ფლობდა „ტელეიმედის“ 15%-ს. ცხადია, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ ტელეკომპანიებისთვის სანქციების დაკისრების პროცედურის დაწყება და სრულყოფილი ინფორმაციის წარდგენის შემდეგ მისი შეწყვეტა სწორედ „ტელეიმედის“ დასასჯელად და არა მაუწყებლების საკუთრების თაობაზე ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად იყო მიმართული. საქმე ისაა, რომ, როგორც კო-

მუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის პრაქტიკა ადასტურებს, აღნიშნული მარეგულირებელი ორგანო საკამათო ხასიათის დარღვევისათვის სანქციებს აკისრებს ხელისუფლების მიერ არაკონტროლირებად ტელეკომპანიებს — „იმედსა“ და „მაესტროს,“ მაგრამ ორი წლის განმავლობაში არ რეაგირებს სახელისუფლებო არხების — „რუსთავი 2“-ისა და „მზის“ მიერ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 61-ე მუხლის აშკარა დარღვევაზე.

მართალია, სანქციების დაკისრების პროცედურის მიმდინარეობის დროს „რუსთავი 2“-მა და „მზემ“ წარადგინეს მოთხოვნილი ინფორმაცია, თუმცა კონკრეტული პასუხი კითხვაზე — ვის ეკუთვნის აღნიშნული ტელეკომპანიები, კვლავ უცნობია. როგორც მედიასაშუალებების ძველი მესაკუთრეები მიუთითებენ, ხელისუფლების წარმომადგენლების ჩარევით ცვლილებები საწარმოთა წილობრივ მონაწილეობაში თავს იჩენს 2004 წლიდან. ძველი მესაკუთრეები აღნიშნავენ, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები სხვადასხვა მეთოდით, მათ შორის, დაშინების გზით ცდილობდნენ ლიცენზიის მქონე სატელევიზიო სადგურების მფლობელთა ჩანაცვლებას მათი ინტერესების გამომხატველი პირებით. ამ მხრივ პირველი სამიზნე გახდა ტელეკომპანია „ობიექტივი 2“. აღნიშნული ტელეკომპანიის საწესდებო კაპიტალის 49%-ის მფლობელის — ქეთევან ასათიანის წარმომადგენლის, მიხეილ აგლაძის განმარტებით, 2004 წელს მისმა მარწმუნებელმა კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მაშინდელი თავმჯდომარის — დიმიტრი ქიტოშვილის მოთხოვნით ტელეკომპანია „ობიექტივი 2“-ის საწესდებო კაპიტალის წილის ჯერ 50%, ხოლო შემდეგ კიდევ ერთი პროცენტი დაუთმო დავით კაკაურიძეს (იხილეთ ტელეკომპანია „ობიექტივი 2“-ის საქმე).

სახალხო დამცველისათვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში ქიბარ ხალვაშმა (იხ. ზემოთ) აღნიშნა, რომ იგი თვით პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა აიძულა შპს „რუსთავი 2“-ის საწესდებო კაპიტალის წილის 78%-ის მისთვის უცნობი პირისათვის გადაცემა. მისი განმარტებით, პრეზიდენტის თხოვნითვე შეიძინა მან აღნიშნული ტელეკომპანია, ისევე, როგორც ტელეკომპანია „მზისა“ და „პირველი სტერეოს“ საწესდებო კაპიტალის წილები („რუსთავი 2“ ეკუთვნოდა „ვარდების რევოლუციის“ თანაშემოქმედს, ეროსი კიწმარიშვილს, რომელსაც მოგვიანებით სააკაშვილი აღარ სწყალობდა და იგი იძულებული შეიქნა, ტვ მიეყიდა ხალვაშისათვის). ქიბარ ხალვაში ახსნა-განმარტებაში მიუთითებს ქალაქის მერის — გიგი უგულავას, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მაშინდელი უფროსის — გიორგი არველაძისა და იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის მაშინდელი მოადგილის — გიგა ბოკერიას მხრიდან სარედაქციო გადაწყვეტილებებში ჩარევის თაობაზე. ქიბარ ხალვაში აცხადებს, რომ 2006 წელს „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორი ნიკა ტაბატაძე და საინფორმაციო სამსახურის უფროსი თამარ რუხაძე ხელისუფლების, პრეზიდენტისა და მისი ადმინისტრაციის მაშინდელი უფროსის მოთხოვნით გაათავისუფლა.

**თუკი თვალს მივადევნებთ ხელისუფლებასთან დაახლოებული პი-**

**რების ხელიდან ხელში ტელეკომპანიათა საწესდებო კაპიტალის წილების უმრავლესობის გადასვლის დინამიკას, შეიძლება დავასკვნათ, რომ წილის უმრავლესობის მფლობელი არ არის აღნიშნული აქტივის რეალური მესაკუთრე. ამ მოსაზრებას ამყარებს ის ფაქტი, რომ, მაგალითად, ტელეკომპანია „ობიექტივი 2"-ის ყოველი ახალი მესაკუთრე უცხო პირთან აფორმებს წილის უსასყიდლოდ დათმობის ან ჩუქების ხელშეკრულებას. მაგალითად, „ობიექტივი 2"-ის 100%-ის მფლობელმა ქეთევან ასათიანმა საწესდებო კაპიტალის წილის 51% უსასყიდლოდ დაუთმო დავით კაკაურიძეს, თავის მხრივ, დავით კაკაურიძემ ჩუქების ხელშეკრულებით გადასცა ნოდარ ჭარხალაშვილს, ბოლოს აღნიშნული წილები, ასევე, უსასყიდლოდ გადაეცა გურამ კვირიკაშვილს, რომელმაც თავისი წარმომადგენლის მეშვეობით მხარი დაუჭირა კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში ჯერ კიდევ დავით კაკაურიძის მიერ შეტანილ განცხადებას „ობიექტივი 2"-ის კუთვნილი სამაუწყებლო ლიცენზიის გაუქმების თაობაზე.**

მესაკუთრეთა ასეთი სიხშირით ცვლა ტელეკომპანია „რუსთავი 2"-თვისაცაა დამახასიათებელი. იქმნება შთაბეჭდილება, რომ აღნიშნული ტელეკომპანიების რეალური მესაკუთრეები სულაც არ არიან ის პირები, ვინც ასეთადაა რეგისტრირებული სამეწარმეო რეესტრში ან დამოუკიდებელ რეგისტრატორთან. ასეთი პირები ხელისუფლებას საწარმოს აქტივში არსებული სიხშირის საკუთარი ინტერესების გასატარებლად სჭირდება და არც დაუშვებს ასეთი სიხშირის თავისუფალ ბრუნვაში მოქცევას. ამის ნათელი მაგალითია ტელეკომპანია „მეცხრე არხი". აღნიშნულმა ტელეკომპანიამ 2004 წელს შეწყვიტა მაუწყებლობა, თუმცა აღნიშნული სუბიექტი დღესაც ფლობს მაუწყებლობის ლიცენზიას. 2005 წლის 25 იანვარს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ №33/1 გადაწყვეტილებით აღნიშნულ არარსებულ ტელეკომპანიაზე გასცა მთელი საქართველოს მასშტაბით მაუწყებლობის ლიცენზია №1444. 2006 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილებით, დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „მეცხრე არხის" კუთვნილი ლიცენზიის მოდიფიცირების თაობაზე. არ არსებობს „მეცხრე არხის" კუთვნილი ლიცენზიის გაუქმების დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი. „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 74-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ლიცენზიის გაუქმების საფუძველს წარმოადგენს ზედიზედ სამ თვეზე მეტი დროის განმავლობაში ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობის შეწყვეტა. „მეცხრე არხი" კი ზედიზედ ხუთი წელია, არ მაუწყებლობს.

კომუნიკაციების ეროვნული კომისიიდან „რუსთავი 2"-ის მფლობელობასთან დაკავშირებული დოკუმენტების გამოთხოვის შედეგად ცნობილი გახდა, რომ „მეცხრე არხის" საწესდებო კაპიტალის 100% წილის მფლობელს წარმოადგენს „რუსთავი 2"-ის გენერალური დირექტორი ირაკლი ჩიქოვანი. მაუწყებლობის შეწყვეტამდე „მეცხრე არხის" მფლობელი იყო „ქართუ ფონდი," რომელიც ცნობილი ბიზნესმენისა და მეცენატის — ბიძინა ივანიშვილის დაფუძნებულია.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ხელისუფლება „მაუწყებლობის შე-

სახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების დარღვევით ამ ხნის განმავლობაში თავს არიდებს იმ სიხშირეთა თავისუფალ ბრუნვაში, ანუ არაკონტროლირებად სტრუქტურებში, მოქცევას, რომლითაც შესაძლებელია მთელი ქვეყნის მასშტაბით მაუწყებლობა. თუკი სრულიად უმნიშვნელო და საკამათო დარღვევის არსებობისას კომუნიკაციების ეროვნული კომისია არ ერიდება დამოუკიდებელი მედიასაშუალებების სანქცირებას, იგივე კომისია არანაირად არ რეაგირებს ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში „მეცხრე არხის“ მიერ მაუწყებლობის შეწყვეტის ფაქტზე და სანქციის სახით არ იყენებს მაუწყებლობის ლიცენზიის გაუქმებას, ანუ ტვ სიხშირის ჩამორთმევას. და ეს მაშინ, როცა „მეცხრე არხი“ საკმაოდ პომპეზურად დაიხურა. ეს გარემოება ცნობილი უნდა ყოფილიყო კომუნიკაციების ეროვნული კომისიისათვის, ისევე, როგორც „მაესტროს“ მიერ საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამების სამაუწყებლო ბადეში განთავსება.

**ცნობილი გახდა ტელეკომპანია „ქუთაისის“ მიერ მაუწყებლობის შეწყვეტაც. იქმნება შთაბეჭდილება, რომ კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისია განზრახ ერიდება მთელი ქვეყნის მასშტაბით სატელევიზიო მაუწყებლობის გამოჩენას და ამის გამო არ ათავისუფლებს გაუქმებული ტელეკომპანიის მფლობელობაში არსებულ სიხშირეებს, რომლებიც პრაქტიკულად არ გამოიყენება. სწორედ ამის გამო დღემდე არ აუქმებს №1444 ლიცენზიას, არ ტოვებს თავისუფალ სიხშირეებს, რომლებზეც შეიძლება ვინმემ სალიცენზიო განაცხადი წარადგინოს.**

**ხელისუფლება ყველანაირად ცდილობს, შეინარჩუნოს მისივე ხელშეწყობით მედიაში მომხდარი საკუთრებითი ცვლილებები. მედიაჰოლდინგ „ი-მედიას“ შემთხვევაში თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე დიანა ბერაკაშვილმა თავის 2008 წლის 14 მაისის განჩინებაში კონკრეტულ მტკიცებულებაზე მითითების გარეშე დაადგინა, რომ არსებობს ინა გუდავაძისა და მისი ქალიშვილების მხრიდან ბადრი პატარკაციშვილის სამკვიდრო მასის გაფლანგვის საფრთხე.** სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების თაობაზე დასაბუთებული უნდა ყოფილიყო.

ზემოხსენებული განჩინებით, ბადრი პატარკაციშვილის მეუღლეს, ინა გუდავაძეს, ქალიშვილებს — ია პატარკაციშვილსა და ლიანა ემოტოვას აეკრძალათ, განახორციელონ ნებისმიერი ფაქტობრივი ან იურიდიული მოქმედება სამკვიდროს ან მისი ნაწილის საკუთრების, მფლობელობის ან სხვა უფლების მიღებასთან ან ნებისმიერი სხვა პირისათვის გადაცემასთან დაკავშირებით. თავის მხრივ, იმავე განჩინებით, ჯოზეფ ქეი აღიჭურვა უფლებით, განახორციელოს ნებისმიერი მოქმედება, რასაც აუცილებლად ჩათვლის ბადრი პატარკაციშვილის ქონების თავმოყრისა და მოვლისათვის, ისევე, როგორც სამკვიდრო მასის ან მისი ნაწილის რეალიზაციისათვის, თუ ასეთი რეალიზაცია აუცილებლად ჩაითვლება. აღნიშნულმა განჩინებამ კიდევ უფრო გაამყარა ჯოზეფ ქეის მდგომარეობა ჰოლდინგ

მამუკა ღლონტი

„ი-მედიასთან“ მიმართებაში. იმ შემთხვევაში, თუკი ჯოზეფ ქეისა და გიორგი ჯაოშვილს შორის 2008 წლის 19 თებერვალს გაფორმებული „ჯეი ემ ჯი კონსალტინგ გრუპის“ საწესდებო კაპიტალის წილის 70%-ის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა მოხდება, ჯოზეფ ქეის სამკვიდრო ქონების მართვისა და განკარგვის უფლებამოსილების ძალით კვლავ ექნება შეხება მედიაჰოლდინგ „ი-მედიასთან“. ამით, გარკვეულწილად, ხელისუფლებამ დამატებითი სამართლებრივი უსაფრთხოების გარანტია შეუქმნა ჯოზეფ ქეის ტელერადიოკომპანია „იმედის“ მფლობელობის შესანარჩუნებლად. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ჯოზეფ ქეის სასამართლოსათვის არასოდეს წარუდგენია მისთვის უფლებამოსილების მიმნიჭებელი დოკუმენტის ორიგინალი — მართოს და განკარგოს ბადრი პატარკაციშვილის ქონება. ბადრი პატარკაციშვილის კონფიდენციალური მითითების შესაბამისად (ოფიციალური ვერსიით), თბილისის საქალაქო სასამართლოში წარდგენილ იქნა 2008 წლის 14 ნოემბერს შედგენილი აქტის ასლი „ქონების აღმასრულებელი მმართველის დანიშვნის შესახებ“, რომლითაც ჯოზეფ ქეის მინიჭებული აქვს ზემოხსენებული უფლებამოსილებები. აღნიშნული დოკუმენტის ასლები ინა გუდავაძემ წარუდგინა ექსპერტს, რომლის დასკვნის შესაბამისად, ბადრი პატარკაციშვილის ხელმოწერა აღნიშნულ დოკუმენტზე გაყალბებულია. ინა გუდავაძის განმარტებით, მოწმეები, რომლებიც 2008 წლის 14 ნოემბერს იმყოფებოდნენ ბადრი პატარკაციშვილთან, ადასტურებენ, რომ მათი თანდასწრებით ბადრი პატარკაციშვილს არანაირი დოკუმენტისათვის ხელი არ მოუწერია. ინა გუდავაძეს სარწმუნოდ არ მიაჩნია ჯოზეფ ქეის ვერსია, თითქოს ბადრი პატარკაციშვილმა დოკუმენტს ხელი მოაწერა ნიუ იორკში შუაღამით, რესტორნიდან გამოსვლის შემდეგ, ქუჩის განათების შუქზე ინგლისურ ენაზე, რომელსაც ბადრი პატარკაციშვილი სუსტად ფლობდა.

„ობიექტივი 2“-ის შემთხვევაში, როცა სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით აღნიშნული ტელეკომპანიის 49%-ის ხმის უფლების მქონე პარტნიორმა დომინანტური მდგომარეობის დაბრუნება განიზრახა, ხელისუფლების მფარველობის ქვეშ მყოფმა საწესდებო კაპიტალის წილის უმრავლესობის მფლობელმა განცხადებით მიმართა კომუნიკაციების ეროვ-

ნულ კომისიას და მოითხოვა თავისი ქონების ძირითადი აქტივის, სამაუწყებლო ლიცენზიის გაუქმება.

კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ, თავის მხრივ, დააკმაყოფილა აღნიშნული განცხადება (იხილეთ „ობიექტივი 2“-ის საქმე) ისე, რომ არც კი დაელოდა სასამართლოს გადაწყვეტილებას.

ამგვარად, კომუნიკაციების ეროვნული კომისია, ისევე, როგორც სასამართლო, მოწოდების სიმაღლეზე დგანან, როცა სამაუწყებლო სიხშირეების არაკონტროლირებადი სუბიექტის ხელში მოხვედრის შესაძლებლობა არსებობს. ხელისუფლების ინტერესების გამომხატველი ტელევიზიის საკუთრება მეწარმისათვის სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესის ხელშეუხებლობის გარანტიაა. ტელევიზიის მესაკუთრე სარედაქციო პოლიტიკის გამო არათუ იმსახურებს ხელისუფლების კეთილგანწყობას, არამედ თავად ხდება ხელისუფლების ნაწილი (მაგალითად, „რუსთავის 2“-ის, „მზისა“ და „პირველი სტერეოს“ საწესდებო კაპიტალის წილის 45%-ის მფლობელი კომპანია „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დამფუძნებელი, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი დავით ბეჟუაშვილია).

# ჟურნალისტების პროფესიული საქმიანობისათვის უკანონოდ ხელის შეშლა

**ჟურნალისტები არაერთხელ გამხდარან ოპოზიციისა და ხელისუფლების მხარდამჭერი ჯგუფების თავდასხმის ობიექტები. მოქალაქეები, რომლებიც თავის თავს მიაკუთვნებდნენ ხელისუფლების ან ოპოზიციის პოლიტიკურ ბანაკს, ღია უკმაყოფილებას, აღშფოთებას და აგრესიას გამოხატავდნენ იმ მედიასაშუალებების მიმართ, რომლებიც, მათი აზრით, არაობიექტურად და მიკერძოებულად აშუქებდნენ მათი პოლიტიკური ჯგუფის ან ლიდერის საქმიანობას თუ საზოგადოებრივი ინტერესის მქონე კონკრეტულ ფაქტს.**

ოპოზიციისა და მათი მხარდამჭერების მხრიდან აგრესიის ობიექტები, ძირითადად, ტელეკომპანიების — „რუსთავი 2“-ისა და „მზის“ ჟურნალისტები ხდებოდნენ. მიზეზი კი მათ მიერ „გაერთიანებული ოპოზიციის“ საპროტესტო აქციების, ოპოზიციის ლიდერების განცხადებების ეთერში არგაშვება ან აღნიშნული ღონისძიებების არაადეკვატური გაშუქება იყო. მაგალითად, 2008 წლის 24 მარტს საპროტესტო აქციის მონაწილეები ტელეკომპანია „მზის“ ჟურნალისტ ნოდარ მელაძეს იმაში ადანაშაულებდნენ, რომ მან კადრები იმ ადგილიდან აიღო, სადაც საპროტესტო აქციის მონაწილეთა მხოლოდ მცირე ნაწილი ჩანდა. დემონსტრანტების აზრით, აღნიშნულ ვიდეომასალას ჟურნალისტი საპროტესტო აქციის მონაწილეთა სიმცირის დემონსტრირების მიზნით გამოიყენებდა. ამის გამო საპროტესტო აქციის მონაწილეებმა ჟურნალისტს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს და კამერა ძალისმიერი მეთოდით მიატრიალეს იმ მხარეს, სადაც ხალხის დიდი მასა იყო შეკრებილი.

**მეორე დღეს კი ოპოზიციურ პარტიათა გაერთიანება „ერთიანმა ეროვნულმა საბჭომ“ ტელეკომპანია „მზესა“ და სამაუწყებლო კომპანია „რუსთავის 2“-ს ბოიკოტი გამოუცხადა. იმავე დღეს, რუსთაველის გამზირიდან პირდაპირი ჩართვის დროს, საპროტესტო აქციის მონაწილეები „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტ თამარ ბაღაშვილს თავს დაესხნენ და შეურაცხმყოფელი და ძალადობრივი ფორმებით საპროტესტო აქციის დატოვებისაკენ მოუწოდეს. ერთ-ერთმა ოპოზიციონერმა ხელი დააფარა ოპერატორის კამერას, რომელიც ინციდენტს იღებდა.**

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განცხადებით, დემონსტრანტებმა, როგორც დემოკრატიული პროცესის მონაწილეებმა, პატივი უნდა სცენ დემოკრატიულ ნორმებს. იმავე სასამართლოს შენიშვნით, ჟურნალისტი ასრულებს საზოგადოებრივი დარაჯის ფუნქციას.

ინფორმაციის მოპოვება და გავრცელება არა მხოლოდ ჟურნალისტის ამოცანაა, ამგვარი ინფორმაციის მიღების უფლება საზოგადოებასაც აქვს. სიტყვის თავისუფლება დაცულია იმ შემთხვევაშიც, როცა ინ-

ფორმაცია არა თუ ნეიტრალური, არამედ შოკისმომგვრელი, შემაშფოთებელი და შემაწუხებელია მთელი საზოგადოების ან მისი გარკვეული ნაწილისათვის.

პოლიტიკური ოპოზიციის წარმომადგენლისა თუ ნებისმიერი პიროვნების უფლებაა, არ ითანამშრომლოს ამა თუ იმ მედიასაშუალებასთან, არ გააკეთოს მასთან რაიმე სახის განცხადება თუ კომენტარი, მით უმეტეს, მაშინ, თუ აღნიშნული მედიასაშუალება გამოირჩევა მოვლენების ტენდენციური და დაუბალანსებელი გაშუქებით. მიუხედავად ამისა, არავის აქვს უფლება, ხელი შეუშალოს ჟურნალისტს თავისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში, რაც გამოიხატება საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე ყოფნით აქტუალური ინფორმაციის მოპოვებაში, ვიდეოგადაღებასა და მის ეთერში გაშვებაში. ტენდენციურობაზე ეჭვი არ შეიძლება გახდეს ჟურნალისტის მიმართ იძულების საფუძველი, თავი შეიკავოს საზოგადოებისათვის აქტუალური ინფორმაციის მოპოვებისა და გავრცელებისაგან.

**აქვე გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ტელეკომპანია „მზისა“ და სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტების მიმართ ჩადენილი ქმედებები შეიცავდა სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ნიშნებს. აღნიშნული მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლისათვის, ესე იგი მისი იძულებისათვის, გაავრცელოს ინფორმაცია ან თავი შეიკავოს მისი გავრცელებისაგან.**

**აუცილებელია, აღინიშნოს, რომ უმეტეს შემთხვევებში ჟურნალისტები მათი მისამართით აგრესიას თავადვე პროვოცირებენ მოვლენების ცალმხრივი და მიკერძოებული გაშუქებით. როგორც წესი, ეს ჟურნალისტები სამთავრობო ტელევიზიების წარმომადგენლები არიან (იმიტომ კი არ მოაქცია ხელისუფლებამ მისი კონტროლის ქვეშ საერთო-სახელმწიფოებრივი არხები, რომ მათ ყოველმხრივ ობიექტური ინფორმაცია გაავრცელონ).**

მსგავსი ხასიათის აგრესიულობით გამოირჩეოდნენ ხელისუფლების წარმომადგენლები და მათი მხარდამჭერები ჟურნალისტების მიმართ. მათი სამიზნე გახდნენ 2008 წლის 5 იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო, ასევე, 2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნების გამშუქებელი პიროვნებები. ესენი არიან: რადიო „ჰერეთის“ ჟურნალისტი ხათუნა გოგაშვილი, ტელეკომპანია „მზის“ ჟურნალისტი ალეკო გაბუნია და ოპერატორი ნიკოლოზ პატარაია, რადიო „იმედის“ ჟურნალისტი ნანა ფაჟავა, გაზეთ „რეზონანსის“ ჟურნალისტი ელისო ჩაფიძე, ასევე, ჩვეულებრივი დამკვირვებლები — მალხაზ ვარშანიძე და ირაკლი გოგუაძე, რომლებიც საარჩევნო უბანში კამერით იმყოფებოდნენ.

**პრეზიდენტისა და, შესაბამისად, 2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნების თავისებურება შეინიშნებოდა იმ თვალსაზრისით, რომ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები კრძალავდნენ საარჩევნო პროცედურების ფოტო და ვიდეოგადაღებას, ასევე, აუდიოჩანაწერის გა-**

**კეთებას. აღნიშნული ქმედებები ხდებოდა მაშინ, როცა მედიის წარმომადგენლები ცდილობდნენ იმ პირთა დაფიქსირებას, ვისაც არ ჰქონდა საარჩევნო უბანში ყოფნის უფლება, ასევე, ძალადობის განხორციელების პროცესში მედიის წარმომადგენლები აფიქსირებდნენ საარჩევნო უბანზე დამკვირვებლებისა და კენჭისყრის ადგილზე ყოფნის უფლების მქონე პირთა მიმართ ძალადობას, კენჭისყრის მიმდინარეობის შეჩერებას, საარჩევნო ყუთში სპეციალური კონვერტების ჩაშვების პროცესს.** აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საარჩევნო კომისიის წევრების გარდა აკრედიტებულ ჟურნალისტებს პროფესიული მოვალეობის შესრულებაში ხელს უშლიდნენ პირები, რომლებსაც არ ჰქონდათ კენჭისყრის ადგილზე ყოფნის უფლება, ვინაიდან არ ატარებდნენ სამკერდე ნიშანს. მაგალითად, 2008 წლის 5 იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებზე ლაგოდეხის №15 საარჩევნო ოლქის კაბალის №19 საარჩევნო უბანზე „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა ისაკო ცქიფურიშვილმა (რომელსაც არ ჰქონდა საარჩევნო უბანზე ყოფნის უფლება) ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა რადიო „ჰერეთის“ ჟურნალისტ ხათუნა გოგაშვილს.

**საარჩევნო კოდექსის 50-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, კენჭისყრის ფარულობის უზრუნველსაყოფად კენჭისყრის კაბინაში ფოტო და ვიდეოგადაღება აკრძალულია. იმავე კოდექსის 67-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებს, კენჭისყრის კაბინის გარდა, საარჩევნო პროცესისათვის ხელის შეშლის გარეშე, შეუძლიათ აწარმოონ ფოტო-ვიდეოგადაღება. არც ერთ დასახელებულ პირს არ უცდია საარჩევნო კაბინის გადაღება. ისინი აფიქსირებდნენ შემთხვევებს, რომლებიც არანაირ კავშირში არ იყო კაბინაში ხმის მიცემასთან. ამ გარემოებაში ფოტო-ვიდეოგადაღების აკრძალვა არ შეესაბამება საარჩევნო კანონმდებლობის მოთხოვნებს. რაც შეეხება აუდიოჩაწერას, საარჩევნო კოდექსით აღნიშნული გარემოება საერთოდ არ არის აკრძალული. საარჩევნო დარღვევების ვიდეოგადაღება, ისევე, როგორც ნებისმიერი ტექნიკური საშუალებით ინფორმაციის შეგროვება, სრულ შესაბამისობაშია ჟურნალისტის როგორც საზოგადოებრივი დარაჯის ფუნქციასთან. ხელის შეშლის ფორმა იყო ძალადობრივი. ფიზიკური შეურაცხყოფა გამოიხატებოდა ხელების გადაგრეხაში, ხელის კვრაში, მუშტების დარტყმაში, ჯოხებისა და ქვების სროლაში. ზუგდიდში თავდამსხმელებმა ტელეკომპანია „მზის“ ოპერატორი ნიკოლოზ პატარაია ხელში დანითაც კი დაჭრეს.**

ყველა ინციდენტის დროს თავდამსხმელების პირველი სამიზნე ვიდეოკამერა იყო. ერთ შემთხვევაში თავდამსხმელები ვიდეოკამერას ხელს აფარებდნენ, რომ არ ასახულიყო კანონსაწინააღმდეგო ქმედება. სხვა დროს თავდამსხმელებმა, უბრალოდ, დააზიანეს ვიდეოკამერა. აღრიცხულია კამერის წართმევისა და გატაცების ფაქტებიც.

აღსანიშნავია, რომ ჟურნალისტებზე განხორციელებული ყველა თავდასხმის დროს პოლიციის თანამშრომლები იმყოფებოდნენ საარჩევნო

უბანზე, მის მიმდებარე ტერიტორიაზე ან უშუალოდ ჟურნალისტების თავდასხმის ადგილას. ისინი არანაირ რეაგირებას არ ახდენდნენ დანაშაულებრივი ქმედების აღსაკვეთად. ზუგდიდში ტელეკომპანია „მზის“ ჟურნალისტების ფიზიკური შეურაცხყოფა ხდებოდა საპატრულო პოლიციის ავტომანქანებიდან რამდენიმე მეტრის მოშორებით.

სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო მაღაროს საარჩევნო უბანში იმყოფებოდა პოლიციის თანამშრომელი მამუკა დეკანოიძე. მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტ ელისო ჩაფიძეს მისი თანდასწრებით ფიზიკურად შეურაცხყოფდნენ, დეკანოიძემ არ აღკვეთა თავდამსხმელების ქმედებები. პირიქით, მან — დაიფარა თავდამსხმელები — ისინი საკუთარ მანქანაში ჩასვა და დროებით გაარიდა საარჩევნო უბანს. ირაკლი მამალაძისათვის საარჩევნო უბანში ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების დროს პოლიციელები საარჩევნო უბნის მახლობლად იყვნენ. კამერის წართმევის შესახებ ირაკლი გოგუაძემ აცნობა პოლიციას. მაშინ თავდამსხმელები ჯერ კიდევ საარჩევნო უბანთან იმყოფებოდნენ, პოლიციამ კი არც თავდამსხმელთა დაკავება და არც წართმეული კამერის დაბრუნება უზრუნველყო.

# თავისუფალ მედიაზე ზემოქმედების ეკონომიკური ბერკეტები

**მედიის მფლობელები და დამოუკიდებელი ექსპერტები კვლავ მიუთითებდნენ ხელისუფლების მხრიდან ზეწოლის თაობაზე. ზეწოლა განიცადეს, ძირითადად, თბილისში მოქმედმა ტელეკომპანია „კავკასიამ“, რადიოსადგურებმა და ბეჭდვითმა მედიამ. თუმცა ბოლო პერიოდში ხელისუფლების მხრიდან სავარაუდო ზეწოლის ფორმები აღარ ყოფილა ისეთი სასტიკი და ძალადობრივი, როგორც ეს 2007 წლის 7 ნოემბერს ტელეკომპანია „იმედის“ მიმართ განხორციელდა. მედიამფლობელების განმარტებით, ხელისუფლებამ ამჯერად იერიში კრიტიკულად განწყობილი მედიასაშუალების სარეკლამო შეკვეთებზე მიიტანა და, ამგვარად, მედიისათვის ფინანსური პრობლემების შექმნას შეეცადა. მედიამესვეურთა მტკიცებით, ფინანსური კუთხით ზეწოლის ფორმის გამოყენების ფუნქცია ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტმა იკისრა. ტელეკომპანია „კავკასიის“ ხელმძღვანელობის განმარტებით, შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის მთავარ სამმართველოში დაიბარეს ტელეკომპანია „კავკასიის“ კონტრაჰენტი კომპანიის ხუთი წარმომადგენელი და მათ აღნიშნულ ტელეკომპანიასთან ურთიერთობის გაწყვეტა მოსთხოვეს. შემოსავლების სამსახურის თანამშრომლები მიიჩნევდნენ, რომ „კავკასია“ ხელს უწყობდა ქვეყნის დესტაბილიზაციას, ამის გამო ტელეკომპანიაში სარეკლამო შეკვეთები უნდა შეწყვეტილიყო. აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეწარმეებს საგადასახადო შემოწმების ჩატარებითა და სანქციების დაკისრებით ემუქრებოდნენ. მეწარმეების მიერ „კავკასიის“ მფლობელისათვის მიცემული ინფორმაციის თანახმად, მათთან შეხვედრას ესწრებოდა ქვემო ქართლში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის, გუბერნატორის, დავით კირკიტაძის ძმა ირაკლი კირკიტაძეც. შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში დაბარებულმა ხუთმა მეწარმემ აღნიშნული შეხვედრის შემდეგ მართლაც გააუქმა სარეკლამო შეკვეთები ტელეკომპანია „კავკასიასთან“.**

„კავკასიასთან“ ერთად სარეკლამო შეკვეთები გაუქმდა სხვა მედიასაშუალებებშიც. media.ge-ს ინფორმაციით, ფიჭური კომპანია „ბილაინის“ კუთვნილმა სარეკლამო კომპანია „სტარ კომ მედია ინვესტ გრუპმა“ 2008 წლის 3 ივლისიდან რადიო „ჰერეთის“ ეთერში რეკლამის განთავსება შეწყვიტა, მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების ვადა 2008 წლის ბოლოს იწურებოდა. „ბილაინის“ განმარტებით, რეკლამების განთავსების შეწყვეტის მიზეზი თითქოს კომერციული მოსაზრებებია. ქალაქ გურჯაანში გამომავალი გაზეთ „პროგრესის“ რედაქტორი ზვიად რუაძე სარეკლამო შეკვეთების გაუქმებას სამხარეო ადმინისტრაციის

მხრიდან ზეწოლით ხსნიდა. რადიო „ჰერეთის“ ინფორმაციით, აღნიშნული გაზეთის 2008 წლის ივნისის ნომერში გამოქვეყნდა კახეთის მხარეში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის — გუბერნატორ ლევან ბეჟაშვილის შესახებ კრიტიკული სტატია. ამის შემდეგ, ზვიად რუაძის განმარტებით, ბიზნესმენებმა გუბერნატორის მოადგილის, გიორგი ბოტკოველის მოთხოვნით შეწყვიტეს გაზეთთან თანამშრომლობა. როცა ოპოზიციური პლატფორმის რამდენიმე მედიასაშუალებაში სარეკლამო შეკვეთები ერთდროულად უქმდება, ძნელი დასაჯერებელია, აღნიშნული ფაქტი კომერციული მოსაზრებებით იყოს გამოწვეული. ამის გამო, სახალხო დამცველს უსაფუძვლოდ არ მიაჩნია განცხადებები, რომ ოპოზიციურ მედიასაშუალებებთან სარეკლამო მომსახურების თაობაზე ხელშეკრულებების შეწყვეტა ხელისუფლების უშუალო ჩარევის შედეგია. როგორც ვხედავთ, ხელისუფლებამ მედიასთან ბრძოლის ახალი ტაქტიკა შეიმუშავა. მეწარმეებზე განხორციელებული ზეწოლა სარეკლამო შეკვეთების გაუქმების მოთხოვნაში გამოიხატება. თანამდებობის პირები ცდილობენ, ფინანსური პრობლემები შეუქმნან არასასურველ მედიასაშუალებებს და ამ გზით მიაღწიონ მათ დახურვას ან მედიაბაზარზე ასეთი მოთამაშის კონკურენტუნარიანობის დაქვეითებას. სარეკლამო შეკვეთების, ანუ მედიასაშუალების ნორმალური არსებობისათვის აუცილებელი შემოსავლების არარსებობის პირობებში, მედიის მესაკუთრეს რჩება სამი არჩევანი: **შეწყვიტოს საქმიანობა, გაატაროს ხელისუფლების მიმართ ლოიალური სარედაქციო პოლიტიკა ან შეზღუდული რესურსების გამოყენებით იბრძოლოს არსებობისათვის. უკანასკნელ შემთხვევაში, მედიას არ აქვს პერსპექტიული განვითარების შესაძლებლობა, რაც იწვევს მაუწყებლობის ხარისხის მკვეთრ დაქვეითებას. მედია უძლური ხდება, უპასუხოს მომხმარებლის მზარდ მოთხოვნილებას. საზოგადოება კარგავს ინტერესსა და ნდობას თავისუფალი მედიასაშუალების მიმართ. არაკონტროლირებადი მედიის საზოგადოებრივი გავლენის შესუსტება ხელისუფლების უკანონო მიზანს წარმოადგენს. აღნიშნული მიზანი კი ფინანსურ მდგომარეობაზე არასათანადო ზემოქმედების მეშვეობით ხორციელდება.**

ცალკე განსახილველია დამოუკიდებელ ყოველკვირეულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გაზეთ „საქართველო და მსოფლიოზე“ განხორციელებული ეკონომიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლის შემთხვევა. გაზეთის მეორე ნომრის გამოსვლის დღეს (2009 წლის 25-26 თებერვლის ღამეს) გაიქურდა რედაქცია. ნომრის პირველ გვერდზე განთავსებული იყო პრეზიდენტ სააკაშვილის ფოტო ქალაქის ნაგავსაყრელზე, რაც ნამდვილად არ მატებდა მას დადებით შტრიხებს. ქურდები თავხედურად მოქმედებდნენ და, როგორც ჩანს, დაუსჯელობის შეგრძნებით — რედაქციაში შეაღწიეს აგურის კედლის წერაქვითა და ძალაყინით გამონგრევის შედეგად (რედაქცია მდებარეობდა საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე, ქალაქის ცენტრში). გაიტანეს კომპიუტერები, სხვა პროფესიული ტექნიკა და გადაჭრეს ოფისის ქსელის შემაერთებელი კაბელები).

## მედიის თავისუფლება და თავისუფალი არჩევნები

**საარჩევნო კამპანია ქმნის პირობებს, რომლებიც ყველა დემოკრატიულ საზოგადოებაში მედიას დამატებით ვალდებულებებს აკისრებს. ამ დროს ერთმანეთთან კოლიზიაშია ორი ლეგიტიმური ინტერესი. პირველი მედიის თავისუფლებაა — შეასრულოს რომელიმე საარჩევნო სუბიექტის პოლიტიკური პლატფორმის ფუნქცია, ანუ თავისუფალი სარედაქციო გადაწყვეტილების საფუძველზე აქტიურად დაუჭიროს მხარი ერთ სუბიექტს და მასთან შედარებით არათანაბარ მდგომარეობაში ჩააყენოს მისი კონკურენტები. მეორე — ამომრჩევლის უფლება — თანაბრად მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია ძირითადი საარჩევნო სუბიექტების თაობაზე.**

ევროპის საბჭო და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა ამ ორი ინტერესის შეჯახებისას უპირატესობას ანიჭებს საარჩევნო სუბიექტების თანაბარი შესაძლებლობისა და მოქალაქის ინფორმირების არჩევანის უფლებას. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს პრესის ვალდებულება — გაავრცელოს ინფორმაცია საარჩევნო სუბიექტების მოსაზრებების თაობაზე და საზოგადოების უფლება — მიიღოს აღნიშნული ინფორმაცია. ევროპის საბჭოს დემოკრატიის დაცვის კომისიის (ვენეციის კომისია) სახელმძღვანელო მითითებებით გათვალისწინებულია შესაძლებლობათა თანასწორობის პრინციპი. ეს უკანასკნელი გულისხმობს ხელისუფლების ნეიტრალობას, მათ შორის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, კერძოდ, სახელმწიფო მედიის მიერ საარჩევნო პროცესის გაშუქებისას. ამომრჩეველთა აზრის ფორმირების კონტექსტში სახელმძღვანელო პრინციპები კვლავ ეხება ხელისუფლების მიერ ნეიტრალიტეტის დაცვის ვალდებულებას. ამ დროს ხელისუფლების ნეიტრალიტეტი ვრცელდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან დაკავშირებითაც.

**ვენეციის კომისიის საარჩევნო ნორმათა კოდექსის მე-18 მითითებაში ხაზგასმულია ის გარემოება, რომ ძირითად პოლიტიკურ ძალებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, გამოხატონ საკუთარი პოზიცია ქვეყნის მთავარი საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით. იმავე მითითებაში აღნიშნულია, რომ მასმედია ყოველთვის მიუკერძოებელი არ არის ცალკეული კანდიდატისა და საარჩევნო კამპანიის გაშუქებისას, რაც საარჩევნო პროცესის ერთ-ერთ ყველაზე ხშირ და ფართოდ გავრცელებულ დარღვევას წარმოადგენს. ამდენად, ძალზე მნიშვნელოვანია, ყველა ქვეყანაში შედგეს მასობრივი საინფორმაციო საშუალებების სია და კონტროლი გაეწიოს, რომ კანდიდატებს თანაბრად ეთმობოდეს საეთერო დრო, მათ შორის, სახელმწიფო რადიოსა და ტელევიზიაში. ვენეციის კომისიის საარჩევნო ნორმათა კოდექსის მე-18 მითითების შესაბამისად, არსებობს პარტიების თანასწორობის ორი შესაძლო ინტერპრეტაცია: მკაცრი და პროპორციული. მკაცრი თანასწორობა გულისხმობს, რომ პოლიტიკური პარტიები თანაბარ პირობებში არიან ჩაყენებულები, მიუხედავად იმისა, თუ როგორია მათი ამჟამინდელი მდგომარეობა პარლამენტსა და ამომრჩევლებში; პროპორციული თანასწო-**

**რობა გულისხმობს, რომ პოლიტიკური პარტიების მიმართ პირობები განისაზღვრება წინა არჩევნებში მათ მიერ მიღებული ხმების პროპორციულად.**

შესაძლებლობათა თანასწორობა (მკაცრი ან/და პროპორციული) განსაკუთრებით აქტუალურია რადიოსა და ტელევიზიაში დათმობილი საეთერო დროის, სახელმწიფო დაფინანსებისა და მხარდაჭერის სხვა ფორმებთან დაკავშირებით. საქართველოს კანონმდებლობამ არჩევანი გააკეთა პროპორციულ შესაძლებლობათა თანასწორობის სასარგებლოდ. საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობას შემოაქვს კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის ცნება. ეს უკანასკნელი ნიშნავს პოლიტიკურ გაერთიანებას, რომელიც „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ორგანული კანონის — საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-3 მუხლის „კ[1]“ ქვეპუნქტი). მაუწყებელი ვალდებულია, კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტად აღიაროს პოლიტიკური პარტია ან ბლოკი, რომელიც საქართველოს პარლამენტში წარმოდგენილია ფრაქციით ან რომელმაც უკანასკნელ საყოველთაო არჩევნებში პროპორციული სისტემის საფუძველზე მიიღო საქართველოს ამომრჩეველთა ხმების არანაკლებ 4%-ისა. საარჩევნო კოდექსის 73[1]-ე მუხლის პირველი პუნქტი ყველა საერთო მაუწყებლისაგან ითხოვს, სწორედ კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებზე თანაბრად გაანაწილონ საეთერო დრო, მისცენ მათ უფასო საარჩევნო რეკლამის ეთერში განთავსების შესაძლებლობა და ერთანაირი პირობები შეუქმნან დებატებში მონაწილეობისას.

**კანონმდებელმა გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ტელე და რადიოსადგურების უმრავლესობა მაუწყებლობს სიხშირეთა სპექტრის გამოყენებით (საეთერო მაუწყებლობა). ეს უკანასკნელი, წარმოადგენს რა ამოწურვად რესურსს, საზოგადოებრივ სიკეთედ ითვლება. მისი მიღებისათვის ლიცენზიის მაძიებელს „მაუწყებლობის შესახებ“ კანონის შესაბამისად უწევს კონკურსის გავლა, რათა საეთერო მაუწყებლობის შემთხვევაში სრულად დააკმაყოფილოს საზოგადოების ინტერესები. ამგვარად, სიხშირის მფლობელის საქმიანობა იმთავითვე განსაზღვრულია საზოგადოებრივი ინტერესებით, თუნდაც, იმიტომ, რომ მისი საქმიანობა საზოგადოებრივი სიკეთის გამოყენებით ხორციელდება. მედიის მიერ საზოგადოების წინაშე ვალდებულება განსაკუთრებით კონკრეტული ხდება საარჩევნო კამპანიის გაშუქებისას. ამ დროს ამომრჩევლისა და საზოგადოების ინტერესი — მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია საარჩევნო სუბიექტის პროგრამისა და აქტივობის შესახებ, აღემატება მედიის თავისუფლების ინტერესს. ამ კუთხით ფუძემდებლურ მნიშვნელობას იძენს საარჩევნო კოდექსის 73[1]-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომელიც ადგენს: „ამ კანონით გათვალისწინებული ვალდებულებები საეთერო დროის თანაბრად განაწილების, დებატებში მონაწილეობისას ერთნაირი პირობების შექმნისა და საარჩევნო რეკლამისათვის თანაბარი პირობების დადგენის შესახებ ვრცელდება მხოლოდ კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებთან მიმართებით**

**და მხოლოდ ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით განსაზღვრულ მაუწყებლებზე“.**

საერთო მაუწყებელზე საუბრისას აღნიშნული ნორმა გულისხმობს ყველა იმ ტელე და რადიოსადგურს, რომელთაც აქვთ ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამების სამაუწყებლო ბადეში განთავსების უფლება. ამგვარად, საერთო მაუწყებელში იგულისხმება როგორც საზოგადოებრივი, ისე კომერციული და სათემო მაუწყებელი. საარჩევნო კოდექსის 73[1]-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების წარმოშობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არა მაუწყებლის საკუთრების ფორმას, არამედ იმას, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული როგორი სახეობის ლიცენზია აქვს კონკრეტულ მაუწყებელს — საერთო თუ სპეციალიზებული. ამგვარად, კანონმდებლობის უპირველესი მოთხოვნა ტელე და რადიოსადგურების მიმართ არის ის, რომ ახალი ამბების გამოშვებებში თანაბარი ქრონომეტრაჟით წარმოაჩინოს ყველა კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტი. ეს ვალდებულება ძალაშია კერძო ტელერადიოსადგურების მიმართაც, იმის მიუხედავად, რომ მათი მფლობელები შესაძლოა, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წევრები ან თანამოაზრეები იყვნენ. ახალი ამბების რედაქტორი ან ჟურნალისტი არ უნდა გამოხატავდეს პოლიტიკურ პოზიციას საქმიანობის დროს. ამ დროს გადამწყვეტია არა ჩამოთვლილი სუბიექტების სურვილი, არამედ მოქალაქის უფლება ინფორმირების არჩევანზე.

**2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნების მიმდინარეობის დროს ზოგიერთმა მედიასაშუალებამ შეგნებულად დაარღვია საარჩევნო სუბიექტების შესაძლებლობათა პროპორციული თანასწორობის პრინციპი. 2008 წლის 25 მარტს ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტ თამარ ბაღაშვილზე ოპოზიციის მხარდამჭერთა თავდასხმის შემდეგ „რუსთავი 2“-მა და „მზემ“ერთობლივი საპროტესტო განცხადება გაავრცელეს. მაუწყებელთა განცხადებით, საინფორმაციო საშუალებებს ოპოზიციის ნაწილის ბოიკოტის რეჟიმში უწევდათ მუშაობა. ტელეკომპანიებმა მოუწოდეს ყველა პოლიტიკურ ძალას, შეეწყვიტათ მედიაზე თავდასხმები და მიეცათ ჟურნალისტებისათვის ნორმალური მუშაობის საშუალება. ამ განცხადების გაკეთების შემდეგ სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-მა და „მზემ“ შეწყვიტეს ერთ-ერთი კვალიფიციური სუბიექტის — „გაერთიანებული ოპოზიცია — ეროვნული საბჭო, ახალი მემარჯვენეების“ — საარჩევნო კამპანიის გაშუქება.**

ამ კუთხით გამონაკლისი იყო სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერში ჟურნალისტ ინგა გრიგოლიას პროგრამა „პრაიმ-ტაიმი“, სადაც ზემოხსნებულ საარჩევნო ბლოკს საარჩევნო კამპანიის წარმართვის შესაძლებლობა ჰქონდა. რაც შეეხება აღნიშნული სატელევიზიო სადგურების ახალი ამბების გამოშვებებს, ნებისმიერი ინფორმაცია „გაერთიანებული ოპოზიცია — ეროვნული საბჭო, ახალი მემარჯვენეების“ საარჩევნო კამპანიის თაობაზე მოხსნილი იყო ეთერიდან. საარჩევნო კოდექსის 73[1]-ე მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად, საარჩევნო სუბიექტებისათ-

ვის საარჩევნო საეთერო დროის თანაბრად განაწილებისა და ამ კანონით მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულების კონტროლის მიზნით, მედიამონიტორინგის განხორციელებას უზრუნველყოფს ცესკო უშუალოდ ან მომსახურების შესყიდვით.

2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნების დროს, ცესკოს დაკვეთით, ანალიტიკური ჯგუფი „პრაიმ-ტაიმი“ ატარებდა ელექტრონულ მედიაში საარჩევნო კამპანიის გაშუქების მონიტორინგს. აღნიშნული მონიტორინგის შედეგად ირკვევა, რომ 2008 წლის 10-17 აპრილის პერიოდში სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-მა საინფორმაციო გამოშვებებში ბლოკს — გაერთიანებული ოპოზიცია — ეროვნული საბჭო, ახალი მემარჯვენეები“ დაუთმო 2 წუთი და 4 წამი, მაშინ, როდესაც იმავე პერიოდში „ნაციონალურ მოძრაობას“ დაეთმო 35 წუთი და 38 წამი. იმავე კვლევებით, უფრო საგანგაშო მდგომარეობა იკვეთება ტელეკომპანია „მზის“ ეთერში.

**2008 წლის 10-17 აპრილის პერიოდში საინფორმაციო პროგრამა „მზერამ“ არცერთი წამი არ დაუთმო „გაერთიანებული ოპოზიციის“ საარჩევნო კამპანიას. 2008 წლის 7 აპრილს სახალხო დამცველის ოფისის წინ „გაერთიანებული ოპოზიცია — ეროვნული საბჭო, ახალი მემარჯვენეებისა“ და არასამთავრობო ორგანიზაცია „თანასწორობის ინსტიტუტის“ წარმომადგენლებმა მოაწყეს ბრიფინგი. ეს უკანასკნელი შეეხებოდა ადვოკატ მალხაზ ჯანგირაშვილის შიმშილობის თემას. ბრიფინგის დაწყებამდე „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტმა ტელეკომპანიის მიკროფონი დემონსტრაციულად აიღო და დატოვა ბრიფინგი. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით გაზეთ „ალიასათვის“ მიცემულ ინტერვიუში „კურიერის“ პროდიუსერმა გიორგი ლაფერაშვილმა განაცხადა, რომ სანამ ოპოზიციის მხრიდან არ წამოვიდოდა თანამშრომლობის ინიციატივა, ტელეკომპანია გააგრძელებდა საინფორმაციო ბლოკადას.**

2008 წლის 17 აპრილს „გაერთიანებული ოპოზიცია — ეროვნული საბჭო, ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთმა ლიდერმა დავით გამყრელიძემ საარჩევნო ბლოკის შტაბში პრესკონფერენცია მოიწვია. დავით გამყრელიძემ განაცხადა, რომ საარჩევნო შტაბის კარი ღია იყო „რუსთავი 2“-ისა და „მზის“ ჟურნალისტებისათვის. მიუხედავად ამ განცხადებისა, ზემოხსენებულ ტელეკომპანიებს „გაერთიანებული ოპოზიციისათვის“ ბოიკოტის რეჟიმი არ შეუწყვეტიათ. 2008 წლის 25 აპრილს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2008 წლის 21 მაისის საქართველოს საპარლამენტო არჩევნებზე დაკვირვების სპეციალური კომიტეტი შეხვდა „გაერთიანებული ოპოზიციისა“ და „რუსთავი 2“-ის წარმომადგენლებს. „გაერთიანებული ოპოზიციის“ წევრმა ირაკლი მელაშვილმა განაცხადა, რომ საარჩევნო ბლოკი კამპანიის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების თაობაზე წინასწარ ატყობინებს ტელეკომპანია „მზესა“ და „რუსთავი 2“-ს. აღნიშნული სატელევიზიო არხების ჟურნალისტები არ ესწრებიან „გაერთიანებული ოპოზიციის“ შეხვედრებს. სპეციალური კომიტე-

ტის თავმჯდომარესთან, მათიას იორშთან შეხვედრაზე მყოფმა გიორგი ლაფერაშვილმა ბოიკოტის გამოცხადებაში კვლავ ოპოზიცია დაადანაშაულა, მიუხედავად იმისა, რომ თამარ ბაღაშვილზე განხორციელებული თავდასხმის შემდეგ ოპოზიციამ არაერთხელ გამოთქვა სატელევიზიო სადგურებთან თანამშრომლობის სურვილი. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის ჯგუფთან შეხვედრის შემდეგ, 2008 წლის 25 აპრილს, „რუსთავი 2“-მა და „მზემ“ გაავრცელეს განცხადებები, სადაც აღნიშნული იყო, რომ ისინი „გაერთიანებული ოპოზიციის“ ბოიკოტს წყვეტდნენ და 2008 წლის 28 აპრილიდან აპირებდნენ მათი საარჩევნო კამპანიის გაშუქებას. ბოიკოტის რეჟიმი უარყოფითად შეაფასა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამაც. 2008 წლის 21 მაისის საქართველოს საპარლამენტო არჩევნების დაკვირვების თაობაზე ასამბლეის ბიუროს სპეციალური კომიტეტის (თავმჯდომარე მათიას იორში) მოხსენებაში აღნიშნულია: „სპეციალურ კომიტეტს არ მიაჩნია აუცილებლად, დემოკრატიის პირობებში კერძო საკუთრებაში არსებული მაუწყებელი იყოს ობიექტური და მიუკერძოებელი, ვინაიდან მედიის თავისუფლება იძლევა განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მქონე მაუწყებლების არსებობის შესაძლებლობას... მეორე მხრივ, სპეციალური კომიტეტი მიუთითებს შემთხვევებზე, როდესაც პოლიტიკური პარტიები და ინდივიდუალური კანდიდატები პატივს არ სცემენ იმ ჟურნალისტების ღირსებას, რომლებიც აშუქებენ საარჩევნო კამპანიას, ასევე, პოლიტიკური პარტიები და ინდივიდუალური კანდიდატები არ მონაწილეობენ მედიის მიერ ორგანიზებულ დებატებში. მაგალითად, „რუსთავი 2“-სა და „გაერთიანებული ოპოზიციის“ ორმხრივი ბოიკოტი ზიანს აყენებს ინდივიდის ძირითად უფლებას — მიიღოს ინფორმაცია“. კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებზე საეთერო დროის თანაბრად გადანაწილების პრობლემა არსებობდა რეგიონულ ტელეკომპანიებშიც. „გაერთიანებული ოპოზიცია — ერთიანი ეროვნული საბჭო, ახალი მემარჯვენეების“ საარჩევნო შტაბის უფროსის, იოსებ ბორცვაძის განმარტებით, გორის ტელეკომპანია „თრიალეთი“ საინფორმაციო გამოშვებებში საეთერო დროს არ უთმობდა გორის №32 საარჩევნო ოლქში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ გიორგი მოსიძის ამომრჩეველთან შეხვედრას, მაშინ, როდესაც მისი კონკურენტის, „ნაციონალური მოძრაობა — გამარჯვებული საქართველოსათვის“ დეპუტატობის კანდიდატის ამომრჩეველთან შეხვედრის კადრებს პირდაპირ ეთერშიც კი უჩვენებდა. იოსებ ბორცვაძისვე განმარტებით, „ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო რეკლამის ეთერში გასვლის დროს კადრის კუთხეში არ იყო მითითებული „ფასიანი პოლიტიკური რეკლამა“ ან „უფასო პოლიტიკური რეკლამა“.

**იგივე სურათი იყო შექმნილი სამეგრელოს რეგიონში. „გაერთიანებული ოპოზიცია — ეროვნული საბჭო, მემარჯვენეების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, კობა დავითაშვილის საარჩევნო შტაბის წევრის, ალექსანდრე გეთიას განმარტებით, ზუგდიდის ტელეკომპანია „ოდიშმა,“ რომელიც საერთო მაუწყებელია, კანონის დარღვევით უარი უთხრა ორ კვალიფიციურ სუბიექტს — „გაერთიანებული ოპოზიცია**

**— ეროვნული საბჭო, მემარჯვენეებსა“ და „რესპუბლიკურ პარტიას“ უფასო საეთერო დროის გამოყოფაზე. ამის მიზეზად ტელეკომპანიის ხელმძღვანელობამ დაასახელა საეთერო დროის 30 000 აშშ დოლარად გაყიდვის ფაქტი. აღნიშნული პაკეტი საკუთარი წინასაარჩევნო რეკლამების განთავსების მიზნით „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ შეიძინა. არც კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას, არც ცესკოს საარჩევნო კანონმდებლობის უხეში დარღვევისათვის არ მიუღიათ სათანადო ზომები.**

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ტელეკომპანია „ოდიში“ არის ყოფილი პარლამენტარის, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრის — გრიგოლ ქობალიას საკუთრებაში, ხოლო ტელერადიოკომპანია „თრიალეთი“ შიდა ქართლში სახელმწიფო რწმუნებულის, გუბერნატორის მოადგილის — ბადრი ნანეტაშვილის საკუთრებაში. საარჩევნო პროცესის კანონის შესაბამისად, ორგანიზებაზე, პირველ რიგში, პასუხისმგებელია ცენტრალური საარჩევნო კომისია. სწორედ მის მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგებიდან ირკვეოდა, რომ ტელეკომპანია „მზე“ თავის საინფორმაციო გამოშვებებში, სხვა საარჩევნო სუბიექტებისაგან განსხვავებით, არანაირ საეთერო დროს არ უთმობდა „გაერთიანებულ ოპოზიციას“ და, ამგვარად, არღვევდა ორგანული კანონის — საქართველოს საარჩევნო კოდექსის 73[1]-ე მუხლის პირველ პუნქტს. სწორედ ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვალდებულებას წარმოადგენდა, საარჩევნო სუბიექტებისათვის საეთერო დროის თანაბრად განაწილებისა და კანონით მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულების კონტროლის მიზნით, მედიამონიტორინგის განხორციელება. დარღვევის არსებობის შემთხვევაში, დასკვნების იმ ორგანოსათვის გადაცემა, რომელიც უფლებამოსილია, იმსჯელოს საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისთვის მაუწყებლის სანქცირებაზე. ცენტრალური საარჩევნო კომისია არც კი დაინტერესებულა იმით, საარჩევნო ბლოკის ხელმძღვანელის, დავით გამყრელიძის საჯარო განცხადების მიუხედავად, რატომ არ იყო ტელეკომპანია „რუსთავი 2“ და „მზე“ ერთ-ერთი კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტისათვის ხელმისაწვდომი. ამის მიზეზების ასახსნელად კვლავ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სპეციალური კომიტეტის მოხსენებას უნდა მივმართოთ.

**მოხსენებაში აღნიშნულია: „ცესკოს საქმიანობა არ გამოირჩევა კოლეგიურობითა და დამოუკიდებლობით, როგორც ეს კანონით არის გარანტირებული. ოპოზიციისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა სპეციალური კომიტეტის წევრებს აცნობეს, რომ ცესკო არ არის მიუკერძოებელი. ცესკოს პროფესიულ შემადგენლობას ხშირად აკრიტიკებენ ხელისუფლების გავლენისაკენ მათი მიდრეკილების გამო. ამომრჩეველთა მნიშვნელოვანი ნაწილი არ ენდობა ცესკოსა და ზოგადად საარჩევნო ადმინისტრაციას“. სპეციალური კომიტეტი, ასევე, აღნიშნავს: „საარჩევნო ადმინისტრაცია არ იყენებს მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებას, საკუთარი ინიციატივით გამოიძიოს საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებული დარღვევები. სა-**

**არჩევნო კომისიები და სასამართლოები არ აქცევენ სათანადო ყურადღებას ისეთ საჩივრებსა და მიმართვებს, რომლებიც აშკარად უკავშირდება მმართველ პარტიასა და საჯარო მოხელეებს. ზოგიერთ შემთხვევაში ისინი უარს ამბობენ მოწმეების მოსმენასა და დამატებითი მტკიცებულებების გამოკვლევაზე, იყენებდნენ სამართლის ნორმის საეჭვო ინტერპრეტაციას და სამართლებრივი თვალსაზრისით არ ასაბუთებდნენ თავიანთ გადაწყვეტილებებს".**

ევროპის საბჭოს სპეციალური კომიტეტის შეფასებების შემდეგ სრულიადაც არ არის გასაკვირი, თუ რატომ არ რეაგირებს ცენტრალური საარჩევნო კომისია საკუთარი ინიციატივით საარჩევნო კოდექსის 73[1]-ე მუხლის პირველი პუნქტის დარღვევაზე, როდესაც კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტს კონკურენტებთან თანაბარ მდგომარეობაში არ ეთმობა სატელევიზიო ეთერი. სახალხო დამცველისთვის ცნობილია შემთხვევა, როდესაც ცესკომ საკუთარი ინიციატივით რეაგირება მოახდინა მაუწყებლის მიერ საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევაზე. ამ კონკრეტულ შემთხვევაში დარღვევა არ იყო გამოწვეული მმართველი პარტიის ან მის მიერ წარდგენილი კანდიდატის მიერ. უფრო მეტიც, აღნიშნული დარღვევა უარყოფით გავლენას ახდენდა სწორედ მმართველი პარტიის კანდიდატის ინტერესებზე.

**2008 წლის 5 იანვრის ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების კამპანიის მიმდინარეობის დროს რამდენიმე ტელეარხმა გამოაცხადა საინფორმაციო ცენტრ „საერთო ევროპული საქმის" მიერ „ეგზიტპოლი — საქართველო 2008" პროექტის ფარგლებში საზოგადოებრივი აზრის შესწავლის შედეგები. აღნიშნული კვლევის შედეგების ეთერში გადაცემასთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა ცესკოს იურისტმა. ეს დასკვნა გადაეგზავნა კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას. დასკვნაში აღნიშნული იყო, რომ 2007 წლის 24 დეკემბერს, 20.38 საათზე, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" პროგრამა „მოამბეში" გადაიცა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ შპს „ტელეიმედმა" გაავრცელა საინფორმაციო ანალიტიკური ცენტრის — „საერთო ევროპული საქმის" მიერ „ეგზიტპოლი — საქართველო 2008" პროექტის შედეგები. ეგზიტპოლის მონაცემების გამოცხადების დროს „იმედმა" დაარღვია საქართველოს საარჩევნო კოდექსის 73[1]-ე მუხლის მე-8 პუნქტის მოთხოვნები. კერძოდ, ეგზიტპოლის მონაცემების გამოცხადებისას არ იყო მითითებული მისი ჩატარების მეთოდოლოგიის თაობაზე, რაც კანონმდებლობით სავალდებულოა. აღნიშნული დასკვნის საფუძველზე, კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ მიიჩნია, რომ არსებობდა „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 71-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის გარემოება, რომელიც წარმოადგენდა მაუწყებლის სანქცირების საფუძველს.**

„იმედსა" და „მზეს," რომლებმაც გაავრცელეს ზემოხსენებული ეგ-

ზიტპოლის მონაცემები, დაეკისრათ ჯარიმა 2500 ლარის ოდენობით, ხოლო „რუსთავი 2“-ს იმავე ქმედებისათვის მიეცა გაფრთხილება. „საერთო ევროპული საქმის“ ეგზიტპოლის მონაცემებით, 2008 წლის 5 იანვრის ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებში ლიდერობდა პარტია „თავისუფლების“ პრეზიდენტობის კანდიდატი ლევან გაჩეჩილაძე. ბუნებრივია, აღნიშნული მონაცემების გამოქვეყნება არ იყო მისაღები მმართველი პარტიისათვის. ამ კონკრეტულ შემთხვევაში სრულიად ნათელია, თუ რატომ წარუდგინა ცესკოს იურისტმა დარღვევის შესახებ დასკვნა კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას, რამაც მაუწყებლების მიმართ სანქციის დაკისრება გამოიწვია. ეს მაგალითი კიდევ ერთხელ ადასტურებს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სპეციალური კომიტეტის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ცესკო არ არის მიუკერძოებელი ორგანო და მის ამოცანას არ წარმოადგენს, შეისწავლოს და სათანადო რეაგირება მოახდინოს მედიაში საარჩევნო სუბიექტების არათანაბარ მდგომარეობაში ჩაყენების ფაქტებთან დაკავშირებით. სამაგიეროდ, ცესკო მსგავს ქმედებებზე მხოლოდ მაშინ რეაგირებს, როდესაც ამით ირღვევა მმართველი პარტიის ინტერესები.

# სოციალურ-ეკონომიკური უფლებების დარღვევა

**„სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით დაწესებული შეღავათების ნაცვლად შემოღებულ იქნა საყოფაცხოვრებო სუბსიდიის ცნება. მითითებული კანონის მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, „საყოფაცხოვრებო სუბსიდია არის ფულადი სოციალური დახმარება, რომელიც განკუთვნილია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სოციალურ კატეგორიას მიკუთვნებულ პირთათვის გათვალისწინებული საყოფაცხოვრებო-კომუნალური მომსახურებისა და სხვა ხარჯების ასანაზღაურებლად“, ხოლო საყოფაცხოვრებო სუბსიდიის ოდენობა, მიმღებ პირთა წრე, მისი დანიშვნის, შეჩერების, განახლებისა და შეწყვეტის წესი და პირობები, აგრეთვე, მის გაცემასთან დაკავშირებული სხვა ურთიერთობები დარეგულირდა „სოციალური შეღავათების მონეტიზაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 11 იანვრის №4 დადგენილებით.**

მოცემული დადგენილების მე-4 მუხლით, საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მიღების უფლება აქვთ ქვემოთ ჩამოთვლილი კატეგორიის პირებს შემდეგი ოდენობით: მეორე მსოფლიო ომის, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ინვალიდებს — ყოველთვიურად 44 ლარი; მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებს — ყოველთვიურად 44 ლარი; საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში დაღუპულთა შვილებს 18 წლის ასაკამდე, ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე შვილებს, ასაკის მიუხედავად, აგრეთვე, მეუღლეს, რომელიც შემდეგ აღარ დაქორწინებულა და შრომისუუნარო მშობლებს (თითოეულ ოჯახს) — ყოველთვიურად 44 ლარი; მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებთან გათანაბრებულ პირებს — ყოველთვიურად 22 ლარი; სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების მონაწილეებს — ყოველთვიურად 22 ლარი; მეორე მსოფლიო ომის, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებების დროს ან შემდგომ პერიოდში დაღუპული (უგზო-უკვლოდ დაკარგული, გარდაცვლილი), აგრეთვე, ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების, შემდგომ პერიოდში დაღუპული (უგზო-უკვლოდ დაკარგული, გარდაცვლილი) მეომრების ოჯახის შვილებს, 18 წლის ასაკამდე, ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე შვილებს, ასაკის მიუხედავად, მეუღლეს, რომელიც შემდეგ აღარ დაქორწინებულა და შრომისუუნარო მშობლებს (თითოეულ ოჯახს) — ყოველთვიურად 22 ლარი; სამხედრო ძალების ვეტერანებს მოხუცებულო-

ბის გამო პენსიის ასაკის მიღწევისას — ყოველთვიურად 22 ლარი; ჩერნობილში ბირთვულ ობიექტებზე ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციისას დაინვალიდებულ პირებს — ყოველთვიურად 7 ლარი; ჩერნობილში ბირთვულ ობიექტებზე ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის მონაწილეებს — ყოველთვიურად 7 ლარი.

ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს — ყოველთვიურად 44 ლარი; ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაღუპულთა შრომისუუნარო მშობლებს, შრომისუუნარო მეუღლეს, რომელიც შემდეგ აღარ დაქორწინებულა, არასრულწლოვან შვილს ან/და ნაშვილებს — ყოველთვიურად 44 ლარი; ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებულ პირებს — ყოველთვიურად 22 ლარი.

აღსანიშნავი და საგულისხმოა ის გარემოება, რომ ეს მონეტიზებული თანხა საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მიმღებმა კატეგორიამ უნდა გაანაწილოს ელექტროენერგიაზე, გაზზე, კომუნალურ მომსახურებაზე და ტრანსპორტზე, ანუ ყველა იმ შეღავათზე, რაც ადრე მოქმედი კანონით ცალ-ცალკე იყო გაწერილი და დაფინანსებული. ზედაპირულადვე ჩანდა, რომ გაუქმებული შეღავათების ადეკვატური ვერანაირად ვერ იქნებოდა თვიურად 44 ლარი, მაშინ, როცა სახელმწიფო ამ მომსახურებისთვის, ადრე მოქმედი კანონის თანახმად, ერთ ვეტერანზე საშუალოდ 60 ლარს ხარჯავდა. სწორედ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, კვალიფიციური შეფასებისათვის საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა დამოუკიდებელ ექსპერტ დავით ნარმანიას (ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი), რომლის დასკვნაშიც ნათქვამია: „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის და, შესაბამისად, „სოციალური შეღავათების მონეტიზაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 11 იანვრის №4 დადგენილებით ცალსახად გაუარესდა ვეტერანთა სოციალური მდგომარეობა ადრე არსებულთან შედარებით. ამას მოწვეული ექსპერტი ორი ფაქტორით ხსნიდა:

1. ადრე მოქმედი კანონმდებლობა საშეღავათო სფეროში ელექტროენერგიის გარდა მოიცავდა სხვა კომუნალურ მომსახურებასაც, ცვლილებათა შედეგად კი მხოლოდ ელექტროენერგიის საფასურის სუბსიდირების მონეტიზებულ საფასურს იღებენ ვეტერანები;

**2. ადრე მოქმედი კანონმდებლობის პირობებში თითოეული კატეგორიის ვეტერანი უფრო მეტ ფინანსურ სარგებელს იღებდა, ვიდრე ცვლილებების შემდეგ. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ 1995 წლის 17 ოქტომბრის „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის დანაწესით, „საქართველოს რესპუბლიკის ვეტერანებს ენიჭებათ ამ კანონით, წყლის, სა-**

**ყოფაცხოვრებო და სხვა ნარჩენების გატანის, გაზის, ელექტროენერგიის, ტელეფონის სააბონენტო გადასახადებისაგან გათავისუფლება, აგრეთვე, ქალაქის — საქალაქო ტრანსპორტით (გარდა ტაქსისა) სარგებლობა, სოფლად — საგარეუბნო და საქალაქთაშორისო ტრანსპორტით სარგებლობა“.**

**საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობითა და სხვა ნორმატიული აქტებით განსაზღვრული უფლებები და შეღავათები**. „დაუშვებელია ადრე მოქმედი შეღავათების, უპირატესობების, უფლებების, დახმარების გაუქმება ან გაუარესება, თუ არ იქნა მიღებული სხვა ტოლფასი აქტები“ მოგვიანებით — 2005 წლის 23 დეკემბრის „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ №2458 საქართველოს კანონით გაუქმდა. აღნიშნული გარემოება გვაძლევს შესაძლებლობას, დავასკვნათ, რომ განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები იმთავითვე მიზნად ისახავდა იმ მუხლებისა და პუნქტების გაუქმებას, რაც აწესებდა შეღავათებს ომის ვეტერანთა საყოფაცხოვრებო-კომუნალურ მომსახურებაზე. ამრიგად, მოცემულ შემთხვევაშიც ომის ვეტერანებს გაუუქმდათ არსებული შეღავათები და, შესაბამისად, გაუარესდა მათი სოციალური მდგომარეობა, რაც ეწინააღმდეგება საერთაშორისო აქტებით ნაკისრი ვალდებულებების შინაარსსა და მიზნებს. გარდა ზემოთ ხსენებულისა, აღსანიშნავია საქართველოს მთავრობის 2008 წლის 13 მარტის №61 დადგენილება („სოციალური შეღავათების მონეტიზაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 11 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე), რომლის შესაბამისად, „სოციალური შეღავათების მონეტიზაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 11 იანვრის №4 დადგენილებას დაემატა 4.1 მუხლი შემდეგი რედაქციით: „თუ ამ წესისა და პრინციპების მე-4 მუხლით განსაზღვრული პირი ერთდროულად არის ერთზე მეტი სტატუსის მქონე, რომელსაც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად წარმოეშობა საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მიღების უფლება ერთზე მეტი საფუძვლით, პირს საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მიღების უფლება აქვს მხოლოდ ერთი საფუძვლით — მისივე არჩევით“. ამდენად, განისაზღვრა, რომ ერთდროულად რამდენიმე სტატუსის ფლობისას საყოფაცხოვრებო სუბსიდიას პირი მიიღებს მხოლოდ ერთი საფუძვლით საკუთარი არჩევანისამებრ. მოგვიანებით, 2007 წლის 26 ნოემბერს, ქ. თბილისის საკრებულომ საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივის განსახორციელებლად „რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებში ტარიფების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2007 წლის 8 მაისის გადაწყვეტილებაში ცვლილებები შეიტანა, რომლითაც მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ვეტერანებისა და უსინათლოებისათვის ქ. თბილისში საავტობუსო მარშრუტებზე და მეტროპოლიტენით მგზავრობაზე შეღავათები დააწესა, ანუ ხსენებული კატეგორიისათვის მგზავრობა მეტროპოლიტენითა და ავტობუსით მხოლოდ თბილისის მასშტაბით გახდა უფასო. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც არეგულირებს „სოციალური დახმარების შესახებ“ სა-

ქართველოს კანონი, ეხება 22-ე მუხლს, რომელიც ფულადი სოციალური დახმარების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესს ადგენს. მოცემული მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, პირს უფლება აქვს, თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს, თუმცა მე-2 პუნქტი კრძალავს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის, აგრეთვე, საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი დონისა და ფულადი სოციალური დახმარების ოდენობის გასაჩივრებას.

**საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის 1-ლი პუნქტით, „ყოველ ადამიანს უფლება აქვს, თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს". საქართველოს კონსტიტუციის ეს დანაწესი გულისხმობს, რომ ნებისმიერ პირს, რომელსაც მიაჩნია, რომ დარღვეულია მისი უფლება ან თავისუფლება, შეუძლია სასამართლოსთვის მიმართვა განსაკუთრებული ბარიერების გარეშე.** ამდენად, აღნიშნული მუხლით ყველა პირისათვის გარანტირებულია მისი უფლებების დაცვის შესაძლებლობა სასამართლო წესით. ნებისმიერი სამართლებრივი აქტი, რომელიც სოციალური დაცვის საკითხის დარეგულირებას შეეხება, უნდა მივიჩნიოთ უფლების მარეგულირებელ აქტად. ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, ნებისმიერი აქტი, რომელიც სოციალური დაცვის საკითხს არეგულირებს, ადგენს მისი გამოთვლისა და განსაზღვრის წესს, მის ოდენობას და ა.შ., უფლების განხორციელების მარეგულირებელ აქტს წარმოადგენს. ვინაიდან უფლების მარეგულირებელი აქტის გასაჩივრების დაუშვებლობა ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლს, საქართველოს სახალხო დამცველმა კონსტიტუციური სარჩელით მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს „სოციალური დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის არაკონსტიტუციურად ცნობის თაობაზე. აღნიშნული სარჩელი დღევანდელი მდგომარეობით განხილვის სტადიაზეა. ამგვარად, ქრონოლოგიურად თუ გადავხედავთ საკანონმდებლო ცვლილებებს, ნათლად დავინახავთ, რომ ვეტერანების სოციალური უზრუნველყოფის უფლების თანდათანობითი, სრული რეალიზაციისათვის ქმედითი ღონისძიებები სახელმწიფოს მხრიდან არ გატარებულა. უფრო მეტიც, ვეტერანთა სოციალური მდგომარეობა ნორმატიულ აქტებში განხორციელებული ცვლილებების შედეგად გაუარესდა, ეს მაშინ, როცა საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით აქვს ნაკისრი პოზიტიური ვალდებულება, მის იურისდიქციაში მყოფი პირების ეკონომიკური და სოციალური უფლებების დასაცავად გადადგას კონკრეტული ნაბიჯები სოციალური უზრუნველყოფის

უფლების ეფექტურად რეალიზებისათვის. მით უფრო, რომ სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებენ ადამიანები, რომლებსაც უდიდესი დამსახურება აქვთ საქართველოს წინაშე. ეს სწორედ ის ადამიანები არიან, რომლებიც საკუთარი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ფასად იბრძოდნენ და დაზარალდნენ ომის ან შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად, რომლის დროს ადამიანის უფლებათა სამართალს ემატება ჰუმანიტარული სამართლის გარანტიები. ასევე, მნიშვნელოვანია დახმარების გაწევა იმ პირებისათვის, რომელთა ოჯახის მარჩენალიც შეიარაღებულ კონფლიქტში დაიღუპა. საგულისხმოა, რომ საკანონმდებლო ცვლილებები შეეხო, ასევე, „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზოუკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონს. აღნიშნული კანონით განსაზღვრული იყო განსხვავებული სოციალური დაცვის გარანტიები ვეტერანთა ოჯახის წევრებისათვის.

**ზემოაღნიშნულ აქტში ცვლილებების განხორციელებამდე თუ შეღავათები ვრცელდებოდა მშობლებზე, მიუხედავად მათი ასაკისა, მეუღლეებზე, რომლებიც არ დაქორწინებულან, არასრულწლოვან და სტუდენტ შვილებზე და ოჯახის სხვა შრომისუუნარო წევრებზე, ცვლილებების შემდეგ შეღავათები ვრცელდება მხოლოდ შრომისუუნარო მეუღლეზე, მშობლებსა და შვილებზე და არასრულწლოვან შვილებზე 18 წლის ასაკის მიღწევამდე.** ნიშანდობლივია, რომ ნებისმიერი სახელმწიფო დიდ ყურადღებას უთმობს ვეტერანთა სოციალური უზრუნველყოფის უფლების დასაცავად მყარი გარანტიების შექმნას. სახელმწიფოები მოცემული კატეგორიის პირების სოციალური უზრუნველყოფის უფლების რეალიზაციისათვის დგამენ სათანადო და აუცილებელ ნაბიჯებს სამართლებრივი ღონისძიებების ჩათვლით. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ მიზნის (სოციალური უზრუნველყოფის უფლების დაცვა) მისაღწევად არჩეული საშუალება უნდა იყოს სათანადო და აუცილებელი. საშუალება სათანადოა, თუ იგი უზრუნველყოფს ან ხელს უწყობს დასახული მიზნის მიღწევას. საშუალება აუცილებელია, როდესაც კანონმდებელს არ შეეძლო, აერჩია სხვა, თანაბრად ქმედითი საშუალება, რომელიც არ შეზღუდავდა ან უფრო ნაკლებად შეზღუდავდა ძირითად უფლებებს. უფლებების შეზღუდვა და ინდივიდისთვის დამდგარი ზიანი საზოგადოებრივი ინტერესის გონივრულად პროპორციული უნდა იყოს. საქართველოში საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად ვეტერანებისათვის ნორმატიული აქტებით გარანტირებული შეღავათების გაუქმება, ანუ მინიჭებული უფლებების შეზღუდვა, მაშინ, როცა სახელმწიფო ბიუჯეტიდან ცალკეული სფეროს დაფინანსება (მაგალითად, თავდაცვის სფერო) იზრდება, ცალსახად არაპროპორციულია. სწორედ ამიტომაა აუცილებელი, საქართველოში „სასიკვდილო ხარჯები“ შეცვალოს „სასიცოცხლო ხარჯებმა“, რაც, რესურსების ნაკლებობიდან გამომდინარე, მრავალ, ერთი შეხედვით, გადაუჭრელ პრობლემას გადაწყვეტს როგორც საერთაშორისო, ასევე შიდასახელმწიფოებრივ დონეზე.

# საკუთრების უფლების ხელყოფა

**საკუთრების უფლება წარმოადგენს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებას. საკუთრების უფლების, ისევე, როგორც სხვა ძირითადი უფლებების სამართლებრივ გარანტიას, პირველ რიგში, წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუცია. საქართველოს კონსტიტუციის ძირითადი პრინციპები განსაზღვრავს სახელმწიფოს განვითარების ძირითად მიმართულებებს და ადამიანთან ხელისუფლების შესაძლო ურთიერთობის შინაარსს. ეს პრინციპებია: დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო. საკუთრების უფლება ბუნებითი უფლებაა, რომლის გარეშე შეუძლებელია დემოკრატიული საზოგადოების არსებობა. საკუთრების უფლება ადამიანის არა მარტო არსებობის ელემენტარული საფუძველია, არამედ უზრუნველყოფს მის თავისუფლებას, მისი უნარისა და შესაძლებლობების რეალიზაციას, ცხოვრების საკუთარი პასუხისმგებლობით წარმართვას. საკუთრების უფლებას, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სამოქალაქო სამართალშიც. კერძო საკუთრება, როგორც ინსტიტუტი, საბაზრო ეკონომიკის ბირთვს წარმოადგენს და, შესაბამისად, ის არა მხოლოდ მესაკუთრეებს შორის ეკონომიკური კონკურენციის, არამედ დემოკრატიული სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაცაა. ეს გარემოება, თავის მხრივ, კანონზომიერად განაპირობებს ინდივიდის კერძო ინიციატივებს ეკონომიკურ სფეროში და ხელს უწყობს ეკონომიკური ურთიერთობების, თავისუფალი მეწარმეობის და ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას, უზრუნველყოფს ნორმალურ და სტაბილურ სამოქალაქო ბრუნვას. უშუალოდ საკუთრების უფლების კონკრეტული კონსტიტუციური გარანტია ასახულია საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ პუნქტში, სადაც აღნიშნულია: „საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია“. საკუთრების, როგორც ძირითადი უფლების, გარანტია მოიცავს, ერთი მხრივ, სახელმწიფოს ვალდებულებას, კონსტიტუციის 21-ე მუხლის მოთხოვნების შესაბამისი სამართლებრივი და ინსტიტუციური მექანიზმების შექმნით დაიცვას ეს უფლება და, მეორე მხრივ, თითოეული მესაკუთრის უფლებას, თავი დაიცვას ნებისმიერი, მათ შორის, სახელმწიფოს გაუმართლებელი ჩარევისაგან (აღნიშნული უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით) და დარღვეული უფლების დასაცავად მიმართოს სასამართლოს.**

უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში საქართველოში საკუთრების უფლების დარღვევის არაერთი ფორმა გამოვლინდა. უმრავლეს შემთხვევაში, საკუთრების უფლების ხელყოფა ხდებოდა სწორედ სახელმწიფოს მხრიდან, სამართალდამცავი და სხვა სახელმწიფო ორგანოების მეშვეობით. იყო შემთხვევები, როდესაც საკუთრების უფლების დარღვევის ფაქ-

ტები გაუხმაურებელი დარჩა, ვინაიდან მესაკუთრეებს (ან, უფრო ზუსტად, ყოფილ მესაკუთრეებს) ეშინოდათ, განეცხადებინათ მათი უფლების დარღვევის შესახებ, რადგან მოელოდნენ, რომ ასეთ შემთხვევაში მათ წინააღმდეგ აღიძვრებოდა სისხლის სამართლის საქმეები და დაიწყებოდა მათი დევნა. იმ საქმეთა უმრავლესობაზე, სადაც ნათლად ჩანდა კანონის უხეში დარღვევა, სახალხო დამცველის რეკომენდაციებს არცერთი კუთხით არ მოჰყოლია სათანადო რეაგირება — არც დამნაშავეები დასჯილან და არც მესაკუთრეთა უფლებები აღდგენილა. დღემდე არ გამოძიებულა საკუთრების უფლების დარღვევის ისეთი სერიოზული შემთხვევები, როგორიცაა: ჰუსეინ ალის საქმე, შირნჰოფერისა და ბადაგონის საქმეები, უკანასკნელი წლების მანძილზე ხდებოდა საწარმოების მესაკუთრეთა დაშინება და იძულება, საკუთარი ნებით გადაეცათ სახელმწიფოსათვის მათ საკუთრებაში არსებული ქონება.

უკლებლივ ყველა შემთხვევაში სახელმწიფოსთვის „გადაცემული“ საკუთრება გაიყიდა ხელმეორედ, როგორც წესი, ხელისუფლებასთან დაახლოებულ პირებზე ან ბიზნესსტრუქტურებზე.

საქართველოს სახალხო დამცველი თითქმის ყველა მოხსენებაში უთითებდა მოქალაქე ჯემალ წიკლაურის უფლებების დარღვევის შესახებ, რომელიც აიძულეს, სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაეცა გორის აგრარული ბაზრობის ტერიტორია.

იძულებით ნაჩუქრობას ეხება მოქალაქე დავით ციბირაშვილის საქმეც. საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტაციით გამოირკვა, რომ განმცხადებელი შპს „გოგირდის აბანოს“ დამფუძნებელი და დირექტორი იყო. შპს-ს საკუთრებაში 2006 წლის 14 დეკემბრამდე იმყოფებოდა აბანოს ქ. №2-ში მდებარე უძრავი ქონება, კერძოდ, 233 კვ მ მიწის ფართობი და მასზე აღმართული შენობა-ნაგებობა (აბანო). განმცხადებელმა განმარტა, რომ მას, როგორც დამფუძნებელს და საწარმოს დირექტორს, მოსთხოვეს, საკუთრება უსასყიდლოდ გადაეცა სახელმწიფოსთვის. იმის გამო, რომ პიროვნებას არ სურდა ქონების გაჩუქება, ქალაქ თბილისის პროკურატურის თანამშრომლები ვალერი ლაცუზბაია და გიორგი ხვედელიძე სისტემატურად ემუქრებოდნენ ციბირაშვილს და მის ოჯახს, რომ ბრალს დასდებდნენ სისხლის სამართლის დანაშაულში და ციხეში ჩასვამდნენ. მოლაპარაკებები სპორტის, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროშიც მიმდინარეობდა, რის შემდეგაც განმცხადებელი და მისი ოჯახის წევრები პროკურატურის თანამშრომლის თანხლებით ნოტარიუსთან მივიდნენ და 2006 წლის 20 ნოემბერს, საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ, იძულებით მოაწერეს ხელი ჩუქების ხელშეკრულებას. იძულებითი ჩუქების გარდა, სახალხო დამცველის აპარატში განხილულია ისეთი საქმეებიც, როცა მესაკუთრეებს მათი ნების საწინააღმდეგოდ გაასხვისებინეს (გააყიდვინეს) ქონება. მაგალითად, ქალაქ სიღნაღში, მოქალაქეებს — მანანა მაჭარაშვილსა და თამარ თარაშვილს მუქარისა და დაშინების შედეგად გააყიდვინეს ქონება. მოცემულ შემთხვევაში, მიწის ნაკვეთების მყიდველი ერთი და იგივე პიროვნება აღმოჩნდა.

სახალხო დამცველის აპარატში შესულ არაერთ განცხადებაშია აღნიშნული, რომ სახელმწიფო კერძო მესაკუთრეთა კუთვნილ ტერიტორიაზე, მე-

საკუთრეთა სურვილის და ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, აშენებდა სხვადასხვა ობიექტებს, როგორებიცაა, მაგალითად: საბავშვო სტადიონი, წყლის რეზერვუარები და სხვა. ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე თბილისის მერიის მიერ განხორციელებული უკანონო მშენებლობებისათვის უნდა დაისვას ქალაქ თბილისის მერის — გიორგი უგულავას და ვიცე-მერის (ადმინისტრაციის უფროსის) — მამუკა ახვლედიანის პასუხისმგებლობის საკითხი.

ზემოხსენებული ფაქტების არსებობა, მათი გამოუძიებლობა და დამნაშავეთა დაუსჯელობა არღვევს საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, ხელს უშლის საზოგადოებაში დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებას და უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტზე.

2008 წლის პირველ ნახევარში სახალხო დამცველის აპარატმა განიხილა მოქალაქეების — ლევან ტერაშვილისა და დავით კეკელიშვილის განცხადებები. აღნიშნული პირები ამირან გიგუაშვილთან, გელა ნასყიდაშვილთან, ვასილ მახარაშვილთან, თეიმურაზ გოგიტიძესთან, იოსებ გიგუაშვილთან, მარლენ ნადირაძესთან, მიხეილ ქარელთან, ნიკა რამიშვილთან და თავდაცვის ყოფილ მინისტრ ირაკლი ოქრუაშვილთან ერთად არიან თბილისში, ათონელის ქ. №27-ში მდებარე უძრავი ქონების (შენობა და 371 კვ მ ფართის მიწის ნაკვეთი თბილისის პრესტიჟულ რაიონშია) მესაკუთრეები.

2007 წლის 6 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე მილერი ხარებავამ განიხილა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს გამომძიებელ გ. გოგლიძის შუამდგომლობა და გამოსცა ბრძანება ბრალდებულის — ირაკლი ოქრუაშვილის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ. ქონების დაყადაღების შემდეგ შენობა დაიკავა დაცვის პოლიციამ, რომელსაც დაევალა, შენობაში არ შეეშვა არცერთი პირი, მათ შორის, არც ქონების დანარჩენი მესაკუთრეები (შენობაში არც სახალხო დამცველის რწმუნებულები შეუშვეს). საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია და არ დაუსაბუთებია დანარჩენ მესაკუთრეთა საკუთრების უფლების შეზღუდვის საფუძვლების შესახებ. გარდა იმისა, რომ სადავოა სასამართლოს მიერ მთლიან ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ ბრძანების კანონიერება, მესაკუთრეთა საკუთრების უფლება უხეშად დაირღვა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის „დაცვის პოლიციის დეპარტამენტის“ მიერ განმცხადებლების კუთვნილი შენობის ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე დაკავებით, რაც წარმოადგენდა პოლიციელთა მხრიდან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას. საქართველოს სახალხო დამცველმა ორჯერ მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურატურას, ჩაეტარებინა წინასწარი გამოძიება აღნიშნულ ფაქტზე, მაგრამ ორივე მიმართვა სათანადო პასუხისა და რეაგირების გარეშე დარჩა, რითაც დაირღვა საქართველოს სისხლის სამართლის

საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, „დანაშაულის ჩადენის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში გამომძიებელი, პროკურორი, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, ვალდებულნი არიან, დაიწყონ წინასწარი გამოძიება“.

**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანი“ შეიქმნა 2005 წლის დასაწყისში და მის დამფუძნებლებს წარმოადგენდნენ თურქეთის მოქალაქეები: ოსმან ერსაინი, ისმაილ ქაზმაზი და საქართველოს მოქალაქე ქიბარ ხალვაში. 2007 წლის 23 ოქტომბერს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის (რომელიც უშუალოდ აწარმოებდა მოლაპარაკებებს) და მისი თანაშემწის — რეზო ჭარბაძის მიერ (ნაცნობ ნოტარიუსთან, თბილისში, რუსთაველის გამზირის №28/2-ში) ღამის სამ საათზე შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანის“ საწესდებო კაპიტალიდან ქიბარ ხალვაშის, ისმაილ ქაზმაზის და ოსმან ერსაინის კუთვნილი წილები მალხაზ ოსაძესა და ზაზა გოცირიძეზე გადაფორმდა. ზაზა გოცირიძე გახდა კომპანიის 75%-ის მფლობელი, ხოლო მალხაზ ოსაძე — 25%-ის. სახალხო დამცველის აპარატში წარდგენილი მასალები ადასტურებს, რომ შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანის“ წილების გადაფორმება განხორციელდა სხვადასხვა არამართლზომიერი მეთოდების გამოყენებით, ასევე, დიდი ზეწოლის და კომპანიის მესაკუთრეთა იძულების შედეგად.** კომპანიის წილების გადაფორმება უშუალოდ უკავშირდებოდა თავდაცვის ყოფილი მინისტრ ირაკლი ოქრუაშვილის გირაოს თანხის გადახდას. სახელმწიფო თანამდებობის პირები, რომლებიც უშუალოდ იყვნენ ჩართული მოლაპარაკებების პროცესებში, დაინტერესებული იყვნენ, გირაოს თანხა მხოლოდ ქიბარ ხალვაშს გადაერიცხა. ამას კი ქიბარ ხალვაში

არ დათანხმდა. წილების გადაფორმების შემდეგ ბრალდებულ ირაკლი ოქრუაშვილის გირაოში ჩაირიცხა სწორედ ის თანხა, რომელიც კომპანიას სახელმწიფოსაგან უნდა მიეღო შესრულებული სამუშაოების სანაცვლოდ. გირაოს გადარიცხვა კომპანიის ახალმა დირექტორმა მალხაზ ოსაძემ განახორციელა და არა ქიბარ ხალვაშმა, როგორც ეს გენერალური პროკურორის მოადგილე ნიკა გვარამიამ გააჟღერა საინფორმაციო საშუალებებით. ხელისუფლებას სურდა, ამ თანხის გადახდა ქიბარ ხალვაშთან ყოფილიყო დაკავშირებული, რაკი იგი ოქრუაშვილის (იხ. ზემოთ) მეგობარი და ბიზნესპარტნიორი იყო. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქიბარ ხალვაშის, ოსმან ერსაინის და ისმაილ ქაზმაზის განცხადებებში საქართველოს ხელისუფლების ორგანოების მიმართ გამოთქმული უკმაყოფილება აშკარად საფუძვლიანია და საწარმოს პარტნიორების (მესაკუთრეების) უფლებები უხეშადაა დარღვეული, რისთვისაც უნდა დაისაჯოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე ბაჩო ახალაია, მისი თანაშემწე რეზო ჭარბაძე, საქართველოს გენერალური პროკურატურის ხელმძღვანელები და თანამდებობის ყველა ის პირი, რომლებმაც აიძულეს კომპანიის მესაკუთრეები, გადაერიცხათ გირაოს თანხა.

## ზურაბ ჯანგველაძის საქმე

1991 წელს თბილისში, ურიდიას ქუჩა (ყოფილი ჩოდრიშვილი) №193, სახლის მიმდებარედ (ნაძალადევის რაიონი) მოქალაქე ზურაბ ჯანგველაძეს ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის გამოეყო 300 კვ მ მიწის ნაკვეთი. აღნიშნულს ადასტურებს თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული მიწის გეგმა. 2006 წლის 29 ნოემბრიდან ზურაბ ჯანგველაძე არის ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის რეგისტრირებული კანონიერი მესაკუთრე, რასაც ადასტურებს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. საქმესთან ერთად წარმოდგენილია ინფორმაცია თბილისის მერიის ვებგვერდიდან, სადაც საუბარია ახალი მოედნის მშენებლობაზე ნაძალადევის რაიონში. კერძოდ, პირადად თბილისის მერი გიგი უგულავა ინტერვიუში აცხადებს: „კიდევ ერთი სტადიონი შეემატება თბილისს. მართალია, მჭიდროდ დასახლებული უბანია, მაგრამ ადგილი გამოინახა და სტადიონიც დამონტაჟდა. აქვე საბავშვო სკვერიც მოეწყობა“... ადვოკატ როინ მიგრიაულის განცხადებით, აღნიშნული სტადიონის ნაწილმა გადაფარა მოქალაქე ზურაბ ჯანგველაძის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის გარკვეული ფართი (დაახლ. 50 კვ მ). აღნიშნულს უტყუარად ადასტურებს შპს „ინი-ჯგუფის“ მიერ განხორციელებული მიწის ნაკვეთის დაკვალვის აქტი, რომლის დასკვნით ნაწილში ნათლად არის აღნიშნული, რომ A1 ძირითად ღერძთან მიწის ნაკვეთის 38.1 კვ მ გადაფარულია სპორტული მოედნით, ხოლო მიწის ნაკვეთის A1 და A4 ძირითად ღერძებს შორის გაშენებულია მსუბუქი კონსტრუქციული სახის ნაგებობა. როგორც ადვოკატი განმარტავს, საბავშვო სკვერის ნაცვლად დაკავებულ ფართობზე მოეწყო „სამწვადე“. აღსანიშნავია, რომ მოქალაქე ზურაბ ჯანგველაძემ არაერთხელ აცნობა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, რომ სტადიონის მშენებლობა მიმდინარეობდა მის საკუთ-

რებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, თუმცა ამას სათანადო რეაგირება არ მოჰყოლია. სტადიონის მშენებლობა განხორციელდა და 2008 წლის 13 ივნისს იგი პომპეზურ ვითარებაში გაიხსნა. საჩივრისა და წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის შედეგად საქართველოს სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ მოქალაქე ზურაბ ჯანგველაძის კონსტიტუციით გარანტირებული საკუთრების უფლება უხეშად დაირღვა. საქართველოს სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ ერთი სიკეთის შექმნით არ უნდა იქნეს ხელყოფილი მეორე სამართლებრივი სიკეთე, რასაც მოცემულ შემთხვევაში აქვს ადგილი. საკუთრების უფლება ერთ-ერთი ყველაზე მყარად დაცული და გარანტირებული უფლებაა. „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, 2008 წლის 23 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა ქ.თბილისის მერიას, შეესწავლა აღნიშნული საკითხი, უზრუნველეყო ურიდიას ქუჩა (ყოფილი ჩოდრიშვილი) №193-ის მიმდებარედ მოქალაქე ზურაბ ჯანგველაძის საკუთრებაში არსებული მიწის ფართობის (300 კვ მ) პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნება, რათა არ შელახულიყო მოქალაქის საკუთრების უფლება. აგრეთვე, ამავე კანონის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ემსჯელა იმ პირთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ, რომელთაც ვერ უზრუნველყვეს სათამაშო მოედნის კანონის ფარგლებში მშენებლობა, რამაც გამოიწვია ზ.ჯანგველაძის საკუთრების უფლების შელახვა. თბილისის მერიის 2008 წლის 16 ოქტომბრის პასუხიდან ირკვევა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მერიაში დაწყებულია ადმინისტრაციული წარმოება. შედეგი დღეისათვის უცნობია.

## კომპოზიტორების სახლის საქმე

საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარე კახა ცაბაძემ. განცხადებიდან და წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ 1967 წლის 21 მარტის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს №172 დადგენილებით, ნება დაერთო საქართველოს კომპოზიტორთა კავშირს, ქალაქ-კურორტ ბორჯომში აეშენებინა პანსიონატები შემოქმედებითი მუშაობისათვის. 1967 წლის 27 მარტის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს №195 დადგენილებით, დაევალა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირისათვის მუდმივ სარგებლობაში გამოეყო ბორჯომის სატყეო მეურნეობის ჩარხისწყლის სატყეოს 17 კვარტალში, 26 კომისრის სახელობის პლატოზე, კაკლის ხეივნის ტერიტორიიდან 4 ჰექტარი მიწის ნაკვეთი, მათ შორის 2,6 ჰექტარი ტყით დაფარული, ხოლო მშენებლობისათვის — 1,3 ჰექტარი ტყით დაუფარავი ნაკვეთი. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის №244 ბრძანებაში აღნიშნულია, რომ 1967 წლის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს №195 დადგენილების შესაბამისად, სატყეო მეურნეობის დირექტორს, გოცირიძეს დაევალა ბორჯომის სატყეო მეურნეობის ჩარხისწყლის სატყეოს 17 კვარტალში, 26 კომისრის სახელობის პლატოზე, კაკლის

ხეივნის ტერიტორიიდან 4 ჰექტარი მიწის ნაკვეთის საქართველოს სსრ კომპოზიტორთა კავშირზე გადაცემის გაფორმება ტიპური აქტით ფორმა 3-ით, ასევე ტყის ფონდის აღრიცხვის მასალებში და ფართობის გამოყოფის აღრიცხვის წიგნში სათანადო ცვლილებების შეტანა და ტიპური აქტის სქემატურ ნახაზებთან ერთად წარმოდგენა სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტში.

საქართველოს სსრ კომპოზიტორთა კავშირის 1970 წლის 28 იანვრის №1 ოქმით დასტურდება, რომ ბორჯომის კომპოზიტორთა სახლის მშენებლობისთვის თანხების გამოყოფას საქართველოს კომპოზიტორთა კავშირი ახდენდა. საქართველოს კომპოზიტორთა კავშირმა გამგეობის სხდომის 1996 წლის 5 ივნისის №3 ოქმით დააფუძნა შპს „მუსიკალური ფონდი", რომელიც რეგისტრაციაში გატარდა ქ.თბილისის საბურთალოს რაიონის სასამართლოს 1996 წლის 5 აგვისტოს 5ა/4–479 დადგენილების საფუძველზე.

2005 წლის 14 ივნისის ტექნიკურ პასპორტში ქ. ბორჯომში პლატოს ტერიტორიაზე განთავსებული „კომპოზიტორთა სახლის" მფლობელის გრაფაში აღნიშნულია შპს „მუსიკალური ფონდი". 2006 წლის 15 მაისის მიღება-ჩაბარების აქტში განმარტებულია, რომ შპს „მუსიკალური ფონდის" მიერ ექსპლუატაციაში მისაღებად წარმოდგენილი კომპოზიტორთა დასასვენებელი სახლი მიღებულია ექსპლუატაციაში. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სატყეო მეურნეობის დეპარტამენტი 2006 წლის 17 მაისის წერილში ადასტურებს, რომ საქართველოს კომპოზიტორთა კავშირს ბორჯომის სატყეო მეურნეობის ჩარხისწყლის სატყეოდან, ტყის ფონდიდან ამორიცხვით, გადაეცა 4,0 ჰა ფართობი. ზემოაღნიშნული საბუთები და სხვა მრავალი საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითმა კავშირმა და შპს „მუსიკალურმა ფონდმა" წარადგინეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბორჯომის სარეგისტრაციო სამსახურში საკუთრების უფლების რეგისტრაციისათვის 2005 წლის სექტემბერში.

მიუხედავად ყოველივე ზემოაღნიშნულისა, 2006 წლის 15 დეკემბერს საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ სარეგისტრაციო ზონა ბორჯომის რაიონი, კოდი 64, სექტორი ქალაქი ბორჯომი, კოდი 03, კვარტალი 10, ნაკვეთი 124, ფართობი 95600 კვ მ დაარეგისტრირა სახელმწიფო საკუთრებად. რეგისტრაციის შედეგად სახელმწიფოს კუთვნილებაში გაფორმდა „კომპოზიტორთა დასასვენებელი სახლი", რვა სართული, რამდენიმე კოტეჯი, დამხმარე შენობები. უფლების დამადასტურებელ საბუთად წარდგენილი იყო ბორჯომის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს 2006 წლის 15 დეკემბრის №546 მომართვა, 2006 წლის 14 დეკემბერს დამზადებული მიწის ნაკვეთის გენგეგმა და შპს „ლეკოს" მიერ 2006 წლის 12 დეკემბერს შედგენილი შენობა-ნაგებობის ტექნიკური პასპორტი. საყურადღებოა, რომ 2005 წლის 14 ივნისის ტექნიკური პასპორტი, სადაც ქ.ბორჯომში პლატოს ტერიტორიაზე განთავსებული „კომპოზიტორთა სახლის" მფლობელის გრაფაში აღნიშნულია შპს „მუსიკალური ფონდი," დამზადებულია, ასევე, შპს „ლეკოს" მიერ. ამასთან დაკავშირებით სახალხო დამცველის აპარატმა მიმარ-

თა შპს „ლეკოს“ დირექტორს, ბატონ ლ. კიკაძეს ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით, ერთ ობიექტზე (ბორჯომის კომპოზიტორთა დასასვენებელ სახლზე) ორი ინდივიდუალური ტექნიკური პასპორტის გაცემის ვითარების შესახებ. შპს „ლეკოს“ დირექტორ ლ. კიკაძის მიერ მოწერილ წერილში აღნიშნულია, რომ 2005 წელს კომპოზიტორთა შემოქმედების ადმინისტრაციის დაკვეთით მართლაც შეადგინა ტექნიკური პასპორტი. რაც შეეხება მომდევნო წლებში კომპოზიტორთა შემოქმედებით შენობაზე ტექნიკური პასპორტის შედგენას, შპს „ლეკოს“ დირექტორის განმარტებით, იგი მას სიტყვიერად დაავალა სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების ბორჯომის სამმართველომ, მაგრამ ტექნიკური პასპორტის შედგენა არ მომხდარა. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2006 წლის 13 დეკემბრის N800 ბრძანების („უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“) მე-11 მუხლში აღნიშნულია, რომ რეგისტრაციის საკითხებზე მარეგისტრირებელი ორგანო გამოსცემს გადაწყვეტილებას, რომელიც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია, რადგან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზეა გამოცემული და აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ზემოაღნიშნული რეგისტრაციის განხორციელების დროს დარღვეულია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმალური მხარე. ადმინისტრაციული აქტის ფორმალური კანონიერება დაკავშირებულია მისი გამოცემის პროცესთან და მოითხოვს, რომ ის გამოიცეს უფლებამოსილი ორგანოს მიერ, მისი გამოცემისათვის კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დაცვით და შესაბამისი ფორმით. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა გამოიცეს საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის საფუძველზე. ამავე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად კი, „ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის, თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს.“

გამომდინარე იქიდან, რომ შპს „მუსფონდს“ ბორჯომის კომპოზიტორთა სახლსა და მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციაზე განცხადება ჰქონდა შეტანილი და ადმინისტრაციული წარმოებაც დაწყებული იყო აღნიშნულ საკითხზე, იგი წარმოადგენდა დაინტერესებულ მხარეს. შესაბამისად, ზემოაღნიშნული ქონების სახელმწიფოს სახელზე საკუთრების უფლების რეგისტრაციასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობის დროს ადმინისტრაციული ორგანო, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის თანახმად, ვალდებული იყო, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ეცნობებინა დაინტერესებული მხარისათვის, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აუარესებდა მის სამართლებრივ მდგომარეობას და უზრუნველეყო მის მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში. მიუხე-

დავად კანონით დადგენილი მოთხოვნებისა, საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ არ ჩართო ადმინისტრაციულ წარმოებაში კომპოზიტორთა კავშირი და ჰქონდა რა ორი სხვადასხვა განცხადება ერთსა და იმავე მიწის ნაკვეთზე, საკუთრების უფლება სახელმწიფოზე დაარეგისტრირა საკითხის ყოველგვარი კრიტიკული შესწავლის გარეშე.

იურიდიული ნიუანსების ეშმაკურ ხლართებს რომ არ გამოვეკიდოთ, ვთქვათ, რომ სახელმწიფომ მარტივად ჩამოართვა პრესტიჟული და ფართო მიწის ნაკვეთი საქვეყნოდ ცნობილ კურორტზე ქართველ კომპოზიტორთა საზოგადოებრივ გაერთიანებას.

## ინა გუდავაძის საქმე

ინა გუდავაძე

მოქალაქე ინა გუდავაძის წარმომადგენლებმა — ლაშა ბირკაიამ და კობა კვანტალიანმა 2008 წლის 15 მაისს, 1 აგვისტოს და 22 ოქტომბერს საჯარო ინფორმაციის მისაღებად წერილობით მიმართეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის განყოფილებას, რომლითაც ითხოვდნენ ქვემოთ აღნიშნული სამეწარმეო სუბიექტების მონაცემებს სამეწარმეო რეესტრიდან, კერძოდ: სს „ი-მედია“, შპს „ტელეიმედი“, შპს „ტექნომედია“, შპს „არტ-იმედი“, შპს „ინტერ-პრესი“, შპს „იმედი კონტაქტი“, შპს „მთავარი გაზეთი“, შპს „რადიო იმედი“, სს „ჯეი ემ ჯი კონსალტინგ გრუპი“, სს „ცირკი“, შპს „თემი და ჯგუფი“, შპს „ფისკი“, შპს „გამა+“, შპს „პაკარდი“, შპს „ტლ კომპანი“, შპს „უნივერსალი“, შპს „ლინქსი“, შპს „მთაწმინდა ლინქსი“, შპს „ტრასტ კომპანი“, შპს „სოციოლოგიურ კვლევათა ცენტრი“, სს „საწარმოო გაერთიანება მაუდი“, შპს საფეხბურთო კლუბი „მაუდი“, სს „ტელენეტი“, შპს „სი-აი სერვისი“, შპს „ცენტრინვესტი“, შპს „ბეტა“, შპს „საქართველოს კომერციული ცენტრი“, შპს „ატვ“, შპს „იურიდიული კომპანია ლობი“, „საქართველოს ოლიმპიური ფონდი“, „ა.პატარკაციშვილის საქველმოქმედო ფონდი“ („გამარჯვება“), ფონდი „იმედის ქალაქისკენ“, შპს „საფეხბურთო კლუბი დინამო თბილისი“, შპს „პროფესიონალური საკალათბურთო კლუბი თბილისის დინამო“, კავშირი „შპს საფეხბურთო კლუბ „დინამო თბილისის“ გულშემატკივართა კლუბი“, შპს „ტსბ“, შპს „ზურგოვანი“, შპს „დაცვის საერთაშორისო სამსახური“, შპს „ოკნოსისტემური ტექნოლოგიები“, ფონდი „კავკასიის განვითარების ცენტრი“, შპს „გეოჰორტი“. როგორც თავად განმცხადებლები აღნიშნავდნენ, გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია ზემოდასახელებულმა ადმინისტრაციულმა ორგანომ არ გასცა.

საქართველოს უზენაესი კანონის — კონსტიტუციის 41-ე მუხლის თანახმად, „საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს, კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას“, 45-ე მუხლით კი განსაზღვრულია, რომ „კონსტიტუციაში მითითებული ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, მათი შინაარსის გათვალისწინებით, ვრცელდება აგრეთვე იურიდიულ პირებზე“. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, „სამეწარმეო რეესტრში შეტანილი მონაცემები საჯაროა. ნებისმიერ პირს შეუძლია გაეცნოს სამეწარმეო რეესტრის მონაცემებს და საწარმოს მარეგისტრირებელ საგადასახადო ორგანოში მიიღოს ამონაწერი რეესტრიდან. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან უნდა გაიცეს დაუყოვნებლივ, პირის მოთხოვნისთანავე.“ ამავე დროს, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, „ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს, აგრეთვე, გაეცნოს ინფორმაციას დედანში. თუ არსებობს დედნის დაზიანების საფრთხე, საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს ზედამხედველობის ქვეშ მისი გაცნობის შესაძლებლობა ან წარუდგინოს სათანადო წესით დამოწმებული ასლი“. ხოლო, ამავე კოდექსის მე-40 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს საჯარო ინფორმაცია დაუყოვნებლივ ან არა უგვიანეს 10 დღისა.“ იმ შემთხვევაშიც კი, თუ აუცილებელია ათდღიანი ვადის გამოყენება, ამის თაობაზეც დაუყოვნებლივ წერილობით უნდა ეცნობოს განმცხადებელს. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 41-ე მუხლის დანაწესის მიხედვით, საჯარო დაწესებულების უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე განმცხადებელს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ დარღვეულია საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით კანონით დადგენილი მოთხოვნები და ვადები, რაც, თავის მხრივ, არღვევს მოქალაქე ინა გუდავაძის უფლებებს. შესაბამისად, „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, 2008 წლის 12 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) უფროსს, დაუყოვნებლივ გაეცა ზემოხსენებულ პირებზე მათ მიერ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია, ხოლო, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 78-ე და 79-ე მუხლების შესაბამისად, ემსჯელა იმ პირთა დისციპლინარული პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს განმცხადებლისთვის საჯარო ინფორმაციის დროულად გადაცემა.

ცხადია, მოცემულ შემთხვევაში საქმე ეხება აწ გარდაცვლილი მეწარმე ბადრი პატარკაციშვილის ქონების მითვისების შესაძლო ფაქტების დამალვის მცდელობას.

# უძრავი ქონების უკანონო დემონტაჟი

**კერძო პირთა საკუთრებაში არსებული შენობების დემონტაჟი თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ უკანონოდ ხორციელდებოდა (თანაც, ღამით) და დაზარალებულ მოქალაქეებს უნდა მიეღოთ სათანადო კომპენსაციები თავიანთი ქონების სანაცვლოდ. ასეთი კატეგორიის საქმეების შესწავლამ ცხადყო, რომ დემონტაჟი ხდებოდა ქალაქ თბილისის მთავრობის შეგნებული (მიზანმიმართული) პოლიტიკის მეშვეობით და, შესაბამისად, უნდა დადგეს როგორც მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსის — ლაშა მაქაცარიას, ასევე, ქალაქის მერის და მთავრობის წევრთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი.**

2007 წელს არაერთხელ დაფიქსირდა ადმინისტრაციული ორგანოების მიერ სხვადასხვა იურიდიულ პირებთან (საწარმოებთან) ხელშეკრულებების არაკანონიერად შეწყვეტისა და პოლიცის საშუალებით იურიდიული ადგილსამყოფელიდან გამოსახლების ფაქტები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველი „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, მოვალეა, ამ შემთხვევაშიც მოახდინოს რეაგირება ადმინისტრაციული ორგანოს უკანონო ქმედებებზე, თუ ამას შესაბამისი სამართალურთიერთობის მეორე მხარე სადავოდ ხდის და თუ ირღვევა მისი უფლებები. შპს „სონიცენტრი თბილისი“ და შპს „ლაზერი-2 თბილისი“ რეგისტრირებულია საქართველოში და წარმოადგენენ კორპორაცია „SONY“-ს სტრატეგიულ პარტნიორებს საქართველოში. აღნიშნული საწარმოების საქმიანობის მიზანია კორპორაცია „SONY“-ის პროდუქციის რეკლამირება და რეალიზაცია. შპს „სონიცენტრი თბილისის“ და შპს „ლაზერი-2 თბილისის“ იურიდიული მისამართი იყო: თბილისი, რუსთაველის №30. აქ ფართს საწარმოები 2006 წლის პირველ იანვარს მოქალაქე მზია კაკაბაძესთან — უძრავი ქონების მესაკუთრესთან გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე ფლობდნენ. ხელშეკრულება ძალაში შევიდა მისი დადებისთანავე და მოქმედების ვადა განისაზღვრა 9 წლით, 2015 წლის პირველ იანვრამდე.

2006 წლის 23 ნოემბერს მზია კაკაბაძემ ჩუქების ხელშეკრულებით საიჯარო ფართზე საკუთრების უფლება გადასცა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, რომელმაც მაშინვე განიზრახა ხელშეკრულებიდან გასვლა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 581-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „იჯარის ხელშეკრულების“ მიმართ გამოიყენება ქირავნობის ხელშეკრულების წესები, თუ 581-606-ე მუხლებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. 572-ე მუხლით კი განსაზღვრულია, რომ, „თუ გამქირავებელი გაქირავებულ ნივთს მესამე პირზე გაასხვისებს დამქირავებლისათვის მისი გადაცემის შემდეგ, შემძენი იკავებს გამქირავებლის ადგილს და მასზე გადადის ქირავნობის ურთიერთობიდან გამომდი-

ნარე უფლებები და მოვალეობები“. აღნიშნული ნორმების იმპერატიული დანაწესიდან გამომდინარე, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო ვალდებული იყო, მისი ნებისაგან დამოუკიდებლად გაეგრძელებინა სახელშეკრულებო ურთიერთობა. თუმცა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო მხოლოდ სახელშეკრულებო ურთიერთობის უსაფუძვლოდ მოშლით არ შემოიფარგლა. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ მის საკუთრებაში არსებულ უძრავ ნივთზე ხელშეშლის აღკვეთის მიზნით განცხადებით მიმართა პოლიციის ადგილობრივ განყოფილებას და მოითხოვა დაკავებული ფართიდან მოიჯარეთა გამოსახლება. ფართის მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის სრულად წარდგენის მიუხედავად, 2007 წლის 7 აგვისტოს შს სამინისტროს 200-მდე თანამშრომელმა გადაკეტა შპს „სონიცენტრი თბილისისა“ და შპს „ლაზერი-2 თბილისის“ მიმდებარე ტერიტორია, შეამტვრიეს კარი, გამოიტანეს მოიჯარეების ინვენტარი და შენობიდან იძულებით გამოიყვანეს საწარმოების წარმომადგენლები. აღნიშნული ფაქტი დაწვრილებით გააშუქეს მასმედიის საშუალებებმა. დღეისათვის, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში და გენერალურ პროკურატურაში გაგზავნილი რეკომენდაციები არ არის გაზიარებული. შესაბამისად, არ არის აღდგენილი მოიჯარეთა დარღვეული უფლებები და მიმდინარეობს სასამართლო დავა.

**შპს „ლინქსი“ საქართველოში დააარსა მოქალაქე არკადი (ბადრი) პატარკაციშვილმა. შპს-ს არსებობის მანძილზე მისი საქმიანობის საგანს წარმოადგენდა საიჯარო ხელშეკრულების დადების გზით მთაწმინდის პარკის რეაბილიტაცია. შესაბამისად, ქალაქ თბილისის მთავ-**

**რობასა და შპს „ლინქსს“ შორის 2005 წელს დაიდო ხელშეკრულება „მთაწმინდის პარკის რეაბილიტაციის, ინვესტირებისა და გრძელვადიანი იჯარის შესახებ“.** გარიგება დაიდო წერილობითი ფორმით და დამოწმდა ნოტარიუსის მიერ. 2007 წლის ნოემბერში განვითარებული მოვლენების ფონზე სახელმწიფომ ხელშეკრულება შეუწყვიტა შპს „ლინქსს“ არამარტო კანონმდებლობის მოთხოვნათა უხეში დარღვევით, არამედ სხვადასხვა მიუღებელი მეთოდის გამოყენებით, მათ შორის, სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან საწარმოს საქმიანობაში უხეში ჩარევითა და იძულებით. კერძოდ, 2007 წლის 7 ნოემბერს ქ. თბილისის ვიცე-მერმა მამუკა ახვლედიანმა და ქ. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ბეგაშვილმა მედიის წინაშე გააკეთეს განცხადება იმის შესახებ, რომ შპს „ლინქსი“, რომლის მესაკუთრეა მოქალაქე არკადი (ბადრი) პატარკაციშვილი, დიდი ხნის განმავლობაში უხეშად არღვევდა სახელშეკრულებო ვალდებულებას და არ იხდიდა საიჯარო ქირას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მთავრობა ცალმხრივად გავიდა გარიგებიდან და შპს „ლინქსთან“ შეწყვიტა სამართლებრივი ურთიერთობა. ამ განცხადების „სამართლებრივი საფუძველი“ არ დაკონკრეტებულა, მაგრამ ალბათობის მაღალი ხარისხით იყო ქალაქ თბილისის მთავრობის 2007 წლის 11 ოქტომბრის №21.05.679 დადგენილება, რომლითაც შპს „ლინქსს“ შეუწყდა იჯარის ხელშეკრულება.

**საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ შპს „ლინქსის“ მხრიდან ვალდებულებები არ დარღვეულა. ხელშეკრულების შეწყვეტის დროისათვის საწარმოს სრულად ჰქონდა გადახდილი საიჯარო ქირა სექტემბრის ჩათვლით, ხოლო მომდევნო თვის ქირა უნდა გადახდილიყო ოქტომბრის ბოლოს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გამოირკვა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შეწყვიტა საიჯარო ხელშეკრულება და ცალმხრივად გავიდა გარიგებიდან. 2007 წლის 7 ნოემბერს, აღნიშნულ განცხადებამდე, საიჯარო ობიექტზე შეიჭრა 50-60 შეიარაღებული ნიღბიანი პირი. მათ დაიკავეს პარკის შესასვლელი და მომსახურე პერსონალს იძულებით დაატოვებინეს ტერიტორია (იმავე დღეს, 20.20 საათზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმი შეიჭრა ტელეკომპანია „იმედის“ შენობაში, დააზიანა ტელეკომპანიის ტექნიკა და თითქმის მთლიანად გაანადგურა მთავარი სააპარატო. ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს ჟურნალისტებს, შენობაში მყოფი პირები იატაკზე დააწვინეს და ჩამოართვეს მობილური ტელეფონები. ყოველივე აღნიშნულის შემდეგ ტელეკომპანიის წარმომადგენლები რეზინის ტყვიების და ცრემლსადენი გაზის გამოყენებით გააძევეს შენობიდან და მიმდებარე ტერიტორიიდან.**

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური კომისიის მიერ დადგენილ იქნა, რომ ტელეკომპანია „იმედზე“ მიყენებული ზარალის ოდენობა წარმოადგენს 3 500 000 (სამი მილიონ ხუთასი ათასი) ლარს (როგორც აღვნიშნეთ, ზარალი აანაზღაურა საქართველოს მთავრობამ).

შპს „ლინქსის“ დირექტორ გიორგი ჯაოშვილის განმარტებით,

მოთხოვნის მიუხედავად, შეიარაღებულ პირთაგან არავის წარმოუდგენია ადმინისტრაციული აქტი ან სხვა რაიმე სახის დოკუმენტი და საწარმოს ხელმძღვანელობისთვის საერთოდ გაურკვეველი იყო, რომელი სახელმწიფო უწყების წარმომადგენლები შევიდნენ პარკის ტერიტორიაზე შეიარაღებულები. ეს გარემოება კი ადასტურებს განხორციელებული ქმედების უკანონობას. საიჯარო ქონების ადგილზე დათვალიერების მიზნით, სახალხო დამცველის რწმუნებულები იმყოფებოდნენ პარკის ტერიტორიაზე. მათი შემოწმებით დადგენილია, რომ 7 ნოემბრის შემდეგ ობიექტს იცავდნენ დაცვის პოლიციის თანამშრომლები. ისინი პარკის ტერიტორიაზე შპს „ლინქსის“ წარმომადგენელთაგან არავის უშვებდნენ. საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა ქალაქ თბილისის მერიას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, ბათილად ეცნოთ შპს „ლინქსთან“ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მიღებული დადგენილება. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 394-ე, 408-ე და 409-ე მუხლების თანახმად, აღედგინათ პირვანდელი მდგომარეობა (ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება), მორიგების გზით უზრუნველეყოთ სათანადო (ფულადი) კომპენსაცია და შპს-თვის აენაზღაურებინათ ხელშეკრულებიდან უკანონო გასვლის, ობიექტზე სპეცდანიშნულების რაზმის შეჭრის და დაცვის პოლიციის უკანონოდ შესვლის შედეგად წარმოშობილი ფაქტობრივი ზარალი და მიუღებელი შემოსავალი. სახალხო დამცველის რეკომენდაცია თბილისის მერიამ არ გაიზიარა იმ მოტივით, რომ იმავე საკითხზე შპს „ლინქსის“ სარჩელის საფუძველზე საქმისწარმოება მიმდინარეობდა თბილისის საქალაქო სასამართლოში. როგორც მოგვიანებით გაირკვა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 14 მაისის განჩინებით, არკადი (ბადრი) პატარკაციშვილის სამკვიდროს მმართველად აღიარებულ იქნა ჯოზეფ ქეი. სასამართლომ ჯოზეფ ქეის მიანიჭა უფლება, განეხორციელებინა ნებისმიერი მოქმედება სამკვიდროს მოვლისა და შეკრებისათვის. არკადი (ბადრი) პატარკაციშვილის მეუღლის — ინა გუდავაძის განმარტებით, ჯოზეფ ქეიმ შპს „ლინქსში“ დანიშნა ახალი დირექტორი, რომელმაც უარი თქვა ქალაქ თბილისის მერიისაგან ზიანის ანაზღაურებაზე და შპს „ლინქსის“ სხვა სასარჩელო მოთხოვნებზე. აქედან გამომდინარე, თბილისის საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვა შეწყდა. განვითარებულმა მოვლენებმა ნათელი გახადა, რომ შპს-თვის ზიანის ანაზღაურებაზე მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილება სახელმწიფოს უშუალო და უხეში ჩარევით მოხდა. პატარკაციშვილის ოჯახი მაინც აგრძელებს ბრძოლას დარღვეული უფლებების აღდგენისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურებისათვის.

**2006 წლის 2 ივნისს საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანის“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება №01/02, რომლის თანახმადაც, როგორც აღინიშნა, იუსტიციის სამინისტრომ კომპანიას დაუკვეთა თბილისში გლდანი-ნაძალადევის რაიონში ახალი, ე.წ. გლდანის №8 საპყრობილის მშენებლობა. 2006**

**წლის 29 ივნისს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანისთან“ დაიდო მორიგი ხელშეკრულება №708. ამჯერად „დამკვეთს“ წარმოადგენდა საქართველოს თავდაცვის სამინისტრო (სამხედრო ბაზის მშენებლობა ქალაქ გორში).**

2007 წლის 22 სექტემბერს ქალაქ თბილისში, გლდანში, საპყრობილის მშენებლობაზე მივიდნენ იუსტიციის სამინისტროს სამხედროფორმიანი თანამშრომლები და განაცხადეს, რომ სამშენებლო კომპანია მშენებლობას შეწყვეტს და, შესაბამისად, კომპანიის წარმომადგენლებმა უნდა დატოვონ ტერიტორია. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადები არ იყო ამოწურული და არ არსებობდა წარმოებული მშენებლობის უხარისხობის შესახებ რაიმე დასკვნა, საქართველოს თავდაცვისა და იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობამ კანონის მოთხოვნათა უხეში დარღვევით და იძულების მეთოდების გამოყენებით ხელშეკრულებები შეუწყვიტეს სამშენებლო კომპანიას.

**1991 წელს მოქალაქე მერაბ შელიას ოჯახსა და თბილისის მერიას შორის წარმოიშვა სამართლებრივი ურთიერთობა ნების გამოვლენის საფუძველზე, რაც გულისხმობდა ესტელა შელიას ოჯახის კუთვნილი სახლის წოწორიების ოჯახისთვის გადაცემის სანაცვლოდ თბილისის მერიისაგან მერაბ შელიას ოჯახის ტოლფასი საცხოვრებელი სადგომით დაკმაყოფილების ვალდებულებას. სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ აღნიშნული სამართალურთიერთობის არსებობას არცერთი მხარე არ უარყოფს. მეორე მხრივ, მერიას ნაკისრი ვალდებულება დადასტურებული აქვს მთაწმინდის რაიონის გამგეობის 1997 წლის 16 ოქტომბრის №285 გადაწყვეტილებით. 2007 წლის №1513410 დადგენილებით, თბილისის მერიამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ შელიების ოჯახი აუცილებლად დაკმაყოფილდება საცხოვრებელი ფართით.**

1997 წლიდან ადმინისტრაციულ ორგანოს არ შეუსრულებია ნაკისრი ვალდებულება. შესაბამისად, დაირღვა განმცხადებლის საკუთრების და სათანადო საცხოვრებლით უზრუნველყოფის უფლებები, რაზეც ხელშეკრულების მეორე მხარემ — მერაბ შელიამ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ვალდებულების შესრულება — ბინის ღირებულების გადახდა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება. მერაბ შელიას ოჯახის უფლებების აღდგენის თაობაზე სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა ქალაქ თბილისის მერიას, მაგრამ რეკომენდაცია არ იქნა გაზიარებული საქმის სასამართლოში განხილვის გამო.

განხილული საქმეებიდან ადმინისტრაციულ ორგანოთა თვითნებობის კონკრეტული გამოვლინებაა ხელშეკრულების მოშლა ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების გარეშე, რაც მოხდა შპს „მწიგნობარის“ დირექტორის ალექსანდრე ბაგრატიონის განცხადების შემთხვევაში. თბილისში, ფურცელაძე-კეცხოველის ქ.№12-7-ში მდებარე 120 კვ მ მიწის ნაკვეთზე და მასზე წილობრივად დამაგრებულ 389 კვ მ ფართზე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და შპს „მწიგნობარს“ შორის 2006 წლის 11 სექტემბერს გაფორმდა იჯარის ხელშეკრულება და მისი მოქ-

მედების ვადა განისაზღვრა 10 წლით. შპს „მწიგნობარმა“ საიჯარო ობიექტი აიღო წიგნების საგამოფენო-საპრეზენტაციო დარბაზისა და ლიტერატურული კაფეს მოსაწყობად. ამ მიზნით ჩატარდა მნიშვნელოვანი სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები. მათზე გაწეული ხარჯების შედეგად, სრულიად უვარგისი სარდაფი გადაიქცა მაღალი დონის ლიტერატურულ კაფედ, რამაც არაერთ კულტურულ ღონისძიებას უმასპინძლა. თანდართული დოკუმენტაციის სახით განმცხადებელმა წარმოადგინა შპს „მწიგნობარის“ მიერ საიჯარო ქირისა და გარკვეული პერიოდის გადაცილებისათვის დაკისრებული ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი ქვითრები. შესაბამისად, დავას არ შეიძლება იწვევდეს ის გარემოება, რომ საიჯარო ხელშეკრულების გაფორმებიდან დღემდე მოიჯარე კეთილსინდისიერად ასრულებდა ნაკისრ ვალდებულებას. აღნიშნულის მიუხედავად, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ ხელშეკრულებით და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული საფუძვლების გარეშე გამოსცა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და უსაფუძვლოდ შეწყვიტა იჯარის ხელშეკრულება.

# ადამიანის უფლებების დარღვევა ფსიქიატრიული მკურნალობისას

**ფსიქიატრიულ დაწესებულებებში 2008 წლის პირველ ნახევარში მონიტორინგის ჯგუფმა კვლავ დააფიქსირა არაადამიანური და სასტიკი მოპყრობის ფაქტები. მონიტორინგის ჯგუფი 2008 წლის პირველ ნახევარში იმყოფებოდა ქ. თბილისის ა. ზურაბაშვილის სახელობის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, სადაც დათვალიერების დროს აღმოაჩინა მძიმე მერხზე ფეხით მიბმული პაციენტი.** სხვა პაციენტთა და მათი ახლობლების განცხადებით, იგი ამ მდგომარეობაში დღეების განმავლობაში იმყოფებოდა. ამავე საავადმყოფოში მონიტორინგის მსვლელობისას ერთ-ერთ პალატაში ნახეს ოთხივე კიდურით საწოლზე მიბმული პაციენტი, რომელსაც აგრესიის აღკვეთის მიზნით შუადღის სავარაუდო გამწვავების წინ ერთი საათით ადრე აბამდნენ ხოლმე საწოლზე. 2008 წლის პირველ ნახევარში ქუტირის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში მონიტორინგის ჩატარებისას არაერთი პაციენტის საჩივარი მიიღეს, რომ დაწესებულების პერიმეტრის დაცვის სამსახურის თანამშრომლების მხრიდან პაციენტთა მიმართ დამამცირებელი მოპყრობის ფაქტებს ჰქონდა ადგილი. მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, ბედიანის ფსიქონევროლოგიურ საავადმყოფოსა და ა. ზურაბაშვილის სახ. ფსიქიატრიულ საავადმყოფოში კვლავ გრძელდება პაციენტთა შრომის გამოყენება ტუალეტების, სააბაზანოების დასასუფთავებლად, დაუძლურებულ პაციენტთა მოსავლელად. ავადმყოფთა თქმით, ექთანები და სანიტრები მათ იყენებენ აღნიშნული სამუშაოს შესასრულებლად. მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში მონიტორინგის ჩატარებისას ჯგუფმა დააფიქსირა დერეფანსა და პალატებში დაბინძურებულ თეთრეულში თუ უთეთრეულოდ სველ ლეიბებში მწოლიარენი. დაწესებულების თანამშრომლების განმარტებით, ფინანსური სირთულეების გამო ვერ ხერხდება რემონტის ჩატარება და ინვენტარის შეძენა. ბათუმის რესპუბლიკურ ფსიქონევროლოგიურ საავადმყოფოში ადგილი ჰქონდა პაციენტების მიმართ გადაჭარბებული დოზებით ფსიქოტროპული მედიკამენტების გამოყენებას (მომვლელების ნაკლებობის კომპენსირების მიზნით). **სამედიცინო პერსონალის განმარტებით, მომვლელების ნაკლებობა ბევრ სირთულეს უქმნის დაწესებულებას, ვერ ხერხდება აღგზნებული პაციენტების სათანადო მოვლა. ეს ფაქტები საკმარისია იმის მტკიცებისთვის, რომ დიდ ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტიები არამყარია და მიუხედავად ადმინისტრაციების მცდელობისა, აღმოფხვრას ასეთი დარღვევების პრაქტიკა, ერთეულ შემთხვევებს მაინც აქვს ადგილი. შესაძლოა, ეს შემთხვევები სტატისტიკისთვის ერთეულია, მაგრამ პაციენტთათვის — უკიდურესად დამამცირებელი.**

**საყოფაცხოვრებო პირობები.** ოთხ დაწესებულებას — ქ. თბილისის ა. ზურაბაშვილის სახ. ფსიქიატრიულ საავადმყოფოს, ქუტირის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრს (ნაწილობრივ), ბათუმის რესპუბლიკურ ფსიქონევროლოგიურ საავადმყოფოს და სურამის ფსიქონევროლოგიურ საავადმყოფოს — უკვე ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები. ამ დაწესებულებებში განყოფილებები, პაციენტთა პალატები, სანჰიგიენური კვანძები, სასადილოები, სამედიცინო პერსონალის სამუშაო ოთახები და დერეფნები შეესაბამება მინიმალურ სტანდარტებს. დღემდე მძიმე პირობებია მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში და ბედიანის ფსიქონევროლოგიურ საავადმყოფოში. ინფრასტრუქტურა მოძველებულია, რის გამოც პაციენტებს ცხოვრება უხდებათ უკიდურესად მძიმე პირობებში. ამორტიზებულია სანჰიგიენური კვანძები, პალატები, პერსონალის სამუშაო ოთახები და ავეჯი. პაციენტები არ არიან უზრუნველყოფილი საჭირო თეთრეულით. ხშირ შემთხვევაში ვერ ხერხდება სისუფთავის დაცვა. ექვსივე ფსიქიატრიულ დაწესებულებაში შეინიშნება გადატვირთულობა. ქუტირის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრსა და მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში პაციენტები დერეფნებში ცხოვრობენ. საწოლების რაოდენობა არასაკმარისია, რის გამოც პაციენტებს იატაკზე სძინავთ. მათ სიჭარბეს ვერ პასუხობს სასადილოებიც. მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს სააბაზანოები, განყოფილებებსა და დერეფნებში არის მძიმე სუნი. წინა წლებთან შედარებით კვების პირობების გაუმჯობესების მიუხედავად, პაციენტთა განცხადებით, საკვების რაოდენობა არასაკმარისია და ერთფეროვანი. ისინი უკმაყოფილებას გამოთქვამენ სეირნობის პირობებზეც.

**უმწვავეს პრობლემას წარმოადგენს სპეციალიზებული კლინიკების მხრიდან ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტთათვის სამედიცინო მომსახურების გაწევისადმი თავის არიდება. მონიტორინგის საბჭოს მიერ შესწავლილია არაერთი შემთხვევა, როდესაც გადაუდებელი დახმარების საჭიროებისას სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადებს არ გადაჰყავდათ ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტები, მხოლოდ იმ მოტივით, რომ სპეციალიზებული თუ მრავალპროფილიანი კლინიკები უარს აცხადებდნენ ასეთი პაციენტების მიღებაზე. ამგვარი პრაქტიკა „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მეხუთე, მეექვსე და მეთორმეტე მუხლების უხეში დარღვევაა. აღნიშნული პრაქტიკის დასადასტურებლად გამოდგება მონიტორინგის საბჭოს მიერ შესწავლილი ერთ-ერთი ფაქტიც — მოქალაქე ხ. ბ.-ს შემთხვევა: იგი მკურნალობდა მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში ათაშანგის საფუძველზე განვითარებული ფსიქოზური სიმპტომატიკით (ნეიროლუესი). სომატური მდგომარეობის გაუარესების გამო ექიმებმა გადაწყვიტეს, პაციენტი გადაეყვანათ გადაუდებელი დახმარების განყოფილებაში.**

ფსიქიატრიული საავადმყოფოს ადმინისტრაცია რამდენჯერმე დაუკავშირდა სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურს, საიდანაც

დაუსვეს შეკითხვა: „თუ ხართ შეთანხმებული რომელიმე საავადმყოფოსთან, სად უნდა გადავიყვანოთ პაციენტი?“ ამის შემდეგ ფსიქიატრიული დაწესებულების ექიმები უკავშირდებოდნენ საავადმყოფოებს, საიდანაც მუდმივად ისმოდა უარი — „რეანიმაციაში საწოლი ადგილები არ არის“. მოგვიანებით ექიმებმა მშობლებს ურჩიეს, პაციენტი გადაეყვანათ სახლში და იქიდან გამოეძახებიათ სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანა, რადგან ფსიქიატრიული საავადმყოფოდან პაციენტის მიღებას ყველამ თავი აარიდა. იმავე საღამოს სახლიდან გამოიძახეს სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანა და ავადმყოფი მოთავსდა თბილისის ერთ-ერთი საავადმყოფოს გადაუდებელი დახმარების განყოფილებაში. ეს და სხვა შემთხვევები ცხადყოფს, რომ სხვა პროფილის საავადმყოფოები ერიდებიან ფსიქიატრიული საავადმყოფოებიდან პაციენტების მიღებას, რაც მიუთითებს დისკრიმინაციასა და სტიგმაზე ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტთა მიმართ. ნიშანდობლივია, რომ დისკრიმინაცია ამ შემთხვევაში სამედიცინო საზოგადოების წარმომადგენელთა მხრიდან მოდის, რაც ირიბად მიგვანიშნებს, თუ რა დამოკიდებულებები აქვს ფსიქიკური აშლილობის პირთა მიმართ საზოგადოების დანარჩენ ნაწილს. ფსიქიატრიულ დაწესებულებებში პაციენტებს არ უტარდებათ რეგულარული პროფილაქტიკური თუ საკონტროლო გამოკვლევები, მაშინ, როდესაც თავად ექიმი-ფსიქიატრები აღნიშნავენ, რომ ზოგიერთ მედიკამენტს მძიმე გვერდითი მოვლენები ახასიათებს და მთელ რიგ ცვლილებებს იწვევს ადამიანის ორგანიზმში.

# დევნა ხელისუფლების კრიტიკისა და ოპოზიციის მხარდაჭერისათვის

## იოსებ ჯანდიერის საქმე

2008 წლის 10 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ბადრი კოჭლამაზაშვილმა მოქალაქე იოსებ ჯანდიერი დამნაშავედ ცნო სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში (დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა და შენახვა). მსჯავრდებულს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა რვა წლამდე. იოსებ ჯანდიერმა სასამართლოს შემდეგი სახის ჩვენება მისცა: 2007 წლის 7 ნოემბერს იოსებ ჯანდიერი იმყოფებოდა მიტინგზე, სადაც შეხვდა „ეროვნული საბჭოს“ წევრ გია თორთლაძეს. იოსებ ჯანდიერმა მას განუცხადა, რომ არ სურდა „ნაციონალური მოძრაობის“ წევრობა. პარტიის დატოვების თაობაზე იოსებ ჯანდიერმა საჯაროდ განაცხადა მიტინგზე და დაწვა „ნაციონალური მოძრაობის“ პარტიული ბილეთი. ამ ფაქტს მიტინგის 15 000 მონაწილე ოვაციებით შეხვდა. იოსებ ჯანდიერმა მიტინგზე დაახლოებით ორი საათი დაჰყო. მიტინგის დატოვების შემდეგ მას ტელეფონით დაუკავშირდა ერთ-ერთი მაღალჩინოსანი, რომლის სახელისა და გვარის დასახელებისაგან იოსებ ჯანდიერმა სასამართლო პროცესზე თავი შეიკავა და მოსთხოვა, არ წასულიყო საპროტესტო აქციაზე. იმავე ჩვენებიდან ირკვევა, რომ 2007 წლის 13 ნოემბერს იოსებ ჯანდიერი თავის საცხოვრებელ ბინაში იმყოფებოდა. ამ დროს მის საძინებელში შევიდა ოთხი პირი, რომლებმაც იოსებ ჯანდიერი გაიყვანეს სხვა ოთახში. ჩხრეკის შედეგად მას აღმოუჩინეს, როგორც მოგვიანებით დადგინდა, ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი,“ წონით 0,8492 გრამი. ამის შემდეგ იოსებ ჯანდიერი გადაიყვანეს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალურ ოპერატიულ დეპარტამენტში, სადაც მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა და მიმართეს შემდეგი სიტყვებით: „იოსკა, ხომ იცი, აქ რატომ ხარ?!“ იოსებ ჯანდიერმა აღნიშნული სიტყვები დაუკავშირა 2007 წლის 7 ნოემბრის საპროტესტო აქციაში მისი მონაწილეობის ფაქტს. იგი აცხადებს, რომ მის მიმართ პირადი ანგარიშსწორების ინტერესი ჰქონდათ შინაგან საქმეთა მინისტრ ივანე მერაბიშვილს, საპარლამენტო უმრავლესობის თავმჯდომარე პეტრე ცისკარიშვილსა და უშიშროების საბჭოს ყოფილ მდივანს.

## დიმიტრი გოდაბრელიძის საქმე

დიმიტრი გოდაბრელიძე იყო პოლიტიკური მოძრაობის — „ერთიანი საქართველოსათვის“ — წევრი. მონაწილეობდა 2007 წლის ნოემბრის საპროტესტო აქციებში. 2007 წლის 26 ნოემბერს დიმიტრი გოდაბრელიძე დაიკავეს და ბრალი წაუყენეს სამსახურებრივი უფლებამოსილების ბორო-

ტად გამოყენებასა (სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი) და ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადებაში, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი (სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი). დიმიტრი გოდაბრელიძეს 1998 წლის 20 ოქტომბრიდან 2007 წლის 4 აპრილამდე ეკავა მარნეულის რაიონის სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამმართველოს უფროსის თანამდებობა. მარნეულის რაიონის გამგეობის 1999 წლის 12 დეკემბრის №12/2 დადგენილებით, ალგეთის თემის სოფელ თაზავენდში მცხოვრებ ბადირხან ბუდაგოვს საიჯარო გადასახადის გადაუხდელობის გამო ჩამოერთვა იჯარით გაცემული 72 ჰექტარი მიწის ნაკვეთის ნაწილი (14 ჰექტარი). აღნიშნული დადგენილების აღსრულებაზე კონტროლი დაევალა უშუალოდ დიმიტრი გოდაბრელიძეს. ბრალდებულის სახით მისი პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ბრალდებულმა მარნეულის გამგეობის სხდომაზე უკანონოდ გაიტანა საკითხი ბადირხან ბუდაგოვის სარგებლობაში არსებული 72 ჰექტარი მიწის ნაკვეთის ნაწილის ამ უკანასკნელის შვილისათვის იჯარის უფლებით გადაცემის შესახებ. დიმიტრი გოდაბრელიძემ ამგვარად შეცდომაში შეიყვანა გამგეობა. ამის შემდეგ გოდაბრელიძემ მიმართა გამგეობას რეკომენდაციით, ბადირხან ბუდაგოვისათვის ჩამოერთმიათ მის სარგებლობაში უკანონოდ არსებული 58 ჰექტარი მიწის ნაკვეთი. გამგეობამ განიხილა და დაკმაყოფილა აღნიშნული გადაწყვეტილება, მაშინ, როცა ბადირხან ბუდაგოვი უკანონოდ ფლობდა 72 ჰექტარი მიწის ნაკვეთს, 58 ჰექტარის ჩამორთმევით მამა-შვილს შესაძლებლობა მისცა, უკანონო მფლობელობაში დაეტოვებინა 72-დან 14 ჰექტარი მიწის ნაკვეთი.

2003 წლის 14 მაისს შპს „გეო ნიტროს“ ხელმძღვანელის, ალი ქაჯიევის მიმართვის საფუძველზე მარნეულის რაიონის მიწის მართვისა და განკარგვის მუდმივმოქმედმა კომისიამ სხდომაზე განიხილა და №5 ოქმში აისახა სამოქალაქო მნიშვნელობის ფეთქებადი მასალების მწარმოებელი ფაბრიკის ასაშენებლად 17 ჰექტარი სახნავი მიწის 49 წლის ვადით იჯარით გადაცემის თაობაზე. დიმიტრი გოდაბრელიძის ბრალდებულის სახით სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთს დიმიტრი გოდაბრელიძემ შეუცვალა დანიშნულება: მიწის ნაკვეთი, რომელიც ატარებდა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებას, სარგებლობაში გადაეცა არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყენებისათვის. თავისთავად საეჭვოა დიმიტრი გოდაბრელიძის ბრალეულობის საკითხის დაყენების კანონიერება მაშინ, როდესაც ამგვარი პასუხისმგებლობა დგება კოლეგიური ორგანოს (მარნეულის რაიონის გამგეობის) მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებასთან დაკავშირებით. აღნიშნულ სამართლებრივ აქტებთან დიმიტრი გოდაბრელიძეს მხოლოდ ის დამოკიდებულება ჰქონდა, რომ მან მოამზადა დადგენილების პროექტები ან დადგენილების მიღებაში მონაწილეობდა როგორც კოლეგიური ორგანოს რიგითი წევრი. სახალხო დამცველის ხელთ არსებული დოკუმენტური მტკიცებულებებით (საქართველოს

ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრის მოადგილის 2003 წლის 18 ივნისის №14/1-70 წერილი, საქართველოს მიწის მართვის დეპარტამენტის თავმჯდომარის 2003 წლის 15 ივლისის №1/4-672 წერილი და საქართველოს მთავრობის 1992 წლის 18 მაისის №582 დადგენილება) დასტურდება, რომ „გეო-ნიტროსათვის“ გადაცემულ მიწის ნაკვეთს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულება შეუცვალა არა დიმიტრი გოდაბრელიძემ, არამედ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ 1986 წლის 16 იანვრის №14 დადგენილებით. დიმიტრი გოდაბრელიძე პატიმრობაში იმყოფებოდა 2008 წლის 13 ივნისამდე. მან გააფორმა საპროცესო შეთანხმება, რაც დამტკიცდა არსებითი განხილვის გარეშე მარნეულის რაიონული სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენით. განსასჯელს მსჯავრი დაედო სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. დიმიტრი გოდაბრელიძეს ჯარიმის სახით დაეკისრა 10 000 ლარის გადახდის ვალდებულება. მსჯავრდებული სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს. გოდაბრელიძის საქმეში ნათლად იკვეთება, რომ 1999 და 2003 წლებში ჩადენილი ქმედებებისათვის სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 2007 წლის ნოემბერში მიტინგებში მონაწილეობის შემდეგ.

## ჯონი ჯიქიას საქმე

„ერთიანი ეროვნული საბჭოს“ მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკური პატიმრების სიაში მითითებულია ჯონი ჯიქიაც. ეს უკანასკნელი იყო ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი კონსერვატიული პარტიიდან. ოჯახის წევრების განმარტებით, 2007 წლის 2 ოქტომბერს ქალაქ ზუგდიდში ჯონი ჯიქიას მიუახლოვდნენ სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული პირები, ძირს დააგდეს, ხელები გადაუგრიხეს და ხელბორკილები დაადეს. ჩხრეკის დროს ჯონი ჯიქიას აღმოუჩინეს 0,152 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი.“ საცხოვრებელი ადგილის ჩხრეკის შედეგად სამოქალაქოტანსაცმლიანმა პირებმა აღმოაჩინეს ხელყუმბარაც. 2007 წლის 28 დეკემბერს ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ ჯონი ჯიქია დამნაშავედ ცნო სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით (ასაფეთქებელი ნივთიერების უკანონოდ შეძენა ან შენახვა) და 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით (წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენა და შენახვა) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. ჯიქიას სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით და ექვსი თვით. დამატებით სასჯელად დაენიშნა ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით. აღნიშნული განაჩენი გასაჩივრდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში. 2008 წლის 31 მარტს ქუთაისის საქალაქო სასამართლომ გაამართლა ჯონი ჯიქია სისხლის სამართლის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. ამავე განაჩენით, ჯიქიას ამოერიცხა სასჯელის სა-

ხით დანიშნული ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით. სასჯელის საბოლოო სახედ ქუთაისის საქალაქო სასამართლომ ჯონი ჯიქიას თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა შვიდი წლით.

## როსტომ ონიანის საქმე

სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებმა როსტომ ონიანი 2007 წლის 9 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე, დააკავეს. მას ბრალი ედებოდა პოლიციის წარმომადგენელთათვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებასა და წინააღმდეგობის გაწევაში, დანაშაული — გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე (წინააღმდეგობა, მუქარა ან ძალადობა საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ) და 239-ე (ხულიგნობა) მუხლებით. კერძოდ, როსტომ ონიანმა საკუთარი სახლის სადარბაზოს მიმდებარე ტერიტორიაზე შენიშნა პოლიციის წარმომადგენლები და მათ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. ონიანი დაკავებამდე აქტიურად მონაწილეობდა ქ. თბილისში 2-7 ნოემბერს გამართულ საპროტესტო აქციებში. იგი ქ. ზუგდიდსა და აჭარაშიც იმყოფებოდა გაერთიანებული ოპოზიციის წარმომადგენლებთან ერთად. სწორედ ამას უკავშირებდნენ მისი ოჯახის წევრები როსტომ ონიანის დაკავების ფაქტს. დაკავების თვითმხილველთა — ნიკოლოზ კლიმიაშვილის, ნინო კიკაძის, ნინო ძიძიგურის, ქეთევან ხელიძის, ხათუნა სვანიძისა და ქეთევან ფანცხავას — განმარტებით, როსტომ ონიანის მხრიდან რაიმე სახის დანაშაულებრივ ქმედებას ადგილი არ ჰქონია. როსტომ ონიანის თანამშრომლის, ნიკოლოზ კლიმიაშვილის განმარტებით, 2007 წლის 9 ნოემბერს, საღამოს, დაახლოებით 7 საათზე, მან საკუთარი ავტომანქანით სახლის სადარბაზომდე მიიყვანა ნასვამ მდგომარეობაში მყოფი როსტომ ონიანი. აღნიშნულს ადასტურებენ სადარბაზოსთან მყოფი მეზობლებიც. თვითმხილველები მიუთითებენ, რომ მანქანიდან მისი გადმოსვლისთანავე სადარბაზოსთან გაჩერდა ავტომანქანა, საიდანაც გადმოვიდა სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი ორი პიროვნება, რომლებიც ფიზიკური ძალის გამოყენებით ცდილობდნენ ონიანის ჩასმას ავტომანქანაში. როსტომ ონიანი მათ არანაირ წინააღმდეგობას არ უწევდა. მიუხედავად ამისა, მას ხელები გადაუგრიხეს და უხეში ფორმით წაიყვანეს მანქანისკენ. როსტომ ონიანის მეუღლემ და მეზობლებმა სცადეს, გაერკვიათ უცნობი პირების ვინაობა და სად მიჰყავდათ. სადარბაზოს ამ დროს მიუახლოვდა „ჟიგული“, საიდანაც გადმოვიდა პოლიციის ფორმაში გამოწყობილი სამი პირი. სახლის სადარბაზოსთან უკვე უამრავი ხალხი შეკრებილიყო. ერთ-ერთმა პოლიციის თანამშრომელმა მანქანიდან გადმოსვლისთანავე ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე დაიწყო ჰაერში სროლა, რამაც იქ შეკრებილთა დაბნეულობა და შიში გამოიწვია. სულ შვიდჯერ გაისროლეს. პოლიციელმა თავად აკრიფა ტყვიის გილზები. როსტომ ონიანის მეგობარი ნიკოლოზ კლიმიაშვილი აღნიშნავს, რომ დაკავებამდე ონიანს მასთან პირად საუბარში უთქვამს, რომ მის სახლთან საეჭვო მანქანებს ამჩნევდა.

2008 წლის 26 თებერვალს როსტომ ონიანს შეეცვალა აღკვეთის ღო-

ნისძიება და პატიმრობის ნაცვლად შეეფარდა გირაო 2000 ლარის ოდენობით. მოგვიანებით როსტომ ონიანთან გაფორმდა საპროცესო შეთანხმება და გადახდილი გირაოს თანხა ჩაითვალა ჯარიმაში.

## რევაზ კლდიაშვილის საქმე

**2005 წლის 11 აგვისტოდან 2007 წლის 3 აპრილამდე რევაზ კლდიაშვილი მუშაობდა თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილედ. მას აქვს პოლკოვნიკის წოდება. რევაზ კლდიაშვილი თავდაცვის ყოფილი მინისტრის, ირაკლი ოქრუაშვილის მეგობარია. ის არის პოლიტიკური პარტია „ერთიანი საქართველოსათვის“ წევრი. თავდაცვის სისტემაში მუშაობის დაწყებამდე რევაზ კლდიაშვილი იყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის მთავარი სამმართველოს კრიმინალური პოლიციის უფროსი.**

რევაზ კლდიაშვილის განმარტებით, 2007 წლის 13 ნოემბერს, დღის 11.00 საათისათვის მისი კუთვნილი ავტომანქანით მეზობელ ვალიკო გაგნიძესთან ერთად მოძრაობდა ნაძალადევის რაიონში. ჟიჟიაშვილის ქ. №3-ს რომ მიუახლოვდნენ, თავს დაესხნენ სამხედრო პოლიციის თანამშრომლები, დაახლოებით 16 კაცი (4 ავტომანქანით). მათ შორის იყვნენ სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის მთავარი სამმართველოს უფროსი კარლო დოლიძე, ოპერატიული სამმართველოს უფროსი პაატა პაქსაშვილი და ვინმე ჭელიძე, რომელიც მას თავის არეში იარაღს ურტყამდა. რევაზ კლდიაშვილი აცხადებს, რომ მას ავტომანქანის საბარგულში ჩაუდეს AK-74 ტიპის ავტომატური იარაღი ერთი მჭიდით, ხოლო შარვლის უკანა მხარეს — „ვალტერის“ ტიპის იარაღი. შემდეგ ის მიიყვანეს შს მთავარი სამმართველოს №2 დროებითი მოთავსების იზოლატორში. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ვალიკო გაგნიძემ სასამართლო სხდომაზე არ დაადასტურა რევაზ კლდიაშვილისათვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების ფაქტი. სასამართლოს განმარტებით, ეს გარემოება არც სამედიცინო დასკვნით დასტურდებოდა.

რევაზ კლდიაშვილისაგან ამოიღეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსის თანამდებობის დაკავების დამადასტურებელი მოწმობაც. არადა, ეს უკანასკნელი, რევაზ კლდიაშვილის განმარტებით, თანამდებობიდან გათავისუფლების დროს ჩააბარა სამხედრო პოლიციის კადრების სამმართველოს. 2007 წლის 15 ნოემბერს ჩატარდა სასამართლო პროცესი რევაზ კლდიაშვილისათვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდებასთან დაკავშირებით. მას შეეფარდა 2 თვით წინასწარი პატიმრობა. სასამართლო განხილვისას კლდიაშვილისათვის ცნობილი გახდა, რომ დაკავების შემდეგ განხორციელდა მისი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკა, სადაც უკანონოდ ჩადეს F-1 სისტემის ხელყუმბარა. რევაზ კლდიაშვილის განცხადებით, დაკავებამდე მას უთვალთვალებდნენ. თავად დაკავებული მის დაკავებასა და მისთვის იარაღის ჩადებას პოლიტიკურ კუთვნილებას უკავშირებს, კერძოდ, პოლიტიკური პარტია „ერთიანი საქართველოსათვის“ წევრობასა და 2 ნოემბრიდან 7 ნო-

ემბრის ჩათვლით დედაქალაქში გამართულ მიტინგებში მონაწილეობას. მართლაც, წარმოუდგენელია, მსგავსი გამოცდილების მქონე ადამიანი იმ პერიოდში, როცა მისი პარტიის ლიდერის ირაკლი ოქრუაშვილისა და მრავალი მისი თანამებრძოლის მიმართ სისხლის სამართლის დევნა ხორციელდებოდა და საქართველოში საგანგებო მდგომარეობა იყო გამოცხადებული, გადაადგილდებოდა ავტომანქანით, რომლის საბარგულშიც უკანონოდ ინახავდა იარაღს. მით უმეტეს, საუბარია პოლიციის პოლკოვნიკზე, რომელმაც ძალიან კარგად იცის, რას ნიშნავს იარაღის ჩადება. თავად რევაზ კლდიაშვილის სახელს ადამიანის უფლებათა დამცველები არაერთ მსგავს უკანონო ქმედებას უკავშირებენ.

2007 წლის 25 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ (მოსამართლე დალი მეტრეველი) დამნაშავედ ცნო რევაზ კლდიაშვილი სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის პირველი (ცეცხლსასროლი იარაღისა და ფეთქებადი ნივთიერების უკანონო შეძენა და შენახვა) და მეორე პუნქტებით (ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარება) და 262-ე მუხლის პირველი პუნქტით (ყალბი პირადობის მოწმობის ან სხვა ოფიციალური დოკუმენტის შენახვა-გასაღების მიზნით ან გამოყენება) გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში. პირველი ინსტანციის სასამართლომ რევაზ კლდიაშვილს სასჯელის ზომად თავისუფლების აღკვეთა ოთხ წლამდე განუსაზღვრა. პროკურატურამ პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი ლმობიერად მიიჩნია და სააპელაციო საჩივრით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს. 2008 წლის 23 მაისს თბილისის სააპელაციო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის, პროკურორ გია ქევხიშვილის მოთხოვნა და რევაზ კლდიაშვილს დაუმატა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლითა და ექვსი თვით. საბოლოოდ სააპელაციო სასამართლომ რევაზ კლდიაშვილს სასჯელის ზომად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა ხუთი წლითა და ექვსი თვით.

## ზაალ ქოჩლაძის საქმე

„გაერთიანებული ოპოზიციის“ აქტივისტი ზაალ ქოჩლაძე შს სამინისტროს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პირველი განყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს 2007 წლის 8 ნოემბერს. მას ბრალი ედებოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე (პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა ანდა ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება) და 353-ე (წინააღმდეგობა, მუქარა ან ძალადობა საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ) I ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. ადვოკატ ლეილა კობერიძის განმარტებით, ზაალ ქოჩლაძე საკუთარ სახლთან (ქ. თბილისი, დიღმის მასივი, მე-6 კვარტლის მე-3 კორპუსი) სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმულმა პირებმა დააკავეს. როგორც შემდეგ გაირკვა, ისინი შს სამინისტროს ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული განყოფილების თანამშრომლები მ. მაჭარაშვილი,

დ.ბესიაშვილი და დ.ცოცხალაშვილი იყვნენ. ზაალ ქოჩლაძე პოლიციამ ერთხელ უკვე დააკავა ნარკოტიკების უკანონო მოხმარებისთვის და მას ადმინისტრაციული ჯარიმა შეუფარდა, რომელიც იმ დროისთვის ჯერ კიდევ არ ჰქონდა გადახდილი. მან პოლიციელებს უარი განუცხადა ნარკოტიკებზე შემოწმების გავლაზე. ამ ფაქტების გამო მას ბრალი წაუყენეს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. გარდა ამისა, ქოჩლაძე სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მისცეს სსკ-ის 353-ე მუხლით (წინააღმდეგობა, მუქარა ან ძალადობა საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის. მოწმეთა განცხადებით, ზაალ ქოჩლაძის მხრიდან არც დაკავების მომენტში და არც შემდეგ წინააღმდეგობის გაწევას ადგილი არ ჰქონია. მას შემდეგ, რაც ზაალ ქოჩლაძე პოლიციელების მოთხოვნით მათ მანქანაში ჩაჯდა, მას საუბარი გაუმართეს წინა დღეებში მიმდინარე აქციების შესახებ, რომელშიც იგი აქტიურად მონაწილეობდა. მეუღლის განმარტებით, ზაალ ქოჩლაძე გამოჩნდა ზუგდიდის აქციის კადრებში, რის საფუძველზეც დააკავეს კიდეც.

ქოჩლაძეს შეუფარდეს წინასწარი პატიმრობა და იმყოფებოდა ქ. რუსთავის №6 საპყრობილეში. 2008 წლის 26 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ ზაალ ქოჩლაძეს აღკვეთის ღონისძიება პატიმრობა გირაოთი შეუცვალა. საქმე არსებითად განსახილველად გადაიგზავნა პირველი ინსტანციის სასამართლოში. ზაალ ქოჩლაძის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა ლეილა კობერიძემ შუამდგომლობით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა აღკვეთის ღონისძიების შეცვლა, კერძოდ კი, ზაალ ქოჩლაძის მიმართ პირადი თავდებობის გამოყენება. ქოჩლაძეს თავდებად პარლამენტის იმდროინდელი წევრები ზვიად ძიძიგური და გიგა ბუკია დაუდგნენ. ლეილა კობერიძისათვის უცნობია აღნიშნული შუამდგომლობის განხილვის შედეგები. სასამართლო სხდომა გაურკვეველი ვადით გადაიდო.

## თეიმურაზ ხუბულურის საქმე

2007 წლის 10 ნოემბერს ძველი თბილისის რაიონული სამმართველოს წარმომადგენლებმა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის თეიმურაზ ხუბულური დაკავეს. ხუბულურის განმარტებით, სასტუმრო „ევროპიდან“ გამოსვლისას სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებმა გადაუგრიხეს ხელები, დააწვინეს ძირს და ყოველგვარი ჩხრეკის გარეშე წაიყვანეს პოლიციის განყოფილებაში. ჩხრეკის ოქმში აღნიშნულია, რომ თეიმურაზ ხუბულურს ამოუღეს ნარკოტიკული ნივთიერება. თავდაპირველად სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით ხუბულურს შეუფარდა პატიმრობა, რის შემდეგაც იგი შეასახლეს №5 საპყრობილეში. მისი განმარტებით, აქ იგი მოინახულეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე ბაჩო ახალაიამ და თანამდებობის რამდენიმე პირმა, რომელთა ვინაობა თეიმურაზ ხუბულურისთვის უცნობია, თუმცა შეძლებს

მათ ამოცნობას. თეიმურაზ ხუბულური აცხადებს, რომ იგი პოლიტიკურ ნიადაგზე დააკავეს. კერძოდ, ხუბულური ირაკლი ოქრუაშვილთან დაახლოებული პირია. ბაჩო ახალაია და მისი თანმხლები პირები პატიმრისგან მოითხოვდნენ თანამშრომლობას ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ კომპრომატების მოძიებაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, ციხეში ამოლპობით დაემუქრნენ. ისინი მას ნოემბრის აქციებში მონაწილეობასაც შეახსენებდნენ. ბაჩო ახალაიას მხრიდან ადგილი ჰქონდა მუქარას თემურ ხუბულურის მისამართითაც. ხუბულური გადაიყვანეს №6 საპყრობილეში, სადაც, მისი განცხადებით, მასთან რამდენჯერმე მივიდა ბაჩო ახალაია იმავე მოთხოვნით. ბოლოს იგი რუსთავის №6 საპყრობილეში მოათავსეს. ხუბულურთან პროკურატურამ საპროცესო შეთანხმება გააფორმა.

2008 წლის 12 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიამ არსებითი განხილვის გარეშე დაადგინა გამამტყუნებელი განაჩენი ხუბულურის მიმართ. ამავე განაჩენით დამტკიცდა პროკურატურასთან გაფორმებული საპროცესო შეთანხმება. სასამართლომ თემურ ხუბულური დამნაშავედ ცნო სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენა და შენახვა) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის. სასამართლომ გამოიყენა სისხლის სამართლის კოდექსის 55-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილება და აღნიშნული დანაშაულისათვის თემურ ხუბულურს დაუნიშნა თავისუფლების აღკვეთა ხუთი თვით. სსკ-ის 55-ე მუხლისვე გამოყენებით სასამართლომ თემურ ხუბულური დამნაშავედ ცნო სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (ნარკოტიკული საშუალების მოხმარება ამგვარი ქმედებისათვის ერთი წლის განმავლობაში ადმინისტრაციულ სახდელდადებული ანდა ნასამართლევი პირის მიერ) და თავისუფლება აღუკვეთა ერთი თვის ვადით. აღნიშნული განაჩენის დადგენის მომენტში თემურ ხუბულური ნასამართლევი იყო 236-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის. აღსანიშნავია, რომ თემურ ხუბულურს აღნიშნული ქმედებისათვის ნასამართლობა არ ჰქონდა მოხსნილი ან გაქარწყლებული.

2007 წლის 14 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლომ თემურ ხუბულურს დაუნიშნა პირობითი სასჯელი, თავისუფლების აღკვეთა ოთხი წლით, 8 თვითა და ცხრა დღით. 2008 წლის 12 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიამ განაჩენთა ერთობლიობით შეკრიბა სასჯელი და თემურ ხუბულურს საბოლოო სასჯელად თავისუფლების აღკვეთა ხუთი წლით, ორი თვითა და 9 დღით განუსაზღვრა.

## ნონა საღარეიშვილის საქმე

ნონა საღარეიშვილი „გაერთიანებული ოპოზიცია — ეროვნული საბჭო, მემარჯვენეების“ წარმომადგენელი იყო მცხეთის №27 საარჩევნო ოლქის №2 საარჩევნო უბანზე. დღის განმავლობაში იგი აქტიურად რეაგირებდა კენჭისყრის დროს მომხდარ დარღვევებზე. მეორე დღეს ოპოზიციურად განწყობილი ქალბატონის მიმართ მუქარა, შანტაჟი და თვალთვალი დაიწყო.

2008 წლის 22 მაისს უცნობი მამაკაცი მას ტელეფონით დაუკავშირდა და მოსთხოვა, თავი შეეკავებინა საზოგადოებრივი აქტივობისაგან, წინააღმდეგ შემთხვევაში მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა. იმავე დღეს სატელეფონო ზარი კვლავ შემოვიდა ნომრიდან: 877774776. მოსაუბრე ნონა საღარეიშვილს გაეცნო, როგორც ლაშა ხერხელაური. მან ქალბატონს განუცხადა: „ჩამოშორდი ოპოზიციას. ჩვენ ერთმანეთს ვიცნობთ, არ შეგფერის ასეთი საქციელი“. „ნაცნობის“ თქმით, ის ცხოვრობს თიანეთში და მუშაობს სპეციალურ ოპერატიულ დეპარტამენტში. როცა ნონა საღარეიშვილმა ლაშა ხერხელაურის გაფრთხილება არ მიიღო, სპეცსამსახურის თანამშრომელი დაემუქრა: „გოგო, ტონს დაუწიე, შენი დეიდაშვილი ციხიდან ახალი გამოსულია. ორი წელი ხომ იჯდა, ორ წელსაც დავუმატებთ და ისევ ციხეში შევაბრუნებთ, თუ ჭკვიანად არ იქნები“!

2008 წლის 29 მაისს თბილისის სააპელაციო სასამართლო იხილავდა სადამკვირვებლო ორგანიზაცია „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ საჩივარს მცხეთის №27 საარჩევნო ოლქის მე-2 უბნის შედეგების ბათილად ცნობის თაობაზე. სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაიკითხა ნონა საღარეიშვილიც. აღნიშნულ დღეს 17.05 საათზე მოწმეს დაუკავშირდა უცნობი პირი ნომრიდან 860470000 და იკითხა: „სასამართლოში ხარ?“ ნონა საღარეიშვილმა უცნობს დადებითი პასუხი მისცა. ამის შემდეგ გაისმა მუქარა: „ენას არ აჩერებ, გაგანადგურებ და საიქიოში გაგიშვებ. მადლობა თქვი, რომ ფორმიანები არიან შენ გვერდით, თორემ აქვე მოგიღებდი ბოლოს“!

2008 წლის 31 მაისს ნონა საღარეიშვილი უკვე ვიდეოკამერით თვალთვალის ობიექტს წარმოადგენდა. კომუნალური გადასახადების გადასახდელად წასულს თან დაჰყვებოდა ვერცხლისფერი ავტომანქანა. შინ მიმავალს წამოეწია აღნიშნული ავტომანქანა, საქარე მინა ჩაიწია და უცნობმა მამაკაცმა მიმართა შემდეგი სიტყვებით: „არ ანებებ თავს ოპოზიციას, შენი დედა... სანამ პირზე რძე შეგაშრება, მანამ მიწა მიიღებს შენ სხეულს“. მუქარის შემდეგ ავტომანქანა დაშორდა. შინ მისულმა საკუთარი საცხოვრებელი სახლის ეზოსთან შენიშნა შავი ფერის უნომრო BMW, რომელშიც სამი მამაკაცი იჯდა. ერთ-ერთს თეთრი სპორტული ტანსაცმელი ეცვა, ატარებდა ბულანჟეს და მოშვებულ თმას. აღნიშნული პიროვნება ნონა საღარეიშვილს ვიდეოკამერით უღებდა. იგივე ავტომანქანა ნონა საღარეიშვილის სახლთან კვლავ გამოჩნდა 2008 წლის 31 მაისს, 18.30 საათზე. ავტომანქანაში მყოფი პიროვნება განაგრძობდა მის ვიდეოგადაღებას. ნონა საღარეიშვილის მეგობრის, ირაკლი ოძელაშვილის ჩარევით, შავი ფერის BMW-მ დატოვა სახლის მიმდებარე ტერიტორია. 18.52 საათზე კვლავ განმეორდა მუქარის ზარები 898434674 ნომრიდან.

2008 წლის 1 ივნისს, 11.30 საათზე, ნონა საღარეიშვილს დაურეკეს დაფარული ნომრიდან და შეხვედრა სთხოვეს. მეორე დღეს ნონა საღარეიშვილი სტუმრობდა თანაპარტიელ ხატია ცერცვაძის ოჯახს. 18.07 საათზე მას მოუვიდა მოკლე ტექსტური შეტყობინება დაფარული ნომრიდან: „მოგ... დედას, ისე გცემ, ვერვინ გიცნოს. ...ქალა, ეგდე ჩუმად, ნაბოზვარო, რამდენს ბედავ“. მეორე SMS 18.09 საათზე მოვიდა, სადაც აღნიშნუ-

ლი იყო: „არკვიე, ვინ ვარ, ... არ წაგვჭამოთ. შეეშვი დედამოტ... ოპოზიციას“. 21.35 საათზე მას დაუკავშირდა მეზობლად მცხოვრები მისივე ნათლია ანდრო კასაბიანი და აცნობა, რომ უცხო პირები მათ სახლს უთვალთვალებდნენ. 22.20 საათზე ნონა საღარეიშვილმა გადაწყვიტა, პირველ სართულზე ჩასულიყო ნათლიასთან. კიბეებზე ნონა გზას მობილური ტელეფონით ინათებდა. ამ დროს მას მოესმა მამაკაცების საუბარი. მესამე და მეორე სართულს შორის ნონა საღარეიშვილმა დაინახა შავებში ჩაცმული მამაკაცები. ერთმა მათგანმა საღარეიშვილს მარცხენა ხელი გადაუგრიხა, მეორემ კი წიხლი ჩაარტყა მარჯვენა ფეხში. მერე ერთ-ერთმა თავდამსხმელმა ნონა საღარეიშვილი ძირს დააგდო და სხეულზე ფეხი დაადგა. თავდამსხმელი ოპოზიციის მხარდაჭერისათვის ნონა საღარეიშვილს სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა. ბოლოს ქალს პირზე ხელი ააფარეს, ხელი ჰკრეს და თავით კედელზე მიახეთქეს. საღარეიშვილი მუხლებზე დადგა. ამ დროს მან ყელზე სიცივე იგრძნო. ერთ-ერთმა თავდამსხმელმა ყელზე თოკი ან წვრილი სიმი წაუჭირა. მეორემ გააფრთხილა — არ მოეკლა. ქალს თავდამსხმელმა დანა მიადო და დასახიჩრებითა და მოკვლით დაუმუქრა, ისე, რომ მის ცხედარს პროზექტურაშიც ვერ ამოიცნობდნენ. ნონა საღარეიშვილი კიდევ ერთხელ მიახეთქეს კედელზე თავით. ამ დროს კიბეებზე გაისმა ანდრო კასაბიანის ხმა, რის შემდეგაც თავდამსხმელები მიიმალნენ. გაქცევის წინ ისინი კიდევ ერთხელ დაემუქრნენ ნონა საღარეიშვილს სიცოცხლის მოსპობით. ანდრო კასაბიანმა დაინახა ძირს დაგდებული ნათლული და შემთხვევის ადგილზე სასწრაფო დახმარების სამსახური და საპატრულო პოლიცია გამოიძახა. ნონა საღარეიშვილი გადაიყვანეს მე-4 კლინიკურ საავადმყოფოში, სადაც მას დაუდგინდა თავის რბილი ქსოვილების დაჟეჟილობა, მარცხენა მხრის ამოვარდნა, მარცხენა ხელის ნეკა თითის მოტეხილობა, ყელზე — სისხლნაჟღენთების ორი ზოლი.

პოლიტიკური დევნის ნიშნების აშკარად გამოკვეთის მიუხედავად, წინასწარი გამოძიება არც ამჯერად დაწყებულა სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლის მე-2 და 156-ე მუხლებით. თანამონაწილე პირთა დადგენის შესახებ საუბარიც კი არ არის.

## გიორგი თავდგირიძის საქმე

გიორგი თავდგირიძე „ახალი მემარჯვენეების“ წევრია. მაისის ბოლოს მას შინ ორი გოგონა ესტუმრა, რომელნიც სტატისტიკის დეპარტამენტის თანამშრომლებად გაეცნენ და მოითხოვეს ინფორმაცია ოჯახის წევრების საკუთრებაში არსებული ქონების, ავტომობილების, ბიზნესისა და ტელეფონების შესახებ. აღსანიშნავია, რომ აღნიშული ხასიათის გამოკითხვა იმ დღეებში იმავე კორპუსში არც ერთი სხვა ოჯახისთვის არ ჩაუტარებიათ. 2008 წლის 2 ივნისს, დღის 12 საათზე, გიორგი თავდგირიძე კუთვნილი ავტომობილით დიღმის მასივიდან ორთაჭა-

ლაში მიდიოდა. სანაპიროზე, დიდუბე-დიღმის ხიდის ქვეშ, 12.02 საათზე მას გადაუსწრო ორმა ავტომობილმა, უკნიდან კი ვერცხლისფერი „მერსედესი“ დაეჯახა, რომელსაც წინა ფარები დაუზიანდა. შეჯახების შემდეგ გიორგი თავდგირიძე გაჩერდა გზის პირას, მის წინ — „მერსედესი“, საიდანაც სამი პირი გადმოვიდა და მისკენ გაემართა. მანქანიდან გადმოსულს მას მოულოდნელად ერთ-ერთმა მათგანმა სახის არეში დაარტყა და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, მერე კი წააქციეს თავდგირიძე. ორი პირი წიხლებით სცემდა, მესამეს კი ხელში ეჭირა რკინის ნაჭერი და ფეხის არეში ურტყამდა. თავდასხმა 3-4 წუთს გაგრძელდა და მას შემდეგ შეწყდა, რაც თავდამსხმელთაგან ერთ-ერთმა დანარჩენებს მიმართა: „საკმარისია, გვეყოფა, წავედით!“

თავდგირიძე საკუთარი ავტომობილითვე გადაიყვანეს ღუდუშაურის საავადმყოფოში, სადაც დაუდგინდა ფეხის მოტეხილობა და სხეულის საერთო დაჟეჟილობა. დაზარალებული თავდასხმის ფაქტს საკუთარ პოლიტიკურ მოღვაწეობას უკავშირებს. 2008 წლის 7 ოქტომბერს საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა სამმართველოს უფროსმა არჩილ გიორგაძემ სახალხო დამცველს აცნობა, რომ პარტია „ახალი მემარჯვენეების“ წევრ გიორგი თავდგირიძის თავდასხმის ფაქტზე 2008 წლის 2 ივნისს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქალაქ თბილისის მთავარი სამმართველოს დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს პირველ განყოფილებაში დაიწყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის №002081645 საქმეზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. გიორგი თავდგირიძე ცნობილია დაზარალებულად. გამოძიების პროცესში ჩატარდა გარკვეული საგამოძიებო მოქმედებები, დაიკითხა დაზარალებული, დაათვალიერეს შემთხვევის ადგილი, დაინიშნა კომპლექსური, ბიოლოგიური, ტრასოლოგიური და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზები. ამჟამად საქმეზე გრძელდება წინასწარი გამოძიება, თუმცა გამოძიებამ თავდასხმის პოლიტიკური მოტივი ვერც ამ კონკრეტულ შემთხვევაში გამოკვეთა და ვერც თავდამსხმელთა ვინაობა დაადგინა.

## ლევან ჯღარკავას საქმე

ლევან ჯღარკავა „გაერთიანებული ოპოზიციის“ აქტივისტია. ცხოვრობს ქალაქ თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში. 2008 წლის 29 მაისს, დაახლოებით საღამოს 18.00 საათზე, სახლიდან აფთიაქში გასულმა შენიშნა ვერცხლისფერი BMW. იქიდან გამოსვლისას მიუახლოვდა 30-32 წლის მამაკაცი, ხელი მოჰკიდა და სთხოვა, გაჰყოლოდა. ამ დროს ჯღარკავამ დაინახა იქვე მდგომი მეორე მამაკაცი, რომელიც ნიღაბს იკეთებდა. მან თავის დახსნის მიზნით აღნიშნულ პირს ხელი მოუქნია. თავდამსხმელები ცდილობდნენ მანქანაში მის ძალით ჩასმას. ეს რომ ვერ მოახერხეს, მიწაზე დააწვინეს და რეზინის ხელკეტებით სცემეს. ურტყამდნენ მთელ სხეულზე. თავდასხმა დაახლოებით 2 წუთს გაგრძელდა. ფაქტი მოხდა ქალაქ თბილისში, იოანე პეტრიწის ქუჩაზე. დაზარალებული გადაიყვანეს ღუდუშაურის სახელობის საავადმყოფოში. მას ტვინის შერყევა და სხეუ-

ლის ზოგადი დაზიანება დაუდგინდა. აღნიშნულ ფაქტზე გამოძიებას აწარმოებს შსს ვაკე-საბურთალოს რაიონული სამმართველო. აღსანიშნავია, რომ ინციდენტამდე ორი დღით ადრე ლევან ჯღარკავას აცნობეს, რომ მისი სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე შეინიშნებოდა უცნობი ავტომობილები, მეზობლებმა კი უთხრეს, რომ მოპირდაპირე კორპუსიდან უცნობი პირები უთვალთვალებდნენ.

2008 წლის 9 ოქტომბერს საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს უფროსმა არჩილ გიორგაძემ საქართველოს სახალხო დამცველს აცნობა, რომ 2008 წლის 30 მაისს ქალაქ თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის შინაგან საქმეთა სამმართველოში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის №007082129 საქმეზე, ლევან ჯღარკავას სხეულის დაზიანების ფაქტზე — დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლის პირველი ნაწილით. სისხლის სამართლის საქმეზე დაიკითხნენ მოწმეები. ლევან ჯღარკავას სხეულის დაზიანების ხარისხის განსაზღვრის მიზნით დაინიშნა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა. ექსპერტის დასკვნით, ჯღარკავასათვის მიყენებული დაზიანებები მიეკუთვნება სხეულის მსუბუქი დაზიანების ხარისხს, რომელსაც არ გამოუწვევია ჯანმრთელობის მოშლა.

2008 წლის 25 სექტემბერს ლევან ჯღარკავამ განცხადებით მიმართა საგამოძიებო ორგანოებს და მოითხოვა სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა იმ მოტივით, რომ ის მომხდარი ფაქტის შედეგად დაზიანდა მსუბუქად და პრეტენზია არავის მიმართ არ ჰქონდა. მოცემულ საქმეზე 2008 წლის 25 სექტემბერს შეწყდა წინასწარი გამოძიება.

## გიორგი შერვაშიძის საქმე

**გიორგი შერვაშიძე პოლიტიკური ბლოკის — „დემოკრატების“ წევრია. აღნიშნული პოლიტიკური ძალა 2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნებში გამოდიოდა სახელწოდებით „ქრისტიანულ-დემოკრატიული ალიანსი“. გიორგი შერვაშიძე იყო აღნიშნული საარჩევნო ბლოკის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ზუგდიდის №67 საარჩევნო ოლქში. შერვაშიძე წარსულში იყო შინაგანი ჯარების სარდალი, აქვს გენერალ-ლეიტენანტის წოდება. ამჟამად პოლიტიკური ბლოკი „დემოკრატები“არასაპარლამენტო ოპოზიციაშია.**

2008 წლის 19 ივნისს, საღამოს 20 საათზე, გიორგი შერვაშიძე ავტომანქანით მიუახლოვდა თავის ავტოფარეხს (მისი საცხოვრებელი კორპუსის პირდაპირ, ქალაქ თბილისში, ტაშკენტის ქუჩაზე), გადმოვიდა, გააღო ავტოფარეხის კარი, ამ დროს კი უკნიდან დარტყმა იგრძნო. შერვაშიძე ძირს დავარდა. მან დაინახა, რომ თავს დაესხა ოთხი პირი. ერთს ეცვა ზოლიანი მაისური, ხოლო სამს — შავი ფერის ტანსაცმელი. ერთ-ერთმა თავდამსხმელმა ყელში წაუჭირა დაზარალებულს, რის შემდეგაც გონება და-

კარგა. ამ დროს ყეფა ატეხა შერვაშიძის კავკასიური ჯიშის ნაგაზმა. ძაღლის ყეფაზე შერვაშიძის მეუღლე ნინო შერვაშიძე აივანზე გავიდა და დაინახა, როგორ სცემდა ოთხი ათლეტური აღნაგობის პირი ქმარს. ნინო შერვაშიძის განმარტებით, მისგან ზურგით მდგომ პირს, რომელიც სხვებთან შედარებით დაბალი იყო, ეცვა შავზოლებიანი ყვითელი მაისური. დანარჩენ სამ ნიღბიან თავდამსხმელს — შავი პერანგი და იმავე ფერის შარვალი. ერთ-ერთი თავდამსხმელი გიორგი შერვაშიძეს ხელს ყელზე უჭერდა, დანარჩენები წიხლებსა და ხელკეტს ურტყამდნენ. ნინო შერვაშიძის კივილზე თავდამსხმელები გაიქცნენ შემთხვევის ადგილიდან. გაქცეულებს სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული თავდამსხმელი მისდევდა. გიორგი შერვაშიძე ათი წუთის განმავლობაში იმყოფებოდა უგონო მდგომარეობაში. გონსმოსულს გარს მეზობლები ეხვივნენ. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება.

## ბორის ძანაშვილის საქმე

ბორის ძანაშვილი „გაერთიანებული ოპოზიციის“ წევრია. 2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნებზე ძანაშვილი იყო ხაშურის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი. მისი განმარტებით, 2008 წლის 1 ივნისს, დაახლოებით 2 საათსა და 15 წუთზე, შინ ბრუნდებოდა (ქ. თბილისში, ს. ჩიქოვანის №18). მან სახლთან გააჩერა ავტომანქანა, მანქანიდან 10 მეტრში კი, სადარბაზოსთან, შენიშნა შავი ფერის „ფოლკსვაგენ-პასატის“ მარკის ავტომანქანა, ტრანზიტული ნომრებით. ავტომანქანის ოთხივე კარის გაღებისთანავე ბორის ძანაშვილი სადარბაზოსაკენ გაიქცა. კორპუსის შესასვლელთან ზურგის არეში იგრძნო ძლიერი დარტმა, სადარბაზოს კარს მოჰკიდა ხელი და ინსტინქტურად უკან მიიხედა. შენიშნა ნიღბიანი პირი, რომელიც, სავარაუდოდ, ბორის ძანაშვილისთვის ზურგში წიხლის ჩარტყმის მერე წაიქცა და წამოდგომას ცდილობდა. მას უკან მისდევდა კიდევ ერთი მამაკაცი, ხოლო მესამე პირი მათი მიმართულებით ყვიროდა: „არ გაუშვათ, დაიჭირეთ, არ გაგექცეთ!“ ძანაშვილი შევარდა სახლში და მაშინვე აივანზე გავიდა, საიდანაც დააფიქსირა, როგორ დატოვა შავი ფერის „ფოლკსვაგენ-პასატის“ მარკის მანქანამ მისი სახლის მიმდებარე ტერიტორია. ძანაშვილს მიყენებული დაზიანების გამო გაურთულდა ჯანმრთელობის მდგომარეობა, რის გამოც იგი დილის 6 საათზე სასწრაფო დახმარების მანქანამ გადაიყვანა ქ. თბილისის რესპუბლიკურ საავადმყოფოში. ძანაშვილი თავდასხმას თავის პოლიტიკურ საქმიანობას უკავშირებს.

2008 წლის 30 სექტემბერს საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს უფროსმა არჩილ გიორგაძემ საქართველოს სახალხო დამცველს აცნობა, რომ 2008 წლის პირველ ივნისს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქალაქ თბილისის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს სამმართველოში დაიწყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის №007082153 საქმეზე, მოქალაქე ბორის ძანაშვილის სხეულის დაზიანების ფაქტზე — დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლის პირველი ნაწილით.

დაზარალებულის სახით დაიკითხა ბორის ძანაშვილი, ჩატარდა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, რომლის დასკვნის თანახმად, ბორის ძანაშვილს სხეულზე რაიმე ფიზიკური დაზიანების ობიექტური ნიშნები არ აღენიშნება.

2008 წლის 4 აგვისტოს წინასწარი გამოძიება შეწყდა კერძო ბრალდების საქმეზე დაზარალებულის საჩივრის არარსებობის გამო. ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევისა და დევნის დანაშაულები არ წარმოადგენს კერძო ბრალდების საქმეს. ამგვარად, წინასწარი გამოძიება არასწორად შეწყდა.

## მამუკა კვარაცხელიას საქმე

2008 წლის 2 ივნისს სახალხო დამცველს მასზე განხორციელებულ თავდასხმასთან დაკავშირებით ახსნა-განმარტება მისცა „გაერთიანებული ოპოზიციის“ აქტივისტმა მამუკა კვარაცხელიამ. მისი განმარტებით, 2008 წლის პირველ ივნისს იგი მიემართებოდა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში მეგობრის, რუსი ჟურნალისტის დასახვედრად. ბუშის ქუჩასთან მიახლოებისას მის ავტომანქანას გვერდით ამოუდგა „ჯიპის“ მარკის უცხოური ავტომობილი. მამუკა კვარაცხელიამ მისთვის გვერდის აქცევა სცადა, თუმცა „ჯიპი“ მას წინ გადაუდგა, საიდანაც ოთხი ნიღბიანი გადმოვიდა. მათ შუაში მოიმწყვდიეს მამუკა კვარაცხელია, ხელ-ფეხი წებოვანი ლენტით — „სკოჩით“ შეუკრეს, „ჯიპის“ მარკის ავტომობილში ჩასვეს და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს. ავტომანქანაში გამტაცებლები მამუკა კვარაცხელიას ზურგის არეში ურტყამდნენ. კვარაცხელიას ეფარა ქუდი, რომელიც წებოვანი ლენტით იყო დამაგრებული. რამდენიმე ხნის შემდეგ კვარაცხელია გადმოიყვანეს ავტომობილიდან, ძირს დასვეს და დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში თავისა და ზურგის არეში წიხლებსა და ხელკეტებს ურტყამდნენ. ამ ხნის მანძილზე მისგან თავდამსხმელები ფულს ითხოვდნენ. ერთი საათის შემდეგ გამტაცებლებმა კვარაცხელია ავტომანქანაში დააბრუნეს და შემთხვევის ადგილს მოსწყდნენ. მანქანა დაახლოებით 30 წუთს მოძრაობდა. მამუკა კვარაცხელია ხელმეორედ გახდა ფიზიკური ძალადობის ობიექტი. ზემოთ მითითებული დროის გასვლის შემდეგ, ავტომანქანა გაჩერდა. მამუკა კვარაცხელიას ნიშნობის ბეჭედი მოხსნეს, გაჩხრიკეს, მის ხელთ არსებული ყველა საბუთი ჩამოართვეს და წებოვანი ლენტით შებორკილი ავტომანქანიდან გადააგდეს. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ კვარაცხელიას ძაღლის ყეფა შემოესმა. ძაღლის პატრონმა შემოხსნა ლენტი მამუკას და ტელეფონით კვარაცხელიას ძმას დაუკავშირდა. დაზარალებულმა აღმოაჩინა, რომ ვაშლიჯვრის ტყეში იმყოფებოდა. მას მანქანით ძმამ მიაკითხა და თბილისის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მოათავსა. მამუკა კვარაცხელიას დაუსვეს შემდეგი დიაგნოზი: სხეულის ზოგადი დაჟეჟი-

ლობა, მარცხენა იდაყვისა და მარცხენა ფეხზე მცირე წვივის ძვლის მოტეხილობა.

2008 წლის 20 ოქტომბერს საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს უფროსმა არჩილ გიორგაძემ საქართველოს სახალხო დამცველს აცნობა, რომ 2008 წლის 1 ივნისს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქალაქ თბილისის ისანი-სამგორის სამმართველოში დაიწყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის №004082938 საქმეზე, მამუკა კვარაცხელიას მიმართ განხორციელებული ძარცვის ფაქტზე. რიგი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შემდგომ საქმეზე დაზუსტდა კვალიფიკაცია და გამოძიება წარიმართა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა,“ „დ,“ და „ე“ ქვეპუნქტებით (ძარცვა ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის, ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ), 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (თავისუფლების უკანონო აღკვეთა სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით), ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ) და 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (გამოძალვა ჩადენილი ჯგუფურად) გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

## იოსებ ბორცვაძის საქმე

იოსებ ბორცვაძე გორის ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში „გაერთიანებული ოპოზიცია — ეროვნული საბჭო, მემარჯვენეების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ გიორგი მოსიძის საარჩევნო შტაბის უფროსი იყო. 2008 წლის პირველ ივნისს, 22.30 საათზე, იოსებ ბორცვაძე „ახალი მემარჯვენეების“ გორის ოფისიდან გამოვიდა. იმ დღეს მშობლებისაგან შეიტყო, რომ მათი საცხოვრებელი სახლი უცხო პირების მხრიდან მუდმივი თვალთვალის ობიექტს წარმოადგენდა. ამის გამო მას სთხოვეს, ფეხით არ ევლო. ბორცვაძემ ტაქსი გააჩერა და შინისკენ გაემართა. გზად, სააკაძის ქუჩაზე, ტაქსის წამოეწია მუქი ლურჯი ფერის ტრანზიტულნომრიანი „ოპელი“. ტაქსი იმ ვარაუდით გაჩერდა, რომ მისთვის გზა დაეთმო. ავტომანქანიდან კი გადმოვიდა ორი მამაკაცი, რომელთაგან ერთი ტაქსის კარს მიუახლოვდა, ხოლო მეორე თავისი ავტომანქანის უკან დადგა. უცნობმა გამოაღო ტაქსის კარი და ბორცვაძეს ჰკითხა, რას ინახავდა ჯიბეში. უცნობი მიუთითებდა CD დისკზე გადატანილ იმ ვიდეომასალაზე, სადაც ასახული იყო 2008 წლის 21 მაისს არჩევნების დღეს მომხდარი დარღვევები. კითხვის დასმის შემდეგ იოსებ ბორცვაძე გადმოვიდა ტაქსიდან, რასაც მომენტალურად მოჰყვა მოსაუბრის მხრიდან ხელის დარტყმა სახის არეში. მანქანის უკან მდგომმა მეორე პირმა სახეზე ნიღაბი გაიკეთა და იოსებ ბორცვაძეს ზურგის მხრიდან დაარტყა. უეცრად „ოპელის“ მარკის ავტომანქანიდან მესამე ნიღბიანიც გადმოვიდა, რომელსაც ხელში ბეისბოლის ჯოხი ეჭირა. მან ორჯერ დაარტყა ბორცვაძეს ბეისბოლის ჯოხი. სხვებმა წაქცევის მიზნით ტანსაცმელი შემოახიეს. ამ დროს გამოც-

ვივდნენ მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებნი. თავდამსხმელთა ერთი ნაწილი ჩაჯდა „ოპელის“ მარკის ავტომანქანაში, ხოლო მეორე ნაწილი — იმ ტაქსიში, რომელიც იოსებ ბორცვაძეს ემსახურებოდა და დატოვეს იქაურობა.

იოსებ ბორცვაძე თავდასხმას თავის პოლიტიკურ საქმიანობას უკავშირებს. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება. 2008 წლის 11 სექტემბერს სახალხო დამცველმა წინასწარი გამოძიების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდების მოთხოვნით მიმართა გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს, თუმცა პასუხი პარლამენტში მოხსენების წარდგენის დრომდე არ უცნობებიათ.

## დავით საზანიშვილის საქმე

2008 წლის 31 მაისს სახალხო დამცველის რწმუნებული გაესაუბრა „გაერთიანებული ოპოზიციის“ აქტივისტ დავით საზანიშვილს. იგი მონაწილეობდა 2008 წლის მარტში პარლამენტის შენობის წინ მიმდინარე შიმშილობის აქციაში.

2008 წლის 30 მაისს, დაახლოებით 15 საათზე, დავით საზანიშვილი ავტობუსით მიდიოდა თავისი მეგობრის, ლადო ბასილაიას სახლში. დავით საზანიშვილი ავტობუსიდან ჩამოვიდა ბოგდან ხმელნიცკის ქუჩაზე, მაღაზია „სალამურასთან“. მან შენიშნა ვერცხლისფერი BMW-ს მარკის ავტომანქანა, საიდანაც გადმოვიდა ოთხი პირი. მათ ეცვათ სამოქალაქო ტანსაცმელი და სახეზე ნიღბები ეკეთათ. უცნობები მიუახლოვდნენ დავით საზანიშვილს, ავტომანქანაში ძალით ჩასვეს და თავზე შავი ფერის პარკი ჩამოაცვეს. მერე ავტომანქანა, სავარაუდოდ, აფრიკის დასახლების მიმართულებით დაიძრა. გზად მხოლოდ ერთ-ერთმა გამტაცებელმა დაარღვია დუმილი და გააფრთხილა, ჩუმად ყოფილიყო. მეორე პირი სარგებლობდა მობილური ტელეფონით და მოსაუბრეს მიმართავდა შემდეგი სიტყვებით: „ხო,“ „კი,“ „ყველაფერი კარგადაა, მოგვყავს“. ავტომანქანის გაჩერების შემდეგ დავით საზანიშვილი გადმოიყვანეს და დაახლოებით ოთხი წუთის განმავლობაში სასტიკად სცემდნენ, ურტყამდნენ რეზინის ხელკეტებს. როცა მას თირკმლის არეში შეეხნენ, ერთ-ერთმა მოძალადემ იყვირა, არ დაეზიანებინათ თირკმლები. შავი პარკიდან, რომელიც დავით საზანიშვილს თავზე ჰქონდა წამოცმული, დაზარალებულმა შენიშნა ათიოდე ნიღბიანი მამაკაცი, რომლებსაც ჯინსები ეცვათ. ხუთი წუთის გასვლის შემდეგ თავდამსხმელები ჩასხდნენ ავტომანქანაში და დავით საზანიშვილი შემთხვევის ადგილზე მარტო დატოვეს. ავტომანქანის სიგნალის მიხედვით დავით საზანიშვილი მიხვდა, რომ თავდამსხმელები ორი ავტომანქანით მოძრაობდნენ. ათი წუთის შემდეგ საზანიშვილი გადმოვიდა ტრასაზე, ტაქსი გააჩერა და შინისკენ წავიდა. დაზარალებულს აღმოუჩინეს სასწრაფო სამედიცინო დახმარება. მას დაუსვეს შემდეგი დიაგნოზი: სხეულის ზოგადი დაჟეჟილობა, მარცხენა ფეხზე კოჭის არეში აღენიშნება შემავალი ჭრილობა. დავით საზანიშვილი აღნიშნული თავდასხმის ფაქტს თავის პოლიტიკურ საქმიანობას უკავშირებს.

## დავით მეტრეველის საქმე

2008 წლის 3 ივნისს თავდასხმის დეტალებთან დაკავშირებით დავით მეტრეველმა ინფორმაცია მიაწოდა სახალხო დამცველს. დავით მეტრეველი „გაერთიანებული ოპოზიცია — ახალი მემარჯვენეების“ ხაშურის რაიონული ორგანიზაციის აქტიური წევრია.

2008 წლის 1 ივნისს დავით მეტრეველმა შენიშნა, სავარაუდოდ, მუქი ლურჯი ფერის „ოპელის“ ან BMW-ს მარკის ავტომანქანა უცხო ქვეყნის ნომრებით, საიდანაც უცნობი მამაკაცები უთვალთვალებდნენ. ამავე დღეს დავით მეტრეველთან მივიდა მეზობელი, რომლის სახელს და გვარს იგი არ ასახელებს. მეზობელმა მას უთხრა, რომ აღნიშნული ავტომანქანა საეჭვოდ მოძრაობდა დავით მეტრეველის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე. ეს შეიმჩნეოდა 22-23 საათამდე.

2008 წლის 2 ივნისს დავით მეტრეველთან ხელმეორედ მივიდა მეზობელი და სთხოვა, გარეთ გასვლას მორიდებოდა, ვინაიდან უცნობი პირები განაგრძობდნენ მისი სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე ნელი სვლით მოძრაობას. ამავე დღის დაახლოებით დილის 11 საათზე დავით მეტრეველმა გაიხედა სახლის ფანჯრიდან და დაინახა, რომ (ქალაქ ხაშურში, ცხრა აპრილის ქუჩაზე) წმიდა მარინეს ეკლესიასთან იდგა თეთრი ფერის „ნივა“ სახელმწიფო ნომრით SMS 545. დავით მეტრეველმა იეჭვა, რომ აღნიშნულ ავტომანქანაში მყოფი პირები უთვალთვალებდნენ. დღის 12 საათზე მან მეზობელ ტარიელ ბარბაქაძეს სთხოვა, გაჰყოლოდა მას შემოწმების მიზნით, ისევ იდგა თუ არა ავტომანქანა ხაშურში, ცხრა აპრილის ქუჩაზე. მათ დააფიქსირეს, რომ ავტომობილს შეცვლილი ჰქონდა ადგილი და ამჯერად დავით მეტრეველის სახლს მიახლოებოდა. ქუჩაში ხალხმრავლობის გამო დავით მეტრეველმა მისთვის იქ ყოფნა უსაფრთხოდ ჩათვალა და ტარიელ ბარბაქაძესთან ერთად განაგრძო გზა. თეთრი ფერის „ნივა“ მათი მიმართულებით დაიძრა, გაჩერდა, მანქანიდან გადმოვიდა სამი ნიღბიანი მამაკაცი. მათ დავით მეტრეველს შემდეგი სიტყვებით მიმართეს: „აღარ დაანებებ ამ ამბავს თავს?“ და დაიწყეს მისი ცემა ხელკეტებითა და წიხლებით. წააქციეს და ურტყამდნენ თავისა და ნელის არეში. ცემა გრძელდებოდა დაახლოებით 2 წუთს და მას შემდეგ შეწყდა, რაც ქუჩაში მყოფმა მეზობლებმა მისი დახმარება სცადეს. თავდამსხმელებმა დატოვეს შემთხვევის ადგილი. მოგვიანებით დავით მეტრეველი გადაიყვანეს ხაშურის რაიონულ საავადმყოფოში, სადაც მას ყვრიმალის ძვლის მოტეხილობა და სხეულის ზოგადი დაჟეჟილობა დაუდგინდა. აღნიშნულ ფაქტზე გამოძიებას აწარმოებს ხაშურის რაიონული პოლიცია.

დავით მეტრეველის განმარტებით, ყოველივე ეს მის პოლიტიკურ მოღვაწეობასა და აქტივობას უკავშირდება.

## ჟანა გიგუაშვილის საქმე

შპს „გირჩის“ კუთვნილ კერძო სკოლა „ჯეჯილის“ დირექტორის მიერ 2007 წლის 8 ოქტომბერს გამოცემული №345/კ ბრძანების საფუძველზე სამუშაოდან დაითხოვეს გერმანული ენის მასწავლებელი ჟანა გიგუაშვილი. ეს უკანასკნელი სამსახურიდან მის გათავისუფლებას პოლიტიკურ

დევნას უკავშირებს. ჟანა გიგუაშვილი სახალხო დამცველისათვის საანგარიშო პერიოდში მიცემულ ახსნა-განმარტებაში აღნიშნავს, რომ სამსახურიდან გათავისუფლებას წინ უსწრებდა მისი ვაჟიშვილის, თავდაცვის ყოფილი მინისტრის, ირაკლი ოქრუაშვილის დაკავება 2007 წლის 27 სექტემბერს. ჟანა გიგუაშვილის აზრით, სამსახურიდან დათხოვნის რეალური მოტივაცია სწორედ მისი ვაჟიშვილის დაპატიმრება გახდა.

## არჩილ ჯორჯაძისა და ნელი ცქიტიშვილის საქმე

**2008 წლის 13 მაისს საჯარო სამართლის იურიდიული პირის, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის უფროსს, ჰამლეტ რაზმაძეს განცხადებით მიმართა არჩილ ჯორჯაძემ. განცხადებაში აღნიშნულია: „ქვეყანაში საპარლამენტო არჩევნები მიმდინარეობს სასტიკი პოლიტიკური ტერორისა და რეპრესიების ქვეშ. ირღვევა საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო სამართლით აღიარებული ადამიანის ძირითადი უფლებები. ფეხქვეშ ითელება ადამიანის პატივი და ღირსება. აღარ არსებობს პიროვნების თავისუფალი განვითარების საშუალება. ჩემ მიმართ, როგორც „გაერთიანებული ოპოზიცია — ეროვნული საბჭო, მემარჯვენეების“ საარჩევნო შტაბის წევრისა და იურისტის, ხორციელდება მძიმე ფსიქოლოგიური და მორალური ზეწოლა, შანტაჟი. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, გამათავისუფლოთ დაკავებული თანამდებობიდან, რათა ჩემი უნივერსიტეტში ყოფნით საფრთხე არ შევუქმნა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასა და, ზოგადად, უნივერსიტეტს. იმედი მაქვს, მალე ვიქნებით თავისუფალი და ვიცხოვრებთ ერთიან საქართველოში“.**

2008 წლის 22 მაისს საჯარო სამართლის იურიდიული პირის, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის უფროსმა ჰამლეტ რაზმაძემ მიიღო არჩილ ჯორჯაძის გათავისუფლების შესახებ №172 ბრძანება. ამ დოკუმენტში აღნიშნულია: „თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული სპეციალობის კოორდინატორი არჩილ ჯორჯაძე 2008 წლის 22 მაისიდან გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან“. არჩილ ჯორჯაძე თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობდა 2005 წლის პირველი ნოემბრიდან 2008 წლის 22 მაისამდე. ამ დროის განმავლობაში არჩილ ჯორჯაძე იყო საჯარო სამართლის (ადამიანის უფლებები, კონსტიტუციური სამართალი და მოქალაქეობა) მიმართულების მასწავლებელი. 2007 წლის 1 ნოემბრიდან იგი დაინიშნა იურიდიული სპეციალობის კოორდინატორად. 2007 წლის ნოემბერში ჩაერთო პოლიტიკურ საქმიანობაში და გახდა პარტია „თავისუფლების“ წევრი. 2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებში წარმოადგენდა აღნიშნულ პარტიას თელავის №17 საოლქო საარჩევნო კომისიაში. 2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნებში დაიკავა საარჩევნო ბლოკის — „გაერთიანებული ოპოზიცია — ეროვნული საბჭო, მემარჯვენეებისა“ და თელავის №17 საარჩევნო ოლქში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ფიქრია ჩიხრაძის საარჩევნო შტაბის იურისტის თანამდებობა.

2008 წლის 7 მაისს არჩილ ჯორჯაძემ ფიქრია ჩიხრაძესთან თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში ამომრჩეველთან შეხვედრას გაუწია ორგანიზება. აღსანიშნავია, რომ ცოტა ხნით ადრე იგივე დარბაზი საარჩევნო კამპანიისათვის გამოიყენა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა — გამარჯვებული საქართველოსათვის“ თელავის №17 საოლქო საარჩევნო ოლქში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა გიორგი არსენიშვილმა. ფიქრია ჩიხრაძესთან შეხვედრას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტებიც დაესწრნენ. არჩილ ჯორჯაძის განმარტებით, კონკურენტი პარტიის მხარდამჭერები მუქარის ძალით სტუდენტებს აიძულებდნენ შეხვედრაზე დასწრებისაგან თავის შეკავებას. იმავე მოტივით უნივერისტეტის თანამშრომლებს სამსახურიდან გათავისუფლებით ემუქრებოდნენ. როგორც ცნობილია, დარბაზში დამსწრე განსხვავებული აზრის მქონე პირები შეძახილებითა და პროვოკაციული გამონათქვამებით („რა უფლება აქვს რაჭველს, კახეთში იყაროს კენჭი“) შეხვედრის ჩაშლას ცდილობდნენ.

არჩილ ჯორჯაძის განმარტებით, საარჩევნო კამპანიის ფარგლებში ჩატარებული აღნიშნული ღონისძიების დასრულების შემდეგ მასთან მივიდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერი, რომლის ვინაობასაც არ ამხელს სახალხო დამცველისათვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში, თუმცა პირობას იძლევა, რომ საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნული პიროვნების ვინაობის თაობაზე საქმის კურსში ჩააყენებს საგამოძიებო ორგანოებს. „ნაციონალური მოძრაობის“ ზემოხსენებული მხარდამჭერი არჩილ ჯორჯაძეს დაემუქრა, რომ მისი პოლიტიკური აქტივობის გამო, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის შემოწმების ობიექტი გახდებოდა. არჩილ ჯორჯაძესთან დაახლოებულ პირს, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, გია გოცირიძეს ფინანსური დარღვევებისათვის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მისცემდნენ. შედეგებზე პასუხისმგებლობას „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტი მთლიანად არჩილ ჯორჯაძეს აკისრებდა. არჩილ ჯორჯაძე მონაწილეობდა თელავის ადგილობრივი ტელეკომპანია „თანამგზავრის“ წინასაარჩევნო დებატებში. შეხვდა თელავის №17 საარჩევნო ოლქში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო შტაბის უფროს გია პაპუნაშვილს. ამ უკანასკნელმა არჩილ ჯორჯაძეს კვლავ მოსთხოვა „გაერთიანებული ოპოზიციის“ საარჩევნო შტაბის დატოვება. ჯორჯაძემ ეს მოთხოვნა უნივერსიტეტის რექტორისა და მის მიმართ მუქარად აღიქვა. მან სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე განცხადებით მიმართა საჯარო სამართლის იურიდიული პირის, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის უფროსს, თუმცა რექტორის მოადგილის, დავით მახარაშვილისაგან მიიღო გარანტია, რომ განცხადებას არ დააკმაყოფილებდნენ. სამსახურის დატოვების შესახებ არჩილ ჯორჯაძემ ბრიფინგი მოიწვია, სადაც კახეთის რეგიონში არსებულ მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის — გუბერნატორის მოადგილე გიორგი ბოტკოველი მის მიმართ ზეწოლაში დაადანაშაულა. 2008 წლის 14 მაისს თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა საპროტესტო აქცია მოაწყეს. ისინი არჩილ ჯორჯაძის მიმართ პოლიტიკური ნიშნით დევნას აპროტესტებდნენ.

2008 წლის 22 მაისს გიორგი ბოტკოველი არჩილ ჯორჯაძეს თელავის №17 საოლქო საარჩევნო კომისიაში შეხვდა და აცნობა, რომ თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცლერმა განცხადება სამსახურიდან მისი გათავისუფლების თაობაზე დააკმაყოფილა. გიორგი ბოტკოველი ამ ფაქტით აღფრთოვანებას არ მალავდა. მეორე დღეს არჩილ ჯორჯაძე თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორ გია გოცირიძეს შეხვდა. რექტორმა დაადასტურა, რომ არჩილ ჯორჯაძის გათავისუფლების თაობაზე გადაწყვეტილება უშუალოდ გიორგი ბოტკოველის ზემოქმედების შედეგად მიიღეს. გია გოცირიძემ განმარტა, რომ გიორგი ბოტკოველი უკმაყოფილო იყო არჩილ ჯორჯაძის მიერ ფიქრია ჩიხრაძესთან ამომრჩეველთა შეხვედრის ორგანიზებით, პოლიტიკური ოპონენტების მხრიდან ზეწოლის თემაზე ჩატარებული ბრიფინგით და 2008 წლის 14 მაისს გამართული სტუდენტების საპროტესტო აქციით. გიორგი ბოტკოველი თვლიდა, თავად არჩილ ჯორჯაძეს არ უნდა დაეშვა მსგავსი ხასიათის საპროტესტო აქციის ჩატარება. გია გოცირიძემ განაცხადა, რომ მოკლებული იყო შესაძლებლობას, წინააღმდეგობა გაეწია გიორგი ბოტკოველისათვის, სწორედ ამის გამო დააკმაყოფილეს არჩილ ჯორჯაძის განცხადება. შვილის პოლიტიკური აქტივობის გამო გიორგი ბოტკოველი სამსახურიდან გათავისუფლებით დაემუქრა არჩილ ჯორჯაძის მამასაც.

2008 წლის 8 მაისს საჯარო სამართლის იურიდიული პირის, თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორ გიორგი გოცირიძეს განცხადებით მიმართა ამავე უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და რექტორის აპარატის უფროსმა ნელი ცქიტიშვილმა. იგი ფიქრია ჩიხრაძის საარჩევნო შტაბის უფროსი იყო და 2008 წლის 7 მაისს ორგანიზება გაუწია ფიქრია ჩიხრაძის შეხვედრას ამომრჩევლებთან. ნელი ცქიტიშვილი განცხადებაში აღნიშნავს: „მიმდინარეობს მზადება საპარლამენტო არჩევნებისათვის. მე, როგორც ოპოზიციური პარტიის ლიდერის და მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, ფიქრია ჩიხრაძის საარჩევნო შტაბის წევრი, აქტიურად ვარ ჩართული წინასაარჩევნო კამპანიაში. ვგრძნობ, რომ ამით საფრთხეს ვუქმნი უნივერსიტეტსა და მის ხელმძღვანელობას, რადგანაც ქვეყანაში ისეთი მმართველი რეჟიმია, რომლისთვისაც მიუღებელია განსხვავებული აზრი, თავისუფალი სიტყვა და თავისუფალი არჩევნები. ვითავისებ რა პასუხისმგებლობის გრძნობას უნივერსიტეტის წინაშე, გთხოვთ, გამათავისუფლოთ საზოგადოებასთან ურთიერთობისა და აპარატის უფროსის თანამდებობიდან“.

2008 წლის 22 მაისს საჯარო სამართლის იურიდიული პირის, თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის უფროსმა ჰამლეტ რაზმაძემ გამოსცა ნელი ცქიტიშვილის სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანება.

## მელიტონ პაკელიანის საქმე

**მელიტონ პაკელიანი დასაქმებული იყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მესტიის სამმართველოს სოფელ ბეჩოს განყოფილებაში, სადაც ასრულებდა ოპერატიული მორიგის მოვალეობას. 2008 წლის 21 აპრილს მელიტონ პაკელიანს მისმა ხელმძღვანელმა, მესტი-**

**ის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსმა ბესო გაბულდანმა ხატზე დაფიცება მოსთხოვა. მელიტონ პაკელიანს, სხვა პოლიციელებთან ერთად, ხატის წინაშე ფიცის ძალით უნდა უზრუნველეყო შემდეგი სამი ვალდებულების შესრულება:**

**1. 2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნებზე ხმას მისცემდა „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“;**

**2. ხმას მისცემდა ზემოაღნიშნული საარჩევნო სუბიექტის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ კახა კვიციანს;**

**3. არ გათქვამდა იმ ფაქტს, რომ 2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებზე მელიტონ პაკელიანმა და მისი ოჯახის წევრებმა მიხეილ სააკაშვილს მისცეს ხმა.**

მელიტონ პაკელიანმა უარი განაცხადა ფიცის ფორმულარში აღნიშნული მეორე ვალდებულების აღებაზე, ვინაიდან გაერთიანებული ოპოზიციის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი და მეოთხე მოწვევის პარლამენტის **წევრი ვიქტორ ჯაფარიძე მისი დისშვილია და საკუთარი ახლო ნათესავის წინააღმდეგ აქტიური საარჩევნო ხმის უფლებას ვერ გამოიყენებდა.** მესტიის პოლიციის ერთ-ერთმა თანამშრომელმა რ. კვიციანმა მელიტონ პაკელიანს მოახსენა, რომ მან თავისი პოლიტიკური არჩევანი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სასარგებლოდ გარანტიის სახით უშხვანარის ეკლესიაში ფიცით განამტკიცა და მელიტონ პაკელიანსაც ურჩია, ასე მოქცეულიყო. რ. კვიციანმა მელიტონ პაკელიანი დაამშვიდა, რომ ვიქტორ ჯაფარიძე ბიძისა და ბიცოლის ხმების დაკარგვას გაგებით შეხვდებოდა. მესტიის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსმა ბესო გაბულდანმა მისდამი სამსახურებრივად დაქვემდებარებული პირის — მელიტონ პაკელიანის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო კამპანიაში ჩართვა განიზრახა. სამმართველოს უფროსმა მელიტონ პაკელიანს სოფელი ეწერიდან მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ კახა კვიციანის მხარდამჭერი ასი ხელმოწერის წარმოდგენა მოსთხოვა და იქვე ვიქტორ ჯაფარიძის საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის გამო უსაყვედურა.

2008 წლის აპრილის დასაწყისში მელიტონ პაკელიანმა სოფელ ბეჩოდან სოფელ ჭუბერამდე იმგზავრა ვიქტორ ჯაფარიძის კუთვნილი ავტომანქანით. ვიქტორ ჯაფარიძე ჭუბერში ჩხვიმიანების ოჯახს სტუმრობდა, ხოლო მელიტონ პაკელიანი თავდაპირველად იმყოფებოდა სოფლის ცენტრში, მოგვიანებით კი ჩხვიმიანებს მიაკითხა. ბესო გაბულდანმა სწორედ ეს გარემოება — დისშვილისა და ბიძის ურთიერთობა, წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობად მიიჩნია. მელიტონ პაკელიანმა უფროსის უკანონო ბრძანების შესრულებასა და მმართველი პარტიის წინასაარჩევნო კამპანიაში უკანონო მონაწილეობაზე უარი განაცხადა.

**2008 წლის 22 მაისს მელიტონ პაკელიანი პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლი გახდა. მესტიის შს სამმართველოს სოფელ ბეჩოს ქვეგანყოფილების უფროსმა რ. კვიციანმა და რიგითმა პოლიციელმა ხორგუანმა მელიტონ პაკელიანს გამოუცხადეს, რომ სამეგრელო-ზემო სვანეთის შს მთავარი სამმართველოს უფროს თენგიზ გუნავას ბრძა-**

**ნებით დათხოვნილია შინაგან საქმეთა ორგანოს რიგებიდან და მოსთხოვეს ტაბელური იარაღის ჩაბარება.**

## ნანა ფაჟავას საქმე

**რადიო „იმედის“ ჟურნალისტი ნანა ფაჟავა და რადიო „მწვანე ტალღის“ ჟურნალისტი იოსებ ხოფერია — „გაერთიანებული ოპოზიცია — ეროვნული საბჭო, მემარჯვენეების“ საარჩევნო ბლოკში შემავალი ერთ-ერთი სუბიექტის, პარტია „თავისუფლების“ წევრები — ქალაქ ზუგდიდიდან გეგმავდნენ დედაქალაქში ჩამოსვლას და ოპოზიციური პარტიების საპროტესტო აქციაში მონაწილეობის მიღებას. ჟურნალისტების განმარტებით, ზემოხსენებული პარტიის აქტივისტებს ტელეფონით, რომლის ნომერია 860470000, უკავშირდებოდნენ უცნობი პირები და საპროტესტო აქციაში მონაწილეობაზე უარის თქმის მიზნით მათზე ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ახდენდნენ სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენებით.**

ზემოხსენებული ნომრიდან უცნობმა პირმა უცენზურო სიტყვებით მიმართა იოსებ ხოფერიასაც. ამ უკანასკნელმა და ნანა ფაჟავამ პარტია „თავისუფლების“ აქტივისტებს გაყოლა შესთავაზეს, ვინაიდან ჟურნალისტების თანხლების შემთხვევაში დაცული იქნებოდა პარტია „თავისუფლების“ აქტივისტების უსაფრთხოება. **ჟურნალისტები და პარტიული აქტივი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დაცვის დეპარტამენტის თვალთვალის ობიექტს წარმოადგენდნენ.** ჟურნალისტ იოსებ ხოფერიას განმარტებით, ზუგდიდში მათ მუდმივად დაჰყვებოდა ავტომანქანა სახელმწიფო ნომრით NOD 476 და ვერცხლისფერი BMW. ჟურნალისტები და პარტია „თავისუფლების“ წევრები ჩასხდნენ მიკროავტობუსში და გაემართნენ თბილისის მიმართულებით. სოფელ თეკლათთან, კერძოდ, თბილისი-ფოთის სარკინიგზო მაგისტრალთან მიახლოებისას, მიკროავტობუსს თავს დაესხა შავტანსაცმლიანი ოთხი ნიღბიანი პირი. მათ ავტომატის კონდახით ჩაამსხვრიეს მიკროავტობუსის მარჯვენა საქარე მინა, რამაც პანიკა გამოიწვია. იოსებ ხოფერია ძირს დაწვა. ნანა ფაჟავა მივიდა მძღოლთან და გზის გაგრძელება მოსთხოვა. ერთ-ორ წუთში მიკროავტობუსი მიუახლოვდა თავდასხმის ადგილიდან 700 მეტრში მდებარე სენაკის საპატრულო პოლიციის შენობას. თავდამსხმელები მათ შავი „ჯიპით“ მისდევდენენ. ნანა ფაჟავას განმარტებით, აღნიშნული ავტომანქანის სახელმწიფო ნომერია WKS 520.

**ნანა ფაჟავამ სენაკის საპატრულო პოლიციისაგან მათზე მომხდარი თავდასხმის ფაქტზე რეაგირება მოითხოვა. ამ დროს სენაკის საპატრულო პოლიციის შენობასთან გამოჩნდა თავდამსხმელთა კუთვნილი შავი ფერის „ჯიპი“. ავტომანქანაში ფაჟავამ შეამჩნია ერთ-ერთი თავდამსხმელი, რომელსაც შავი ფერის მაისური ეცვა და ხელში ავტომატური იარაღი ეკავა. მიკროავტობუსის მგზავრებმა საპატრულო პოლიციისაგან ავტომანქანის გაჩერება და მასში მყოფი პირების დაკავება მოითხოვეს. საპატრულო პოლიციის თანამშრომლები გამოედევნენ ავტომანქანას, თუმცა ხუთი წუთის შემდეგ დაბრუნდნენ და განაცხადეს, რომ მათი დაკავება ვერ მოახერხეს.**

## ირაკლი კაკულიასა და სხვათა საქმე

ირაკლი კაკულია 2001 წლის სექტემბრიდან პოლიტიკური პარტია „ახალი მემარჯვენეების“ წევრია. 2005 წლიდან იგი გახდა „ახალი მემარჯვენეების“ ფოთის ორგანიზაციის ხელმძღვანელი. 2008 წლის 6 ივნისს საქართველოს პრეზიდენტმა დაასახელა 2008 წლის 21 მაისს არჩეული პარლამენტის პირველი სხდომის მოწვევის თარიღი. ირაკლი კაკულია იზიარებდა თავისი პარტიის პოზიციას და არ აღიარებდა აღნიშნული პარლამენტის ლეგიტიმურობას. ირაკლი კაკულიამ პარლამენტის შეკრების წინააღმდეგ დაგეგმილ საპროტესტო აქციაში მონაწილეობა გადაწყვიტა. იგი თავისი კუთვნილი ავტომანქანით ფოთიდან გაემართა თბილისისაკენ. ავტომანქანაში ისხდნენ „ახალი მემარჯვენეების“ ბიუროს წევრი ზვიად შუბითიძე, „ლეიბორისტული პარტიის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ფოთის საარჩევნო ოლქში ბესიკ გვაჯავა და „კონსერვატიული პარტიის“ ფოთის ორგანიზაციის ხელმძღვანელი თამაზ სოსელია. ფოთიდან დაახლოებით მე-18 კილომეტრზე, ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შუა ხორგის ბაქნის უკანა მხარეს, დაახლოებით 00 საათსა და 15 წუთზე, ავტომანქანა გააჩერა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟმა პაატა ქათამაძისა და ხვიჩა კვარაცხელიას შემადგენლობით. პატრულ-ინსპექტორებმა ჩაატარეს ტესტი ირაკლი კაკულიას ალკოჰოლურ თრობაზე. ტესტმა დადებითი შედეგი უჩვენა. ირაკლი კაკულიამ და მისმა თანმხლებმა პირებმა გამოთქვეს ვარაუდი, რომ შემოწმების აპარატზე დასხმული იყო ალკოჰოლიანი ნივთიერება. ირაკლი კაკულიამ შემოწმების განმეორება მოითხოვა, რაზედაც უარი მიიღო. ავტომანქანის მგზავრებმა განაცხადეს, რომ მათაც ჰქონდათ მართვის მოწმობა, საჭესთან დაჯდომა და გზის გაგრძელება მოითხოვეს. საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა ნასვამ მდგომარეობაში ავტომანქანის მართვის გამო ირაკლი კაკულიას შეუდგინეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და სატრანსპორტო საშუალება სენაკის საჯარიმო სადგომზე გადაიყვანეს. ირაკლი კაკულია, თამაზ სოსელია, ბესიკ გვაჯავა და ზვიად შუბითიძე დატოვეს ზემოხსენებულ ადგილას. ისინი 00 საათსა და 45 წუთზე გაემართნენ ფოთის მიმართულებით. დაახლოებით ორმოც წუთში მივიდნენ ქვემო ხორგის ბაქანთან. ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის ფოთელმა აქტივისტებმა ქვემო ხორგის ბაქანთან მყოფ შეიარაღებული კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებს დახმარება სთხოვეს, რაზედაც უარი მიიღეს. ირაკლი კაკულია ტელეფონით დაუკავშირდა თავის ძმას, ვახტანგ კაკულიასა და მეგობარ არსენ ღურცკაიას. ამ დროს ტრასაზე გამოჩნდა სენაკიდან თბილისისაკენ მიმავალი „გრუპის“ მარკის ავტობუსი, სადაც ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის აქტივისტები ჩასხდნენ და თბილისისაკენ გამგზავრება სცადეს. დაახლოებით 02 საათსა და 15 წუთზე ავტობუსი გააჩერა საპატრულო პოლიციამ და მძღოლი სასაუბროდ იხმო. რამდენიმე წუთის შემდეგ მძღოლი ბრუნდება და ოპოზიციური პარტიების წევრებს უცხადებს, რომ ავტობუსს ფოთში მოუწევს დაბრუნება, თუკი ოპოზიციონერები არ დატოვებენ მას.

არსენ ღურცკაია საპატრულო პოლიციამ გააჩერა სოფელ ჭალადიდ-

თან, მოსთხოვა მართვის მოწმობა და ალკოჰოლურ თრობაზე შემოწმება. შემოწმებამ დადებითი შედეგი აჩვენა. სამართალდამცველებმა შეადგინეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. პოლიციელებმა არსენ ღურცკაია ჩასვეს მანქანაში და სოფელ საგვიჩოსთან მიახლოების შემდეგ განუცხადეს, რომ აპირებდნენ ავტომანქანის საჯარიმო ბაზაზე გადაყვანას, რის გამოც მანქანის დატოვება მოსთხოვეს. პოლიციამ არსენ ღურცკაია მარტო დატოვა დაუსახლებელ ადგილას. ერთ კილომეტრში ერთ-ერთ სოფელში იქ მცხოვრებ ოჯახს ღამის გათევა სთხოვა. აღნიშნულმა ოჯახმა არსენ ღურცკაიას უმასპინძლა. იგი მეორე დილით დაბრუნდა ფოთში.

2008 წლის 7 ივნისს, 03 საათსა და 20 წუთზე, სენაკის ავტომაგისტრალზე გამოჩნდა ირაკლი კაკულიას ოჯახის მიერ შეკვეთილი ტაქსი. ირაკლი კაკულია, ზვიად შუბითიძე, ბესიკ გვაჯავა და თამაზ სოსელია ჩასხდნენ მანქანაში და გაემართნენ ფოთისაკენ. გზად მიმავალი ტაქსი თვალთვალის ობიექტი იყო. 04 საათსა და 10 წუთზე ჩავიდნენ ქალაქ ფოთში, თუმცა ოპოზიციონერებზე თვალთვალი „ახალი მემარჯვენეების“ ოფისში შევლისა და შინ წასვლის პერიოდშიც გაგრძელდა. ძმასთან საუბრის შემდეგ, 01 საათსა და 28 წუთზე ვახტანგ კაკულიას დაურეკეს 891276415 ნომრიდან და განუცხადეს, რომ თუ ირაკლი კაკულიას წამოსაყვანად წავიდოდა, ფიზიკურად გაანადგურებდნენ და მანქანას დაუზიანებდნენ. უცნობი ვახტანგ კაკულიას ოჯახის წევრების სიცოცხლის მოსპობითაც დაემუქრა. დაახლოებით 04 საათზე ვახტანგ კაკულია ავტომანქანის ხმაზე ფანჯრიდან გადახედვას აპირებდა. ამ დროს დაიცალა ავტომატის ჯერი. სროლა ქალაქ ფოთში, პირველი მაისის ქუჩაზე, სადაც ცხოვრობს ირაკლი კაკულია, გრძელდებოდა 10-15 წუთის განმავლობაში. სროლის ხმა გაიგეს პირველი მაისის №2-ში მცხოვრებმა გივი კორსანტიამ და პირველი მაისის №3-ში მცხოვრებმა მაია კომახიძემ. დილით ვახტანგ და ირაკლი კაკულიების მამამ საცხოვრებელ სახლთან ტყვიის 18 მასრა აღმოაჩინა.

სროლის ფაქტს ადასტურებს „გაერთიანებული ოპოზიცია — ეროვნული საბჭო, მემარჯვენეების“ ფოთის საარჩევნო შტაბის წევრი გიორგი მასხულია. ამ უკანასკნელმა ხელი აიღო თბილისში გამგზავრების განზრახვაზე მას შემდეგ, რაც მის მობილურ ტელეფონზე ორჯერ დაირეკა. პირველად ზარი შევიდა ნომრიდან: 898397382. გიორგი მასხულიამ არ უპასუხა, ვინაიდან აღნიშნული ნომრიდან 2007 წლის ნოემბრიდან უცნობი პირი უკავშირდებოდა და ემუქრებოდა ნარკოტიკული ნივთიერების გამოყენებით მტკიცებულების ფაბრიკაციით. გიორგი მასხულიას დაურეკეს 891276415 ნომრიდანაც. შემოსულ ზარზე მასხულიას ეცნო უცნობის ხმა. უცნობი ამჯერად სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა. გიორგი მასხულია შინ დაბრუნდა. მან ოჯახის წევრებისაგან შეიტყო, რომ მათი სახლი სამართალდამცავი ორგანოების მუდმივი მეთვალყურეობის ობიექტს წარმოადგენდა. ღამის ოთხ საათზე გიორგი მასხულიამ გაიგო სროლის ხმა.

# „თანასწორობის ინსტიტუტისა“ და მალხაზ ჯანგირაშვილის საქმე

2008 წლის 23 აპრილს არასამთავრობო ორგანიზაცია „თანასწორობის ინსტიტუტის“ ორგანიზებით მოეწყო საპროტესტო აქცია სახელწოდებით „გადატრიალება“. ხელისუფლების სიმბოლური შეცვლის ნიშნად, აქციის მონაწილეებმა პარლამენტის შენობის წინ ტაფაზე ხაჭაპური გადაატრიალეს. მერე ორგანიზაციის წევრებმა მთავრობის კანცელარიის შენობის წინ გადაინაცვლეს. აქციის მონაწილეთა ერთი ნაწილი, მათ შორის, ადვოკატი მალხაზ ჯანგირაშვილი, განთავსდა იმ რკინის სვეტების გარეთ, რომელზეც 2003 წლამდე რკინის ჯებირი იყო შემოვლებული. აქციის მონაწილეთა მეორე ნაწილი, მათ შორის, ირაკლი კაკაბაძე, დავით დალაქიშვილი, აკაკი ჩაკვეტაძე იმყოფებოდნენ რკინის სვეტების შიგნით, კანცელარიის შენობასთან ახლოს. საპროტესტო აქციის მონაწილეები — ირაკლი კაკაბაძე, დავით დალაქიშვილი, ირინა ბათიაშვილი და სხვები საღებავით კანცელარიის შენობის მახლობლად ქვაფენილზე აკეთებდნენ წარწერებს: „ძირს პოლიციური რეჟიმი“, „ხელები შორს“ და ა.შ. პარალელურად საპროტესტო აქციის ერთ-ერთ მონაწილე ჯაბა ჯიშკარიანს ხელში ეკავა რუპორი, რომლითაც საპროტესტო აქციის მონაწილეები უსმენდნენ „უცნობის“ სიმღერას — „დედაენა“. ადგილზე მობილიზებული იყო საპატრულო პოლიციის ქალაქ თბილისის მთავარი სამმართველო და იმყოფებოდა თავად სამმართველოს უფროსი გიორგი გეგეჭკორი. საპროტესტო აქციის მიმდინარეობას თვალყურს ადევნებდა სახალხო დამცველი და მისი რწმუნებული. პოლიციელები არანაირ კონტაქტზე არ გადიოდნენ საპროტესტო აქციის მონაწილეებთან. პირველი შეხება, რაც პოლიციელებს ჰქონდათ საპროტესტო აქციის მონაწილეებთან, იყო ის, რომ ყოველგვარი ვერბალური განმარტების გარეშე ხელში აიყვანეს აქციის აქტიური მონაწილე ირაკლი კაკაბაძე და საპატრულო პოლიციის მანქანისაკენ „წაიღეს“. დაკავების პირველი მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა, საპროტესტო აქციის მონაწილეებმა მოახერხეს ირაკლი კაკაბაძის გამოხსნა. ამ დროს შეუძლოდ გახდა „თანასწორობის ინსტიტუტის“ წევრი ლაშა ჩხარტიშვილი. თუმცა საპროტესტო აქცია ჩვეულ რიტმში გაგრძელდა. რამდენიმე წუთის გასვლის შემდეგ პოლიციელები კვლავ მივიდნენ ირაკლი კაკაბაძესთან, გარს შემოეხვივნენ და ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილების გარეშე ხელში აიყვანეს და ჩასვეს მანქანაში. დავით დალაქიშვილმა და აკაკი ჩაკვეტაძემ ირაკლი კაკაბაძის დახმარება სცადეს, თუმცა იქვე მყოფმა პოლიციელებმა დავით დალაქიშვილსა და აკაკი ჩაკვეტაძეს ორივე ხელი კისერში ჩაავლეს და წინ უბიძგეს. დალაქიშვილმა წონასწორობა დაკარგა, წაქცეულს მარჯვენა და მარცხენა მხრიდან მიუდგა ორი პოლიციელი. მათ მკლავებში ხელი მოჰკიდეს და წაათრიეს საპატრულო პოლიციის მანქანისკენ. პოლიციამ დააკავა მალხაზ ჯანგირაშვილი, ლაშა ჩხარტიშვილი, ზურაბ რთველიაშვილი და ჯაბა ჯიშკარიანი. ფიზიკური ძალის გამოყენების მიუხედავად, ვერ შეძლო ლევან გოგიჩაიშვილის დაკავება. ცოტა ხანში პოლიციამ ჯაბა ჯიშკარიანი გაათავისუფ-

ლა. დანარჩენ დაკავებულებს საპატრულო პოლიციამ შეუდგინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის (სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის კანონიერი მოთხოვნისადმი ბოროტი დაუმორჩილებლობა). დაკავებულები გადაიყვანეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ კოლეგიაში. ნაცვლად კანონით დადგენილი სამი საათისა, „თანასწორობის ინსტიტუტის“ წევრებსა და მალხაზ ჯანგირაშვილს თავისუფლება შვიდი საათით აღეკვეთათ. საპატრულო პოლიციამ მანიფესტანტები კანცელარიასთან დაახლოებით ორ საათზე დააკავა. დაკავებულებმა ორი საათი გაატარეს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს შენობაში. დაახლოებით ხუთ საათზე ყველანი სასამართლოს ერთ-ერთ დარბაზში დაამწყვდიეს. თავისუფლებააღკვეთილ პირებს პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ მხოლოდ საპირფარეშოში შესვლა შეეძლოთ. აღნიშნული ვითარება გაგრძელდა 21 საათამდე, ირაკლი კაკაბაძის სასამართლო პროცესის დასრულებამდე. მერე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული კოლეგიის თავმჯდომარის, მამია ფხაკაძის უშუალო ჩარევით დაკავებულებს ბორკილები მოუხსნეს და სასამართლო ოთახიდან გაუშვეს.



ირაკლი კაკაბაძე

# ბეგლარ ლოგუას საქმე

**ბეგლარ ლოგუა რადიო „არ დაიდარდოს“ დიჯეია. მისი დედა — გულნარა ჯინჯოლავა თაღლითობისათვის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მისცა სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურამ. მას აღკვეთის ღონისძიების სახით გირაო შეუფარდეს. ამჟამად საქმე განსახილველად გადაგზავნილია ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში. ბეგლარ ლოგუას მიაჩნია, რომ დანაშაული, რის გამოც დედამისი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაშია მიცემული, ამნისტირებას ექვემდებარება საქართველოს პარლამენტის 2007 წლის 22 ნოემბრის დადგენილებით. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, არ არსებობს სისხლისსამართლებრივი დევნის საფუძველი. ბეგლარ ლოგუამ ივარაუდა, რომ მის ავადმყოფ დედას თავისუფლების აღკვეთის რეალური საფრთხე ემუქრებოდა და გადაწყვიტა საპროტესტო აქციის ჩატარება.**

2008 წლის 16 მაისს, დაახლოებით სამ საათზე, ბეგლარ ლოგუამ თბილისში, რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის შენობის წინ, ცხრა აპრილის მემორიალსა და შადრევანს შორის, ფეხით მოსიარულეთა სავალ ადგილზე დადგა კარავი. ბეგლარ ლოგუამ გულნარა ჯინჯოლავას მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის მოთხოვნით დაიწყო შიმშილობა. საპროტესტო აქციის დაწყებიდან ოთხი საათის გასვლის შემდეგ ლოგუასთან მივიდა საპატრულო პოლიცია. პატრულ-ინსპექტორმა მოშიმშილისაგან კარვის დემონტაჟი მოითხოვა. ბეგლარ ლოგუამ იკითხა, თუ რა კანონიერი საფუძვლით ითხოვდნენ კარვის დემონტაჟს. იგი საკუთარი სურვილით ჩაჯდა საპატრულო პოლიციის ავტომანქანაში. ბეგლარ ლოგუას შეუდგინეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის. იმავე დღეს გადაიყვანეს დროებითი მოთავსების იზოლატორში. მეორე დღეს ბეგლარ ლოგუა წარუდგინეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული კოლეგიის თავმჯდომარე მამია ფხაკაძეს. სასამართლომ ბეგლარ ლოგუა ცნო ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად. სასამართლო დადგენილებაში აღინიშნა, რომ ბეგლარ ლოგუამ თვითნებურად დადგა კარავი, რომელიც ქალაქის იერსახეს ცვლიდა. იწვევდა მოქალაქეთა ყურადღებას და აშკარა საფრთხეს უქმნიდა ხალხისა და ტრანსპორტის მოძრაობის შეუფერხებლობას. 19.15 საათზე პატრულ-ინსპექტორმა დავით ჯაშიაშვილმა მოუწოდა ბეგლარ ლოგუას კარვის დაშლისაკენ, რასაც, სასამართლოს დასკვნით, ბეგლარ ლოგუამ უწმანური სიტყვებით უპასუხა. ის გარემოება, რომ ბეგლარ ლოგუას არ დაურღვევია წესრიგი და სიტყვიერი შეურაცხყოფა არ მიუყენებია პატრულ-ინსპექტორისათვის, სასამართლო სხდომაზე დაადასტურეს მოწმის სახით დაკითხულმა პიროვნებებმა: ზაურ აბრამიამ, გულნარა ჯინჯოლავამ, კოტე მაქაცარიამ, გიორგი როდონაიამ, ზვიად ფიფიამ და მარიამ მიკუჩაძემ. სასამართლომ მათი ჩვენებები არ გაიზიარა, სამაგიეროდ, სრული ნდობა გამოუცხადა პატრულ-ინსპექტორ დავით ჯაშიაშვილს. მისი ახსნა-განმარტება ბეგლარ ლოგუას მი-

ერ უწმაწური სიტყვებით მიმართვის თაობაზე იყო ერთადერთი მტკიცებულება. საბოლოოდ ლოგუას ადმინისტრაციული სახდელის ზომად განესაზღვრა ჯარიმა 400 ლარის ოდენობით.

## დაჩი ცაგურიასა და ლუკა წულაძის საქმე

**ქალაქ თბილისში, ლეონიძისა და ტაბიძის ქუჩების კუთხეში მდებარე შენობა გადავიდა ბანკ „რესპუბლიკა-სოსიეტე ჟენერალის“ საკუთრებაში. შენობას მოუხსნეს კულტურული ძეგლის სტატუსი და თბილისის მერიასთან შეთანხმებით მესაკუთრემ დაიწყო მისი დემონტაჟი. ამ ფაქტმა არასამთავრობო ორგანიზაციების — „თბილისის ჰამქრისა“ და „ახალგაზრდული ფრონტის“ აღშფოთება გამოიწვია. ისინი აცხადებდნენ, რომ შენობა ისტორიული ღირებულებისაა და მისი დემონტაჟის შემთხვევაში თბილისის ცენტრალურ უბანს ტრადიციული, მისთვის დამახასიათებელი უნიკალური იერსახე დაეკარგებოდა.**

2008 წლის 2 ივლისს არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდული ფრონტის“ ათამდე აქტივისტმა საპროტესტო აქცია დაიწყო ლეონიძის ქუჩაზე. დემონსტრანტებმა სამშენებლო ღობესა და ლეონიძის ქუჩის გზის სავალ ნაწილზე გააკეთეს საპროტესტო წარწერები: „უგულავა ანგრევს“ (გიორგი უგულავა, ქალაქ თბილისის მერი), „პაპაშვილი ანგრევს“ (ლაშა პაპაშვილი, ბანკი „რესპუბლიკის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე), „ნუ მინგრევ!“ საპატრულო პოლიციამ ლეონიძის ქუჩაზე შეკრებილ დემონსტრანტებს სთხოვა, თავი შეეკავებინათ წარწერების გაკეთებისაგან, თუმცა მანიფესტანტებმა განუმარტეს, რომ ამგვარი მოქმედების უფლებას საქართველოს კანონმდებლობა იძლეოდა. მანიფესტაციამ თხუთმეტ წუთს გასტანა. 15 საათსა და 20 წუთზე საპროტესტო აქციის მონაწილეებმა გადაინაცვლეს ატენის ქუჩაზე, ბანკ „სოსიეტე ჟენერალის“ სათავო ოფისთან. საპროტესტო აქციის მონაწილეები წარწერის გაკეთებას — „პაპაშვილი ანგრევს“ — ანდომებდნენ 8-10 წამს. ამ დროს საპროტესტო აქციის მონაწილეებთან მივიდა საპატრულო პოლიციელი და წარწერების გაკეთებისაგან თავის შეკავება მოსთხოვა. აქციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, „ახალგაზრდული ფრონტის“ ხელმძღვანელმა დაჩი ცაგურიამ პოლიციელს განუმარტა, რომ პულივიზატორებით წარწერების გაკეთებას არ კრძალავდა საქართველოს კანონმდებლობა. პოლიციელმა პირობა დადო, რომ ხელმძღვანელობასთან გაარკვევდა, ჰქონდათ თუ არა საპროტესტო აქციის მონაწილეებს წარწერების გაკეთების უფლება, მანამდე კი მანიფესტაციის შეჩერება და პულივიზატორების გადაცემა მოითხოვა. დაჩი ცაგურიამ და „ახალგაზრდული ფრონტის“ მეორე წევრმა ლუკა წულაძემ მოთხოვნისთანავე გადასცეს პულივიზატორები.

მანიფესტანტებისა და პატრულ-ინსპექტორის საუბარს მობილური ტელეფონით იწერდა სახალხო დამცველის რწმუნებული, რომელიც, იმავე დროს, შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლების დაცვის მიზნით ახორციელებდა მონიტორინგს და დაწყების მომენტიდან ესწრებოდა საპროტესტო აქციას. პატრულ-ინსპექტორმა სახალხო დამცველის რწმუნებულს უხეშად მიმართა და ვიდეოგადაღების შეწყვეტა მოსთხოვა, ვინაი-

დან არ იყო ტელეარხის თანამშრომელი (პოლიციელი დარწმუნებულია, რომ საზოგადოებრივი მნიშვნელობის მოვლენების ვიდეოგადაღების უფლება მხოლოდ ტელეკომპანიის ჟურნალისტებს აქვთ). მოკლე ხანში შემთხვევის ადგილზე საპატრულო პოლიციის დამატებითი ეკიპაჟი მივიდა. პატრულ-ინსპექტორებმა დაჩი ცაგურიასა და ლუკა წულაძეს საპატრულო პოლიციის ავტომანქანაში ჩასხდომა მოსთხოვეს. ისინი დაემორჩილნენ პატრულ-ინსპექტორების მოთხოვნებს. შემდეგ დაჩი ცაგურია და ლუკა წულაძე გადაიყვანეს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისის მთავარ სამმართველოში, სადაც შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. დაჩი ცაგურია და ლუკა წულაძე ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მისცეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე (წვრილმანი ხულიგნობა) და 173-ე (სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის კანონიერი მოთხოვნისადმი ბოროტი დაუმორჩილებლობა) მუხლებით. პასუხისგებაში მიცემული პირები პატრულ-ინსპექტორებმა წარადგინეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ კოლეგიაში.

**პატრულ-ინსპექტორებმა განაცხადეს, რომ დაჩი ცაგურიამ და ლუკა წულაძემ გადაკეტეს ატენის ქუჩაზე ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთა სავალი ნაწილი, რის გამოც მძღოლები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ. სამართლიანი პრეტენზიის საპასუხოდ საპროტესტო აქციის მონაწილეები სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ მძღოლებსა და ფეხით მოსიარულეებს. როცა პატრულ-ინსპექტორებმა დაჩი ცაგურიასა და ლუკა წულაძეს წესრიგის დაცვისაკენ მოუ-**

**წოდეს, სავარაუდო სამართალდამრღვევებმა პატრულ-ინსპექტორებს დედა აგინეს.**

ზემოხსნებული გარემოებების დასასაბუთებლად საპატრულო პოლიციის წარმომადგენლებს არც უკმაყოფილო მძღოლებისა თუ ფეხით მოსიარულეთა ახსნა-განმარტებები, არც შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გადაღებული ვიდეომასალა, არც მოწმეთა ჩვენებები არ წარუდგენიათ. დამადასტურებელი ერთადერთი მტკიცებულება პატრულ-ინსპექტორის მიერ სასამართლოზე წარდგენილი ახსნა-განმარტება იყო.

მოსამართლე ლელა კალიჩენკომ არ დააკმაყოფილა სამართალდამრღვევის სახით პასუხისგებაში მიცემული პირების ადვოკატების — ეკატერინე ფოფხაძის, თამარ რევაზიშვილის, მანანა კობახიძისა და ლაშა ჭინჭარაულის შუამდგომლობა, მტკიცებულების სახით საქმეს დართვოდა სახალხო დამცველის რწმუნებულის მიერ გადაღებული ვიდეომასალა, მტკიცებულების სახით გამოთხოვილი ყოფილიყო „სოსიეტე ჟენერალის“ ვიდეოთვალის მონაცემები. ლუკა წულაძის სამართალდარღვევის საქმის განხილვისას მოწმის სახით დაიკითხა სახალხო დამცველის რწმუნებული კობა ჩოფლიანი და „ახალგაზრდული ფრონტის“ წევრი ირაკლი კორძაია. დაჩი ცაგურიას საქმის განხილვისას მოსამართლე ლელა კალიჩენკომ უარი განაცხადა მათ დაკითხვაზე. მოსამართლის განმარტებით, ირაკლი კორძაიას ჩვენება არ იყო სარწმუნო, ვინაიდან იგი იმავე ორგანიზაციის წევრია, რომლისაც — სავარაუდო სამართალდამრღვევები. ამიტომ ირაკლი კორძაია დაინტერესებული იყო, მოსალოდნელი პასუხისმგებლობა აეცილებინა თავიდან დაჩი ცაგურიასა და ლუკა წულაძისათვის. რაც შეეხება კობა ჩოფლიანს, მოსამართლე ლელა კალიჩენკოს განმარტებით, სახალხო დამცველის რწმუნებულმა წინასწარ გამოთქვა აზრი შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლების დარღვევასთან დაკავშირებით და მისი ჩვენება მიუკერძოებელი არ იქნებოდა.

სამაგიეროდ, სასამართლომ სრულად გაიზიარა პატრულ-ინსპექტორების ახსნა-განმარტებები იმ ნაწილში, რომ საპროტესტო აქციის მონაწილეებმა შეაფერხეს ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთა მოძრაობა, მანიფესტანტები არ დაემორჩილნენ პატრულ-ინსპექტორების კანონიერ მოთხოვნას — მიეცათ ტრანსპორტისა და ხალხისათვის გადაადგილების შესაძლებლობა. ამის გამო სასამართლომ სამართალდამრღვევებად ცნო დაჩი ცაგურია და ლუკა წულაძე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენისათვის.

**მარინე სირაძე თვალყურს ადევნებდა 2008 წლის 2 ივლისს საპროტესტო აქციის მიმდინარეობას. ამ დროის განმავლობაში მას რაიმე ხმაურის ან უწმაწური სიტყვები არ მოუსმენია. მარინე სირაძის განმარტებით, საპროტესტო აქციის მონაწილეებს გამოტანილი ჰქონდათ ლოზუნგი: „არ დაგვანგრიოთ!“**

ირაკლი მაჩიტიძის განმარტებით, შუადღით ჭედვა ატენის ქუჩაზე ჩვეული მოვლენაა. მის წარმოქმნას განსაკუთრებით ხელს უწყობს ადგილზე საპატრულო პოლიციის არყოფნა. 2008 წლის 2 ივლისს ირაკლი მაჩიტი-

ძეს საპროტესტო აქციის მიმდინარეობის დროს გინების ხმა არ გაუგია. ამ დროს შეიქმნა ჭედვა. გზის სავალ ნაწილზე იმყოფებოდნენ როგორც საპატრულო პოლიციის წარმომადგენლები, ასევე, მანიფესტანტები. მისივე განმარტებით, საპროტესტო აქციის მონაწილეები ხელს არ უშლიდნენ ავტომანქანების გადაადგილებას. მანქანები საპროტესტო აქციის მიმდინარეობისას ნელა გადაადგილდებოდნენ. მას არ გაუგია მძღოლების უკმაყოფილება მოძრაობის შეფერხების გამო.

## ნონა ყანდიაშვილის საქმე

**რადიო „იმედის“ საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელის — ნონა ყანდიაშვილის განმარტებით, ჯოზეფ ქეი მას პირველად შეხვდა მას შემდეგ, რაც ტელეკომპანია და რადიო „იმედის“ მფლობელი გახდა. შეხვედრა ტელეკომპანია „იმედის“ შენობაში გაიმართა. სხვა საკითხებთან ერთად, ნონა ყანდიაშვილმა და ჯოზეფ ქეიმ განიხილეს რადიო „იმედის“ საინფორმაციო სამსახურის სარედაქციო დამოუკიდებლობის საკითხი. ჯოზეფ ქეიმ პირობა დადო, რომ არ აპირებდა საინფორმაციო სამსახურის სარედაქციო საქმეებში ჩარევას, თუმცა ახალმა მფლობელმა ისიც განაცხადა, ყანდიაშვილს ისე არ გაეკეთებინა, რომ რადიო „იმედის“ მაუწყებლობის გამო ჯოზეფ ქეი დაებარებინათ და პასუხი უხეში ფორმით მოეთხოვათ. ნონა ყანდიაშვილმა თქვა, რომ რადიო „იმედი“ იქნებოდა დაბალანსებული, მაგრამ იგი ვერ უზრუნველყოფდა, ამის გამო ჯოზეფ ქეი არავის დაებარებინა და პასუხი არ მოეთხოვა.**

ნონა ყანდიაშვილმა ისიც განაცხადა, რომ 2008 წლის 8 მაისს მას დაუკავშირდა ჯოზეფ ქეის ბიზნესპარტნიორი გიორგი ისაკაძე. იმ დღეს საპატრულო პოლიციის წარმომადგენლის მიერ ნასროლმა ტყვიამ ვაკის საარჩევნო ოლქში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, ზაზა გამცემლიძის შტაბის წევრი გიორგი გამცემლიძე იმსხვერპლა. გიორგი ისაკაძემ ნონა ყანდიაშვილს აღნიშნული ინფორმაციის რადიოეთერში ნეიტრალური და შერბილებული ფორმით გადაცემა მოსთხოვა. ნონა ყანდიაშვილმა გიორგი ისაკაძეს განუცხადა, რომ უძლური იყო, რაიმე გაეკეთებინა ამასთან დაკავშირებით. სატელეფონო საუბარი დღის ბოლოს შედგა. რადიოსადგურმა გიორგი გამცემლიძის მკვლელობის ფაქტი გააშუქა დღის საინფორმაციო გამოშვებებში. აღნიშნული ახალი ინფორმაცია რადიო „იმედზე“ ადრე „რუსთავი 2“-მა გადასცა. გიორგი ისაკაძემ განაცხადა, რომ მაღალი თანამდებობის პირები უკმაყოფილო დარჩნენ რადიო „იმედის“ მიერ გიორგი გამცემლიძის მკვლელობის გაშუქებით და პრეტენზიები გამოთქვეს ჯოზეფ ქეისთან. გიორგი ისაკაძემ აღნიშნა, რომ გიორგი გამცემლიძის შემთხვევასთან დაკავშირებით არ იყო ყურადღების გამახვილება საჭირო, ვინაიდან მოკლული „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი გახლდათ. ნონა ყანდიაშვილმა განაცხადა, რომ ნებისმიერი ადამიანის მკვლელობა იწვევდა საზოგადოებრივ ინტერესს, მიუხედავად იმისა, რომელ პარტიას მიეკუთვნებოდა. გიორგი ისაკაძემ, ასევე, განაცხადა, რომ დაკავებული იყო ჰოლდინგ „ი-მედიას“ ფი-

ნანსური საკითხებით და ნონა ყანდიაშვილს სთხოვა, საჭიროების შემთხ-ვევაში დაკავშირებოდა. 2008 წლის 30 მაისს, საღამოს, სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ, ნონა ყანდიაშვილს დაუკავშირდა ტელეკომპანია „იმედის“ გენერალური დირექტორი ბიძინა ბარათაშვილი. მან განაცხა-და, რომ ჯოზეფ ქეის სურდა ნონა ყანდიაშვილთან შეხვედრა. ნონა ყან-დიაშვილი სამსახურში დაბრუნდა. ჯოზეფ ქეი ბიძინა ბარათაშვილის კა-ბინეტში იმყოფებოდა. ჯოზეფ ქეისთან დაიბარეს რადიო „იმედის“ გე-ნერალური დირექტორი ირაკლი ხეთერელიც. ჯოზეფ ქეიმ რადიოსად-გურის გენერალურ დირექტორსა და საინფორმაციო სამსახურის ხელმ-ძღვანელს განუცხადა, რომ იგეგმებოდა რეორგანიზაცია. ჯოზეფ ქეიმ აღნიშნა, რომ ის იყო ის პიროვნება, ვისაც მიაჩნდა, რომ საქართველოს ხელისუფლება ძალიან კარგია. ჯოზეფ ქეის საქართველოში ძალიან ბევ-რი ბიზნესი ჰქონდა, ამიტომ მას არ სჭირდებოდა, რადიოსადგურის სა-რედაქციო პოლიტიკის გამო მის ბიზნესსაქმიანობას პრობლემები შეჰქ-მნოდა. ქეიმ აღნიშნა, რომ იგი დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა მე-დიაში და საკმაო გამოცდილებაც ჰქონდა ამ კუთხით. მან ნონა ყანდიაშ-ვილსა და ირაკლი ხეთერელს შეახსენა, რომ მედია შეიძლება იყოს ობი-ექტური პლუსით და ობიექტური მინუსით. ამიტომ დაიწყო რეორგანი-ზაცია და განაცხადა, რომ ნონა ყანდიაშვილი და ირაკლი ხეთერელი სამ-სახურიდან იყვნენ გათავისუფლებული.

## კახა გაბუნიასა და ნიკოლოზ პატარაიას საქმე

**ზუგდიდის №67 საარჩევნო ოლქის რუხის მე-100 საარჩევნო უბნის საარჩევნო ბლოკის წარმომადგენელმა ბედმან კემონჯავამ 2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნების დროს უბანზე მომხდარი დარღ-ვევების თაობაზე საქმის კურსში ჩააყენა „გაერთიანებული ოპოზიცია — ეროვნული საბჭო, მემარჯვენეების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი კობა დავითაშვილი.** დავითაშვილი საარჩევნო უბანზე „რუს-თავი 2“-ისა და „მზის“ გადამღებ ჯგუფებთან ერთად მივიდა. კომისიის თავმჯდომარე მედეა ფარცვანიამ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდა-ტი საარჩევნო უბანზე არ შეუშვა. კობა დავითაშვილი ითხოვდა „ქრისტი-ან-დემოკრატიული მოძრაობის“ წარმომადგენლებთან შეხვედრას, რო-მელსაც, მისი ინფორმაციით, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მი-აყენეს უბანზე უკანონოდ მყოფმა პირებმა. ამ დროს საარჩევნო უბანთან გამოჩნდნენ სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული ახალგაზრდები, რომლებმაც ტელეკომპანია „მზის“ კორესპონდენტის, ალეკო გაბუნიას განმარტებით, კობა დავითაშვილს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. ბედმან კემონჯა-ვას განმარტებით, სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმულმა ახალგაზრდამ კობა დავითაშვილს მარცხენა ხელი მოუქნია. ამას ხელი შეაგება თავად ბედმან კემონჯავამ. შემდეგ თავდამსხმელმა კობა დავითაშვილს მარჯ-ვენა ხელით დაარტყა და გაიქცა. კობა დავითაშვილმა ტელეკომპანიების ჟურნალისტებს თავდამსხმელების სახეების დაფიქსირება სთხოვა და მათ გამოედევნა. ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ისა და „მზის“ ჟურნალისტები გაქცეულ კობა დავითაშვილს და თავდამსხმელებს გაჰყვნენ. ამ დროს

ჟურნალისტებს გარს შემოეხვია სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული ორმოცდაათი პირი, მათ შორის, ქალებიც. მათ კამერის გათიშვა მოითხოვეს. კობა დავითაშვილმა განაცხადა, რომ საპატრულო პოლიციის თანხლებით დაბრუნდებოდა და შემთხვევის ადგილი დატოვა. თავდამსხმელები ჯერ „რუსთავი 2“-ის კამერას მისცვივდნენ და ოპერატორს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. ამ გარემოებას აფიქსირებდა ტელეკომპანია „მზის“ კამერა. ამ დროს „მზის“ ოპერატორ ნიკოლოზ პატარაიას უკნიდან მიუახლოვდა ერთ-ერთი თავდამსხმელი, ვიდეოკამერა წაართვა, ძირს დააგდო და წიხლის დარტყმით დააზიანა. „მზის“ ჟურნალისტმა ალეკო გაბუნიამ და ნიკოლოზ პატარაიამ კამერის დაბრუნება სცადეს. შემდეგ თავდამსხმელებმა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს ჟურნალისტსა და ოპერატორს. ერთ-ერთი თავდამსხმელი უკნიდან მიუახლოვდა ჟურნალისტ ალეკო გაბუნიას, მუშტი ჩაარტყა, ძირს დააგდო და ქვები ესროლა. საპატრულო პოლიციის მანქანა შემთხვევის ადგილიდან დაახლოებით სამოც მეტრში იდგა. პატრულ-ინსპექტორი თვალყურს ადევნებდა ჟურნალისტის ცემის ფაქტს, თუმცა არ აღუკვეთია თავდამსხმელების ქმედებები. უფრო მეტიც, თავდამსხმელებმა ტელეკომპანია „მზის“ გატაცებული კამერა საპატრულო პოლიციის ავტომანქანასთან ახლოს მიიტანეს. ალეკო გაბუნიამ და ნიკოლოზ პატარაიამ გაქცევა დააპირეს. მათ ოცდაათი მამაკაცი გინებითა და ქვების სროლით გამოეკიდა. თავდამსხმელები ალეკო გაბუნიასა და ნიკოლოზ პატარაიას წინ გადაუდგნენ, სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს, ქვები ესროლეს, დანა და ჯოხები მოუქნიეს. ცივი იარაღის გამოყენების შედეგად ნიკოლოზ პატარაია დაშავდა. „მზის“ ჟურნალისტი და ოპერატორი გაექცნენ თავდამსხმელებს, მაგრამ ისინი კვლავ დაედევნენ. საბოლოოდ, ალეკო გაბუნიას ურჩიეს საპატრულო პოლიციის გამოძახება. სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელი ათ წუთში მივიდა გამოძახების ადგილზე. პოლიციელს გააცნეს საქმის დეტალები, რის შემდეგაც მან განაცხადა, რომ, ვინაიდან აღნიშნული ინციდენტი არ მოხდა მის სამოქმედო ტერიტორიაზე, მოკლებული იყო გამოძახებაზე რეაგირების უფლებამოსილებას.

## ელისო ჩაფიძის საქმე

**გაზეთ „რეზონანსის“ ჟურნალისტი ელისო ჩაფიძე დამკვირვებლად იმყოფებოდა სიღნაღის №13 საარჩევნო ოლქის სოფელ ქვემო მაღაროს №26 საარჩევნო უბანში, სადაც ვიდეოკამერით აფიქსირებდა კენჭისყრის მიმდინარეობის პროცესს.** საარჩევნო უბანში შესვლისას ელისო ჩაფიძემ გაარკვია, რომ უცნობი პირები საარჩევნო ყუთში ყალბი ბიულეტენების ჩაყრას ცდილობდნენ, რაც აღკვეთა „გაერთიანებული ოპოზიციის“ წარმომადგენელმა. ამ უკანასკნელმა კომისიის თავმჯდომარისაგან დარღვევაზე რეაგირება მოითხოვა, რის პასუხადაც

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებმა საარჩევნო უბანზე გამოიძახეს ორი ათლეტური აღნაგობის ახალგაზრდა და „გაერთიანებული ოპოზიციის“ წარმომადგენელი უბნიდან გააძევეს. ელისო ჩაფიძე მიუახლოვდა იმ ორ მამაკაცს, ვინც „გაერთიანებული ოპოზიციის“ წარმომადგენელი გამოაძევა საარჩევნო უბნიდან, წარუდგინა თავისი აკრედიტაციის მოწმობა და მოსთხოვა კენჭისყრის ადგილზე მათი ყოფნის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი. ამ დროს საარჩევნო უბანზე გაურკვეველი სტატუსის მქონე კიდევ ერთი მამაკაცი გამოჩნდა. ელისო ჩაფიძის განცხადებით, უცნობები ამბობდნენ, რომ „პლეხანოველი ბიჭები“ იყვნენ. ელისო ჩაფიძემ ჩართო კამერა და დაიწყო მათი გადაღება. ერთერთმა მამაკაცმა კამერას ხელი მიაფარა, მეორემ კი ჩაფიძეს ხელები გადაუგრიხა და სამკერდე ნიშნის ჩამოხევას შეეცადა. ამ დროს კამერა ძირს დავარდა. ამ ფაქტს ყოველგვარი რეაგირების გარეშე მშვიდად ადევნებდა თვალყურს კენჭისყრის ადგილზე მყოფი პოლიციის თანამშრომელი მამუკა დეკანოიძე. ჟურნალისტის დახმარება რიგითმა მოქალაქეებმა სცადეს. პოლიციელმა მამუკა დეკანოიძემ თავდამსხმელები თავის ავტომანქანაში ჩასვა და საარჩევნო უბანს დროებით გაარიდა. ნახევარი საათის გასვლის შემდეგ სამი უცნობი მამაკაცი კვლავ დაბრუნდა საარჩევნო უბანზე.

## ირაკლი გოგუაძის საქმე

**ირაკლი გოგუაძე 2008 წლის 21 მაისის არჩევნებს აკვირდებოდა საგარეჯოს №11 საარჩევნო ოლქის სოფელ იორმუღანლოს №34, №36, №45 და №46 საარჩევნო უბნებზე. დილის 10 საათზე დამკვირვებელს ტელეფონით დაუკავშირდნენ და შეატყობინეს, რომ №36 საარჩევნო უბანზე მიიტანეს დიდი რაოდენობით პასპორტები.** ირაკლი გოგუაძე მივიდა აღნიშნულ საარჩევნო უბანზე და ვიდეოკამერით დააფიქსირა დიდ პარკში ჩაყრილი პასპორტები. ირაკლი გოგუაძისაკენ გაემართა 10-15 პირი. მათ ვიდეოკამერის წართმევა სცადეს და გოგუაძეს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. 40 წუთის გასვლის შემდეგ გოგუაძე ეწვია №46 საარჩევნო უბანს. საარჩევნო პროცესის მიმდინარეობის გადაღების დროს მას უკნიდან დაარტყა უცნობმა პირმა, შედეგად, მან გონება დაკარგა. გონსმოსულმა იგრძნო, რომ ძირს დავარდნილს კვლავ აყენებდა ფიზიკურ შეურაცხყოფას 10-15 მამაკაცი. ამ დროს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლები საარჩევნო უბნის შენობის ეზოში იმყოფებოდნენ. პოლიციელებს არ აღუკვეთიათ თავდამსხმელთა ქმედებები. ირაკლი გოგუაძეს წაართვეს კამერა და გარეთ გაიყვანეს. ირაკლი გოგუაძემ პოლიციელებისაგან კამერის დაბრუნება მოითხოვა. მათ მიუგეს, რომ არ ჰქონდათ უბანში შესვლის უფლება. თავდამსხმელები საარჩევნო უბნიდან გამოვიდნენ, ჩასხდნენ „ჟიგულის“ მარკის ავტომანქანაში, „ვაზ 21-06“, სახელმწიფო ნომერი TQT 986 და გაიყოლეს ირაკლი გოგუაძის კუთვნილი კამერა. გოგუაძე გადაუდგა ავტომანქანას და ცდილობდა, არ მიეცა მოძრაობის საშუალება. მან დახმარებისათვის კვლავ პოლიციელებს მიმართა, თუმცა მათ კვლავ უმოქმედობა გამოიჩინეს. ირაკლი გოგუაძემ ქალაქ საგარეჯოში შს სამმართველოს განცხადებით მიმართა.

## ხათუნა გოგაშვილის საქმე

**ხათუნა გოგაშვილი კახეთის სამაუწყებლო კომპანია „ჰერეთის“ ახალი ამბების პროგრამის წამყვანია. 2008 წლის 5 იანვარს ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების დროს ხათუნა გოგაშვილი ასრულებდა თავის პროფესიულ მოვალეობას ლაგოდეხის №15 საარჩევნო ოლქის №19 საარჩევნო უბანზე ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ კაბალში. ხათუნა გოგაშვილის განმარტებით, საარჩევნო უბანზე მივიდა მოქალაქე ისაკო ცქიფურიშვილი, რომელიც არ წარმოადგენდა ამომრჩეველს და არ ჰქონდა უბანზე ყოფნის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი. ცქიფურიშვილმა ხათუნა გოგაშვილს საუბრის აუდიოჩაწერისაგან თავის შეკავება მოსთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა. ისაკო ცქიფურიშვილმა დიქტოფონი წაართვა და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ჟურნალისტს. ხათუნა გოგაშვილის განცხადებაში აღნიშნულია, რომ ამ ინციდენტის თვითმხილველები გახდნენ ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო ინსტიტუტის“ დამკვირვებელი და საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლები. აღსანიშნავია, რომ ისაკო ცქიფურიშვილის მხრიდან ეს არ წარმოადგენს სამაუწყებლო კომპანია „ჰერეთზე“ მართლსაწინააღმდეგო ზემოქმედების პირველ შემთხვევას.**

2007 წლის 30 ნოემბერს სამაუწყებლო კომპანია „ჰერეთის“ დირექტორმა ფარულად ჩაიწერა ისაკო ცქიფურიშვილის საუბარი. აუდიოჩანაწერიდან ირკვევა, რომ ცქიფურიშვილი ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელთა სახელით რადიოსადგურის დარბევით იმუქრებოდა, თუკი სამაუწყებლო კომპანია არ შეცვლიდა თავის სარედაქციო პოლიტიკას და არ ითანამშრომლებდა „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან“. სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ ისაკო ცქიფურიშვილის მხრიდან ადგილი აქვს ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლას და მუქარას, ქმედებებს, რომლებიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე და 154-ე მუხლებით. აღსანიშნავია, რომ დიქტოფონის წართმევა და მუქარა განხორციელდა საქართველოს საარჩევნო კოდექსის მოთხოვნათა დარღვევით. საარჩევნო კოდექსის 72-ე მუხლის თანახმად, საარჩევნო კომისიების სხდომებზე დასწრებისა და კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობებში ყოფნის უფლება აქვთ შესაბამის საარჩევნო კომისიაში აკრედიტებულ პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლებს. აღნიშნული აკრედიტაცია გავლილი ჰქონდა სამაუწყებლო კომპანია „ჰერეთს“. ამავე კოდექსის 67-ე მუხლის მე-2 ნაწილი ამომწურავად განსაზღვრავს კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებს:

**1) საქართველოს ცენტრალური, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებს;**

**2) საქართველოს ცენტრალური და საოლქო საარჩევნო კომისიების წარმომადგენლებს;**

**3) საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელს;**

**4) პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლებს;**

**5) დამკვირვებლებს.**

არ არსებობს მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებს კენჭიყრის შენობაში ისაკო ცქიფურიშვილის ყოფნის უფლებას. ნებისმიერ შემთხვევაში, არსებობდა შენობაში მისი დაუშვებლობის საფუძველი, ვინაიდან ისაკო ცქიფურიშვილს არ გააჩნდა სტატუსის აღმნიშვნელი სამკერდე ნიშანი. საარჩევნო კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“1 ქვეპუნქტის შესაბამისად, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ვალდებულია, კენჭისყრის შენობაში არ დაუშვას კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირიც კი შესაბამისი სამკერდე ნიშნის გარეშე.

# პოლიტიკური პარტია „სამართლიანობის“ აქტივისტთა და მომხრეთა სისხლის სამართლის საქმე

## საბრალდებო დასკვნა

**2006 წლის 27 დეკემბერს საქართველოს გენერალურ პროკურატურაში სისხლის სამართლის №089060110 საქმეზე შედგა საბრალდებო დასკვნა მაია თამაზის ასული თოფურიას, თეიმურაზ მიხეილის ძე ჟორჟოლიანის, კახაბერ მოსეს ძე ქანთარიას, რამაზ ზურაბის ძე სამნიძის, გიორგი გაბრიელის ძე მეტრეველის, გურამ ალექსანდრეს ძე პაპუკაშვილის, ვარლამ გურამის ძე გალდავას, რევაზ მოსეს ძე ბულიას, გიორგი მიხეილის ძე ახობაძის, მაია გიორგის ასული ნიკოლეიშვილის, იაკობ ჯონის ძე კვინიკაძის, ზაზა გიას ძე დავითაიას, ვახტანგ ავთანდილის ძე ტალახაძის მიმართ.**

## პირველი ინსტანციის სასამართლო განაჩენი

2006 წლის 29 დეკემბერს სისხლის სამართლის №089060110 საქმეზე დასრულდა წინასწარი გამოძიება და საქმე არსებითად განხილვისათვის წარიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში. საქმე სასამართლოში დარეგისტრირდა 1/7829-06 ნომრით. 2007 წლის 6 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიაში საბრალდებო დასკვნით, არსებითი განხილვისათვის შევიდა სისხლის სამართლის №089060166 საქმე გელა არჩუაძის მიმართ. სასამართლოში საქმე დარეგისტრირდა 1/993-07 ნომრით. გელა არჩუაძის მიმართ გამოყენებულ იქნა დაუსწრებლად დაპატიმრება და გამოცხადდა ძებნა. თბილისის საქალაქო სასამართლოში №1/7829-06 საქმის სასამართლო განხილვა დაიწყო 2007 წლის 19 მარტს და დასრულდა 2007 წლის 24 აგვისტოს. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის — მამუკა ნოზაძის მიერ 2007 წლის 24 აგვისტოს განსასჯელების — მაია თოფურიას, თეიმურაზ ჟორჟოლიანის, კახაბერ ქანთარიას, რამაზ სამნიძის, გიორგი მეტრეველის, გურამ პაპუკაშვილის, ვარლამ გალდავას, რევაზ ბულიას, გიორგი ახობაძის, მაია ნიკოლეიშვილის, იაკობ კვინიკაძის, ზაზა დავითაიას, ვახტანგ ტალახაძის, გელა არჩუაძის მიმართ გამოიტანეს განაჩენი, რომლის თანახმად: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 307-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული — სახელმწიფოს ღალატი, ბრალდებიდან ამოერიცხათ განსასჯელებს — მაია თოფურიას, თეიმურაზ ჟორჟოლიანს, კახაბერ ქანთარიას, რამაზ სამნიძეს, გიორგი მეტრეველს, გურამ პა-

პუკაშვილს, ვარლამ გალდავას, რევაზ ბულიას, გიორგი ახობაძეს, მაია ნიკოლეიშვილს, იაკობ კვინიკაძეს, ზაზა დავითაიას, ვახტანგ ტალახაძეს, გელა არჩუაძეს და მოეხსნათ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 307-ე მუხლით (სახელმწიფოს ღალატი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში ბრალდება და გამართლდნენ.

**მაია თოფურია** დამნაშავედ ცნეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 315-ე მუხლის პირველი ნაწილით — შეთქმულება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად, სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად ან ხელში ჩასაგდებად (2000 წლის 30 ივნისის რედაქცია), მე-18, 315-ე მუხლის მეორე ნაწილით — დანაშაულის მომზადება / ამბოხება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად, სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად ან ხელში ჩასაგდებად და 25-ე, 236-ე მუხლის პირველი ნაწილით — ამსრულებლის და თანამონაწილის პასუხისმგებლობა ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა გლუვლულიანი სანადირო თოფისა), საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების, ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა ან შენახვა და სასჯელის ზომად განესაზღვროს 8 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

**თეიმურაზ ჟორჟოლიანი** დამნაშავედ ცნეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 315-ე მუხლის პირველი ნაწილით — შეთქმულება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად, სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად ან ხელში ჩასაგდებად (2000 წლის 30 ივნისის რედაქცია) და მე-18, 315-ე მუხლის მეორე ნაწილით — საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად, სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად ან ხელში ჩასაგდებად ამბოხების მომზადება — გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის ზომად განესაზღვროს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა.

**კახაბერ ქანთარია** დამნაშავედ ცნეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 315-ე მუხლის პირველი ნაწილით — შეთქმულება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად, სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად ან ხელში ჩასაგდებად (2000 წლის 30 ივნისის რედაქცია), მე-18, 315-ე მუხლის მეორე ნაწილით — დანაშაულის მომზადება/ამბოხება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად, სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად ან ხელში ჩასაგდებად, და 236-ე მუხლის პირველი ნაწილით — ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა გლუვლულიანი სანადირო თოფისა), საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების, ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა ან შენახვა გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის ზომად განესაზღვროს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა.

**რამაზ სამნიძე** დამნაშავედ ცნეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 315-ე მუხლის პირველი ნაწილით — შეთქმულება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად, სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად ან ხელში ჩასაგდებად (2000 წლის 30

ივნისის რედაქცია) და მე-18, 315-ე მუხლის მეორე ნაწილით — დანაშაულის მომზადება / ამბოხება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად, სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად ან ხელში ჩასაგდებად გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის ზომად განესაზღვროს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა.

**გიორგი მეტრეველი** დამნაშავედ ცნეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 315-ე მუხლის პირველი ნაწილით — შეთქმულება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად, სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად ან ხელში ჩასაგდებად გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის ზომად განესაზღვროს 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

**გურამ პაპუკაშვილი** დამნაშავედ ცნეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 315-ე მუხლის პირველი ნაწილით — შეთქმულება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად, სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად ან ხელში ჩასაგდებად (2000 წლის 30 ივნისის რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის ზომად განესაზღვროს 4 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

**ვარლამ გალდავა** დამნაშავედ ცნეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 315-ე მუხლის პირველი ნაწილით — შეთქმულება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად, სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად ან ხელში ჩასაგდებად (2000 წლის 30 ივნისის რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის ზომად განესაზღვროს 3 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

**რევაზ ბულია** დამნაშავედ ცნეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 315-ე მუხლის პირველი ნაწილით — შეთქმულება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად, სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად ან ხელში ჩასაგდებად გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის ზომად განესაზღვროს 4 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

**გიორგი ახობაძე** დამნაშავედ ცნეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექის 315-ე მუხლის პირველი ნაწილით — შეთქმულება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად, სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად ან ხელში ჩასაგდებად (2000 წლის 30 ივნისის რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის ზომად განესაზღვროს 4 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

**მაია ნიკოლეიშვილი** დამნაშავედ ცნეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 315-ე მუხლის პირველი ნაწილით — შეთქმულება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად, სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად ან ხელში ჩასაგდებად (2000 წლის 30 ივნისის რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის ზომად განესაზღვროს 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც შეეცვალოს 2 წლით გამოსაცდელი ვადით.

**იაკობ კვინიკაძე** დამნაშავედ ცნეს საქართველოს სისხლის სამართ-

ლის კოდექსის 315-ე მუხლის პირველი ნაწილით — შეთქმულება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად, სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად ან ხელში ჩასაგდებად (2000 წლის 30 ივნისის რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის ზომად განესაზღვროს 4 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

**ზაზა დავითაია** დამნაშავედ ცნეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 315-ე მუხლის პირველი ნაწილით — შეთქმულება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად, სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად ან ხელში ჩასაგდებად (2000 წლის 30 ივნისის რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის ზომად განესაზღვროს 4 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

**ვახტანგ ტალახაძე** დამნაშავედ ცნეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 315-ე მუხლის პირველი ნაწილით — შეთქმულება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად, სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად ან ხელში ჩასაგდებად (2000 წლის 30 ივნისის რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის ზომად განესაზღვროს 4 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

**გელა არჩუაძე** დამნაშავედ ცნეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 315-ე მუხლის პირველი ნაწილით — შეთქმულება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად, სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად ან ხელში ჩასაგდებად (2000 წლის 30 ივნისის რედაქცია) და მე-18, 315-ე მუხლის მეორე ნაწილით — დანაშაულის მომზადება/შეთქმულება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად, სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად ან ხელში ჩასაგდებად (2000 წლის 30 ივნისის რედაქცია) გათვალის-

წინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის ზომად განესაზღვროს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდის ვადა აითვალოს მისი დაკავების დღიდან.

## თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 28 აპრილის №1/ბ-2395-07 განაჩენით არ იქნა დაკმაყოფილებული მსჯავრდებულთა ინტერესების დამცველი ადვოკატების სააპელაციო საჩივრები და თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 24 აგვისტოს განაჩენი მაია თოფურიას, თეიმურაზ ჟორჟოლიანის და სხვათა მიმართ დატოვა უცვლელი.

## II. სარეზოლუციო ნაწილი

### 1. პირველი ინსტანციის სასამართლო

#### 1.1. მოწმეთა ჩვენებები

მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება დაიწყო და საქმისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებაა მოწმეთა ჩვენებები. როგორც საბრალდებო დასკვნის, ასევე, სასამართლო განაჩენის ძირითადი ფაბულა ეყრდნობა სწორედ ამ მოწმეთა ჩვენებებს.

2007 წლის აპრილსა და მაისში განსასჯელის ადვოკატების მიერ მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე წარმოდგენილი 11 მოწმის ჩვენებები ლინგვისტური ექსპერტიზისათვის გაეგზავნა აშშ ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის ლინგვისტიკის პროფესორ როჯერ ვ. შუის. პროფესორ შუის მიერ გაანალიზებულ იქნა გიორგი ბზიშვილის, ჯუმბერ ქათამაძის, მაია ნიკოლეიშვილის, პაპუნა შონიას, „ეკას“, „ეთერის“, „ნინოს“, „ზაურის“, „რომეოს“ „ნათიას“ და „თამარის“ როგორც პირველადი, ასევე, დამატებით მიცემული ჩვენებები. პროფესორ შუის ლინგვისტური დასკვნის თანახმად, აბსოლუტურად წარმოუდგენელია, რომ 11 სხვადასხვა ადამიანს (იგულისხმება სისხლის სამართლის მოცემული საქმის ძირითადი მოწმეები), რომელთაგან ზოგიერთი აცხადებს, რომ ესწრებოდა 2006 წლის 4 მაისის თათბირს, ხოლო ზოგი აცხადებს, რომ არ ესწრებოდა, რომლებსაც, როგორც მინიმუმ, სამი თვის განმავლობაში ჩვენება ჩამოართვა, სულ ცოტა, ოთხმა სხვადასხვა გამომძიებელმა, შეეძლო ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მოეყოლა მნიშვნელოვანი თემების შესახებ ისეთი მსგავსი თანმიმდევრობით, როგორც მათ აქვთ თავიანთ ჩვენებებში მითითებული.

შუის ცხრილში №3 ნაჩვენებია 32 იდენტური სიტყვა და ფრაზა, რომლებსაც იყენებს 7 ანონიმური მოწმე თავის ჩვენებაში. „აბსოლუტურად დაუჯერებელია, რომ შვიდ სხვადასხვა ადამიანს, რომლებსაც უყვებიან ერთსა და იმავე მოვლენას, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად სამ სხვადასხვა გამომძიებელთან, როგორც მინიმუმ, სამი თვის განმავლობაში, შეეძლო გამოეყენებინა სიტყვები და ფრაზები, რომლებიც ამდენად იდენტურია ერთმანეთისა, როგორც ეს მოწმეთა ჩვენებებით არის დაფიქსირებული. იმის შანსი, რომ ეს ორი მოწმე (ბზიშვილი და ქათამაძე) გამოი-

ყენებდა აბსოლუტურად ერთსა და იმავე ჯაჭვის 16 იდენტურ, ძალიან გრძელ წინადადებას, რომელიც შეიცავს 770 ვირტუალურად იდენტურ სიტყვას, რომელიც მოჰყვება ერთმანეთს, გარდა ამისა, ამ შესადარებელ გადასვლაში მოწმეთა მიერ გამოყენებულ სიტყვათა 99,99%-ზე მეტი იდენტურია და 16 წინადადებიდან 100% აგებულია აბსოლუტურად ერთნაირი სტრუქტურით, იმავე პუნქტუაციით, შვიდი ანონიმური მოწმის მიერ გამოყენებული წინადადების სტრუქტურის მსგავსება აბსოლუტურად არ ჰგავს იმას, რომ ისინი შეიძლება წარმოქმნილი იყოს რაიმე კარნახის გარეშე", — ასკვნის პროფესორი.

პროფესორ შუის დასკვნით, „ამ საქმის დასახელებული და ანონიმური მოწმეების ჩვენებების ლინგვისტური შედარების საფუძველზე სავარაუდოა, რომ მათ ჩვენებებზე მოხდა რაიმე სახის ზეწოლა, ...რომლის ახსნაც არ შედის ლინგვისტის როლში".

მოსამართლის მიერ დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი პროფესორ შუის ლინგვისტური ექსპერტიზის დასკვნა 2007 წლის 23 ივლისის დადგენილებით დაერთო სისხლის სამართლის საქმეს. პირველი ინსტანციის სასამართლომ არ გაიზიარა დაცვის მხარის მიერ აშშ-ში ჩატარებული ლინგვისტური ექსპერტიზის დასკვნა იმის თაობაზე, რომ მოწმეებზე ჩვენების მიცემისას მოხდა რაიმე სახის ზეწოლა. მოსამართლის თქმით: „სასამართლო სხდომაზე დაკითხულმა მოწმეებმა ...კატეგორიულად უარყვეს მათზე სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მხრიდან დაკითხვისას რაიმე ზეწოლის განხორციელება, ჩვენებათა კარნახი და ერთმანეთთან ნაცნობობა."

პარტია „სამართლიანობის" წევრთა ადვოკატები, მათი მხარის მიერ წარმოდგენილი პროფესორ შუის ლინგვისტური ექსპერტიზის დასკვნის ანალიზის საფუძვლზე, ვარაუდობენ, რომ მოწმეთა ჩვენებები სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა ზემოქმედების ქვეშ (კარნახის ან გადაწერის) შედგა, ვინაიდან მოცემულ ჩვენებებში, როგორც ზემოთ აღინიშნა, დიდად შესამჩნევია წინადადებების სტრუქტურის ისეთი მსგავსება, რაც შეუძლებელია, შესრულდეს მოწმეებზე ზემოქმედების გარეშე. აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ საიდუმლო თათბირზე დამსწრე მოწმეებიდან ვერც ერთი ვერ ასახელებს, თუ როგორ გამოვლინდა 4 მაისის თათბირზე დამსწრეთა მხრიდან დანაშაულის ჩადენა, ანუ რა ფორმით დაეთანხმა თათბირის ნებისმიერი მონაწილე შეთქმულების გეგმას. ამდენად, აღნიშნული მოწმეები, ზოგადად, კატეგორიულად ამტკიცებენ მსჯავრდებულთა მიერ ჩადენილი დანაშაულის ნამდვილობას, მაგრამ ვერაფერს ამბობენ იმის შესახებ, თუ როგორ გამოვლინდა ეს დანაშაული. ამ შემთხვევაში დანაშაულის ჩადენად უნდა მივუთითოთ სწორედ დათანხმება დანაშაულებრივ საქმიანობაში მონაწილეობაზე და არა დანაშაულებრივი საქმიანობის განზრახვის შესახებ ინფორმაციის მოსმენა. ამაზე ის გარემოებაც მიუთითებს, რომ საქმის მასალების მიხედვით, ირინა სარიშვილისა და ელიზბარ ჯაველიძის მიმართ სწორედ იმის გამო არ განხორციელდა სისხლისსამართლებრივი დევნა, რომ მათ დრო ითხოვეს ამ ამბოხებასთან დაკავშირებით საკუთარი პოზიციის ჩამოსაყალიბებლად. ვინაიდან შეთ-

ქმულების დანაშაულებრივი ხასიათი სწორედ შეთანხმებაში მდგომარეობს, საჭირო იყო, გარკვეულიყო, რა ფორმით მოხდა 4 მაისის კრების დამსწრეთა მხრიდან შეთქმულებაში მონაწილეობაზე დათანხმება. საქართველოს სსსკ 111-ე მუხლის I ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დაუშვებლად მიიჩნევა მტკიცებულება მიღებული იმ პირისაგან, რომელიც ვერ უთითებს, თუ სად, რა ვითარებაში, როდის და როგორ გამოვლინდა მის მიერ მიწოდებული მონაცემები. აღნიშნული ნორმის მიხედვით, იმისათვის, რომ მოწმის ჩვენება იყოს მტკიცებულება, აუცილებელია, მოწმე უთითებდეს, თუ სად, როდის, რა ვითარებაში და როგორ გამოვლინდა მის მიერ მითითებული მონაცემები. თუ მოწმე ვერ უთითებს, როგორ გამოვლინდა მის მიერ მითითებული მონაცემები, ანუ როგორი ფორმით დაუჭირეს მხარი შეთქმულებაში მონაწილეობაზე განსასჯელებმა (ხელის აწევით, სიტყვის წარმოთქმით, თავის დაქნევით), ასეთი ჩვენება საქართველოს სსსკ 111-ე მუხლის შესაბამისად, დაუშვებლად უნდა ყოფილიყო ცნობილი. როგორც სასამართლოს, ასევე, საგამოძიებო ორგანოების მიერ, მოწმეთა ჩვენებებთან დაკავშირებით, დაირღვა საქართველოს სსსკ მე-18 მუხლის მეორე ნაწილის და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნები, საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრული გამორკვევის თაობაზე.

### 1.2. კახაბერ ქანთარიას სარდაფიდან იარაღის ამოღება

2006 წლის 6 სექტემბერს ჩატარებული ჩხრეკის შედეგად კახაბერ ქანთარიას საცხოვრებელი სახლის კუთვნილი სარდაფიდან ამოღებულ იქნა: 29 „კალაშნიკოვის“ ტიპის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და 29 მჭიდი, ექვსი ცალი დალუქული რკინის კოლოფი, განკუთვნილი ვაზნებისათვის; 20 ცალი ხელყუმბარა პლასტმასის სარქველით; თხუთმეტი ცალი პატარა კოლოფისებური მოყავისფრო შეფუთვა წარწერით „Trotilovaja shashka-2002“ და ასეთივე წარწერით 400-გრამიანი შეფუთვა — თოთხმეტი ცალი; ერთი ტყვიამფრქვევი; ექვსი ყუმბარმტყორცნი; ექვსი ცალი „გასროლა“ და მწვანე ფერის ყუმბარმტყორცნი. მოცემული ნივთმტკიცებები დაერთო საქმეს და მნიშვნელოვანია სახელმწიფო ხელისუფლების დამხობის გეგმის განსახორციელებლად.

ზემოაღნიშნულ იარაღთან დაკავშირებით ხაზი უნდა გაესვას კახაბერ ქანთარიას სარდაფის მდგომარეობას. ვინაიდან საქმე გვაქვს ისეთი სახის შეიარაღებასთან, რომელიც უნდა მოხმარებოდა სახელმწიფო ხელისუფლების ძალადობით დამხობას, ლოგიკური იქნებოდა, გვეფიქრა, რომ მათი შენახვა მეამბოხეების მიერ ამბოხების დაწყებამდე უნდა მომხდარიყო სიფრთხილის (მათი ვერაღმოჩენის) ყველა ზომის დაცვით. იგულისხება მათი ისეთ ადგილას და ისეთი სახის დეპონირება, რაც შეუმჩნეველი გახდებოდა მესამე პირისათვის. განსასჯელ კახაბერ ქანთარიას ბინის სარდაფი მდებარეობს თბილისში, ც. დადიანის ქუჩაზე.

სასამართლოში საქმის განხილვის დროს დაკითხულ იქნენ კ. ქანთარიას მეზობლები — კურნელიძე და რუხაძე. ორივე მათგანი აღიარებს, რომ

საცხოვრებელი კორპუსის სარდაფები ხშირად ტყდებოდა და შეუძლებელი იყო რაიმე ფასეული საგნების სარდაფში შენახვა. მოწმე რუხაძის ჩვენებით, ქანთარიების სარდაფის კარი არ იყო დაკეტილი (იგი „ეკიდა, მაგრამ ჩამოვარდნილი იყო. გადმოიწეოდა, გავასწორებდი...“). საგულისხმოა, აგრეთვე, ის გარემოება, რომ ქანთარიას სარდაფის კარი იყო მთლიანი დეესპესაგან გაკეთებული, ანუ მისი გატეხვა, დაკეტილიც რომ ყოფილიყო, შესაძლებელი იქნებოდა მცირე ძალის გამოყენებით (ფეხის დარტყმით). აღნიშნული ფაქტები, რა თქმა უნდა, ცნობილი იქნებოდა კ. ქანთარიასთვისაც, ამიტომ ყოველგვარ ლოგიკას არის მოკლებული ცეცხლსასროლი იარაღების და საბრძოლო მასალების ისეთ ადგილას დეპონირება, საიდანაც ისინი ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე შეიძლება მითვისებული ყოფილიყო. პირველი ინსტანციის მოსამართლის მიერ გაზიარებულ არ იქნა მეზობლების აზრი იმის თაობაზე, რომ „ვინ ჭკუათმყოფელი შეინახავდა უკარებო სარდაფში იარაღს“. მოსამართლის თქმით: „სასამართლო ვერ გაიზიარებს (მოწმეთა აზრს), ვინაიდან აღნიშნული პირები ათეული წლების განმავლობაში მეზობლები არიან და მეგობრული ურთიერთობა აქვთ ოჯახთან, მათი ჩვენებები ურთიერთსაწინააღმდეგოა, ერთი უთითებს ჯაჭვის დაგრძელებას, მეორე დამოკლებას“. მოსამართლემ თავი აარიდა იმაზე მსჯელობას, ლოგიკური იქნებოდა თუ არა ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალების ისეთ სარდაფში დეპონირება, რომელიც ხშირად ტყდებოდა და რომლის კარიც არ იკეტებოდა. ქანთარიას სარდაფის კარებთან არავითარ კავშირში არ არის, სარდაფებში ჩასასვლელი საერთო კარის ჯაჭვი დამოკლებული იყო თუ დაგრძელებული. მოსამართლის მიერ მხოლოდ იმის გამო მოწმეთა ჩვენების ჭეშმარიტებაში ეჭვის შეტანა, რომ ისინი განსასჯელის მეზობლები არიან, სცილდება სამართლის ლოგიკას და მცდარი სასამართლო პრაქტიკის დამკვიდრების საშიშროებას წარმოადგენს.

მოსამართლე 2007 წლის 9 აგვისტოს სასამართლო სხდომაზე კ. ქანთარიას ბინის სარდაფის ჩხრეკისას გადაღებული ვიდეომასალის საფუძველზე აცხადებს: „აღნიშნულ კადრებში ჩანს მხოლოდ ერთი მომენტი, როცა კარებს გვერდზე აყუდებს „სპეცნაზის“ თანამშრომელი“. საწინააღმდეგო ჩვენებას იძლევა მოწმე გამგებელი (პოლიციის თანამშრომელი), რომელიც ესწრებოდა ქანთარიას კუთვნილი სარდაფის ჩხრეკას. მისი თქმით, „სპეცნაზის“ თანამშრომელმა გატეხა ბოქლომი და გააღეს კარი. ფრიად მნიშვნელოვანია ეს ორი ფაქტი, ანუ მოხდა კ. ქანთარიას სარდაფის კარის გაღება, როგორც ამას მოწმე ამბობს, თუ მოხდა მისი „გადადგმა“, როგორც ეს მოსამართლემ თვითონ დაინახა ვიდეოფირზე. მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლემ თვითონ დააფიქსირა ვიდეოფირიდან სარდაფის კარის არა „გაღება“, არამედ „გადადება“, რაც მისთვის საფუძველი უნდა ყოფილიყო, ეფიქრა, თუ როგორ შეიძლებოდა ასეთ სარდაფში საბრძოლო იარაღისა და მასალების დამალვა, იგი თავს არიდებს ამაზე განაჩენში მსჯელობას და განსასჯელების საწინააღმდეგო და მიკერძოებულ ლოგიკას ავითარებს იარაღის სარდაფიდან ამოღების თაობაზე, რომელიც მოწმეების — გამგებლისა და ჯიქიას ჩვენებებს ეყრდნობა. „სპეცნაზის“

თანამშრომლის მიერ ქანთარიას კუთვნილი სარდაფის კარის „მიყუდება“, როგორც მოსამართლე ამბობს, აშკარად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ კ. ქანთარიას ბინის კუთვნილი სარდაფი, თუნდაც მას კარი ჰქონოდა, არ იყო საიმედო ადგილი ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალების შესანახავად. გარდა ამისა, სასამართლოს არ დაუსვამს კითხვა, აღინიშნებოდა თუ არა ამოღებულ იარაღზე განსასჯელების თითის ანაბეჭდები, ანუ გამოძიების მიერ ჩატარდა თუ არა დაქტილოსკოპიური ექსპერტიზა იმის დასადასტურებლად, ეკუთვნოდა თუ არა ამოღებული იარაღი შეთქმულებს.

ასევე, არ ყოფილა დადგენილი, ეკუთვნოდა თუ არა კ. ქანთარიას მისი სარდაფიდან ამოღებული ცეცხლსასროლი იარაღი. ის ფაქტი, რომ იარაღი ამოღებულ იქნა ქანთარიას სარდაფიდან, უტყუარად არ მიუთითებს იმაზე, რომ იარაღი ქანთარიას ეკუთვნოდა. წარმოდგენილ მასალაში არ მოიპოვება სხვა მტკიცებულება, რომელიც იარაღის ქანთარიას კუთვნილებაზე მიუთითებს. როგორც სასამართლოს, ასევე, საგამოძიებო ორგანოების მიერ კ. ქანთარიას საცხოვრებელი ბინის სარდაფიდან იარაღის ამოღების ფაქტის შესწავლისა და შეფასების დროს ადგილი ჰქონდა მიკერძოებას ბრალდების მხარის სასარგებლოდ, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა განსასჯელების მიმართ წაყენებული ბრალის დამძიმებაზე და სისხლის სამართლის საქმის მათ წინააღმდეგ გადაწყვეტაზე. ზემოაღნიშნულით დარღვეულ იქნა სსსკ მე-18 მუხლის მეორე ნაწილის და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნები, საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრული გამოკვლევის შესახებ.

## 2. დაცვის მხარის შუამდგომლობები

### 2.1. სასამართლო ექსპერიმენტი

2007 წლის 4 მაისს განსასჯელ თეიმურაზ ჟორჟოლიანის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა შუამდგომლობით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ნოზაძეს. ადვოკატის შუამდგომლობის საფუძველს წარმოადგენდა მოწმე ვ. სიხარულიძის ჯანმრთელობის მდგომარეობა. კერძოდ, ის, რომ იგი სმენადაქვეითებულია და ორივე ყურის აპკი აქვს გაუქმებული, თუმცა, როგორც თვითონ აცხადებს, კარგად ესმოდა, რას ლაპარაკობდა თ.ჟორჟოლიანი. ადვოკატი თავის შუამდგომლობაში ითხოვს საქართველოს სსსკ 487-ე პირველი ნაწილის თანახმად და საქართველოს სსსკ 340-343, 347-349, 375-384-ე მუხლებით დადგენილი წესით, იმავე პირობებში ჩატარდეს სასამართლო ექსპერიმენტი. სასამართლოს 2007 წლის 7 მაისის დადგენილებით, თ. ჟორჟოლიანის ინტერესების დამცველი ადვოკატის შუამდგომლობის დაკმაყოფილებას უარი ეთქვა შემდეგი მოტივით: „მოწმეს დაქვეითებული აქვს სმენა, მაგრამ ყველა კითხვას გასცა პასუხი.“ ის ფაქტი, რომ მოწმემ ყველა კითხვას გასცა პასუხი, არავითარ კავშირში არ არის მისი ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, ვინაიდან სმენის დაქვეითება ფიზიკური ნაკლია, რაც არავითარ გავლენას არ ახდენს

მის გონებრივ განვითარებაზე. ადვოკატი კი სწორედ მოწმის ფიზიკური ნაკლიდან გამომდინარე ეჭვქვეშ აყენებდა მის შესაძლებლობას, დეტალურად გაეგო ის, რაც თ. ჟორჟოლიანმა უთხრა მას.

მოსამართლე საქართველოს სსსკ მე-18 მუხლის პირველი ნაწილით ვალდებული იყო, სისხლის სამართლის საქმეზე ყოველმხრივ გაერკვია მტკიცებულების საგანი. მოცემულ შემთხვევაში, მართებული იქნებოდა, მოსამართლეს დაეკმაყოფილებინა ადვოკატის შუამდგომლობა და დაენიშნა ექსპერიმენტი, თუ რამდენად შეეძლო მოწმეს, მისი ფიზიკური მდგომარეობიდან გამომდინარე (ორივე ყურის აპკის გაუქმება), თ. ჟორჟოლიანთან საუბრისას მოესმინა ყველაფერი დეტალურად. ზემოაღნიშნულით მოსამართლემ დაარღვია საქართველოს სსსკ მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნები, კერძოდ, მას „საქმის გარემოებათა გამოკვლევა უნდა მოეხდინა ყოველმხრივ, ობიექტურად და სრულად". მოცემულ საქმეზე ობიექტურობის დადგენა მოითხოვდა, სასამართლოს ჩაეტარებინა ექსპერიმენტი და გაერკვია, თუ რამდენად შეძლებდა მოწმე საუბრის მოსმენას. სასამართლოს მიერ დაირღვა, აგრეთვე, ევროპის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნები სამართლიანი სასამართლოს შესახებ.

### 2.2. განსასჯელ ვ. ტალახაძის დაცვის უფლება

პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის დროს სასამართლო პროცესიდან 2007 წლის 7 მაისს, მოსამართლის განკარგულებით, სასამართლო დარბაზიდან გაძევებულ იქნა განსასჯელი ვახტანგ ტალახაძე. დაცვის მხარის არაერთი შუამდგომლობისა და თავად განსასჯელის წერილობითი მოთხოვნის მიუხედავად, მოსამართლემ ისე გამოუტანა განაჩენი ვახტანგ ტალახაძეს, რომ მას არ მიეცა სხდომაზე დაბრუნების, სასამართლოსათვის ზეპირი ჩვენების მიცემისა და საბოლოო სიტყვის თქმის საშუალება, ანუ ვახტანგ ტალახაძეს არ მიეცა საკუთარი თავის დაცვის კონსტიტუციით გარანტირებული უფლება. სტრასბურგის ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ განსასჯელს უფლება უნდა ჰქონდეს, დაესწროს სასამართლო განხილვას.

ვფიქრობთ, როგორი მძიმეც უნდა ყოფილიყო და როგორი ინტენსივობითაც უნდა ყოფილიყო განსასჯელ ვახტანგ ტალახაძის მიერ სასამართლო პროცესის დროს მოსამართლისათვის ხელის შეშლის ან მისი ან სასამართლოს შეურაცხყოფის ფაქტი, რამაც მისი სასამართლო დარბაზიდან გაძევება გამოიწვია, მოსამართლეს განსასჯელ ვ. ტალახაძისათვის უნდა მიეცა ზეპირი ჩვენების მიცემისა და საბოლოო სიტყვის თქმის უფლება. აღნიშნულით სასამართლოს მიერ დარღვეულ იქნა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნა დაცვის უფლების გარანტიის შესახებ, რაც მოცემულ შემთხვევაში გამოიხატებოდა განსასჯელისათვის საკუთარი თავის დაცვის შესაძლებლობის მიცემით. დაირღვა, აგრეთვე, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მესამე პუნქტის „გ" ქვეპუნქტის მოთხოვნა, განსასჯელმა დაიცვას საკუთარი თავი პირადად.

## 3. დასკვნა

როგორც საგამოძიებო ორგანოების, ასევე, სასამართლოს მიერ მოწმეთა ჩვენებებთან დაკავშირებით, დაირღვა საქართველოს სსსკ მე-18 მუხლის მეორე ნაწილის და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნები, საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრული გამორკვევის თაობაზე. პირველი ინსტანციის მოსამართლის მიერ იმ ექსპერიმენტის დანიშვნის შესახებ ადვოკატის შუამდგომლობის დაუკმაყოფილებლობა, თუ რამდენად შეეძლო მოწმეს, მისი ფიზიკური მდგომარეობიდან გამომდინარე (ორივე ყურის აპკის გაუქმება), თეიმურაზ ჟორჟოლიანთან საუბრისას მოესმინა ყველაფერი, დაირღვა საქართველოს სსსკ მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნები საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრული გამოკვლევის შესახებ და ევროპის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნები სამართლიანი სასამართლოს შესახებ.

როგორც საგამოძიებო ორგანოების, ასევე, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ კ. ქანთარიას საცხოვრებელი ბინის სარდაფიდან იარაღის ამოღების ფაქტის შესწავლისა და შეფასების დროს ადგილი ჰქონდა მიკერძოებას ბრალდების მხარის სასარგებლოდ, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა განსასჯელების მიმართ წაყენებული ბრალის დამძიმებაზე და სისხლის სამართლის საქმის მათ წინააღმდეგ გადაწყვეტაზე. ზემოაღნიშნულით დაირღვა სსსკ მე-18 მუხლის მეორე ნაწილისა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნები, საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრული გამოკვლევის შესახებ. მოსამართლემ განსასჯელ ვ. ტალახაძის მთელი სასამართლო პროცესის განმავლობაში სასამართლო დარბაზიდან გაძევებით განსასჯელს წაართვა ზეპირი ჩვენების მიცემისა და საბოლოო სიტყვის თქმის უფლება (საკუთარი თავის დაცვის უფლება). აღნიშნულით სასამართლოს მიერ დარღვეულ იქნა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნა დაცვის უფლების გარანტიის შესახებ, რაც მოცემულ შემთხვევაში გამოიხატებოდა განსასჯელისათვის საკუთარი თავის დაცვის შესაძლებლობის მიცემით. დაირღვა, აგრეთვე, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მესამე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მოთხოვნა, განსასჯელმა დაიცვას საკუთარი თავი პირადად.

# საქართველოს ციხეები — პატიმართა გამოსასწორებელი თუ სიცოცხლესთან გამოსამშვიდობებელი დანესებულება?

**სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროში პატიმართა დასახმარებლად არაერთი კომისია თუ განყოფილება შეიქმნა, თუმცა მათი უფლებები მაინც ირღვევა. ფაქტია ისიც, რომ ავადმყოფ პატიმართა მკურნალობის, სხვადასხვა ინფექციური დაავადებების გავრცელებისა და მათი დაძლევის ბრძოლის მეთოდები არაეფექტიანია. სამინისტროს სამოქმედო გეგმა არაადეკვატურია. საკნებში არსებული არაჰიგიენური პირობების, ცუდი კვებისა და არასწორი მკურნალობის გამო გავრცელებულია ისეთი ინფექციური დაავადებები, როგორიცაა: ტუბერკულოზი, შიდსი, C ჰეპატიტი და სხვა. ადამიანის უფლებათა ცენტრს დახმარებისათვის არაერთხელ მიმართა მრავალმა პატიმარმა თუ მათი ოჯახის წევრმა.**

პატიმარი **გია საგინაძე** სასჯელს თბილისში, გლდანის საპყრობილეში იხდის. პატიმრის ახლობლების განცხადებით, საგინაძეს ჯანმრთელობა შერყეული აქვს. მისი ოჯახი თბილისში არ ცხოვრობს და პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ინფორმაციას ვალერი ძაგნიძისგან იგებს, რომელიც საგინაძის ოჯახის ახლობელია.

**„ზუსტად არავინ მეუბნება, როგორ მკურნალობენ, თუმცა ვიცი, რომ მისი მდგომარეობა დღითიდღე უარესდება, — ამბობს ვალერი ძაგნიძე, — მაქვს ინფორმაცია იმაზე, რომ მას ტკივილგამაყუჩებელ წამლებს აძლევენ, მაგრამ ეს მკურნალობის კურსს ვერ ჩაანაცვლებს“.**

გია საგინაძე 2007 წლის 25 დეკემბერს დააპატიმრეს. მას 9 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. 2008 წლის 30 იანვარს აჭარის რეგიონული ექსპერტიზის დასკვნით, ის დაავადებულია ქრონიკული C ჰეპატიტით, აივ ინფექცია / შიდსით, განლევის სინდრომით. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა.

ამის გამო, 2008 წლის 29 თებერვალს, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში ადვოკატმა ნემსიწვერაძემ მისი გათავისუფლების საკითხი დააყენა. სააპელაციო სასამართლომ ადვოკატის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა. უარის მოტივი ასე ფორმულირდა: „ექსპერტიზის დასკვნაში არაფერია ნათქვამი იმაზე, რომ პატიმარს ჯანმრთელობის მდგომარეობა სასჯელის ბოლომდე მოხდის საშუალებას არ აძლევს“.

საგინაძის ადვოკატი გურამ შარია აცხადებს, რომ საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მიერ 2003 წელს გამოცემული №72/6 ბრძანებულე-

ბის მე-13 მუხლის მიხედვით, პატიმარს უპირობოდ ათავისუფლებენ, თუ მას აღმოაჩნდება შემდეგი დაავადებები:

**1. აივ ინფექცია / შიდსის შედეგად განვითარებული ინფექციური ან პარაზიტული ავადმყოფობები, C3 კატეგორია, ტერმინალური სტადია.**

**2. აივ ინფექცია / შიდსის შედეგად განვითარებული ავთვისებიანი სიმსივნეები, C3 კატეგორია, ტერმინალური სტადია.**

**3. აივ ინფექცია / შიდსის შედეგად განვითარებული ავადმყოფობები (დემენცია, განლევის სინდრომი), C3 კატეგორია, ტერმინალური სტადია.**

პატიმრობის პერიოდში გია საგინაძის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა. მას შემდეგ, რაც ქსნის კოლონიიდან გლდანის ციხეში გადაიყვანეს, საგინაძე კონტუზიითაც დაავადდა, რის შედეგადაც კვლავ აუცილებელი გახდა მისი სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანა. ამჟამად საგინაძე ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში იხდის სასჯელს.

საგინაძის ადვოკატის განცხადებით, ავადმყოფის მდგომარეობას ამძიმებს თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მწვავე მოშლაც; პატიმარი საapელაციო სასამართლოს სხდომას არც დასწრებია, რადგან მას სიარული აღარ შეუძლია.

სასჯელაღსრულების დაწესებულების წარმომადგენელი მიხეილ ძაგირაშვილი ამბობს, რომ საგინაძე დაპატიმრებამდეც მძიმედ იყო დაავადებული, თუმცა ამას მისთვის დანაშაულის ჩადენაში ხელი არ შეუშლია და არც სასჯელის ბოლომდე მოხდაში უნდა შეუშალოს ხელი. ჩამოთვლილი დაავადებები, ძაგირაშვილის აზრით, პატიმრის გასათავისუფლებლად საკმარისი საფუძველი არ არის და, შესაბამისად, ვერც სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდება.

„ადამიანის უფლებათა ცენტრში“ შემოსული საჩივრებიდან, საქართველოს ციხეებში პატიმართა მკურნალობის ნორმების დარღვევის თვალსაზრისით, ყურადღებას პატიმარ ხარაიშვილის საქმეც იქცევს.

**რობერტ ხარაიშვილი** დაავადებულია ყელის კიბოთი, მას ოპერაციის შემდეგ ყელში მილი ჩაუდგეს. გამოკვლევების შედეგად აღმოჩნდა, რომ პატიმრის მდგომარეობას ამძიმებს C ჰეპატიტი, ტუბერკულოზი და შიდსი. ოპერაციის შემდეგ ის მალევე გლდანის ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში დააბრუნეს. ხარაიშვილის ადვოკატ ეკა ქობესაშვილის თქმით, ციხის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ პატიმრის გლდანის ციხეში დაბრუნება აუცილებელი იყო, რადგან მისთვის ცალკე ბადრაგის გამოყოფა ვერ მოხერხდა. ციხის ხელმძღვანელობამ, ასევე, მიიჩნია, რომ ავადმყოფის ონკოლოგიურ დაწესებულებაში მკურნალობის აუცილებლობა აღარ არსებობდა. ხარაიშვილის მძიმე მდგომარეობას ციხის ექიმებიც ადასტურებენ. ადვოკატის განცხადებით, პატიმარი უკმაყოფილოა ციხეში არსებული მკურნალობის ნორმებით, ექიმები მას ჭრილობის ნახვევების გამოცვლას უგვიანებენ, ჭრილობიდან სდის ჩირქი, აქვს ტკივილებიც. ტკივილგამაყუჩებელი ნემსები კი გაუკეთდა, მაგრამ ნანემსრები დაუჩირქდა და მათზე იოდის წასმაც პრობლემაა. ექიმები ხარაიშვილის ნათქვამს უარ-

ყოფენ და ამბობენ, რომ ისინი თავიანთი მოვალეობის ფარგლებში ყველაფერს აკეთებენ. „სახელმწიფო არანაირ მექანიზმს არ გვიტოვებს პატიმრის სასჯელის გადასავადებლად. აუცილებელია, სასამართლოს წარედგინოს კომპლექსური ექსპერტიზის დასკვნა, რაც ფინანსებთანაა დაკავშირებული. ეს თანხა (ლაპარაკია 700 ლარზე) პატიმრის ოჯახს არ გააჩნია და მისი გამოყოფა არც სახელმწიფოს ევალება. ხარაიშვილს თავისი სასჯელის 2/3 უკვე მოხდილი აქვს და მისი ვადამდე გათავისუფლება კანონით დასაშვებია“, — აცხადებს ეკა ქობესაშვილი.

„ჩემი ძმა დედაჩემს, 20 წელია, არ უნახავს, — ამბობს პატიმრის ძმა, — დაკავების შემდეგ გასასამართლებლად რუსეთიდან საქართველოში გადმოიყვანეს, ყველამ ვიცით, რომ ის ასეთ მდგომარეობაში დიდხანს ვეღარ იცოცხლებს“.

დღეს საქართველოს ციხეებში გავრცელებული დაავადებები — ტუბერკულიოზი და ფილტვების ანთება, სიკვდილიანობის საფუძველია.

**სტატისტიკური მონაცემებით, წელიწადში ყოველი 101 პატიმრიდან 39 იღუპება, სიკვდილიანობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 21-31 წლის პატიმრებში ფიქსირდება.** „ინფექციური დაავადებების გავრცელების კერა საკნებში არსებული არაჰიგიენური საცხოვრებელი პირობები და არაჯანსაღი კვებაა“, — ამბობს სამედიცინო ექსპერტი ლევან ლაბაური.

„ჩემი შვილი 20 წლისაა, ის წინასწარი პატიმრობით სასჯელს ქუთაისის №2 საპყრობილეში იხდის, ჯერ ერთი თვეც არ გასულა, რაც დააპატიმრეს, დღეს პირველად უნდა მენახა და „პერედაჩაც“ გადამეცა. ჩემი შვილი იმდენად ძალაგამოცლილი იყო, რომ ორმა ბადრაგმა ხელით მოიყვანა. მიამბო, რომ, ციხის ექიმის დიაგნოზით, მას ფილტვების ანთება ჰქონია. მე იმ წუთში წამლების შესაძენად საჭირო ფული არ აღმომაჩნდა, არც ის ვიცოდი, რა სჭირდებოდა. ციხის ექიმი ადგილზე არ იმყოფებოდა. ციხეში მნახველთა შორის ვიღაც ექიმი აღმოჩნდა, იმან ჩამაწერინა, თუ რა წამლები უნდა მიმეტანა პატიმრისთვის.

რაც ამპულებში იყო, უკან დამიბრუნეს, შეტანა არ შეიძლებაო. ჩემი შვილის მდგომარეობა ახლა როგორია, არ ვიცი, მისი ნახვის უფლება თვეში მხოლოდ ერთხელ მაქვს, ის კი გავიგე, რომ მიტანილი წამლები გადასცეს“, — ამბობს ერთ-ერთი პატიმრის დედა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა.

ადამიანის უფლებათა ცენტრი ერთხელ უკვე წერდა გორის ჯავშანსატანკო ბატალიონის უფროსის, **პაატა ხოხაშვილის** შესახებ, რომელიც 5 მაისს მუხროვანში მომხდარი ამბოხის მცდელობაში მონაწილეობის ბრალდებით გლდანის საპყრობილეში იხდის სასჯელს. პაატა ხოხაშვილი გასულ წელს აგვისტოს ომში ნაღმის აფეთქების შედეგად დაიჭრა. მას თავის ქალა და ხერხემლის მალები მძიმედ დაუზიანდა. ხოხაშვილის ადვოკატ ცირა ჯავახიშვილის თქმით, პატიმრის მდგომარეობა განსაკუთრებით ციხეში გაუარესდა. მას დაზიანებული აქვს ხერხემლის მე-3 და მე-5 მალა, რაც მისი ინვალიდობის საშიშროებას ქმნის. ხოხაშვილს გადაუდებლად ესაჭიროება ფიზიოთერაპიული მკურნალობა, რის საშუალებაც ციხეში არ არსებობს. „ისიც ვერ მოვახერხეთ, მისთვის ტკივილგამაყუჩებელი მედი-

კამენტები შეგვეტანა, ახლა გავიგეთ, რომ ციხის ექიმის დანიშნულებით ხოხაშვილს ტკივილგამაყუჩებლებს დღეში ორჯერ უკეთებენ. პატიმრის მდგომარეობა დღითიდღე უარესდება, მან ციხეში 30 კგ დაიკლო. ვერ მივაღწიეთ იმასაც, რომ იმ ტკივილგამაყუჩებლების ჩამონათვალი მოვიპოვოთ, რასაც პატიმარი იღებს. ბოლო შეხვედრისას მას ჰეპატიტის ნიშნებიც ჰქონდა", — განაცხადა ჯავახიშვილმა.

ამ პრობლემებზე სასაუბროდ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მივმართეთ. სასჯელაღსრულების ჯანდაცვის სამმართველოში განგვიცხადეს, რომ ისეთი დაავადებების დაძლევა, როგორიცაა ტუბერკულოზი, ე. წ. ეროვნული პროგრამის პრეროგატივაა. დაავადებულთათვის ცალკე საკნებია შექმნილი, გართულების შემთხვევაში კი პატიმრები ქსნის სამკურნალო ცენტრში გადაჰყავთ. „ერთი თვეა, რაც პატიმართა საკითხები სასჯელაღსრულების ჯანდაცვის სამმართველოს გადაეცა, მანამდე ამას სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სამედიცინო სამსახური და სადაზღვევო კომპანია „ალდაგი" ხელმძღვანელობდა. ახლად შექმნილი სამმართველო ჯერ ჩამოყალიბების პროცესშია, მიმდინარეობს რეფორმის პოლიტიკის შემუშავება და პატიმრების სამედიცინო დახმარება ამიტომაც ვერ ხერხდება. საჩივრები კი შემოდის, მაგრამ დებულების არარსებობის გამო სათანადო დახმარება ვერ ხორციელდება. ერთ თვეში ამ პრობლემებზე სწრაფად და ადეკვატურად რეაგირების საშუალება გვექნება. სრულყოფილ მუშაობას, ალბათ, იანვრიდან დავიწყებთ, მანამდე კი უნდა შევიმუშაოთ სამოქმედო კონცეფციაც. ასე რომ, ჯერ ჩამოყალიბების პროცესში ვართ", — განაცხადა სასჯელაღსრულების ჯანდაცვის სამმართველოს ხელმძღვანელმა ნინო მუსერიძემ.

# სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უმოქმედობის გამო ციხეებში პატიმრები იხოცებიან

„ადამიანის უფლებათა ცენტრი“ შეშფოთებას გამოთქვამს საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებული მდგომარეობის გამო. ბოლო წლებში სერიოზული პრობლემები ექმნებათ ავადმყოფ პატიმრებს. ამის დასტურად გამოდგება „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ მიერ შესწავლილი რამდენიმე საქმე. ინფორმაცია მათ შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე

http://humanrights.ge/index.php?a=article&id=4230&lang=en
http://humanrights.ge/index.php?a=article&id=4204&lang=en

„ადამიანის უფლებათა ცენტრი“ მოუწოდებს მედიას და არასამთავრობო ორგანიზაციებს, მეტად დაინტერესდნენ ამ პრობლემით.

„ადამიანის უფლებათა ცენტრის“ განცხადებით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უმოქმედობის გამო ციხეებში ავადმყოფი პატიმრები მასობრივად იხოცებიან. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობა მძიმედ დაავადებული პატიმრების ვადაზე ადრე გათავისუფლებას ითვალისწინებს, საპყრობილეებიდან ისეთ მსჯავრდებულებსაც კი არ უშვებენ, რომელთა სიცოცხლის დღეებიც დათვლილია.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უმოქმედობის გამო ციხეებში პატიმრების სიცოცხლეს, ძირითადად, ტუბერკულოზისა და გულსისხლძარღვთა მწვავე უკმარისობის გამო ექმნება საფრთხე.

პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტიც, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში გარდაცვლილ პატიმართა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია არც სასჯელაღსრულების დეპარტამენტის და არც სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული არ არის.

პრობლემა რომ მნიშვნელოვანია, ყოფილი სახალხო დამცველი სოზარ სუბარიც ადასტურებს. მისი განცხადებით, სამედიცინო მომსახურება ციხეებში ან არ არსებობს, ან ნაკლებადაა ხელმისაწვდომი. ექიმის ხელმისაწვდომობა მინიმალურია, ხოლო ჩატარებული მკურნალობისა და მოვლის ხარისხი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, აბსოლუტურად შეუსაბამოა ადამიანის ჯანმრთელობისა და მისი ღირსებისათვის.

სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ამ კუთხით არსებული პრობლემების მაგალითად გამოდგება რამდენიმე საქმე, რომლებიც „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ ჟურნალისტებმა და იურისტებმა შეისწავლეს, კერძოდ: დედოფლისწყაროს რაიონში მცხოვრები თამარ ბატიაშვილი მეშვიდე თვეა, პატიმარი შვილისთვის სასჯელის დარჩენი-

ლი ნაწილის გადავადებას უშედეგოდ ითხოვს (იხ. რობერტ ხარაიშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ). მისივე თქმით, სასჯელის დარჩენილი ნაწილის გადავადების ან გათავისუფლების მოთხოვნით, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს, მინისტრს და შესაბამის კომისიას წერილობითი განცხადებით არაერთხელ მიმართა, მაგრამ სამინისტროდან პასუხიც კი არ მიუღია.

# სასამართლომ ერთადერთი მოწმე დარბაზიდან გააძევა

ქუთაისის საქალაქო სასამართლოში გამართულ პროცესს, სადაც ავტოავარიის შედეგად გარდაცვლილი ქუთაისელი ჟურნალისტების საქმე განიხილებოდა, საპროტესტო აქცია მოჰყვა. დაზარალებული მხარე, რომელსაც ჟურნალისტების მშობლები წარმოადგენენ, სასამართლოს ბრალს მიკერძოებაში სდებენ და დახმარებას ადგილობრივ ხელისუფლებას სთხოვენ.

**26 ივლისს ქუთაისში ავტოავარიის შედეგად ადგილობრივი ტელეკომპანია „რიონის“ ოთხი ჟურნალისტი დაიღუპა. ავტომანქანას, რომლითაც ჟურნალისტები — ნინო გიგაშვილი, ჯონი კუბლაშვილი, გიორგი მგალობლიშვილი და დათო ავალიანი მგზავრობდნენ, BMW-ს მარკის ავტომანქანა დაეჯახა. სამართალდამცველებმა BMW-ს მძღოლი რევაზ ტყეშელაშვილი მომხდარიდან რამდენიმე საათში დააკავეს. ის შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაზარალებული მხარე აცხადებს, რომ სამართალდამცველები დამნაშავეს ხელს აფარებენ და ცდილობენ, იგი სათანადოდ არ დასაჯონ.**

„სასამართლო პროცესი სრული არასერიოზულობით წარიმართა. აშკარად შეინიშნება, რომ მოსამართლე ტყეშელაშვილის დაცვას ცდილობს. განსაკუთრებულს არაფერს ვითხოვთ. შვილები დაგვეღუპა და გვინდა, სასამართლო პროცესი ობიექტურად ჩატარდეს და არა ისე, როგორც ეს დღეს მოხდა“, — ამბობს გარდაცვლილი გიორგი მგალობლიშვილის მამა ნუგზარ მგალობლიშვილი.

უბედურ შემთხვევას, რომელიც ღამით ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე მოხდა, ერთადერთი მოწმე, ჟურნალისტი როენა კახიძე ჰყავს. მოსამართლემ იგი სასამართლო სხდომიდან გააძევა, რასაც ვითარების დაძაბვა მოჰყვა.

„ტყეშელაშვილი სათანადოდ უნდა დაისაჯოს. იმ ღამით მან მე გარდაცვლილებთან მარტო დამტოვა. ორი ადამიანი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. ისინი მოგვიანებით დაიღუპნენ საავადმყოფოში. სათანადო სამედიცინო დახმარება დროზე რომ აღმოეჩინათ, იქნებ, გადარჩენილიყვნენ კიდეც. მე მას ვთხოვდი, არ მივეტოვებინეთ, მაგრამ ჩემი თხოვნა ყურად არ იღო. დღეს კი, როცა ეს სასამართლო პროცესზე ვთქვი, მოსამართლემ დარბაზიდან გამაძევა. მე ერთადერთი მოწმე ვარ, ვინც მომხდარი დეტალურად იცის, მაგრამ მათ ეს არ აინტერესებთ“, — ამბობს როენა კახიძე.

გარდაცვლილების ოჯახის წევრები აცხადებენ, რომ ტყეშელაშვილმა რამდენჯერმე მათ გარიგებაც შესთავაზა. მათი განცხადებით, საუბარი გარკვეულ თანხაზეც კი იყო, რომელსაც ის გარდაცვლილის ახლობლებს გაჩუმების სანაცვლოდ სთავაზობდა.

„ეს იმის ბრალია, რომ გამოძიება სათანადოდ არ ტარდება. როგორ უნდა ბედავდეს ოთხი ადამიანის მკვლელი ჩვენთან გარიგებასა და თანხაზე ლაპარაკს. რომელ გარიგებაზე და თანხაზეა საუბარი. მე ჩემი შვილის იმედად ვცხოვრობდი. ახლა ეს შვილი მომიკლეს და სამართალდამცველები მკვლელის დასჯას ვერ ახერხებენ. სასამართლო პროცესი რამდენჯერმე გაურკვეველი მიზეზის გამო გადაიდო. დღესაც იგივე მოხდა. როდემდე შეიძლება ეს ყველაფერი გაგრძელდეს? ამ კაცმა ოთხი ადამიანი მოკლა. ნუთუ ეს ძნელი გასაგებია“, — ამბობს ჯონი კუბლაშვილის დედა ნუგეშა კუბლაშვილი.

საპროტესტო აქციას, რომელიც ქუთაისის მერიის წინ გაიმართა, ადგილობრივი ჟურნალისტებიც შეუერთდნენ. ისინი ობიექტურ სასამართლოს მოითხოვენ.

# „ბატონო პრეზიდენტო, რატომ მოვიკლა შვილი თქვენი დაცვის წევრმა?!“

**მოსკოვის პროსპექტზე მომხდარი სისხლიანი ინციდენტი ძალიან ჰგავს შარდენ-ბარში დაწყებულ შელაპარაკებას, რომელიც 28 წლის სანდრო გირგვლიანის მკვლელობით დასრულდა. გირგვლიანის შემთხვევაში თუ შსს-დან მაღალი თანამდებობის პირები და თავად მინისტრის მეუღლე ფიგურირებენ, 2008 წლის 11 ივნისს მოსკოვის პროსპექტზე მომხდარი დღემდე გაუხმაურებელი ინციდენტის მსხვერპლის — 30 წლის ვასილ ამონიშვილის დედა აცხადებს, რომ მისი შვილი ძმებმა ბერძენიშვილებმა მოკლეს, რომელთაგან, მისივე განმარტებით, ერთი მიხეილ სააკაშვილის დაცვის წევრია, ხოლო მეორე — პოლიციელი, ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს პირველი ქვეგანყოფილების თანამშრომელი.**

„ამაში 100%-ით დარწმუნებული ვართ და სანამ ცოცხლები გახლავართ, გაჩუმებას არ ვაპირებთ“, — უთხრეს presa.ge-ს ვასილ ამონიშვილის დედამ, გულნაზ ამონიშვილმა და მოკლულის დეიდამ, გულსუნდა მიქაძემ.

Presa.ge-ს მიერ მომზადებული მასალა ეფუძნება ვასილ ამონიშვილის დედის და დეიდის მონათხრობს, ასევე, იმ სასამართლო დოკუმენტებს, რომლებიც მათ ხელთ აქვთ. მათ შორისაა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ ჩატარებული გვამის გამოკვლევის დასკვნა 885/33, რომელიც ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს მეხუთე განყოფილების უბნის ინსპექტორ-გამომძიებლის ვახტანგ ჩოფლიანის მიმართვის საფუძველზე 2008 წლის 17 ივნისს დაიწყო და იმავე წლის 29 აგვისტოს დასრულდა.

ექსპერტიზის წინაშე გამომძიებელმა 4 კითხვა დასვა: 1. გარდაცვალების მიზეზის და დროის დადგომა; 2. სხეულზე დაზიანების, მისი ხარისხის, ხანდაზმულობის და განსაზღვრა იმისა, შესაძლო დაზიანება იყო თუ არა მიზეზობრივ კავშირში დამდგარ სიკვდილთან; 3. მიიღო თუ არა ამონიშვილმა ალკოჰოლი და 4. რომელ ჯგუფს მიეკუთვნებოდა გარდაცვლილის სისხლი.

ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ვასილ ამონიშვილს სისხლში ალკოჰოლი არ აღმოაჩნდა; რაც შეეხება დაზიანებებს, სხეულის სხვადასხვა ნაწილზე გვამს აღენიშნებოდა სისხლჩაქცევები, ნაჭდევები, სისხლნაჟღენთები, რაც იყო „მსუბუქი ხარისხის და მათ სიკვდილის გამოწვევა არ შეეძლო“. გვამის შინაგანი გამოკვლევაც ჩატარდა, რაზეც დასკვნაში წერია: „ნანახი იქნა სუბდურული და სუბარაქნოიდალური სისხლჩაქცევები მარცხნივ შუბლ-თხემ-საფეთქლის მიდამოში. წერტილოვანი ხასიათის სისხლჩაქცევები თავის ტვინის ნივთიერებაში. დაზიანებები განვითარე-

ბულია სიცოცხლის დროს, რაიმე მკვრივი და ბლაგვი საგნის მოქმედებით, მიეკუთვნება სიცოცხლისთვის სახიფათო ხარისხს, რასაც შედეგად მოჰ-ყვა კიდეც სიკვდილი“.

დასკვნაში მითითებული „რაიმე მკვრივი და ბლაგვი საგანი“, რომლის მოქმედებამ ვასილ ამონიშვილის გარდაცვალება გამოიწვია, გულნაზ ამონიშვილის განმარტებით, არის ე.წ. კასტეტი, რითაც მის შვილს სააკაშვილის დაცვის წევრმა მოსკოვის პროსპექტზე, №41 კორპუსის ეზოში დაარტყა: „ჩემს შვილს ამ საგნის ჩარტყმით ფუძე ჩაუწყდა“... „ეს პროფესიონალის გაკეთებულია, ისეთ წერტილშია ჩარტყმული“, — გვითხრა რეანიმაციიდან გამოსულმა ექიმმა.

ინციდენტის მეორე დღეს, 2008 წლის 12 ივნისს, თბილისის ისანი-სამგორის მეხუთე განყოფილებაში დაიწყო წინასწარი გამოძიება ვასილ ამონიშვილის ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტზე (სსკ-ის 117-ე მუხლის პირველი ნაწილი). იმ დოკუმენტების საფუძველზე, რომელიც მოკლულის დედას აქვს, პროკურატურაში წინასწარი გამოძიება დღემდე მიმდინარეობს, მასზე თბილისის პროკურატურას კონტროლი აქვს დაწესებული.

**„სუფრის წევრები დაკითხულები არიან, მაგრამ გამოძიება ცდილობს, საქმე ისე წაიყვანოს, რომ ძმები ბერძენიშვილების ინციდენტში მონაწილეობა მიჩქმალოს“, — ამბობს გულნაზ ამონიშვილი და დასძენს, რომ დაზარალებულის უფლებამონაცვლედაა ცნობილი. ამის შესახებ მხოლოდ სიტყვიერად უთხრეს, მაგრამ დამადასტურებელი დოკუმენტი მას არ გააჩნია.**

ინციდენტი ასე დაიწყო: ვასილ ამონიშვილი საცოლესთან, მეგისთან ერთად 2008 წლის 11 ივნისს თავისი თანამშრომლის — დავით დოგრაშვილის ოჯახში (მოსკოვის პროსპექტი, №41 კორპუსი) დაბადების დღეზე მივიდა. სუფრაზე ვასილისა და მეგისთვის უცნობი ოცამდე პირი იყო. ვასილ ამონიშვილი საჯარო რეესტრის დაცვაში მუშაობდა, მისი საცოლე — საჯარო რეესტრში. „შენ ის ბიჭი არა ხარ, საჯარო რეესტრში რომ არ შემიშვიო?!“ — უთქვამს სუფრის ერთ-ერთ წევრს ვასილ ამონიშვილისთვის. ამ დიალოგის შესახებ გულნაზ ამონიშვილმა მაშინ გაიგო, როცა მისი შვილი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო.

მოკლულის დედა იხსენებს: „2008 წლის თებერვალში სამსახურიდან ძალიან ანერვიულებული მოვიდა. დედი, რა მოხდა-მეთქი, — ვკითხე და — „სააკაშვილის დაცვიდან ერთი ბიჭი მოვიდა, „ქსივა“ მაჩვენა, ურიგოდ უნდოდა შესვლა და რადგან წინ მოხუცები, ბავშვიანები იდგნენ, არ შევუშვი. — მერე რა, რომ „ქსივა“ გაქვს-მეთქი და ის ბიჭი გამიბრაზდა...“ ვასიკო რომ მომიკლეს, კატეგორიულად ვითხოვდი საჯარო რეესტრში ვიდეოთვალის კადრების ჩვენებას, რომელსაც თურმე 6 თვეს ინახავენ, მაგრამ არავინ მაჩვენა.

ის კადრები რომ მომეპოვებინა, სიმართლის დამტკიცებას უფრო ადვილად შევძლებდი, მაგრამ ვერ მოვიპოვე, არ მაჩვენეს. გაუბედურებული და უსუსური ვიყავი. ეგ კი არა, ადვოკატის აყვანა რომ დავაპირე, გამომძიებელმა მითხრა, რად გინდათ ადვოკატი, თქვენს ინტერესებს ადვოკატ-

ზე უკეთესად დავიცავთო. თავიდან ეს დავიჯერე. ჩემი მეუღლე აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში იბრძოდა, შეიარაღებული ძალების ვეტერანი იყო, 2004 წელს გარდაიცვალა. მან 35 წელი ორგანოში იმუშავა და ვერ წარმომედგინა, რომ დამნაშავეს არ დასჯიდნენ“.

ვასილ ამონიშვილის დეიდისა და დედის განმარტებით, გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში დოგრაშვილების ოჯახში გაშლილი სუფრის თამადა ამბობს, რომ ვასილმა სუფრის იმ წევრს, რომელმაც თებერვალში მომხდარი გაუხსენა, ბოდიში მოუხადა, შემდეგ ერთი სადღეგრძელოს უფლება ითხოვა — სუფრის წევრები დალოცა, მოუბოდიშა — გტოვებთო და იქიდან საცოლესთან ერთად წამოვიდა.

„ერთადერთი სწორი ჩვენება თამადამ მისცა. დანარჩენების უმრავლესობა ორგანოს მუშაკები ან ორგანოს მუშაკების შვილები არიან და თურმე ყველა ადვოკატებით მიდიოდა და ასე აძლევდნენ ჩვენებებს — თითო სიტყვას ინიშნავდნენ, რომ ყველას ერთნაირად ეთქვა და ამ დროს მე სახლში ვიჯექი, ადვოკატი არ გჭირდებაო, მეუბნებოდნენ.

მეგი და ვასიკო სუფრიდან წამოვიდნენ და მეგის მანქანაში ჩასხდნენ, ძმები ბერძენიშვილები გამოჰყვნენ გინებითა და ჩხუბით. სააკაშვილის დაცვის წევრს ხელში ანთებული სიგარეტი ეჭირა და ცდილობდა, ვასიკოს სახეზე ჩაექრო, მაგრამ მეგიმ მინის აწევა მოასწრო და მანქანა დაძრა. მეგი ამბობს, ქალი ვარ და ამხელა შეურაცხყოფის მოთმენა გამიჭირდებოდა, მაგრამ ვასიკომ მოითმინა, წამოვიდა, მე სახლში დამტოვა და უკან ორ მეგობართან ერთად დაბრუნდა“, — ამბობს მოკლულის დეიდა.

ვასილ ამონიშვილმა საცოლე დაამშვიდა, არ იდარდო, მეგობრებთან ერთად წავალ და გავარკვევ, რა უნდოდა იმ ბიჭს ჩემგანო. მის ორ მეგობარს (სპორტის ორ სახეობაში მსოფლიო ჩემპიონებს, რომელთა გვარებს მოკლულის დედის თხოვნით არ ვასახელებთ) სთხოვა, მოსკოვის პროსპექტზე გაჰყოლოდნენ — ჩემს თანამშრომელს, დათოს ჩამოვიყვან და გავარკვევ, რა უნდოდა ამ ბიჭს; მეგისთან ერთად არ ველაპარაკეო.

რომ მივიდნენ, დავით დოგრაშვილი ორ ბიჭთან ერთად გვერდით სადარბაზოში იდგა. მანქანიდან მხოლოდ ვასიკო გადავიდა. „ჩამოიყვანე ის ბიჭი, რა უნდოდა, გავარკვიოთო, — უთქვამს დოგრაშვილისთვის, რომელიც ვასიკოს დამშვიდებას ცდილობდა. ზემოდან გადმოუხედავთ. ძმები ბერძენიშვილები გამოცვენილან. მათ უკან სუფრის დანარჩენი წევრებიც გამოჰყოლიან.

იქვე ყოფილა სააკაშვილის დაცვის წევრის ფეხმძიმე მეუღლე, რომელიც ბერძენიშვილების ეზოში ჩამოსვლამდე ვასიკოს ძმაკაცებს ეხვეწებოდა — თქვენი მეგობარი აქაურობას, იქნებ, გაარიდოთო. მის ქმარს თურმე პათოლოგიური სიმთვრალე ჰქონია (სიფხიზლეშიც არ აკლებს, ნახევრად გიჟია და ეს მთელმა კორპუსმა იცის) და ამიტომაც იხვეწებოდა — ვასიკო გაარიდეთო.

ჩემს შვილს ძმები ბერძენიშვილებიდან ერთ-ერთმა, სააკაშვილის მცველმა, რაღაც ჩაარტყა და ვასიკო გათიშული ძირს დაეცა, რომელსაც დავით დოგრაშვილის დედა და და გადაეფარნენ; იხვეწებოდნენ, გაჩერდითო, მაგრამ კი არ გაჩერდნენ, ეს ორი ქალი ააგლიჯეს და ნახევრად

მკვდარ ჩემს შვილს გავეშებულმა ხალხმა უმოწყალოდ სცემა. ამას მთელი კორპუსი უყურებდა. იმ სუფრის წევრებს, რომლებიც იქვე ცხოვრობენ, ვასიკოს ცემაში ეზოში მყოფებიც მიეხმარნენ.

„მოსკოვის პროსპექტზე ეგ ეზო საშინელებებითაა ცნობილი. ჩემი ვასიკოს 40-ზე იქ კიდევ მოკლეს ბიჭი, ოლონდ — იარაღით. ვასიკომ 5 დღე იცოცხლა, მაგრამ მხოლოდ სუნთქავდა, გონზე არ მოსულა. 17 ივნისს მიხეილის საავადმყოფოში დალია სული. პირველად იქვე, მოსკოვის პროსპექტზე, მეხუთე საავადმყოფოში მიიყვანეს.

მომხდარიდან დაახლოებით 2 საათში ჩემი შვილის ტელეფონიდან დოგრაშვილმა დამირეკა — ვასიკომ 8 ლიტრი ღვინო დალია, წაიქცა, თავი დაარტყა და ახლა საავადმყოფოშიაო. იქ ახალი მისულები ვიყავით, როცა სამხედრო ფორმაში გამოწყობილი 2 ბიჭი მოვიდა და იქ მყოფები (იმ ავადსახსენებელი სუფრის წევრები) დასაკითხად წაიყვანა, მაგრამ, როგორც ვიცი, პირველი ჩვენებები საქმიდან გამქრალია. მოგვიანებით ადვოკატი ავიყვანეთ, მაგრამ საქმის ასლის გადაღების ნება მაინც არ დაგვრთეს“, — ამბობს მოკლულის დედა.

**ვასილ ამონიშვილის დეიდის, გულსუნდა მიქაძის თქმით, მკვლელობიდან 4 თვე იყო გასული, როცა საჯარო რეესტრში ძმები ბერძენიშვილებიდან ერთ-ერთი, სააკაშვილის დაცვის წევრი, რაღაც საქმეზე მივიდა. მეგიმ იცნო — „ვაიმე, ვასიკო რომ მოკლა, ეს ის არისო“. ამის პასუხად ბერძენიშვილს უთქვამს — „თუ არ გაჩერდები, ვასიკოს გვერდზე მიგაწვენო“ და იქაურობას სწრაფად გასცლია.**

„ღირსებააყრილი ვარ, შვილო, დღეს აქ, ვაზაგაშვილებთან სწორედ ამან მომიყვანა. იქნებ, დამაკვალიანონ და დამეხმარონ. აქ ჩემსავით გამწარებული ოჯახები — გამცემლიძეები, რობაქიძეები, შარაძეები, შავაძეები იკრიბებიან და დამნაშავეების დასასჯელად ერთად იბრძვიან. ავისმზრახველი ცალ-ცალკე უფრო იოლად მოგვერევა და ერთად თუ დავდგებით და დამნაშავეების დასასჯელად ვიბრძოლებთ, სიმართლეს უფრო ადვილად დავამტკიცებთ. პირადად მე, სანამ ცოცხალი ვარ, გაჩერებას არ ვაპირებ. 2 თებერვალს სააკაშვილს განცხადებით მივმართე. ახლა თქვენი მედიასაშუალების მეშვეობით ვეკითხები:

„ბატონო პრეზიდენტო, რატომ მომიკლა შვილი თქვენი დაცვის წევრმა? თუ წყნეთში, ირინა ბათიაშვილის დაბადების დღის შემდეგ მომხდარი ინციდენტი, რომლის დროსაც ახალგაზრდა დაიჭრა, 3 თვეში გამოიძიეს და ლევან გოგიჩაიშვილს 7 წელი მიუსაჯეს, რატომ აჭიანურებენ წელიწადნახევარი მოსკოვის პროსპექტზე მომხდარი ინციდენტის გამოძიებას, რომლის დროსაც ჩემი შვილი მოკლეს?“ — სვამს კითხვას ვასილ ამონიშვილის დედა და იქვე დასძენს, რომ სანამ ეს ხელისუფლება ქვეყნის სათავეში იქნება, მკვლელის დასჯის იმედი არ აქვს.

ამასთან, გულნაზ ამონიშვილი ოპოზიციისა და სახალხო დამცველის აპარატის უყურადღებობით უკმაყოფილოა. იგი ამბობს, რომ სახალხო დამცველის ოფისში შვილის სიკვდილიდან რამდენიმე დღის შემდეგ მივი-

და. დახმარებისთვის მიმართა რესპუბლიკურ პარტიასაც, სადაც მას მოუსმინა უჩა ქირიამ, მიუსამძიმრა, მოუბოდიშა, მაგრამ უარით გამოისტუმრა — ვერაფრით დაგეხმარებითო.

მოკლულის დედა ამბობს, რომ კონსერვატორ კახა კუკავასაც შეხვდა, რომელიც დახმარებას დაჰპირდა — „აუცილებლად დაგეხმარებით, ეს საქმე გირგვლიანზე უარესიაო“ და იურისტ ბესო ღვინიაშვილს დაავალა, ამ ოჯახს დაეხმარეო, მაგრამ — ამაოდ. მელიქიშვილის გამზირზე, „ეროვნული ფორუმის“ ოფისში მოკლულის დედა იმ იმედით მივიდა, რომ გუბაზ სანიკიძეს შეხვდებოდა, მაგრამ იქ 2 უცნობი მამაკაცი დახვდა, რომელთაც განცხადება დაიტოვეს. მოკლულის დედა ამბობს, რომ მისმა განცხადებამ შესაძლოა, ვერც მიაღწია ადრესატამდე, ანუ გუბაზ სანიკიძემდე.

მოსკოვის პროსპექტზე მომხდარ სისხლიან ინციდენტთან დაკავშირებით ერთადერთი სტატია 2008 წლის 24-25 ივნისს გაზეთ „ალიაში“ გამოქვეყნდა, მაგრამ, როგორც მოკლულის დედა ამბობს, მაშინ სიმართლე ბოლომდე გარკვეული არ ჰქონდათ, შეშინებულებიც იყვნენ და ჟურნალისტს მხოლოდ ის უთხრეს, რომ ვასილ ამონიშვილის მკვლელობაში ძალოვნები მონაწილეობდნენ.

Presa.ge-მ მთავარი პროკურატურის პრესსამსახურს ვასილ ამონიშვილის საქმეზე კითხვები გაუგზავნა. ვიმედოვნებთ, რომ პასუხებს ისევე ოპერატიულად მოგვაწვდიან, როგორც ეს მოხდა წამებით მოკლული როინ შავაძის საქმესთან დაკავშირებით. ასევე მივმართავთ სახალხო დამცველის აპარატის ინფორმაციის სამმართველოს და დავინტერესდებით, რა დადგინეს მოკვლევის შედეგად. ამასთან, მასალაში ვასილ ამონიშვილის დედის მიერ დასახელებულ პირებს თუ გამოხმაურების სურვილი გაუჩნდებათ, მზად ვართ, შევხვდეთ და მოვუსმინოთ.

# თითქმის ჩადენილი დანაშაული, ანუ თითქმის სამართლიანი სასამართლო

**ივანე თამაზაშვილის სასამართლო საქმე არ გახმაურებულა პრესითა და ტელევიზიით, მას არ გამოუწვევია თანამოქალაქეთა განსაკუთრებული ინტერესი. მის ისტორიას არავინ აუღელვებია, რადგან პოლიციის სამმართველოს საკანში გატარებული რამდენიმე საათი, ხელკეტები, ცემა, სასამართლოს მიერ სამართალდამრღვევად სახელდახელოდ და კანონის დარღვევით გამოცხადება, შემდეგ კი ოთხასლარიანი ჯარიმა ჩვენი ყოველდღიურობის განუყოფელ ნაწილად იქცა, რომელშიც პოლიტიკურ ვნებათა ქაოსს სამართლებრივი ქაოსი ენაცვლება და პირიქით.**

## ჩვეულებრივი ისტორია

ივანე თამაზაშვილი სამართალდამცველებმა 2009 წლის 15 ივნისს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს შენობასთან გამართული საპროტესტო აქციის დარბევის, გნებავთ, „დაშლისას“ დააკავეს. თამაზაშვილი საქმიანი შეხვედრიდან შინ ბრუნდებოდა. კორნელი ჩალაძის ქუჩაზე ნაცნობი ქალბატონები შეხვდნენ. ერთ-ერთი მათგანი, ადვოკატი ცისმარ ონიანი პოლიციის სამმართველოში მიდიოდა თავისი დაცვის ქვეშ მყოფ პატიმართან შესახვედრად. თამაზაშვილმა მათი გაცილება გადაწყვიტა. ქალბატონები პოლიციის სამმართველოს შესასვლელამდე მიაცილა. ცისმარ ონიანი საშვს ელოდებოდა. თამაზაშვილი მის თანმხლებ ქალბატონს ესაუბრებოდა. სამმართველოსთან საპროტესტო აქცია მიმდინარეობდა. თამაზაშვილი აქციის მონაწილეებსაც გამოელაპარაკა, მათ შორის მისი მეგობრებიც იყვნენ. ამ დროს დაინახა, როგორ დაიძრა პოლიციის სამმართველოს მხრიდან არაადამიანური ყვირილითა და ყიჟინით ხელკეტებით შეიარაღებული შავფორმიან და ნიღბიან პოლიციელთა რაზმი. პოლიციელებმა აქციის მონაწილეები, ჟურნალისტები და გამვლელები სამი მხრიდან ალყაში მოაქციეს და ხელკეტები აამოქმედეს. თამაზაშვილი ხედავდა, როგორ სცემდნენ პოლიციელები აქციის მონაწილეებს, ქალებს, ჟურნალისტებს, ურტყამდნენ წაქცეულებს. პოლიციელის მიერ ნაცემი გოგონა წამოაყენა და უნდოდა, ჟურნალისტებსაც მიშველებოდა, როცა მას სკამის ფეხით შეიარაღებული პოლიციელი მივარდა და უღრიალა — შენ ხომ მელორ ვაჩნაძის მეგობარი ხარო. თამაზაშვილმა პოლიციელს ჰკითხა, რატომ იყო ეს უკანასკნელი სკამის ფეხით შეიარაღებული. პოლიციელმა მას სკამის ფეხი ზურგში ჩაარტყა. მერე სამი სხვა პოლიციელიც „მიეშველა“. თამაზაშვილს უმოწყალოდ სცემეს და პოლიციის სამმართველოში შეათრიეს. მან გონე-

ბა დაკარგა. ცნობიერება პოლიციის სამმართველოს ფოიეში დაუბრუნდა, ხელბორკილდადებულ სხვა დაკავებულებთან ერთად იატაკზე დაგდებულს (ოცდაათამდე კაცი) ისევ სცემეს ხელკეტებით. თამაზაშვილმა კვლავ დაკარგა გონება. ცნობიერება მეორედ უკვე საკანში დაუბრუნდა, სადაც რვა საათი დაჰყო. მორიგი გონზე მოსვლისას, ისევე, როგორც სხვა დაკავებულებს, ხელწერილის დაწერა უბრძანეს, ტექსტიც უკარნახეს. დაკავებულებს უნდა დაეწერათ, რომ ისინი არ დაემორჩილნენ პოლიციის მოთხოვნას. სამართალდამცველების მიერ ნაკარნახევ ხელწერილში არ იყო დაზუსტებული, კონკრეტულად პოლიციის რა მოთხოვნას არ დაემორჩილნენ დაკავებულები. საკნიდან ნაცემი სასამართლო დარბაზში წაიყვანეს. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობით არც სასამართლომდე დაინტერესებულა ვინმე, არც სასამართლოს სხდომაზე. არც დაკავებისას, არც საკანში ყოფნისას თამაზაშვილისთვის არ განუმარტავთ მისი უფლებები და დაკავების საფუძველი.

## ჩვეულებრივი სასამართლო

სასამართლო სხდომა გვიან საღამოს გაიმართა. თამაზაშვილის ადვოკატები საქმეს სასამართლო სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე გაეცნენ. მათ სასამართლომ ამისთვის ზუსტად 10 წუთი გამოუყო.

**სხდომა ხანმოკლე იყო. შედგა ოქმი. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე მირანდა ერემიძემ გამოიტანა დადგენილება, რომლითაც ივანე თამაზაშვილი ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნო საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით და სასჯელის ნორმად 400 ლარის ოდენობით ჯარიმა განუსაზღვრა.**

დადგენილების თანახმად, სასამართლომ განიხილა სამართალდარღვევის ოქმი და მასალები, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნია, რომ სამართალდარღვევის ფაქტი დადასტურებულია საქმეში არსებული მასალებითა და მტკიცებულებებით.

სასამართლომ ნამდვილად განიხილა სამართალდარღვევის ოქმი, მხარეთა ახსნა-განმარტებებიც მოისმინა, მაგრამ მასალებსა და მტკიცებულებებს ვერ განიხილავდა, რადგან ივანე თამაზაშვილის ბრალეულობის დამადასტურებელი საბუთები საქმეში, უბრალოდ, არ იყო და, შესაბამისად, არც სასამართლოზე ყოფილა წარმოდგენილი. თავად ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენი კი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს მე-3 განყოფილების ინსპექტორ-გამომძიებელი ავთანდილ ფოლადაშვილი დაკავებულმა და სამართალდამრღვევად ცნობილმა თამაზაშვილმა პირველად სასამართლოს სხდომაზე იხილა. არც დაკავებისას, არც პოლიციის სამმართველოში ყოფნისას მას არ უნახავს მისი დანაშაულის აღმნუსხველი, ოქმის შემდგენი, ინსპექტორ-გამომძიებელი ფოლადაშვილი. ადვოკატი ცისმარ ონიანი, ამ საქმის ერთადერთი მოწმეც, ადასტურებს, რომ ავთანდილ ფოლადაშვილი პოლიციის სამმართველოს წინ თამაზაშვილის დაკავებისას არ უნახავს, ანუ სამართალდარ-

ღვევის ოქმის შემდგენს სამართალდარღვევის ფაქტი არ უნახავს და არც გამოძიება ჩაუტარებია, რაზეც ნათლად მეტყველებს ის ფაქტი, რომ თამაზაშვილს ინსპექტორ-გამომძიებელი არ უნახავს; ამ უკანასკნელს არ დაუკითხავს დაკავებული.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე მუხლში ჩამოთვლილია ის მტკიცებულებები, რომელთა არსებობაც აუცილებელია სამართალდარღვევის ფაქტის დადგენისას: მოწმის ჩვენება, სამართალდარღვევის ფაქტის ამსახველი ფოტო ან ვიდეომასალა, ფაქტობრივი გარემოებების ამსახველი სხვა მასალები. თამაზაშვილის საქმეში კი არ არის წარმოდგენილი არც ერთი ასეთი მტკიცებულება, არ არსებობს მოწმე, რომელიც დაადასტურებდა, რომ ივანე თამაზაშვილს გადაკეტილი ჰქონდა გზის სავალი ნაწილი და რომ იგი „ბოროტად“ არ დაემორჩილა პოლიციელთა მოთხოვნას. თუმცა კი პოლიციის მთავარი სამმართველოს შესასვლელთან დამონტაჟებული კამერა აუცილებლად დააფიქსირებდა სამმართველოს შენობის წინ განვითარებულ მოვლენებს და, რა თქმა უნდა, ივანე თამაზაშვილსა და პოლიციელებს შორის გამართულ ინტერაქციასაც, რაც მყისიერად მოჰფენდა ნათელს თამაზაშვილის საქმეს, მაგრამ, დაცვის მხრის მოთხოვნის მიუხედავად, სასამართლოზე არ იქნა წარმოდგენილი.

**მოსამართლის განაჩენი კი ერთადერთ გარემოებას დაეფუძნა — ინსპექტორ-გამომძიებლის, ავთანდილ ფოლადაშვილის განცხადებას იმის შესახებ, რომ ივანე თამაზაშვილმა „თითქმის ჩაიდინა სამართალდარღვევა“. ივანე თამაზაშვილის ადვოკატმა კახა კოჟორიძემ სასამართლო პროცესზევე მიმართა სხდომის მდივანს თხოვნით, სასამართლო სხდომის ოქმში ზუსტად დაფიქსირებულიყო ივანე თამაზაშვილის წინააღმდეგ წაყენებული ერთადერთი ბრალდების ასეთი ფორმულირება, რაზეც მკაცრი პასუხი მიიღო მოსამართლისგან: ოქმი შედგება კანონის მოთხოვნათა დაცვით. ავთანდილ ფოლადაშვილის სიტყვები მასში დაფიქსირდება და ამასთან დაკავშირებით ზედმეტი მითითებები საჭირო არ არის. თუმცა ოქმის გამოთხოვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ბრალდების ის ფორმულირება, რომელმაც სასამართლო სხდომაზე არაერთი მოწმის თანდასწრებით გაიჟღერა, ოქმში არ იყო შეტანილი. თამაზაშვილის ადვოკატმა ოქმის შესწორება მოითხოვა. ოქმი შესწორდა, მაგრამ მასში მაინც არ დაფიქსირდა პირველადი ბრალდების ზუსტი ფორმულირება — „თითქმის ჩაიდინა სამართალდარღვევა“. მის ნაცვლად ოქმში ჩაიწერა ძირითადი ბრალდების ახალი, არანაკლებ აბსურდული ფორმულირება: „ივანე თამაზაშვილს თითქმის გადაკეტილი ჰქონდა გზა“. ზოგადად, ივანე თამაზაშვილის საქმეზე ოქმში დაფიქსირებული სასამართლო სხდომა თვალსაჩინო ნიმუშია იმისა, თუ როგორ უარყოფს სასამართლო თავის ფუნქციას და დანიშნულებას.**

სასამართლო პროცესზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენი მოახსენებს სასამართლოს, რომ მოქალაქე ივანე თამაზაშვილი 2009 წლის 15 ივნისს კორნელი ჩალაძის ქუჩის მიმდებარე ტე-

რიტორიაზე არ დაემორჩილა პოლიციის კანონიერ მოთხოვნას, გაეთავისუფლებინა გზის სავალი ნაწილი. მოსამართლე ითხოვს პოლიციის ბრძანების დაკონკრეტებას და სვამს კითხვას, ჰქონდა თუ არა ივანე თამაზაშვილს გზა გადაკეტილი. ინსპექტორ-გამომძიებელი პასუხობს, რომ პოლიციის მოთხოვნას შეადგენდა გზის სავალი ნაწილის გათავისუფლება, რომელიც ივანე თამაზაშვილს სხვა პირებთან ერთად თითქმის გადაკეტილი ჰქონდა (ოქმში ეს ფრაზა შეტანილია ივანე თამაზაშვილის ადვოკატის პროტესტის შედეგად ოქმის ჩასწორების შემდეგ). მოსამართლე არ ეკითხება ავთანდილ ფოლადაშვილს, ოქმის შემდგენს, ანუ მას არ აინტერესებს, რას ნიშნავს „თითქმის გადაკეტილი გზა“, სად იმყოფებოდა სამართალდამრღვევად მიჩნეული ივანე თამაზაშვილი მისდამი მოთხოვნის წაყენებისა და ბრძანებისადმი დაუმორჩილებლობის მომენტში, იდგა თუ არა იგი გზის სავალ ნაწილზე, ან ჰქონდა თუ არა გზა გადაკეტილი რაიმე ტექნიკური ან მექანიკური საშუალებით. მოსამართლე არ მოითხოვს ივანე თამაზაშვილის მიერ „გზის თითქმის გადაკეტვის“ დამადასტურებელ თუნდაც ერთ მტკიცებულებას, თუნდაც ყველაზე მარტივს — მოწმის ჩვენებას.

სამართალდამრღვევად მიჩნეული თამაზაშვილი კი, თავის მხრივ, სასამართლო პროცესზე აცხადებს, რომ მას გზა არ გადაუკეტავს, რადგან გზის სავალ ნაწილზე არ მდგარა. იგი იდგა პოლიციის სამმართველოს შენობის შესასვლელთან, ანუ გამვლელთა და პოლიციის სამმართველოში შემსვლელ-გამომსვლელთათვის განკუთვნილ ადგილზე, და იქვე დააკავეს. იგი ასევე აცხადებს, რომ პოლიციელთა მოთხოვნისათვის წინააღმდეგობა არ გაუწევია, რადგან პოლიციელებს მისგან არაფერი მოუთხოვიათ.

**იმავეს ადასტურებს მომხდარის შესახებ პროცესზე გამოცხადებული ერთადერთი მოწმე, ადვოკატი ცისმარ ონიანი: თამაზაშვილს პოლიციელებისათვის წინააღმდეგობა არ გაუწევია; მისთვის არავის არაფერი უბრძანებია, მისგან არავის არაფერი მოუთხოვია. თამაზაშვილს სამართალდარღვევა არ ჩაუდენია, შეხლა-შემოხლაში მოყოლილი ქალების დაცვას ცდილობდა და ითხოვდა, პოლიციელებს ჟურნალისტები არ ეცემათ. ცისმარ ონიანი შეძლებისდაგვარად უხსნიდა პოლიციელებს, რომ თამაზაშვილი მას ახლდა, სთხოვდა, არ დაერტყათ მისთვის. პოლიციელებმა თამაზაშვილს ისე სასტიკად სცემეს, რომ ცისმარ ონიანს აღარ ეგონა, თუ მას ცოცხალს ნახავდა. იგი პოლიციელებმა ფეხზე ვეღარ წამოაყენეს, ისე შეათრიეს პოლიციის სამმართველოს შენობაში.**

მოსამართლე მირანდა ერემიძეს სასამართლო პროცესზე არ დაუსვამს არც ერთი შეკითხვა არც მის მიერ შემდეგში ბრალდებულად ცნობილი ივანე თამაზაშვილისათვის, არც ერთადერთი მოწმისთვის. სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას კი არ გაუთვალისწინებია არც თამაზაშვილის და არც მისი მოწმის ჩვენებები, არც თამაზაშვილის დაცვის მიერ წარმოდ-

გენილი ვიდეომასალა, რომელშიც ასახულია, თუ როგორ უსწორდებიან პოლიციელები აქციის მონაწილეებს ყოველგვარი მოთხოვნის, ბრძანების ან მითითების გარეშე.

ივანე თამაზაშვილი აფხაზეთის ომის მონაწილეა. მას სკოლაც არ ჰქონდა დამთავრებული, თექვსმეტი წლისაც არ იყო, როცა აფხაზეთში საომრად წავიდა. მშობლებმა არასრულწლოვანი შვილი ორჯერ მოძებნეს, ორჯერ მოაბრუნეს ფრონტის ხაზიდან. ორჯერვე ისევ გაეპარათ. ბოლოს მიხვდნენ საკუთარი მცდელობის უნაყოფობას და შვილისთვის წინააღმდეგობა აღარ გაუწევიათ. ივანე თამაზაშვილი თბილისში სოხუმის დაცემის შემდეგ დაბრუნდა. სკოლაც შემდეგ დაამთავრა და უმაღლესი სასწავლებელიც. პროფესიით ქიმიკოსია.

## რიგითი სამართალდარღვევა

**ივანე თამაზაშვილი სასამართლომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენაში დაადანაშაულა, ანუ „სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს სამართალდამცავ ორგანოთა მუშაკების კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი ბოროტად დაუმორჩილებლობაში“. ამ მუხლის თანახმად, იმისათვის, რომ ესა თუ ის პირი სამართალდამრღვევად იყოს ცნობილი, სახეზე უნდა იყოს ორი ფაქტობრივი გარემოების ერთდროულად დადასტურება: სამართალდამცველების კანონიერი განკარგულების არსებობა და ამ განკარგულებისადმი „ბოროტად“ დაუმორჩილებლობა. სასამართლოს სწორედ ამ ორი ფაქტორის არსებობა უნდა დაედგინა. სამართალდამცველთა მოთხოვნის კანონიერების დადგენა იმთავითვე გამორიცხული იყო, რადგან საქართველოს კანონი „შეკრებებისა და მანიფესტაციის შესახებ“ უფლებას აძლევს მოქალაქეებს, შეიკრიბონ ქუჩაში, საჯაროდ, თუნდაც, პოლიციის სამმართველოს შენობის წინ. სამართალდამცველებს კი არ აქვთ უფლება, ხელი შეუშალონ მოქალაქეთა მშვიდობიან შეკრებას და გასცენ თავყრილობის „დაშლის“ განკარგულება. რაც შეეხება „ბოროტად დაუმორჩილებლობას“, მოსამართლე მირანდა ერემიძის მიერ გამოტანილ სასამართლოს დადგენილებაში გაკვრითაც კი არ არის ნათქვამი, რომ ივანე თამაზაშვილი ბოროტად არ დაემორჩილა პოლიციის მოთხოვნას. არადა, სასკ-ის 173-ე მუხლით მხოლოდ „ბოროტი დაუმორჩილებლობა“ ითვლება დასჯად ქმედებად და არა, ზოგადად, დაუმორჩილებლობა. სრულიად გაუგებარია, როგორ ცნო სასამართლომ სამართალდამრღვევად ივანე თამაზაშვილი სასკ-ის 173-ე მუხლით, ან როგორ უნდა დამორჩილებოდა იგი პოლიციელთა ბრძანებას, როცა ამ უკანასკნელთ მისთვის არაფერი უბრძანებიათ.**

რატომ არაფრად ჩააგდო მოსამართლე მირანდა ერემიძემ სამართალდამცველთა მიერ საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლისა და ადა-

მიანის უფლებების ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის დარღვევა, რომელთა თანახმადაც, დაკავებულს დაუყოვნებლივ უნდა განმარტებოდა მისი უფლებები, დაკავების საფუძველი და მისთვის წაყენებული ბრალდება. რატომ გააჩერეს ივანე თამაზაშვილი საკანში 8 საათს, როცა, სასკ-ის 247-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის დაკავება არ შეიძლება 3 საათზე მეტ ხანს გაგრძელდეს? ვინ და როდის უნდა აგოს პასუხი ამ სამართალდარღვევებზე და, საერთოდ, საჭირო და სავალდებულოა თუ არა, რომ სამართალდამცველებს მათ მიერ ჩადენილ სამართალდარღვევაზე პასუხი მოეთხოვოთ?

საქართველოს კანონმდებლობა მოსამართლეს სრულ თავისუფლებას ანიჭებს, თავად განსაჯოს, რამდენი და რა სახის მტკიცებულებაა საჭირო და საკმარისი იმისთვის, რომ ესა თუ ის მოქალაქე სამართალდამრღვევად ცნოს, ანუ კანონი ნდობას უცხადებს მოსამართლეს, მის წესიერებასა და კომპეტენციას. თამაზაშვილის საქმე ერთ-ერთია იმ მრავალთაგან, რომელთა გაცნობის შედეგად ეჭვქვეშ დგება ასეთი ნდობის მიზანშეწონილობა.

# მინისტრი დახმარების თხოვნით შესულ დევნილს ემუქრებოდა — კედელზე ტვინს მიგასხმევინებო

**დევნილებს უჭირთ და მათ მუდმივად „ეხმარებიან“, თუმცა ეს დახმარება რომ უშედეგოა, იქიდანაც ჩანს, რომ მუდმივად ყველგან უჭირთ. ეს დახმარება ხშირად ბუტაფორიულია და, დევნილებისავე მტკიცებით, ტელეპიარის ნაწილია. თქმა არ უნდა იმასაც, რომ ასეთი შემთხვევები მათთვის დიდად შეურაცხმყოფელია. „ადამიანის უფლებათა ცენტრს“ სულ ახლახან რამდენიმე დევნილი ეწვია. მათ გვთხოვეს, დავინტერესებულიყავით მათი ყოფით და ჩვენც ყოფილი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის («ЗАКВО») შტაბის შენობაში ჩასახლებულ დევნილებს ვეწვიეთ.**

პური, მაკარონი და ლობიო, 600 გრ შაქარი და 150 გრ მარილი ერთ სულზე — ეს დევნილების საკვები რაციონია, რითაც მათ თვიდან თვემდე უწევთ თავის გატანა.

შეკითხვაზე, თუ რამდენად ჰყოფნით მათ მიღებული დახმარება, შავებში ჩაცმულ ქალბატონს, შენობის წინ მჯდომარეს, ეღიმება და ხმამაღლა ფიქრობს: „600 გრამი შაქარი თვეში... ანუ დღეში 50 გრამიც არ უნდა დავხარჯოთ, არ გვყოფნის, მაგრამ მეტს არ გვაძლევენ“.

საკვების ნაკლებობასთან ერთად, დევნილებს სხვა პრობლემებიც მრავლად აქვთ. ისინი ხელისუფლებისგან იმ დაპირებული დახმარებების მიღებას ელიან, რაც თითქმის ყოველდღიურად ესმით ტელეეთერიდან. ეკრანის მიღმა რეალობა საბჭოური დროის ტელევიზორივით შავ-თეთრია და არა — ფერადი.

ყოფილი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის შენობაში მცხოვრებმა დევნილებმა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს განცხადებით მიმართეს. ისინი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას მოითხოვენ. კერძოდ, შენობაში სველი წერტილების მოწესრიგებას, საწოლებს, თეთრეულითა და ჰიგიენური საშუალებებით (საპონი, სარეცხი ფხვნილი და ა.შ.) მომარაგებას. შეტანილ განცხადებაზე პასუხს დევნილები უკვე თვეზე მეტია, ამაოდ ელიან.

„დაგვიბარებენ ორშაბათს. ორშაბათს მისულებს — კვირის ბოლოს და შემდეგ ისევ ორშაბათს. ჩვენ არ ვითხოვთ იმას, რაც არ გვეკუთვნის, აქ მცხოვრები ხალხისთვის საწოლები რომ გამოიყო, ამის შესახებ სამინისტროდან პირადად ელენა რუხაიამ (კოლექტიური ცენტრის ადმინისტრატორი) გვაცნობა. 4 თვის წინათ შენობასთან საწოლებით დატვირთული მანქანა მართლაც გაჩერდა. ის ყველამ დავინახეთ, მძღოლმა საბარგულის კარიც კი გამოაღო, მაგრამ სულ მალე მანქანის კარი ისევ დაკეტეს და წავიდნენ. საწოლებიც თან წაიღეს. მას შემდეგ შეუწყვეტლად ვითხოვთ სა-

წოლებს, მაგრამ პასუხის ღირსიც არ გაგვხადეს“, — მოგვითხრობს დევნილი მერაბ კასრაძე. მისი შვილები მამის მიერ გაკეთებულ საწოლზე თავსდებიან. მერაბმა იგი დაშლილი კარადისა და ძველი კარისგან გააკეთა, რაც საკმაოდ მოუხერხებელია.

ოთახის დათვალიერების შემდეგ სველი წერტილების სანახავად ჭერჩამონგრეული დიდი ბნელი დერეფანი გავიარეთ. როგორც ჩანს, აქ შენობაშიც ხშირად წვიმს. დერეფნის ერთ ნაწილში ტუალეტები გაუქმებულია, შესვლა — შეუძლებელი, დამტვრეულ უნიტაზებსა და ჩამოშლილ ნიჟარებს საშინელი სუნი ასდის. დერეფნის ბოლოს ის სველი წერტილებია, რომლებიც ფუნქციონირებს, უფრო სწორად, რომლებითაც დევნილები სარგებლობენ.

სისუფთავის მხრივ აქ შედარებით უკეთესი სიტუაციაა, თუმცა კედლებიდან და ჭერიდან ჩამოყრილი ბათქაში იმაზე მეტყველებს, რომ წვიმა და ქარი შენობის ამ ნაწილშიც მშვენივრად აღწევს. სააბაზანოსთვის განკუთვნილ ოთახებში ონკანები დამონტაჟებულია. „ზაკვოს“ ბინადართა თქმით, 4 თვის წინ შეაკეთეს და „ატმორსაც“ დაჰპირდნენ.

„გამაცხელებლები მართლაც მოიტანეს და ჩვენთან, სარდაფში რამდენიმე დღე ეწყო. მერე უკანვე წაიღეს. ასე დავრჩით თბილი წყლის გარეშე“, — ამბობს მერაბ კასრაძე.

იქ შესახლებულთა ვარაუდით, შენობა გაყიდულია და ხელისუფლება სპეციალურად ამყოფებს მათ აუტანელ პირობებში, რომ შენობა თავად დატოვონ. „მათ უნდათ, ისეთი პირობები შეგვიქმნან, რომ ნებისმიერ შეთავაზებაზე დავთანხმდეთ. ამაზე უარესი რა უნდა იყოს. როცა გარეთ წვიმს, ჩვენც გვაწვიმს, ნორმალური საპირფარეშო არ გვაქვს, როგორ საწოლებზე ვაძინებთ ბავშვებს, თავად ნახეთ... ხელისუფლებას დავთანხმდით კიდეც, რომ შენობას დავცლიდით, თვითონ შემოგვთავაზეს თითო ოჯახზე 10 000 დოლარი, — გვეუბნება ნოდარ ჯოხაძე, — ჯერ 15 ათას დოლარს ვითხოვდით, რადგან შეუძლებელია ათი ათას დოლარად ბინის ყიდვა და ოჯახისთვის აუცილებელი ინვენტარის შეძენა. ჩვენ ეს კარგად ვიცით, მაგრამ სხვა გზა არ გვქონდა და შემოთავაზებულ თანხას დავთანხმდით. ახლა ამბობენ, რომ ამ თანხის გადახდაც არ შეუძლიათ“.

**თანხების საკითხის გასარკვევად ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში მისულ დევნილებს მინისტრი კეთილგანწყობით როდი შეხვდა. დევნილ თამაზ გუჯეჯიანის თქმით, ის ძველი ბიჭივით ლაპარაკობდა და დევნილთაგან ერთ-ერთ მამაკაცს კიდეც დაემუქრა — ენა გააჩუმე, თორემ კედელზე ტვინს მიგასხმევინებო.**

300-მდე დევნილის დახმარებები გაზაფხულის თოვლივით ქრება. ამის შესახებ მწარე ხუმრობით გვეუბნებიან „ზაკვოს“ ბინადარნი.

ზემოაღნიშნული ინფორმაციის შესამოწმებლად დევნილთა და განსახლების სამინისტროს მივმართეთ. გვინდოდა, გაგვერკვია, რას ფიქრობდნენ სამინისტროს მესვეურნი დევნილთა საჭირბოროტო საკითხებზე. თუმცა იქ მიზიდულ და მერე უკანვე წამოღებულ საწოლებსა თუ წყლის გამაცხელებლებზე სამინისტროს წარმომადგენლებმა ჩვენთან საუბარი არ ისურვეს და ყოველგვარი კომენტარისგან თავი შეიკავეს.

# „თუ არ გახვალთ, სპეცრაზმით გაგათრევთ“

**კომპაქტურად ჩასახლებულ აფხაზეთიდან დევნილებს იმ შენობებიდან ასახლებენ, სადაც მათ 16 წელი იცხოვრეს. იძულებით გადაადგილებული პირების პროტესტის მიუხედავად, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი კობა სუბელიანი აცხადებს, რომ დევნილთა განსახლება მათთვის საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად ხდება, რისთვისაც 2009 წლის ბიუჯეტში 138 მილიონი ლარია გათვალისწინებული. მინისტრის თქმით, გადაწყვეტილება არ შეიცვლება და აფხაზეთიდან დევნილთა განსახლების პროცესი 2009-2010 წლებში დასრულდება.**

კანონმდებლობით, იძულებით გადაადგილებულ პირებთან არავითარი კავშირი არ უნდა ჰქონდეს კონტროლის პალატას, მაგრამ, როგორც აფხაზეთიდან დევნილები ირწმუნებიან, მათი განსახლების პროცესს კახეთში სწორედ კონტროლის პალატის თავმჯდომარე ლევან ბეჟაშვილი და ადმინისტრაციის უფროსი გიორგი ბოტკოველი კურირებენ.

თელავში, ლაგოდეხსა და გურჯაანში კომპაქტურად მცხოვრები დევნილები უკვე გააფრთხილეს, რომ შენობების დაცლა რამდენიმე კვირაში მოუწევთ.

**ელისო ჭედია**, აფხაზეთიდან დევნილი: — გურჯაანში 1992 წელს ჩამოგვიყვანეს და დროებითი თავშესაფარი კურორტ ახტალის ტერიტორიაზე, ყოფილი სანატორიუმის შენობაში მოგვცეს. 16 წელია, საშინელ პირობებში ვცხოვრობთ და ყურადღებას არავინ გვაქცევს. მხოლოდ დევნილის დახმარებას ვიღებთ, თვეში 22 ლარს. ეს თანხა იმდენად ცოტაა, რომ არაფერში გვყოფნის. ზოგიერთი ჩვენგანი გურჯაანის აგრარულ ბაზარში ვაჭრობს, ბევრი ფიზიკურად მუშაობს დღიურ ანაზღაურებაზე. წლების განმავლობაში რთულ სოციალურ პირობებსაც შევეგუეთ. ცოტა ხნის წინათ კი გვითხრეს, სოფელ ბაკურციხეში ყოფილი პროფტექნიკუმის შენობაში სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს და საცხოვრებლად იქ უნდა გადახვიდეთო, რაზედაც უარი ვთქვით. ჩვენი განსახლების პროცესს კონტროლის პალატის თავმჯდომარე ლევან ბეჟაშვილი და მისი თანამშრომელი, კონტროლის პალატის ადმინისტრაციის უფროსი გიორგი ბოტკოველი კურირებენ. მათ არაერთხელ ავუხსენით, რომ ბაკურციხეში გადასვლის შემთხვევაში საერთოდ ულუკმაპუროდ დავრჩებოდით. დევნილის დახმარება და მცირეოდენი ხელფასი გზაში არ გვეყოფა, ყოველდღე ბაკურციხიდან გურჯაანში რომ ვიაროთ.

**ამირან ანჯაფარიძე**, აფხაზეთიდან დევნილი: — ლევან ბეჟაშვილი ჩვენთან პირველად ორი თვის წინათ მოვიდა. გვითხრა, ყოველგვარი წინააღმდეგობისა და თხოვნის გარეშე უნდა გახვიდეთო. საცხოვრებლად ბაკურციხეში გადასვლაზე მაშინვე უარი ვთქვით. ბეჟაშვილს ვთხოვეთ, თავშესაფარი გურჯაანში მოეცათ. კონკრეტული შენობებიც მივუთითეთ,

უპატრონოდ მიგდებული, რომლებიც მოუვლელობისგან ზიანდება, მაგრამ ამაზეც უარი მივიღეთ. მერე ისიც ვთხოვეთ, სარემონტო თანხები ჩვენთვის მოეცათ კომპენსაციის სახით და ქალაქის ტერიტორიაზე ბინებს თვითონ შევიძენდით, მაგრამ არც ამაზე დაგვთანხმდნენ. პირადად მე პედაგოგად ვმუშაობ და ჩემი შრომითი ანაზღაურება თვეში 100 ლარს შეადგენს. ასეთი ხელფასის პირობებში როგორ უნდა ვიმგზავრო ყოველდღე ბაკურციხიდან გურჯაანში? არსებობაც ხომ მინდა?

კახეთის გუბერნატორსაც შევხვდით, მაგრამ — უშედეგოდ. გვითხრა, კურორტის ტერიტორიიდან უნდა გახვიდეთო. ვიღას მივმართოთ, არ ვიცით.

**— ბატონო ამირან, გამგეობიდან მოგვაწოდეს ინფორმაცია, რომ ახტალის ტერიტორიაზე მცხოვრებ აფხაზეთიდან დევნილთაგან უმრავლესობას ქალაქში საკუთარი სახლები აქვს.**

— უმეტესობას კი არა, ორ თუ სამ ოჯახს აქვს საკუთარი სახლი, მაგრამ ვისაც არ გვაქვს, რა ვქნათ? გვეუბნებიან — კურორტის ტერიტორია სახელმწიფო საკუთრებაა და იქ ვერ დარჩებითო, ჩვენი საცხოვრებელი შენობების ნაწილი უკვე კერძო პირებზეა გაყიდული და ამასაც გვატყუებენ.

**თინა გასვიანი**, აფხაზეთიდან დევნილი: — ჩვენს გასახლებებს ბოლო არ აქვს. ჩვენც ხომ ადამიანები ვართ? კომპენსაციას იმდენს მოვითხოვთ, რომ გურჯაანში ერთოთახიანი ბინის ყიდვა შევძლოთ. ამაზე მეტს არ დახარჯავენ ბაკურციხეში რემონტზე? სამუშაოების დასრულებიდან ორ თვეში ყველაფერი დაინგრევა. ნებით არ გავალთ. საპროტესტო აქციებსაც გავმართავთ. ფეხით ჩავალთ თბილისში და პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან შიმშილობას დავიწყებთ.

**თამარ ნერგაძე**, აფხაზეთიდან დევნილი: — კონტროლის პალატის ადმინისტრაციის უფროსი გიორგი ბოტკოველი დაგვემუქრა, თქვენი აქედან გასახლება პრეზიდენტის დავალებაა და თუ არ გახვალთ, ძალით, სპეცრაზმით გაგათრევთ, ისე, როგორც თელავის ყოფილი სასტუმროდან გამოვყარეთ დევნილებიო.

## კონტროლის პალატის ადმინისტრაციის უფროსს დაშინებაში მხოლოდ გურჯაანში მცხოვრები აფხაზეთიდან დევნილები არ ადანაშაულებენ

„ხელისუფლებამ თელავის ტურბაზის შენობის დაცლის ნაცვლად ალტერნატიული ფართი ქალაქგარეთ შემოგვთავაზა, რაზედაც უარი ვთქვით. ჩვენ ერთხელ უკვე დაგვაწიოკეს და გაგვყარეს საკუთარი სახლებიდან, იგივეს იმეორებენ ამჯერადაც. მეორედ გვდევნიან.

ისე დაიწყეს შენობის რემონტი, რომ არავის არაფერი გვკითხეს. ჩვენს გასახლებასაც კონტროლის პალატა ხელმძღვანელობს. გიორგი ბოტკოველი დაგვემუქრა კიდეც, თუ ნებით არ გახვალთ, საერთოდ ღია ცის ქვეშ დარჩებითო. ტყვიას დავუდგებით წინ და აქედან ცოცხლებს ვერ გაგვიყვანენ“, — აცხადებენ თელავში მცხოვრები აფხაზეთიდან დევნილები.

დღეისათვის გურჯაანში, კურორტ ახტალის ტერიტორიაზე 47 ოჯახი ცხოვრობს. თელავის ყოფილი ტურბაზის შენობაში აფხაზეთიდან დევნილი 37 ოჯახია ჩასახლებული, ლაგოდეხის პროფტექნიკუმის ყოფილ შენობაში კი 4 ოჯახი ცხოვრობს.

იძულებით გადაადგილებული პირების პროტესტის მიუხედავად, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი კობა სუბელიანი აცხადებს, რომ აფხაზეთიდან დევნილთა განსახლების პროცესი 2009-2010 წლებში დასრულდება. „აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად 2009 წლის ბიუჯეტში 138 მილიონი ლარია გათვალისწინებული. სწორედ ამ თანხებით ტარდება სარეაბილიტაციო სამუშაოები შენობებში, სადაც დევნილებს ფართები საკუთრებაში გადაეცემათ, ხოლო ქირით და ნათესავებთან მცხოვრებთათვის კოტეჯები აშენდება და შენობები გარემონტდება. გადაწყვეტილება მიღებულია და ცვლილებები არ იგეგმება“, — განაცხადა სუბელიანმა.

# სახალხო დამცველი ახალაიას წინააღმდეგ

სოზარ სუბარი

ბაჩანა ახალაია

„ნასვამ მდგომარეობაში იყო. დარტყმის შემდეგ ავალიანს პირში „სტეჩკინის“ მარკის პისტოლეტი ჩაუდო და მოკვლით დაემუქრა. შემდეგ მიუთითა სპეცრაზმს, მისთვის ჭკუა ესწავლებინა. ავალიანს ოთახში მყოფი ნიღბიანები მისცვივდნენ და თავის არეში რეზინის ხელკეტებით ცემა დაუწყეს...“ — ასეა აღწერილი სახალხო დამცველის 2008 წლის ანგარიშში ბაჩო ახალაიას მიერ პატიმარ გიორგი ავალიანის ცემის ფაქტი. სახალხო დამცველი ახალაიას ბრალს პატიმრებზე ძალადობის არაერთ ფაქტსა თუ 2006 წლის 27 მარტის „ორთაჭალის ციხის ბუნტის“ ინსპირირებაში სდებს. აქვე საუბარია ბაჩო ახალაიასა და მისი მოადგილეების მონაწილეობაზე ქიბარ ხალვაშის წინააღმდეგ წარმოებულ კამპანიაშიც.

ხელისუფლება, როგორც ჩანს, თეორიულადაც არ განიხილავს ახალაიას სავარაუდო ბრალეულობის საკითხს.

**2009 წლის 27 აგვისტოს ბაჩო ახალაია, რომელიც აქამდე თავდაცვის მინისტრის მოადგილის თანამდებობას იკავებდა, დააწინაურეს და თავდაცვის მინისტრად დანიშნეს.**

## „მკაცრი ხელი“ თუ დამნაშავე

უშიშროების საბჭოს სხდომაზე საქართველოს პრეზიდენტმა ბაჩო ახალაიას დანიშვნა რამდენიმე მოტივით ახსნა. მთავარ მოტივად მისი მართვის მკაცრი და, ამდენად, ეფექტური სტილი დაასახელა: **„ბევრად მეტია გასაკეთებელი და ბევრად უფრო მკაცრი ხელია საჭირო ამ უწყებაში“,** — სააკაშვილის ეს გადაწყვეტილება და ციტირებული სიტყვები ხელისუფლების ოპონენტებმა ხელისუფლების ცინიზმის კიდევ ერთ გამოვლინებად შეაფასეს. ოპოზიციის წარმომადგენლებმა ახალაიას მთავრობის „ყველაზე დისკრედიტებული მინისტრი“ უწოდეს. რასაც საზოგადოების ოპოზიციურად განწყობილი ნაწილი ახალაიას დამნაშავეობის დამადასტურე-

ბელ არგუმენტად მიიჩნევს, პრეზიდენტი ღირსებად აფასებს. „დღეს ჩვენს ციხეს აღარ მართავს კანონიერი ქურდი და დღეს დანაშაული აღარ იმართება ციხიდან. აი, ამ კაცმა გააკეთა ეს. მე ვიყავი იუსტიციის მინისტრი და ეს ვერ გავაკეთე, მან კი ეს ძალიან მკაცრი ზომების გატარების ხარჯზე განახორციელა“, — განაცხადა პრეზიდენტმა, თუმცა ის არაფერს ამბობს იმაზე, რომ „ძალიან მკაცრი ზომების“ გატარებას 2006 წლის 27 მარტს 7 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

სახალხო დამცველის აზრით, „კანონიერი ქურდების“ ინსტიტუტის განადგურება მართლაც ახალაიას დამსახურებაა, თუმცა ამ შედეგს მან კანონის სრული უგულებელყოფით მიაღწია, რაზედაც პასუხი უნდა აგოს. „2005 წლის დეკემბრის ბოლოს, როდესაც ახალაიას დეპარტამენტის ხელმძღვანელობა შესთავაზეს, ძალიან გამიხარდა და ვთქვი კიდეც პარლამენტში, აი, ახლა გამოჩნდება, არის თუ არა ციხეების სხვანაირად მართვა შესაძლებელი. იმედი მქონდა, რომ ის ამას შეძლებდა და მართლაც შეძლო, დაანგრია სისტემა, რომელიც დასანგრევი იყო, მაგრამ არანაირად არ ვამართლებ იმ მეთოდებს, რაც მან ამ სისტემის დემონტაჟისთვის გამოიყენა. ციხეებში დაიწყო პატიმრების უსასტიკესი ცემა, მათი უფლებების დარღვევა, რეჟიმის არანორმალური გამკაცრება, ნარკოტიკისა და იარაღის ჩადება ზოგ შემთხვევებში იმ პატიმრებისთვის, რომლებსაც პატიმრობის ვადა უმთავრდებოდათ და გარეთ უნდა გამოსულიყვნენ. რასაც ამ მხრივ აკეთებდა ბაჩო ახალაია, იყო დანაშაული და ადამიანის უფლებების უგულებელყოფა. „კანონიერი ქურდების“ ინსტიტუტი კი მოისპო, მაგრამ კანონს ვინ დაარღვევს და ვინ მოიქცევა, როგორც „კანონიერი ქურდი“, ამას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს“, — აცხადებს სახალხო დამცველი.

## პირველი არგუმენტი ახალაიას წინააღმდეგ — ციხის ბუნტის ინსპირირება

2006 წლის 27 მარტის ციხის ბუნტი პირველი არგუმენტია ახალაიას წინააღმდეგ.

**გამოძიების მასალებიდან ირკვევა, რომ ციხეში ბუნტის დაწყების საფრთხე ახალაიასთვის, სულ მცირე, ორი დღით ადრე იყო ცნობილი. უსაფრთხოების სამსახურის უფროსის, დავით ჭკადუას 2006 წლის 25 მარტის პატაკის მიხედვით, ირკვევა, რომ ხელისუფლებას ჰქონდა ინფორმაცია საპყრობილეში მასობრივი არეულობის დაწყების საფრთხის თაობაზე. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ აღნიშნული საკითხი განიხილა და მიიღო გადაწყვეტილება, რომ მასობრივი არეულობის თავიდან აცილების მიზნით, სამკურნალო დაწესებულებაში მყოფი კანონიერი ქურდები და კრიმინალური ავტორიტეტები №7 საპყრობილეში გადაეყვანათ.**

გართულების თავიდან ასაცილებლად, სამართალდამცველებმა პატიმრების გადაყვანა ღამით გადაწყვიტეს. 27 მარტს ბაჩო ახალაია სამკურნალო დაწესებულების ტერიტორიაზე რამდენიმე თანმხლებ პირთან ერთად მივიდა. მოსალოდნელის აღკვეთისა და არეულობის ორგანიზატო-

რების (მალხაზ ზედელაშვილი, პლატონ მამარდაშვილი, ნიკოლოზ მახარაძე, გიორგი ავალიანი, ზურაბ ვიბლიანი, ლევან ცინდელიანი) იზოლირების მიზნით, მან საპყრობილიდან პატიმრების გამოყვანა დაიწყო.

„ეს პროცესი იმდენად ხმაურიანად წარიმართა, რომ არა თუ მოსალოდნელი არეულობა აღკვეთა, პირიქით, უფრო დააჩქარა და თუ გამოძიების ვერსიას გავიზიარებთ, ბაჩო ახალაიას მიერ დაწყებულმა პროცესმა ხელი შეუწყო ბუნტის ორგანიზატორებს არეულობის მოხდენაში, ანუ ბაჩო ახალაიამ დააჩქარა პროცესი“, — აღნიშნავს სახალხო დამცველი.

სახალხო დამცველის მიერ ჩატარებული გამოძიების მიხედვით, საეჭვოა, ნამდვილად დაიწყო თუ არა წინასწარი გამოძიება 25 მარტს? „ეჭვის საფუძველს იძლევა ბაჩო ახალაიას სახელზე დ. ჭკადუას, ა.ხუხუას და მ.სინაურიძის მიერ დაწერილი საიდუმლო ოპერატიული პატაკები. არც ერთ პატაკზე არ არის რეგისტრაციის ნომერი, შტამპი თუ სხვა აღნიშვნა, რომლებიც დაადასტურებდა პატაკთა სინამდვილეს“.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის 2006 წლის 13 აპრილის დადგენილებით, ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემულ იქნენ მალხაზ ზედელაშვილი, გიორგი ავალიანი, ნიკოლოზ მახარაძე, პლატონ მამარდაშვილი, ზურაბ ვიბლიანი და ლევან ცინდელიანი. მათ ბრალი სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობასა და ამ დაწესებულების საქმიანობის დეზორგანიზაციაში დაედოთ. მათ, ასევე, ბრალი წაუყენეს სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციაზე თავდასხმასა და ამავე მიზნით დანაშაულებრივი დაჯგუფების შექმნაში.

ჩამოთვლილთაგან არც ერთს თავი დამნაშავედ არ უცვნია. სახალხო დამცველი ყურადღებას ამახვილებს ერთ-ერთი ბრალდებულის, პლატონ მამარდაშვილის ჩვენებაზე, საიდანაც ირკვევა, რომ ის „2006 წლის 26 მარტს იმყოფებოდა თავის საკანში მალხაზ ზედელაშვილთან და წინა დღით მოსულ ნიკოლოზ მახარაძესთან ერთად, რომელსაც საერთოდ არ იცნობდა. ღამით მორიგემ გაიყვანა დირექტორის კაბინეტში, სადაც დახვდა ბაჩო ახალაია, №7 საპყრობილის დირექტორი მეგის ქარდავა და კიდევ 15 ადამიანი, აქედან 5 იყო ნიღბიანი, ყველანი იყვნენ ავტომატური იარაღით შეიარაღებულები, ოთახში შემოიყვანეს ვიბლიანი და ავალიანი. ამ დროს მეგის ქარდავამ პლატონ მამარდაშვილს მაკრატლით ამოაჭრა ერთი ბღუჯა თმა და ჩაუდო ჯიბეში, როდესაც პლატონ მამარდაშვილი შეეპასუხა, გეყოფა ამდენი დამცირებაო, იქვე მდგომმა ნიღბიანმა სახის არეში დაარტყა რკინიანი ხელი, რა დროსაც მოსტყდა კბილი და ცხვირპირიდან წამოუვიდა სისხლი. დაინახა, რომ ხელკეტებს ურტყამდნენ ვიბლიანსაც და ავალიანსაც... დერეფანში აიძულეს, ჩაკუზულიყო და ამ მდგომარეობაში მყოფს დაახლოებით 10 წუთს ურტყამდნენ ხელკეტებს. შემდეგ ლ. ცინდელიანთან ერთად გაიყვანეს ეზოში, სადაც მიწაზე ეყარნენ ვიბლიანი და ავალიანი. იქაც გააგრძელეს ცემა, რა დროსაც გაიგო პატიმრების ხმა, რომლებიც მოუწოდებდნენ, შეეწყვიტათ ცემა. შემდეგ ოთხივენი გადაიყვანეს №7 საპყრობილეში, სადაც საერთოდ გააშიშვლეს და გააგრძელეს ცემა, რის შემდეგაც შიშვლები შეყარეს საკანში. პლატონ მამარდაშვილი უარყოფს ვინმესთან

ბუნტსა და არეულობაზე საუბარს, აცხადებს, რომ არც არავისთვის გაუწევია წინააღმდეგობა და არც დაუმორჩილებლობისაკენ მოუწოდებია. მისი აზრით, არეულობის და ხმაურის დაწყების მიზეზი გახდა პატიმრების ცემის ფაქტი სამკურნალო დაწესებულების ეზოში“.

ანალოგიური სახის ჩვენებები აქვთ მიცემული დანარჩენ ბრალდებულებსაც. სახალხო დამცველის ანგარიშის თანახმად, ბაჩო ახალაიას ბრალეულობას ამტკიცებს ის ფაქტიც, რომ ყველა ჩვენება ზედმიწევნით ზუსტად ემთხვევა ერთმანეთს და მისი დანაშაული ცალსახაა — იკვეთება მის მიერ უფლებამოსილების არაერთგზის გადამეტება, პატიმრების ცემის არაერთი ფაქტი, ციხის ბუნტის ინსპირირება... თუმცა ეს არ არის ერთადერთი ბრალდება, რომელსაც სახალხო დამცველი ყოფილ კოლეგას უყენებს. სახალხო დამცველის ანგარიშის თანახმად, ახალაია პირადად იყო დაინტერესებული ქიბარ ხალვაშის საქმით.

2007 წლის 25 სექტემბერს ტელეკომპანია „იმედის“ პირდაპირ ეთერში საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრის, ირაკლი ოქრუაშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებას ქვეყანაში პოლიტიკური ვითარების დაძაბვაც მოჰყვა. ამ გამოსვლაში ის საქართველოს ხელისუფლებასა და პირადად მიხეილ სააკაშვილს სდებდა ბრალს მრავალ დანაშაულში, მათ შორის, პრემიერ-მინისტრ ჟვანიას მკვლელობის დეტალების დამალვაში (და ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობის მომზადების მცდელობაში) ამხელდა. საბოლოოდ, ირაკლი ოქრუაშვილი იძულებული გახდა, დაეტოვებინა საქართველო.

ქვეყნიდან წასულ ოქრუაშვილს არაერთხელ განუცხადებია, რომ მისი წასვლის შემდეგ საქართველოს ხელისუფლება მის მეგობრებსა და პოლიტიკურ თანამოაზრეებს დევნის. საქართველოს ხელისუფლების მიერ შევიწროვებულ მეგობრებს შორის ოქრუაშვილი ყველაზე ხშირად ბიზნესმენ ქიბარ ხალვაშს ასახელებს, რომელსაც ოქრუაშვილის გაძევების შემდეგ საქართველოში ბიზნესის წარმოების საშუალება არ მისცემია (იხ.ზემოთ).

## ბეწვის ხიდი: ადამიანის უფლებების დამცველიდან მათი უფლებების დამრღვევამდე

**სახალხო დამცველი სოზარ სუბარი ბაჩო ახალაიას, როგორც ყოფილ თანამშრომელს, დადებითად ახასიათებს. მისი თქმით, ახალაია პირნათლად ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას, იყო ძალიან მოტივირებული თანამშრომელი და ნამდვილად არ იყო უმნიშვნელო პირი სახალხო დამცველის აპარატში. „მე მას ვენდობოდი და ახლაც მიმაჩნია, რომ ჩემი ნდობა მან ბევრ საქმეში გაამართლა, თუმცა იყო ერთი შემთხვევა, როდესაც ბაჩო ახალაიას მიერ გაკეთებულ განცხადებას მწვავე კრიტიკა მოჰყვა, მათ შორის, არაოფიციალური უმრავლესობის წევრების მხრიდანაც. ისინი მე მაკრიტიკებდნენ ახალაიას გამო, მიუხედავად იმისა, რომ მისი განცხადება ჩემთვის მიუღებელი იყო, მაშინ მაინც დავიცავი ჩემი კოლეგა“, — განაცხადა სოზარ სუბარმა.**

სუბართან საუბრის შედეგად გაირკვა, რომ 4 წლის წინათ ასამდე ჯარისკაცი მუხროვანის ბატალიონიდან გამოიქცა და პრეზიდენტის რეზიდენ-

ციასთან საპროტესტო აქცია გამართა. ჯარისკაცებს სახალხო დაცვის აპარატიდან ირაკლი სესიაშვილი შეხვდა, რომელმაც ისინი სახალხო დამცველის ოფისთან მიიყვანა, სადაც მათ პრესკონფერენციის გამართვა უნდოდათ. ბაჩო ახალაიამ მომხდარის შესახებ სოზარ სუბარს აცნობა, რომელიც თბილისში არ იმყოფებოდა და რჩევა სთხოვა. იმის გამო, რომ კონსტიტუციის მიხედვით, ჯარისკაცების მიერ მიტინგის ჩატარება აკრძალულია, სახალხო დამცველმა მათი წახალისებისგან თავი შეიკავა, თუმცა მოლაპარაკების დროს შეთანხმდნენ, რომ სახალხო დამცველის აპარატი ჯარისკაცების გვერდით დადგებოდა და მათ უფლებებს დაიცავდა იმ პირობით, რომ ისინი ბატალიონში დაბრუნდებოდნენ. „ბაჩო ახალაიამ ეს განცხადება გააკეთა, რასაც ერეკლე სესიაშვილის მხრიდან შეკამათება მოჰყვა. ამის შემდეგ ბაჩო ახალაიამ დაიწყო ყვირილი და ჯარისკაცებს დეზერტირები უწოდა. მათთვის დეზერტირების სტატუსის მინიჭება არც მორალურად იყო გამართლებული და არც იურიდიულად იყო სწორი. დეზერტირი იურიდიული ტერმინია და იმისთვის, რომ ადამიანს დეზერტირი ეწოდოს, ერთი თვე მაინც უნდა იყოს გამოსული ნაწილიდან. საბოლოოდ გამოვიდა, რომ ბაჩო ახალაიამ დაიცვა ის პოზიცია, რა პოზიციაც ორივეს გაგვაჩნდა, მაგრამ გამოხატვა იყო აბსოლუტურად არასწორი“, — აცხადებს სოზარ სუბარი.

ბაჩო ახალაიას მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებებზე სახალხო დამცველმა რამდენჯერმე მიმართა პროკურატურას, რის შემდეგაც პროკურატურა ვალდებული იყო, დაეწყო გამოძიება აღნიშნულ ფაქტებზე, თუმცა, როგორც წესი, ომბუდსმენის რეკომენდაციით საქართველოში გამოძიება ან არ იწყება, ან ბოლომდე არ მიდის.

„ჩემი ღრმა რწმენით, დანაშაულში ეჭვმიტანილი და ბრალდებული პირები არ უნდა მუშაობდნენ მაღალ პოლიტიკურ თანამდებობებზე, არ აქვს მნიშვნელობა, ბაჩო ახალაია იქნება ის თუ სხვა. ჯერ სრულყოფილად უნდა იქნეს მათი საქმეები გამოძიებული და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყდეს ამა თუ იმ პირის მომავალი. თუ გაირკვევა, რომ ის დამნაშავეა, უნდა დაისაჯოს, ხოლო უდანაშაულობის დამტკიცების შემთხვევაში, შეუძლია საზოგადოებრივი საქმიანობის გაგრძელება. აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ ბაჩო ახალაიას დანიშვნა მინისტრად ან სხვა თანამდებობაზე, სანამ აღნიშნულ ბრალდებებზე არ ჩატარდება სრულყოფილი გამოძიება, არ არის გამართლებული”, — ფიქრობს სახალხო დამცველი.

ახალაიას შემთხვევაში პროკურატურას რეაგირება არ მოუხდენია იმ საქმეებზე, რომლებიც სახალხო დამცველის აპარატიდან გაუგზავნეს. საქმე ეხება დანაშაულებრივი ქმედებების იმ გრძელ ჩამონათვალს, რომლის ავტორებიც დღემდე არ დასჯილან: ქიბარ ხალვაშის დევნისა და შევიწროების ფაქტი, 2006 წლის ბუნტი ციხეში, 2006 წელს ბათუმის ციხეში პატიმრების ცემა, 2006 წლის 19 იანვარს პატიმარ გოჩა ფაცურიას წამება ქსნის საპყრობილეში და მრავალი სხვა.

ციხეში აღმოფხვრილმა „კანონიერი ქურდების“ ინსტიტუტმა და დაუსჯელობის სინდრომმა ხელისუფლების სტრუქტურებში გადაინაცვლა. როგორც ჩანს, ახლა სამხედროების ჯერია, მათაც ხომ სჭირდებათ „მკაცრი ხელი“.

# „კანონიერი ქურდები“ ხელისუფლებაში

## (მცირედი შემოკლებით)

ხშირად მიფიქრია, ვინ არიან, რა ჯიშის ხალხია, სად გაიზარდნენ, საიდან მოვიდნენ და რით საზრდოობდნენ ბავშვობაში და ჭაბუკობაში ხელისუფლებაში უცნაურად და საკვირველად მოხვედრილი ბიჭბუჭები. როდესაც კარგად დავაკვირდი, მათში ძველბიჭურ-კომკავშირული თვისებების საოცარი ნაზავი აღმოვაჩინე. დარწმუნებული ვარ, ჩვენი ხელისუფლების ბევრ წარმომადგენელს ჭაბუკობაში ფარულ ოცნებად ჰქონდა გადაქცეული განუსაზღვრელი ძალაუფლების მქონე „კანონიერ ქურდად“ გახდომა, მაგრამ ამისათვის „კარგიბიჭობის“ გზა იყო გასავლელი, რაც გარკვეულ რისკს უკავშირდებოდა. თანაც, დედიკოები და მამიკოები ასე ნანატრი ძალაუფლების მოპოვების პერსპექტივას მხოლოდ კომკავშირული და კომუნისტური კარიერის გაკეთების გზით უსახავდნენ. მართლაც, მათი უმრავლესობა ამ უკანასკნელ გზას დაადგა და საბჭოთა კავშირი რომ არ დანგრეულიყო, დღეს მიხეილ სააკაშვილი, დავით ბაქრაძე, გიორგი არველაძე, გოკა გაბაშვილი, გიგი უგულავა, გიორგი ბარამიძე, კახა ლომაია, ნინო ბურჯანაძე, ლადო გურგენიძე, რატი სამყურაშვილი, გელა ბეჟუაშვილი, პეტრე ცისკარიშვილი, დავით კირკიტაძე, ზურაბ ჭიაბერაშვილი და ძმანი მათნი აუცილებლად იქნებოდნენ კომკავშირისა და კომპარტიის რაიკომის მდივნები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, ქალაქის აღმასკომის თავმჯდომარეები ან „კაგებეს“ მაღალჩინოსნები. ჩემს თაობას კარგად ახსოვს 70-80-იანი წლების მიჯნაზე სწორედ ასეთი ტიპის კომკავშირელი აქტივისტები, რომლებიც შიგადაშიგ ძველბიჭობასაც ცდილობდნენ. სსრ კავშირის დანგრევა ასეთების კარიერისტული მიზნების კორექტირების მიზეზი გახდა. ვინაიდან „დიადი საბჭოეთის“ აღმშენებლობაში მონაწილეობით კარიერის გაკეთების საშუალება აღარ ჰქონდათ, მათმა დედიკოებმა და მამიკოებმა სწრაფად აუღეს ალღო შექმნილ მდგომარეობას და უცხოეთში გაგზავნეს ცოდნის მისაღებად და კარიერისტული ოცნებების ფრთების შესასხმელად. რაც მთავარია, ამით გაარიდეს 80-90-იანი წლების არეულ საქართველოს, ჯერ ანტიკომუნისტურ, ხოლო შემდეგ სამოქალაქო დაპირისპირებებს, შიმშილობას, უშუქობას, უგაზობას და ათასგვარ უბედურებას. აქ დარჩენილ მათ თანატოლებს კი არ დაჰკლებიათ ყველა ის უბედურება, რაც დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას და გარდამავალ პერიოდს ახლავს (მასობრივი საპროტესტო გამოსვლები, დაპირისპირებები, ციხეები, შიმშილი, სიცივე, უშუქობა და ა.შ.).

უცხოეთის კომფორტულ პირობებთან შედარებით დალაგებულ საქართველოში დაბრუნებულმა დავაჟკაცებულმა, ვერშემდგარმა კომკავშირელებმა ზევიდან დაუწყეს ყურება აქ დარჩენილ თანამემამულეებს. ინგლისურისა და ზოგიერთი უცხო ტერმინის ცოდნა თავიანთი ამბიციების საკ-

მარის საფუძვლად ჩათვალეს მათაც და საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმაც. ხელისუფლებაში მოსასვლელად მათ არც პრინციპების ერთგულება და არც რაიმე განსაკუთრებული უნარის გამომჟღავნება დასჭირვებიათ. მართალია, ერთგულებას ისინი ადამიანის კი არა, ძაღლის თვისებად მიიჩნევენ (მაია ნადირაძის ცნობილი სიტყვებია), მაგრამ ამ ახალგაზრდებს აღმოაჩნდათ უნარი, რომ სწორედ მოჩვენებითი ერთგულების დემონსტრირების გზით შემძვრალიყვნენ შევარდნაძის გუნდში. უფრო მეტიც, მათ მლიქვნელობით შევარდნაძის ძველ გვარდიასაც გადააჭარბეს — გვერდზე ჩააჩოჩეს და „მეფის კარზე“ მთავარი პოზიციები დაიკავეს. ერთ წელიწადში დგებოდა მათი პატრონის პოლიტიკური სცენიდან წასვლისა და მათი კარიერისტული ოცნებების მწვერვალზე ასვლის დრო. თუმცა ისინი ვერ დაუშვებდნენ, ასეთი შანსი რისკზე შეეგდოთ, რადგან, ღმერთმა იცის, რა იქნებოდა ერთი წლის შემდეგ. ახლა კი, მეფის ტახტთან ასე ახლოს მყოფებს, ამ ტახტზე აბობღების ყველაზე მეტი შანსი ჰქონდათ. ამისათვის მხოლოდ გამზრდელისთვის ხელის კვრა და საზოგადოების მოთხოვნის დაკმაყოფილება იყო საჭირო, თანაც, ამით გამზრდელის გუნდში ყოფნისას დაშვებული ყველა შეცდომისა თუ დანაშაულისაგან განწმენდის შესაძლებლობაც ჩნდებოდა. მოკლედ, „უსისხლო“, „მშვიდობიანი“, „ხავერდოვანი“ „ვარდების“ თუ ანგელოზების რევოლუციის წყალობით, უმწიფარი კარიერისტები ხელისუფლების მწვერვალზე ავიდნენ, მაგრამ ტახტისკენ ასეთი მიზანსწრაფული სვლის მიუხედავად, აღმოჩნდა, რომ საერთოდ არ იცოდნენ, როგორ უნდა ემართათ ქვეყანა. და თუმცა მთელი დასავლეთი და, განსაკუთრებით, აშშ ცდილობდნენ, მათთვის ეს ესწავლებინათ, ჩვენმა „რეფორმატორებმა“ მაინც მართვის არა დემოკრატიული, არამედ ისეთი ფორმები და მეთოდები აირჩიეს, რომელთაც ბოლშევიკური და ქურდული მეთოდების ნაზავს დავარქმევდი.

ბოლშევიკები ებრძოდნენ კერძო საკუთრებას და ხალხის განკულაკებას ისევ საკუთარ ხალხზე ზრუნვით, სამართლიანობისა და თანასწოროობის დამყარების იდეით ამართლებდნენ. ასევე მოიქცნენ ჩვენი „რეფორმატორებიც“. პარალელურად, თავისუფალ მედიას და დამოუკიდებელ სასამართლოს გამოუყვანეს წირვა. შემდეგ წესრიგის დამყარებას მიადგნენ და მიიღეს კანონი (სისხლის სამართლის კოდექსის 223[1]-ე მუხლი), რომლითაც „კანონიერი ქურდობა“ 10 წლამდე, ხოლო „ქურდული სამყაროს წევრობა“ 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება. რასაკვირველია, ეს ფაქტი, ჩვეულებისამებრ, გააპიარეს და ცოტა ხანში საქართველოში მყოფი ყველა კანონიერი ქურდი დააპატიმრეს. საზოგადოების გულუბრყვილო ნაწილი კმაყოფილებით შეხვდა ამას, რადგან იფიქრა, რომ ხელისუფლების მიზანი ამ ინსტიტუტისა და მასთან დაკავშირებული დაუწერელი კანონების მოსპობა იყო, თუმცა რეალურად აღმოჩნდა, რომ თურმე ხელისუფლება ქურდულ კანონებს კი არა, მხოლოდ თვითონ კანონიერ ქურდებს ებრძოდა, რადგან მათში კონკურენტებს ხედავდა. რაც შეეხება ქურდულ ტრადიციებს, დაუწერელ კანონებს და წეს-ჩვეულებებს, გამოირკვა, რომ სწორედ მათი გამოყენებით, მათზე დაყრდნობით და მათთვის ლეგიტიმური ხასიათის მიცემით აპირებდნენ ქვეყნის მართვას.

როგორც ცნობილია, თავის დროზე ქურდული წესები გარკვეულ რომანტიკას, სამართლიანობისთვის ბრძოლას და ვაჟკაცობის წარმოჩენას ემსახურებოდა. საზოგადოების გარკვეულ ნაწილში იგი არსებული რეჟიმის წინააღმდეგ პროტესტის ერთგვარ ფორმასაც კი წარმოადგენდა. ბევრის თვალში „კანონიერი ქურდი“ ასკეტურად მცხოვრები, საკუთარი ოჯახის არმქონე, სამართლიანი და ღირსეული რაინდის სიმბოლო იყო. თუმცა ეპოქის შეცვლასთან ერთად ამ სამყაროშიც თანდათან შეაღწია კორუფციის, უსამართლობისა და ძალმომრეობის ბაცილამ და ბევრი „კანონიერი ქურდის“ წოდების მქონე ადამიანი, უბრალოდ, ბიზნესის სფეროში მოღვაწე მილიონერად წარმოჩინდა, რომელიც ქურდული სამართლის განჩინებისას მხოლოდ ანგარებითი ინტერესებით ხელმძღვანელობდა. ეს ყველაფერი ჩვენმა „რეფორმატორებმა“ გაითავისეს და მას კანონიერი სახე მისცეს: ქვედა რგოლებში კორუფცია სასტიკად აკრძალეს და მკაცრი სასჯელები დაუწესეს ყველას, ვინც მათთან, მთავარ ქურდებთან, „ობშიაკში“ არ შეიტანდა ამოღებულ კანონიერ თუ უკანონო თანხას. მერე კი „მთავარი ქურდები“ ამ ყველაფერს საკუთარი შეხედულებისამებრ ანაწილებენ. თუ აუცილებლობა მოითხოვს, მათ თავიანთი „ტორპედოებიც“ ჰყავთ, რომელთა საშუალებით ურჩებს ოფიციალურად, სასამართლოსგან აღებული დოკუმენტით მოიტაცებენ (არა პანკისში, არამედ — ოფიციალურ საპყრობილეში) და ისეთ აუტანელ პირობებს შეუქმნიან, რომ იქ მიატანინებენ გამოსასყიდს (ოფიციალურად გაფორმებული საპროცესო შეთანხმებით). სამაგიეროდ, არსებობს გარანტია, რომ მთელი ეს თანხა უკლებლად მივა „მთავარ ქურდებთან“ და სადღაც შუა რგოლში, ვიღაც „კაი ბიჭები“ ვერ გაბედავენ მის „მოტეხვას“. ამრიგად, კორუფციაც აღმოფხვრილია და ქურდული წესებიც კანონის რანგშია აყვანილი. უბრალოდ, „მთავარმა ქურდებმა“ თვითონ დაიკანონეს თავი მაშინ, როდესაც 2003 წლის ნოემბერში დიდი „სხადნიაკი“ შედგა და მასში ათასობით გულუბრყვილომ და ეშმაკმა, წესიერმა და უწესომ, პატრიოტმა და ნაძირალამ მიიღო მონაწილეობა. ამის შემდეგ კი ამ „სხადნიაკის“ შედეგები ვეღარ შეცვალა აზრზე მოსულმა და გამოფხიზლებულმა მრავალმა მოქალაქემ. მიუხედავად იმისა, რომ მრავალჯერ სცადეს „ქურდების“ სტატუსიდან მათი ჩამოქვეითება, ისინი დღემდე ებღაუჭებიან და ჯერჯერობით ინარჩუნებენ ამ სტატუსს. მაინც, ვინ არიან ისინი, ამ სტატუსის უზურპატორები?

ნინო ბურჯანაძე „კვირის პალიტრის“ 8-14 დეკემბრის ნომერში ასეთი თანმიმდევრობით ასახელებს საკაშვილის გუნდის იმ წევრებს, რომლებთან ერთადაც „მთავარი ქურდი“ 5 წლის განმავლობაში იღებდა ყველა გადაწყვეტილებას: ვანო მერაბიშვილი, ზურაბ ადეიშვილი, კახა ლომაია, გიგა ბოკერია, გიგი უგულავა, ნიკა რურუა... მართალია, ბურჯანაძე არ აკონკრეტებს, ეს სია ამ ფიგურების გავლენიანობის მიხედვით დაალაგა თუ არა, მაგრამ ამ შემთხვევაში მთავარი ისაა, რომ დანაშაულებრივი ჯგუფის ერთ-ერთმა ყოფილმა წევრმა აღიარებითი ჩვენებით დაადასტურა ხალხში გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რეალურად ვინ მართავს ქვეყანას.

აი, ამათთვის, მათი ზემოთ ჩამოთვლილი „კაი ბიჭებისთვის“ და ამ ტიპის ზერელე ადამიანებისთვის საქართველომ 2008 წლის აგვისტოს ომში გაიმარჯვა. ყველას, ვინც მათ მსგავსად ფიქრობს, წინასაახალწლოდ ვუსურვებ, მომავალ წელს ასეთი გამარჯვებები დაჰბედებოდეს პოლიტიკურ და პირად ცხოვრებაში, ოღონდ ჩვენს სამშობლოს თავი დაანებონ. ასეთთათვის საქართველო მხოლოდ ტერიტორიაა, მიწაა და მიწა ხომ მთელ მსოფლიოში უამრავია.

დანარჩენ ჩემს თანამემამულეებს კი, ვისთვისაც ეს მიწა სამშობლო, სისხლი და ხორცია, რომლის მოგლეჯაც საკუთარი სხეულის ნაწილის მოგლეჯასავით მტკივნეულია, ვინც სისხლის ცრემლებით გლოვობს აგვისტოს „გამარჯვებას“, ვუსურვებ, რომ ასეთი რამ აღარასოდეს განეცადოს. რაც მთავარია, მომავალში ღმერთმა დაიფაროს ასეთი „გამარჯვებების“ მომპოვებელი ხელისუფლებისაგან!

**გელა ნიკოლაიშვილი**
**უფლებადამცველი**

# სკოლის მასწავლებლებს „ნაცმოძრაობაში“ გაწევრებას აიძულებენ

კახეთის რეგიონში საჯარო სკოლების მასწავლებლებს მმართველ პარტიაში გაწევრებას აიძულებენ. პედაგოგების თქმით, დავალება სკოლის დირექტორებისგან მიიღეს, დირექტორებმა კი — საგანმანათლებლო რესურსცენტრების უფროსებისგან. „იმ შემთხვევაში, თუ „ნაციონალურ მოძრაობაში“ გასაწევრებლად განცხადებებს არ დავწერთ, დირექტორებმა მიგვითითეს, რომ საათები მოგვაკლდება და შესაძლოა, საერთოდ სამსახურის გარეშე დავრჩეთ“, — განაცხადეს პედაგოგებმა.

**„სკოლის დირექტორმა თათბირზე შეგვკრიბა და ყველას გვითხრა, რომ მმართველ პარტიაში უნდა გავწევრდეთ. დირექტორმა მიგვანიშნა, რომ მისი თხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, იძულებული იქნება, სამუშაო საათები მოგვაკლოს, ხელფასი შეგვიმციროს და სამსახურიდან გაგვიშვას. ისიც პირდაპირ გვითხრა, რომ დავალება გურჯაანის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსისგან მიიღო და თუ არ შეასრულებს, პრობლემები შეექმნება. რამდენიმე მასწავლებელმა დირექტორს მაშინვე ვკითხეთ, სკოლაში მასწავლებლების უმრავლესობა თუ არ დაწერდა განცხადებებს პარტიაში შესვლის თაობაზე, ყველას ხომ არ გაგვათავისუფლებდნენ? დირექტორმა გვიპასუხა — მაშინ მე დამაწერინებენ განცხადებას თანამდებობიდან წასვლაზე ან სამეურვეო საბჭოს მიაღებინებენ გადაწყვეტილებას და გამიშვებენო“, — აღნიშნა გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ვაზისუბნის საჯარო სკოლის ერთ-ერთმა მასწავლებელმა. რესპონდენტის ვინაობას მისივე თხოვნით არ ვამჟღავნებთ.**

„12 წელია, სკოლაში ვმუშაობ. რუსულ ენასა და ლიტერატურას ვასწავლი. არ მახსოვს, ვინმეს ასე დაეძალებინოს რომელიმე პარტიაში შესვლა. მესმის, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ახლოვდება და ისევე გვამუშავებენ აგიტატორებად, როგორც წინა არჩევნების დროს, მაგრამ მაშინ პარტიის წევრები არ ვყოფილვართ. არჩევნების დროს ხმის მიცემას ისედაც ფარული კენჭისყრის კაბინაში შესვლის გარეშე გვავალდებულებდნენ. ასე, ძირითადად, იმათ ექცეოდნენ, ვის ერთგულებაშიც ეჭვი ეპარებოდათ. გვითხრეს, რომ წინაალმდეგ შემთხვევაში სამსახურიდან გაგვიშვებდნენ. იმავეს თუ მოითხოვენ, ბევრი პედაგოგი, ლუკმაპური რომ არ დაკარგოს, ამაზე უარს არც ახლა იტყვის. ამიტომაც ვერ გამიგია, რატომ გახდა ახლა საჭირო მასწავლებლების პარტიაში გაწევრება?

ვფიქრობ, რომ მასწავლებელი არც ერთი პარტიის წევრი არ უნდა იყოს, მასწავლებლებს ამას არ უნდა აძალებდნენ. ჩვენი მოვალეობა ბავშვებთან მუშაობაა, მაგრამ ვინ გვაცლის? რაც უფრო ახლოვდება არჩევნები, პედაგოგის მოვალეობის შესასრულებლად მით უფრო ნაკლები დრო

გვრჩება. დღე ისე არ გავა, რომ ავტობუსებში არ ჩაგვსვან და სადმე არ წაგვიყვანონ შეხვედრაზე. არ აინტერესებთ, გვაქვს თუ არა სურვილი იმ შეხვედრაზე მისვლის, სავალდებულოა და მორჩა.

პედაგოგების ნაწილმა სკოლის დირექტორს ანგარიში გაუწია და „ნაციონალურ მოძრაობაში“ შესასვლელად განცხადება უკვე დაწერა“, — გვითხრა პედაგოგმა, რომლის ვინაობასაც გასაგები მიზეზების გამო, ასევე, არ ვამჟღავნებთ.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ იურისტების ცნობით, ბოლო ორი კვირის განმავლობაში მათ კონსულტაციისათვის რეგიონის სხვადასხვა სკოლიდან არაერთმა პედაგოგმა მიმართა.

„მასწავლებლებს აინტერესებთ, ვალდებულები არიან თუ არა, დაწერონ განცხადება „ნაციონალურ მოძრაობაში“ გაწევრების შესახებ. ჩვენთან პირად საუბარში რამდენიმე სკოლის დირექტორებმა დაადასტურეს, რომ დავალება ამის შესახებ საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსისგან მიიღეს. განცხადებები რა ფორმით უნდა დაიწეროს, ისიც კი გვაჩვენეს“, — ამბობს „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ იურისტი ნინო ანდრიაშვილი.

გურჯაანის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი ლალი გაბიტაშვილი ამ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფს. უნდა აღინიშნოს, რომ ლალი გაბიტაშვილი რესურსცენტრის უფროსის თანამდებობაზე საპარლამენტო არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე კახეთის გუბერნატორის პირველი მოადგილის, გიორგი სიბაშვილის ძალისხმევით დაინიშნა. სიბაშვილი იმ დროისთვის „ნაცმოძრაობის“ გურჯაანის საარჩევნო შტაბის უფროსი იყო. წინასაარჩევნო პერიოდში გაბიტაშვილი კახეთის ამჟამინდელ გუბერნატორს გიორგი ღვინიაშვილს, რომელიც მაშინ არჩევნებში გურჯაანის მაჟორიტარი დეპუტატის კანდიდატის სტატუსით მონაწილეობდა, სკოლებში დაჰყვებოდა და პედაგოგებს მისი მხარდაჭერისაკენ საჯაროდ მოუწოდებდა. გურჯაანის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსად ლალი გაბიტაშვილი რომ დაენიშნათ, რესურსცენტრის ყოფილ უფროსს, ცხინვალიდან დევნილ დალი მინდიაშვილს, განცხადება სამსახურიდან წასვლის შესახებ დაპატიმრების მუქარით დააწერინეს. მას შემდეგ საჯარო სკოლებში არაერთი საკადრო ცვლილება განხორციელდა. რესურსცენტრისა და კახეთის გუბერნატორის ადმინისტრაციის ერთობლივი ჩარევით, იმ სკოლის დირექტორებს, რომელთა სრულ ერთგულებაშიც ადგილობრივ ხელისუფლებას ეჭვი ეპარება, ხსნიან და გამოთავისუფლებულ ადგილებზე ნათესავებს, მეგობრებსა და იმ ადამიანებს ნიშნავენ, რომელთაც არჩევნებში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვთ. ცოტა ხნის წინათ ამავე მიზეზით დააწერინეს განცხადება დედოფლისწყაროს რესურსცენტრის უფროსს — ნონა გომელაურსაც. ჩვენი ინფორმაციით, გომელაურს თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ განცხადების დაწერა დედოფლისწყაროს მაჟორიტარი დეპუტატის — ავთანდილ ლეკიშვილის დავალებით მოსთხოვეს. ამ საკითხთან დაკავშირებით, თავად გომელაურს საუბარი არ სურს. რესურსცენტრის უფროსად ავთანდილ ლეკიშვილის მეგობარი და მისი ნდობით აღჭურვილი პირი მარინე მეხრიშვილი დაინიშნა.

# საწოლიც არ აქვთ, ბეტონის იატაკზე ცხოვრობენ... დახმარება მაინც შეუწყვიტეს

საქართველოს მთავრობის მიერ პარლამენტში დასამტკიცებლად წარდგენილ 2009 წლის ბიუჯეტის პროექტში სოციალური დახმარებების პაკეტი 169 მილიონი ლარით იზრდება. ოფიციალური ინფორმაციით, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ ბენეფიციართა რაოდენობა 900 ათას ადამიანს მიაღწევს. აქედან 400 ათასი მიიღებს საოჯახო დახმარებას (30 ლარი), რასაც დაემატება ოჯახის თითოეულ წევრზე 24 ლარი, ნაცვლად არსებული 12 ლარისა; 200 ათასი ბენეფიციარი მიიღებს 20 + 16 ლარს, ხოლო 300 ათასი — 10 + 8 ლარს. ამასთან, პროექტის მიხედვით, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი 900 ათასი ბენეფიციარი დაზღვეული იქნება. ამ მონაცემების მიუხედავად, სოციალური სუბსიდიების სააგენტო უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებს საარსებო შემწეობებს უწყვეტს.

**ეკატერინე ბეროზაშვილი გურჯაანის რაიონის სოფელ კარდენახში 18 წლის ვაჟიშვილთან ერთად დედამთილის სახელზე რიცხული საცხოვრებელი სახლის ბეტონისიატაკიან ერთ ოთახში ცხოვრობს. ოჯახს მხოლოდ რკინის ერთი საწოლი აქვს, რის გამოც ეკატერინეს სკამებზე სძინავს. დედა-შვილი ფიზიკურ მუშაობაზეც კი არ ამბობს უარს, მაგრამ სამსახურის არარსებობის გამო ვერსად დასაქმდნენ. ბეროზაშვილებს არც მიწის ნაკვეთი აქვთ, არც უძრავი და მოძრავი ქონება, გარდა ერთი შავ-თეთრი ტელევიზორისა. მათ არც ფრინველი და საქონელი ჰყავთ. ოჯახს საკვებს მეზობლები აძლევენ.**

ბეროზაშვილების ოჯახი სიღარიბის დაძლევის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში საარსებო შემწეობას იღებდა, მაგრამ სოციალური სუბსიდიების სააგენტომ ხელახალი შემოწმების შემდეგ ოჯახს სოციალური დახმარება შეუწყვიტა. ოჯახის უფროსს მიაჩნია, რომ სოციალურმა აგენტმა მისი ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა არასწორად აღწერა, რის გამოც დახმარებას ითხოვს.

ბეროზაშვილების უკიდურესად მძიმე სოციალური მდგომარეობის შესახებ სიუჟეტი ტელეკომპანია „იმედის“ ეთერითაც გავიდა, მაგრამ, სამწუხაროდ, აღნიშნულით არც სოციალური სუბსიდიების სააგენტო და არც შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო დაინტერესდა. ყოველ შემთხვევაში, ჭეშმარიტების დასადგენად ბეროზაშვილების ოჯახის განმეორებითი შემოწმება ამ დრომდე არ მომხდარა.

„ადამიანის უფლებათა ცენტრის“ იურისტ ლია ხუროშვილის განცხადებით, ოჯახის უფროსთან გასაუბრების შემდეგ გამოარკვიეს, რომ დეკლარაციაში შეტანილი ინფორმაცია არაობიექტურია. „კერძოდ, ეკატერინე ბეროზაშვილი ხაზგასმით მიუთითებს, რომ დეკლარაციის შევსებამდე სამი თვის განმავლობაში, სულ ამ დროის გარკვეულ მონაკვეთში, არც მას

და არც მის შვილს შემოსავალი არ ჰქონდათ. ჩვენ მას განვუმარტეთ, რომ დეკლარაციაში შეტანილი ინფორმაციის ნამდვილობასა და ფაქტობრივ მდგომარეობასთან შესაბამისობას ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელი დეკლარაციის ყოველ გვერდზე ხელმოწერით ადასტურებს, რაც მან არ უარყო, თუმცა განაცხადა, რომ დეკლარაციაში შეტანილი მონაცემები არ წაუკითხავს“, — ამბობს იურისტი.

სოციალური სუბსიდიების სააგენტომ დახმარება შეუწყვიტა გურჯაანის რაიონის სოფელ კარდენახში მცხოვრებ ლეილა ხვთისიაშვილის ოჯახსაც. სააგენტოს მიერ ხვთისიაშვილების სოციალური მდგომარეობის განმეორებითი შემოწმების შედეგად, ოჯახის სარეიტინგო ქულა 45 530-დან 57 630-მდე გაიზარდა.

ხვთისიაშვილების ოჯახი ოთხი წევრისგან შედგება. 78 წლის მოხუცი მაყვალა ხვთისიაშვილი ავადმყოფობის გამო სანოლს არის მიჯაჭვული და მუდმივ მომვლელს საჭიროებს. 26 წლის გია და 15 წლის გელა ხვთისიაშვილებს კი მკურნალობა სჭირდებათ, რასაც ლეილა ხვთისიაშვილი ვერ ახერხებს. მისი თქმით, ოჯახს მედიკამენტების შესაძენად საჭირო თანხა არ გააჩნია, პურით და სხვა საკვებით კი მეზობლები ეხმარებიან. უკიდურესად მძიმეა ხვთისიაშვილების საცხოვრებელი მდგომარეობაც.

სხვა სოციალურად დაუცველი ოჯახების მსგავსად, სოციალური სუბსიდიების სააგენტოს ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განმეორებითი შემოწმების თხოვნით ბეროზაშვილებმა და ხვთისიაშვილებმაც არაერთხელ მიმართეს, მაგრამ მათ განუცხადეს, რომ ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განმეორებითი შემოწმება შესაძლებელია სარეიტინგო ქულის მინიჭებიდან, სულ ცოტა, ერთი წლის გასვლის შემდეგ.

**რატომ არ იძლევა სოციალური დაცვის სისტემა სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი სახსრების ეფექტიანად გამოყენების საშუალებას? იმ შემთხვევაში, თუ დახმარების მაძიებელი ოჯახი რეალურად მძიმე სოციალურ პირობებში ცხოვრობს და, მიუხედავად ამისა, მას შემოწმების შედეგად მაღალი სარეიტინგო ქულა მიენიჭა, როგორ რეაგირებს სოციალური სუბსიდიების სააგენტო და კონკრეტულ შემხვევებში რატომ არ ახდენს რეაგირებას? ამ კითხვებით სოციალური სუბსიდიების სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს მივმართეთ.**

„სოციალური სუბსიდიების სააგენტოში მიმდინარეობს მუშაობა და უახლოეს ხანში სამინისტროში წარდგება პროექტი მთავრობის დადგენილებაში შესატანი ცვლილებისა, რომელიც მოგვეხმარება ზემოთ აღწერილის მსგავსი შემთხვევების მართვაში. ეს შემთხვევები წარმოადგენს მოქმედი მეთოდოლოგიის ცდომილების გამოვლენას, რაც სოციალური ფენის გამოკვლევისა და შეფასების დროს ნებისმიერი მეთოდის გარდაუვალი ნაკლია და სტატისტიკურ გადახრას წარმოადგენს. სააგენტოში კარგად ესმით, რომ ამგვარი ეპიზოდები მხოლოდ სტატისტიკა არ არის. ყველანაირად ვცდილობთ, დახმარების მომლოდინე კონკრეტული ადამიანები სტატისტიკის მსხვერპლნი არ გახდნენ. ვცდილობთ, ღატაკი ოჯახების შეფასების პრაქტიკული ცდომილებანი მინიმუმამდე შემცირდეს.

კონკრეტულად აღნიშნულ ორ ოჯახთან დაკავშირებით უნდა ითქვას,

რომ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ამსახველი დეკლარაცია ორჯერ არის შევსებული.

ეკატერინე ბეროზაშვილის ოჯახში 2006 წლის აპრილის დეკლარაციის მდგომარეობით, ოჯახის ყველა წევრი დაუსაქმებელი იყო, 2008 წლის დეკლარაციაში კი მითითებულია, რომ ოჯახის ორივე წევრი სამეურნეო სამუშაოებს ასრულებს ფულადი ანაზღაურებით. შესაბამისად, ოჯახში დაფიქსირებულია შემოსავალი და ხარჯებიც, რაც ადრინდელ მდგომარეობასთან შედარებით სარეიტინგო ქულების გაზრდის საფუძველი გახდა.

ლეილა ხვთისიაშვილის ოჯახის სარეიტინგო ქულის ზრდა პენსიების მნიშვნელოვნად მომატებამ გამოიწვია. 2006 წლის 7 აპრილს შევსებულ დეკლარაციაში პენსია 33 ლარი იყო, ხოლო 2008 წლის დეკლარაციაში ერთ წევრს აქვს 77, ხოლო მეორეს — 55 ლარი, რამაც, რა თქმა უნდა, სარეიტინგო ქულაზეც იმოქმედა. არავის ჰგონია, რომ ხვთისიაშვილების ოჯახი გამდიდრდა, 57 630 ქულა გვიჩვენებს, რომ ოჯახის მდგომარეობა მძიმეა და რეიტინგიც მინიმალურად აღემატება დაწესებულ ზღვარს, მაგრამ ისიც ცხადია, რომ თუ არსებობს რაღაცნაირი ზღვარი, იქ მუდმივად იარსებებს ადამიანების ჯგუფი, რომლებიც ზღვართან ძალზე ახლოს არიან, მაგრამ მაინც დახმარების გარეშე დარჩნენ.

**სააგენტოში მუდმივად მიმდინარეობს ღონისძიებები, რათა ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების პროცედურა გამჭვირვალე გახდეს, შემცირდეს და აღმოიფხვრას უსამართლოდ დანიშნული დახმარებები, ტენდენციურად შევსებული დეკლარაციები. ამასვე ემსახურება ბენეფიციარი ოჯახის შესახებ ინფორმაციის საჯაროობაც, რაც 2008 წლის ზაფხულიდან ნორმატიული აქტების ცვლილებით გახდა შესაძლებელი: თითოეული ბენეფიციარი დეკლარაციის ახალ ფორმებში წერილობით ადასტურებს, რომ ის მზადაა, თავისი ოჯახის დეკლარაცია საჯარო გახადოს, მას შემდეგ, რაც სახელმწიფოსგან სოციალურ დახმარებას მიიღებს. გარკვეული დროა საჭირო, რომ ამ ინფორმაციის საჯაროობაზე ბენეფიციართა მთელი კონტინგენტის თანხმობა მივიღოთ და ამის შემდეგ შესაბამისი სიების გამოქვეყნებაც იქნება შესაძლებელი. ვმუშაობთ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებთან და საზოგადოებასთან უკეთესი კომუნიკაციის დასამყარებლად“, — განაცხადეს სოციალური სუბსიდიების სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში.**

სოციალურად უკიდურესად დაუცველი ოჯახების გაუსაძლისი მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია აქვთ კახეთის სამხარეო ადმინისტრაციაშიც. როგორც კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის პირველმა მოადგილემ გიორგი სიბაშვილმა განაცხადა, ძალიან ბევრი უკიდურესად გაჭირვებული ოჯახი აღნიშნული მეთოდოლოგიის გამო სიღარიბის დაძლევის სახელმწიფო პროგრამაში ვერ მოხვდა და საარსებო შემწეობის გარეშეა დარჩენილი, რაც მათ სოციალურ მდგომარეობას კიდევ უფრო აუარესებს.

„ამ მეთოდოლოგიით სოციალურად დაუცველ ოჯახებს ანიჭებენ მაღალ სარეიტინგო ქულას, რაც ძალიან სერიოზულ პრობლემებს გვიქმნის ადამიანებთან ურთიერთობაში. აღნიშნული მეთოდოლოგია და ფორმულა, რომლის საფუძველზეც სარეიტინგო ქულა გამოითვლება, სასწრაფოდ უნდა შეიცვალოს“, — აღნიშნა გიორგი სიბაშვილმა.

# პოლიტპატიმარ ვახანიას სასამართლო პროცესის დაწყებამდე იძულებით გაუკეთდა უცნობი პრეპარატის ორი ინიექცია

**აკადემიკოს ვახანიას ადვოკატმა განცხადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს და საქართველოს იუსტიციის საბჭოს თავმჯდომარეს ზუგდიდის მე-4 საპყრობილეში ვლადიმერ ვახანიას მიმართ განხორციელებული არაადამიანური მოპყრობის გამო.**

„2009 წლის 11 სექტემბერს სასამართლო სხდომაზე წარმოდგენილ იქნა განსასჯელი, ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი ვლადიმერ ვახანია, რომელსაც ტანსაცმელზე, კერძოდ, პერანგზე, ემჩნეოდა ფიზიკური ზემოქმედების კვალი, სახეზე კი — უაზრო გამომეტყველება, ჰქონდა დაბნეული გამოხედვა. ამ ვითარებამ დამაეჭვა. იმ დღეს მის მიმართ გამოტანილ იქნა გამამტყუნებელი განაჩენი, ისე, რომ ვლადიმერ ვახანიას არ მიეცა საშუალება, წარმოეთქვა საბოლოო სიტყვა“, — აღნიშნა ადვოკატმა. ერთი კვირის შემდეგ ვლადიმერ ვახანია თბილისის პირველ საპყრობილეში მოინახულა ადვოკატმა. მან ჰკითხა ვახანიას 11 სექტემბრის ვითარების შესახებ.

„11 სექტემბერს, დაახლოებით 17 საათზე, ზუგდიდის მე-4 საპყრობილის მე-17 საკანში მასთან შევიდნენ საპყრობილის მუშაკები, მისთვის უცნობი ორი პირი. როცა ვახანიამ განუმარტა მათ, რომ შეუძლოდ იყო, არ შეეძლო წასვლა სასამართლო პროცესზე და განცხადების დაწერა მოითხოვა, ზემოხსენებულმა პირებმა ფიზიკური ძალის გამოყენებით ის წაიყვანეს სამედიცინო ნაწილში და ინიექციის გზით შეუყვანეს ორი პრეპარატი, რის შემდეგ იგი წაიყვანეს სასამართლო სხდომის დარბაზში. როგორც ვახანიამ განმიცხადა, იყო გაბრუებული და ბუნდოვნად ახსოვს მოსამართლის მიერ გამოტანილი 4-წლიანი განაჩენი. შემდეგ ის ჩასვეს მანქანაში, კვლავ გაუკეთეს ინიექცია ვენაში და წაიყვანეს თბილისის საპყრობილეში“, — განაცხადა ადვოკატმა.

საპყრობილეში ჩამოყვანისას ვახანიამ საპყრობილის ხელმძღვანელობას აჩვენა მის ხელზე არსებული ნანემსარი, რაც ადვოკატმა დააფიქსირებინა ექიმს. ადვოკატის თქმით, ვლადიმერ ვახანია ითხოვს მისი უგულებელყოფილი უფლებების დაცვას და დახმარებას.

**ლადო ქირია**

*გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“*

# შინაგან საქმეთა სამინისტრო ჟურნალისტ ბესიკ ფიფიას დევნის

**შარშანდელი აგვისტოს ომის შემდეგ ქართული სახელმწიფო პოლიტიკა ოკეანეში მოდრეიფე იმ პატარა ნავის თავგანწირულობით ირჯება, რომელსაც გადარჩენის შანსი პრაქტიკულად არ აქვს. ეს „განწირული სულისკვეთება“ ხან ძალიან აგრესიულია, ხანაც — გასაოცრად ლაბილური. ზოგჯერ მიყუჩდება, ზოგჯერ კი, განსაკუთრებით, რეაქტიული ფსიქოზის შემოტევის დროს, ისეთივე კომიკურ იერს იღებს, როგორსაც, მაგალითად, ურმის, „ზაპოროჟეცის“, „ვოლგის“, „ოპელის“ და „მერსედესის“ ფონზე — სახელმწიფოს მეთაური. ლეგენდა მისი პიარგიგანტობის შესახებ ნელ-ნელა მინავლდა. სულ რაღაც ორ კვირაში ტალიავინის კომისიის დასკვნა საბოლოო განაჩენს გამოუტანს არა მხოლოდ მას, არამედ მისი გუნდის იმ წევრებსაც, რომლებიც შარშანდელ ავანტიურაში აქტიურობდნენ. როგორც ჩანს, განსაცდელის მოახლოებამ ფსიქიკურად ისედაც გაუწონასწორებელი მმართველი ელიტა საბოლოოდ გამოიყვანა მდგომარეობიდან. სხვას რას უნდა მივაწეროთ ისტორია, რომლის შესახებაც ქვემოთ გიამბობთ და რომელსაც, ალბათ, მხოლოდ სახელმწიფო საინფორმაციო პოლიტიკის დეგენერაცია განაპირობებს, თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ ეს, უბრალოდ, ჰუვანოიდების მორიგი პროვოკაცია იყოს.**

რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტო „რიანოვოსტის“ საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელად ბესიკ ფიფია 2006 წლის 20 სექტემბერს დაინიშნა. მას შემდეგ იგი მეუღლესა და სამ შვილთან ერთად თბილისში ცხოვრობს. ამ სააგენტოს მუშაობის სპეციფიკა სამწლიან მივლინებას ითვალისწინებს და დამატებით მხოლოდ ერთი წლით შეიძლება გაგრძელდეს. ახლახან ჟურნალისტმა ფიფიამ მორიგი ბრძანება მიიღო და მისი მივლინება 2010 წლის სექტემბრამდე გახანგრძლივდა, თუმცა გამორიცხული არ არის, სულ მალე მას თბილისის იძულებით დატოვებაც მოუწიოს. ცნობისათვის აქვე დავძენთ, რომ „რიანოვოსტი“ ასი პროცენტით სახელმწიფოს კუთვნილი საინფორმაციო სააგენტოა, რუსეთის ფედერაციის მთავრობას ექვემდებარება და მსგავსი წარმომადგენლობები თბილისის გარდა 50 ქვეყანაში აქვს.

ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხში დაბადებულმა ბესიკ ფიფიამ სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდისთანავე ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა და მისი დასრულების შემდეგ საქართველოში არც უცხოვრია. 49 წლის ჟურნალისტის შრომის წიგნაკში მხოლოდ სამი ორგანიზაციის ჩანაწერი

არსებობს: გაზეთები — „პრავდა“ და „ნეზავისიმაია გაზეტა“ და სააგენტო „რია-ნოვოსტი“.

საქართველოს ხელისუფლების, კონკრეტულად კი საგარეო საქმეთა სამინისტროს, დამოკიდებულება მეზობელი სახელმწიფოს ოფიციალური საინფორმაციო სააგენტოს მიმართ ჯერ კიდევ სამი წლის წინათ გამოჩნდა, როდესაც თბილისში ახლად ჩამოსულმა წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა აკრედიტაციისთვის ამ უწყებას მიმართა. წელიწადნახევრის მანძილზე სამინისტრო აკრედიტაციას არ აძლევდა. არ ვიცი, რა ვადას საჭიროებს უცხოელი ჟურნალისტების აკრედიტაციის დროს სპეცსამსახურების მიერ მისი პიროვნების შესწავლის პროცედურები, მაგრამ გამორიცხული არც ის არის, რომ ქართული კონტრდაზვერვა ამოწმებდა, სააგენტოს საფარქვეშ სპეცსამსახურების თანამშრომლები ხომ არ მუშაობდნენ. აკრედიტაციის პროცედურის გაჭიანურების მიზეზებთან დაკავშირებით რუსეთის ფედერაციის მაშინდელმა ელჩმა ვიაჩესლავ კოვალენკომ ოფიციალურად წერილობითი შეკითხვით მიმართა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს. ამავე წერილში იგი დაუფარავად აცხადებდა, რომ, ამ სიტუაციის გაგრძელების შემთხვევაში, ადეკვატურ ზომებს მიმართავდნენ და მოსკოვში საქართველოს ტელევიზიების თანამშრომლებს აკრედიტაციებს გაუუქმებდნენ. ელჩის ამ წერილმა პრობლემა მომენტალურად მოხსნა და წელიწადნახევრით ადრე დანიშნული სააგენტოს ხელმძღვანელის საქართველოში საქმიანობა ლეგალური გახდა.

**გასაკვირია ქართველი ჩინოვნიკების ამგვარი საქციელი. მით უფრო, რომ სამშობლოდან შორს მყოფ ბესიკ ფიფიას არასოდეს გაუწყვეტია ურთიერთობა აქაურ ახლობელ-მეგობრებთან. უფრო მეტიც, 1993 წელს, აფხაზეთში ომის დასრულებიდან ორი წლის შემდეგ, სანკტ-პეტერბურგში მისი და დსთ საპარლამენტთაშორისო ასამბლეაში საქართველოს წარმომადგენლის — ზურაბ ჩიკვილაძის ერთობლივი ძალისხმევით გამოიცა და რამდენიმე ათას ეგზემპლარად გავრცელდა აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებული პირველი წიგნი სახელწოდებით „Распятая Грузия“, რომელშიც ხაზგასმულად პროქართული მასალები გამოქვეყნდა. ბარემ იმასაც ვიტყვი, რომ ამ წიგნის შეძენის სურვილი პარლამენტის მაშინდელმა თავმჯდომარემ — ზურაბ ჟვანიამაც გამოთქვა და 1996 წლის დასაწყისში საქართველოს პარლამენტმა 1000 ეგზემპლარი საჩუქრად მიიღო.**

ამხელა შესავალი მხოლოდ იმიტომ დამჭირდა, რომ მკითხველს მეტნაკლებად ნათელი წარმოდგენა შეექმნას, ვინ არის და რას წარმოადგენს ჩვენი დღევანდელი პუბლიკაციის გმირი. ახლა კი ამ წერილის დაწერის მიზეზიც ავხსნათ:

ბესიკ ფიფია სამსახურებრივ ავტომანქანას თავად მართავს. იგი, როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქე, საქართველოს კანონმდებლობით ვალდებული იყო, ჩამოსვლიდან ერთი წლის შემდეგ შეეცვალა მართვის მოწმობა. ამ მიზნით 2009 წლის ივნისის დასაწყისში განცხადებით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის ქ.რუსთავის მომსახურების სააგენტოს, სადაც წარადგინა მის სახელზე

გაცემული მართვის ორი მოწმობა. პირველი მან 1977 წელს ქ. ზუგდიდის №5 საშუალო სკოლაში ავტომოყვარულთა კურსების და შესაბამისი გამოცდების ჩაბარების შემდეგ მიიღო. 1991 წელს კი, დაკარგული აღნიშნული მოწმობის სანაცვლოდ, შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის ქ. ზუგდიდის მილიციის შესაბამისმა განყოფილებამ მას მართვის უფლების დუბლიკატი გაუფორმა. მართვის მეორე მოწმობა 1999 წლით თარიღდება და რუსეთის ფედერაციის სანკტ-პეტერბურგის მილიციის მთავარი სამმართველოს შესაბამისმა სამსახურმა გასცა.

მორიგე ოპერატორმა ორივე მართვის მოწმობის დათვალიერების შემდეგ ქართული მოწმობა ამოირჩია და ჟურნალისტმა შესაბამისი განცხადების ბლანკი შეავსო, სალაროში თანხაც გადაიხადა და ეს დოკუმენტები ოპერატორს გადასცა. თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ პასუხმა დაიგვიანა. გაკვირვებულმა ბესიკ ფიფიამ მიზეზი იკითხა, რაზეც უპასუხეს, რომ მისი მართვის მოწმობის ნამდვილობასთან დაკავშირებით გარკვეული პრეტენზიები არსებობდა და ყველაფრის გარკვევას დაჰპირდნენ.

**2009 წლის 10 ივნისს ჟურნალისტს ტელეფონით დაუკავშირდა ქ. რუსთავის შინაგან საქმეთა სამმართველოს საგამოძიებო განყოფილების გამომძიებელი მინდია ივანიშვილი და მოწმის სახით დასაკითხად დაიბარა. ბესიკ ფიფიას აუხსნეს, რომ მის მართვის მოწმობაში აღნიშნულია ორი კატეგორია — B და C, და ვინაიდან მართვის მოწმობის ასაღებად მას თავის დროზე ჩაბარებული ჰქონდა გამოცდები მხოლოდ B კატეგორიაზე, მოწმობაში შეტანილი C კატეგორია უსაფუძვლო აღმოჩნდა, რის გამოც გამოძიებამ ჩათვალა, რომ სახეზეა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული (ყალბი დოკუმენტების, ბეჭდების, შტამპების ან ბლანკების დამზადება, რეალიზაცია ან გამოყენება). ეს მუხლი ფულად ჯარიმას ან სამ წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.**

არ ვიცი, ვინ რა მიზნებით შეიძლება მოქმედებდეს, მაგრამ ფაქტია, რომ 1977 წელს 17 წლის ბესიკ ფიფიასთვის მიცემულ მართვის მოწმობასა და 1991 წელს დაკარგული ამ მოწმობის ნაცვლად გაცემულ დუბლიკატში მითითებული ავტომანქანის მართვის ორი კატეგორიის გამო ჟურნალისტის პასუხისმგებლობის საკითხის დასმა ან ჰუვანოიდების მორიგი პროვოკაციაა, ანდა, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე, საქართველოს ხელისუფლების სახელმწიფო საინფორმაციო პოლიტიკის დეგენერაცია.

თავად განსაჯეთ. 1991 წელს გაცემული მართვის მოწმობის დუბლიკატის ნამდვილობას ეჭვქვეშ არავინ აყენებს. იგი თავის დროზე ქ. ზუგდიდის შს საქალაქო განყოფილების უფლებამოსილმა პირმა გრიშა ქობალიამ გასცა (ეს ის გრიშა ქობალია გახლავთ, ჯერ კიდევ „ნაცმოძრაობის“ ლიდერ ოპოზიციონერ სააკაშვილს ზუგდიდში ჯგირ მასპინძლობას რომ უწევდა და შემდეგ გაპრეზიდენტებულმა სააკაშვილმა მადლიერების ნიშნად პარლამენტარობა უბოძა). არც მართვის მოწმობის ბლანკია გაყალბებული და არც მასში შესაბამისი შტემპელებით შეტანილი B და C კატეგორიების აღნიშვნა. ჟურნალისტ ფიფიასთვის უცნობია, რატომ და რის საფუძველზე მოხდა მისთვის C კატეგორიის უფლების მინიჭება, მით უმეტეს, რომ ამ მოწმობის გაცემიდან 18 წელიწადზე მეტი გავიდა. ისიც აღ-

სანიშნავია, რომ როგორც რუსეთში, ისე საქართველოში მას არასოდეს უსარგებლია მართვის ქართული მოწმობით, რასაც ადასტურებს საქართველოს საპატრულო პოლიციის მიერ გამოწერილი საჯარიმო ქვითრები — ყველგან მითითებულია მხოლოდ სანკტ-პეტერბურგში გაცემული მართვის უფლების მოწმობა.

სულ ახლახან, 3 სექტემბერს, გამომძიებელმა ჟურნალისტი ბესიკ ფიფია ეჭვმიტანილად ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და დაკითხა კიდეც. ეჭვმიტანილს (რომელიც, დღევანდელი ქართული სამართალწარმოების პრაქტიკას თუ გავითვალისწინებთ, შესაძლოა, მალე ბრალდებულად მოგვევლინოს) ქვეყნიდან გაუსვლელობის ხელწერილი ჩამოართვეს.

**ჟურნალისტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გამომძიებელიც და პროკურორიც კორექტულად ექცევიან, მაგრამ უსაფუძვლოს და კანონსაწინააღმდეგოს უწოდებს მის მიმართ მიღებულ გადაწყვეტილებას ეჭვმიტანილად ცნობასთან დაკავშირებით. იგი ამ გადაწყვეტილების გაუქმებას და სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას მოითხოვს. ამ ისტორიით დაეჭვებული ადამიანების შეკითხვას კი — უნდა სცოდნოდა თუ არა, რომ მართვის მოწმობაში გაკეთებული აღნიშვნა C კატეგორიაზე უსაფუძვლო იყო და რატომ არ განაცხადა აღნიშნულის შესახებ? — კითხვითვე პასუხობს, — რომ მცოდნოდა გაყალბების თაობაზე, ნუთუ გამოძიება ვარაუდობს, რომ ნებაყოფლობით ავიდოდი ეშაფოტზე და თავადვე გამოვამზიურებდი იმ დოკუმენტს, რომლის გამოყენებისთვისაც პასუხს მომთხოვდნენ?**

რაც შეეხება პასუხისმგებლობას, საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის შეუტყობინებლობის ან დაფარვისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული არ არის (მუხლები 375-376).

ამ იურიდიულ ნიუანსებში სპეციალისტები უკეთ გაგვარკვევენ. „საქართველო და მსოფლიომ“ იურისპრუდენციის პროფესორ გია მეფარიშვილს სთხოვა ამ ფაქტის სამართლებრივი შეფასება და მის კვალიფიციურ კომენტარს აქვე გთავაზობთ.

ჟურნალისტი ბესიკ ფიფია კი საქართველოს იუსტიციის მინისტრის ზურაბ ადეიშვილის სახელზე გაგზავნილ წერილში (რომლის ასლიც საქართველოში შვეიცარიის საელჩოს რუსეთის ფედერაციის ინტერესების სექციის ხელმძღვანელ ანდრეი სმაგსაც გაუგზავნა) იმედს გამოთქვამს, რომ მის მიმართ წარმოებული გამოძიება მხოლოდ გაუგებრობაა და არა უაღრესად გამწვავებული ქართულ-რუსული ურთიერთობის სამწუხარო გამოძახილი. „ჩემი პროფესიული საქმიანობით მე დღესაც ვცდილობ, არ დაიწვას ის ბოლო ხიდები, რომლებიც ჩვენს ქვეყნებს აკავშირებს. „რია-ნოვოსტის“ საქართველოს ბიუროს ამ მიმართულებით ბევრი რამ აქვს გაკეთებული და კიდევ ბევრს გააკეთებს“, — წერს ბესიკ ფიფია ამ წერილის დასასრულ.

როდესაც ბატონი ბესიკ ფიფია „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქციაში „მის მიერ ჩადენილ დანაშაულთან“ დაკავშირებით სასაუბროდ მო-

ვიწვიეთ, მან ინტერვიუზე უარი გვითხრა და ის წერილი გადმოგვცა, რომელიც ზურაბ ადეიშვილს გაუგზავნა და რომლის თაობაზეც ზემოთ უკვე მოგახსენეთ. საუბრის დროს გაირკვა, რომ ჟურნალისტს სპეციალისტებმა, იურიდიულ ნიუანსებში კარგად ჩახედულმა ადამიანებმა ურჩიეს სამართლებრივი ბრძოლის გაგრძელება თვით სტრასბურგის სასამართლომდეც კი, მაგრამ მან სასტიკად იუარა. უარის მიზეზად ამ სასამართლოს სპეციფიკა დაასახელა. თუკი საქმე მართლაც წარიმართება სტრასბურგში, მაშინ საჩივარი ამგვარად იქნება ფორმულირებული — „ბესიკ ფიფია საქართველოს წინააღმდეგ“. ჟურნალისტმა თავისი უარის არგუმენტად განაცხადა, მე არასოდეს წავსულვარ საქართველოს წინააღმდეგ და, მით უმეტეს, არასოდეს ვუჩივლებ საქართველოს საერთაშორისო სასამართლოში. ჩემთვის მიუღებელია ფორმულირება „ბესიკ ფიფია საქართველოს წინააღმდეგ“, ეს ჩემს პრინციპებს ეწინააღმდეგებაო.

**როგორც ხედავთ, საქართველოში დაბადებული და რუსეთში დახელოვნებული ჟურნალისტი, რომელიც სულ რაღაც სამი წელიწადია, აქ მოღვაწეობს და სამშობლოს მიმართ განსაკუთრებული გრძნობა აქვს, კარგად აცნობიერებს არა მხოლოდ თავის მდგომარეობას, არამედ თავის როლსაც, რომლის შესრულებაც შეუძლია ამ ქვეყნისთვის სასიკეთოდ ან საზიანოდ. მაგრამ იგივეს ვერ ვიტყვით საქართველოს ხელისუფლების იმ წარმომადგენლებზე, რომელთა მთავარი მიზანიც სწორედ იმ ხიდების დაწვაა, ბესიკ ფიფია რომ უფრთხილდება. ერთ-ერთი ასეთი ხიდი „რია-ნოვოსტის“ საქართველოს წარმომადგენლობაც არის. თუმცა საქართველოს ხელისუფლების განსაკუთრებით ბოლოდროინდელი განცხადებების ფონზე და ამ წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მიმართ დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის შემდეგ გაჩნდა ინფორმაცია, რომ შესაძლოა, „რია-ნოვოსტის“ ოფისი სოხუმში გადაიტანონ, რადგან აქ არ აძლევენ მუშაობის საშუალებას.**

ბუნებრივია, „რია-ნოვოსტის“ წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მიმართ წარდგენილი პრეტენზია უყურადღებოდ არ დარჩათ რუს ჟურნალისტებს. რადიო „ეხო მოსკვის“ წამყვანი ალექსეი ვენედიქტოვი, რომელიც ლიბერალური ღირებულებებისადმი განსაკუთრებული ერთგულებით გამოირჩევა და საქართველოსა და, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, მისი ხელისუფლების მიმართ ერთობ ლოიალურია, გადაცემაში „ოსობოე მნენიე“ მკვეთრი განცხადებით გამოვიდა და მისი ფავორიტი ხელისუფლება დაუნდობლად გაამათრახა. ვენედიქტოვის ამ გამოსვლასაც აქვე გთავაზობთ.

ის, რაც წაიკითხეთ და რისი წაკითხვა თუ მოსმენაც შემდგომში მოგიწევთ (განსაკუთრებით, რუსულ პრესასა და ტელევიზიაში) ამ ფაქტთან დაკავშირებით, მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს ხელისუფლების და მისი საინფორმაციო პოლიტიკის არაადეკვატურობის ნათელი გამოვლინებაა.

უფრო დაზუსტებით კი, შეკითხვა — რა არის ეს — სახელმწიფო საინფორმაციო პოლიტიკის დეგენერაცია თუ ჰუვანოიდების მორიგი პროვოკაცია? — პასუხს მოითხოვს. ადრე თუ გვიან ამ პასუხსაც მივიღებთ, თუმცა შესაძლოა, ძალიან დაგვიანებული აღმოჩნდეს.

**ბონდო მძინარაშვილი**

*გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“*

# რა შუაშია ბესიკ ფიფია?

პატივცემულო რედაქცია!

**ყურადღებით გავეცანი თქვენ მიერ გადმოგზავნილ მასალებს, რომლებიც საქართველოში რუსეთის ფედერაციის საინფორმაციო სააგენტო „რია-ნოვოსტის“ წარმომადგენლობის ხელმძღვანელის, ჟურნალისტ ბესიკ ფიფიას საქმეს ეხება. მე არ გავცნობივარ სისხლის სამართლის საქმის მასალებს, ამიტომ გამიჭირდება მათი დეტალური მიმოხილვა. შევეცდები, კომენტარი გავაკეთო მხოლოდ საქართველოს იუსტიციის მინისტრის სახელზე გაგზავნილ წერილში მოყვანილ კაზუსზე: არის თუ არა დანაშაულის შემადგენლობა (ქმედების შემადგენლობა) იმ მოქმედებაში, რომლის ჩადენასაც ედავებიან ჟურნალისტს.**

პიროვნების დამნაშავედ ცნობას თავის წესი აქვს, მაგრამ არსებობს გამომძიებლის კონკრეტული გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის (ყალბი დოკუმენტის გამოყენება) ეჭვმიტანილადაა ცნობილი ჟურნალისტი ბესიკ ფიფია. გამომძიებლის ეს გადაწყვეტილება საბოლოო არაა, ალბათ, იგი დაკონკრეტდება სისხლის სამართლის საქმეზე მოპოვებული მტკიცებულებების გათვალისწინებით, თუ სახეზე იქნება იმ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისთვის, რომ კონკრეტულმა პირმა ჩაიდინა დანაშაული. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ამისთვის 30-დღიან ვადას ითვალისწინებს, თუ ეჭვმიტანილი დაკავებული არ არის. ამ ვადის გასვლის შემდეგ, თუ ეჭვმიტანილს ბრალდება არ წაეყენა, დადგენილება მისი ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ უქმდება.

**ბესიკ ფიფიას მიერ მომზადებულ დოკუმენტში აღწერილი ქმედების მიხედვით, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ყალბი დოკუმენტის გამოყენების შემადგენლობა სახეზე არ არსებობს. ამის საილუსტრაციოდ მივმართოთ კანონს: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს დანაშაულის ჩადენა. დანაშაულის ცნების სტრუქტურა სამი ნიშნისგან შედგება. ეს ნიშნებია: 1. ქმედების შემადგენლობა, ანუ ჩადენილი ქმედების შესაბამისობა სისხლის სამართლის კანონით აღწერილი შემადგენლობის ნიშნებისადმი; 2. ქმედების მართლწინააღმდეგობა; 3. ბრალი. სამივე ამ ნიშნის თანაარსებობა წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სავალდებულო და საკმარის საფუძველს.**

ჟურნალისტ ბესიკ ფიფიას ქმედებაში არ არსებობს დანაშაულის შემადგენლობის სწორედ ეს, მესამე ნიშანი, რომელიც თანამედროვე სისხლის სამართალში გაგებულია როგორც ბრალდებულის გაკიცხვა ჩადენილი უმართლობის, უარყოფითი შეფასების გამო. იგი განზრახვის და გაუფრთხილებლობის სახით შეიძლება გამოხატოს. გთხოვთ, მიაქციოთ ყუ-

რადღება, რომელი განზრახ ან გაუფრთხილებელი ქმედება აქვს ჩადენილი ჟურნალისტს, რომელიც უმართლოა და გასაკიცხი?

ბესიკ ფიფიას არ გაუყალბებია მართვის მოწმობა. მან მიმართა უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოს (ქ. ზუგდიდის შინაგან საქმეთა განყოფილებას) და შესაბამისი უფლებამოსილების მქონე თანამდების პირს. სწორედ ამ თანამდებობის პირის მიერ გაიცა მართვის უფლების მოწმობის დუბლიკატი შესაბამისი აღნიშვნებით, რომელიც ტექნიკურად გაყალბებული არ არის. რით იხელმძღვანელა მართვის უფლების გამცემმა და რატომ მოხდა დოკუმენტში მითითება ჩ კატეგორიაზე, რა თქმა უნდა, გამოძიებული უნდა იქნეს. მაგრამ რა შუაშია აქ ბესიკ ფიფია? მას ხომ არ ჩაუდენია ისეთი მოქმედება, რომელიც მისი პასუხისმგებლობის საფუძველი გახდებოდა?

ჩემი აზრით, თუ აღნიშნულ იურიდიულ საფუძველზე ჟურნალისტ ბესიკ ფიფიას სისხლისსამართლებრივი დევნა მაინც მოხდა, თავდაყირა დგება არა მარტო სისხლის სამართლის ფუძემდებლური პრინციპი „nullum crimen sinc culpa“ (არ არის დანაშაული ბრალის გარეშე), არამედ ელემენტარული ადამიანური წესიერებაც კი.

დასასრულ, მინდა, აღვნიშნო: მე სპეციალურად არ შევეხე ამ საკითხის პოლიტიკურ მხარეს. ეს ყოველივე მკითხველისთვის მიმინდვია, თუმცა სინანულით და შეშფოთებით მეც ვიტყვი: „ფრთხილად, ქართველებო!“

**გია მეფარიშვილი,**
**პროფესორი**
***გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“***

# ალექსეი ვენედიქტოვი: მიხეილ ნიკოლოზის ძე სააკაშვილი ჟურნალისტებს უმსგავსად ექცევა, იგი უმსგავსად იქცევა პრესასთან

**უკანასკნელი ისტორია, მინდა, ვთქვა, სცდება სიკეთისა და ბოროტების საზღვრებს. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ სისხლის სამართლის საქმე აღძრა „რია-ნოვოსტის“ ბიუროს ხელმძღვანელის — ბესიკ ფიფიას წინააღმდეგ. რისთვის? — იმისთვის, რომ მისი (ყურადღება მიაქციეთ) 1977 წელს (თქვენ არ მოგესმათ, 1977 წელს!) გაცემული მართვის უფლების მოწმობა, როგორც გამომძიებელი ამტკიცებს, მაშინ 17 წლის ბესიკმა გააყალბა, ანუ იგი არ არის ბრალდებული, მაგრამ ჩამოართვეს გაუსვლელობის ხელწერილი და აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. რა არის ეს? რა შეიძლება ამას ვუწოდოთ? მე ყოველთვის ვამბობდი, გეუბნებით თქვენც და მიხეილ ნიკოლოზის ძე სააკაშვილსაც (ვიმედოვნებ, მალე კიდევ ერთხელ გავუმეორებ) — იგი ჟურნალისტებს უმსგავსად ექცევა, იგი უმსგავსად იქცევა პრესასთან. ჩვენ ეს საკუთარი გამოცდილებით ვიცით — შესანიშნავად გვახსოვს, როდესაც ომის დროს თბილისში ჩვენი მაუწყებლობა გათიშეს.**

ამას არანაირი კავშირი არ აქვს იმასთან, თუ რას ვფიქრობ ომის თაობაზე. წესიერად უნდა მოიქცე. რას გადაეკიდე ადამიანს, რომელიც, უკვე დიდი ხანია, საქართველოშია, რომელიც მანდ დაიბადა 1960 წელს და შენზე უფროსია, ბატონო პრეზიდენტო. „რია-ნოვოსტისთვის“ ჩქმეტა გინდა? გეტყვით, რატომაც. გახსოვთ, შევჩენკოსა და მამონტოვთან დაკავშირებული ისტორია? ისინი ქვეყანაში არ შეუშვეს, მაგრამ პატრიარქმა ილია II-მ ამ დელეგაციის წევრი, ჟურნალისტი „რია-ნოვოსტიდან“ ალან კასაევი მიიღო. საქართველოს შსს-ში ეს გამოწვევად მიიღეს — ასე? ახლა თქვენს „რია-ნოვოსტის“ დავასამარებთო. და აღძრეს სისხლის სამართლის საქმე 1977 წელს გაცემული ავტომობილის მართვის უფლების მოწმობის გაყალბების ფაქტზე. შესაძლოა, ამაზეც არ გაჩერდნენ. ეს, რასაკვირველია, არ დაამშვენებს საქართველოს ხელმძღვანელობას და, რბილად რომ ვთქვათ, ბევრს დააეჭვებს პრეზიდენტ სააკაშვილის კეთილ განზრახვაში.

**რადიო „ეხო მოსკვი“, გადაცემა „ოსობოე მნენიე“**

# როგორ შეიწყალეს „ნაცებმა“ მიცვალებული

ანანია სალუქვაძე

მსჯავრდებული სალუქვაძე ა.წ. 25 აგვისტოს, როგორც იქნა, „რესბალნიციდან“ ბადრაგის თანხლებით ინფექციურ საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც მეორე დღეს, ანუ რამდენიმე საათში მისი ბიოლოგიური სიკვდილი დაფიქსირდა. ეს იყო და ეს ამათი ჰუმანურობის „პრედელი“, თორემ ანანია იმთავითვე, ანუ შარშან ოქტომბერში, როდესაც შეთითხნილი ბრალდებით დააპატიმრეს, მძიმე ავადმყოფი იყო.

**ინფექციურში ჩემი მეგობრის გარდაცვალებამდე 15 წუთით ადრე „იქიდან“ დარეკეს და ბრძანეს — ბადრაგი მოხსენით, პრეზიდენტმა შეიწყალაო!.. იქ შაშკინის უწყებას არ „დაეწერა“ მიცვალებული და აქ შეწყალებულთა სია ერთი კაცით გაზარდეს. აი, ამას ჰქვია ორი კურდღლის ერთად დაჭერა, „ნაცებისთვისაც“ კი ჯერჯერობით გაუგონარი ცინიზმის თანხლებით.**

რა არ ვიღონე, ვინ არ შევაწუხე, რომ, იქნებ, ანანია სალუქვაძისთვის სასჯელი გადაევადებინათ. მაგრამ — ამაოდ, მძიმე ავადმყოფს მაინც მიუსაჯეს 10 წელი. ინფექციურში როცა „ახარეს“, თავისუფალი ხარო, სიმწრით გაიღიმა, ამათი დედაც და ამათი შეწყალებაც, მე ისედაც თავისუფალი ვარ, მივდივარო და... — ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვები...

ის იყო დიდი მამა-პაპის ღირსეული შთამომავალი, ნიჭიერი პოეტი და პროზაიკოსი, მაგრამ ამ მხრივ ფართო საზოგადოებისთვის უცნობი, სამაგიეროდ თავისი კაცობით, ნაღდი ქალაქელობით თბილისში კარგად ცნობილი ძველი ვერელი, ყველასათვის საყვარელი კაცი.

ჩემი მეგობრის სეხნია და ბაბუა, უფროსი ანანია სალუქვაძე 1918-21 წლების პარლამენტის წევრი, მწერალი, პუბლიცისტი, ემიგრაციაში არ გაჰყოლია მენშევიკებს და სადღაც გადასახლებაში, ყაზახეთის სტეპებში, ამოხდა სული.

მისმა შვილმა, შოთა სალუქვაძემ შეუძლებელი შეძლო და მამის ტანჯული ძვლები საბურთალოს სასაფლაოზე მიაბარა მიწას და მის გვერდით მერაბ ბერძენიშვილის მიერ დაპროექტებულ აკლდამაში რამდენიმე წლის შემდეგ თავადაც პოვა განსასვენებელი.

42 წლის ვაჟკაცს, ქართული ტელევიზიის ერთ-ერთ დამფუძნებელს, თეატრმცოდნესა და ნიჭიერ ლიტერატორს, შოთა სალუქვაძეს კომუნისტებმა გაუხეთქეს გული, ანუ ამ ოჯახის სამი თაობა სხვადასხვა დროს შეინირა ხელისუფლებამ: ანანია უფროსი — ბოლშევიკებმა, შოთა — კომუნისტებმა და ჩემი სიყრმის მეგობარი — „ნაცების“ ნულოვანმა ტოლერანტობამ.

**დავით მხეიძე**

*გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“*

# „033“-ის თანამშრომლები სამსახურიდან თანამშრომლის არდასმენის გამო დაითხოვეს

**ეკონომიკური კრიზისის გამო საქართველოში უმუშევრობის მაჩვენებელი დღითიდღე იზრდება. ამ მხრივ პრობლემები დამახასიათებელია როგორც კერძო, ისე სახელისუფლო სტრუქტურებისთვის. ამ უკანასკნელ სეგმენტში დასაქმებულებმა სამუშაო ადგილები შედარებით ადვილად შეინარჩუნეს, თუმცა საფრთხე რეალურად არსებობს და სამსახურის დაკარგვის ალბათობაც ნებისმიერი სექტორისთვის დიდია. დასაქმებულებს ზოგჯერ მაშინაც ათავისუფლებენ, როცა მიზეზად ეკონომიკური კრიზისი არ სახელდება, მაგრამ უმნიშვნელო ფაქტი ასეთ საბაბად ადვილად გამოიყენება. რამდენიმე კვირის წინათ ასე მოხდა სასწრაფო დახმარება ,,033“-ის შემთხვევაშიც. კომპანიის ორი თანამშრომელი სამსახურიდან დაითხოვეს მხოლოდ იმ მიზეზით, რომ მათ თანამშრომლის ნასვამობა არ დაადასტურეს. ეს იყო ადამიანის უფლებებისა და შრომის კოდექსის და, უბრალოდ, მორალურ-ეთიკური ნორმების უხეში დარღვევა. სამწუხაროდ, საქართველოში ადამიანის უფლებების დარღვევის არაერთი ფაქტი მომხდარა. ამის თაობაზე შესაბამისი სტრუქტურები და ორგანიზაციები ბევრს საუბრობენ, მაგრამ რეალურად რაიმეს შეცვლა ნაკლებად ხელეწიფებათ.**

„პროფესიული კავშირების“ წარმომადგენელთა განმარტებით, საქართველოში ხშირია შრომის კოდექსის უხეში დარღვევა და, მასთან ერთად, ადამიანის მორალის შელახვა, რაზეც შესაბამისმა სტრუქტურებმა აუცილებლად უნდა გააკეთონ რეაგირება. მით უმეტეს, მაშინ, როდესაც საქართველოს მთავრობა ეკონომიკის სფეროში ერთადერთ პრიორიტეტად სწორედ სამუშაო ადგილების შენარჩუნებასა და უმუშევრობის დაძლევას ასახელებს. მართალია, მთავრობა დაბეჯითებით ირწმუნება, რომ სიღარიბის დასაძლევად ყველაფერს გააკეთებს და არსებული სამუშაო ადგილების შენარჩუნებას მაქსიმალურად შეეცდება, უმუშევრობასთან ბრძოლაში წაყრუების პოლიტიკას ხშირად მიმართავს.

ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები საქართველოში ყოველდღიური მოვლენაა. მას ხელს უწყობს ისიც, რომ შრომის კოდექსი საქართველოში, ფაქტობრივად, არ არსებობს და დასაქმებული მოქალაქეების უფლებები ყოველ წუთს ირღვევა. **პროფკავშირების თავმჯდომარე ირაკლი პეტრიაშვილი** აცხადებს, რომ საჭიროა კანონში ცვლილებების შეტანა. „ჩვენ 30-პუნქტიანი შესწორება შევიტანეთ პრემიერ-მინისტრთან და იმედია, მათში მალე მოხდება გარკვეული და აუცილებელი ცვლილებები, — აცხადებს ირაკლი პეტრიაშვილი, — საქართველოში, ისედაც არარსებული უფლებების უხეში დარღვევის არაერთი ფაქტი არსებობს. ბევრია შემთხვევა, როდესაც სამსახურებიდან უკანონოდ დაითხოვენ

ხოლმე თანამშრომლებს. ჩვენ შეძლებისდაგვარად ვიცავთ მათ უფლებებს. უბედურება ისაა, რომ ადამიანები ხმას არ იღებენ მანამ, სანამ უშუალოდ მათ კარზე არ დააკაკუნებს ასეთი უბედურება. დღეს ხშირია დეკრეტის გაუცემლობის, დაშანტაჟების, ხელფასის უკანონოდ დაქვითვის, უკანონო დათხოვნის ფაქტები. პროფკავშირებში უწყვეტად შემოდის საჩივრები. საჭიროა ჩვენი ორგანიზაციის მეტად გაძლიერება და ფეხზე დაყენება, რათა უფრო მარტივად შევძლოთ მათი დახმარება. ამისათვის კი აუცილებელია კანონში ცვლილებების განხორციელება. სასწრაფო დახმარება „033"-ში მომხდარი შემთხვევა სამარცხვინოა. არანაირ ჩარჩოებში არ ჯდება ის ფაქტი, რომ ვიღაცამ თანამშრომელი არ დააბეზღა და ამ მიზეზით სამსახურიდან დაითხოვეს. ეს ამორალური საქციელია".

ირაკლი პეტრიაშვილის თქმით, კერძო სექტორში ასეთი ფაქტი მრავლადაა, მაგრამ სახელმწიფო კომპანიის — „033"-ის შემთხვევა მათთვის პირველია. პეტრიაშვილი გამოთქვამს ვარაუდს, რომ ,,ასეთ ფაქტს სათანადო რეაგირება თუ არ მოჰყვა, სისტემურ სახეს მიიღებს, მით უმეტეს, როდესაც საქმის კურსში არიან პრემიერ-მინისტრი და მინისტრი, შესაბამისი რეაგირება აუცილებლად უნდა მოხდეს".

**პროფკავშირების თავმჯდომარის მოადგილე გოჩა ალექსანდრია მსგავს დარღვევებს შრომის კოდექსის უვარგისობას მიაწერს. „033"-ის შემთხვევაში კომპანიის ხელმძღვანელი არანაირ დასაბუთებას არ ითხოვს; უბრალოდ, ამბობს, იმიტომ გავუშვით, არ დაადასტურეს თანამშრომლის ნასვამობაო, რაც მათ მოვალეობაში არ შედიოდა. სასწრაფო დახმარების ექიმთა სამუშაოზე აღდგენა კი რატომღაც ჭიანურდება. სამუშაოდან გათავისუფლების მიზეზი დღეს საკმაოდ მრავალგვარია. ვისაც უნდა თანამშრომლის დათხოვნა, საბაბად ეკონომიკური კრიზისის გამოყენებას ადვილად ახერხებს. საქმე ისაა, რომ ადამიანებს თავიანთი უფლებების დაცვა არ შეუძლიათ. ვიღაცამ შვებულება მოითხოვა და არ აუნაზღაურეს, ვიღაცამ კუთვნილი ხელფასის დროულად მიღება მოითხოვა და უარი მიიღო და ა.შ.**

„ჯერ კიდევ ორი წლის წინათ ფოთის პორტის რამდენიმე მედმუშაკი სამსახურიდან მხოლოდ იმის გამო გაათავისუფლეს, რომ უკეთეს სამუშაო პირობებს ითხოვდნენ. პროცესი ახლახან დასრულდა, სამწუხაროდ, წავაგეთ, — ამბობს ალექსანდრია, — ბევრია, ასევე, დამსაქმებელთა მხრიდან ვალდებულებების შეუსრულებლობისა და ხელფასების გაუცემლობის ფაქტი. პრობლემა განსაკუთრებით იმათ შეეხო, ვინც ამა თუ იმ კომპანიაში ხელშეკრულების გარეშე მუშაობდა. ხელისუფლების ბევრი წარმომადგენელი და მასთან დაახლოებული ექსპერტი აცხადებდა, რომ საქართველო არ არის საერთაშორისო ბაზრებთან ინტეგრირებული ქვეყანა და კრიზისი არ შეეხებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. მსოფლიო საფინანსო კრიზისი შეგვეხო და საკმაოდ მწვავედაც. ეს პრობლემა განსაკუთრებით კერძო სექტორს ეხება. საჯარო სამსახურებში დაფინანსება გადასახადებზეა დამოკიდებული, სადაც, ასევე, მნიშვნელოვანი დარღვევებია.

ჩვენ დავიცავთ ყველა ადამიანს, რომელსაც დამსაქმებელთან ხელშეკრულება აქვს გაფორმებული. კანონში გვაქვს მექანიზმები, რაც მათ დაც-

ვას უზრუნველყოფს. სამწუხაროდ, უფრო სერიოზული პრობლემის წინაშე აღმოჩნდებიან ისინი, ვინც აქამდე ხელშეკრულების გარეშე მუშაობდა. ამ ადამიანების დაცვა ძნელია. ჩვენ მათ დიდი ხნის განმავლობაში ვაფრთხილებდით, რომ მონურ შრომაზე არ წასულიყვნენ და დამსაქმებელთან ხელშეკრულების გარეშე საქმიანობაზე თავის დროზე უნდა ეთქვათ უარი. სამწუხაროდ, მაშინ არავინ გვისმინა, შედეგმა კი, როგორც ხედავთ, დიდხანს არ დააყოვნა“.

კერძო სტრუქტურები დღესაც შეგნებულად არიდებენ თავს ხელშეკრულების გაფორმებას. სამწუხაროდ, როდესაც ქვეყანაში სრული უმუშევრობაა და ყველა ცდილობს, როგორმე იშოვოს დღიური ლუკმა, ხელშეკრულების გარეშე შრომასაც ადვილად თანხმდება.

**ირმა ჩიტაია**

***გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“***

**P.S.** აქვე დავამატებთ, რომ ამ ბოლო წლებში შრომითი და სოციალური საკითხების მარეგულირებელმა საკანონმდებლო ცვლილებებმა მკვეთრად შეუზღუდა მატერიალური და სოციალური შეღავათები და გარანტიები ორსულებს და მეძუძურ დედებს.

# 3-დან 60 წლამდე მოქალაქეთა უმრავლესობას ხელი არ მიუწვდება ჯანდაცვის მომსახურებაზე

**ჯანდაცვის სფეროში გატარებული რეფორმების მიუხედავად, საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის ჯანდაცვა ხელმისაწვდომი არაა. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემი მას შემდეგ გახდა, რაც ჯანდაცვის თითქმის ყველა ობიექტი გასხვისდა და შეწყდა სახელმწიფო პროგრამების უდიდესი ნაწილის მოქმედება. მოსახლეობა იაფი დაზღვევის ამარა დარჩა, რომელიც, ძირითადად, მხოლოდ სისხლისა და შარდის საერთო ანალიზს მოიცავს და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების მცირე ჩამონათვალს. ხშირად უხეშად ირღვევა პაციენტთა უფლებებიც. არაპროფესიონალიზმი და სამსახურებრივი გულგრილობა ის ძირითადი მიზეზებია, რის გამოც ხშირად ადამიანს ერთმევა სიცოცხლის უზენაესი უფლება. თუმცა მსგავსი ფატალური ფაქტების დაფიქსირების დროსაც, ისევე, როგორც ბევრ სხვა შემთხვევაში, განმკითხავი არავინაა. ჯანდაცვის სამინისტროს „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოც“, რომლის პირდაპირი დანიშნულება პაციენტთა უფლებების დარღვევის შესწავლაა, ადგენს ისეთ დასკვნას, რომელშიც უმეტესწილად არ ფიქსირდება ფრაზა „არაპროფესიონალიზმი და სამსახურებრივი გულგრილობა“. ჯანდაცვის სფეროში შექმნილ პრობლემებზე და პაციენტთა უფლებების დარღვევის ფაქტებზე სასაუბროდ არასამთავრობო ორგანიზაცია „Welfare foundation“-ის იურიდიულ მრჩეველს და ჯანდაცვის ომბუდსმენს, ქალბატონ მირანდა ახვლედიანს ვეწვიეთ.**

**— რა არის დღეისათვის ყველაზე მწვავე პრობლემა საქართველოს ჯანდაცვაში?**

— ჯანდაცვის განვითარების გენერალური გეგმის მიხედვით, 2008 წლის ბოლომდე საქართველოს უღატაკესი მოსახლეობის უფრო დიდი ნაწილისათვის უნდა გამხდარიყო ხელმისაწვდომი უფასო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა. ამჟამად ამ პროგრამაში დაახლოებით 1 200 000 მოქალაქეა ჩართული. საქართველოს მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც ამ პროგრამის გარეთ დარჩა, სტაციონარული მომსახურების საჭიროებისთანავე უსახსრობის გამო უმწეო მდგომარეობაში აღმოჩნდება ხოლმე. ეს ფაქტი განსაკუთრებით თვალშისაცემი გახდა მას შემდეგ, რაც ჯანდაცვის მინისტრის 2008 წლის 31 დეკემბრის ბრძანებით სახელმწიფო პროგრამების უდიდესი ნაწილი გაუქმდა, ამიტომ ხელისუფლებამ „იაფი დაზღვევა“ შემოიღო, ე.წ. ხუთლარიანი დაზღვევა.

**— როგორც ცნობილია, არც ეს დაზღვევა მოიცავს სრულყოფილ მომსახურებას...**

— ის პაკეტი, რაც ხუთლარიანი დაზღვევით შესთავაზეს მოსახლეობას, ფაქტობრივად, პირველად ჯანდაცვაში მხოლოდ სისხლისა და შარდის საერთო ანალიზებს, სისხლში გლუკოზის განსაზღვრას და ელექტროკარდიოგრამას მოიცავს. რაც შეეხება ურგენტულ დახმარებას — სადაზღვევო კომპანია მხოლოდ 50%-ს ფარავს და თან არსებობს გარკვეული ნოზოლოგიების ჩამონათვალი, რომელიც ანაზღაურდება. მაგალითად, ბარძაყის ყელის მოტეხილობა არ არის ურგენტული, შესაბამისად, მოქალაქემ თუ მოიტეხა ფეხი, მას თავად მოუწევს მკურნალობის საფასურის სრულად დაფარვა.

მოსახლეობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია გეგმური ოპერაციები, რომლებსაც დაზღვევა არ ეხება. არადა, მოსახლეობის ძირითად ნაწილს არ შეუძლია ოპერაციაში 2000 ლარის გადახდა, მიუხედავად იმისა, რომ ღარიბებად არ ითვლებიან და არ არიან რეგისტრირებული შესაბამის მონაცემთა ბაზაში.

**— გარკვეულ ხანს ტელევიზიით გვიჩვენებდნენ იაფი დაზღვევით კმაყოფილ ადამიანს, რომელსაც ხელის მოტეხვის ოპერაციის და მკურნალობის საფასური აუნაზღაურეს. გამოდის, მოსახლეობას ატყუებდნენ?**

— ხელის მოტეხილობა ურგენტული არ არის და არ შედის ნოზოლოგიების ჩამონათვალში. ამდენად, სახელმწიფო პროგრამით მას ამგვარი მომსახურება არ ეკუთვნის და, სავარაუდოდ, ვერც ოპერაციას გაიკეთებდა.

**— ხელმისაწვდომობასთან ერთად, სერიოზულ პრობლემას მკურნალობის ხარისხი წარმოადგენს. რა ინფორმაციას ფლობთ ამ კუთხით?**

— არსებობს ჯანდაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული სამოქმედო სახელმძღვანელოები (გაიდლაინები), რომელთა მიხედვითაც უნდა მოქმედებდეს ექიმი და არა საკუთარი შეხედულებისამებრ. ექიმები თავიანთ პირად მოსაზრებაზე დაყრდნობით მკურნალობენ პაციენტებს, ნაცვლად მტკიცებულებაზე დამყარებული მედიცინისა. ყველა ექიმს სუბიექტური მიდგომები აქვს და, შესაბამისად, ხარისხიც დაბალია. როცა ჯანმრთელობის უფლებაზეა საუბარი, მხოლოდ პაციენტთა უფლებები არ ირღვევა. ხშირად ექიმებს არ აქვთ ადეკვატური სამუშაო გარემო და ადეკვატური ანაზღაურება. ეს მეორე ძირითადი მიზეზია, რის გამოც მკურნალობის ხარისხი დაბალია.

**— ყველაზე ხშირად როდის ირღვევა პაციენტთა უფლებები?**

— როგორც უკვე ვთქვით, ჯანდაცვის ხელმისაწვდომობაა უპირველესი პრობლემა. ამასთან, ჯანდაცვის რეფორმა სპონტანურად, არათანმიმდევრულად მიმდინარეობს, გაპიარებულია რეფორმის მხოლოდ ზოგადი ნაწილი, რის გამოც პაციენტამდე ვერ აღწევს დაწვრილებითი ინფორმაცია. მათ არ იციან, რაში გაეწევათ შეღავათი, რას აძლევს მათ სახელმწიფო, ანუ ინფორმაციის მიღებაც პრობლემაა. ხშირ შემთხვევაში ირღვევა კონფიდენციალობა. არ მინდა, ბოლომდე ექიმები დავადანაშაულო, მაგრამ დღეს საქართველოში არ არის იმის კულტურა, რომ პაციენტთა ავადმყოფობის ისტორიები არ გახდეს ღია და საჯარო განხილვის საგანი. ასე-

ვე პრობლემაა ავადმყოფის ინფორმატიული თანხმობა, ანუ ექიმი ერთპიროვნულად იღებს მკურნალობის მეთოდების შერჩევის გადაწყვეტილებას, მიუხედავად იმისა, რომ კანონით ვალდებულია, პაციენტთან შეათანხმოს მკურნალობის მეთოდები.

**— კონკრეტული შემთხვევის დასახელება თუ შეგიძლიათ?**

— ჯანდაცვის სამინისტროს არ აქვს ჯანდაცვის ომბუდსმენის ინსტიტუტი. როცა სამინისტროს ამ წინადადებით მივმართეთ, მან მიზანშეწონილად არ ჩათვალა სისტემაში ჯანმრთელობის უფლების დამცველის არსებობა. არადა, როცა საქმე ეხებოდა პაციენტს, რომლის მშობლებიც რელიგიური მრწამსის გამო სისხლის გადასხმის წინააღმდეგნი იყვნენ, ჯანდაცვის სამინისტროში არ აღმოჩნდა ისეთი პიროვნება, რომელიც ამ ფაქტზე კომენტარს მაინც გააკეთებდა. ამ უწყებაში მოქმედებს „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო“, სადაც შედის საჩივრები, მაგრამ მათი მხრიდან, ხშირ შემთხვევაში, იდება ისეთი დასკვნები, რომლებშიც ყველაფერია (ისტორიის შევსებიდან დაწყებული, მცირე დარღვევებით დასრულებული) ექიმთა არაპროფესიონალიზმისა და სამსახურებრივი გულგრილობის გარდა. იძულებული ვართ, იმას დავჯერდეთ, რასაც გვთავაზობენ, რადგან არ გვყავს შესაბამისი ექსპერტები დამოუკიდებელი დასკვნის გამოსატანად.

ვერ გეტყვით, რამდენად მიუკერძოებლად მუშაობენ ჯანდაცვის სამინისტროს ექსპერტები კონკრეტული სამედიცინო შეცდომების შესწავლის დროს. იყო შემთხვევა, როცა პაციენტი ავტოკატასტროფაში დაშავდა. მას რამდენიმე ქირურგიული ოპერაცია ჩაუტარდა, რომლის დროსაც ის დაიღუპა. მშობლების საჩივრის საფუძველზე საქმე სააგენტომ შეისწავლა, რომლის დასკვნასაც არ დავეთანხმეთ, არაპროფესიონალიზმი და გულგრილი დამოკიდებულება პაციენტისადმი აშკარა იყო, მაგრამ მათ დასკვნაში არ ჩანდა.

**— ქალბატონო მირანდა, სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს „პსპ“-ს და „ავერსის“ მიერ ფარმაცევტული ბაზრის ერთგვარი მონოპოლიზაცია, რომლებიც, ასევე, ფლობენ კლინიკებს. იქნებ ამ საკითხსაც შევეხოთ...**

— დღეს რაც ფარმაცევტულ ბაზარზე ხდება, მოსახლეობისთვის ესეც სერიოზული პრობლემაა. საქართველოში არ არსებობს სარეცეპტო სისტემა, შესაბამისად, მოსახლეობა ეწევა თვითმკურნალობას. ამ შემთხვევაში რჩევას აძლევენ თვითონ აფთიაქები, რომლებიც, როგორც წესი, საკუთარი პროდუქციის გასაღებაზეა ორიენტირებული. თვითმკურნალობას არ მოსდევს შედეგი, პაციენტი იძულებული ხდება, განმეორებითი მკურნალობა ჩაიტაროს, რაც ზრდის დანახარჯს. სარეცეპტო სისტემის არარსებობა, გარდა დანახარჯის ზრდისა, საშიშროებას უქმნის პაციენტთა ჯანმრთელობას (მაგ., ანტიბიოტიკების შემთხვევაში).

**— ექიმები ხშირად შეკრულნი არიან ფარმაცევტულ კომპანიებთან. იმ ექიმებისთვის, რომლებიც ყველაზე მეტ წამალს გააყიდვინებენ, თა-**

**მაშდება საგზურები; ასაჩუქრებენ სხვადასხვა საოჯახო ტექნიკით და ა.შ., ანუ ექიმი ხშირად პაციენტის ინტერესზე მაღლა კონკრეტული ფარმაცევტული კომპანიის ინტერესს აყენებს...**

— ამის შესახებ პირად საუბრებში ბევრი მსმენია, მაგრამ კონკრეტული საჩივრით არავის მოუმართავს. ეს კორუფციაა და თუ ერთი ფაქტიც კი ჩვენამდე არ მოვიდა, ისე ვერაფერს გეტყვით — ვერც დავადასტურებ და ვერც უარვყოფ. დაბოლოს, მინდა, ისევ ჯანდაცვის რეფორმის საკითხს დავუბრუნდე, რადგან რეფორმები ძირითადად დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობს; არ არსებობს ჯანსაღი დისკუსია აღმასრულებელ ხელისუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის, პროცესი არ არის გამჭვირვალე და, აქედან გამომდინარე, ეჭვს ბადებს რეფორმის ბევრი დეტალი.

*ესაუბრა* **ნათია ქადაგიშვილი**
***გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“***

**P.S.** აქვე დავძენთ, რომ ბოლო წელიწადნახევარია, სამედიცინო მომსახურება მთლიანად ფასიანი გახდა და ისედაც მაღალი ფასები გაორმაგდა როგორც წამლებზე, ისე სამედიცინო მომსახურებაზე. მაგალითად, უმნიშვნელო ქირურგიული ჩარევაც კი, რომლის შემდეგაც ავადმყოფს არ ესაჭიროება სტაციონარში მოთავსება და მკურნალობას სახლში უნიშნავენ, მედიკამენტების ღირებულების ჩაუთვლელად 500 ამერიკული დოლარი ჯდება.

# წაგებული ომის შემდეგ ქვეყანას რეპრესიების ტალღამ გადაუარა

აგვისტოს მოვლენების მერე ლოგიკური იყო რეპრესიების დაწყება. ეს პროცესი განსაკუთრებით სამხედრო პირების მიმართ იყო მოსალოდნელი. ამით ხელისუფლება შეეცდებოდა, ხალხისთვის დაენახვებინა, აგვისტოს წარუმატებლობა სხვა ფაქტორებთან ერთად მოღალატე სამხედროების ბრალიც რომ იყო. ხელისუფლება რამდენიმე ათეული სამხედრო პირის დასჯით სხვა ნაწილებს ხალხის მხარეს დადგომის სურვილს დაუკარგავდა. ხელისუფლებას არ ასვენებდა არამარტო მოქმედი, არამედ თადარიგში გასული ავტორიტეტული სამხედრო ოფიცრები.

**და აი, ლოგიკური განვითარებაც. ერთ მშვენიერ დღეს ქვეყანამ გაიგო მუხროვანის სატანკო ნაწილის „ამბოხების“ შესახებ. მკითხველისთვის ცნობილია ამ ე.წ. ამბოხების პერიპეტიები. ხელისუფლებამ რამდენიმე ათეული სამხედრო დააპატიმრა, მათ შორის, გენერალ-მაიორი კობა კობალაძე, რომლის გვარსაც „მეამბოხე“ გია ღვალაძე „საბრძოლო განწყობის ასამაღლებლად“ ასახელებდა თურმე თანამოაზრეებთან საუბრის დროს.**

**ქეთი კობალაძე, კობა კობალაძის მეუღლე:** „კობამ დილით ბავშვები სკოლაში წაიყვანა. ცოტა შეაგვიანდა. 12 საათზე მოვიდა სახლში. რეკავდნენ ჟურნალისტები. კობამ ისინი შინ მოიწვია და შეხვედრისთვის მზადება დაიწყო. ამასობაში დარეკა ერთმა ჟურნალისტმა, სახლს ვერ მოვაგენით და კინო „საქართველოსთან“ შეგვხვდითო...

ათი წუთის გასული იყო შინიდან, საინფორმაციოში რომ გამოაცხადეს, ამ წუთას აიყვანეს გენერალი კობა კობალაძეო. ეს ჩვენთვის შოკი იყო. თითქოს ელოდებოდნენ მის გარეთ გასვლას...“

კობალაძის დაკავების თითქმის პარალელურად სამართალდამცველები მის ოჯახში მივიდნენ და ჩხრეკა ჩაატარეს. ამოიღეს რამდენიმე კანონიერად გაფორმებული იარაღი და ხელყუმბარა.

სამართალდამცველებმა კობალაძეს გია ღვალაძის ჩვენების საფუძველზე ბრალი წაუყენეს ამბოხის ორგანიზების მცდელობასა და იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვისათვის, თუმცა ეს ყუმბარები კობა კობალაძემ აგვისტოს ომის დროს თავდაცვის სამინისტროს ოსიაურის სამხედრო ბაზაზე მიიღო. ამას ადასტურებს მიღე-

ბა-ჩაბარების აქტი, რომელიც პოლიციელებმა სხვა საბუთებთან ერთად წაიღეს.

**შალვა თადუმიძე, კობა კობალაძის ადვოკატი:** „ამ საბუთში თავდაცვის სამინისტროს შეიარაღების წარმომადგენელი ხელმოწერით ადასტურებს, რომ კობალაძემ აგვისტოს მოვლენების დროს მიიღო შეიარაღების ერთი კომპლექტი. მასში შედიოდა ერთი ავტომატი, რამდენიმე მჭიდი ვაზნებით და რამდენიმე ხელყუმბარა. შეიარაღება კობალაძემ აგვისტოს ომის შემდეგ ქართველი სამხედრო მოსამსახურეების მიერ გზაში გადაყრილ სხვა შეიარაღებასთან ერთად, რომელიც კობალაძემ საბრძოლო მოქმედებების რაიონში მოაგროვა, თავდაცვის სამინისტროს ჩააბარა. ამაზეც არსებობს მიღება-ჩაბარების აქტი. რამდენიმე ხელყუმბარა შემთხვევით ჩარჩა კობალაძის მანქანის საბარგულში და მოგვიანებით სახლში, დაცულ ადგილას, შეინახა. ამის გამო მას შეიძლება დაკისრებოდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა და არავითარ შემთხვეაში — სისხლის, რადგან ეს ყუმბარები ოფიციალური სტრუქტურიდან, თავდაცვის სამინისტროდანაა წამოღებული“.

მიუხედავად ადვოკატების არაერთგზის თხოვნისა, სამინისტროს გენშტაბი უარს აცხადებს ამ მიღება-ჩაბარების აქტის დაცვის მხარისთვის გადაცემაზე. როგორც ადვოკატები აცხადებენ, გენშტაბის უფროსი დევი ჭანკოტაძე ამის კატეგორიული წინააღმდეგია.

საგულისხმოა, რომ დღევანდელი გენშტაბის უფროსი და კობალაძე დიდი ხნის მეგობრები იყვნენ.

**ქეთი კოგალაძე:** „არადა, კობას კარგი დამოკიდებულება ჰქონდა დევის მიმართ, მაგრამ მისგან საპასუხო კეთილგანწყობა რომ ვერ დავინახე, ძალიან დამწყდა გული. რამდენიმე თვე ჩინეთში ერთად იყვნენ, გვერდიგვერდ ოთახებში ცხოვრობდნენ. ბოლო ერთი თვე მეც იქ ვიყავი და ჩემს გაკეთებულ საჭმელს მიირთმევდა... აქაც ერთად მუშაობდნენ...“

ნამდვილად გაკვირვებას იწვევს ჭანკოტაძის ასეთი ქცევა, რადგან სასამართლო მას მაინც აიძულებს, ეს საბუთი წარმოადგინოს. რა საჭიროა ასეთი გაჯიუტება, მითუმეტეს, ამით კობალაძის საქმეს არც არაფერი მოაკლდება, ალბათ, იმიტომ, რომ მისი ციხეში ყოფნა პოლიტიკური გადაწყვეტილებაა. უბრალოდ, ამ დოკუმენტით მას ერთი ბრალდება მოეხსნება.

**რაც შეეხება ბრალდებას, რომ კობალაძე მცხეთაში ქეიფ-ქეიფით გეგმავდა ამბოხს, როგორც ქალბატონი ქეთი აცხადებს, გენერალი კობალაძე იმ დღეებში მცხეთაში საერთოდ არ ყოფილა. ამის უამრავი მოწმეა და 29 კაცმა ჩვენებებითაც დაადასტურა. დაცვამ მოიპოვა სატელეფონო სადგურის ამონაწერებიც, საიდანაც ამ დღეებში კობალაძის მცხეთაში ყოფნა არ დასტურდება, თუმცა გამოძიებისთვის ეს ვერ გახდა მყარი არგუმენტი. მისი აზრით, შეიძლებოდა, კობალაძეს ტელეფონი სახლში დაეტოვებინა. მაგრამ ეს ვარაუდიც ბათილდება, რადგან იმ დღეებში კობალაძემ რამდენიმე პირთან ისაუბრა და ამას ის ხალხიც ადასტურებს.**

**მოკლედ, მთავარია პოლიტიკური ნება და კობალაძის საქმე ხუხულასავით დაინგრევა. ამის იმედად იყვნენ ოჯახი და ადვოკატები. პრე-**

**საშიც გავრცელდა ვარაუდი, რომ კობალაძე, მას მერე, რაც წინასწარი პატიმრობის ვადა დაუმთავრდებოდა, განთავისუფლდებოდა, მაგრამ... კობალაძე მაინც ციხეში დარჩა. და ეს ლოგიკურიცაა, რადგან იგი სააკაშვილის პირადი ბრძანებითაა დაკავებული.**

მაინც რატომ გახდა გენერალი კობალაძე პრეზიდენტის მაღალი ყურადღების ობიექტი?

კობალაძის დაპატიმრებას ოჯახი მის მიერ სხვა, ყოფილ სამხედრო მაღალჩინოსნებთან ერთად არასამთავრობო ორგანიზაციის — „გენერალთა კლუბის“ შექმნას უკავშირებს. ამავე დროს, იგი რამდენჯერმე თავის ბავშვის ნათლიასთან, გია ყარყარაშვილთან გამოჩნდა ოფისში და ოპოზიციის აპრილის აქციებზეც. მანამდეც უთვლიდნენ, რომ დაეტოვებინა საქართველო, თუ არ უნდოდა პრობლემები შეჰქმნოდა, მიზეზად ქართულ ჯარში მის დიდ ავტორიტეტს ასახელებდნენ, მაგრამ მან თავისი არჩევანი გააკეთა და ამის საფასურს შეგნებულად იხდის.

ხელისუფლებამ იფიქრა, კობალაძე გააქტიურდაო და მასში საშიშროება დაინახა, რომელსაც შეეძლო, თავისი ავტორიტეტით აგვისტოს ომში დამარცხებული ჯარისკაცების სიმპათია მოეპოვებინა და გაენეიტრალებინა ხელისუფლების მცდელობა, სურვილის შემთხვევაში ხალხის წინააღმდეგ გამოსულიყო ჯარი.

სხვათაშორის, ზოგიერთი ინფორმაციით, მუხროვანში დაუმორჩილებლობის ერთ-ერთი მიზეზი იყო ის ბრძანება, რომელიც, სავარაუდოდ, ნაწილმა ხალხის წინააღმდეგ გამოსვლასთან დაკავშირებით მიიღო.

ხელისუფლებამ მოიშორა ზედმეტი თავისტკივილი და კობალაძე სხვა სამხედროებთან ერთად ციხეში გამოკეტა. ამით მეორე კურდღელიც დაიჭირა. არცერთ სამხედრო ნაწილს აღარ მოუვა აზრად, წინააღმდეგობა გაუწიოს ხელისუფლების (თუნდაც უკანონო) ბრძანების შესრულებას. მერე რა, რომ პატრიარქმა მოუწოდა ჯარს და პოლიციას, არ აღემართა ხელი თავის ხალხზე... ჩვენთან ხელისუფლების არგუმენტები უფრო „მყარია“... დაპატიმრება, რეპრესია.

კობალაძე შეიარაღებული ძალებიდან თავისი ნებით „ვარდების რევოლუციის“ მერე წამოვიდა. მიზეზი იყო ის, რომ შევარდნაძის დროს მსახურობდა.

თავიდან კობალაძეს საკმაოდ ნორმალური ურთიერთობა ჰქონდა „ვარდების ხელისუფლებასთან“. სწორედ მისი ორგანიზებული იყო პრეზიდენტის ინაუგურაცია, რისთვისაც პირადად სააკაშვილისგან მადლობაც დაიმსახურა, მაგრამ...

**ქეთი კობალაძე:** „6 წელია, რაც კობა სამინისტროდან წამოვიდა. მას მერე სულ უთვალთვალებდნენ.

ჯარში რომ არ იყო, ძალიან განიცდიდა. ფორმა ისე უყვარდა, ქორწილშიც რომ მივდიოდით, ფორმას იცვამდა ხოლმე. მეც სულ ვეუბნებოდი, ნეტავ ფორმას როდის გაიხდი-თქო...

სულ უნდოდა, რაღაც გაეკეთებინა თავისი ქვეყნისთვის. სახლში რომ იყო, ძალიან ნერვიულობდა. გახარებული იყო, რომ „გენერალთა კლუბი“ ჩამოაყალიბა, რაღაცას მაინც გავაკეთებ ჩემი ქვეყნისთვისო...“

აგვისტოს ომის დროს კობალაძემ პატაკით მიმართა პრეზიდენტს და სთხოვა, გამოეყენებინათ მისი ცოდნა და გამოცდილება ქვეყნის დასაცავად, მაგრამ მას არავინ შეხმიანებია. მან რამდენიმე მეგობართან ერთად მაინც მიიღო მონაწილეობა ამ ომში მოხალისედ. კობალაძის მსგავსად ხელისუფლებამ ბევრ ყოფილ მებრძოლსაც გაუკეთა იგნორირება. მიზეზად კი ის დაასახელეს, „რეზერვი" არ გაქვთ გავლილიო... სახელმწიფომ უარი თქვა გამოცდილი ხალხის დახმარებაზე.

კობალაძე ერთ-ერთი ის სამხედროა, რომელმაც დიდი საბრძოლო გამოცდილება მიიღო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომებში. მან თავისი ნებით მოიხადა სამხედრო-სავალდებულო სამსახური რუსეთში და, ბევრი ქართველისგან განსხვავებით, სპეცდანიშნულების ბატალიონში წავიდა. როცა სამშობლოს დაცვა დასჭირდა, ცოტა გვყავდა სამხედრო გამოცდილების მქონე ხალხი.

**გურამ კობალაძე, კობა კობალაძის მამა:** „კობას ბავშვობიდანვე ჰქონდა ვაჟკაცური თვისებები. ბევრჯერ მეც მილაპარაკია საქართველოს ისტორიაზე, სამაჩაბლოზე. ჩვენ იქიდან ვართ წარმოშობით. ძალიან რომ განვიცდიდი ჩემი კუთხის დაკარგვას, კობა სულ მამშვიდებდა, ნუ გეშინია, ღირსეულად შევალთო. ოქრუაშვილი რომ თავდაცვის მინისტრად დანიშნეს, გამიხარდა, მეგონა, ისეთ ბიჭებს მოუყრიდა თავს, ვინც იქიდანაა წარმოშობით. ამათ ბაზაზე დააშენებდა ჯარს... ბავშვობიდან ვერ ეგუებოდა უსამართლობასა და ჩაგვრას.

პრეზიდენტი გამოვიდა და ბრძანა, რატომ დადის კობალაძე თავისუფალიო. რატომ არ უნდა იაროს? კობა დაახლოებით მაგის ტოლია. სად იყო ეგ თავის შანტრაბასთან ერთად, როცა კობა სისხლს ღვრიდა? ახლაც იმას იძახის, სადაც ჩემი ძმები დაიღუპნენ, იმას მუხლისჩოქვით შემოვუერთებ საქართველოსო. ამათ კი ციხეში გამოკეტეს. ასეთი დაფინანსება რომ ჰქონოდათ მაშინ... შიშველი ხელებით 13 თვე მაგრად იბრძოლეს. კობაზე რომ იტყვი — კორუმპირებულიაო(?!)... გადახედე კობას განვლილ გზას — სულ სწავლა, დიპლომი, ბრძოლა და მერე შენი თანაგუნდელების ფინანსურ დეკლარაციაშიც ჩაიხედე. გენერალ კაცს ბინა რომ მისცეს, 200კვ მ სხვას მისცა — „ავადმყოფი ცოლი ჰყავსო". არადა, თვითონ ოთხი შვილი ჰყავს. სახლიდან მიჰქონდა თანამებრძოლებისთვის ყველაფერი. ისინიც აღმერთებდნენ, შვილებს კობას არქმევდნენ".

ქართველ ძალოვან მაღალჩინოსანს ერთ-ერთ უცხოურ გამოცემასთან ინტერვიუში უთქვამს — „კობალაძე საბჭოთა გენერალიაო". ეს ნამდვილი სიბრიყვეა, რადგან, მართალია, კობალაძეს ფრუნზეს გენშტაბის აკადემია აქვს დამთავრებული რუსეთში, მაგრამ ამას გარდა, მან განათლება მიიღო გერმანიის, ამერიკის, იტალიის, ჩინეთის სამხედრო სასწავლებლებშიც; მაშინ გამოდის, რომ ამ ქვეყნების გენერალიც ყოფილა...

დაბოლოს, იმედია, სამართალი გაიმარჯვებს და უდანაშაულო ადამიანი გარეთ გამოვა, მაგრამ რა ვუყოთ იმ სტრესს, რომელიც გენერალ

კობალაძის ბავშვებმა მიიღეს მამის უკანონო დაპატიმრებით? როგორ შეიძლება ქვეყანაში გყავდეს ისეთი სამხედრო პირი, როგორიც კობალაძეა და მას არ იყენებდე ქვეყნისთვის?! ნორმალურ სახელმწიფოებში ცდილობენ, გმირები შექმნან, რათა მომავალმა თაობებმა მათ მაგალითზე ისწავლონ სამშობლოს სიყვარული. ჩვენთან კი კაცს, რომელსაც აბსოლუტურად ყველა სამხედრო ჯილდო სისხლით აქვს მოპოვებული, ციხეში საეჭვო ბრალდებით კეტავენ; ომგამოვლილ ბიჭებს გულს სტკენს სახელმწიფოს ასეთი დამოკიდებულება, მაგრამ ეჭვიც არ მეპარება, როცა სამშობლოს დასჭირდება, ისევ ისინი დადგებიან მის დასაცავად, იმიტომ, რომ გმირები სამშობლოს არ ებუტებიან!..

**კახა იორამაშვილი**

***გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“***

# ამოიცანით ჯალათები!

ბოლო ორი თვის განმავლობაში მომხდარი დარბევებისა თუ შეხლა-შემოხლის შემდეგ ქალაქში საინფორმაციო ფლაერები გაჩნდა და აქა-იქ გაკრული პლაკატებიც ნახა საზოგადოებამ. მათზე ოცდაათამდე ადამიანის ფოტოებია დაბეჭდილი... რედაქციაში შემოსული წერილის კვალდაკვალ ჟურნალისტ ირაკლი კორძაიას ვესტუმრეთ, რომელიც ერთ-ერთი ინიციატორია ამ სკანდალური აქციისა, რომელსაც არანაკლებ სკანდალური სახელი აქვს — „ამოიცანი მიშას ჯალათები!“



**ამოცნობის შემთხვევაში მოგვაწოდეთ ინფორმაცია შემდეგ მისამართზე: jalatebi@yahoo.com**

— პირველ რიგში, ყურადღება უნდა გავამახვილო იმაზე, რომ, როგორც წესი, მიხეილ სააკაშვილის ოპონენტები ისჯებიან მარტივ შემთხვევებშიც კი. საკმარისია პატარა ინსინუაცია ძალოვანი სტრუქტურების მხრიდან და ჩვენი მომხრეები ხვდებიან გისოსებს მიღმა. ამის ნათელი დასტურია ჩემი მეგობრების მიმართ ჩადენილი ქმედებები. დაჩი ცაგურია, მიხეილ მესხი, მერაბ ჭიქაშვილი, დავით ფაცაცია და კიდევ ძალიან ბევრი სხვა დღეს მერაბიშვილის ციხის საკნებში სხედან! შემაშფოთებელია, რომ სააკაშვილის ზონდერბრიგადები არა მხოლოდ ღამის საათებში, არამედ უკვე დღისითაც ღიად ესხმიან თავს მშვიდობიან მოქალაქეებს!

ეს ჯალათები დაფიქსირებულები არიან ვიდეო- და ფოტოფირებზე, სადაც ნათლად ჩანს, როგორ უმოწყალოდ უსწორდებიან და სცემენ მოქალაქეებს, ახალგაზრდებს, ხანდაზმულ ქალბატონებს!

ამაღლების ღამეს მომხდარ ინციდენტში მონაწილე პირთაგან საზოგადოებამ ამოიცნო ოთხი — ირაკლი ანდრონიკაშვილი, ბაკურ კორნილოვი, ირაკლი გოგია და ნუგზარ ციხელაშვილი! ესენი არიან ადამიანები, რომლებიც იყენებენ ქვებს, კასტეტებს, დანებს, რკინის ხელკეტებს!

მათ არ აქვთ ჩვეულებრივი პოლიციური ხელკეტი... ეს იყო რკინის ხელკეტი, რომლებსაც ურტყამდნენ მშვიდობიან მომიტინგეებს.

არსებობს მეორე ფაქტის ამსახველი კადრებიც. პარლამენტის წინ მომხდარ ინციდენტში ჩვენ ამოვიცანით ორი პიროვნება — სერგო ბიჭიაშვილი და ბადრი ბაკოევი, რომლებიც არიან „ნაცმოძრაობის“ ისანი-სამგორის რაიონის აქტივისტები. ისინი პოლიციელებთან ერთად უსწორდებოდნენ ხალხს! პარლამენტის ინციდენტის დროს მოხდა მათი ლუსტრირება! ყველა, პოლიციელებიცა და აქტივისტებიც, ვინც მონაწილეობდა მანიფესტანტების დარბევაში, ერთად შევიდა შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობასა (ჩიტაძის ქუჩაზე) და სახელმწიფო დაცვის სამსახურის შენობაში.

ეს ხელისუფლება მომიტინგეებისა და განსხვავებული აზრის მქონე ადამიანების დარბევაში იყენებს სამოქალაქო პირებსაც და ე.წ. სამართალდამცველებსაც!

**— ირაკლი, ისიც ფაქტია, რომ 15 ივნისს პოლიციის სამმართველოსთან მომხდარი დაპირისპირების დროს აქტიურად მოჩხუბარი პოლიციელების ფოტოებიც არის თქვენ მიერ გავრცელებულ ფლაერებსა და აფიშებზე...**

— 15 ივნისის აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი ვარ და პირდაპირ გეტყვით: ჩვენი აქტივისტების წინააღმდეგ წარმოებულმა დევნამ და ტერორმა გადაგვაწყვეტინა ამ აქციის ჩატარებაც. იქ ერთადერთი მიზნით მივედით: თუ მიხეილ სააკაშვილის პოლიციას ჰქონდა რაიმე მამხილებელი მასალები ჩვენზე, მზად ვიყავით, შევსულიყავით სამმართველოში სასჯელის მოსახდელად! მეორე თემაა, დავეთანხმებოდით თუ არა მათ ბრალდებებს.

**— და მიიღეთ კიდეც პასუხი...**

— დიახ! სააკაშვილის დიქტატორულმა რეჟიმმა ჩაიდინა უპრეცედენტო რამ! არ მახსენდება, რომელიმე აქციაზე ერთდროულად ეცემოთ ახალგაზრდაც და ხნიერიც, კაციც და ქალიც, მომიტინგეც და პურის სა-

ყიდლად გამოსული ბავშვიც! არ მახსოვს, ასე სასტიკად და გამიზნულად ეცემოთ და დაერბიოთ ჟურნალისტები! ეს ყველაფერი ხდებოდა კარგად დაგეგმილი სამხედრო ოპერაციის მსგავსად! პოლიციელთა ეს ქმედება ერთ რამეს ისახავდა მიზნად — ჩვენ შევსულიყავით ან შევეყარეთ სამმართველოს ტერიტორიაზე, რათა შემდეგ ოფიციალური ალიბით გაგვსწორებოდნენ!

სამოცდაათი მანიფესტანტიდან 39 კაცი დააკავეს. ზოგი სხვადასხვა სანქციით დააჯარიმეს, ზოგი კი 30 დღით გამოამწყვდიეს საკნებში!

სწორედ ამიტომ მიგვაჩნია საჭიროდ იმ ადამიანთა მხილება, ვინც ხელი აღმართა თანამოქალაქეებზე და უმოწყალოდ უსწორდებოდა მათ. ფოტოებზეც ჩანს, როგორ მიათრევს ოთხი პოლიციელი კარგად ნაცემ დემონსტრანტს სამმართველოს შენობაში. ჩვენ მათ ვერ დავუპირისპირდებით იმავე იარაღით. ერთადერთი, რაც შეგვიძლია, მათი მხილებაა, რათა მათ მეზობლებსა თუ მეგობრებს მათთვის მისალმებაც და ხელის გაწოდებაც კი შერცხვეთ! ამ ჯალათებმა უნდა იგრძნონ დისკომფორტი, როცა მათი მეზობლები და, თუნდაც, უბნელები აღარ შეხედავენ პატივისცემითა თუ კეთილი განწყობით!

ისინი არიან დამნაშავეები და ქართველ საზოგადოებაში საკუთარი ადგილი არ ექნებათ! ესენი ახალი ჯიშის ადამიანები არიან, რომლებიც გამოიყვანა მიხეილ სააკაშვილმა და დაგეშა საკუთარი ხალხის წინააღმდეგ!

**— ამ პლაკატების გაკვრით იმედი გაქვთ, რომ მათ ვინმე ამოიცნობს და ამოცნობის შემთხვევაში ამ ადამიანებს დისკომფორტი შეექმნებათ?**

— დარწმუნებული ვარ, საზოგადოება მათ ამოიცნობს და მართლა შეექმნებათ მორალური დისკომფორტი!

მომავალში უნდა დაფიქრდნენ, უღირთ კი მათ მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების ჯალათობა? ხვალ სააკაშვილი გაიქცევა ამ ქვეყნიდან და გაიქცევა დიდძალი ქონებით, ხოლო ესენი აქ დარჩებიან გატეხილი სახელებით!

არ ვიცი, როგორ აპირებენ ამ ქალაქში ცხოვრებას და თბილისის ქუჩებში გავლას?!

**— ირაკლი, ამ ინტერვიუს შემდეგ თავად თუ შეძლებ მშვიდად ცხოვრებას? მით უმეტეს, არც ახლა უჩივი ხელისუფლების მხრიდან „უყურადღებობას“... თანაც, პირდაპირ უწოდებ ამ ადამიანებს მიშას ჯალათებს...**

— მე კარგს არც ამ ჯალათებისგან და არც ამ ჯალათების ხელმძღვანელებისგან ველი! ბოლო დღეების განმავლობაში უფრო გააქტიურდნენ კიდეც... მათ ვამხელდი ყოველ ჩემს გამოსვლაში როგორც ჟურნალისტი და დავწერ კიდეც მომავალში! მათ იმის იმედი აქვთ, რომ ხალხი შეწყვეტს ქუჩაში გამოსვლას და საკუთარი პროტესტის გამოხატვას, მაგრამ სწორედ აქ ცდებიან!

ვიმეორებ: დღეს ციხეში ზის ჩემი მეგობარი დაჩი ცაგურია და მე მზად ვარ, აღმოვჩნდე მის გვერდით რომელიმე კამერაში! მაგრამ ეს იქნება ერთ-ერთი ყველაზე დიდი სისულელე, რასაც ჩაიდენს სააკაშვილისა და მერა-

ბიშვილის ხელისუფლება! განა დანაშაულია ის, ნაძირალას რომ დაარქვა ნაძირალა და გარეწარს, რომელიც დედისტოლა ქალბატონს ხელკეტს ურტყამს, გარეწარი უწოდო?

ეს არ არის დანაშაული და მე, როგორც ჟურნალისტი, ვამხელ მათ! ეს ჩემი პროფესიული და მოქალაქეობრივი ვალდებულებაცაა!

ერთსაც გეტყვით... მინდა, ვანო მერაბიშვილს ვკითხო: ქ. თბილისში, ნინოშვილის ქუჩაზე, №15-ში, რატომ დგანან რეგულარულად გაურკვეველი ნომრის მანქანები, რომლებშიც ერთი და იგივე ფორმის შავმაისურიანი ადამიანები სხედან და რატომ მელიან მე?

ვიმეორებ: თუ რაიმე სამხილი გაქვთ ჩემ წინააღმდეგ, მზად ვარ, ჩაგბარდეთ შესაბამისი შეტყობინების მოსვლისა და სამართლებრივი პროცედურების დაცვის შემდეგ!

ხოლო, თუ დაშინების მცდელობაა, კიდევ ერთხელ გიმეორებთ: დაშინებას აზრი არ აქვს! ჩვენ ყველა დამნაშავეს ვამხელთ!

*ესაუბრა* **გიორგი მამაცაშვილი**
***გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“***

# პოლიციის მაღალჩინოსანმა საპატრიარქოს დაცვის თანამშრომელი მოკლა

სანდრო გირგვლიანი, ბუტა რობაქიძე, ზურა ვაზაგაშვილი, გიორგი გამცემლიძე... პოლიციის მიერ ჩადენილ მკვლელობათა რიცხვს მორიგი მსხვერპლი, 30 წლის მამუკა (ლეონიდ) ჩხარჩხალია შეემატა. შს სამინისტრო საზოგადოებისთვის თვალში ნაცრის შეყრას განაგრძობს, განზრახ ჩადენილი მკვლელობის ჩაფარცხვას და პოლიციელის იმიჯის შესანარჩუნებლად მკვლელის, ვაკე-საბურთალოს მე-3 განყოფილების უფროსის, სერგო სუხიშვილის ტყავის გადარჩენას ცდილობს.

**შს სამინისტროს ოფიციალური ვერსიით, „შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელმა სერგო სუხიშვილმა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მასზე განკუთვნილი ტაბელური იარაღიდან მოახდინა ერთჯერადი გასროლა, რა დროსაც ადგილზე გარდაიცვალა სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომელი, 1979 წელს დაბადებული ლეონიდ გულადის ძე ჩხარჩხალია. სერგო სუხიშვილი დაკავებულ იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ. საქმეზე გამოძიებას აწარმოებს ქ. თბილისის პროკურატურა“.**

მოკლულის ოჯახი აღშფოთებულია შს სამინისტროს ამ განცხადებით, რადგან დარწმუნებულია, რომ მათი შვილი განზრახ მოკლეს. ნათესავები ობიექტურ გამოძიებას და დამნაშავის დასჯას ითხოვენ.

ჩვენთან საუბარში მამუკას დედამ, დოდო ჩხარჩხალიამ განაცხადა:

„ერთი შვილი მყავდა. დედისერთა მომიკლეს... არ დავმარხავ... ფეხით ჩამოვალ თბილისში!..“

ადვილი წარმოსადგენია შვილმკვდარი დედის მდგომარეობა. მან საუბრის გაგრძელება ვეღარ შეძლო.

მოკლული მამუკა ჩხარჩხალია ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ხაბუმედან იყო. იგი საპატრიარქოს დაცვის თანამშრომელი გახლდათ, პარალელურად, სამშენებლო კომპანია „კიდ-არქიტექტურაშიც“ მუშაობდა.

შეგახსენებთ, მკვლელობა 15 ივნისს, ნუცუბიძის პირველ კვარტალში, რესტორან „ქვევრსა“ და „კიდ-არქიტექტურის“ სამშენებლო ობიექტს შორის მდებარე ჩიხში მოხდა. ამ დროს ჩხარჩხალია ობიექტს დარაჯობდა.

მკვლელობა დაახლოებით ღამის თერთმეტიდან თორმეტ საათამდე მოხდა. მკვლელობას თვითმხილველიც ჰყავს. ირაკლი კეკუა უშუალოდ შეესწრო მამუკას მკვლელობას. მისი ნაამბობი აბსოლუტურად განსხვავდება შს სამინისტროს ვერსიისგან.

ჩვენთან საუბარში ის დეტალურად საუბრობს მომხდარზე, რომლის შესახებაც მკვლელობის ღამესვე აცნობა გამოძიებას.

**ირაკლი კეკუა:** — დღის ოთხ საათზე დედის ბიძაშვილმა ტარიელ ანთიამ დამირეკა. ის და მამუკა დაბადების დღეზე მიდიოდნენ და მათ მოსვლამდე ობიექტზე დარჩენა მთხოვა. ღამის თერთმეტის ნახევარზე მამუკა სამსახურში მოვიდა. საკმაოდ ნასვამი იყო. დაახლოებით ხუთ წუთში ისევ წასვლა მოინდომა; სიგარეტი არ მაქვს და ვიყიდოთო. ერთად ჩავედით იქვე მდებარე ჯიხურთან, სადაც მამუკა სიგარეტს ხშირად ნისიად იღებდა, თუმცა იმ ღამეს გამყიდველმა ნისიად სიგარეტის მიცემაზე უარი უთხრა: ხვალ „სმენა“ იცვლება და ვერ მოგცემო. მამუკამ თხოვნა მეორედაც გაუმეორა. უარის მიღების შემდეგ გაბრაზდა და სარეკლამო აბრას ხელი დაარტყა. დამშვიდება დავუწყე და გზის მეორე მხარეს გადავიყვანე. არ დამემორჩილა და ისევ ჯიხურთან მიბრუნდა, გამყიდველს ხმამაღლა ლაპარაკი დაუწყო. დავამშვიდე და ერთად ავუყევით სახლისკენ მიმავალ ჩიხს. მერე პატარა ძელსკამზე ჩამოვსხედით. რამდენიმე წუთში ორი უცნობი მამაკაცი მოვიდა. ერთს შავი მაისური (სუხიშვილი, — რედ.), მეორეს კი ღია ფერის პერანგი ეცვა. მოგვიახლოვდნენ, არც კი უთქვამთ, რომ პოლიციელები იყვნენ, პირდაპირ მამუკას მიმართეს: „შენ ხარ ის ძველი ბიჭი?“

ამ დროს შავმაისურიანი მამუკას ყელში სწვდა, დახრჩობა დაუწყო. მამუკამ დაარტყა და მოიშორა. ისევ გაიწია მისკენ. მამუკას ვერ ერეოდნენ, ყველაფერი წამებში მოხდა.

შავმაისურიანმა იარაღი როდის ამოიღო, არ ვიცი, მაგრამ დავინახე, როგორ გადატენა და მამუკას პირდაპირ თავში ესროლა.

ჩვენ მისაშველებლად გავიწიეთ, მაგრამ ღიაფერისპერანგიანი გვაკავებდა. ამის მერე ისინი ქვემოთ, ვაჟა-ფშაველასკენ დაეშვნენ. უკან გავყევით, გზაზე ტარიელი შეგვხვდა, რომელსაც ვუთხარი, რომ მამუკას ესროლეს და არ გაგვქცეოდნენ.

ამ დროს 15-20 პოლიციელი მოვარდა, ყველანი მთვრალები იყვნენ. ადგილზე მივიდნენ, მკვდართან მიახლოების უფლება არ მოგვცეს. ამ არეულობაში შავმაისურიანი სად აორთქლდა, არ ვიცი. გაიგეს თუ არა, რომ მკვლელობას შევესწარი, პოლიციელებმა მანქანაში ჩამსვეს და ქალაქის სამმართველოში წამიყვანეს დასაკითხავად. მათ ყველაფერი მოვუყევი.

ჩვენს შეკითხვაზე — თუკი გამოძიებამ სიმართლე იცის, რამ განაპირობა შსს-ს რადიკალურად განსხვავებული ვერსია მომხდართან დაკავშირებით — ასეთი პასუხი მივიღეთ: „სამსახურში პოლიციელი მთვრალი არ დადის. როგორც მერე გავიგე, ისინი რესტორან „ქვევრში“ ქეიფობდნენ. თუ სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდნენ, ჯერ ჰაერში გაესროლა, რაღა თავში დაუმიზნა, ფეხებში მაინც ესროლა. უიარაღო კაცს როგორ უნდა ესროლოს პოლიციელმა?!“ — ამბობს ირაკლი კეკუა.

ჩვენ, ასევე, დავუკავშირდით მოკლულის მეგობარს და სამსახურის მეწყვილეს — ტარიელ ანთიას.

ანთიას თქმით, დაბადების დღიდან მეგობრის მანქანით დაბრუნდნენ. მამუკა ობიექტზე დატოვეს:

„ჩემს მეგობარს ფული უნდა მოეცა, 50 ლარი და „პოპულში“ ჩავედით. იქიდან ფეხით წამოვედი სამსახურისკენ. გზაზე ირაკლი დავინახე, რომე-

ლიც ჩემკენ მორბოდა. მითხრა, ჩვენიანს ესროლესო. დამანახა ვიღაც შავ-მაისურიანი, რომელიც გარბოდა, ამან ესროლაო“.

როგორც მან აღნიშნა, ოჯახი, სამეგობრო, სანათესაო მომხდართან და-კავშირებით შსს-ს მიერ გავრცელებული ვერსიით აღშფოთებულნი არი-ან და ობიექტურ გამოძიებას ითხოვენ.

„ახლა ისეთ მდგომარეობაში ვართ, რომ ყურადღებას ვერაფერს ვაქ-ცევთ, თუმცა ტელევიზიით გავიგეთ შეთითხნილი ვერსიების შესახებ. მშობლები გაგიჟებულები არიან და მკვდრის დამარხვას არ აპირებენ; ამ-ბობენ, თბილისში ჩამოვასვენებთო. ჯობს, სიმართლე თქვან, თორემ ამას კარგი არაფერი მოჰყვება და საქართველო კი არა, მთელი მსოფლიო გაი-გებს მომხდარის შესახებ.

როგორ ამბობენ, სამსახურებრივი მოვალეობის დროს მოკლაო, რო-დესაც მკვლელი რესტორან „ქვევრში“ შვილის ნათლობას აღნიშნავდა და იქიდან გამოვიდა. ეს რესტორანში დამონტაჟებულმა ვიდეოკამერებმაც დააფიქსირა“, — ამბობს ანთია.

**ნანა არევაძე,**
**მაკა ქობალია**
***გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“***

# ისე დაუნდობლად გვირტყამდნენ, თითქოს პოლიციის შეურაცხყოფის ასალებად მივედით

**15 ივნისს თბილისის პოლიციის სამმართველოსთან ოპოზიციური ახალგაზრდული მოძრაობების აქციაზე სახელწოდებით „დაგვიჭირეთ“ ზონდერხელისუფლებამ მანიფესტანტების მოთხოვნა პირდაპირი მნიშვნელობით შეასრულა — 39 მომიტინგე დაიჭირა, მათთან ერთად კი ორ ამდენს სულ ცხვირპირი დაუნაყა. პოლიციელებმა არც ჟურნალისტები დაინდეს. უფრო მეტიც, როგორც კი მათთვის ნაცნობ ოპოზიციონერ ჟურნალისტს თვალს მოჰკრავდნენ, ნამდვილ ნადირობას იწყებდნენ.**

**ჟურნალისტთა კავშირ „ობიექტივის“ ხელმძღვანელი ირმა ინაშვილი აქციას ვიდეოკამერით იღებდა, რადგან იგი დოკუმენტურ ფილმზე მუშაობს. ამის მიუხედავად, პოლიცია დაუნდობლად გაუსწორდა და აპარატურაც დაუმტვრია. გუშინ იგი „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქციაში მოვიწვიეთ და 15 ივნისის დარბევის თაობაზე ვესაუბრეთ:**

— ჩემს ცხოვრებაში სულ რამდენიმე განსაკუთრებით დასამახსოვრებელი თარიღია. არასოდეს დამავიწყდება 1993 წლის 16 მარტის სოხუმის დაბომბვა. მაშინაც ჟურნალისტურ მოვალეობას ვასრულებდი. 27 სექტემბერს კი ჩემთვის უდიდესი ტრაგედია მოხდა — სოხუმი დაეცა. მაგრამ მაშინ, იმ ომშიც კი, დაუწერელ კანონებს ორივე მხარე იცავდა — ჟურნალისტი ხელშეუხებელი იყო. სწორედ ის დღეები გამახსენდა 15 ივნისს, როცა მშვიდობიანი მანიფესტანტების წინააღმდეგ იერიშზე წამოვიდა ძალა, რომელსაც პირდაპირ შეიძლება მტერი უწოდო. ისინი განსაკუთრებული სისასტიკით მოქმედებდნენ. მათთვის სულ ერთი იყო ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდა კაცი და მცირეწლოვანი ბავშვები, რომლებიც იქვე, მაღაზიაში ნაყინს ყიდულობდნენ, მიკროფონიანი ჟურნალისტები და ხელჯოხიანი მოხუცები, რომლებიც იმ დროს ქუჩაში აღმოჩნდნენ. ჩვენ დაგვიპირისპირდა რაღაც მონსტრი, რომელსაც მხოლოდ ცხოველური ინსტინქტები ამოძრავებდა.

**— მას შემდეგ, რაც ხელისუფლებამ არა ერთხელ განაცხადა, რომ ძალას არ გამოიყენებდა მშვიდობიანი მომიტინგეების წინააღმდეგ, გასაკვირი იყო ასეთი დაუნდობელი ანგარიშსწორება, მით უმეტეს, ჟურნალისტების მიმართ...**

— მეტსაც გეტყვით. გასაკვირი კი არა, სრულიად არაადეკვატური იყო მათი მოქმედება. მშვიდობიანი აქციის მონაწილეებს და იქ მყოფ ჟურნალისტებს დარბევის მოლოდინი რომ გვქონოდა, ჩვენც მომზადებული დავხვდებოდით — ტექნიკას და გადაღებულ მასალას მაინც გადავარჩენდით. აბსოლუტურად მოულოდნელი იყო მათი თავდასხმა. არც ქუჩა იყო გადაკეტილი და არც მოთხოვნები და პროტესტის ფორმები — კანონსაწინა-

აღმდეგო. ისე დაუნდობლად გვირტყამდნენ, თითქოს პოლიციის შენობის ასაღებად მივედით. ისინი განსაკუთრებით ჟურნალისტებს და ოპერატორებს დაგვდევდნენ; ამტვრევდნენ ფოტო- და ვიდეოკამერებს, ანადგურებდნენ კასეტებს. ჩემი დანახვისას 20-25 წლის უნიღბო სპეცრაზმელმა, რომელსაც აუცილებლად ვიცნობ, თუკი სადმე შემხვდება, დაიძახა — ეს ირმა ინაშვილია, ჟურნალისტიო და კამერის წართმევას შეეცადა. წინააღმდეგობა რომ გავუწიე, ყელში მწვდა და „დუბინკით“ მირტყამდა. კამერა რომ ვერ გამაგდებინა, მარჯვენა ხელში კასტეტი ჩამარტყა. მყესი გამიწყდა და კამერა გამივარდა. ხელი სტაცა და დალეწა. ძირს დავეცი. სპეცრაზმელმა დაიძახა, მოსაკლავიაო და სხვებსაც მოუხმო. ერთ-ერთ სპეცრაზმელს შევეცოდე და გადამარჩინა.

**— როგორც ჩანს, იმათშიც ურევია ადამიანები...**

— ჩემი მაგალითიც ადასტურებს, რომ მათ შორისაც არიან ისეთები, რომლებსაც ადამიანური სახე არ დაუკარგავთ. ტყუილად ჰგონიათ სააკაშვილს და მერაბიშვილს, რომ დიდხანს შეინარჩუნებენ ხელისუფლებას. ამ სპეცრაზმელებს შორისაც არიან ადამიანები, რომლებიც კარგად აცნობიერებენ, რა დანაშაულისკენ უბიძგებს მათ ეს რეჟიმი.

მინდა, ისიც ვთქვა, რომ მიუხედავად დიდი პატივისცემისა კოლეგებისადმი, არ ვიზიარებ „მაესტროს“ და „კავკასიის“ პროტესტს. როცა ქვეყანაში ასეთი მძიმე ვითარებაა, არხების გათიშვა აბსოლუტურად მიუღებელია. ხალხი სიმართლის მოსმენას ელოდა, მათ კი ადამიანებს ეს უფლება წაართვეს.

*ესაუბრა* **ბონდო მძინარაშვილი**
***გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“***

# მერაბიშვილის უწყებამ დევნილებს საპროტესტო აქციაზე მისვლა სპეცწერილით აუკრძალა

**აგვისტოს ომის დაწყებიდან მალე ერთი წელი გავა... აფხაზეთის ტრაგედიიდან 15 წლის შემდეგ ქვეყანას დევნილების ახალი ტალღა მოაწვა... ხელისუფლებას რომ ჰკითხო, დევნილები ალტერნატიული ფართით დააკმაყოფილეს, თუმცა ეს მხოლოდ ხელისუფლების აზრია. რეალობა კი გაცილებით მკაცრია. ისინი, ვინც შს სამინისტროს მიერ დაპროექტებულ-აშენებულ გეტოებში ცხოვრებაზე უარი განაცხადა ან სხვა მიზეზის გამო „სრა-სასახლე“ ვერ მიიღო, დღემდე სხვადასხვა დაწესებულებას აფარებენ თავს, სადაც ელემენტარული საცხოვრებელი პირობებიც არ გააჩნიათ.**

**ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ყოფილ შტაბს (ვაკე-საბურთალოს გზაზე), რომელსაც ერთი წლით თბილისის საქალაქო სასამართლო შეეხიზნა, დღეს ახალი ხიზნები ჰყავს — დევნილები სამაჩაბლოდან და აფხაზეთიდან, ანუ, როგორც უკვე ხალხში გავრცელდა, „ახალი“ და „ძველი“ ლტოლვილები.**

შენობაში, პირველ რიგში, ყურადღებას იპყრობს მინიმარკეტი, რომელიც ერთ-ერთ დევნილს გაუხსნია. მამაკაცები დერეფანში, მეტწილად კი, გარეთ, ნაძვნარში კლავენ დროს... აყრილი იატაკი, ჩამოშლილი კედლები, დამტვრეული საწოლები, ზოგან ფანჯრის რაფა — მაგიდის ნაცვლად... — ასეთია დევნილების სამყოფელის უბადრუკი სურათი... მთავარი კი, რაზეც უნდა მოგითხროთ, წერილია შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომლითაც ვანო მერაბიშვილის უწყება დევნილებს არაორაზროვნად აფრთხილებს, არ მიიღონ მონაწილეობა საპროტესტო აქციებში.

ასეთი „მეგობრული“ გამაფრთხილებელი წერილების დასტა დევნილებმა 9 აპრილამდე, ანუ ოპოზიციის საპროტესტო აქციის დაწყებამდე ზუსტად სამი დღით ადრე მიიღეს. წერილში, რომელიც „საქართველო და მსოფლიომ“ მოიპოვა, საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს მეოთხე ასეულის მეთაური მიხეილ დილიმაშვილი ერთ-ერთ ადრესატს, ქალბატონ ნინოს (გვარს შეგნებულად არ ვასახელებთ) „მოწიწებით“ მოუწოდებს, თავი შეიკავოს ოპოზიციის მიერ დაგეგმილ საპროტესტო აქციებში მონაწილეობისაგან. წერილის ქვეტექსტში, სტრიქონებს შორის ნებისმიერი თქვენგანი ამოიკითხავს არაორაზროვან მუქარას.

„ამ შენობაში მცხოვრებთაგან მსგავსი შინაარსის წერილები ოთხმა ოჯახმა მივიღეთ; გაგვაფრთხილეს, რომ აქციებზე არ გამოვსულიყავით. ეს წერილი ჩემთვის შეურაცხმყოფელია, მართალია, ოპოზიცია არ მომწონს, მას მხარს არ ვუჭერ, რადგან ყველა თავის სკამზე ფიქრობს, მაგრამ აქციებზე გამოვალ თუ არა, ეს ჩემი გადასაწყვეტია“, — ამბობს ჩვენი რესპონდენტი, ქალბატონი ნინო.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი
ქ.თბილისის და მიხეილ-მიმინაშვილის
პოლიციის მთავარი სამმართველო
MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA
THE DEPARTMENT OF PATROL POLICE

თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №-13 კმ.
53-02-16
52-77-68
13 km., Davit Agmashenebeli av., Tbilisi

№ 20/26-16-4-8815 06- 04 2009 წ.

ქალბატონო ნინო,

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, სპორტული აქციების დროს, ცალკეული ექსტრემალური დაჯგუფებები, ამორეულ პროვოკაციების მოწყობას. მოგაწოდებთ პირადად თქვენ, არ მიიღოთ მონაწილეობა კანონსაწინააღმდეგო ქმედებებში.

პატივისცემით,

ქ. თბილისის სასტრეფლო პოლიციის
მთავარი სამმართველოს
IV ასეულის მეთაური

მიხეილ დალიანშვილი

აღსანიშნავია, რომ დევნილთა შორის თავიანთ პრობლემებზე საუბრის სურვილი ყველამ როდი გამოთქვა; „ვლაპარაკობთ, მაგრამ რა? ამით არაფერი შეცვლილა, ჩვენი პრობლემებით არავინ შეწუხებულა“, — ასეთია მათი პასუხი, თუმცა მათ გვერდით ისეთებიც მოიძებნა, ვინც ომიდან მოყოლებული დღემდე დაწვრილებით გვიყვება თავგადასავალს.

„დიდი ლიახვის ხეობა ქართულმა შენაერთებმა ადგილობრივ მოსახლეობაზე ადრე დატოვა, — გვიამბობს ხეობელი რესპონდენტი, რომელმაც სიკვდილს თვალებში ჩახედა, — ხეობიდან 11 აგვისტოს გამოვედით. ოსებთან რამდენიმე ქალი მივედით თხოვნით (რადგან მამაკაცების გამოჩენა საშიში იყო), რომ კორიდორი გაეკეთებინათ, სროლები შეეწყვიტათ და ხეობიდან გასვლის უფლება მოეცათ. ამ დროს მაროდიორები უკვე დათარეშობდნენ. დაგცხრილავთო, დაგვემუქრნენ ოსები. ერთ-ერთმა ჩვენგანმა სანაცვლოდ მანქანა შესთავაზა... დაეჭვდნენ, მაგრამ, როგორც იქნა, დაიჯერეს. გაგვიმართლა. მათ შორის ერთი ხაშურელი ოსი ერია, რომელსაც ქართველებმა თურმე შვილი მოუკლეს. „უნდა მოგკლათო“, — ყვიროდა. „ჩვენც ხომ სხვისი შვილები ვართ, ასეთი სიმწარე გამოგიცდია, როგორ უნდა მოგვკლა-მეთქი?..“ ეტყობა, ქართველებთან წლების მანძილზე ცხოვრებამ მაინც თავისი გაიტანა და გამოგვიშვეს.

ტყით წამოვედით, 15 კილომეტრი ფეხით ვიარეთ. გზაზე კაზაკები დაგვხვდნენ.

გვითხრეს — ოსებმა რაციით გადმოგვცეს, რომ მოდიხართ; წყალი და ჩაი შემოგვთავაზეს. გზა განვაგრძეთ. გორში ჩავედით. ჩემი შვილი დასთან მყავდა დატოვებული. იქ მისვლიდან რამდენიმე წუთში მეზობელი კორპუსი აფეთქდა, კასეტური ბომბი ესროლეს. ამის მერე გორი დავტოვეთ და ფეხით წამოვედით თბილისისკენ.

როდესაც გორისკენ მოვემართებოდით, გზაში ჩვენს უშიშროებას რუსების ადგილსამყოფელის შესახებ ვაცნობე. ხეობიდან წამოსვლის წინ რუსებს ვეკითხებოდი, შემდეგში რა იქნება-მეთქი და — „ბუდემ დვიგატსია დალშე...“ თბილისში ჩამოსვლის შემდეგ ჩვენი რესპონდენტი ჯერ სიძეს შეეხიზნა ნაქირავებ ბინაში, მერე კი გაიგო, რომ „ზაკვოს“ შენობაში დევნილებს უშვებდნენ და მას შემდეგ აქაურობის ბინადარია.

ომმა სხვა ყველაფერთან ერთად სამსახურიც დააკარგვინა. სანაკოევის ადმინისტრაციაში, ეკონომიკის სამინისტროში მუშაობდა. „საერთოდ დაშალეს ეს სტრუქტურა; ახლა მხოლოდ რამდენიმე ადამიანიღაა დარჩენილი. ეტყობა, ფორმალურად არიან. არადა, სამსახური ძალიან მჭირდება. სხვა სამინისტროებს მიგამაგრებთო, დაგვპირდნენ, მაგრამ დაპირებად დარჩა. ჩემს 18 წლის ბიჭს მწვავე ნევროზი აქვს, 2004 წლის ამბებს ეს ომი დაემატა, ბავშვს შიშები აქვს, კრუნჩხვებში ვარდება. მე კი ელემენტარული წამლებითაც ვერ ვეხმარები...“ — წუხს დედა.

კიდევ ერთი, ალბათ, უმნიშვნელოვანესი პრობლემაა, რომ დევნილებს, რომლებმაც სახელმწიფოს მიერ შემოთავაზებულ კოტეჯებზე ან 10 000 ლარზე უარი თქვეს, დევნილის სტატუსს არ ანიჭებენ: „მალე ერთი წელი გახდება, რაც დევნილები ვართ, მაგრამ ამ დრომდე დევნილის სტატუსი არ გვაქვს, რომ ის მიზერული თანხა — 22 ლარი, რომელსაც სახელმწიფო გვაძლევს, ავიღოთ“...

„ზაკვოში“ შეხიზნულ დევნილებს ძალიან აწუხებთ ჰიგიენის პრობლემაც. საერთო საპირფარეშოებში, რომლებიც ყველა სართულზეა განლაგებული, თითქმის ყველგან მოშლილია გაყვანილობა. დევნილები გვიამბობენ, რომ შხაპის გაკეთებაზე რომელიღაც კომპანიამ იზრუნა, თუმცა საქმე ბოლომდე არ მიუყვანიათ. ამას ისიც დაემატა, რომ მირაჟივით გამოჩნდა და მაშინვე გაქრა „არისტონის“ წყლის გამათბობელი:

„როდესაც „არისტონის“ წყლის გამაცხელებლები მოიტანეს, გაგვიხარდა. ფანჯრიდან ვუყურებდით, როგორ შემოიტანეს სატვირთო მანქანებით, მაგრამ ნახევარ საათში უკანვე წაიღეს. გაოცებულები დავრჩით. იგივე განმეორდა საწოლების შემთხვევაშიც. მოვიდა დატვირთული მანქანა, შემდეგ ისევ უკან გაბრუნდა. მერე ჩვენებმა საწოლებით დატვირთული ეს მანქანა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ეზოში ნახეს“... — ამბობს კოდორელი დევნილი.

როგორც ჩანს, წყლის გამაცხელებლებისა და საწოლების მიტანის ცერემონიალზე გამოჩენა და ამ აქციაზე წითელი ლენტის საზეიმოდ გაჭრა პრეზიდენტ სააკაშვილს „პიარშიკებმა“ არ ურჩიეს, ხოლო ის, რაც არ არის მომგებიანი პიარის თვალსაზრისით, ჩვენს ხელისუფლებას დიდი ხანია, აღარ აინტერესებს... თანაც, თუ დევნილს შხაპი და თბილი წყალი ექნება, მას შეიძლება „ბურჟუაზიული“ ამბიციები გაუჩნდეს, „მერაბიშვილის კანტორიდან“ მიღებულ „გამაფრთხილებელ“ წერილს აღარ დაუჯეროს და აქციაზე წავიდეს...

**მაკა ქობალია,**
**ნანა არევაძე**
***გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“***

# თვითმხილველ ჯაბა ქვანიას ჩვენება

**ძვირფასო მკითხველო, 28 მაისს შსს ზონდერების მიერ მომიტინგეების დარბევის ფაქტი მერაბიშვილის კანტორამ უკუღმა შეატრიალა და ეკა ზღულაძის პირით გვაუწყა, რომ თურმე საწყალი, ნიღბიანი და ბოდი ბილდერივით დაკუნთული „პოლისმენები“ შსს ოპერატორს აგრესიული მომიტინგეებისაგან იცავდნენ, რადგან მათ „გავეშებულმა“ მომიტინგეთა ბრბომ შეუტია თურმე და ისინიც იძულებულნი გამხდარან, თავი დაეცვათ... მერაბიშვილის კანტორამ არათუ შავი თეთრად გაასაღა, უმალ მოქმედებაზე გადავიდა და მეორე დღესვე დააპატიმრა... არა ნიღბიანი პოლიციელები, რომლებიც ხელკეტებითა და დანებით ასე მარჯვედ ოპერირებდნენ, არამედ — „გავეშებული“ მომიტინგეები კანონის დამცველების განზრახ მკვლელობის მცდელობისათვის.**

მინდა, გითხრათ, რომ იმ საღამოს ყველაფერი ჩემ თვალწინ მოხდა და „ზონდერების“ ნასროლი აგურის ნატეხიც ლაზათიანად მომხვდა ბეჭში. წესით, ნორმალურ სახელმწიფოში, სანამ „პოლიციელების განზრახ მკვლელობის მცდელობისათვის“ მომიტინგეებს დააკავებდნენ, სულ მცირე, ფორმალურად მაინც, უნდა დაეკითხათ თვითმხილველები და გაერკვიათ, ვინ ვის ურტყამდა, ვინ წამოიწყო მუშტიკრივი და ა.შ.

ნორმალურ ქვეყანაში ეს ასეც მოხდებოდა, მაგრამ... მერაბიშვილის კანტორას თვითმხილველები რომ დაეკითხა, მაშინ ეკა ზღულაძის პირით გახმიანებული ვერსია საპნის ბუშტივით გასკდებოდა. ამიტომ, გახლდით რა ზემოაღნიშნული ფაქტის თვითმხილველი, პირნათლად ვიხდი ჩემს მოქალაქეობრივ ვალს და საჯაროდ ვიძლევი შემდეგ ჩვენებას:

...28 მაისს, ოპოზიციური მიტინგის დასრულების შემდეგ, პარლამენტის შენობის წინ პროტესტანტთა საკმაოდ ხალხმრავალი საზეიმო ღონისძიება დაიწყო. ოპოზიციის ლიდერებმა 26 მაისის საპროტესტო მსვლელობა რატომღაც ხელისუფლებაზე გამარჯვებად შეაფასეს და კონცერტიც ამ „გამარჯვებას“ მიუძღვნეს. სწორედ ამ დროს (როგორც მოგვიანებით ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა განმარტა) შინაგან საქმეთა სამინისტროში „სახალხო ზეიმის“ ჩაშლისა და პროტესტანტებისათვის „გრძელი ხელკეტების ღამის“ მოწყობის ოპერატიულ გეგმაზე ბჭობდნენ...

დაახლოებით ღამის ათ საათზე, ანუ კონცერტის დაწყებიდან ათითხუთმეტი წუთის შემდეგ, ფურცელაძის ქუჩაზე (რომელიც პარლამენტის შენობის წინ რუსთაველის გამზირს უერთდება) „ზონდერბრიგადები“ ჯგუფებად შეიკრიბნენ. სამოქალაქო ფორმაში გამოწყობილნი ხალხს შეერივნენ, თუმცა მომიტინგეებს მათ ქცევაში საეჭვო არაფერი შეუნიშნავთ...

დაახლოებით ნახევარსაათიანი დაზვერვის შემდეგ „ზონდერები“ მოქმედებაზე გადავიდნენ — ნიღბები მოირგეს და ჯერ მათთან ყველაზე ახლოს მდგომ ახალგაზრდებს დაერივნენ და ხელკეტები დაუშინეს, ხო-

ლო შემდეგ ელვისებურად შეუტიეს მომიტინგეთა ფართო მასას, რომელიც ფურცელაძის ქუჩის გასწვრივ იყო თავმოყრილი...

შეტევა ერთობ სწრაფი და კარგად ორგანიზებული აღმოჩნდა — მომიტინგეთა დიდი ნაწილი ნიღბიანთა მოულოდნელი თავდასხმით დაიბნა და პანიკაში ჩავარდა...

მიტინგი ქაოსად იქცა, ქვებითა და დროშის ტარებით შეიარაღებული დემონსტრანტები ყიჟინით მიიწევდნენ ფურცელაძის ქუჩისკენ, სადაც „ზონდერბრიგადები“ სასტიკად უსწორდებოდნენ მშვიდობიან მომიტინგეებს...

როცა ქუჩის ჩასახვევთან შეკრებილმა დაახლოებით ორასამდე მომიტინგემ კონტრიერიში დაიწყო, ნიღბიანებს შეტევითი პოზიციიდან თავდაცვაზე გადასვლა მოუხდათ. რიცხობრივი უპირატესობა დემონსტრანტების მხარეს იყო და „ზონდერები“ შემოტევის მოგერიებას ვეღარ ახერხებდნენ.

საბოლოოდ, ხელჩართულ ბრძოლაში მომიტინგეებმა იმარჯვეს, ხანმოკლე დაპირისპირების შემდეგ სამოცდაათამდე ნიღბიანმა უკანდახევა დაიწყო, რაც მალე მათ პანიკურ უკანსვლაში გადაიზარდა.

ამის შემდეგ არეულობა ჩაცხრა. ყველას ეგონა, რომ დაპირისპირება დამთავრდა, მაგრამ მოულოდნელად „ზონდერებმა“ შეტევა განაახლეს. ამჯერად მათ ხელკეტებთან ერთად დანებიც ჰქონდათ და რიცხობრივადაც უფრო მეტნი იყვნენ.

**დემონსტრანტებმა მასობრივ შემოტევას ვერ გაუძლეს. ნიღბიანებმა სწრაფი იერიშით „მოწინააღმდეგის“ ბარიერები გაარღვიეს და უცებ მომიტინგეთა შუაგულში აღმოჩნდნენ. ხალხის მასა ისევ პანიკამ მოიცვა, დანით შეიარაღებულ ნიღბიანებთან ახლოს ვერავინ მიდიოდა — ყველა გარბოდა. ვინც გაქცევას ვერ ახერხებდა, „ზონდერთა“ ხელკეტების „მსხვერპლი“ ხდებოდა, ხოლო გაქცეულს არანაკლებ „შთამბეჭდავი“ ლანძღვა-გინება მიჰყვებოდა უკან (როგორც ჩანს, შინაგან საქმეთა სამინისტროში ბილწსიტყვაობის კურსებს საგანგებოდ გადიან)...**

დარბევის დროს, რომელიც დაახლოებით ნახევარ საათს გაგრძელდა, ერთი კურიოზული ფაქტი მოხდა — როცა ნიღბიანებმა ფურცელაძის ქუჩისა და რუსთაველის გამზირის კუთხეში მდგომ რამდენიმე მომიტინგეს საგანგებოდ შეუტიეს, ერთ-ერთმა დემონსტრანტმა (თავდაცვის მიზნით) ქუჩაში სასეირნოდ გამოყვანილი პიტბულის ჯიშის ძაღლი აუშვა და „ზონდერებისკენ“ „მიუთითა“, ძაღლიც ელვისებურად მოსწყდა ადგილს და წამში ერთ-ერთ ნიღბიანს ზურგზე შეახტა...

კარგა ხანს სასოწარკვეთილი დარბოდა პიტბულის ყბაში ჩავარდნილი „ზონდერი“, მერე კი ძირს დავარდა და სანამ „თანამებრძოლებმა“ ხელკეტები მიაშველეს და პიტბული უკუაქციეს, მიწაზე ფართხალებდა...

იმ ღამით არა ერთი მსგავსი კურიოზული ფაქტი მოხდა — იყო შემთხვევები, როცა დემონსტრანტები შემთხვევით ერთმანეთს ურტყამდნენ და ქვებს უშენდნენ (მერე კი ერთმანეთს ბოდიშებს უხდიდნენ), მაგრამ კურიოზი და ანეკდოტი იქით იყოს...

28 მაისის ხელკეტიანმა ღამემ კიდევ ერთხელ გააშიშვლა „ვარდოსანთა“ ხელისუფლება, კიდევ ერთხელ სამზეოზე დადო „ნაცმოელთა“ ჭეშმარიტი სახე და ნათლად დაგვანახა ხელისუფლების შეცვლის აუცილებლობა...

**ცნობისთვის:**

**თბილისის მასშტაბით საპროტესტო აქციების დაწყებიდან (ანუ 9 აპრილიდან დღემდე) შინაგან საქმეთა სამინისტროს „ზონდერბრიგადების“ მიერ მომიტინგეთა დარბევის ას ოცზე მეტი შემთხვევა დაფიქსირდა. თითოეული ფაქტი ხელისუფლებამ ოპოზიციის მხრიდან პროვოკაციის მცდელობად შეაფასა და არც ერთ მათგანზე გამოძიება არ დაწყებულა.**

**უფრო მეტიც, 28 მაისის ღამეს მომხდარი ინციდენტიდან ორი საათის შემდეგ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ეკატერინე ზღულაძემ საგანგებო ბრიფინგი გამართა და განაცხადა: დემონსტრანტებმა შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატორს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს და დაპირისპირებაც ამას მოჰყვაო. პარალელურად, კადრებში ვითომ დემონსტრანტების მიერ დანით დაჭრილი პოლიციელები აჩვენეს, რომლებიც ასევე თავგამოდებით ირწმუნებოდნენ, რომ ჩხუბი მომიტინგეებმა დაიწყეს.**

მოკლედ, ქალბატონი ზღულაძე და მისი ზემდგომი თუ ქვემდგომი ჩინოვნიკები ლამის ტყავიდან გამოძვრნენ თავის მართლებით, თუმცა მათ მხედველობიდან ერთი რამ მაინც გამორჩათ — კადრებში, რომელთაც სახელისუფლებო არხები („რუსთავი 2“, „იმედი“ და „საზოგადოებრივი მაუწყებელი“) მთელი ღამე ატრიალებდნენ, ნათლად ჩანდა, რომ პოლიციელებად შერაცხილ „ზონდერებს“ სახეზე რატომღაც ნიღბები ეკეთათ (ანუ ყაჩაღებს ჰგავდნენ), ჩანდა დანებიც (რომელთა გამოყენებაც დემონსტრაციის დასაშლელად ასევე აკრძალულია). კადრებში ასევე ნათლად გამოჩნდა, რომ მუშტიკრივში სწორედ ნიღბიანები აქტიურობდნენ და არა მომიტინგეები, როგორც ამაში ქალბატონი ზღულაძე გვარწმუნებდა.

ერთი სიტყვით, ქალბატონი ზღულაძე, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც თეთრს შავად წარმოგვიდგენდა, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეკრანზე ორივე ჩანდა — თეთრიც და შავიც...

სხვათა შორის, ეს კადრები იყო უპრეცედენტო შემთხვევა, როცა მერაბიშვილის უწყებამ, შეცდომით თუ უნებლიეთ, ობიექტური ინფორმაცია მიაწოდა მაყურებელს...

ჩვენება დაწერილია ჩემ მიერ. ვადასტურებ და ხელს ვაწერ

**ჯ. ჟვანია**

*გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“*

# თვალამოთხრილ მომიტინგეებს შინაგან საქმეთა სამინისტრო აშინებს

**მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ საპროტესტო მოძრაობის აქტივისტი მოზარდები დააკავეს, სასტიკად სცემეს, პოლიციის სამმართველოში გამოამწყვდიეს და გაუპატიურებით დაემუქრნენ, მომიტინგეები რუსთაველის გამზირიდან დიღმისკენ დაიძრნენ და პოლიციის სამმართველოს შენობასთან აქცია გამართეს. იმ ღამეს პოლიციის თანამშრომლებმა „თავდაცვის“ მიზნით რეზინის ტყვიებიც უხვად გამოიყენეს, ხელკეტებიც ლეკურივით ატრიალეს და დაკავებული ახალგაზრდების ბედით აღშფოთებული მომიტინგეების რიგებიდან ზოგი საკანში გაამწესეს, ზოგიც — საავადმყოფოში. ორმა მამაკაცმა — დავით ჩანტლაძემ და ირაკლი ხომასურიძემ სიმართლისა და დემოკრატიისათვის ბრძოლას საკუთარი თვალიც შესწირეს და თვალის სინათლეც. რეზინისა თუ პლასტმასის ტყვიის დამიზნებით მოხვედრის შედეგად ორივე მათგანმა თვალი დაკარგა. მომხდარზე დაზარალებულებიც, მათი ოჯახის წევრებიც, ნათესავებიც, მეგობრებიც, ადამიანის უფლებათა დამცველებიც, არასამთავრობოებიც, სამთავრობოებიც, ოპოზიციონერებიცა და თვით სახალხო დამცველის აპარატიც შეთქმულებივით დუმან.**

საკაშვილის „დემოკრატიული“ რეჟიმის მონდომებით თვალისჩინდაკარგულებთან მისასვლელი გზის ძებნა ოპოზიციის ლიდერებისაგან დავიწყე, მათ ხელები გაასავსავეს, — ჩვენი წარმომადგენელი არ გახლავთ, არაფერი ვიცით და ჯობია, სახალხო დამცველის აპარატს მიმართოთ, მათ აქვთ დაზარალებულების შესახებ ცნობებიო. მივმართე და მრავალჯერაც დავუკავშირდი სუბარის მოადგილე გიორგი ჩხეიძეს, მაგრამ საუკეთესო პასუხი, რომელიც მისგან მოვისმინე, „არაფერი დამინახავს, არაფერი გამიგონია, არავის არაფერს ვეტყვის“ ჰგავდა:

— შეცდომით მოგასწავლეს, ჩვენ ამ ადამიანებზე ინფორმაცია არ გვაქვს.

**— იქნებ სახელები მაინც მითხრათ?**

— არა, არ ვიცით, არ გვაქვს საკონტაქტო ინფორმაცია, ისინი არ შემოგვხმიანებიან, ვინ მოგასწავლათ?

**— მაშინ ის მითხარით, რატომ იმალებიან დაზარალებულები და რატომ არავინ არაფერი იცის მათზე?**

— არ ვიცი, რატომ იმალებიან, მაგრამ ჩვენ არ გვაქვს საკონტაქტო ინფორმაცია.

**— არ დაინტერესებულხართ, ვინ არიან, არც საავადმყოფოში მოგიკითხავთ, სახელიც კი არ გაგიგიათ?**

— ჩვენ ახლა თანმიმდევრობით ვსწავლობთ ყველა დაზარალებულის მდგომარეობას, ამ მომენტისათვის მათ შესახებ ინფორმაცია არ გვაქვს, რომ გვქონდეს, მათი თანხმობის შემთხვევაში, მოგცემდით.

**— შემთხვევით, ის მაინც ხომ არ იცით, რომელ საავადმყოფოში წაიყვანეს თვალგამოთხრილები?**

— არა, ჩვენს აპარატს მათ შესახებ ინფორმაცია ჯერჯერობით არ აქვს, შეიძლება მოვიპოვოთ, მაგრამ, როგორც გითხარით, თანმიმდევრობით მივყვებით. ჯერჯერობით მათთან ვმუშაობთ, ვინც მოგვმართა. ერთბაშად ვერ მოვახერხებთ ამ ყველაფერს.

ბოლოს ისევ ორთაჭალის თვალის კლინიკის ექიმებმა მიშველეს, თუმცა ინფორმაცია რომ მოეცათ, ორი საათი ვუმტკიცებდი, რომ ნამდვილად ჟურნალისტი ვიყავი და თვალდაკარგულთათვის მეორე თვალის გამოთხრას არ ვაპირებდი. ბოლოს „დამიჯერეს“ და დაზარალებული ჩანტლაძის შესახებ საკონტაქტო ინფორმაციაც მანდეს.

ბატონ დავითს რომ შევეხმიანე, ხმაც კი მიკანკალებდა, არ ვიცოდი, როგორ უნდა დამეწყო საუბარი ადამიანთან, რომელსაც სულ რამდენიმე დღის წინათ თვალის ბუდიდან რეზინის ტყვიასთან ერთად თვალის გუგაც ამოაცალეს.

ჩემდა გასაკვირად, მოსალოდნელთან შედარებით უფრო მხნედ და რიხიანად მიპასუხა:

— ინტერვიუს აუცილებლად მოგცემთ, მაგრამ ტრავმა ტვინს ეხება და ექიმებმა მირჩიეს, სამი-ოთხი დღე სიმშვიდეში გავატაროო. ახლა სოფელში მივდივარ, წამლებიც თან მიმაქვს, 3-4 დღეში ჩამოვალ და ვისაუბროთ. თუ ეს სამი დღე რამეს წყვეტს, ერთ საათში დაწყნარებულ-დალაგებული ვიქნები, დამირეკეთ და ვისაუბროთო.

ამ საუბრის შემდეგ ორი დღის განმავლობაში ბატონ დავითს ტელეფონი აღარ ჩაურთავს. მისი შვილის მეგობრებს მივაგენი, ვთხოვე, დაზარალებულის შვილთან მაინც დამაკავშირეთ-მეთქი. გულითადი პირობის მიუხედავად, ისინიც თვალსა და ხელს შუა გამიქრნენ.

ხელები გაასავსავეს ადვოკატებმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა, ადამიანის უფლებათა დამცველებმა...

კვლავ მედიკოსთა იმედად დარჩენილმა უკვე რესპუბლიკურ საავადმყოფოს მივაკითხე. მეორე დაზარალებულს, ირაკლი ხომასურიძეს, სწორედ იქ გაუკეთა თვალის ურთულესი ოპერაცია ქირურგმა მალხაზ ჩიქოვანმა. როგორც მითხრეს, ირაკლი უკვე ვენის კლინიკაშია მკურნალობის გასაგრძელებლად. ტელეფონით დაზარალებულის დედა, ქალბატონი ჟუჟუნა მესაუბრა:

— დღეს მიდის ირაკლი.

**— სად?**

— მგონი, საოპერაციოდ მიჰყავთ.

**— სად?**

— ვენაში.

**— ვის მიჰყავს?**

— ვერაფერს გეტყვით, ერთი ოპერაცია აქ გაუკეთეს... მოითმინეთ, ჩემი ქალიშვილი დაგელაპარაკებათ...

საუბარი ირაკლის დამ — თამრიკომ განაგრძო:

— თვალი იმდენად ცუდ მდგომარეობაში ჰქონდა, ბევრი ექიმი საერთოდაც არ მოჰკიდებდა ხელს. რესპუბლიკური საავადმყოფოს ექიმმა მალხაზ ჩიქოვანმა გარისკა. რამდენადაც ვიცი, მეორე დაზარალებულმაც დაკარგა თვალი. ადრე ჩვენთან ახლოს ცხოვრობდა. თუ არ ვცდები, დათო ჰქვია, თუმცა ჩემი ძმა მას არ იცნობს. ორთაჭალაში იწვა და პირდაპირ თვალიდან ამოუღეს ტყვია. ირაკლი ახლა ვენაში მიჰყავთ, ჯერჯერობით არ ვიცი, იქ მაინც თუ არის შესაძლებელი მხედველობის აღდგენაზე ფიქრი.

**— ირაკლის თვალში ნამდვილად ტყვია მოხვდა?**

— ექიმი ამ ვერსიას არ გამორიცხავს და თვითონ ირაკლიც ასევე ფიქრობს. ჩემი ძმა ტელეეკრანზე დავინახე, წინა ხაზზე იდგა და ორივე მხარეს აწყნარებდა — ძმები დგანან, ნუ ისვრით, ღმერთმა დაგლოცოთო. და უცებ, თავად მოხვდა ტყვია, თანაც, ახლო მანძილიდან, სულ ორიოდე ნაბიჯიდან ნასროლი.

**— ორი ნაბიჯის დაშორებიდან შიგ თვალში დაუმიზნეს და ესროლეს?**

— დიახ, დაახლოებით ეს მანძილი იქნებოდა.

**— ამ შემთხვევამდე როგორ ცხოვრობდა ირაკლი?**

— ნაძალადევში ღვთისმშობლის ეკლესიაში მუშაობდა, იქ სკოლაა, რომელსაც პატრონობდა და ღვთისმსახურებთან ატარებდა უმეტეს დროს.

**— მიტინგებზე რატომ დადიოდა?**

— ჩემი ძმა უსამართლობას არასდროს შერიგებია, ყოველთვის ხალხისკენ მიუწევდა გული და ხშირად იმასაც ამბობდა — სადაც ხალხია, მეც იქ უნდა ვიყოო. იმ დღეს უზომოდ განიცადა იმ დაჭერილი ბავშვების ამბავი, რომელთა გამოც აღმოჩნდა ეს ხალხი პოლიციის შენობასთან, თუმცა შენობაში შეჭრის სურვილი არავის ჰქონია. ირაკლი არასდროს ემხრობოდა ამგვარ ქმედებებს, უბრალოდ, დადგა იქ, სადაც ხალხი იყო და, როგორც შეეძლო, ცდილობდა, რომ არც ერთი მხრიდან არ მომხდარიყო რაღაც გამოუსწორებელი.

**— თქვენ როგორ ფიქრობთ, თუ ამ ყველაფერს შედეგად ხელისუფლების შეცვლა მოჰყვება, ჩათვლით, რომ ღირდა მიზანი ამ მსხვერპლად?**

— ირაკლი ყოველთვის მტკივნეულად განიცდიდა თავისი ქვეყნის ბედს. სხვათაშორის, 9 აპრილსაც დაკარგა თვალი ერთმა ბიჭმა და მაშინ

ის ჩემმა ძმამ საკუთარი მხრებით გამოიყვანა. ნოემბრის დარბევის დროსაც იქ იყო და...

ამ დროს ყურმილში მამაკაცის ხმა გაისმა, — რას ელაპარაკები, რა იცი, ვინ არისო და... კავშირი გაწყდა.

რამდენჯერმე ისევ ვცადე დაკავშირება, მაგრამ — უშედეგოდ.

**მაია სვიანაძე**

***გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“***

**P.S.** ამ მასალაზე მუშაობის დაწყებამდე გამაფრთხილეს, რომ თვალდაკარგულები ისე შეაშინეს და გააჩუმეს, ვერც მათ და ვერც სხვას ვერაფერს ათქმევინებო. არ ვიცი, როგორ გააჩუმეს, ან ვინ გააჩუმა, ფაქტი ისაა, რომ მართლაც ყველას დუმილი ურჩევნია. არსებობს ვერსია, რომ ისინი „მერაბიშვილის კანტორამ“ სერიოზულად „დაამუშავა“. ამ ადამიანებს თვალის ამოთხრა არ აკმარეს და მკურნალობის ხარჯების დაფარვის სანაცვლოდ აიძულებენ, პირში წყალი ჩაიგუბონ. აფერუმ, დემოკრატიაც ამას ჰქვია!

იმედს ვიტოვებ, ჩემი ზარების გამო რაიმე ახალ სადარდებელს არ გავუჩენ მათ. რაც შეეხება ნუგეშს, დიდი ილიას უკვდავ სიტყვებს გავიმეორებ: „ჩემო თვალის სინათლევ, რაზედ მოგიწყენია?.. აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია...“

წართმეული მომავლის დაბრუნება უმსხვერპლოდ არ ხდება ხოლმე. ღმერთმა ქნას, მსხვერპლი, რომელიც მომავლისათვის თითოეული ჩვენგანის ნაცვლად გაიღეს ირაკლი ხომასურიძემ და დავით ჩანტლაძემ, საკმარისი აღმოჩნდეს უმოწყალო აწმყოს უკეთესი მომავლით შესაცვლელად.

# „ნაცების“ ნაცემები

**საქართველოს ხელისუფლებას რომ ხელები სისხლში აქვს გასვრილი, არახალია. ამის ნათელი მაგალითია სანდრო გირგვლიანის, ბუტა რობაქიძის, ზურა ვაზაგაშვილის, ვალერი ფხაკაძის, გიორგი გამცემლიძის და სხვა არაერთი ახალგაზრდის ქუჩაში უმოწყალოდ დახვრეტა. ხელისუფლებამ საკუთარი მოქალაქეების სისხლში ხელები აგვისტოშიც ამოისვარა, როდესაც ქვეყნის მთავარსარდლისა და მისი ამალის არაადეკვატურ, გაუთვლელ ქმედებას ათეულობით ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. მიუხედავად ამისა, ალბათ, ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ სააკაშვილის გუნდი ხელებს ფეკალიებშიც აფათურებდა... დიახ, სამწუხაროდ, ეს ჩვენი ქვეყნის მწარე რეალობაა!**

28 აპრილი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მიტევების დღედ გამოაცხადა და საქართველოს ყველა ეკლესიაში შენდობის ლოცვა ჩატარდა. სწორედ ამ დღეს, სავარაუდოდ, „ნაციონალებმა“ მომიტინგეებს ფეკალიებით სავსე პარკები ესროლეს და, როგორც ჩანს, სინანულიც ასე გამოხატეს ქვეყნის წინაშე ჩადენილი ყველა დანაშაულისთვის... სამწუხაროდ, სწორედ ზნეობისგან ასე განძარცვულ ადამიანებზე დგას სააკაშვილის ხელისუფლება, ადამიანებზე, რომლებიც ოპონენტებთან საბრძოლველად ფეკალიებში ხელის ფათურსაც არ ერიდებიან და, ალბათ, ამ ფაქტის შემდეგ აღარც კი ღირს იმაზე საუბარი, ოპოზიციის რამდენ მხარდამჭერზე მოხდა თავდასხმა 9 აპრილს დაწყებული საპროტესტო აქციების შემდეგ. თუმცა, უპრიანია, საზოგადოებას კიდევ ერთხელ შევახსენოთ, რამდენად დაცულია ქვეყანაში განსხვავებული აზრი... ვიდრე ვისაუბრებდეთ ბოლო დღეებში „ნაცების“ მიერ ნაცემ ადამიანებსა და მომხდარ ინციდენტებზე, შეგახსენებთ, როგორ მოდიოდა ხელისუფლებაში „ნაციონალური მოძრაობა“.

2003 წლის საპარლამენტო არჩევნების წინაპერიოდში „ნაციონალების“ რეგიონებში გასვლა, ძირითადად, ქვების სროლითა და ცემა-ტყეპით სრულდებოდა. ყველაზე მასშტაბური მათ შორის ბოლნისში და ბათუმში გამართული მუშტიკრივი იყო.

ბოლნისში საარჩევნო აგიტაცია-პროპაგანდისთვის ჩასულმა მიხეილ სააკაშვილმა და „ნაცშპანამ“ ბოლნისის მაშინდელ გამგებელს ცხვირპირი დაუსისხლიანეს და შევარდნაძის მხარდამჭერებს ქვებიც დაუშინეს, თუმცა მაშინ „ნაციონალების“ მიერ ქვების სროლის ფაქტის ინსცენირება ლევან მამალაძესა და მის მხარდამჭერებს დაბრალდათ... შემდეგი იყო ბათუმში მომხდარი მასშტაბური ცემა-ტყეპა, როდესაც „ნაციონალურ მოძრაობას“ ასლან აბაშიძემ მიტინგის ჩატარების საშუალება არ მისცა. ყველაზე მეტად მაშინ კობა დავითაშვილი და კობა ხაბაზი გაილახნენ. დავითაშვილი იმდენად დაზარალდა, რომ „ვარდების რევოლუციის“ აქციებშიც კი ვერ მიიღო ინტენსიური მონაწილეობა. მოგვიანებით მან განაცხადა, — სააკაშვილი გაიპარა და როდესაც ჩვენ გვირტყამდნენ, ის აჭარულ ხაჭაპურს მიირთმევდაო... შევარდნაძის ხელისუფლებას თავის დროზე

რომ დაესაჯა ქვების სროლისთვის „ნაციონალური მოძრაობა“, შესაძლოა, ხელისუფლებაში მოსვლაც ვერ მოეხერხებინათ და არც 7 ნოემბერი მოეწყოთ ქართველი ხალხისთვის და არც აგვისტოს ომი დაეტეხათ თავს ქვეყნისთვის. თუმცა დღეს ამაზე საუბარი გვიანია და ხელისუფლების მიერ ჩადენილ მორიგ დანაშაულებრივ ქმედებებზე გიამბობთ. კრიმინალური ზონდერბრიგადები ქალაქის ცენტრალურ ქუჩებში თავს ესხმიან ადამიანებს და სასტიკად უსწორდებიან მათ. აღსანიშნავია, რომ მოქალაქეების ცემის ფაქტებს ხშირ შემთხვევაში მშვიდად შესცქეროდა პოლიცია და პატრული და არც კი უცდიათ დანაშაულის აღკვეთა.

### 9 აპრილი, 2009 წელი

9 აპრილს მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე თავს დაესხნენ გია ყარყარაშვილის ავტომანქანას, სცემეს მის მძღოლს და წაართვეს ვიდეოკამერა, თუმცა მომხდარის გამოძიებით თავი არავის შეუწუხებია.

შს მინისტრის მოადგილე ეკა ზღულაძემ კი ბრძანა, — ყარყარაშვილს სამართალდამცავებისთვის არ მიუმართავს და, შესაბამისად, მომხდარი ინციდენტიც არ დასტურდებაო...

ეს რომ პრიმიტიული თავისმართლებაა, ყველასთვის ნათელია, რადგან არა ერთმა დაზარალებულმა მიმართა დახმარებისთვის საპატრულო პოლიციას, მაგრამ დღემდე არც ერთი საქმე, რომელთა გამოძიებაც ხელისუფლებას ხელს არ აძლევდა, არ გახსნილა. 9 აპრილი შედარებით მშვიდობიანი იყო. მომიტინგეების ცემის ფაქტებმა კი შემდგომ დღეებში უფრო და უფრო იმატა.

### 10 აპრილი, 2009 წელი

10 აპრილს მოძრაობის — „რატომ?“ — წევრებს: ირაკლი ხუხუნეიშვილს, ლაშა კოპალიანს, ოთარ ჭელიძეს, ნათია არჩვაძესა და ელენე ბარამიძეს ნიღბიანები მაშინ დაესხნენ თავს, როდესაც ისინი აქციიდან შინ ბრუნდებოდნენ. თავდამსხმელები ხელკეტებითა და ელექტროშოკით იყვნენ შეიარაღებული და მოძრაობის წევრებს ფიზიკურად გაუსწორდნენ. ცემის შედეგად მოძრაობის ერთ-ერთ წარმომადგენელს — ირაკლი ხუხუნეიშვილს ტვინის შერყევა დაუდგინდა.

10 აპრილს, დაახლოებით 21 საათზე, სპორტის აკადემიის სტუდენტები მეცნიერებათა აკადემიის მიმდებარე ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ და მიემართებოდნენ თავისუფლების მოედნისკენ.

ოლეგ სიმონიანსა და ვოვა სტეფანოვს გზა გადაუჭრა BMW-ის მარკის „ჯიპმა X-5-მა“, სერიით GMZ 111. ავტომანქანიდან გადმოვიდა 6 პი-

როვნება, რომლებმაც ხელკეტებით მიაყენეს მათ ფიზიკური შეურაცხყოფა და წაართვეს დროშები.

10 აპრილს ავლაბრის მეტროსთან დავით ახალაძეს ნიღბიანმა პირებმა მანქანა დაუმტვრიეს და მანქანაში მჯდომ ერთ-ერთ მგზავრს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.

10 აპრილს შარაშიძის ქუჩა №24-ის მიმდებარე ტერიტორიაზე ყოფილ პარლამენტარ ბაკურ გულუას კუთვნილ ავტომანქანას მინები ჩაუმსხვრიეს. ყოფილი დეპუტატი მომხდარს პოლიტიკურ საქმიანობას უკავშირებს.

### 12 აპრილი, 2009 წელი

12 აპრილს, დაახლოებით ღამის სამ საათზე, პარლამენტის შენობის წინ მიმდინარე აქციაზე გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც თქვეს, რომ დაასუფთავებდნენ ტერიტორიას და დასუფთავებას თითქოს შეუდგნენ კიდეც. ამ დროისათვის გამოჩნდა ხელკეტებით აღჭურვილი 50-მდე პირი. დაიწყეს ჩხუბი, დაამტვრიეს აპარატურა და მოშალეს სცენა. „საზოგადოებრივი დამცველის“ წარმომადგენელმა ნანა კაკაბაძემ განაცხადა, რომ მიტინგის დარბევიდან ორ საათში, როდესაც მონიტორინგს ატარებდნენ თბილისის ქუჩებში, ფილარმონიასთან დააფიქსირეს ოთხი „ჯიპი“, რომელთაგან ერთ-ერთში ვასილ სანოძე იჯდა.

12 აპრილს „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ სამ წევრს სცემეს. ოპოზიციის წარმომადგენლებს თავს მაშინ დაესხნენ, როდესაც მათ მომიტინგეებისთვის სასმელი წყალი და საკვები იყიდეს. მათ დაუმტვრიეს მანქანები და მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა.

### 13 აპრილი, 2009 წელი

13 აპრილს აქციის ერთ-ერთ მონაწილეს უცნობმა პირებმა სცემეს და თავი გაუტეხეს. დაზარალებული, საჩხერელი ჯანიკო დვალი აცხადებს, რომ ქუჩაში უცნობმა სამმა მამაკაცმა, რომლებიც სამოქალაქო ფორმაში იყვნენ, ჰკითხა, სად მიდიოდა და ვის უჭერდა მხარს: — „ჯერ აგიტაცია ჩამიტარეს, რომ, თუ ხელისუფლებაში ოპოზიცია მოვიდოდა, დავკარგავდი ყველაფერს, ხოლო საქართველო დაკარგავდა მომავალს და, რადგან პოზიცია არ შევიცვალე, მცემეს“...

70 წლის მომიტინგეს თავდამსხმელებმა თავი გაუტეხეს და მას პირველადი სამედიცინო დახმარება ექიმთა კომიტეტის ხელმძღვანელმა აღმოუჩინა.

13 აპრილს „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ წევრებზე თავდასხმა მოხდა. სცემეს გოჩა თევზაძეს, ლაშა კუჭავასა და ლევან კოტეტიშვილს, ასევე, ტაქსის მძღოლ თემურ ბუნტურს. დაზარალებულებს საკვები მიჰქონდათ მომიტინგეებისთვის. ისინი პეკინის ქუჩიდან მიემართებოდნენ რუსთაველის გამზირისკენ. ტაქსიში ჩასხდომის დროს მათ თავს დაესხა 10-მდე პიროვნება და სცემეს.

ტაქსის მძღოლის განმარტებით, თავდამსხმელები იყვნენ BMW-ს მარკის ავტომობილით, რომლის სერიაა LAS 433. თავდამსხმელებმა დაამტვრიეს ტაქსი.

13 აპრილს ორგანიზაციის „ალიანსი — საქართველოსთვის“ — სამგორის რაიონის ახალგაზრდული შტაბის უფროსს — შმაგი გელბახიანს სასტიკად სცემეს, რომელიც საავადმყოფოში გადაიყვანეს.

### 14 აპრილი, 2009 წელი

ვახტანგ ლაღიძის განმარტებით, 14 აპრილს, დაახლოებით 23 საათზე, იგი შინ ბრუნდებოდა საკუთარი ავტომანქანა „ტოიოტა ლენდ კრუიზერით“. ჭავჭავაძის გამზირზე, პირველ ჩიხში, მას გზა გადაუჭრა „ნისანის“ მარკის ნაცრისფერმა ავტომანქანამ. ამავე დროს მისი ავტომობილის უკან გაჩერდნენ ავტომანქანები, რომელთაგანაც 12-მდე პიროვნება გადმოვიდა. ისინი ფიზიკურად გაუსწორდნენ ვახტანგ ლაღიძეს და წაართვეს ავტომანქანა. დაზარალებულის განმარტებით, სავარაუდოდ, მომხდარი საქართველოში მსოფლიო ბანკის წამომადგენლობასთან დამონტაჟებულ ვიდეოკამერას უნდა დაეფიქსირებინა. ოფისის მესვეურნი აცხადებენ, რომ ვაშინგტონიდან თანხმობის მიღების შემდეგ აღნიშნულ მასალას გადასცემდნენ საქართველოს სახალხო დამცველს.

14 აპრილს ავლაბრის მეტროსთან სამოქალაქო ფორმაში ჩაცმულმა მამაკაცმა სცემა ჰამლეტ გულორდავას, რომელიც აქციიდან სახლში მიდიოდა. თავდამსხმელი „მერსედესის“ მარკის „ჯიპიდან“ გადმოვიდა.

14 აპრილს პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე ორი ახალგაზრდა — გიორგი ონიანი და მამუკა გირგვლიანი დაჭრეს.

### 15 აპრილი, 2009 წელი

15 აპრილს სახალხო დამცველის რწმუნებულს ახსნა-განმარტება მისცა იოსებ მანჯავიძემ. მისი განმარტებით, იგი ძმებთან — ოთარ და ზურაბ მანჯავიძესთან ერთად 2009 წლის 15 აპრილს იმყოფებოდა „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ შენობის წინ მიმდინარე აქციაზე. დაახლოებით დილის 4 საათზე ისინი მეგობრის მანქანით მივიდნენ შევჩენკოს ქუჩაზე, სადაც ზურაბ მანჯავიძის კუთვნილი ავტომანქანა იყო გაჩერებული. მანქანაში ჩასხდომის შემდეგ მათ წინ გადაუდგა ვერცხლისფერი „მერსედესი“, ხოლო უკნიდან მოადგათ „ფოლკსვაგენის“ მარკის მუქი ფერის ავტომანქანა სახელმწიფო ნომრით VNX 937 ან 972. მანქანებიდან ნიღბიანი და ხელკეტებით შეიარაღებული პირები გადმოვიდნენ, დაახლოებით 8-9 კაცი. მათ ხელკეტებით შეამტვრიეს მანქანის წინა მინა, გააღეს კარი და ცდილობდნენ ზურაბ მანჯავიძის გადმოყვანას, აყენებდნენ ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას. ხმაურზე მას ადგილობრივი მოსახლეობა გამოესარჩლა, რის შემდეგაც თავდამსხმელები გაიქცნენ. დაზარალებულის განმარტებით, ზურაბ მანჯავიძემ მიმართა საპატრულო პოლიციას, რომელმაც მანქანაზე დევნის განხორციელების ნაცვლად, ახსნა-განმარტება ჩამოართვა მათ, რითაც დამნაშავეებს მიმალვის საშუალება მისცა.

ზვიად ლიჩელისა და ვახტანგ ივანიშვილის განმარტებით, ისინი იმყოფებოდნენ პრეზიდენტის რეზიდენციის წინ მიმდინარე აქციაზე. დაახლოებით 24 საათზე მათ დატოვეს აქცია. საკვების საყიდლად წასულებმა შენიშნეს თეთრი ფერის „ნივა“, რომელიც მათ სიახლოვეს საეჭვოდ მოძრა-

ობდა. ზვიად ლიჩელმა და ვახტანგ ივანიშვილმა გადაწყვიტეს უკან, აქციაზე დაბრუნება. ამ დროს ავტომანქანიდან უცნობმა პირმა დაუძახა: — „ერთი წუთით, ბიჭებო“... ამის შემდეგ მათ წინ გადაუდგათ „მერსედესის“ მარკის ავტომანქანა, საიდანაც გადმოვიდა ხელკეტებით შეიარაღებული ოთხი უცნობი პირი. შემთხვევის ადგილზე ოთხი ავტომანქანა იმყოფებოდა. თავდამსხმელებმა ზვიად ლიჩელსა და ვახტანგ ივანიშვილს სცემეს. აღნიშნული ფაქტი შენიშნეს აქციის მონაწილეებმა, რომლებიც დაიძრნენ მათი მიმართულებით. თავდამსხმელებმა დატოვეს შემთხვევის ადგილი.

15 აპრილს საქართველოს სახალხო დამცველს ახსნა-განმარტება მისცა საპროტესტო აქციების საორგანიზაციო კომიტეტის წევრმა გოჩა სახლთხუციშვილმა. მისი განმარტებით, 15 აპრილს, დაახლოებით 23 საათსა და 30 წუთზე, აქციიდან საკუთარი ავტომობილით („Range Rover“, სახელმწიფო ნომრით MUR 755) სახლში, პეტრიწის ქუჩაზე დაბრუნდა. მან ავტომობილი სადარბაზოსთან გააჩერა. ამ დროს მას თავს დაესხა 3-4 ადამიანი, რომელთაც იგი გადმოაგდეს მანქანიდან და სცემეს. ხმაურმა მეზობლების ყურადღება მიიქცია, რის შედეგადაც თავდამსხმელები გაიქცნენ და თან წაიყვანეს ნაცემის კუთვნილი ავტომანქანა. ისინი მეზობლის ავტომანქანას შეეჯახნენ. 15-20 წუთის შემდეგ შემთხვევის ადგილზე მოვიდნენ პოლიციელები. მათ განაცხადეს, რომ მეზობლის ზარით შეიტყვეს მომხდარის შესახებ. დაზარალებულს აღენიშნება დაზიანებები იდაყვსა და შუბლის არეში. დაახლოებით 01. 00 საათზე პოლიციამ დაურეკა დაზარალებულს და აცნობა, რომ მისი კუთვნილი ავტომანქანა სოფელ დიღომში იპოვეს.

15 აპრილს თემურ რადიანი ვაჟიშვილსა და მეგობართან ერთად „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ შენობის წინ მიმდინარე საპროტესტო აქციაზე იმყოფებოდა. დილის სამი საათისთვის მათ დატოვეს აქცია და წავიდნენ სახლისკენ. თემურ რადიანმა და მისმა თანმხლებმა პირებმა გმირთა მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე „ჯიპის“ მარკის ორი ავტომანქანა შენიშნეს. ამ დროს მათ წინ ოთხი ავტომანქანა გადაუდგათ — 3 შავი „ჯიპი“ და ერთი თეთრი მსუბუქი ავტომანქანა. თემურ და შალვა რადიანები გაიქცნენ ვარაზისხევის მიმართულებით. მათ

მანქანებიდან გადმოსული 10-15 კაცი გამოეკიდა. როგორც თემურ რადიანი აცხადებს, მათ სამედიცინო ნიღბები ეკეთათ და რეზინის ხელკეტები ეჭირათ. მამა-შვილი რადიანები უნივერსიტეტის პირველ კორპუსთან შეჩერდნენ. იქვე გაჩერდა თეთრი ავტომანქანა, საიდანაც 4-5 ნიღბიან-ხელკეტიანი მამაკაცი გადმოხტა და დაუწყო მათ ცემა.

როგორც დაზარალებულები აცხადებენ, შემთხვევის ადგილთან ახლოს იდგა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი. მომხდარზე არანაირი რეაგირება არ მომხდარა.

როდესაც ხელკეტებით ნაცემმა მომიტინგეებმა პატრულის თანამშრომლებს დახმარება სთხოვეს, მათ უპასუხეს, რომ არ ჰქონდათ არც რაცია და არც მობილური ტელეფონები და ვერ დაეხმარებოდნენ. თემურ რადიანმა ამის შემდეგ საკუთარი მობილური ტელეფონით გამოიძახა პატრული, რომელიც შემთხვევის ადგილზე რამდენიმე წუთში მივიდა, თუმცა დახმარებაზე მანაც უარი განაცხადა. თემურ და შალვა რადიანები რესპუბლიკურ საავადმყოფოში მეგობრებმა წაიყვანეს, სადაც მათ სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს.

15 აპრილს ხალხის პარტიის, თავისუფლების პარტიისა და გაერთიანების — „ალიანსი საქართველოსთვის“ — სამ წევრს: გიზო სართანიას, ჰამლეტ გულორდავასა და მალხაზ ჩარკვიანს სცემეს. შემთხვევა ავლაბრის მეტროსთან მოხდა. მიტინგის მონაწილეები მანქანაში ჩასხდომას აპირებდნენ. მათ თავს დაესხნენ „მერსედესისა“ და „ტოიოტას“ მარკის ავტომანქანებით და სასტიკად გაუსწორდნენ. დაზარალებულები რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. მათი განმარტებით, თავდამსხმელები შეიარაღებულები იყვნენ.

15 აპრილს, დაახლოებით 16 საათზე, ყოფილი პარლამენტარი, „ახალი მემარჯვენეების“ წევრი დავით უჯმაჯურიძე გაიტაცეს. მას პირზე „სკოჩი“ ააკრეს და სცემეს, წაიყვანეს ქალაქგარეთ და საგურამოში დააგდეს, ხოლო მისი ცეცხლწაკიდებული მანქანა ვაშლიჯვარში გადააგდეს.

### 16 აპრილი, 2009 წელი

ღამის სამ საათზე სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა ახსნა-განმარტებები ჩამოართვეს თემურ გუნდაძესა და ლუიზა გაბაიძეს. მათი განმარტებით, სოფელ ხიხანიდან სამარშრუტო ტაქსით გოჩა გაბაიძე, ლუიზა გაბაიძე, მურმან ცეცხლაძე, ამირან გაბაიძე, თეიმურაზ გუნდაძე, ნუგზარ გორგაძე, გიული გაბაიძე და თემურ ბოლქვაძე მიდიოდნენ მიტინგზე დედაქალაქის მიმართულებით. მარნეულში სამარშრუტო ტაქსი გააჩერეს საპატრულო პოლიციის წარმომადგენლებმა. მძღოლს განუცხადეს, რომ მანქანა საჯარიმოზე უნდა გადაეყვანათ. მგზავრები გადანაწილდნენ ორ ტაქსიში (ერთ-ერთი მათგანი „ვაზ 21 09“, სახელმწიფო ნომრით AAK 488) და გზა თბილისის მიმართულებით განაგრძეს. ტაქსი, რომელშიც ლუიზა გაბაიძე იჯდა, დაწინაურდა და ქალბატონმა არ იცის, როდის ჩამორჩა მეორე ავტომანქანა. აღნიშნულ მანქანაში ისხდნენ მისი ძმა გოჩა გაბაიძე და თემურ გუნდაძე. ამ უკანასკნელის განმარტებით, რუსთავის ტრასაზე

მათ წამოეწია BMW-ს მარკის ვერცხლისფერი ავტომანქანა, სავარაუდოდ, ტრანზიტული ნომრებით. მათ გზა გადაუჭრეს ტაქსის, რომელიც იძულებული გახდა, გაჩერებულიყო. ავტომანქანიდან გადმოვიდა დაახლოებით 6 ნიღბიანი მამაკაცი. მათ ხელკეტებით დაიწყეს ტაქსის საქარე მინების ჩამტვრევა. მძღოლის უკან და გვერდით მჯდომი პირები გადაათრიეს მანქანიდან და დაუწყეს ცემა ხელკეტებით. თეიმურაზ გუნდაძე და ნუგზარ ბოლქვაძე გაიქცნენ. მათ მოგვიანებით დაუკავშირდა თანმხლები პირი და აცნობა, რომ თავდამსხმელები წავიდნენ. ავტომანქანასთან დაბრუნებულთ მანქანაში მყოფი ყველა პირი სასტიკად ნაცემი დახვდათ.

16 აპრილს სახალხო დამცველის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ შპს „ნეიროქირურგიულ კლინიკაში“, სადაც შეხვდნენ ამურ თეგეტაშვილს. მისი განმარტებით, იგი სოფელ სვენეთიდანაა დევნილი და აქტიურად მონაწილეობს 9 აპრილის აქციებში. 15 აპრილს, დაახლოებით 22 საათსა და 30 წუთზე, მან დატოვა პარლამენტის წინ მიმდინარე აქცია და პრეზიდენტის რეზიდენციისკენ ფეხით გაემართა. მას თავს დაესხა 30 წელს გადაცილებული, სპორტული აღნაგობის 5-6 მამაკაცი და სცემეს კასტეტებით. შედეგად გონება დაკარგა. გონსმოსულს თავდამსხმელები იქ აღარ დახვდა.

16 აპრილს შალვა სადაღაშვილსაც დაესხნენ თავს. მისი განმარტებით, იგი „ეროვნული ფორუმის“ წევრია და 16 აპრილს, გამთენიისას, მორიგეობდა აქციაზე. დაახლოებით დილის 3 საათზე დაურეკა მეუღლემ და სახლში წასვლა გადაწყვიტა. ორთაჭალაში, ბალნეოლოგიურ კლინიკასთან, ტაქსის წამოეწია „ჯიპის“ მარკის ავტომანქანა, რომელში მსხდომებმაც ხელკეტებით ანიშნეს ტაქსის მძღოლს გაჩერება და ისიც დამორჩილდა. ნიღბიანმა მამაკაცებმა სადაღაშვილი გადმოიყვანეს მანქანიდან და ხელკეტებით სცემეს.

16 აპრილს პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციასთან შეკრებილი აქციის მონაწილეებმა ის პიროვნება ამოიცნეს, რომელმაც რამდენიმე დღის წინ მათ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. იგი სისხლის სამართლის სამძებროს რუსთავის სამსახურის უფროსი იყო, თუმცა პირადობის დამადასტურებელი საბუთები არ წარმოუდგენია. სიტყვიერი შელაპარაკება ჩხუბში გადაიზარდა და რაზმაძე ტერიტორიიდან აქციის მონაწილეებმა მას შემდეგ გაიყვანეს, რაც იგი გაილახა.

16 აპრილს პარლამენტის ყოფილი წევრი (ამჟამად კონსერვატიული პარტიის წევრი) ნიკა კვეზერელი დააკავეს ხულიგნობისა და იარაღის გამოყენებისთვის (მას იარაღის ტარების უფლება აქვს). დაკავებულმა ამოიცნო თავდამსხმელი ბადრი გულუა, რომელიც მას ავლაბარში აედევნა. სავარაუდოდ, სწორედ თავდამსხმელის ჩამოცილების მიზნით გამოიყენა კვეზერელმა იარაღი. მოგვიანებით ყოფილი დეპუტატი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს.

### 18 აპრილი, 2009 წელი

18 აპრილს ინციდენტი მოხდა ქუთაისის მახლობლად. „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ აჭარის ორგანიზაციის წევრები: მალხაზ ბალაძე, თეიმურაზ მდივანი, ჯონი ტერეიშვილი და გელა დათუნიშვილი თბილისიდან ბათუმში ბრუნდებოდნენ. თერჯოლის რაიონის სოფელ გოდოგანთან ისინი ოთხმა ავტომანქანამ ალყაში მოაქცია. 15-ოდე ნიღბიანმა მათ მანქანის ტყეში შეყვანა მოსთხოვა, თუმცა, ოპოზიციის აქტივისტებმა მოასწრეს საპატრულო პოლიციის გამოძახება და მანქანის კარების ჩაკეტვა. საპატრულო პოლიციის გამოჩენის შემდეგ თავდამსხმელები გაიქცნენ.

### 24 აპრილი, 2009 წელი

24 აპრილს კაფე „მარჯანოვში“ მიხეილ სააკაშვილის „ვიზიტი“ საპროტესტო აქციით დასრულდა. ჩხუბი მოხდა საპატრულო პოლიციასა და მომიტინგეებს შორის. დაშავდა პოლიციის თანამშრომელი ზვიად ლოლუაშვილი. თავგატეხილ სამართალდამცველს სამედიცინო დახმარება მიხეილის საავადმყოფოში აღმოუჩინეს.

### 25 აპრილი, 2009 წელი

25 აპრილს თბილისში, ჩიტაძისა და ინგოროყვას ქუჩების კუთხეში, განსაკუთრებული შემთხვევა მოხდა. შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსი ვასილ სანოძე, რომლის მოვალეობაა, გააკონტროლოს, პოლიციელები იცავენ თუ არა კანონსა და პოლიციის ეთიკის კოდექსს, თავად „ნადირობდა“ თანამშრომლებთან ერთად პოლიტიკური ოპოზიციის წარმომადგენლებზე. მოქალაქე თენგიზ ბერიძეს ესროლეს ე.წ. კისტის თოფი, ხოლო გენერალური ინსპექციის უფროსი ვასილ სანოძე მომიტინგეებისთვის წყლით სავსე პარკების სროლით „ერთობოდა“. სანოძე გირგვლიანის მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით ერთხელ უკვე გათავისუფლებული იყო თანამდებობიდან, თუმცა 2008 წლიდან იგი კვლავ განაგრძობს მუშაობას.

25 აპრილს, დაახლოებით 22 საათზე, გორში საკუთარ სადარბაზოსთან ოთხი შეიარაღებული ნიღბიანი პიროვნება თავს დაესხა პოლიტიკური გაერთიანების — „მოძრაობა ერთიანი საქართველოსათვის“ — ახალგაზრდული მოძრაობის აქტივისტს გიორგი მარტინენკოს, რომელსაც სასტიკად სცემეს.

### 27 აპრილი, 2009 წელი

27 აპრილს მოძრაობის — „რატომ?“ — წევრებსა და მერიის დაცვის სამსახურს შორის შეხლა-შემოხლა მოხდა. დაცვის სამსახურის წევრებმა აქციის მონაწილეებს მერიის შესასვლელთან სტიკერების გაკვრის საშუალება არ მისცეს. წინააღმდეგობა ცემა-ტყეპაში გადაიზარდა.

**28 აპრილი, 2009 წელი**

28 აპრილს მეტრო „რუსთაველთან“ 20-30 კაცამდე თავს დაესხა ირაკლი კობახიძესა და ზაზა ელიჩბეგოვს, რომლებიც მიტინგიდან მოდიოდნენ. თავდამსხმელებმა მომიტინგეებს სასტიკად სცემეს. დაზარალებულები საავადმყოფოში გადაიყვანეს.

28 აპრილს რუსთავში ნიღბიანი პირები თავს დაესხნენ თორნიკე არევაძესა და ზურაბ ყანჩაველს, რომლებსაც სასტიკად სცემეს. ამავე დღეს ქარელში თავს დაესხნენ ვლას ბაქრაძეს.

**P.S.** ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტები „ნაცების“ ნაცემების მხოლოდ მცირე ნუსხაა, თუმცა ჩვენ კიდევ ერთხელ დავუბრუნდებით ამ თემას და ჩვენი გაზეთის მკითხველს შეძლებისდაგვარად ამომწურავად გავაცნობთ ყველა იმ დანაშაულს, რაც განსხვავებული აზრისთვის დევნას უკავშირდება...

**მანანა ჩხეიძე**

***გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“***

# ირმა ინაშვილი: მართლმადიდებლურ ეკლესიასა და პატრიარქზე შეტევა ხუთი წლის წინათ დაიწყო „თავისუფლების ინსტიტუტმა“

„ვარდების რევოლუციის”, ანუ მას შემდეგ, რაც ლიბერალთა ერთმა ჯგუფმა დემოკრატიული ღირებულებების დეკლარირებით სახელმწიფო ძალაუფლება ხელში ჩაიგდო, მართლმადიდებლურ ეკლესიაზე შეტევის დროც დადგა. მათ კარგად ესმოდათ ამ ბრძოლის სირთულე. ხალხის სარწმუნოებისკენ შემობრუნება, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა და ეკლესიის დიდი ავტორიტეტი, რასაც აშშ საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის გამოკითხვებიც ადასტურებდა, მათთვის საფრთხესაც შეიცავდა და კიდევ უფრო აშფოთებდა ულტრალიბერალურად განწყობილ „დემოკრატებს“.

მაგრამ ეს საფრთხე მათ კიდევ უფრო მეტ ჟინს აღუძრავდა, გააფთრებით ებრძოლათ ეკლესიის წინააღმდეგ. რაკი იცოდნენ, რომ ღია ბრძოლა მართლმადიდებელი ქართველების (და არა მარტო მათ!) აღშფოთებას გამოიწვევდა, ეშმაკობას მიმართეს და ხალხის იდეოლოგიური დამუშავება დაისახეს მიზნად.

პირველი ნაბიჯი იყო სახელმწიფო ტელევიზიის პირველ არხზე სპეციალური გადაცემების მომზადება. ამ საკითხს საგანგებო თათბირები — „რელიგიის თათბირები“ მიუძღვნეს, რომლის მიზანი იყო კამპანიის დაგეგმვა და განხორციელება საქართველოს საპატრიარქოსა და ქართული ეკლესიის წინააღმდეგ.

პირველ არხს კომპლექსურად უნდა გაეშუქებინა ეს თემა, „მოამბის“ საინფორმაციო გამოშვებებით დაწყებული და დოკუმენტური ფილმების ციკლით დამთავრებული, რაც ჟურნალისტ ირმა ინაშვილსა და პუბლიცისტიკის ჯგუფს ევალებოდა. ამ გეგმის ავტორი იყო „თავისუფლების ინსტიტუტი“. 2004 წლის ზაფხულში ამ ჯგუფმა თათბირზე მიიტანა ე.წ. პიარგეგმა სათაურით „ძირითადი მესიჯები“:

1. საქართველოს საპატრიარქო — აისახოს, რა ვითარებაა სინოდში. უნდა ითქვას, რომ სინოდი გახლეჩილია რამდენიმე ნაწილად, რომ პატრიარქი ვეღარ მართავს პროცესებს, რადგან დაბერდა!.. სინოდი უნდა წარმოჩინდეს როგორც უუნარო ორგანო, როგორც კორუმპირებული მეუფეების ჯგუფი, რომელთა ერთი ნაწილი ფანატიკოსია, მეორე — მექრთამე, მესამე — ეკლესიაში ცვლილებების დამკვიდრების მსურველი;

2. უნდა მომზადდეს დოკუმენტური ფილმი, რომელიც ასახავს სამონასტრო ცხოვრებას. ამ ფილმში უნდა ითქვას, რომ დედაოები გათხოვებაზე ოცნებობენ, ხოლო მამები მამათმავლები არიან. ეს უნდა ითქვას „ლამაზ ფორმებში“;

3. უნდა მომზადდეს ფილმი, რომელშიც აისახება, რომ მრევლი აბსოლუტურად ბრმა და უცოდინარია. ფერისცვალების დღეს უნდა მივიდეთ ეკლესიებთან და ვკითხოთ მრევლს: იცით, რა არის ფერისცვალება? და ვნახავთ, რომ უცოდინარნი არიან ეს ადამიანები;

4. უნდა გაშაყირდეს ჯოჯოხეთი და სამოთხე. ამ ბლოკს პირობითად „რეპორტაჟი ჯოჯოხეთიდან“ ეწოდება;

5. ქართული და ბერძნული საგალობლების თემა. წირვის არქიტექტონიკა — ყველაფერი არის გადასახალისებელი და შესაცვლელი. უნდა ითქვას, რომ ჩვენი ეკლესია „ძველ დროში“ დარჩა და არ ნერგავს სიახლეებს, ანუ ჩამორჩენილია;

6. როგორ ავიწროებს მართლმადიდებლობა სხვა კონფესიებს, როგორ დაანგრიეს მართლმადიდებლებმა ჯავახეთში კათოლიკური ეკლესია. ასეთი ფაქტები მსუყედ უნდა წარმოვაჩინოთ!

7. ეკუმენიზმის გაანალიზება, პროპაგანდა. რატომ გამოვიდა პატრიარქი მსოფლიო ეკლესიათა საბჭოდან; რომ ეს იყო არასწორი, ანუ უნდა გავაკრიტიკოთ პატრიარქი!

8. მოუნათლავი ბავშვების ჯოჯოხეთში მოხვედრის თემა!

ჟურნალისტმა ირმა ინაშვილმა „თავისუფლების ინსტიტუტელებს“ პირდაპირ უთხრა, რომ ეს კამპანია მიზნად ისახავდა დედაეკლესიის დისკრედიტაციასა და პატრიარქის ჩამოგდებას!

ბუნებრივია, 2004 წელს სახელმწიფო ტელევიზიაში „თავისუფლების ინსტიტუტის“ საბოლოოდ გაბატონების შემდეგ ირმა ინაშვილი ტელევიზიიდან დაითხოვეს. იგი ჟურნალისტთა კავშირ „ობიექტივს“ ხელმძღვანელობს და პერიოდულად ამზადებს დოკუმენტურ ფილმებს, რომლებშიც დღევანდელობა პირუთვნელად არის ასახული. ახლა, როცა გააფთრებით უტევენ პატრიარქსა და ქართულ ეკლესიას, ირმა ინაშვილის რედაქციაში მოწვევა გადავწყვიტეთ და ხუთიწლისწინანდელი პერიპეტიების გახსენება ვთხოვეთ.

**— ირმა, არაერთხელ გითქვამს, რომ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ხელისუფლებამ და მისმა იდეოლოგიურმა შტაბმა იერიში საქართველოს ეკლესიაზე მიიტანეს...**

— 2004 წლის აგვისტოში, როდესაც ჯერ კიდევ საქართველოს ტელევიზიის პირველ არხზე პუბლიცისტიკის ჯგუფის ხელმძღვანელად ვმუშაობდი, ჩემს კოლეგებთან ერთად დამიბარეს ტელევიზიის სათათბირო დარბაზში. როდესაც „საგანგებო თათბირზე“ შევედი, დარბაზში დამხვდნენ „თავისუფლების ინსტიტუტის“ ხელმძღვანელები და მხარდამჭერები: ლევან რამიშვილი, გიგი თევზაძე, სოზარ სუბარი, ლაშა ბუღაძე, ბექა მინდიაშვილი, ნოდარ ლადარია, ბასილ კობახიძე, მამუკა ხერხეულიძე, თამარ კინწურაშვილი... ამ ადამიანებმა, ანუ ჩვენი ქვეყნისა და ერის დიდმა „მოსიყვარულეებმა“ პირდაპირ დაგვირიგეს გეგმა, რომელიც ითვალისწინებ-

და მართლმადიდებლური ეკლესიის დისკრედიტაციას. პიარგეგმის თანახმად, პირველი არხის გადამღებ ჯგუფებს მონასტრებში მოღვაწე დედები და მამები მაქსიმალურად ნეგატიურ ჭრილში უნდა წარმოგვეჩინა, რათა ამას გამოეწვია საზოგადოების უნდობლობა და ზიზღი ეკლესიისადმი. ჩვენ უნდა გვეჩვენებინა საპატრიარქო როგორც შურიან, მოქიშპე მღვდელმსახურთა ბუდე. უნდა გაგვეკრიტიკებინა ქართული საეკლესიო გალობა, წირვა; ხაზი უნდა გაგვესვა, რომ მრევლი გაუნათლებელია და არ იცის კონკრეტული საეკლესიო დღესასწაულების ისტორია და არსი.

ახლოვდებოდა ფერისცვალების დღესასწაული. „თავისუფლების ინსტიტუტის“ „ლიდერშიფი“ გვაძლევდა რეკომენდაციას, — გამოგვეკითხა მრევლი და გვეჩვენებინა, რომ დიდმა ნაწილმა არ იცის, რას ნიშნავს ფერისცვალება.

მინდა, ექსკლუზიურად თქვენს გაზეთს გადავცე ის ნაბეჭდი მასალა, რაც მესიჯების სახით მოიტანა „თავისუფლების ინსტიტუტმა“.

**— ამ თათბირის მონაწილე ტელევიზიის თანამშრომლებმა რა უპასუხეთ?**

— ტელევიზიის თანამშრომლებმა ამ თათბირებს უწოდეს „რელიგიის თათბირები“. ყველამ გაიგო, რაც ხდებოდა სააქტო დარბაზში, ყველა ხედავდა „თავისუფლების ინსტიტუტის“ ლიდერებს, ყველა გრძნობდა საშიშროებას და გვთხოვდა, ანტიეკლესიური ფილმები არ მოგვემზადებინა.

**— შემდეგ როგორ განვითარდა პროცესები?**

— მე ღიად დავუპირისპირდი „თავისუფლების ინსტიტუტის“ გუნდს და ვთქვი, რომ არ გავაკეთებდი ამ ფილმებს, თუ პატრიარქის კურთხევას არ მივიღებდი... მართლაც, წავედი საპატრიარქოში და შევხვდი მამა გიორგი გამრეკელს (ამჟამად მეუფე იოანეს) და ყველაფერი ვუამბე. პატრიარქმა ამის შესახებ როცა შეიტყო, განაცხადა: „თუ იქნება ღვთის ნება, ეს ფილმები არ გაკეთდება“... მოკლედ, დაიწყო მზადება გადაღებებისთვის.

**— ეს ერთი თათბირი საკმარისი იყო და მეტად აღარ “დაუმუშავებიხართ”?**

— „რელიგიის თათბირები“ გაგრძელდა. ერთ-ერთ თათბირზე პირდაპირ მივახალე ბასილ კობახიძეს: „თქვენ პატრიარქის ადგილის დაკავება გინდათ. აქ მზადდება შეთქმულება ეკლესიისა და პატრიარქის წინააღმდეგ. ჩემი ჯგუფი მოამზადებს ისეთ ფილმებს, რომლებშიც აისახება სიმართლე და არა თქვენი მახინჯი ფანტაზია“. ატყდა ერთი აურზაური... „ფანატიკოსი მორწმუნე ყოფილა,“ — ამბობდნენ ჩემზე... სხვათაშორის, „თავისუფლების ინსტიტუტის” წევრებს ღიად დაუპირისპირდა, ასევე, „მოამბის” მთავარი რედაქტორი თაკო ფხაკაძე. დანარჩენები გეგმის განხორციელებას დათანხმდნენ. ამ კამპანიის წინააღმდეგი იყო ზაზა შენგელიაც, რომლის წინაპრებიც სასულიერო პირები იყვნენ, მაგრამ ზაზა ახერხებდა სიტუაციის დაბალანსებას... ყოველ თათბირზე ხმამაღლა ვაპროტესტებდი „თავისუფლების ინსტიტუტის“ მამებისა და დედების ზეწოლას. სიტუაცია გახმაურდა და სკანდალში გადაიზარდა, ერთ მშვენიერ დღეს კი ყველაფერი ჩაწყნარდა. „თავისუფლების ინსტიტუტმა“ პიარსტრატე-

გია მხოლოდ რამდენიმე გადაცემაში განახორციელა; ისიც, უშედეგოდ. მოკლედ, „გეგმა“ ჩავარდა.

**— „თავისუფლების ინსტიტუტი” მარცხს ასე ადვილად შეეგუა?**

— რას შეეგუა, მთელი ტელევიზია ხელში ჩაიგდეს. ზაზა შენგელიას თანამდებობიდან წასვლის შემდეგ პირველი არხის გენერალური დირექტორის პოსტი თამარ (მაია) კინწურაშვილმა დაიკავა. გაირკვა, რომ პირველი არხი ხელისუფლებამ „თავისუფლების ინსტიტუტს“ გადასცა. სწორედ მაშინ ჩავატარე საგანგებო ბრიფინგი და ვამხილე „თავისუფლების ინსტიტუტის“ ანტიეკლესიური შეთქმულება. დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია ტერმინმა „რეპორტაჟი ჯოჯოხეთიდან“, რომელიც (როგორც ხედავთ) „საპროგრამო თეზისებშია“ წარმოდგენილი. როცა ეს ტერმინი ვახსენე, ყველა ტელეარხმა აქცენტი მხოლოდ მასზე გადაიტანა, ტერმინი კონტექსტიდან ამოიღო და გამოვიდა, თითქოს ერთი გიჟი ჟურნალისტი „ჯოჯოხეთიდან რეპორტაჟებზე“ საუბრობდა.

**— მხოლოდ პირველი არხი აქტიურობდა, თუ სხვა ტელევიზიებიც ჩართეს ამ ანტიმართლმადიდებლურ და ანტიეკლესიურ ბრძოლაში?**

— იმავე დღეებში „რელიგიის თათბირების“ თემას მიეძღვნა ეკა ხოფერიას თოქ-შოუ „რუსთავი 2“-ზე და ინგა გრიგოლიას გადაცემა „იმედზე“. ორივე წამყვანს და მათ პროდიუსერებს ვთხოვე, სტუდიაში მივეწვიე, რაზეც უარი განმიცხადეს.

**— კი მაგრამ, გადაცემები შენს ბრიფინგს მიეძღვნა და არაფერი გკითხეს, სტუდიაშიც არ მიგიწვიეს?**

— ეკა ხოფერიას პროდიუსერმა მითხრა, ლევან რამიშვილს ამისი სურვილი არ აქვსო. მოკლედ, მე ვიყავი თემის მთავარი გმირი და ისე მამკობდნენ „გიჟის“ იარლიყით, კომენტარის გაკეთების საშუალებაც არ მომცეს... აი, ასე ესმით თავისუფალი მედია და დემოკრატია ჩვენს კოლეგებსაც და „თავისუფლების ინსტიტუტის“ იდეოლოგებსაც.

თუ კარგად დააკვირდებით, „თავისუფლების ინსტიტუტის“ მთელი ძველი და ახალი თაობა სამკურნალოა.

**— დღეს საქართველოში „ჩვენი დროის გმირი“ თეა თუთბერიძეა და ზოგიერთი მის დაცვასაც არ თაკილობს...**

— დღეს თეა თუთბერიძეს რომ იცავენ, — არიქა ვინმემ არ მოკლას და ცემოსო, 2005 წელს „თავისუფლების ინსტიტუტი“ რომ თავს დამესხა, ვინმემ იფიქრა ჩემი უფლებებისა და ღირსების შელახვაზე?.. მხოლოდ საქართველოს პატრიარქმა დამიფარა — უმძიმეს დღეებში, როცა ცილს მწამებდნენ და გიჟს მეძახდნენ, უწმინდესმა მიმიღო და დამლოცა. „როცა სარწმუნოების დასაცავად გიჟს გიწოდებენ, ეს დიდი მადლია, ნეტარებაა...“ — ასე მითხრა.

**— ირმა, განა მოულოდნელი იყო ამ ხალხისგან საპატრიარქოსა და მედიაზე შეტევა? ჩვენ ხომ კარგად ვიცოდით, ვინც იყვნენ და რა მიზნებიც ამოძრავებდათ?**

— „ვარდების რევოლუციონერები“ ადამიანებს არწმუნებდნენ, რომ შევარდნაძის რეჟიმი ახალმა დემოკრატიულმა ძალამ შეცვალა. 2004 წლის ზაფხულში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ხელისუფლებაში მოვიდა

ბოროტი ძალა და მე ვიყავი პირველი ჟურნალისტი, რომელმაც სააკაშვილის რეჟიმს უწოდა „ბოროტი". როცა ანტიეკლესიური გეგმა გავახმაურე, მარტო დავრჩი... 2004 წელს საზოგადოების დიდი ნაწილი ან შეშინებული იყო, ან აღტაცებული სააკაშვილის გუნდით. ზოგმა დამცინა, ზოგმა არ დაიჯერა. ვინც დაიჯერა, სიმამაცე არ ეყო, რომ ხმამაღლა და ღიად დაეჭირა მხარი. დღეს კი 2009 წელია... მთელი ხუთი წელი დასჭირდა საზოგადოებას გამოღვიძებისთვის... ბევრმა „რევოლუციონერმა" ბოდიშიც მოიხადა — „დემოკრატია გვინდოდა და დიქტატურა გამოგვივიდაო". თქვენ კი იხდით, ბატონებო, ბოდიშს, მაგრამ ამით ჩემს ქვეყანას რა?..

**— ვის გულისხმობ?**

— მაგალითად, ლევან ბერძენიშვილსა და რესპუბლიკურ პარტიას, რომლებიც თავის დროზე მოძღვრავდნენ „თავისუფლების ინსტიტუტის" სახეებს და ქმნიდნენ ამ იდეოლოგიას... მათი აღიარებების მოსმენაში ჩემი თაობის საუკეთესო წლები გავიდა... წავიდნენ, დაისვენონ, იქნებ უფრო ეშველოს ქვეყანას...

**— პატრიარქის წინააღმდეგ ამ დღეებში აგორებულ კამპანიაზეც უნდა გკითხო...**

— ჩემი აზრით, ამ კამპანიით მიხეილ სააკაშვილმა ისარგებლა და ერთდროულად რამდენიმე კურდღელიც დაიჭირა. ჯერ ერთი, მას შემდეგ, რაც ახალაიების მამიკოს ორდენი გადაეცა, საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა გაჩნდა და ეკლესიის იმიჯი სერიოზულად შეილახა. საჭირო იყო იმიჯის რეაბილიტაცია, რადგან სააკაშვილს ავტორიტეტული ეკლესიის მხარდაჭერა სჭირდება.

მეორეც, სააკაშვილი ნელ-ნელა ემიჯნება „თავისუფლების ინსტიტუტს", რომელმაც რესურსი ამოწურა. ამიტომ ხელისუფლებამ ჯერ წაახალისა თუთბერიძე, შემდეგ — დაგმო მისი გამოსვლა! ამით სააკაშვილი საზოგადოების თვალში წარმოჩინდა როგორც პატრიარქისა და ეკლესიის დამცველი პრეზიდენტი.

და მესამე, იკვეთება ტენდენცია: თუთბერიძე გამოცხადდეს მსხვერპლად. თუთბერიძეზე შესაძლო თავდასხმით დაინტერესებულია მხოლოდ შსს, რომელიც იტყვის, რომ „ქალბატონ თეას თავს „ფანატიკოსი მრევლი" დაესხა". თუ თუთბერიძეზე ფიზიკური ზეწოლა მოხდება, რამიშვილილადარიას ტანდემიც დაფიქრდება — ის ხომ არ იქნება შემდეგი? თან, მრევლიც აგრესიიდან აქცენტს მიტევებასა და ლოცვაზე გადაიტანს... მოკლედ, სააკაშვილი, ყველა შემთხვევაში, მოგებული რჩება... ამიტომ მიმაჩნია, რომ აქცენტები უნდა შეიცვალოს — პატრიარქის მხარდასაჭერად თეატრალიზებული წარმოდგენების, მსვლელობებისა და აქციების გამართვა საჭირო არ არის!

***ესაუბრა* ბონდო მძინარაშვილი**
***გაზეთი „საქართველო და მსოფლიო"***

# ჟურნალისტთა კავშირ „ობიექტივის“ გამოძიება საქართველოში სიტყვის თავისუფლების უხეშ დარღვევებზე

**საქართველოში ე.წ. სახელისუფლებო მედიის საქმიანობა მეცნიერულ ენაზე შეგვიძლია, დავახასიათოთ როგორც საზოგადოებაზე საზიანო საინფორმაციო ზემოქმედება. საქმე ისაა, რომ „ზემოქმედებას“ მაყურებლის ცნობიერებაში ტყუილისა და ილუზიის ჩანერგვის მცდელობა აქვს. ამ დაკვეთას ქართულ ტელესივრცეში პრაქტიკულად ყველა სახელისუფლებო არხი უნისონში ასრულებს. გამოკვეთილია რამდენიმე ძირითადი „პრიორიტეტი“:**

**1.** სააკაშვილის ხელისუფლებას „სასურველ თემასთან“ მიმართებაში არასდროს აინტერესებს საზოგადოების აზრი და არ თვლის საჭიროდ დისკუსიის ფორმატის გამოყენებას. კონტროლირებადი ტელეარხებით ხელისუფლებისათვის „სასურველი თემა“ შუქდება როგორც უალტერნატივო სიკეთე და ჭეშმარიტება. სინამდვილეში, საზოგადოებას წართმეული აქვს ობიექტური ინფორმაციის მიღების უფლება. მაყურებლის აზრი, შეფასება და დამოკიდებულება უგულებელყოფილია!!! დასკვნა: ხელისუფლებისათვის „სასურველი თემა“ ჯერ ტელეარხების საშუალებით იმოსება როგორც ჭეშმარიტება და პოზიტივი, და ამის შემდგომ მკვიდრდება ქვეყნის ცხოვრებაში. მაგალითისთვის გავიხსენოთ განათლების გახმაურებული რეფორმა, რომლის პოპულარიზაციის მიზნით სააკაშვილის რეჟიმმა საზოგადოების ცნობიერებაზე პირდაპირი TV-იერიში მიიტანა. არავის გაუმართავს საჯარო დისკუსია — რატომ სჯობდა შემოთავაზებული გარდაქმნები არსებულს? ან იყო თუ არა უკეთესი პროექტი, რომელიც კი არ დაანგრევდა, არამედ სრულყოფდა და განავითარებდა განათლების ეროვნულ პოტენციალს. „ლომაიას რეფორმის“ სასიცოცხლო მნიშვნელობასა და უალტერნატივობას სახელისუფლებო ტელეარხებმა 2004-2005 წლებში 1000-ზე მეტი სიუჟეტი მიუძღვნეს. საბოლოო ჯამში გაირკვა, რომ ლომაია-სააკაშვილის რეფორმამ განათლების ეროვნული სისტემა მიწასთან შეგნებულად გაასწორა და უკეთესი არ შესთავაზა საზოგადოებას. დასკვნა: ქართული ტელეარხები მიზანმიმართულად ატყუებდნენ მაყურებელს, როდესაც განათლების რეფორმის სიკეთესა და წარმატებულობაში არწმუნებდნენ.

**2.** ხელისუფლებისათვის „სასურველი თემის“ გარშემო „სასურველი“ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას წინ უძღვის ავტორიტეტული ადამიანების დისკრედიტაცია. კვლავ განათლების რეფორმის ისტორიას დავუბრუნდეთ. „ლომაიას პროექტის“ ხოტბის პარალელურად, სახელისუფლებო ტელეარხები შეგნებულად ეწეოდნენ სამეცნიერო და პედაგოგიუ-

რი წრეების იმიჯის შელახვას, მოიხსენიებდნენ რა მათ „ ძველ კადრებად“, „წითელ პროფესორებად“, „კორუმპირებულ“ და ბოლოს — „ხულიგან პედაგოგებად“. „იარლიყების მიწებების“ მაგალითად შეგვიძლია განვიხილოთ 2007 წლის ნოემბერში ოპოზიციის ლიდერების პირდაპირი ტელედადანაშაულება „რუსეთის აგენტობაში“.

**3.** სახელისუფლებო საინფორმაციო პოლიტიკის კიდევ ერთი „პრიორიტეტია“ ტყუილის ტირაჟირება, ხელისუფლებისა და პრეზიდენტის შეცდომების თუ მარცხის გადაფარვის მიზნით. ამ „პრიორიტეტის“ ქვეშ თამამად შეგვიძლია გავაანალიზოთ აგვისტოს ომის გაშუქების მაგალითი:

**ა)** ომი დაიწყო ქართულმა მხარემ და სახელისუფლებო ტელეარხები მაყურებელს შეგნებულად ატყუებდნენ, რომ პირველად შეტევაზე რუსული ტანკები გადმოვიდნენ!

**ბ)**აგვისტოს ომში საქართველომ განიცადა სამარცხვინო მარცხი და სახელისუფლებო არხები გვარწმუნებდნენ, რომ... გავიმარჯვეთ (?!). ქვეყნისთვის უმძიმეს დღეებში სააკაშვილის რეჟიმი მაყურებლის ცნობიერებას მაქსიმალურად კვებავდა „გამარჯვების ილუზიით“. სხვათაშორის, ამ ილუზიის „ფორმირებას“ „რუსთავი 2“-ის ოპერატორის სიცოცხლეც შეეწირა, რომელიც ხელისუფლების „პიარპოლიტიკის“ სასარგებლოდ „ჰეროიკულ კადრებს“ იღებდა.

**4.** დავბრუნდეთ 2004-2005 წლების ქართულ რეალობაში. გახმაურებული ტელედაპატიმრებებისა და სატელეფონო ჩანაწერების გამომზიურების ერთადერთი მიზანი იყო საზოგადოების დაშინება, ანუ ტელეარხებს ხელისუფლება იყენებდა ხალხის გრძნობების დათრგუნვისა და მართვის საშუალებად!

უნდა ითქვას, რომ ხელისუფლებისათვის „სასურველი თემა“ ერთდროულად 6 ტელეარხით „იშლება“ („რუსთავი 2“, „პირველი არხი“, „იმედი“, „ალანია“, „საქართველო“, „აჭარის ტელევიზია“), ანუ მაყურებელს არ რჩება არჩევანი, მას წართმეული აქვს განსხვავებული აზრის მოსმენის საშუალება (ვგულისხმობ ქვეყნის მასშტაბით!). საინფორმაციო გამოშვებების არქიტექტონიკა მხოლოდ პოზიტივის შემცველ სიუჟეტებზეა აგებული, ტკბილი ტყუილი საზოგადოებას არა მარტო რიყავს რეალობიდან, არამედ იზიდავს და სიამოვნებას ანიჭებს. საზოგადოების გონებაში „იძინებს“ მოთხოვნა ობიექტურ ინფორმაციაზე. ამას აძლიერებს უმძიმესი სოციალური ფონი, როცა „სანახაობა“ საკვები ხდება ათასობით გაღატაკებული ოჯახისათვის. ამ „მიმართულებით“ გააქტიურებულია „საპნის ოპერებისა“ და უკბილო იუმორისტული შოუების ფორმატი და საეთერო მოცულობა. ქართველი ხალხი ვირტუალურად მექსიკასა და ბრაზილიაში ცხოვრობს. ის დაკომპლექსებულია „ხუანის სინდრომით“.

2007 წელს ტელეკომპანია „იმედმა“ კონკურსი გამოაცხადა. დილის გადაცემაში ათობით ქართველმა ყმაწვილმა მიიღო მონაწილეობა, რომლებიც სენიორ ხუანს გარეგნობითა და ქცევის მანერით ბაძავდნენ (აფსუს, ქართველო კაცო!)...

ცალკე განხილვის საგანია სააკაშვილის მრავალსაათიანი ტელეგამოსვლები. რა თქმა უნდა, პირდაპირი ტრანსლაციის რეჟიმში. ტრიბუნა — ვე-

ნახში, ტრიბუნა — ტრასაზე, ტრიბუნა — აეროპორტში, ტრიბუნა — პატრიოტთა ბანაკში, ტრიბუნა — ომში! მოკლედ, „ტრიბუნის კომპლექსი“! თითქოს მარტივი ნივთი სახელისუფლებო ტელეანესთეზიის განუყოფელ ატრიბუტად იქცა. დავინახავთ თუ არა ეკრანზე, ვიცით: ვენახიდან თუ ბოსტნიდან გადმოფრქვეულ „ტკბილ ტყუილში“ ჩაგვეძინება, არც „ტაზეპამია“ საჭირო და არც „დიაზეპამი“... მართალია, სააკაშვილის უპრეცედენტო 4-საათიან ტელეანომალიაში „საყვარელი ტრიბუნა“ არ ფიგურირებდა, მაგრამ 240 წუთის მანძილზე 24 სიზმრის ნახვა მაინც მოვასწარით, სადაც საქართველო აყვავებული და ბედნიერი ქვეყანა იყო, ხოლო ჩვენ... არა ნაცემ-ნატყეპი და დაშინებული, არამედ თავისუფალი ამომრჩევლები! ნიშანდობლივია, რომ სააკაშვილის მრავალსაათიან ტელეგამოსვლებს არა ერთი ან ორი, არამედ ექვსივე სახელისუფლებო არხი გულმოდგინედ აშუქებს.

მოკლედ, ამას ჰქვია მასობრივი შეტევა ჩვენს ცნობიერებაზე!

ქართული ელექტრონული მედიის ძირითადი „პრიორიტეტების“ ზოგადი დახასიათების შემდეგ თავს უფლებას მივცემ, ბოლო კვირის ტელეანესთეზიის სიმპტომები გავაანალიზო. ძველი ანეკდოტი მახსენდება: „ორშაბათი დღეა, მოწყენილობაა...“ ერთი სიტყვით, მიმდინარე კვირა მოსალოდნელი ომის საშიშროების თემით „იხსნება“. „რუსთავი 2“, „პირველი არხი“, „ალანია“, „იმედი“, „აჭარის ტელევიზია“, „საქართველო“ დარწმუნებით გვამცნობს, რომ „კონფლიქტურ ზონებში ოკუპანტის ცოცხალი ძალისა და მძიმე ტექნიკის თავმოყრა ხდება“. აქტუალობას არ კარგავს ბოროტი რუსეთის ფინანსური კრიზისის თემატიკაც. ქართული ტელეარხები ისეთ არაადეკვატურ ინტერესს იჩენენ ჩრდილოელი მეზობლის ყოველდღიური ცხოვრებისადმი, იფიქრებ — რუსეთის საინფორმაციო სამსახურის გამოშვებას უსმენ. ნორჩი წამყვანები ომახიანად გვამცნობენ, რომ „მოსკოვის საქმე წასულია. იზრდება უმუშევართა რაოდენობა, კოტრდება ბანკები, გამწვავებულია კრიმინოგენური ვითარება, სხვა ეროვნებების წარმომადგენლებს მოსკოვის ქუჩებში დანა-ჩანგლით დასდევენ...“

არ მესმის, რატომ ვხარჯავთ ძალისხმევას „ოკუპანტის“ ყოველდღიური ცხოვრების ასახვაზე?! ჩვენთან ნაკლები პრობლემებია?!...

ამ კონტექსტში ქართული ტელეარხებისათვის „სარწმუნო“ და „საყურადღებოა“ მაინცდამაინც რუსი ექსპერტების კომენტარი, რომლებიც ომის განახლების საშიშროებას რეალურად მიიჩნევენ. უბრალოდ, ამ ექსპერტების კომენტარიდან მოჭრილია ფრაზა, სადაც პოლიტოლოგები „შესაძლო ომის“ გამჩაღებლად მიხეილ სააკაშვილს ასახელებენ. ომის საშიშროებისა და რუსეთის ფინანსური კრიზისის შემდეგ ქართულ ტელეარხებზე აქტუალობას ინარჩუნებს მხოლოდ პოზიტივი. აქცენტი კეთდება დასაქმებაზე, დევნილთა დახმარებაზე, საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე, სამშენებლო და სხვა სახის კომპანიებისათვის შეღავათების დაწესებაზე და ა.შ.

2009 წლის 27 თებერვალს „იმედის“ საინფორმაციო გამოშვებებიდან ცნობილი გახდა, რომ „ხელისუფლება ანტინარკოტიკული პროგრამის განხორციელებას იწყებს, თბილისის ვიცე-მერი 8-შვილიან ოჯახს პატარა ამა-

ნათს გადასცემს, სოფლის მეურნეობის მინისტრი, რომელსაც სასუქი თვალით არ უნახავს, კონფლიქტის ზონაში გვარჯილას არიგებს, ხოლო მაია ნადირაძის ალტერნატიული „ნაცფეისი“ — რუსუდან კერვალიშვილი ვარკეთილში გზების მოპირკეთებას განაგრძობს.

2009 წლის 28 თებერვლის ტელეიდილიაში კიდევ უფრო ნათელი ფერები ჭარბობს. „პირველი არხის“ საინფორმაციო სამსახურის ცნობით, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე საქართველოში სასწაულები ხდება. პატარა გოგონამ, სახელად ნინო, დასაქმების საიტით ისარგებლა და „საქართველოს ბანკის“ წამყვანი მენეჯერი გახდა. ამ „სენტიმენტალურად სევდიან“ სიუჟეტს მოჰყვა სასიხარულო ცნობა, რომ სამშენებლო კომპანიებისთვის მშენებლობის ნებართვის წესი გამარტივდა. პოზიტიური მოვლენებით კიდევ უფრო დატვირთულია დღე შემდეგი, ანუ 2009 წლის 1 მარტი. ეროვნული საინფორმაციო სამსახურების ცნობით, რუსეთის პრემიერს საარბიტრაჟო სასამართლოში უჩივიან (მოკლედ, პირველ სიუჟეტად კვლავ რუსეთი რჩება), სააკაშვილი კი ამ დროს საზღვარგარეთ (ინვესტიციების მოზიდვის მიზნით) მოგზაურობს.

ეჰ, დაუნახავო ქართველებო... პრეზიდეტს ეს ინვესტიციები, „პირველი არხის“ მტკიცებით, ხალხის დასაქმებისთვის სჭირდება, თქვენ კი საპროტესტო აქციებისთვის ემზადებით?!... ბატონი მიხეილი ჯერ ესპანეთში, შემდეგ ემირატებში იყო. შედეგი? შენ, საქართველოს მოქალაქევ, რომელსაც შიმშილისაგან სული და სიძველისგან ფეხსაცმლის ქუსლი გძვრება, შეგიძლია, აბუ-დაბიში უვიზოდ იმოგზაურო. ამასობაში მუხიანის დასახლებაში მაღალი ძაბვის სადენი ფეთქდება, ერთმა თანამშრომელმა სხეულის დამწვრობა მიიღო... აი, რატომ არის მნიშველოვანი 5-ლარიანი დაზღვევა... „თელასის“ თანამშრომელი დაზღვეული რომ ყოფილიყო, უწამლობისაგან ხომ არ მოკვდებოდა?...

მოკლედ, „პირველი არხის“ საინფორმაციო სამსახურის მენეჯერთა ფანტაზია ძალზედ მდიდარია... ჯერ დამწვარ კაცს გვაჩვენებენ და მერე დაზღვევის მნიშვნელობაში გვარწმუნებენ.

2009 წლის 2 მარტს კი აბუ-დაბიდან დაბრუნებულმა სააკაშვილმა ტელეეთერით გვამცნო, რომ თურმე ამერიკაში მასაც ჰქონია დაზღვევის მსგავსი პაკეტი (ალბათ, როცა შიკრიკად მუშაობდა და ველოსიპედით დაქროდა! ველოსიპედიდან ჩამოვარდნის შემთხვევაში მაიკლს სადაზღვევო პაკეტი გადაარჩენდა და არავინ იცის, რამდენჯერ გადაარჩინა კიდეც!)...

## ომის პროპაგანდა

ბოლო წლების მანძილზე სახელისუფლებო ელექტრონული მედია საზოგადოებას მიზანმიმართულად შთააგონებდა, რომ შესაძლებელია, ოკუპირებულ ტერიტორიებზე საომარო მოქმედებები განახლდეს. შემთხვევით არ ვიყენებ სიტყვას „მიზანმიმართულად“, რადგან ექვსივე სახელისუფლებო ტელეარხის ( „რუსთავი 2“, „იმედი“, „ალანია“, „აჭარის ტელევიზია“, „პირველი არხი“, „საქართველო“ ) ეთერში საომარ რიტორიკას სწორედ გეგმაზომიერი კამპანიის სახე აქვს, რაც ყოველდღიურად თრგუნავს და ძაბავს მაყურებელს. დაახლოებით ორი კვირის წინათ თითქმის

ყველა სახელისუფლებო არხმა გვამცნო, რომ რუსები თურმე ვაზიანის აეროდრომის, ასევე, თბილისის საერთაშორისო აეროპორტისა და სხვადასხვა სტრატეგიული მაგისტრალის აღებას აპირებენ, რაც, საბოლოო ჯამში, დედაქალაქის დაპყრობას ისახავს მიზნად. დროის ამავე მონაკვეთში სახელისუფლებო არხებიდან შევიტყეთ, რომ სეპარატისტებმა გალში ბავშვებით სავსე ავტობუსი დაცხრილეს და არის მსხვერპლი. 2009 წლის 9 მარტს კი გავრცელდა ინფორმაცია ახალგორში რუსების სამხედრო არსენალის აფეთქების თაობაზე, რასაც (თურმე) წინ უძღოდა ცხინვალის რეგიონში ქართული ორიენტაციის პედაგოგების დაპატიმრება! ვიდრე სიტუაციის ანალიზზე გადავიდოდეთ, მარტივი სიუჟეტი წარმოვიდგინოთ: ორ ეზოში ორი მეზობელი ცხოვრობს, რომლებსაც ერთმანეთი საშინლად სძულთ (იმ ღობის გამო, რომელიც ბოლო 20 წელია, ვერ გაუყვიათ). ვანკას და გოგიას ძაღლები ჰყავთ. გაზაფხულის მზიან დღეს ვანკამ გოგიას ძაღლი მოუკლა. რატომ?... იმიტომ, რომ მეზობელი გაემწარებინა... მაგრამ განვიხილოთ სხვა ვარიანტი: ვანკამ გოგიას კი არ მოუკლა ძაღლი, არამედ საკუთარი ძაღლი მოკლა და კვლავ დავსვათ კითხვა: რატომ?... იმიტომ, რომ ძაღლის მოკვლა გოგიასთვის დაებრალებინა და მეზობელთან ჩხუბისა და სკანდალისათვის ახალი საფუძველი გასჩენოდა. მოკლედ, ვიაზროვნოთ სიმბოლურად: სახელისუფლებო ტელეარხები ვანკასგან არა უბრალოდ მტრის (რომელიც ისედაც არის!), არამედ პროვოკატორი მტრის სახეს ქმნიან. შესაბამისად, ქართველების მოთმინების ფიალა ვანკასადმი დღითიდღე ივსება. უდანაშაულო და კეთილი გოგია, ანუ ქართველი მაყურებელი, მზადაა, ვანკას თავი ნაჯახით გაუპოს. ამ პათოსის გაღვივების მცდელობას სინამდვილეში ხარვეზი არ ექნებოდა, რომ არა მთავარი გარემოება — რადიო „თავისუფლების“ ეთერიდან ირკვევა, რომ ბოროტ ვანკას გალში ქართველი ბავშვებით სავსე ავტობუსი არა თუ არ აუფეთქებია, არამედ, სკოლის ქართველი პედაგოგის განმარტებით, იმ დღეს ავტობუსს საერთოდ არ უმუშავია (?!). 2009 წლის 9 მარტს კი, როცა ახალგორში ვანკას იარაღის საწყობი აფეთქდა, გაირკვა, რომ გოგიასთვის ეს არავის დაუბრალებია, ევროპელმა ექსპერტებმაც კი დაადასტურეს, რომ ქართულ მხარესთან (საწყობის აფეთქების გამო) პრეტენზია არავის ჰქონია. აბა, რა ხდება ვანკასა და გოგიას თავს?... პასუხი მარტივია: ქართველებისთვის ცნობილია, რომ რუსეთს კეთილი მიზნები ჩვენი ქვეყნისადმი არ ამოძრავებს, მაგრამ საგულისხმო ისაა, რომ მიხეილ ნიკოლოზის ძე სააკაშვილს ახლა მრავალი წლის მანძილზე გაბრაზებული გოგიას (ქართველი ხალხის) გამოყენება საკუთარი ფეხმომძვრალი სავარძლის გასამყარებლად სურს. პიარტაქტიკაც პრიმიტიულია: სახელგატეხილ ვანკას რაც უნდა დააბრალო, გოგია ყველაფერს დაიჯერებს! ჰოდა, ჩემო მეგობრებო, დასხდნენ ლევან რამიშვილი და გიგა ბოკერია და შეიმუშავეს სააკაშვილის სავარძლის რესტავრაციის გეგმა, რომელიც ერთდროულად რამდენიმე ამოცანას წყვეტს:

**1.** ოპოზიციის საპროტესტო აქციებიდან და 9 აპრილთან დაკავშირებული დიდი მოლოდინიდან მაყურებლის ყურადღება ბოროტი რუსეთის, ანუ ვანკას მიერ დაგეგმილ პროვოკაციებზე ხელოვნურად უნდა გადაიტანონ!

**2.** ცნობილია, რომ საგარეო და, განსაკუთრებით, ომის საფრთხის არსებობის შემთხვევაში, საზოგადოება (ნებით თუ უნებლიეთ) ყველაზე საძულველი ხელისუფლების ირგვლივაც კი ერთიანდება. ქვეტექსტი — რა თქმა უნდა, სამხედრო აგრესიის საფრთხე უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე 9 აპრილის საპროტესტო აქცია. შესაბამისად, მიშიკოს გადაყენების პროცესი მსუბუქად გადავადდება!

**3.** არსებობს მერკანტილური მიზანიც — ოპოზიციურ ძალებს ბოროტი ვანკასგან დაფინანსების მიღება უნდა დაბრალდეს!

ახლა, ვფიქრობ, მკითხველისთვის გასაგებია, რატომ უთმობს „ნაციონალური ახალი ამბები“ საეთერო დროის არაადეკვატურ მოცულობას ოკუპანტის ყოველდღიური ცხოვრების ასახვას და რატომ ჰგავს „ქრონიკა“ „ვესტის“ ან „მოამბე“ — „ვრემიას“...

მაგალითად, სულ არ გვაინტერესებდა, მაგრამ 2009 წლის 9 მარტს ისიც გავიგეთ, რომ რუსები ევროვიზიის კონკურსზე ეროვნებით უკრაინელი მომღერლის გამოყვანამ ძალზედ გააღიზიანა. ვანკას შეცდომები და დანაშაული მაქსიმალურად უნდა გამუქდეს — ეს ერთი! მეორე — თუ ვანკა არაფერს დააშავებს, გოგიამ ახალგორის სამხედრო არსენალის აფეთქების თემაც კი მიხეილ ნიკოლოზის ძის სავარძლის გასამყარებლად უნდა გამოიყენოს.

ამ ტელეისტერიას ემატება ბოკერია-რამიშვილის ახალი მაჟორული მესიჯი, რომ ოპოზიცია რუსეთის აგენტად, რუსეთი — პროვოკატორ მტრად, ხოლო სააკაშვილის მთავრობის მინისტრები მოფუსფუსე ფუტკრებად უნდა წარმოჩნდნენ!

**2009 წლის 8 მარტს** „პირველი არხის“ გადაცემაში — „პოლიტიკური კვირა“ — ინგა გრიგოლიამ გარემოს დაცვის მინისტრი გოგა ხაჩიძე მოიწვია, რომელიც (როგორც ჩანს) ბოკერია-რამიშვილის ტანდემმა „კარგ მოლაპარაკე ფუტკრად“ შეაფასა და ხელისუფლების ადვოკატობის მაღალი ფუნქცია მიანიჭა. ამ გადაცემიდან შევიტყვეთ, რომ... თურმე სააკაშვილის მთავრობის მინისტრები მთელ ქვეყანაში არიან მოფენილი. დღეებსა და ღამეებს ხალხზე ზრუნვაში ატარებენ, ოპოზიცია კი ხელებდაკაპიწებულ „ნაციონალურ ფუტკრებს“ ფიჭის გაკეთების საშუალებას არ აძლევს, სკების დანგრევითა და ფრთების შეკრეჭით ემუქრება. გარდა ამისა, მოფუსფუსე ფუტკრებს ხელს ბოროტი ვანკა უშლის, რომელიც მუდმივად პროვოკაციებს გეგმავს და ქართული ნაციონალური თაფლით მშიერი რუსული დათვის გამოკვებას აპირებს.

„რუსთავი 2“-ის „კურიერი“, „იმედის“ „ქრონიკა“, „აჭარის ტელევიზიის“ „დღე“, „პირველი არხის“ „მოამბე“ და სხვა სახელისუფლებო არხების საინფორმაციო პროგრამები ხელოვნურად ქმნის სურათს, თითქოს სააკაშვილის მთავრობა ხელებდაკაპიწებული შრომობს, ხოლო რუსეთი და ქართული ოპოზიცია მიხეილ ნიკოლოზის ძეს „სოფლის შენებაში“ ხელს უშლიან. დააკვირდით, ტელეარხები რა საგულდაგულოდ აახლოებენ ერთმანეთთან რუსეთისა და ოპოზიციის საგაზაფხულო აქციების თემას. გაგახსენებთ, რომ 2004-2005 წლებში სააკაშვილის რეჟიმმა საზოგადოება, ძირითადად, პოზიტივის გარშემო გააერთიანა. იმის მიუხედავად, რომ ხალხს ქუ-

ჩაში კლავდნენ და საკუთრებას ართმევდნენ, საპროტესტო მუხტი მხოლოდ ცალკეული მედია თუ პოლიტიკური ჯგუფების ფარგლებში ფეთქავდა: „ვაცადოთ!“ — ასეთი იყო საზოგადოების დამოკიდებულება სააკაშვილის ხელისუფლებისადმი. ქართველ ხალხს სააკაშვილის ხელისუფლების ბოროტებებზე თვალი მთელი ორი წლის შემდეგ — 2006 წლიდან აეხილა. პოლიტიკური ოპოზიციისა და ხალხის ხედვა ერთმანეთს დაემთხვა. აგორდა საპროტესტო აქციების პირველი სერიოზული ტალღა. ბოკერია-რამიშვილის ჯგუფმა სწორედ მაშინ დაისახა მიზნად პოლიტიკური ოპოზიციის გაიგივება ბუნებრივ მტერთან და ამ ილუზიის ტელეეკრანზე გადატანა როგორც დადასტურებული სიმართლისა და ჭეშმარიტების.

2004-2009 წლებში ქართული ტელევიზიები იმდენ ტყუილს ავრცელებდნენ და ისეთი ფორმით ხდებოდა სიცრუის სიმართლედ წარმოსახვა, რომ ბოკერია-რამიშვილის TV-ექსპერიმენტმა შედეგი უდავოდ გამოიღო: დღეს ქართველი მაყურებელი არცერთი სახელისუფლებო ტელეარხით გავრცელებულ ინფორმაციას აღარ ენდობა. მოკლედ, ბოკერია-რამიშვილის გუნდი ახალი პრობლემის წინაშე დადგა. როგორ დაერწმუნებინათ ქართველი საზოგადოება ტელევიზიით გადაცემული ცრუინფორმაციის ობიექტურობაში? თანაც, იმ ფონზე, როცა მაყურებელმა „კურიერის“ ცქერა არა სერიოზულად, არამედ „ღამის შოუს“ რეჟიმში დაიწყო. ასე დადგა დღის წესრიგში სამხედრო ავანტიურის გაჩაღების თემა, რომელიც იმედგაცრუებული საზოგადოების ყურადღებას ქვეყნის მთლიანობაზე გადაიტანდა. ბოკერია-რამიშვილის იმედები აქაც გაცრუვდა. აგვისტოს ომის შემდეგ მსოფლიომ რუსეთს ოკუპანტი უწოდა, ხოლო სააკაშვილს — ავანტიურისტი. „ნაბუკო“ ჩავარდა. ქართული მიწების დაკარგვას — დანაშაულს ქართველი კაცი სააკაშვილს შინაგანად ვეღარ პატიობს. ხიდი სააკაშვილის ხელისუფლებასა და ხალხის გულებს შორის საბოლოოდ ჩატეხილია. სამაგიეროდ, აქტიურობენ ტელეარხები. პირველი თემა ყველგან რუსეთია, მეორე — რუსეთი, მეათეც — რუსეთი... შემდეგ გვარწმუნებენ, რომ ომი იწყება... დაბოლოს, ხელებდაკაპიწებულ ქართულ ელექტრონულ მედიაში დღეს შექმნილი ვითარება იმაზე მიგვანიშნებს, რომ საინფორმაციო საშუალებებით ხელისუფლება ვეღარ ახერხებს მდგრადობისა და სტაბილურობის შენარჩუნებას. სახელისუფლებო ტელეარხები ფასს და ინტერესს კარგავს. პროცესები სულ მალე ქუჩაში გადაინაცვლებს. როცა იკარგება საინფორმაციო საშუალების გამოყენების პირობები, დღის წესრიგში დგება ძალისმიერი რესურსის ამოქმედების ალბათობა.

## წართმეული ტელეარხების ისტორია

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის საქმიანობამ ქვეყანაში პოლიტიკური დატვირთვა შეიძინა. ერთი შეხედვით, უპრეტენზიო ორგანო „ნაციონალური მოძრაობის“ პარტიული ინტერესებისა და იმ კერძო მესაკუთრეებზე ანგარიშსწორების იარაღად იქცა, რომლებიც შორს იდგნენ პოლიტიკური ინტერესებისა და ინტრიგებისაგან. სააკაშვილმა „ახალი საქართველოს“ შენება ტელესიხშირეების მესაკუთრეთათვის ქონების ჩამორთმევით დაიწყო.

2004 წლის დეკემბრიდან ძალაში შევიდა ფარული ომი თბილისზე მაუწყებელი ტელეარხების მფლობელთა წინააღმდეგ. მესაკუთრეების უფლებების შელახვის ფაქტებით, ერთი მხრივ, აღტაცებული, ხოლო, მეორე მხრივ, დაშინებული საზოგადოება არ დაინტერესებულა. ტელეარხების წართმევის საქმეში „შემსრულებლის“ ფუნქცია კომუნიკაციების მარეგულირებელმა კომისიამ იტვირთა, ხოლო „დამკვეთი“ გახლდათ შინაგან საქმეთა სამინისტრო, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი და გენერალური პროკურატურა.

ჟურნალისტთა კავშირმა „ობიექტივმა“ ჯერ კიდევ 2004 წლიდან დაიწყო გამოძიება კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიაში არსებული კორუფციული გარიგებებისა და დარღვევების შესახებ. 2006 წლის გაზაფხულზე მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარის — დიმიტრი ქიტოშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მოვითხოვეთ. ალბათ, გაინტერესებთ, რატომ.... საქმე ისაა, რომ 2004 წლიდან სააკაშვილის ხელისუფლებამ პირველი იერიში თავისუფალ მედიაზე მიიტანა. დაიხურა ტელეკომპანია „იბერია“, „მეცხრე არხი“, ჟურნალისტთა კავშირ „ობიექტივის“ ჟურნალისტებს წაართვეს ტელეკომპანია „ობიექტივზე“ მაუწყებლობის უფლება. ერთ მშვენიერ დღეს პირადი საუბრისას მე და ჩვენმა კოლეგამ ლუბა ელიაშვილმა აღმოვაჩინეთ, რომ წართმევის შემდეგ „იბერიაც“ და ტელეკომპანია „ობიექტივის“ წილიც გადაფორმებული იყო 28 წლის სტომატოლოგზე, ვინმე დავით კაკაურიძეზე. რა თქმა უნდა, გაჩნდა კითხვა: ვინ იყო დავით კაკაურიძე და რატომ გადაუფორმეს მას წილი ორ სხვადასხვა ტელეკომპანიაში. გამოძიების პროცესში გაირკვა, რომ დავით კაკაურიძე სასტუმრო „ვარაზში“ მენეჯერად მუშაობდა და ახლო ურთიერთობა ჰქონდა სააკაშვილის ხელისუფლების მაღალჩინოსნებთან, რომლებიც საღამოობით „ვარაზის“ ბარ-რესტორანში კლავდნენ დროს. ამასთან, მოვიპოვეთ ინფორმაცია, რომ სტომატოლოგ კაკაურიძეს ნათესაური კავშირი ჰქონდა კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის მაშინდელ თავმჯდომარე დიმიტრი ქიტოშვილთან (დეიდაშვილი).

ტელეკომპანია „ობიექტივის“ დირექტორმა მიხეილ აგლაძემ ჩვენთან საუბრისას დაადასტურა, რომ წილის გადაფორმება მასზე უხეში ზეწოლის პირობებში მოხდა. ქიტოშვილი აგლაძეს სისხლის სამართლის საქმის აღძვრით და დაჭერით ემუქრებოდა. იყო ფიზიკური ანგარიშსწორების მცდელობაც. აგლაძესა და ქიტოშვილს შორის ჭიდილი რამდენიმე თვეს გაგრძელდა. საბოლოოდ, ტელეკომპანია „ობიექტივის“ წილის 51% გასხვისდა. წილის 51%-ის მფლობელს პარტნიორისთვის დღემდე არ გადაუხდია ხელშეკრულებით გათვალისწინებული 19 000 ლარი. თუმცა გაცილებით საინტერესო სხვა ფაქტია. აგლაძე მებრძოლი ადამიანი აღმოჩნდა და, როგორც კი ტელეკომპანია „იმედმა“ ოპოზიციური მიმართულება აიღო, მაშინვე სატელევიზიო ინტერვიუ მისცა „დროების“ გადამღებ ჯგუფს. ამ ინტერვიუში მიხეილ აგლაძე პირდაპირ ამბობდა, რომ დიმიტრი ქიტოშვილი თავის კაბინეტში მას დაჭერით ემუქრებოდა, თუ არხს ვინმე კაკაურიძეს არ გადაუფორმებდა. აგლაძე საუბრობდა იმაზეც, თუ როგორ მიიყვანეს ის სანოტარო კანტორაში — „გინტური“ და როგორ მოხდა არხის

გადაფორმება. ეს ინტერვიუ ჟურნალისტმა გიორგი მოლოდინმა ჩაიწერა, მაგრამ გიორგი თარგამაძემ (რომელიც მაშინ პროგრამა „დროების“ ხელმძღვანელი გახლდათ) სიუჟეტი ეთერში არ გაუშვა. როგორც ჩანს, უკვე მაშინ ჰქონდა დაწყებული თანამშრომლობა ვანო მერაბიშვილთან და უკვე შინაგან საქმეთა სამინისტროს ინტერესებს იცავდა!

ჟურნალისტთა კავშირ „ობიექტივის“ საგამოძიებო ჯგუფმა აღნიშნულ თემაზე მუშაობა 2004 წლიდან დაიწყო, როდესაც 35-ე დეციმეტრულ არხზე კავშირის გადაცემები დაიხურა. გამოძიების პროცესში გაირკვა, რომ ტელესიხშირეების წართმევას მასობრივი ხასიათი ჰქონდა და ფარული ზეწოლა მიმდინარეობდა სხვა სიხშირეების მფლობელებზეც. იმავე პერიოდში გავარკვიეთ, რომ ჩვენთვის წართმეულ 35-ე დეციმეტრულ (თბილისზე მაუწყებელ) სიხშირეზე მაუწყებლობა დაიწყო ტელეკომპანია „ალანიამ“, რომელიც უშიშროების სამსახურის ინიციატივით შეიქმნა. ვიტყვით მარტივად, რომ ევროსაბჭოს ექსპერტებთან ერთად დიდი ზარ-ზეიმით შემუშავებულ-მიღებული „მაუწყებლობის შესახებ კანონით“ ერთსა და იმავე პირს ეკრძალება, იყოს წილის მფლობელი ორ სხვადასხვა ტელეკომპანიაში. სტომატოლოგ დავით კაკაურიძეზე ეს აკრძალვა არ გავრცელებულა, რადგან მას სააკაშვილის ხელისუფლების ძალოვანი შტოს მაღალჩინოსნები მფარველობდნენ. წილის წართმევიდან ორი წლის შემდეგ ტელეკომპანია „ობიექტივის“ დირექტორმა სასამართლოს მიმართა. იმ პერიოდში (2005 წელი) დაშინებულმა საზოგადოებამ ასე თუ ისე გამოიღვიძა და ხმამაღლა დაიწყო საუბარი სააკაშვილის რეჟიმის კრიმინალურ ქმედებებზე. კვალის დაფარვის მიზნით ხელისუფლებამ რამდენჯერმე შეცვალა ტელეკომპანია „ობიექტივის“ 51%-ის მეწილე... კაკაურიძე ნოდარ ჭარხალაშვილმა შეცვალა, ჭარხალაშვილი — ვინმე კვირიკაშვილმა, რომელმაც ჯერ გადაიფორმა ტელეკომპანიის წილი, ხოლო ცოტა ხანში მარეგულირებელ კომისიას უმორჩილესი თხოვნით მიმართა და... არ გაგიკვირდეთ... რატომღაც, სახელმწიფოსთვის ტელევიზიის ლიცენზიის უსასყიდლოდ ჩაბარება გადაწყვიტა. ეს მაშინ, როდესაც ტელევიზიის წილის 51%-ის რეალური ფასი 200 00-დან 500 000 დოლარამდე მერყეობდა და კვირიკაშვილს თავისუფლად შეეძლო, „საკუთრება“ სარფიანად გაეყიდა. „დემოკრატიის ჯიხური“ — ტელეკომპანია „202“ შალვა რამიშვილის დაპატიმრების შემდეგ დაიხურა. ოფიციალური ვერსიის თანახმად, ტელევიზიის მფლობელმა, პარლამენტარმა ვაჟა კილაძემ კომპანია ჰანს ალტენბურგს მიყიდა. თუმცა დაახლოებით ნახევარი წლის შემდეგ პირადად მე მქონდა შეხვედრები „202“-ის ყოფილ თანამშრომლებთან და ბევრი კითხვა გამიჩნდა კილაძე-ალტენბურგის გარიგებასთან დაკავშირებით. 2006 წლის დეკემბერში ჟურნალისტთა კავშირმა „ობიექტივმა“ „ტვ-33“-ის მფლობელ ჰანს ალტენბურგისაგან სიხშირის ამოქმედებასთან დაკავშირებით შემოთავაზება მიიღო. „ობიექტივის“ ჟურნალისტებმა საეთერო ბადის მომზადება დაიწყეს, პრეზენტაცია სასტუმრო „კოპალაში“ გაიმართა, სადაც ჰანს ალტენბურგმა და „ობიექტივის“ ჟურნალისტებმა მედიას პარტნიორობის გეგმები გააცნეს. პრეზენტაციიდან ზუსტად ორ თვეში „ტვ-33“ გაიყიდა. ის თავდაცვის მაშინდელი მინისტრის მოადგილის ძმამ

შეიძინა. შესაბამისად, 33-ე დეციმეტრულ სიხშირეზე ადგილი დაიმკვიდრა თავდაცვის სამინისტროს უწყებრივმა ტელევიზია „საქართველომ“. ამ გარიგების დეტალები „ობიექტივის“ ჟურნალისტებისათვის ისევ და ისევ ჰანს ალტენბურგისაგან გახდა ცნობილი. 33-ე სიხშირის მფლობელმა ჩვენთან პირადი საუბრისას განაცხადა, რომ მასზე ზეწოლას (არც მეტი, არც ნაკლები) პრემიერი ზურაბ ნოღაიდელი (ამჟამად თავგადაკლული ოპოზიციონერი) საკუთარ კაბინეტში ახორციელებდა. ნოღაიდელი დიმიტრი ქიტოშვილთან ერთად ალტენბურგს არხის დათმობას ურჩევდა, თან აფრთხილებდა, რომ თუ ამას არ გააკეთებდა, პრობლემები შეექმნებოდა. მოკლედ, „ობიექტივის“ ჟურნალისტებს ხელისუფლებამ ტელეარხი ორჯერ წაართვა. შესაბამისად, წაგვერთვა პროფესიული საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობა, რისი გარანტიც, წესით, ჩვენი მრავალგზის შეურაცხყოფილი კონსტიტუცია უნდა ყოფილიყო. საინტერესოა დეტალი, რომ „ტვ-33“-ის ახალი მფლობელის — კახა გიუაშვილის საკონტაქტო ნომრად სანოტარო ხელშეკრულებაში, რატომღაც, მითითებული იყო ზურაბ ნოღაიდელის მეუღლის — ნინო ცინცაბაძის იურიდიული კომპანია „ახალი ქართული იურიდიული ჯგუფის“ ოფიციალური ნომერი და მისამართი: თბილისი. ბამბის რიგი 7.

2004 წელს, როდესაც ხელისუფლებამ კერძო ტელეარხების რეკვიზიცია დაიწყო, დარტყმის ობიექტი გახდა ტელეკომპანია „ევროპაც“, რომელსაც 2004 წლის 10 სექტემბერს კომუნიკაციების მარეგულირებელმა კომისიამ კანონის უხეშად დარღვევის გზით ლიცენზია ჩამოართვა. აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. „ევროპის“ ოფისში შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიული დეპარტამენტის დანაყოფები შევიდნენ და გამოიტანეს ტელევიზიის კუთვნილი ძვირადღირებული სატელევიზიო ტექნიკა. ჟურნალისტთა კავშირ „ობიექტივის“ ინფორმაციით, ეს ტექნიკა ტელეკომპანია „ალანიას“ გადაეცა. არსებობს ტექნიკის ჩამონათვალი და შესაძლებელია რევიზიის ჩატარება!

„ობიექტივის“ გამოძიებამ ცხადყო, რომ ტელეკომპანია „ევროპას“ მარეგულირებელმა კომისიამ ლიცენზია უკანონოდ და თვითნებურად გაუუქმა. შესაძლებელი იყო სხვა სანქციების გამოყენება (წერილობითი გაფრთხილება, ჯარიმა), მაგრამ კომისიამ უკიდურეს ზომას მიმართა, რითაც უხეშად დაარღვია საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლი და „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის“ მე-10 მუხლის პირველი პუნქტი. შეგახსენებთ, რომ ეს მუხლი კრძალავს გარანტირებული თავისუფლების დაუსაბუთებელ შეზღუდვას.

2004-2008 წლებში საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისია იმ სადამსჯელო ორგანოს ფუნქციას ასრულებდა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლების ძალოვანი შტოს ინტერესებს იცავდა. დროის ამ მონაკვეთში ტელესიხშირე 14-ზე მეტ კანონიერ მფლობელს ჩამოერთვა. სწორედ გიორგი არველაძის დახმარებით მოახერხა ვინმე კვირიკაშვილმა სახელმწიფოსთვის ტელეკომპანია „ობიექტივის“ კუთვნილი ლიცენზიის უსასყიდლოდ ჩაბარება, რაც თავისთავად სასაცილო ფაქტად რჩება. კომისიის სხდომაზე, რომელიც ზემოხსენებულ საკითხს მიეძღვნა,

მარეგულირებელი კომისიის წევრებმა ხელისუფლებისათვის სასურველი გადაწყვეტილება 15 წუთში გამოიტანეს. „მოვა დრო და თითოეული თქვენგანი კანონის წინაშე აგებს პასუხს ამ და სხვა დანაშაულებებისათვის“, — სხდომის პათოსი ასე გააპროტესტა „ობიექტივის“ წევრმა მამუკა გობეჩიამ. ეს იყო შარშან... ჟურნალისტთა კავშირ „ობიექტივის“ წევრები ხელისუფლების მიერ წართმეული ტელევიზიისათვის ბრძოლას არა მარტო საპროტესტო აქციებზე, არამედ სასამართლო პროცესებზე განაგრძობდნენ, რომელსაც სააკაშვილის რეჟიმი 4 წელია, ბლოკავს და აჭიანურებს, იქამდეც კი, რომ სასამართლომ ღიად დაუჭირა მხარი ხელისუფლების ნებას და არ დააკმაყოფილა „ობიექტივის“ ადვოკატის წინადადება, საქმის შესწავლის დასრულებამდე ტელეკომპანიის ლიცენზიას ყადაღა დასდებოდა!

საქართველოში მაშინაც კი ბნელა, როცა მზე ანათებს. ტელეკომპანია „ობიექტივისათვის“ სიხშირის წართმევის თემის ირგვლივ სკანდალი მწიფდება. ჟურნალისტთა კავშირმა „ობიექტივმა“ ამერიკის შეერთებული შტატების ახალ ადმინისტრაციას საგანგებო წერილით მიმართა და დახმარება სთხოვა.

2009 წლის 17 მარტს კი, მორიგი სასამართლო განხილვა გაიმართება...

## „ობიექტივი“ — საჩუქრად უშიშროების „ალანიას“!

2002-2004 წლებში ჟურნალიტთა კავშირ „ობიექტივის“ ჟურნალისტები გადაცემებს უშვებდნენ „ტელეკომპანია „ობიექტივის“ ეთერით. ვაკონკრეტებთ: ჟურნალისტთა კავშირ „ობიექტივის“ წევრები პარალელურად იყვენენ ტელეკომპანია „ობიექტივის“ თანამშრომლები. პრაქტიკულად, ეს იყო ერთობლივი მედიასტრუქტურა!

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ტელეკომპანია „ობიექტივის“ დირექტორ მიხეილ აგლაძეზე დაიწყო ზეწოლა კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის მაშინდელი თავმჯდომარის — დიმიტრი ქიტოშვილის მხრიდან. ქიტოშვილი ტელეკომპანია „ობიექტივის“ დირექტორს საკუთარ კაბინეტში იბარებდა და აშანტაჟებდა — თუ ტელევიზიის საკონტროლო პაკეტს არ გადმოგვიფორმებ, სისხლის სამართლის საქმეს აღვაძვრევინებთ და დაგიჭერთო. იმ პერიოდში სააკაშვილის ხელისუფლება მოსახლეობის თითქმის 100%-იანი ნდობით სარგებლობდა, პრაქტიკულად არ არსებობდა ოპოზიცია, მესამე სექტორი დუმდა, ამიტომ ხელისუფლების მხრიდან ტელევიზიების მესაკუთრეებზე ზეწოლის ფაქტები საზოგადოებისათვის ძნელადსარწმუნო იქნებოდა და ვერ პოვებდა ადეკვატურ მხარდაჭერას. ტელეკომპანია „ობიექტივის“ დირექტორი იძულებული გახდა, საკონტროლო პაკეტი (51%) გადაეფორმებინა დიმიტრი ქიტოშვილის მიერ „რეკომენდებულ“ კანდიდატურაზე, ვინმე დავით კაკაურიძეზე.

ვინ არის დავით კაკაურიძე? იგი 32 წლისაა. ცხოვრობს თბილისში, ნუცუბიძის პლატოზე, მეოთხე მიკრორაიონში.

როგორც გავარკვიეთ, კაკაურიძე დიტო ქიტოშვილის ახლო ნათესავია. ამავე დროს, ნუცუბიძის მეოთხე პლატოს მე-16 კორპუსში (სადაც კაკაურიძეა რეგისტრირებული) ცხოვრობენ დიმიტრი ქიტოშვილი, სოსო თოფურიძე, გია ალანია (გირგვლიანის მკვლელების ჯგუფი) და ძმანი მათნი.

2004-2006 წლებში დავით კაკაურიძე მუშაობდა სასტუმრო „ვარაზში“, სადაც (როგორც ცნობილია) ხელისუფლების ძალოვანი შტოს მაღალჩინოსნები იკრიბებოდნენ და ამჟამადაც იკრიბებიან. საინტერესოა ფაქტი, რომ დავით კაკაურიძეზე („ვარდების რევოლუციის“ შემდეგ) ხელისუფლებამ გადააფორმა ტელეკომპანია „იბერიის“ საკონტროლო პაკეტი. გადაფორმება, ჩვენი ინფორმაციით, აქაც ზეწოლით, ანუ ძალით მოხდა! საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, დაუშვებელია, ერთი პირი ფლობდეს წილს ორ სხვადასხვა ტელეკომპანიაში. ეს ისე, ინფორმაციისთვის!

2009 წლის მაისში ტელეკომპანია „მაესტრომ“ მოამზადა ფილმი გირგვლიანის მკვლელების შესახებ. ფილმის მთავარმა გმირმა (მოწმემ) განაცხადა, რომ დავით კაკაურიძე გირგვლიანის მკვლელების უახლოესი მეგობარია და მათ ციხეში ხშირად სტუმრობს. მოწმის ჩვენებით, დავით კაკაურიძეზე ამ ჯგუფმა გადააფორმა ტელეკომპანია „ობიექტივი“, რომელზეც ხელისუფლებამ უკანონოდ „დასვა“ „ალანია“. ზემოხსენებულმა მოწმემ, რომელმაც „ობიექტივის“ გამოძიებასაც მისცა ჩვენება, აღნიშნა, რომ გირგვლიანის მკვლელები ხშირად საუბრობდნენ იმაზე, თუ როგორ „აახიეს“ „ობიექტივის“ ჟურნალისტებს ტელეარხი და დასცინოდნენ მათ (ანუ ჩვენ!)! აღსანიშნავია ისიც, რომ 35-ე დეციმეტრული სიხშირის დასაკუთრების შემდეგ ტელეკომპანია „ალანიას“ დირექტორად ხელისუფლებამ დანიშნა 35 წლის წლის მამუკა თათოშვილი. სამი წლის მანძილზე „ალანია“ ულიცენზიოდ, კანონის უხეში დარღვევით გადიოდა „ობიექტივის“ კუთვნილ 35-ე დეციმეტრულ სიხშირეზე. კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისია კი ჟურნალისტებს უმალავდა ამ ინფორმაციას (იხ. ჟურნალისტ ეკა ქევანიშვილის გამოძიება. www.presa.ge და ნინო ზურიაშვილის დოკუმენტური ფილმი). უნდა ითქვას, რომ ტელეკომპანია „ალანიას“ ხელისუფლებამ უკანონოდ გადასცა ტელეკომპანია „ევროპის“ კუთვნილი ტექნიკა. ეს ტელევიზია შინაგან საქმეთა სამინისტრომ რუსეთში მოღვაწე ბიზნესმენს — თემურ შენგელიას წაართვა. პირველად სპეცრაზმი სწორედ „ევროპაში“ შევიდა და დაარბია ტელევიზიის შენობა, ხოლო კომპანიას ლიცენზია დაუსაბუთებელი მიზეზებით ძალით გაუუქმა. ამ საქმეს სწავლობს ჟურნალისტთა კავშირი „ობიექტივი“ და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია.

ვინ არის მამუკა თათოშვილი? თათოშვილს არანაირი შეხება არ ჰქონია სატელევიზიო სფეროსთან. წარმოშობით ახალციხის რაიონის სოფელ უდედანაა. შეგახსენებთ, რომ უდე ვანო მერაბიშვილის (შსს მინისტრი) მშობლიური სოფელია. ჩვენი ინფორმაციით, მამუკა თათოშვილი ვანო მერაბიშვილისა და მისი მოადგილის, ამირან მესხელის ნდობით აღჭურვილი პირია. მას საერთო ბიზნესინტერესები აქვს შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნებთან. მათთან ერთად ურეკში სასტუმროს ერთ-ერთი დამფუძნებელია. ამირან მესხელიც ახალციხელია. მისი მშობლიური სოფელიც უდეა. მესხელის ცოლი ხათუნა ჯიქურაშვილი ამ დრომდე მუშაობდა ტელეკომპანია „მზეში “. ჩნდება კითხვა: რატომ მაინცდამაინც ახალციხის რაიონის სოფელ უდელებს აღმოაჩნდათ სატელევიზიო სფეროში საქმიანობის „ნიჭი“ და „შესაძლებლობა?“ ...

„კი არ ვყიდი, ვჩუქნი“(?!)... 2008 წელს დავით კაკაურიძემ „თხოვნით“ მიმართა კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიას, რათა სახელმწიფოს უსასყიდლოდ გადასცემოდა ტელეკომპანია „ობიექტივის“ კუთვნილი 499-ე ლიცენზია, რომელიც ითვალისწინებდა მაუწყებლობას 35-ე დეციმეტრულ სიხშირეზე. დააკვირდით, კაკაურიძე ითხოვს სახელმწიფოსთვის ლიცენზიის უსასყიდლოდ გადაცემას, როცა სიხშირის საბაზრო ფასი, სულ მცირე, 500 000 დოლარია. მესაკუთრეს თავისუფლად შეუძლია კომპანიის, ფაქტობრივად კი, სიხშირის გაყიდვა. ამის პარალელურად, ტელეკომპანია „ობიექტივის“ დირექტორ მიხეილ აგლაძეს 3 წელია, საქმე მიჰყავს თბილისის საქალაქო სასამართლოში (ადვოკატი ბესარიონ კვირიკაშვილი). ხელისუფლებას ეს საქმე მაქსიმალურ „კონტროლზე“ ჰყავს აყვანილი, ამიტომ პროცესი მიზანმიმართულად ჭიანურდება. 2008 წელს ტელეკომპანია „ობიექტივის“ საკონტროლო პაკეტის მფლობელი, დავით კაკაურიძის ნაცვლად, ხდება ვინმე ნოდარ ჭარხალაშვილი. ეს არის წილის ე.წ. შუალედური მფლობელი, რომლის უშუალო ძალისხმევითაც ყალბდება საბუთები და წილის 51%-ის მაგივრად, დოკუმენტაციაში 60% იწერება. ალბათ, გაინტერესებთ, რატომ გააყალბეს და მიიწერეს კრიმინალებმა წილის დამატებით 9%? პასუხი მარტივია: რათა უპრობლემოდ მომხდარიყო სახელმწიფოსთვის ლიცენზიის ჩუქება და იურიდიულად ქეთევან ასათიანის მხრიდან ჩუქების აბსურდული ფაქტის გაპროტესტებას აზრი დაჰკარგვოდა. ხაზს ვუსვამთ, რომ საბუთების გაყალბების პირობებშიც კი, „ობიექტივის“ წილის 40%-ის მფლობელად რჩება ნამდვილი მესაკუთრე, ჟურნალისტთა კავშირ „ობიექტივის“ წევრი ქეთევან ასათიანი, რომელსაც სინამდვილეში არანაირი წილი არ დაუთმია ნოდარ ჭარხალაშვილის სასარგებლოდ.

ახლა ვნახოთ, ვინ არის ნოდარ ჭარხალაშვილი? ნოდარ ჭარხალაშვილი გახლავთ კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის — სოფიო ბრიტანჩუკის მეუღლე.

2004-2006 წლებში, როცა „ობიექტივს“ ხელისუფლებამ სიხშირე წაართვა, ბრიტანჩუკი მარეგულირებელ კომისიაში პრესმდივნის თანამდებობაზე მუშაობდა. 2008 წლიდან კი, როცა მის მეუღლე ნოდარ ჭარხალაშვილზე ტელეკომპანია „ობიექტივის“ საკონტროლო პაკეტი გადაფორმდა, სოფიო ბრიტანჩუკი ასრულებდა კომისიის წევრის მოვალეობას, ხოლო ამჟამად თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელია. ჩვენი ინფორმაციით, სოფიო ბრიტანჩუკი დავით კეზერაშვილის, ზურაბ ადეიშვილისა და გიგა ბოკერიას უახლოესი მეგობარია. მისი მეგობრები არიან კეზერაშვილისა და ბოკერიას მეუღლეები. ამ ეტაპზე მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარის პოსტზე სოფიო ბრიტანჩუკს გავლენიანი სახელისუფლებო ძალები ლობირებენ, რომლებიც ცდილობენ ირაკლი ჩიქოვანის („რუსთავი 2“-ის მფლობელი) „ჩაძირვას“ და ბრიტანჩუკისთვის კომისიის თავმჯდომარის პოსტის ჩაბარებას.

მოკლედ, კომუნიკაციების ეროვნული მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლის ქმარი — ნოდარ ჭარხალაშვილი „ობიექტივის“ ჟურნალისტებისათვის არხის ერთ-ერთი წამრთმევია.

2004-2009 წლებში ჟურნალისტთა კავშირმა „ობიექტივმა“ არხის წართმევის თემაზე თითქმის ყველა საელჩოსა და საერთაშორისო ორგანიზაციას მიმართა როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში. რეზონანსი — ნული! 35-ე დეციმეტრული არხის წართმევის შესახებ ინფორმირებულია ყველა ოპოზიციური პოლიტიკური პარტია და არასამთავრობო ორგანიზაცია.

2009 წლის მაისში „ობიექტივმა“, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, თხოვნით მიმართა საზოგადოებრივი დამცველის სამსახურს (ნანა კაკაბაძე), განსაკუთრებულ კონტროლზე აიყვანოს 35-ე დეციმეტრული ტელეარხის წართმევის საკითხი და მოამზადოს ობიექტური დასკვნა. „ობიექტივი“ განაგრძობს ბრძოლას სასამართლოს გზითაც, რომელიც ხელოვნურად ჭიანურდება.

სამართლიანობის აღდგენამდე ჟურნალისტთა კავშირ „ობიექტივის“ ჟურნალისტები, რომელთა შრომითი და პროფესიული უფლებები უხეშად შეილახა, „ალანიას“ მოძალადე, კრიმინალურ „დამფუძნებლებსა“ და ხელმძღვანელობას მიმართავენ რჩევით: სასწრაფოდ გახსნან საეთერო დროის ის მოცულობა, რა წილსაც ( წართმევისა და გაყალბების შემდეგ) მაინც ფლობს ტელეკომპანია „ობიექტივის“ დამფუძნებელი და კავშირის წევრი ქეთევან ასათიანი (40%)... წილის 40%-ის ფარგლებში ჟურნალისტთა კავშირი „ობიექტივი“ „ალანიას“ ეთერში პარლამენტის წინ მიმდინარე საპროტესტო აქციას პირდაპირ ეთერში ჩართავს და გააშუქებს. მივმართავთ ტელეკომპანია „ალანიას“ დირექტორ მამუკა თათოშვილს: გახსნას ღია ეთერი და „ობიექტივის“ ჟურნალისტებთან ერთად მონაწილეობა მიიღოს დებატებში, რათა სიმართლეს აეხადოს ფარდა. „ობიექტივის“ ჟურნალისტთა წინადადების უგულებელყოფის შემთხვევაში, ვიტოვებთ უფლებას (როგორც არხის კანონიერი მესაკუთრეები და უფლებაშელახული თანამშრომლები), მშვიდობიანი, მაგრამ უმკაცრესი ფორმებით მოვთხოვოთ „ალანიას“ 35-ე დეციმეტრული სიხშირის დატოვება.

2009 წლის წლის 23 ივნისს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ჩიქოვანმა „ობიექტივის“ ადვოკატს (რომელმაც დასვა კითხვა, რომელ სიხშირეზე მაუწყებლობდა და მაუწყებლოს ტელეკომპანია „ალანია“) შემდეგი შინაარსის პასუხი მოსწერა: „გაცნობებთ, რომ ტელეკომპანია „ალანია“ 2008 წლის მარტამდე არ ფლობდა სამაუწყებლო ლიცენზიას, მის მიერ სამაუწყებლო ლიცენზიის მოპოვება მოხდა 2008 წლის 16 მაისს. კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ჩიქოვანი“.

შეგახსენებთ, რომ ტელეკომპანია „ობიექტივს“ ( რომლის კუთვნილ 35-ე სიხშირეზეც უკანონოდ მაუწყებლობდა ტელეკომპანია „ალანია“) მარეგულირებელმა კომისიამ ლიცენზია გაუუქმა 2008 წლის 21 მარტს. ოთხი დღით ადრე, ანუ 14 მარტს „ალანიამ“ მარეგულირებელ კომისიას თხოვნით მიმართა, რათა გამოცხადებულიყო კონკურსი თბილისში კერძო მაუწყებლობის ლიცენზიის მოსაპოვებლად. ირაკლი ჩიქოვანის წერილი ასაბუთებს ჩვენს ბრალდებას, რომ „ალანია“ ხელისუფლებამ „დასვა“ ჟურნალისტთა კავშირ „ობიექტივის“ ჟურნალისტებისათვის წართმეულ სიხშირეზე, რომელზეც 2008 წლის 16 მაისამდე „ალანია“ ულიცენ-

ზიოდ მაუწყებლობდა. კვლავ ვაცხადებთ: ულიცენზიო მაუწყებლობა კანონის უხეში დარღვევაა და დასჯადია. ამ უკანონობაში, ჩვენი ინფორმაციით, „ალანიას“ ხელს უწყობდა და მფარველობდა კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის მაშინდელი ხელმძღვანელობა. ამასთან, ჩვენთვის წართმეული ლიცენზიის ერთ-ერთ მფლობელად გვევლინება ვინმე ნოდარ ჭარხალაშვილი, რომელიც კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის წევრის, სოფიო ბრიტანჩუკის მეუღლეა. ჟურნალისტთა კავშირი „ობიექტივი“ აპროტესტებს მისთვის ტელეარხის წართმევის ფაქტს და განაგრძობს ბრძოლას როგორც სამართლებრივი, ისე სამოქალაქო პროტესტის გზით.

გაცნობებთ, რომ დღეს საქალაქო სასამართლომ „ობიექტივს“ საბოლოოდ უთხრა უარი ლიცენზიის აღდგენასა და დაბრუნებაზე, რომელიც უკანონოდ აქვს გადაცემული უშიშროების სტრუქტურის ტელეკომპანია „ალანიას“. მოსამართლე მერაბ ლომიძემ ჟურნალისტი ირმა ინაშვილი სხდომიდან გააძევა და დააჯარიმა იმის გამო, რომ ინაშვილმა ლომიძეს „პოლიტიკური მოსამართლე“ უწოდა და შეახსენა, რომ ამ უკანონო განაჩენისათვის ის აუცილებლად დაისჯებოდა.

## „იმედის“ „მშვიდობიან“ დაშლაში შეტანილი წვლილისათვის

ლევან ყუბანეიშვილის კომპანია „TBC-TV-მ „იმედის“ ჟურნალისტთა დიდი ნაწილი დაასაქმა. ყუბანეიშვილის კერძო სტუდიას 2007 წლის მიწურულს „საშუალება მიეცა“, ექსკლუზიურად შეეძინა საეთერო დრო არა მარტო „რუსთავი 2“-ზე, არამედ „საზოგადოებრივ მაუწყებელში“. „იმედის“ ჟურნალისტებს (როგორც თავად განმარტავდნენ) კონტრაქტებს სწორედ „TBC-TV“ უფორმებდა. დღეს ამ კონტრაქტების უმრავლეობა შეწყვეტილია.

„იმედის“ „მშვიდობიან“ დაშლაში შეტანილი წვლილისათვის ლევან ყუბანეიშვილი ვანო მერაბიშვილმა „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალურ დირექტორად „აირჩია“...

2008 წლის გაზაფხულზე ერთ-ერთ საგაზეთო ინტერვიუში გიორგი ახვლედიანმა განაცხადა, რომ „იმედიდან“ წამოსვლის სანაცვლოდ, ხელისუფლების მხრიდან 100 000 ევროს სთავაზობდნენ, რაც პრინციპულად არ მიიღო. ამავე პერიოდში ლევან ვეფხვაძემ „გაიხსენა“, რომ ხელისუფლების მაღალჩინოსნებმა „იმედის“ ზოგიერთ თანამშრომელს საბანკო კრედიტები დაუფარეს და ახალი სამსახური შესთავაზეს... თუმცა ვეფხვაძემ თავი შეიკავა ამ თანამშრომლების დასახელებისაგან...

„დროების“ ხელმძღვანელ გიორგი თარგამაძეს შინაგან საქმეთა სამინისტრო ჯერ ფსევდოოპოზიციური პარტიის შექმნასა და დაფინანსებაში დაეხმარა, შემდეგ — რეიტინგების გაყალბებაში... არჩევნების პერიოდში თარგამაძის უმნიშვნელო გადაადგილებაც კი საგულდაგულოდ შუქდებოდა ყველა ტელევიზიის ეთერით... ვანო მერაბიშვილმა „იმედის“ დაშლაში

შეტანილი „წვლილი“ გიორგი თარგამაძესაც სარფიანად „დაუფასა“. დღეს თარგამაძე არალეგიტიმურ პარლამენტს „ათეთრებს“ და ქართველ საზოგადოებას აღმასრულებელი ორგანოს ტრიბუნიდან მოძღვრავს...

„იმედის“ „ოკუპირების“ გეგმაში (ჩემი ინფორმაციით) აქტიურად იყო ჩართული ერასტი კიწმარიშვილი, რომელიც კულისებში მოქმედებდა და, როგორც თავად ადასტურებს, სააკაშვილს პატარკაციშვილის დამარცხებასა და არჩევნების გაყალბებაში ეხმარებოდა...

ასეთია ტრაგიკული რეალობა... ტელეკომპანია „ იმედის“ დაშლა, სამწუხაროდ, იქ მომუშავე ჟურნალისტების უპრინციპობამ ბევრად განსაზღვრა... პირველად საქართველოს უახლეს ისტორიაში ჟურნალისტებმა კრიტიკულ მომენტში დატოვეს მაყურებელი და წაართვეს ობიექტური ინფორმაციის მიღების საშუალება.

იფიქრეთ... გამოიტანეთ დასკვნები... სიმართლე ყოველთვის ხელისგულზეა...

ჟურნალისტი ლელა დუმბაძე რამდენიმე თვის წინათ წერდა: „საზოგადოებრივმა არხმა“ გადაცემა „დიდი ათეულის“ მომზადებაზე „TBC-TV“-ს ხელშეკრულება 2008 წლის 15 ოქტომბერს გაუფორმა, სახელმწიფო შესყიდვა კი 27 ოქტომბერს განხორციელდა. კანონში სახელმწიფო შესყიდვების შესახებ წერია: „დაუშვებელია, შესყიდვაში მონაწილეობა მიიღოს ფიზიკურმა პირმა, თუ ის ბოლო სამი წელი მუშაობდა შესყიდვის მონაწილე ორგანიზაციაში“. ეს არის ინტერესთა კონფლიქტი. მას შემდეგ, რაც ლევან ყუბანეიშვილმა სტუდია „TBC-TV“ დატოვა, სამი წელი არ გასულა. „საზოგადოებრივი არხის“ გენერალურ დირექტორად ის 2008 წლის 4 აპრილს დაინიშნა. „ეს კანონდარღვევა იმიტომ არაა, რომ ჩემს გადაწყვეტილებას სატენდერო კომისიაზე გავლენის მოხდენა არ შეეძლო, — ამბობს ლევან ყუბანეიშვილი, — „TBC-TV“-ის ერთი პროექტი ტენდერში მხოლოდ იმიტომ გავიდა, რომ ალტერნატივა არ ჰქონდა“.

„პირველი არხის“ სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე ლევან გახელაძე ადასტურებს, რომ „TBC-TV“-სა და „საზოგადოებრივ მაუწყებელს“ შორის დადებული ხელშეკრულებები ინტერესთა კონფლიქტში მოდიოდა, თუმცა, პროექტების მნიშვნელობიდან გამომდინარე, როგორც გახელაძეს მიაჩნია, სამეურვეო საბჭომ ყუბანეიშვილს შესყიდვების განხორციელების უფლება მისცა. „დირექტორი სპეციალურ ნებართვას ითხოვდა ბორდისგან და მან მიიღო ეს ნებართვა“, — აცხადებს იგი. მას შემდეგ, რაც ლევან ყუბანეიშვილი „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური დირექტორი გახდა, სტუდია „TBC-TV“-მ 800 ათას ლარზე მეტი სახელმწიფო დაკვეთა მიიღო. ლევან ყუბანეიშვილის თქმით, „დიდ ათეულზე“ სახელმწიფო შესყიდვა ერთ პირთან მოლაპარაკების წესით მოხდა. „დიდი ათეული“ ტელეკომპანია BBC-ის პროექტია, ამიტომ, კონტრაქტის თანახმად, თუ ვინ იქნებოდა მწარმოებელი პირი, გადაწყვეტილება მას უნდა მიეღო, — ამბობს ყუბანეიშვილი, — BBC-ის წინადადება რამდენიმე მწარმოებელს მიეწოდა. მისი არჩევანი „TBC-TV“ იყო. შესაბამისად, ვალდებული ვიყავით, მათთან გაგვეფორმებინა კონტრაქტი“.

ლევან გახელაძის ინფორმაციით, „დიდი ათეული“ ტენდერს არ ექვემ-

დებარებოდა, რადგან გადაცემის წარმოებაზე ნებართვა მხოლოდ „TBC-TV“ სტუდიას ჰქონდა. „თანხა კი, ნახევარი მილიონი ლარი, ტელევიზიამ „TBC-TV“-ს გადაუხადა“, — ამბობს გახელაძე.

ხელშეკრულებაში წერია, რომ 517 ათასი ლარიდან 129 250 ლარი სტუდიას ავანსის სახით გადაერიცხა. სტუდია „TBC-TV“-მ ექსკლუზიური უფლებით მიიღო დაკვეთა გადაცემაზეც „ცხოვრება მშვენიერია“.

„პირველი არხის“ დირექტორი ამბობს, რომ პროექტი სტუდიის საკუთრებაა და შესყიდვაც ერთ პირთან მოლაპარაკებით ამიტომ მოხდა. „ცხოვრება მშვენიერია“, ხელშეკრულების მიხედვით, 175 ათასი ლარი ღირს. ექსკლუზიური შესყიდვების გარდა, „TBC-TV“-მ 2008 წელს ტენდერშიც გაიმარჯვა და გადაცემაში „ავტომოყვარულთათვის“ 145382,65 ლარზე სახელმწიფო დაკვეთაც მიიღო. „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ სახელმწიფო შესყიდვა 400 000 ლარზე „ქართულ ანიმაციურ სტუდიასთანაც“ განახორციელა, რომლის დამფუძნებელიც ლევან ყუბანეიშვილის მოადგილე გია ჭანტურიაა, თუმცა ლევან ყუბანეიშვილი ინტერესთა კონფლიქტს ამ შემთხვევაშიც გამორიცხავს: „გია ჭანტურია ამ სტუდიიდან უკვე სამი წელია, წამოსულია“. ლევან ყუბანეიშვილის თქმით, სტუდიებსა და ტელევიზიის მმართველებს შორის ინტერესთა კონფლიქტის არსებობა ისეთი თემაა, რომელიც პასუხის გაცემის შემთხვევაშიც კითხვის ნიშნის ქვეშ დარჩება. მისი აზრით, სატელევიზიო სფერო არც ისე დიდია და „სადღაც ყველას ჰყავს ნაცნობი“. ეს იმას ჰგავს, გრიგოლიამ რომ უთხრა გაჩეჩილაძეს, თქვენ არ იყავით, ღვინო „სააკაშვილი“ რომ ჩამოასხითო? ვინმეს დაარწმუნებთ იმაში, რომ ეს გაჩეჩილაძის პირადი დავალებით არ მოხდა?“

„TBC-TV“-ის ამჟამინდელი მფლობელი „პირველი არხის“ ყოფილი დირექტორი ზაზა შენგელიაა. ლევან ყუბანეიშვილმა სტუდიაში თავისი კუთვნილი წილი (არ აკონკრეტებს, რამდენი პროცენტი) ზაზა შენგელიას მას შემდეგ გადაუფორმა, რაც იგი „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ დირექტორად დასახელდა. „TBC-TV“-ის დამფუძნებლები **თბს** ჯგუფი, ზაზა შენგელია და მე ვართ. ვის რამდენი წილი აქვს, სამეწარმეო რეესტრის ამონაწერში, ნახეთ“, — ამბობს ყუბანეიშვილი. სამეწარმეო რეესტრის ამონაწერში, „TBC-TV“-ის დამფუძნებლებში მხოლოდ ზაზა შენგელია წერია. ამონაწერის მიხედვით, იგი 40 პროცენტს ფლობს. დარჩენილი 60 პროცენტის მფლობელი აღნიშნული არ არის. „ჩვენთან მხოლოდ ის ინფორმაცია მოიპოვება, რასაც იურიდიული პირები გვაწვდიან“, — აცხადებს „ბათუმელებთან“ შემოსავლების სამსახურში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი სოსო კაპანაძე.

დაბოლოს, სტუდიებთან გაფორმებულ შესყიდვების ხელშეკრულებებში, რომლებიც გაზეთ „ბათუმელებს“ „პირველმა არხმა“ მიანოდა, დაფიქსირებულია მუხლი, რომელიც მხარეებს შორის დადებული შეთანხმების კონფიდენციალობას უზრუნველყოფს. პირობაში წერია: „მხარეები ვალდებულნი არიან, არ გაახმაურონ შეთანხმების პირობები და სხვა სახის ინფორმაცია“, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა დაეკისრებათ. კითხვაზე — რას ნიშნავს ეს მუხლი, ლევან ყუბანეიშვილი პასუხობს: „არ ვიცი, რა კონფიდენციალობაზე საუბრობთ. ასეთი მუხლი არ შეიძლება იყოს“.

დასკვნა თავად გამოიტანეთ!!!

**ირმა ინაშვილი,**
**ჟურნალისტთა კავშირ „ობიექტივის“ ხელმძღვანელი**

# გელა ნიკოლაიშვილი: პატიმრებს უკვე ცივის ეზოში გაშლილ კარვებშიც კი სძინავთ

**საქართველოში ადამიანის უფლებებისა და საერთაშორისო ნორმების სხვა უხეში დარღვევების შესახებ ვესაუბრებით ადვოკატ გელა ნიკოლაიშვილს.**

**— ნებისმიერი ქვეყნის დემოკრატიულობას, ძირითადად, 3 კომპონენტით განსაზღვრავენ: თავისუფალი მედია, თავისუფალი სასამართლო და ადამიანის უფლებების დაცვა. ყველამ კარგად ვიცით, რომ საქართველოში ამ კუთხით არათუ კარგად, ძალიან ცუდადაა საქმე, მაგრამ იქნებ უფრო კონკრეტულად გვესაუბრა ყოველივეზე...**

— დავიწყოთ თავისუფალი სასამართლოთი... ხმამაღლა შემიძლია, ვთქვა, რომ „თავისუფალი სასამართლო“, როგორც ასეთი, საქართველოში არ არსებობს! მეტიც, 2003 წლის 23 ნოემბრიდან, ანუ იქიდან მოყოლებული, რაც ეს ხელისუფლება მოვიდა სათავეში, სასამართლო სისტემაში შექმნილი ვითარება, წინა წლებთან შედარებით, უპრეცედენტოა იმ გაგებით, რომ ე.წ. რეფორმების შემდგომი ვითარება უფრო და უფრო მძიმდება და დღეს ამ ხელისუფლების აბსოლუტურად ყველა მოსამართლე იმ ნიშნით ინიშნება, რომ უსიტყვოდ შეასრულოს მხოლოდ პროკურატურის ნებისმიერი მოთხოვნა! მეტიც, დღეს ამ მოსამართლეებს უკვე აღარც კი სჭირდებათ ზედა ეშელონებიდან დარეკვა და რაიმეს განმარტება; მათ შესანიშნავად იციან, რა მოეწონება ამ ხელისუფლებას და მოქმედებენ ისე, როგორც ამას თვითონ თვლიან საჭიროდ. საზოგადოებას კარგად ახსოვს ე. წ. სასამართლო რეფორმების წინააღმდეგ ამბოხებულ მოსამართლეთა ჯგუფი, რომლებსაც კოტე კუბლაშვილი მკაცრად სთხოვდა, თვალი დაეხუჭათ გარკვეულ მტკიცებულებებსა და ბრალდებებზე, უსიტყვოდ შეესრულებინათ პროკურატურის ნებისმიერი ბრძანება! როცა ამ ადამიანებმა ეს მოთხოვნები არ შეასრულეს, ისინი სამსახურებიდან გაათავისუფლეს, მათ ადგილებზე კი ის 28-30 წლის ახალგაზრდები დანიშნეს, რომლებიც მანამდე თანაშემწეები ან, უბრალოდ, პრაქტიკანტები იყვნენ. არადა, მათ ეს ადგილები და მოსამართლის მანტია არც გამოცდილების, არც კვალიფიკაციის და არც პროფესიონალიზმის გამო არ ეკუთვნოდათ, სა-

მაგიეროდ, კარგად იციან, რომ მოსამართლის მანტია, კომფორტული პირობები — მანქანები, აგარაკები, 2500 ლარიდან 8 ათას ლარამდე ხელფასი და ასე შემდეგ — უსიტყვო მორჩილებისათვის უბოძეს! არადა, უცხოეთში ქვეყნის ხელისუფალნი მოსამართლეებს როცა მაღალ ხელფასებს აძლევენ და კომფორტულ პირობებში აცხოვრებენ, პირდაპირ მოუწოდებენ: **აი, თქვენ ყველა სიკეთე, ოღონდაც ემსახურეთ სიმართლეს და კანონის უზენაესობას!** ჩვენთან პირიქითაა — აძლევენ ყველაფერს, თან ეუბნებიან: **ეს ყველაფერი შეგინარჩუნდებათ, თუკი იქნებით მორჩილები!** აქედან გამომდინარე, დღეს სამართლიან სასამართლოზე და იმაზე ლაპარაკი, რომ მოქალაქეს რაიმე ფორმით შეუძლია, გამარჯვება მოიპოვოს ხელისუფლებაზე, გა-მო-რი-ცხუ-ლია!!! მეტსაც გეტყვით: მოსამართლეებმაც მშვენივრად იციან, რომ, ვთქვათ, ნარკოტიკი „ჩადებულია“ ხოლმე და ამის მტკიცებულებებიც არსებობს, მაგრამ შეუძლებელია, მოსამართლემ დაცვის მხარის მოთხოვნები გაითვალისწინოს და ხელისუფლების ინტერესი მიჩქმალოს! ამის დასტურად მე ერთ მაგალითს მოვიყვან: დღეს დაპატიმრებულ კობა კობალაძეს, რომელსაც ბრალად ედება სახელმწიფო გადატრიალების დაგეგმვაში მონაწილეობა, „უმტკიცებენ“, რომ იგი თითქოს იყო მცხეთაში, რესტორან „არაგვში“ ვინმე გია ღვალაძესა და სხვა პირებთან ერთად და გადატრიალების შესახებ ისაუბრეს. გია ღვალაძის გარდა ამას არავინ ადასტურებს, რადგან დასახელებულ პირებს შევხვდით და ვესაუბრეთ, მეტიც, რესტორნის მომსახურე პერსონალიც გამოვკითხეთ. ჩვენ მიერ მოპოვებული უტყუარი მტკიცებულებებიდან ჩანს, რომ კობა კობალაძე იმ დროს საერთოდ არ იმყოფებოდა თბილისში და ამის ალიბიც არსებობს! ამის შემდეგ გამოძიებამ ათქმევინა ცრუ მოწმე ღვალაძეს, რომ კობა კობალაძესთან შეხვედრა 25-26-27 მარტს შორის პერიოდში კი არა, აპრილში შედგა, ოღონდ არ ახსოვს, რომელ აპრილს... ეს ყველაფერი იქით მიდის, რომ ცრუ მოწმე ღვალაძის ჩვენებას ხელისუფლების მორჩილი მოსამართლე ხვალ და ზეგ მტკიცებულებად მიიჩნევს დაცვის მხარის მიერ მოპოვებულ უტყუარ მტკიცებულებათა და ალიბის სანაცვლოდ, რითაც კიდევ ერთხელ პირნათლად შეასრულებს ხელისუფლების დაკვეთას და ამ გზით საკუთარი პრივილეგიების შენარჩუნებასაც შეძლებს! ხელისუფლება და სასამართლო ასე იმიტომ მოქმედებენ, რომ საზოგადოება ჰყავდეთ მუდმივად დაშინებული! სრულიად ამაზრზენია ისიც, რომ მათ მიერ დაპატიმრებულ, ხოლო შემდეგ განთავისუფლებულ პირებზე ისევ შიშისა და ძალდატანების პრინციპით მოქმედებენ, ანუ მათ თავისუფლების სანაცვლოდ 500-600 საარჩევნო ხმის „მოგროვებას“ აიძულებდნენ. ყველას კარგად გვახსოვს საარჩევნო უბნებთან „მოძველბიჭო“, ნარკომანი პირები, რომლებიც ცდილობდნენ, თავიანთ უბნელებზე გავლენა მოეხდინათ და ამით „ძმებს“, ანუ ხელისუფლებას „დახმარებოდნენ“.

— **ეგ ყველაფერი მართლაც ახსოვს საზოგადოებას, მაგრამ საპყრობილეებში ხომ იმ კატეგორიის პატიმრებიც არიან, რომლებიც არათუ ეხმარებიან, პირიქით — თავიანთი სტატუსით დიდ დისკომფორტსაც უქმნიან ამ ხელისუფლებას. მათ რაოდენობასაც თუ გავითვალისწინებთ, „დემოკრატიის შუქურად“ მონათლული სააკაშვილის რეჟიმს**

**დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ, ვგულისხმობ პოლიტიკური ნიშნით დაკავებულთა რაოდენობას...**

— პოლიტპატიმრის საერთაშორისო დეფინიცია „ემნისტ ინტერნეიშნლის“ მიხედვით ადრე ასეთი იყო: პოლიტიკური არის ყველა ის, ვინც პოლიტიკური მოტივებით არის დაპატიმრებული ან, თუნდაც, პოლიტიკური მოტივებით აქვს ჩადენილი დანაშაულიც კი! ეს ორგანიზაცია სინდისის პატიმრების დეფინიციასაც განსაზღვრავდა და ამბობდა, რომ სინდისის პატიმარი მხოლოდ თავისი რწმენის გამოა დაპატიმრებული, მხოლოდ თავისი სიტყვის გამო და არანაირ სხვა კონკრეტულ დანაშაულთან არ აქვს შეხება! როდესაც ირაკლი ბათიაშვილი ციხეში იჯდა და ჩემი დაცვის ქვეშ იმყოფებოდა, მე „ემნისტ ინტერნეიშნლთან“ აქტიურ მიმოწერას ვაწარმოებდი, მაგრამ ბოლოს მათ მაინც ვერ გარისკეს ღიად იმის თქმა, რომ ბათიაშვილი პოლიტპატიმარი იყო და ეს ასე ახსნეს: „ემნისტ ინტერნეიშნლს“ დღესდღეობით აღარ აქვს პრიორიტეტად პოლიტპატიმრების სტატუსი და მათი მუშაობა უფრო ფართო ინტერესებით და ფართო სპექტრით შემოიფარგლება. მაგალითად: სოციალური საკითხები, ნარკოტიკები, ბავშვთა, ქალთა უფლებები და ა.შ. აქედან გამომდინარე კი, პოლიტპატიმართა თემა მათ საქმიანობაში ერთ-ერთ მთავარ თემად კი არ განიხილება, არამედ ერთ-ერთ თემად და ამჟამად ამ დეფინიციაზე მუშაობა შეჩერებულია! მაგრამ არსებობს არანაკლებ პრესტიჟული საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლის ცენტრი პარიზში მდებარეობს და რომლის წარმომადგენლებიც თებერვალში საქართველოშიც იყვნენ ჩამოსულები. მათ აქ საფუძვლიანად შეისწავლეს კონკრეტულ პოლიტპატიმართა საქმეები, 8 საქმე წაიღეს კიდეც...

— **თუ საიდუმლო არ არის, ვისი „საქმეები“ წაიღეს?**

— მაია თოფურიას, თემურ ჟორჟოლიანის, რამაზ სამნიძის, კახა ქანთარიას, გურამ პაპუკაშვილის, ზაზა დავითაიას, გიორგი მეტრეველის, გიორგი ახობაძის, ვახტანგ ტალახაძის, რევაზ ბულიას და კოკა კვინიკაძის, ნორა კვიციანის, დემურ ანთიას, მერაბ რატიშვილის, შალვა რამიშვილისა და ჯიქიას საქმეები. 6 თვის განმავლობაში მათი საფუძვლიანი შესწავლის შემდეგ ამ საერთაშორისო ორგანიზაციამ სულ რამდენიმე დღის წინათ ისინი პოლიტპატიმრებად აღიარა. მეტიც, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ბოლო მოხსენებაში უკვე ფიგურირებს ზემოთ ჩამოთვლილ პატიმართა გვარები! თუმცა ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ სხვები, ვინც პოლიტიკური ნიშნით არის დაკავებული, მათი ყურადღების მიღმა დარჩნენ; უბრალოდ, ამ ეტაპზე ეს 8 საქმეა შესწავლილი და შესაბამისი დასკვნაც 2-3 დღის წინათ გამოქვეყნდა!

— **კეთილი, მაგრამ ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ ამ დასკვნის შემდეგ ისინი პატიმრობიდან გათავისუფლდებიან?**

— ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ამ საერთაშორისო ორგანიზაციამ აზერბაიჯანის 350 პოლიტპატიმრის საქმეებიც შეისწავლა; შემდეგ თხოვნით მიმართა ევროპის საბჭოს და სპეციალური მომხსენებელიც კი დაანიშვნინა. ყველაზე მთავარი კი მაინც ის არის, რომ ამის შემდეგ აზერბაიჯანში თითქმის ყველა პოლიტპატიმარი გაათავისუფლეს. დღეს ამ სა-

ერთაშორისო ორგანიზაციას დღის წესრიგში აქვს ევროსაბჭოში ასეთივე სპეციალური მომხსენებლის დანიშვნის საკითხი და ითხოვენ, საქართველოს ხელისუფლებამ ამ მომხსენებელს თითოეული პოლიტპატიმრის საქმის დამოუკიდებლად შესწავლის საშუალება მისცეს.

**— რამდენად მოსალოდნელია, რომ ევროსაბჭოს სპეციალურ მომხსენებელს ჩვენთან ამის საშუალებას მისცემენ?**

— ეს მოსალოდნელია, რადგანაც მათი მიზანი სწორედ ესაა! ჩვენ იმედიანად ველით, რომ საქართველოშიც ასე მოხდება და, ბოლოს და ბოლოს, საქართველოს ხელისუფლება პოლიტპატიმრების გათავისუფლებას დათანხმდება! საერთოდ, როდესაც არადემოკრატიული მმართველობაა ქვეყანაში, იქ პოლიტიკური ნიშნით დაკავებული ადამიანების სამართლებრივი დეფინიცია კანონში არ არის განსაზღვრული. ამის ნათელი მაგალითია საბჭოთა პერიოდის რეჟიმი, როდესაც წმინდა პოლიტიკური მოსაზრებებით დაპატიმრებულებს ასამართლებდნენ, თუნდაც, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისთვის, ხულიგნობისთვის და ა.შ. მერაბ კოსტავას, როდესაც იგი ციმბირში იყო და ხულიგნობისთვის 3-წლიან სასჯელს იხდიდა, 5 წელი იმიტომ დაუმატეს, რომ ვიღაც მიგზავნილმა ქალმა ტანზე ტანსაცმელი შემოიხია და იძახდა — ეს კაცი გაუპატიურებას მიპირებდაო. ასე რომ, ეს ძველი, საბჭოთა მეთოდებია, როცა არასასურველ ადამიანებს პროვოკაციას უწყობდნენ და ასამართლებდნენ! დღესაც ანალოგიური ვითარებაა, არასასურველი ადამიანების მიმართ აქტიურად იყენებენ იარაღს და ნარკოტიკს (ჩასადებად)! ამ ბოლო დროს კი, ასევე, აქტიურად დაიწყეს „პოლიციელისთვის წინააღმდეგობის გაწევის“ მუხლით გასამართლებები, სადაც მოწმეებად ისევ 3-4-5 პოლიციელი მოჰყავთ, რომლებიც „უდასტურებენ“ სასამართლოს: „კი, წინააღმდეგობა გაგვიწია“ და მორჩა, უკვე „დამტკიცებული“ აქვთ ყველაფერი! მიუხედავად იმისა, რომ დღეს საქართველოში უკვე 20000 პატიმარზე მეტია, ხელისუფლება საზოგადოების დაშინების მიზნით ყოველდღიურად ზრდის მათ რიცხვს. ქვეყანაში ასი ათასი ადამიანიდან 100-150 პატიმარი დასაშვებ ნორმად ითვლება; ევროპის ქვეყნებში უფრო ნაკლები — 50-60 პატიმარი, მაგრამ საშუალო საერთაშორისო ნორმად მაინც 100 პატიმარია აღიარებული. ადრე ჩვენთანაც ასე იყო — 100-120 პატიმარი მოდიოდა 100000 კაცზე, მაგრამ ამ ხელისუფლების ხელში უკვე ეს რიცხვი 400-ს მიუახლოვდა. ეს კატასტროფის ტოლფასია! მე უფრო მეტსაც გეტყვით: დღეს პროცენტულად ლიდერი ქვეყნები არიან რუსეთი, ამერიკის შეერთებული შტატები და ჩინეთი, სადაც პატიმრების თანაფარდობა 600-დან 700 კაცამდეა, ხოლო ჩვენთან, ასეთ მცირერიცხოვან ქვეყანაში 400-ია. ახლა მკითხველმა განსაჯოს (მოსახლეობის რაოდენობიდან გამომდინარე), რასთან გვაქვს საქმე!

**— თქვენ, როგორც ადვოკატს, ინტენსიურად გიხდებათ საპყრობილეებში შესვლა და, იქნებ, იმაზეც გვესაუბროთ, რამდენად დაცულია პატიმართა ღირსების, ჰიგიენის, მკურნალობის და ა.შ. საკითხები და, კიდევ, რა მდგომარეობაა პატიმართა წამების კუთხით?**

— მასობრივი წამების კონკრეტული მაგალითები არ არის, მაგრამ, რო-

ცა საკანში 5 ან 10 პატიმარი ზის და, ვთქვათ, ერთმანეთთან შეკამათება მოუხდათ, თუ ზედამხედველს მოესურვება, რამდენიმე ზედამხედველთან ერთად ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე განურჩევლად სცემენ ყველას.

ეს, რა თქმა უნდა, გულისხმობს წამებას, მაგრამ არსებობს წამების ისეთი ფორმებიც, როგორიც პატიმრის კარცერში მოთავსებაა! მოგეხსენებათ, იქ პატიმარს არ მიეწოდება საკვები, ჰიგიენაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, არ დგას საწოლი და ა.შ. ასე რომ, ესეც წამების ერთგვარი ფორმაა!

საერთოდ, ჩვენი ხელისუფლება ფასადურ დემოკრატიას აშენებს, რომელიც მხოლოდ უცხოეთისთვის თვალის ასახვევად სჭირდება, პატიმრების მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით კი არაფერი კეთდება! ახლა პატიმრების ვითომ შვებულებაში გაშვების კანონი რომ მიიღეს, იმაზე ვისაუბროთ: რეალურად თუკი ჩავუღრმავდებით ამ საკითხს, ირკვევა, რომ ეს თითქმის გამორიცხულია და მოგახსენებთ, რატომ: შვებულებით, ამ კანონის მიხედვით, თურმე მხოლოდ ის პატიმრები ისარგებლებენ, რომლებსაც სასჯელის გარკვეული ნაწილი უკვე მოხდილი აქვთ. კანონით, ისინი ვადამდე პირობით გათავისუფლებას იმსახურებენ, ამდენად, გაუგებარია, რა შუაშია შვებულება? ანუ „შაშკინის შარაშკინა კანტორაც“, ისევე, როგორც ეს ხელისუფლება მთლიანად, წმინდა ფასადური ცვლილებებითაა დაკავებული და კვლავაც ჩვენი საზოგადოების და მსოფლიოს „თვალებში ნაცრის შეყრის“ პოლიტიკას განაგრძობს! სრულიად წარმოუდგენელია ე. წ. საპროცესო გარიგების ინსტიტუტიც, რადგან, თუკი ზოგიერთ ქვეყანაში ასეთი პრაქტიკა დაშვებულია და მხოლოდ ჰუმანური ან სიმართლის უკეთ დადგენის მოსაზრებებით ხელმძღვანელობს, ჩვენთან იგი ბიუჯეტის შევსების წყაროდ არის ქცეული, რაც ჯარიმაში ისეთი კატასტროფული ციფრებით არის გამოხატული, მის გადახდას ბევრი ვერ შეძლებს, ანუ აქ საქმე გვაქვს თავისუფლების ყიდვასთან! თუ ფული გაქვს, გათავისუფლდები, თუ არა და — დარჩები ციხეში! მინდა, მკითხველმა იცოდეს, რომ გაცილებით დიდი დამნაშავეები ფულის გადახდის შემთხვევაში თავისუფლდებიან, ხოლო შედარებით ნაკლები დანაშაულის ჩამდენები, რომლებმაც ვერ გადაიხადეს „დაწესებული“ თანხა, კვლავ პატიმრობაში რჩებიან! მართალია, დღეს ახალი საპატიმროების აშენებამ ერთ საწოლზე 20-25 პატიმრის არსებობა მოსპო და ახლა ყველას თავისი „ნარი“ აქვს, მაგრამ, სამაგიეროდ, პატიმრების მიმართ სიმკაცრემ და სისასტიკემ ერთი ათად მოიმატა. ბევრი პატიმარი იმასაც ამბობს, ის პირობები (ცუდი ჰიგიენა, ცუდი საკვები და ა.შ.) გვერჩივნა ამ დამამცირებელ, საკონცენტრაციო ბანაკების მსგავს სასტიკ მოპყრობასო. არადა, საერთაშორისო ნორმების მიხედვით, პატიმარს მხოლოდ გადაადგილების საშუალება უნდა ჰქონდეს შეზღუდული, თორემ ღირსების შელახვასა და წამებაზე ლაპარაკიც ზედმეტია!

**— რასაც ბრძანებთ, ეს ყველაფერი ბევრჯერ მსმენია, თუნდაც, უკვე გათავისუფლებულთაგან, მაგრამ მაინტერესებს მეც და, ალბათ, მკითხველსაც, ზოგიერთი ქვეყნის წარმომადგენლები რატომ უწოდებენ სააკაშვილსა და მის ხელისუფლებას „დემოკრატიის შუქურას“?**

— თქვენ თუ ჯო ბაიდენის სიტყვებს გულისხმობთ, მე ასე არ გამიგია ამერიკის ვიცე-პრეზიდენტის განმარტება. მან, ჩვეულებრივ, დიპლომატიაში დამკვიდრებული ტექსტით თქვა, რომ რევოლუციის მიზნები მხოლოდ მაშინ შესრულდება, თუკი გექნებათ დამოუკიდებელი სასამართლო, დაბალანსებული ხელისუფლება, თავისუფალი მედია, ქუჩიდან პარლამენტში გადმოინაცვლებს პროცესები და ა.შ., ანუ მან მინიშნებით თქვა, თქვენთან ეს ყველაფერი ჯერ კიდევ არ არსებობს და კარგი იქნება, თუ ამ ყველაფერს უზრუნველყოფთო!

მე არ მჯერა, რომ სააკაშვილის არადემოკრატიული ხელისუფლება ამას ოდესმე შეძლებს და დემოკრატიული მართვის ორიენტირს აიღებს! არც ის მჯერა, რომ ოდესმე დემოკრატიული გახდება, რადგან თავისი ბუნებით იგი მხოლოდ ფასადურ დემოკრატიას „აშენებს“ და, როგორც უნდა გაგვიკვირდეს, გარკვეულ ეტაპზე თვალებში „ნაცრის შეყრის“ პოლიტიკით ბევრს დააჯერა, რომ პოსტსაბჭოურ სივრცეში „ერთადერთი და განუმეორებელი დემოკრატიაა“!

**— ბატონო გელა, არანაკლებ საგანგაშოდ მეჩვენება საპყრობილეებში მძიმედ დაავადებული ადამიანების რიცხობრივი რაოდენობაც, რომელთა გამოჯანმრთელებაზე, არ მგონია, ვინმე ზრუნავდეს. ჭლექით, შიდსით და სხვადასხვა ავადმყოფობით დასნეულებული ადამიანები ხვალ ჩვენი საზოგადოების ინტეგრირებული წევრები როგორ გახდებიან, თუკი დღეს მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე არავინ იზრუნებს?**

— გეთანხმებით, ამ კუთხით უმძიმესი ვითარებაა! ჩვენ ვისაუბრეთ ახალაშენებულ ციხეებზე და იქ შექმნილ ასე თუ ისე უკეთეს პირობებზე, მაგრამ არ გვისაუბრია ძველ საპყრობილეებზე, სადაც კვლავ გაუსაძლისი მდგომარეობაა. მაგ.: რუსთავის მეორე ზონა 2700 კაცზეა გათვლილი, მაგრამ ამჟამად იქ 3300-3600 პატიმარია! მორიგეობით ძილს რომ თავი დავანებოთ, შეიძლება არც კი დამიჯერონ, რომ პატიმრებს უკვე ციხის ეზოში გაშლილ კარვებშიც კი სძინავთ! ზაფხულში ეს თითქოს კარგიცაა, მაგრამ წარმოგიდგენიათ, ზამთარში რა მდგომარეობაში აღმოჩნდებიან? იგივე მდგომარეობაა ქსნის, რუსთავის პირველ საპატიმროებშიც და სხვაგანაც, სადაც მიღებაზე უარს ვერ ამბობენ და ასე თევზებივით „ერთმანეთზე დალაგებული“ პატიმრების ზედამხედველობა უწევთ. უჰაერობა, ნესტი, სიბინძურე და ა.შ. რა თქმა უნდა, პატიმრის ჯანმრთელობაზე აისახება და ამიტომაცაა უამრავი პატიმარი ჭლექითა და გულის უკმარისობის დაავადებებით დასნეულებული! „რეზბალნიცა“, მართალია, შედარებით ახალი აპარატურითაა აღჭურვილი და საერთო მდგომარეობაც რაღაც სტანდარტებს პასუხობს, მაგრამ პატიმართა დიდი კონტინგენტის იქ მოთავსება წარმოუდგენელია ადგილების სიმცირის გამო. არის შემთხვევები, როცა პატიმარი ექვემდებარება იქ გადაყვანას, მაგრამ ადგილის უქონლობის გამო პატიმრები საკნებში იღუპებიან!

შარშან სიკვდილიანობამ ას კაცს მიაღწია. ბოლო წლების სტატისტიკის მიხედვით, 90-იანი წლების შემდეგ ასეთი მაჩვენებელი საქართველოში საერთოდ არ ყოფილა!

მარტში ტუბერკულოზის უმძიმესი ფორმით გარდაიცვალა 17-18 წლის პატიმარი ნიკო მახარაძე, რომლის ადვოკატ ზაზა ხატიაშვილს სტრასბურგში ჰქონდა გასაჩივრებული მისი სასწრაფოდ ქალაქის საავადმყოფოში გადაყვანის საკითხი. იმის მიუხედავად, რომ სტრასბურგის მიერ სასწრაფოდ დაკმაყოფილდა კიდეც, ნიკო მახარაძე არსადაც არ გადაიყვანეს და ციხეში გარდაიცვალა! ასეთი შემთხვევა, სამწუხაროდ, ძალიან ბევრია და ფატალური შემთხვევებიც ამის გამოა მომრავლებული! ნებისმიერ პატიმარს დღეში ერთხელ ერთი საათით სასეირნოდ გაყვანა ეკუთვნის, მაგრამ ჩვენს ციხეებში კვირაში ერთხელ ხდება გასეირნება და ისიც 15-20 წუთით!

**— ბატონო გელა, პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული ადამიანების რიცხვი დღითიდღე კატასტროფულად იზრდება, მაგრამ ხომ არსებობენ ისეთი პატიმრები, რომლებიც თავის დროზე მავანთა პოლიტიკური გადაწყვეტილებით მოხვდნენ ციხეებში და მათი საქმეები გადასინჯვას (რატომღაც) აღარ ექვემდებარება?**

— დიახ, არსებობს ასეთი შემთხვევები... ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი ერთ-ერთი პატიმარი, ფოთის კრიმინალური პოლიციის ყოფილი უფროსის — მარლენ სმაგინის საქმე, რომლის დროსაც ქურდობის ფაქტზე დააკავეს მოქალაქე თემურ მიქია, რომელმაც აღიარების შემდეგ გაქცევა სცადა, რკინის გისოსს დაეცა და გარდაიცვალა, თუმცა გარდაცვალებამდე იქ ნახა მამაც და სხვა პირებიც, იყვნენ მოწმეებიც, რომლებიც ადასტურებდნენ, რომ პატიმარი არავის გადმოუგდია, რომ მარლენ სმაგინი შემთხვევის ადგილზე საერთოდ არ იმყოფებოდა და ა.შ., მაგრამ დღევანდელმა ხელისუფლებამ სხვა პოლიციელებთან ერთად გულგრილობისთვის მაინც გაასამართლა, მაგრამ, როდესაც მარლენ სმაგინმა მისჯილი 3 წელი მოიხადა, მას გათავისუფლებამდე 2-3 დღით ადრე ახალი ბრალდება წაუყენეს: თითქოს მან გააკეთა ორგანიზება დაპატიმრებულის საწამებლად თუ რაღაც ამგვარი. ქართული სასამართლოს არსებობის ისტორიაში მარლენ სმაგინის საქმე უპრეცედენტო კურიოზია. იგი ხელმეორედ გაასამართლეს იმავე საქმეზე და 13 წელი მიუსაჯეს!

**— სმაგინის საქმეში ჩახედული ადამიანები — ელენე თევდორაძე, თინათინ ხიდაშელი, ნაზი არონია, ახალგაზრდა იურისტები და ა.შ., აცხადებენ, რომ მათთვისაც წარმოუდგენელი იყო მეორე სასჯელი, მაგრამ საქმეში უფრო ღრმად ჩახედულნი სმაგინის ხანგრძლივი პატიმრობის მიზეზებს ხელისუფლების უმაღლეს იერარქიებში უფრო ხედავენ...**

— თქვენ გახსოვთ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გამართული სხდომა, სადაც მოსამართლემ, უბრალოდ, მოისმინა დაცვის მხარის მტკიცებულებები, მაგრამ არც ერთი ჩვენ მიერ წაყენებული შუამდგომლობა არ გაითვალისწინა. გახსოვთ ისიც, ტელეფონით როგორ ესაუბრებოდნენ ვიღაცებს, გახსოვთ, რომ უცხოელებიც აღშფოთდნენ ამ ფაქტის გამო, მაგრამ ისიც ხომ ნახეთ, რომ მაინც ვიღაცის დაკვეთა შეასრულეს და 65 წლის ადამიანი კიდევ 13 წლით გამოკეტეს ციხეში?

**— დღეს პოლიტიკური ნიშნით დაკავებულების რიცხვი რამდენია?**

— „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქციას მივაწვდით ამ სიას და, თუ საშუალება გექნებათ, გამოაქვეყნეთ!

**— ჯო ბაიდენს ლევან გაჩეჩილაძემ პოლიტპატიმართა რამდენკაციანი სია გადასცა, თუ იცით?**

— მე მგონი, 28-კაციანი სია იყო, თუმცა შეიძლება მან იქ ჩაამატა სხვა პიროვნებებიც, რომლებიც 9 აპრილის აქციების შემდეგ დააპატიმრეს... მე ლევანთან არ მაქვს ისეთი ახლო ურთიერთობა, რომ მეკითხა, რა სიის გადაცემას აპირებდა ამერიკის ვიცე-პრეზიდენტისთვის... საერთოდ კი, ჩვენს და რამდენიმე პოლიტიკური პარტიის ინტერნეტსაიტებზე პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულთა 160-კაციანი სია გამოვაქვეყნეთ!

***ესაუბრა ირინე გოგოსაშვილი***
***გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“***

**P.S.** შესაძლოა, ჩვენი ოპერის მომღერლების არიებისა თუ ამერიკის ჰიმნის უბადლო შესრულებით იყო გაბრუებული და კმაყოფილი ამერიკის ვიცე-პრეზიდენტი ჯო ბაიდენი, როცა ქართული დემოკრატიისა და „ვარდისებრი რევოლუციის“ გაგრძელება-დამთავრებაზე აგრერიგად რიხით საუბრობდა ქართულ პარლამენტში! რა თქმა უნდა, ახალი „რაიხსტაგიდანაც“ არ ჩანდა საქართველოში პატიმართა რაოდენობა, მათი გაუსაძლისი პირობები, ჯანმრთელობის მდგომარეობა და, საერთოდ, ამ სისტემაში შექმნილი მდგომარეობა, მაგრამ დავიჯეროთ, ბატონმა ბაიდენმა ეს ყველაფერი ყურმოკვრით მაინც არ იცოდა? ან პირიმზისა ეკა ზღულაძეს პირისპირ როცა ეჯდა, ნუთუ ერთხელ მაინც არ იკითხა, სინამდვილეში რა ხდებოდა ეკასა და ვანოს ჯურღმულებში? ნუთუ არც ის იცოდა, საა-კაშვილისეული დემოკრატია როგორი საშიში და სახიფათოა მსოფლიოსათვის და, თანაც, მაშინ, როცა ეს ხელისუფალი „თავის მატორზე ვერ არის“? საინტერესოა ისიც, ამერიკელი და ევროპელი ხალხები ასეთ მმართველს როგორ ეკონტაქტებოდნენ და ძალიან მალე როგორ პოლიტიკურ ვერდიქტს გამოუტანდნენ.

## 2009 წლის 17 ივლისის მონაცემებით, საქართველოში პოლიტპატიმრების და პოლიტიკური ნიშნით დევნილების ნაწილობრივი სია

1. ვახანია ვლადიმერ; 2. ნარსია ვახტანგ; 3. ავალიანი ზურაბ; 4. გოგრაჭაძე დავით; 5. კობალაძე კობა; 6. ობოლაძე ბესიკ; 7. აბულაძე გიორგი; 8. კამკამიძე ტარიელ; 9. კაპანაძე კონსტანტინე; 10. ლოლიაშვილი ლევან; 11. კაპანაძე დავით; 12. მალიძე ნიკოლოზ; 13. გოგინაშვილი შალვა; 14. წიკლაური გოჩა; 15. ოვაშვილი დავით; 16. შუბითიძე დავით; 17. წერეთელი მამუკა; 18. ტაბატაძე კახა; 19. ქედელიძე ნოდარ; 20. ცინცაძე მამუკა; 21. ჩხაიძე დავით; 22. მიქელაძე დაზმირ; 23. გრძელიშვილი ვალერიან; 24. გუდაძე ზაალ; 25. ტლაშაძე თამაზ; 26. გაბუნია მიხეილ; 27. შალიკიანი ზურაბ; 28. ქებურია იოსებ; 29. ქაშიაშვილი მამუკა; 30. კაკაშვილი რომან; 31. ცომაია მერაბ; 32. შარაშენიძე ავთანდილ; 33. გოგატიშვილი ნუგზარ; 34. თედორაძე გოჩა; 35. რამიშვილი ლევან; 36. ჯობავა ედიშერ; 37. ყაველაშვილი ოთარ; 38. ჩხვიმიანი მამუკა; 39. ალხაზიშვილი გიორგი; 40. პავლიაშვილი რამაზ; 41. ჩხარტიშვილი თორნიკე; 42. შენგელია მამუკა; 43. კობერიძე მიხეილ; 44. მაისაია ვახტანგ; 45. ბიბილეიშვილი ნიკოლოზ; 46. მიქაძე ზურაბ; 47. მურჯიკნელი ზაზა; 48. ხუცურაული ვაჟა; 49. თოფურიძე ირაკლი; 50. გრიგალაშვილი ბექა; 51. ოთანაძე კობა; 52. ამირიძე ლევან; 53. მელიქიძე თეიმურაზ; 54. ბატკუაშვილი ირაკლი; 55. კობაიძე კახა; 57. ოთანაძე ნუგზარ; 58. ოთანაძე ჯიმშერ; 59. ოთანაძე გიორგი; 60. დარიძე გულიკო; 61. ქვარაია მერაბ; 62. რამიშვილი შალვა; 63. რამაზაშვილი ლუკა; 64. ქადაგიშვილი ამირან; 65. კვიციანი ნორა; 66. თოფურია მაია; 67. ტალახაძე ვახტანგ; 68. ჟორჟოლიანი თეიმურაზ; 69. დავითაია ზაზა; 70. ბულია რევაზ; 71. მეტრეველი გიორგი; 72. ქანთარია კახაბერ; 73. კვინიკაძე იაკობ (კოკა); 74. სამნიძე რამაზ; 75. ახობაძე გიორგი; 77. გალდავა ვარლამ; 78. ჯიქია ჯონი; 79. ამირანაშვილი გიორგი; 80. რატიშვილი მერაბ; 81. ნადირაძე მარლენ; 82. წურწუმია ილია; 83. კლდიაშვილი რევაზ; 84. ანთია დემურ; 85. დავითაძე ბეჟან; 86. წურიაშვილი სიმონ; 87. ბაკურია ცოტნე; 88. ქადაგიშვილი გიორგი; 89. არჩუაძე გენადი (გელა); 90. გიორგობიანი ბიძინა; 91.ხალვაში ქიბარ; 92. ქარელი მიხეილ; 93. ოქრუაშვილი ირაკლი; 94. ჩიხლაძე იასონ; 95. ნასყიდაშვილი გელა; 96. ხალვაში ნიაზ; 97. გელბახიანი ვალერი; 98. შალიკიანი ბონდო; 99. ქადაგიშვილი არჩილ; 100. ქადაგიშვილი ნანა; 101. მილორავა რატი; 102. ბენიძე არჩილ; 103. კვეზერელი ნიკა; 104. ონიანი გიორგი; 105. რევაზიშვილი რევაზ; 106. ვაჩნაძე მელორ; 107. ბრეგვაძე ზაზა; 108. ხიჯაკაძე როინ; 109. ქათამაძე მერაბ; 110. ჯანდიერი იოსებ; 111. ტატიშვილი დავით; 112. ქუცნაშვილი ომარ; 113. გოგიჩაიშვილი ლევან.

# სტრასბურგი გირგვლიანის საქმეს განიხილავს, სააკაშვილმა კი სანდროს მკვლელები შეიწყალა

**სანდრო გირგვლიანის სადისტური მკვლელობისთვის გასამართლებული ალანია, ბიბილურიძე, ღაჭავა და აფციაური პრეზიდენტმა შეიწყალა და სასჯელი გაუნახევრა, შემდეგ ხელისუფლებამ „იმსჯელა“ და ამ ადამიანებს თავისუფლებაც მიანიჭა. მართალია, მათ არა მარტო სანდროს სისხლში გაისვარეს ხელი, არამედ ირინა, ჯიმშერ, ლია და ეთერ ენუქიძეებიც შეიწირეს, მაგრამ, როგორც ჩანს, ხელისუფლებისადმი მონური მორჩილება და ბინძური საქმეების შესრულება ამ ქვეყანაში გაცილებით მეტად ფასობს, ვიდრე კანონის უზენაესობა! სხვაგვარად როგორ შეიძლება აიხსნას იმ ადამიანების სამ წელიწადში გათავისუფლება, რომლებმაც გირგვლიანების ოჯახი ამოწყვიტეს?! მართალია, საქართველოში გირგვლიანებმა სიმართლე ვერ დაამტკიცეს და, ალბათ, ამის ილუზია არც ჰქონდათ, მაგრამ აქ ყველა ინსტანცია უნდა გაევლოთ იმისათვის, რომ საქმე ევროპის სასამართლოში გაეგზავნათ. როგორც ცნობილი გახდა, სტრასბურგის სასამართლო უახლოეს დღეებში აცნობებს მხარეებს, როდის დაინიშნება გირგვლიანის საქმის სასამართლო განხილვა სტრასბურგში. ამ საკითხებზე „საქართველო და მსოფლიო“ გირგვლიანების ოჯახის ადვოკატს, შალვა შავგულიძეს ესაუბრა.**

— ფაქტობრივად, ევროპულმა სასამართლომ დაასრულა მხარეებთან მიმოწერა გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებით. უნდა აღინიშნოს, რომ ევროპულმა სასამართლომ ეს კომუნიკაცია ამომწურავად განახორციელა. რამდენჯერმე გადმოგვეგზავნა მთავრობის პოზიცია კომენტირებისთვის და, ასევე, ჩვენი პოზიცია გაეგზავნა მთავრობას. ახლახან მივიღეთ წერილი ევროპული სასამართლოდან, რომლითაც გვატყობინებენ, რომ უახლოეს დღეებში გვეცნობება განხილვის თარიღი. ასევე, გადაწყდება ზეპირ განხილვასთან დაკავშირებული საკითხი. დაახლოებით თვენახევრის წინათ სტრასბურგის სასამართლომ მხარეებს კითხვით მოგვმართა, გვსურდა თუ არა ზეპირი მოსმენით ამ საქმის განხილვა. ცხადია, მივწერეთ, რომ ჩვენთვის მისასალმებელია ცოცხალი სასამართლო პროცესის ჩატარება. შემდეგ ეს დაიდება ევროპული სასამართლოს საიტზე და საზოგადოებას საშუალება ექნება, იხილოს ამ საქმის განხილვა, თუმცა ჯერჯერობით ჩვენთვის ცნობილი არ არის, რას გადაწყვეტს ევროპის სასამართლო ზეპირ მოსმენასთან დაკავშირებით. რაც შეეხება თარიღს, უახლოეს მომავალში ამასაც გვაცნობებენ.

**— როგორ გგონიათ, რას გადაწყვეტს ევროპული სასამართლო?**

— ჩვენ ვითხოვთ, ევროპულმა სასამართლომ ცნოს მომჩივანის მიმართ საქართველოს სახელმწიფოს მიერ ევროკონვენციის მეორე მუხლის (სი-

ცოცხლის უფლება), მესამე მუხლის (წამების აკრძალვა), მეექვსე მუხლის (სამართლიანი სასამართლოს უფლება) და მეცამეტე მუხლის (უფლება დაცვის ეფექტური ზომის შესახებ) დარღვევა. თუ ევროპის სასამართლო ცნობს ამ მუხლების დარღვევას, ეს განაპირობებს ამ საქმის ხელახალ გამოძიებას. გარდა ამისა, დავაყენეთ საკითხი მორალურ ზიანთან დაკავშირებით 300 ათასი ევროს ოდენობით. რა თქმა უნდა, პრიორიტეტულია ის, რომ როგორმე მივაღწიოთ ამ საქმის ხელახალ გამოძიებას, რადგან, ფაქტობრივად, არც წინასწარი და არც სასამართლო გამოძიება არ ჩატარებულა, ამიტომაც არ არიან მხილებულნი მკვლელობის შემკვეთები. დანაშაულში მხილებულ პირთა მოქმედებას კი არასწორი კვალიფიკაცია მიეცა და, ნაცვლად განზრახ მკვლელობისა, რაც დამამძიმებელ გარემოებებში ჩაიდინეს, კვალიფიკაცია ასე განისაზღვრა: სხეულის დაზიანება, რასაც გაუფრთხილებლობით სიკვდილი მოჰყვა. არადა, პირთა ჯგუფმა განსაკუთრებული სისასტიკით მოკლეს ადამიანი, თუნდაც იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ სიცოცხლისათვის საშიშ ზონაში, კერძოდ, კისრის არეში, სანდრო გირგვლიანს მიყენებული აქვს 11 ჭრილობა. ეს ჭრილობები შეფასებულია როგორც მძიმე დაზიანება და სიცოცხლისთვის სახიფათო, რასაც უშუალოდ მოჰყვა სიკვდილი. აქ განზრახ მკვლელობის გარდა სხვა კვალიფიკაცია სამარცხვინოა, თუმცა, სამწუხაროდ, ასეთი წარმოუდგენელი გადაწყვეტილება მიიღო ქართულმა სასამართლომ და, თანაც, — სამივე ინსტანციამ. მოგეხსენებათ, ასეთი ალოგიკური გაგრძელება იყო პრეზიდენტის გადაწყვეტილება გირგვლიანის მკვლელების შეწყალების შესახებ და ვადამდე მათი გათავისუფლება.

**— როგორც ვიცით, ევროპის სასამართლომ საკმაოდ „უხერხული“ კითხვები დაუსვა ხელისუფლების წარმომადგენლებს. იქნებ, გვითხრათ რამდენიმე მათგანის შესახებ?**

— მოგეხსენებათ, ევროპის სასამართლომ საკმაოდ დიდი ინტერესი გამოიჩინა ამ საქმისადმი. საზოგადოებას კარგად უნდა ახსოვდეს, რომ სამივე ინსტანციის სასამართლოში ჩვენ ვითხოვდით, საქმეზე დართული ნივთიერი მტკიცებულებების გაცნობის შესაძლებლობა მოგვცემოდა. სატელეფონო საუბრების ამონაწერის და სხვა მტკიცებულებების გაცნობას რომ ვითხოვდით, ეს სხვა საკითხია, რადგან საქმეზე გამოძიების მიერ დართული მტკიცებულებებიც კი არ გაგვაცნეს. ძირითადად, ეს იყო ვიდეომასალა, რომელიც სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებით ამოიღეს. მტკიცებულებების ნაწილში იყო ამოცნობების ვიდეომასალაც; რამდენად ობიექტურად განხორციელდა ეს ამოცნობები, მათ შორის, ბუხაიძის მიერ მელნიკოვის ამოცნობა (პირველად ამოცნობაზეა საუბარი). საქმეზე მტკიცებულების სახით დართულია აწგარდაცვლილ ბადრი პატარკაციშვილის საცხოვრებელ სახლზე დამონტაჟებული ვიდეოთვალით გადაღებული მასალა, რომელიც აფიქსირებდა ავტომანქანების გადაადგილებას ოქროყანის გზაზე. საქმეში კი გაშიფრულია მხოლოდ ერთსაათიანი მონაკვეთი — ღამის ორი საათიდან სამ საათამდე, ანუ ის მონაკვეთი, როდესაც ხსენებულმა „ემელის“ ჯიპმა გაიარა, რომელშიც ისხდნენ უკვე გატაცებული გირგვლიანი და ბუხაიძე. ჩვენ ვაყენებდით საკითხს, რომ ვიდე-

ოთვალს დაფიქსირებული აქვს მთელი ღამის მანძილზე ავტომობილების გადაადგილება. სწორედ ამ მასალის გაცნობას ვითხოვდით სრულად. კიდევ ვიმეორებ, ეს მასალა საქმეს სრულად ერთვის.

მსგავსი პრეცედენტი ქართულ მართლმსაჯულებაში არ გამიგია, — ისე დასრულდა სამივე სასამართლო ინსტანცია, რომ მხარეს საქმეზე დართული მტკიცებულებები არ გააცნეს. ევროპულმა სასამართლომ მოსთხოვა ქართულ მხარეს, რომ მათთვის გადაეგზავნათ ეს თოთხმეტი მტკიცებულება, რომელთაც უშედეგოდ ითხოვდა დაზარალებული მხარე სამივე სასამართლო ინსტანციაში და უნდა გითხრათ, რომ ევროპულ სასამართლოსაც არ გადაუგზავნეს. ეს უკვე გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ იმ მტკიცებულებებით ნათელი გახდებოდა სხვა პირთა მონაწილეობა ამ დანაშაულში და სხვა საგამოძიებო და სასამართლო ინსტანციების მიერ ჩადენილი მრავალი უკანონობა.

საქართველოს მთავრობამ ამჯობინა, მიიღოს ის მწვავე შეფასება, რასაც სტრასბურგის სასამართლო გამოიტანს, ვიდრე გაეგზავნათ ის მტკიცებულებები, რაც შემკვეთებს ამხელდა და სხვა მონაწილე პირებს გამოააშკარავებდა.

ასეთ რეჟიმში მიმდინარეობდა ევროსასამართლოში მოსამზადებელი პერიოდი. წარმოიდგინეთ, ევროპულმა სასამართლომ მოითხოვა საქმეზე დართული კონკრეტული მტკიცებულებები და მასაც კი არ გაუგზავნეს მასალები.

**— თუ სტრასბურგში საქმის ზეპირი მოსმენა ჩატარდა, დაზარალებულ მხარეს წარმოადგენთ თქვენ, მაგრამ ხომ არ იცით, ვინ წარმოადგენს ხელისუფლებას?**

— იმ შემთხვევაში, თუ ზეპირი მოსმენა შედგება, მე და დავით ჯანდიერი ვიქნებით დაზარალებული მხარის წარმომადგენლები. რაც შეეხება ხელისუფლების წარმომადგენელს, ნამდვილად არ ვიცი, ვინ იქნება.

**— გირგვლიანის მკვლელების ვადამდე გათავისუფლებას როგორ შეაფასებთ?**

— რა შეფასება შეიძლება?! ეს არის ლოგიკური გაგრძელება და არა დასასრული ამ ხელისუფლების ყველა იმ ქმედებისა, რაც ამ ადამიანების მიმართ ჩაიდინეს. ამას გაგრძელება კიდევ ექნება სხვადასხვა შეღავათის და ხელშეწყობის სახით. მთელი ეს საქმე აგებული იყო უსამართლობაზე და არც ამ ადამიანების ვადამდე გათავისუფლება შერცხვებოდა ხელისუფლებას. გირგვლიანის საქმის ფაქტობრივი გარემოებების გაყალბებაში, თანამონაწილე პირთა დაფარვაში, ხოლო მხილებულ პირთა არასათანადო დასჯაში აქტიურად მონაწილეობდა ხელისუფლების ყველა შტო. საგამოძიებო ორგანოებმა სამარცხვინო გამოძიება ჩაატარეს. სუფრის ცნობილი წევრები: თაკო სალაყაია, დათა ახალაია, ვასილ სანოძე და ოლეგ მელნიკოვი არ დაისაჯნენ, ხოლო მხილებულ პირთა ქმედებას არაადეკვატურად მსუბუქი კვალიფიკაცია მიანიჭეს, რასაც სასამართლოთა არაობიექტური გადაწყვეტილებები მოჰყვა. მოსამართლეები სრულად დაეთანხმნენ წინასწარი საგამოძიებო ორგანოების პოზიციას, ანუ სასამართლო ხელისუფლებაც ჩაერთო საქმის გაყალბებაში.

უფრო მეტიც, იმ კვალიფიკაციის დანაშაულისთვისაც კი, რაც ოფიციალურად წაუყენეს ამ ადამიანებს, გათვალისწინებული იყო 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ პარლამენტმა კანონში ცვლილება შეიტანა, რის შედეგადაც ეს სასჯელიც გაუნახევრეს. ასევე, ცვლილება შეიტანეს პატიმრობის შესახებ კანონში. ჩვენ ვაყენებდით საკითხს, რომ ალანია და მისი თანამზრახველები მოთავსებული არიან ერთ საკანში, სადაც შეუზღუდავი რაოდენობის ალკოჰოლი და კიდევ სხვა საშუალებები შედიოდა. ნაცვლად იმისა, რომ ჩვენი მოთხოვნა დაეკმაყოფილებინათ, რადგან პატიმრობის შესახებ კანონი იმპერატიულად კრძალავდა ერთ საქმეზე დაკავებული ადამიანების ერთ საკანში მოთავსებას, პარლამენტმა სასწრაფოდ შეიტანა ცვლილება კანონში და დასაშვები გახადა ამგვარი პრეცედენტები, ანუ, საკანონმდებლო ხელისუფლებაც ჩაერთო ამ უკანონობაში ჯაჭვის ერთ-ერთ რგოლად. ბოლოს უსამართლობის ეს ზეიმი საქართველოს პრეზიდენტმა აღნიშნულ დამნაშავეთა შეწყალებით დაასრულა — ისედაც განახევრებული სასჯელი კიდევ გაუნახევრა და საბოლოოდ ვადამდე გათავისუფლდნენ. მოკლედ, სახელმწიფოს ყველა შტო კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე ფაქტების გაყალბებით, გარკვეულ პირთა დაფარვით, ამ დანაშაულში მონაწილეების არასათანადოდ დასჯითაა დაკავებული. ამით საზოგადოების თვალში ყველა სახელმწიფო ინსტიტუტის დისკრედიტაცია მოხდა.

***ესაუბრა* მანანა ჩხეიძე**
***გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“***

# საქართველოში სიცოცხლის უფლების ხელყოფის ფაქტებმა რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია

## იური ვაზაგაშვილი:
## მხოლოდ მაშინ გავჩუმდები, როცა ჩემი შვილივით მეც ჩამცხრილავენ

## სოსო რობაქიძე:
## ვინც უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში, უნდა იცოდეს, რომ სააკაშვილ-მერაბიშვილის ხროვა დასასჯელია და თუ ამას არ იზამს, ის მიშა მეორე იქნება

## ჯამბულ გამცემლიძე:
## უდანაშაულო შვილი არაფრის გამო მომიკლეს და ეს ვაპატიო სააკაშვილს?!

ქვეყანაში სამართლიანობისა და კანონის უზენაესობის აღდგენის მიზნით არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მიზნობრივი ჯგუფების „ერთიანი ფრონტი“ შეიქმნა. ფრონტში გაერთიანებულია საზოგადოებრივი მოძრაობა „გადაარჩინე სიცოცხლე“, არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია „ჩვენი უფლებებისთვის“, ჟურნალისტთა გაერთიანება „ობიექტივი“, ახალგაზრდული საინიციატივო ჯგუფი, ადვოკატთა დამოუკიდებელი პროფკავშირები და სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფები, რომლების წევრთა უმრავლესობას მუხროვანის ამბოხში ბრალდებულთა ოჯახის წევრები და სხვები წარმოადგენენ.

გაერთიანების ძირითადი არსი გახმაურებული მკვლელობების ობიექტურ გამოძიებასა და დამნაშავეების დასჯას წარმოადგენს. მკვლელებმა, ვინც უნდა იყოს ის, კანონის უზენაესობის წინაშე პასუხი უნდა აგონ, — ასე ფიქრობენ ერთიანი ფრონტის წარმომადგენლები. გირგვლიანის, რობაქიძის, ვაზაგაშვილის, გამცემლიძის მკვლელობებში ლომის წილი სამართალდამცველებს მიუძღვით. **ეს ის მცირედი ჩამონათვალია, რომელთა შესახებ საზოგადოებამ მეტ-ნაკლებად იცის. სამწუხაროდ, დახოცილთა რაოდენობა ამ მწირი ჩამონათვალით არ შემოიფარგლება.**

„გადაარჩინე სიცოცხლის“ წარმომადგენელთა აქტიურობით ბევრ უსამართლობას აეხადა ფარდა. როგორ წარმოუდგენლადაც უნდა მოგვეჩვე-

ზურაბ ვაზაგაშვილი

გუტა როგაძიძე

გიორგი გამცემლიძე

ნოს, სიცოცხლის უფლების ხელყოფის ფაქტებმა რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია. ჩვენს ხელთ არსებული არასრულყოფილი სიით ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენელთა მიერ სიცოცხლის მოსპობის ფაქტმა 80-ს გადააჭარბა. ყველა ეს მკვლელობა ბურუსით იყო მოცული. დაღუპულთა ოჯახები ხმის ამოღებას ვერ ბედავდნენ, მაგრამ დღეს ისინი ერთად დგანან და ცდილობენ, სამართალიც ერთიანი ძალით იპოვონ. „ჩვენ არ გავჩერდებით“, „უსამართლობის წინაშე სამართლიანად ვიბრძოლებთ“, — ამბობენ შვილმკვდარი ოჯახები.

„საქართველო და მსოფლიო“ დაღუპულთა ოჯახებსა და მათი „ერთიანი ფრონტის“ წარმომადგენლობას დაუკავშირდა. სამართალი მათთვის დღემდე სამართლიანად არ აწონილა. ფარ-ხმალს მაინც არ ყრიან და მიზნის მისაღწევად ყველა საშუალებას მიმართავენ. **მათი ცხოვრების მთავარი არსი შვილების წინაშე ვალის მოხდაა. ამიტომაც მზად არიან, სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე იბრძოლონ სიმართლის დასადგენად და შურის საძიებლად**; შურისძიება — არა პირადი ანგარიშსწორებით, არამედ — კანონის უზენაესობის აღსრულებით. **მართლმადიდებლური მორალი არ აძლევთ საშუალებას, მათი შვილების მკვლელი სიკვდილითვე დასაჯონ**.

**იური ვაზაგაშვილი** (კორტებთან ჩაცხრილული ზურაბ ვაზაგაშვილის მამა):

— დიდი ხანია, გაუბედურებულმა ოჯახებმა დავაარსეთ არასამთავრობო ორგანიზაცია „გადაარჩინე სიცოცხლე!“ ამით დარჩენილი ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე გვინდა, გადავარჩინოთ სხვისი შვილების სიცოცხლე, თორემ ჩვენსას რომ არაფერი ეშველება, ისედაც ცხადია. მშობლები ჩვენი შვილების სულების წინაშე ვალში ვართ და მჯერა, რომ, თუ ამ უსამართლობის წინაშე სამართლიანად ვიბრძოლებ, იმქვეყნად ზურას თვალებში პირნათლად ჩავხედავ. საუბედუროდ, დღეს ამასაც მისპობენ. უკვე დაიწყო ქართული ეკლესიის ღია დაპირისპირება და შეურაცხყოფა. ამით ისინი რწმენას დაუპირისპირდნენ. გაუბედურებული ოჯახები შვებას და ხსნას ეკლესიაში ვპოულობთ, იქაც კი ცდილობენ, საზოგადოებას ბზარი გაუჩინონ, ეკლესია ბინძურიაო.

გვერდით გვედგნენ და ახლაც მხარს გვიბამენ ადვოკატთა პროფკავშირები. ისინი უანგაროდ ემსახურებიან გაუბედურებულ ოჯახებს. ნელ-ნელა მოდის საზოგადოებაც. შემოგვიერთდნენ მუხროვანის ამბოხებაში ბრალდებულთა ოჯახები, პოლიტპატიმართა ოჯახები, არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია „ჩვენი უფლებებისათვის“, მოძრაობა „7 ნოემბერი“, სამხედრო ექსპერტები და ა.შ. მათ არავითარი ამბიცია არ აქვთ, გარდა ერთისა — ყველას სურს, ქვეყანაში აღდგეს სამართლიანობა. ამ უსამართლობას არ შევეგუებით! ერთი რამ ცხადია, არავითარი შანტაჟი ჩვენ არ შეგვაშინებს. პირადად ჩემს ოჯახზე მეცხრამეტე დღიდან დაიწყო ზეწოლა, ოჯახურ ბიზნესსაც კი შეეხნენ, მაგრამ მაინც ვერ გამაჩუმეს. გულწრფელად გეტყვით, რომ **ზურას შემდეგ ჩემთვის არანაირ ქონებას და სიმდიდრეს აზრი არ აქვს**. ჩვენი ოჯახისთვის ყველაფერი გაუფასურდა. მანქანა, რომელშიც შვილი ჩამიცხრილეს, ნივთმტკიცების სახით დღემდე იქ ჰყავთ, ხომ მორჩა საქმე, საინტერესოა, რატომ არ მიბრუნებენ? ჯერ ერთი, იმ საშინელებას რა შემახედებს, მაგრამ მანქანას ალტერნატიული ექსპერტიზის გამო ვითხოვ. ზურა კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებმა მომიკლეს. ერთ-ერთი მკვლელთაგანი — ოთარ მირზოევი, დააწინაურეს. შემიძლია დოკუმენტური მასალებით გაჩვენოთ, როგორ მონაწილეობდა მირზოევი სისხლიან ოპერაციაში. არაერთხელ ეცადნენ ჩემს დაშინებას, მაგრამ — ამაოდ. როგორც ჩანს, უკვე დარწმუნდნენ, რომ მხოლოდ მაშინ გავჩუმდები, როცა ჩემი შვილივით მეც ჩამცხრილავენ. სხვა მხრივ, ჩემი გაჩუმება და გაჩერება არ იქნება. ჩემ გვერდით ჩემსავით ბევრი გაუბედურებული ოჯახია. ყველა მათგანი კარდაკარ შემოვიარე, ჩავიწერე, რაც მასალები ჰქონდათ, გადავიღე. გაკეთდა ფილმი, გავაკარით პლაკატები. საზოგადოებას ვაცნობეთ აჭარელი და ქუთაისელი ბიჭების დახოცვის ამბავი. ეს არის ჩვენი ბრძოლა! ვცდილობთ, ფარდა ავხადოთ სამართალდამცველთა მხრიდან განხორციელებულ არაერთ უმსგავსობას. საზოგადოებამ ეს არ იცის, მაგრამ ჩვენი დახმარებით გაიგებს. **ხალხმა**

**უნდა იცოდეს, რომ ვანო მერაბიშვილსა და მიხეილ სააკაშვილს ჰყავთ გარკვეული ბანდები პოლიციაში, რომლებსაც ყოველგვარ სიბინძურეს ასრულებინებენ და სისასტიკითა და ბოროტებით აუბედურებენ უდანაშაულოთა ოჯახებს**, კლავენ უდანაშაულოებს და ამით შიშს თესავენ. ბუტა რობაქიძე ქუჩაში იმიტომ დახვრიტეს, რომ ხალხი მიზანმიმართულად დაეშინებინათ. ზურას შემთხვევა განზრახ მკვლელობა იყო. ნავთლუღის ბიჭები ციხის ბუნტის წინ ამოხოცეს იმ მიზეზით, თითქოს ციხიდან გაქცევის ორგანიზატორები იყვნენ. სამივე ბიჭი ერთ-ერთის მამასთან ერთად თურქეთში ფიზიკურად მუშაობდა და ხელები დაკოჟრილი ჰქონდა. ისინი საახალწლოდ ჩამოვიდნენ... **შვილის მოკვლით ყველაფერი წამართვეს, სიცოცხლე აღარ მინდა!** ეკონომიკური მდგომარეობა არ მაინტერესებს. გამაუბედურეს, საშინელ მდგომარეობაში ჩამაგდეს და გავჩერდე?! **ვიღაც გარეწარმა ჩემს შვილს სიცოცხლე მოუსპო და ამით ჩვენც, მშობლებიც დაგვხოცა.** ყველა დაღუპულის უკან ხომ დგას ოჯახი და ხალხი. ჩვენ ზურასთან ერთად დავასრულეთ სიცოცხლე! ბოლომდე ვიბრძოლებ და სიმართლეს მაინც გავიტან. მერწმუნეთ, იმდენი მტკიცებულება გვაქვს, კუთხეში მოვიმწყვდევთ ნებისმიერ პროკურორსა და მოსამართლეს. ამიტომაც შეწყვიტეს ძიება. მე კი განვაგრძობ: ევროპის სასამართლოში გავასაჩივრე და ბოლოს აღვნიშნე, „თხოვნით მოგმართავთ“ — არანაირ კომპენსაციას არ ვსაჭიროებ.

რაც შეეხება შურისძიების მომენტს, ამ ეტაპზე გვინდა, მკვლელები საპატიმრო სკამზე დავსვათ. მთავარია, საზოგადოებამ **მკვლელები მოიცილოს, მათ გვერდზე ცხოვრება შეუძლებელია.** ერთიანად უნდა ვებრძოლოთ ამ ტირანიას და უსამართლობას. წავა ეს ხელისუფლება და მყავს პოლიციელები, რომლებიც მპირდებიან თავის დროზე სიმართლის თქმას.

**სოსო რობაქიძე** (პატრულის მიერ უმიზეზოდ მოკლული მოზარდის, ამირან რობაქიძის მამა):

— სანამ სააკაშვილი პრეზიდენტია, ჩვენი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება. ეს ვიცით, მაგრამ მაინც არ გავჩერდებით! მათრახი ყოველთვის ხელში უნდა გვეჭიროს. ვინც უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში, უნდა იცოდეს, რომ სააკაშვილ-მერაბიშვილის ხროვა დასასჯელია და თუ ამას არ იზამს, ის მიშა მეორე იქნება. „ერთიანი ფრონტი“ ბევრ ძალას აერთიანებს. **თუ ახლანდელ შანსს არ გამოიყენებს ხელისუფლება და დამნაშავეებს, მკვლელებს შესაფერისად არ დასჯის, სერიოზულ, ფართომასშტაბიან აქციებს დავიწყებთ**. თავის დროზე შურისძიების მომენტი ხე-

ლიდან გავუშვით, და ეს მაშინ, როცა სამართლიანობაზე დავიწყე საუბარი. ჩემი მხრიდან ეს უკვე დაგვიანებულია. ახლა გვინდა, სამართალმა იზეიმოს.

მანქანის დიდი სიჩქარით მართვას შეეწირა 31 წლის ახალგაზრდის, გიორგი გამცემლიძის სიცოცხლე. მას სამი მცირეწლოვანი შვილი და მეუღლე დარჩა. გარდაცვლილის მამა ჯამბულ გამცემლიძე დღემდე ითხოვს შვილის მკვლელის კანონიერ გასამართლებას, თუმცა — უშედეგოდ. როგორი დაუჯერებელიც უნდა იყოს, პატრულის თანამშრომელს, გიორგის მკვლელ ვახტანგ გაბუაშვილს ორი წელი მიუსაჯეს.

**ჯამბულ გამცემლიძე (გიორგი გამცემლიძის მამა):**

— ჩემი შვილი არაფრის გამო მოკლეს. გიორგის მანქანის სწრაფად ტარება უყვარდა, ამის გამო დამისაჯეს. გამწარებული ვარ. შვილის მკვლელს ორი წელი მიუსაჯეს.

გიორგი წყალთა მეურნეობისა და მელიორაციის ერთ-ერთი განყოფილების უფროსის მოადგილედ მუშაობდა. რომ არ ყოფილიყვნენ სააკაშვილი, მერაბიშვილი და ადეიშვილი, ჩვენი შვილები ცოცხლები იქნებოდნენ. პროკურატურასთან ჩავატარეთ აქცია და მხოლოდ ორმოცამდე ადამიანი გამოცხადდა.

**ეს სირცხვილია. ყველას სახლის წინაა დაჩოქილი სიკვდილის ქურქში გახვეული აქლემი და არავინ იცის, ვის კარზე დააკაკუნებს.** პატარა ბიჭუნას მკვლელობის გამო მთელი საბერძნეთი და საფრანგეთი გარეთ გამოვიდა. ჩვენ ულამაზესი ბიჭები, მთელი გენოფონდი დაგვიხვრიტეს და არავის ადარდებს. **მოვიპოვეთ ქუჩაში დახვრეტილი 70-ზე მეტი ახალგაზრდის მონაცემები** და თუ ამაზე ჩვენმა საზოგადოებამ ხმა არ ამოიღო, ერის სირცხვილი იქნება. შურისძიების მომენტი არანაირად არ მაქვს, რადგან ქრისტიანი ვარ, დავდივარ ეკლესიაში და ვეზიარები, მაგრამ შვილის მკვლელთან შეხვედრას არ ვინატრებდი. ვერ გეტყვით, რას მოვიმოქმედებ. ვფიქრობ, რომ დღეს შერცხვენილი ვარ. ხელისუფლებამ მომაფურთხა, დამცინა, ღირსება ამყარა, დამამცირა. გაიძახოდნენ — ნულოვანი ტოლერანტობაო. რა ჰქონდა ჩემს შვილს მისატევებელი?! ანგელოზივით ბიჭი დადიოდა და სრულიად უსამართლოდ, უსაფუძვლოდ მოუსპეს სიცოცხლე. დამნაშავე აღიარებს, რომ მოკლა გიორგი გამცემლიძე, მაგრამ თურმე უნებლიეთ გაუვარდა იარაღი და ორი წელი მიუსაჯეს. პატრულმა რატომ არ გააკეთა ჰაერში გამაფრთხილებელი გასროლა?! მოკლეს გარეთ, შეათრიეს შიგნით და ათასი უბედურება ჩაიდინეს. თვითმხილველი კი ჩვენებიდან ამოაგდეს. სამწუხაროდ, ბევრია ჩემს დღეში. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ჩვენი სიმართლე გავიტანოთ. ვითხოვ ობიექტურობას. არსებული მასალების ფონზე, სამართლიანი განაჩენით, მკვლელს, სულ ცოტა, თხუთმეტი წელი მაინც უნდა მიუსაჯონ. ეს არის განზრახ მკვლელობა. გამოეკიდა ჩემს შვილს, დაეწია, ესროლა, მოკლა... უდანაშაულოდ... და ეს ვაპატიო სააკაშვილს?!

***ესაუბრა* ირმა ჩიტაია**
***გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“***

# სიცოცხლის უფლების ხელყოფა საქართველოში

## ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენელთა მიერ სიცოცხლის მოსპობის ფაქტების არასრული სია 2003-2009 წლები

**2003 წელი**

**1. დავით საყვარელიძე** — გარდაიცვალა თბილისში, გორგასლის ქუჩაზე ჯავშანტრანსპორტიორთა შეჯახების შედეგად;

**2. ეთერ წულიაშვილი** — გარდაიცვალა თბილისში, გორგასლის ქუჩაზე ჯავშანტრანსპორტიორთა შეჯახების შედეგად (ამავე ავარიაში მისი 3 მცირეწლოვანი შვილიც დაზიანდა);

**3. გიორგი ინასარიძე** — თბილისში, შსს-ს წინასწარი დაკავების იზოლატორში ჩამომხრჩვალი იპოვეს.

**2004 წელი**

**1. ოთარ გველუკაშვილი** — მოკლეს გურჯაანის რაიონში, სოფ. კარდენახში სპეცოპერაციის განხორციელებისას;

**2. ანტონ კუკულავა** — მოკლეს თბილისში დაკავებისას;

**3. დიკო ბარქაია** — მოკლეს ზუგდიდის რაიონში სპეცოპერაციის განხორციელებისას;

**4. ზაზა ფანცქელაძე** — მოკლეს ზუგდიდის რაიონში სპეცოპერაციის განხორციელებისას;

**5. ევგენი აფრასიძე** — მოკლეს მესტიის რაიონის სოფელ ეცერში სპეცოპერაციის განხორციელებისას;

**6. ომეხ აფრასიძე** — მოკლეს მესტიის რაიონის სოფელ ეცერში სპეცოპერაციის განხორციელებისას;

**7. ხვიჩა კვირიკაშვილი** — თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, დაკავების შემდგომ პოლიციელების მიერ სახლში მიყვანიდან ნახევარ საათში გარდაიცვალა;

**8. ალექსანდრე გომაშვილი** — მოკლეს კახეთში დაკავებისას;

**9. ამირან (ბუტა) რობაქიძე** — ხელებაწეულ მდგომარეობაში მოკლეს თბილისში, წერეთლის გამზირზე (პატრულ-ინსპექტორმა);

**10. მურთაზ ქარდავა** — ოფიციალური ვერსიით, მოკლა უშიშროების სამინისტროს თანამშრომელმა — ენრიკო სიმონიანმა მის ოჯახზე თავდასხმისას;

**11. თემურ ხუბუნაია** — ოფიციალური ვერსიით, მოკლა უშიშროების სამინისტროს თანამშრომელმა ენრიკო სიმონიანმა მის ოჯახზე თავდასხმისას;

**12. სულხან ლომიძე** — მოკლეს ხელვაჩაურის რაიონში სპეცოპერაციის დროს.

**2005 წელი**

**1. ვლადიმერ ხოშტარია** — მოკლეს თბილისში დაკავებისას;

**2. აკაკი კორკოტაშვილი** — მოკლეს გურჯაანის რაიონში სპეცოპერაციისას;

**3. ავთო გუმაშვილი** — მოკლეს ახმეტის რაიონის სოფელ დუისში სპეცოპერაციისას;

**4. ვახო გუმაშვილი** — მოკლეს ახმეტის რაიონის სოფელ დუისში სპეცოპერაციისას;

**5. ვახტანგ მარგოშვილი** — ოფიციალური ვერსიით, მოკლეს ქვემო ქართლში, სოფ. ვახტანგისთან საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისას;

**6. რევაზ ცალანი** — მესტიის რაიონში სპეცრაზმელების მიერ სასტიკად ცემის შემდეგ ლოგინს მიეჯაჭვა;

**7. ვარლამ ნემსიწვერიძე** — მოკლეს თბილისში მძევლის გათავისუფლებისას;

**8. ნესტორ ესებუა** — მოკლეს აბაშის რაიონის სოფელ მარანში დაკავებისას;

**9. გია ოკუჯავა** — მოკლეს აბაშის რაიონის სოფელ მარანში დაკავებისას;

**10. თემურ ცეკვავა** — მოკლეს აბაშის რაიონის სოფელ მარანში დაკავებისას;

**11. თამაზ კურკუმული** — მოკლეს თბილისში, მუხიანის დასახლებაში სპეცოპერაციისას;

**12. ალექსანდრე თაბაგარი** — მოკლეს ლანჩხუთის რაიონის სოფ. ჩონჩხათში;

**13. ხვიჩა მელაძე** — მოკლეს ლანჩხუთის რაიონის სოფ. ჩონჩხათში;

**14. გიორგი კვირიკაშვილი** — მოკლეს თბილისში, თამარაშვილის ქუჩაზე;

**15. გიორგი მანჯავიძე** — მოკლეს თბილისში, თამარაშვილის ქუჩაზე;

**16. ლევან გულუა** — მოკლეს თბილისში, გამსახურდიას გამზირზე დაკავებისას;

**17. რეზო სარჯველაძე** — მოკლეს თბილისში დაკავებისას;

**2006 წელი**

**1. მურად გორგაძე** — მოკლეს თბილისში, მეტრო „სამგორის“ მიმდებარე ტერიტორიაზე;

**2. რომან სურმანიძე** —მოკლეს თბილისში, მეტრო „სამგორის“ მიმდებარე ტერიტორიაზე;

**3. მარად ართმელაძე** — მოკლეს თბილისში, მეტრო „სამგორის“ მიმდებარე ტერიტორიაზე;

**4. სანდრო გირგვლიანი** — გარდაიცვალა თბილისში, ოქროყანაში, შსს-ს თანამდებობის პირთა ჯგუფის მიერ მიყენებული მრავლობითი ჭრილობების შედეგად;

**5. გია (გიორგი) თელია** — მოკლეს თბილისში სპეცოპერაციისას;

**6. ჯემალ ჩაფიძე** — მოკლეს თერჯოლის რაიონის სოფელ ქვედა სიმონეთში პოლიციის მიერ დაკავებისას;

**7. ზვიად ბაბუხადია** — მოკლეს ბაღდათის რაიონის სოფ. ვარციხეში სპეცოპერაციისას;

**8. ბუთხუზ კიზირია** — მოკლეს ბაღდათის რაიონის სოფ. ვარციხეში სპეცოპერაციისას;

**9. ვალერი ბენდელიანი** — მოკლეს ბაღდათის რაიონის სოფ. ვარციხეში სპეცოპერაციისას;

**10. ზურაბ ვაზაგაშვილი** — მოკლეს თბილისში, მარჯვენა სანაპიროზე, ჩოგბურთის კორტებთან, სპეცოპერაციისას, რომელშიც 100-ზე მეტი პოლიციელი და შსს-ს სხვა თანამშრომლები მონაწილეობდნენ;

**11. ალექსანდრე (საშა) ხუბულოვი** — მოკლეს თბილისში, მარჯვენა სანაპიროზე, ჩოგბურთის კორტებთან, სპეცოპერაციისას, რომელშიც 100-ზე მეტი პოლიციელი და შსს-ს სხვა თანამშრომლები მონაწილეობდნენ;

**12. მიხეილ (მიშიკო) ბერძენიშვილი** — მოკლეს საგარეჯოში დაკავებისას;

**13. გელა ცინდელიანი** — მოკლეს მესტიის რაიონის სოფ. ჭუბერში სპეცოპერაციისას;

**14. ჯაბა ჯაბანიშვილი** — დაჭრეს ბორჯომში 21 ივლისს ჩატარებული სპეცოპერაციისას, რის შედეგადაც გარდაიცვალა;

**15. ხვიჩა კოკაია** — მოკლეს ხობის რაიონში სპეცოპერაციისას;

**16. ვალერი (ვარლამ) ფხაკაძე** — გარდაიცვალა ქუთაისში დაკავებისას მიყენებული ჭრილობის შედეგად, რადგან ხანგრძლივი დროის განმავლობაში პოლიციელებმა არ აღმოუჩინეს სამედიცინო დახმარება.

**2007 წელი**

**1. მიხეილ კირაკოსიანი** — მოტოციკლის გაჩერების მოთხოვნის შეუსრულებლობის შემდეგ მოკლა საპატრულო პოლიციის თანამშრომელმა ახალციხის რაიონში;

**2. გიგა ჭარბაძე** — თელავში დაეჯახა ავტომანქანა, რომელსაც პატრულ-ინსპექტორი მართავდა;

**3. ალექსანდრე ხოსიტაშვილი** — გარდაიცვალა თბილისში, სოფელ დიღომში, პოლიციელთა მიერ ცემის შემდგომ;

**4. ოლეგ მესხიძე** — მოკლეს ოზურგეთში სპეცოპერაციისას;

**5. ჯუმბერ ნაგერვაძე** — ოფიციალური ვერსიით, თავი ჩამოიხრჩო ბათუმის იზოლატორში.

**2008 წელი**

**1. თენგიზ გოგია** — მოკლეს სენაკის რაიონის სოფ. მენჯში, სპეცოპერაციისას (ოფიციალური ვერსიით, თითქოს თავი აიფეთქა);

**2. როლანდ მახარაძე** — მოკლეს ბათუმში, ჭავჭავაძის ქუჩაზე მძევლების გათავისუფლებისას;

**3. გიორგი გამცემლიძე** — თბილისში, მეტრო „რუსთაველთან“ დაკავებისას მოკლა პატრულ-ინსპექტორმა;

**4. როინ შავაძე** — ოფიციალური ვერსიით, მოკლეს გაქცევის მცდელობისას ქობულეთში, ქაქუთის საავტომობილო გზაზე, სასტიკად ნაწამებია;

**5. ნატა ჯიჭონაია** — ზუგდიდის რაიონის სოფ. რუხში ცოცხალ ჯაჭვში მდგომს დაეჯახა ავტომანქანა, რომელსაც ნასვამი პოლიციელი მართავდა;

**6. ალექსანდრე კვეზერელი** — ოფიციალური ვერსიით, გურჯაანის რაიონის სოფ. ზიარში შელაპარაკების ნიადაგზე მოკლა ოთარ ბოღლოციშვილმა, შს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს მე-6 განყოფილების ყოფილმა უფროსმა;

**7. ზურაბ მათნაძე** — მოკლეს თბილისში, რუსთავის გზატკეცილზე, დაკავების შემდეგ; ოფიციალური ვერსიით, დაიღუპა საპატრულო მანქანის ავარიის შედეგად;

**2009 წელი**

**1. გია კრიალაშვილი** — მოკლეს თბილისში, გლდანში (თიანეთის გზატკეცილი) სპეცოპერაციისას;

**2. ჯიმი მეგრელიძე** — მოკლეს ზუგდიდში დაკავებისას;

**3. მამუკა ჩხარჩხალია** — გარდაიცვალა თბილისში, ნუცუბიძის პლატოს III მკრნ-ის ასახვევთან თავის არეში მიყენებული ჭრილობით.

**სასჯელაღსრულების სისტემა**

2006 წლის 27 მარტს მეხუთე საპყრობილეში ე. წ. ციხის ბუნტის ჩახშობისას, ხელისუფლების მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მოკლეს 7 პატიმარი.

**სასამართლო სისტემა და პროკურატურა**

ერთწლიანი პატიმრობის შემდეგ საპროცესო გარიგების შედეგად გათავისუფლდა როდიონ კირაკოსიანი, განზრახ მკვლელობაში ბრალდებული.

# ამონარიდები ევროპის კავშირის ეგიდით შექმნილი საქართველო-რუსეთის 2008 წლის ზაფხულის კონფლიქტის მიზეზების დამდგენი საგამოძიებო კომისიის დასკვნიდან

1) შეიარაღებული დაპირისპირება ყოველთვის იწვევს ადამიანურ ტრაგედიას. ბრძოლის დამთავრებას თან ახლავს უამრავი ადამიანის სიკვდილი და სხვა დანაკარგები, ძლიერი ტკივილი და სამუდამოდ დამსხვრეული იმედები და ოცნებები. 2008 წლის კონფლიქტის გამომწვევი მიზეზების დასადგენად, ვთვლით, რომ საუკეთესო გზაა, გამოვკითხოთ ისინი, ვინც მასში მონაწილეობდა და უშუალოდ დაზარალდა. **ვიცით, რომ კონფლიქტის მონაწილე ორივე მხარეს საკუთარი მიზეზები ჰქონდა და მხარეები თვლიან, რომ უმეტესი ნაწილი იმ ქმედებებისა, რაც მოხდა, გარდაუვალი იყო. როდესაც ადამიანთა ქმედებების მოტივებს ვუკვირდებით, შეგვიძლია, გავიგოთ მათი მისწრაფებები მაშინაც კი, როდესაც არ ძალგვიძს, ვაღიაროთ ის ხერხები, რომელთა მეშვეობითაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილებები.** ვეცდებით, ჩამოვაყალიბოთ სამართლიანი შეხედულება იმ ქმედებებზე, რომლებიც ორივე მხარის მიერ განხორციელდა კონფლიქტის დროს და, ამავე დროს, განვიხილავთ მის მიზეზებსა და შედეგებს. უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი მათგანი კრიტიკულად იქნება განხილული, თუმცა ჩვენ შემთხვევაში, არ შევეხებით ინდივიდთა ბედისწერას ან რეგიონის მოსახლეობის მისწრაფებას. ეს მისწრაფება არ იყო გადამწყვეტი მიზეზი საომარი მოქმედებებისათვის, რადგანაც დღეს მსგავსი პრობლემები ყველგან მშვიდობიანი გზით წყდება. მოცემული პრობლემები კი გვარდებოდა და ზოგჯერ იმგვარად გამოიყენებოდა, რომ შეიარაღებული დაპირისპირება გამოეწვია. ურთიერთგაგებისა და პატივისცემის საფუძველზე, **ამ მოხსენების მიზანია, ისე აღწე-**

**როს მომხდარი, რომ გამოტანილი დასკვნები რეგიონში მომავალ უსაფრთხოებას ემსახუროს.**

2) 2008 **წლის 7-8 აგვისტოს საქართველოს არტილერიამ იერიში განახორციელა ქალაქ ცხინვალზე. ქართული შეიარაღებული ძალების სხვა ქმედებები ცხინვალის რეგიონისა და მისი შემოგარენის მიმართულებით კი მომზადების ფაზაში იყო; მალე ბრძოლაში ჩაება რუსეთის, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის სამხედრო ნაწილები და შეიარაღებული ელემენტები. დიდხანს არ გაგრძელებულა ქართველების წარმატება სამხრეთ ოსეთში, იგი მალევე შეაჩერა კონტრიერიშზე წამოსულმა რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა,** რომლებმაც მოიცვეს საჰაერო იერიში და შავი ზღვის ფლოტის ნაწილები, ღრმად შემოიჭრნენ რა საქართველოს ტერიტორიაზე, საქართველოს ძირითადი აღმოსავლეთ-დასავლეთის გზის გადაჭრით, მიაღწიეს ფოთს, ცოტა ხნით შეჩერდნენ საქართველოს დედაქალაქ თბილისთან. დაპირისპირება გადაიზარდა ქვეყნებს შორის და ქვეყნის შიდა კონფლიქტში — ერთი მხრივ, ქართული და რუსული ძალების დაპირისპირებაში და, მეორე მხრივ, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მებრძოლებთან ქართველების დაპირისპირებაში. კონფლიქტების ასეთი კომბინაცია, რომლებიც განსხვავებულ დონეებზე მიმდინარეობდა, საერთაშორისო ჰუმანიტარული კანონისა და ადამიანის უფლებების დაცვის დარღვევისკენაა მიმართული. **სინამდვილეში რაც მოხდა, გამოიწვია არარეგულარულმა შეიარაღებულმა ჯგუფებმა სამხრეთ ოსეთის რეგიონში, რომლებიც ვერ თუ არ იქნა ადეკვატურად გაკონტროლებული რუსეთის რეგულარული შეიარაღებული ძალების მიერ.** შემდეგ კი დამატებითი საომარი მოქმედება დაიწყო დასავლეთ ფლანგზე, სადაც აფხაზთა ძალები, რომლებსაც რუსეთის მხარდაჭერა ჰქონდათ, შევიდნენ ზედა კოდორის ხეობაში, სადაც საქართველოს მხრიდან ძალიან მცირე წინააღმდეგობა შეხვდათ. **საბრძოლო მოქმედებებიდან ხუთ დღეში, 2008 წლის 12 აგვისტოს მიღწეულ იქნა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება რუსეთის პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევს, საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილსა და საფრანგეთის პრეზიდენტ ნიკოლას სარკოზის შორის, რომელიც მოქმედებდა ევროპის კავშირის სახელით. 2008 წლის 8 სექტემბერს კვლავაც საფრანგეთის შეუპოვარი მცდელობით შემუშავდა იმპლიმენტაციის შეთანხმება.** ამ წარმატებულმა პოლიტიკურმა ნაბიჯმა გადაფარა საერთაშორისო საზოგადოების მარცხი, გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოს ჩათვლით, რომელმაც ვერ შეძლო, საკმარისად სწრაფად ემოქმედა და გაეკონტროლებინა მზარდი დაძაბულობა, რომელიც წინ უსწრებდა შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებას. მას შემდეგ ევროკავშირის მონიტორინგის მისიისა (EUMM) და ჟენევის მოლაპარაკებების დაწესების გარდა, თითქმის არავითარი პროგრესი არ მიღწეულა მშვიდობის დამყარების ძნელი პროცესისა და რეგიონის სტაბილურობისათვის. სიტუაცია რჩება დაძაბული და ცვალებადი და კვლავაც არსებობს საომარი მოქმედების განახლების საშიშროება.

**3) ქართული შეიარაღებული ძალების მიერ ცხინვალის დაბომბვა 2008 წლის 7-8 აგვისტოს ღამეს საქართველოში ფართომასშტაბიანი შეიარაღებული კონფლიქტის დაწყების აღმნიშვნელი იყო, თუმცა იგი იყო ხანგრძლივი დაძაბულობის, პროვოკაციებისა და ინციდენტების კულმინაციის წერტილი.** მართალია, კონფლიქტს ღრმა ფესვები აქვს რეგიონის ისტორიაში, ხალხის ეროვნულ ტრადიციებსა და მისწრაფებებში, ისევე, როგორც დიდი ხნის განმავლობაში ჩამოყალიბებულ, ურთიერთუპატივცემულობაში, რაც ვერასდროს მოგვარდა და ხანდახან სიტუაციის გასამწვავებლად გამოიყენებოდა კიდეც. მიუხედავად იმისა, რომ რეგიონი ცნობილი იყო როგორც სხვადასხვა ეროვნებისა და მსოფლმხედველობის ადამიანების ხანგრძლივი, ტრადიციული, მშვიდობიანი თანაცხოვრების კერა, პატარა ერებს მუდმივად ჰქონდათ ქვენა გრძნობები პატივაყრილ და დამონებულ მდგომარეობაში ყოფნის გამო, საბჭოთა ფედერალიზმმა ვერ აღმოფხვრა გულში ჩადებული მტრობა და ქაოტურ პერიოდს, რომელიც საბჭოთა კავშირის დამხობას მოჰყვა, დაემატა რეგიონში ორმხრივი უნდობლობა და საომარი მოქმედებაც კი. ახლად აღმოცენებულ თვითშეგნების ტალღას, რომელსაც საქართველოში პოლიტიკური ცვლილებები მოჰყვა, 2003 წლის ბოლოდან რუსეთის ფედერაციის ინტერესები შეეჯახა, რომელიც ცდილობდა, ჩამოეყალიბებინა პრივილეგიურ ინტერესთა ზონა მის „უახლოეს უცხოეთში“, სადაც მიმდინარე პროცესები და მოვლენები ხელსაყრელი იქნებოდა რუსეთის ინტერესებისათვის, რაც არც თუ მარტივად მისაღები იყო. ამავე დროს, **რეგიონში მშვიდობისმყოფელების ყოფნა, რაც საერთაშორისო საზოგადოების დახმარებით დაწესდა, ახალ და მეტისმეტად ზღვარგადასულ საშიშროებას ქმნიდა პოლიტიკური და სამხედრო თვალსაზრისით.** მათი ყოფნა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში დადგინდა 1990 წლის შეიარაღებული კონფლიქტის შემდგომ საქართველოს დამოუკიდებლობის კვალდაკვალ და მას შემდეგ მცირე სახეცვლილება თუ განიცადა. რეგიონში საერთაშორისო ორგანიზაციების მოქმედებისათვის საჭირო იყო მარეგულირებელი და პოლიტიკური მხარდაჭერა, რომლის გარეშეც მათ საბოლოოდ დაკარგეს ძალა და ვეღარ ასრულებდნენ შესაბამის ფუნქციებს.

**13)** კონფლიქტის ზონაში დაძაბულობის ზრდამ ღია სამხედრო დაპირისპირების ზღვარს მიაღწია.

**უკვე 2008 წლის აპრილში ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში სიტუაციის კრიტიკული გაუარესება შეიმჩნეოდა. დაძაბულობის ერთ-ერთი მიზეზი იყო კონფლიქტის ზონაში საჰაერო ძალების გააქტიურება, ცეცხლის შეწყვეტის ზოლში რეაქტიული თვითმფრინავებისა და უპილოტო საფრენი აპარატების გამოჩენა. მთელი რიგი ქართული უპილოტო საფრენი აპარატები ჩამოაგდეს აფხაზურმა და რუსულმა საჰაერო ძალებმა. 2008 წლის აპრილში რუსი ჯარისკაცებით დაკომპლექტებული CIS PKF გაძლიერებულ იქნა დამატებითი ძალების შემოყვანით და 2008 წლის მაისის ბოლოს, ქართული მხარის პროტესტის მიუხედავად, რუსული სამხედრო სარკინიგზო ერთეული აფხაზეთში**

**გაიგზავნა ადგილობრივი რკინიგზის რეაბილიტაციისათვის, ჰუმანიტარული მიზნების საბაბით.**

გაზაფხულის მოვლენებს მოჰყვა 2008 წლის ზაფხულში აფხაზეთის ცეცხლის შეწყვეტის ზონაში დასახლებულ პუნქტებში ბომბების ჩამოყრა და, ასევე, გზების აფეთქება საქართველოში. 2008 წლის ზაფხულის მოვლენების დროს ქართულ-აფხაზური დაძაბულობის ცენტრი ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში გადავიდა, რაც ქართულ და ოსურ მხარეებს შორის გამანადგურებელი შეტაკებებითა და, ასევე, ინტენსიური ორმხრივი ცეცხლის გახსნით იყო გამოწვეული, ნაღმსატყორცნი და მძიმე არტილერიის ჩათვლით. **ივლისის დასაწყისში უკვე ჩანდა, რომ კონფლიქტი აფეთქების ზღვარზე იდგა და შეიმჩნეოდა დიპლომატიური მოქმედებების გააქტიურება.** ივლისის შუა რიცხვებში ჩატარდა ყოველწლიური სამხედრო წვრთნები თბილისთან ახლოს, ვაზიანის საწვრთნელ ბაზაზე შეერთებული შტატების ხელმძღვანელობით, რომელშიც დაახლოებით 2000 საჯარისო ერთეული მონაწილეობდა საქართველოდან, შეერთებული შტატებიდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან და უკრაინიდან. 2008 წლის 15 ივლისიდან 2 აგვისტომდე რუსეთის ჯარებმა ფართომასშტაბიანი სამხედრო წვრთნები განახორციელეს ჩრდილო კავკასიის სამხედრო რეგიონში, რუსეთ-საქართველოს საზღვართან ახლოს და, ასევე, — შავი ზღვის რეგიონში. **აგვისტოს დასაწყისში სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებამ მოსახლეობის ევაკუაცია დაიწყო რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე. რასაკვირველია, ჩანდა, რომ ყველაფერი მზად იყო სამხედრო კონფლიქტისთვის.**

**14) ღია საომარი მოქმედებები დაიწყო ფართომასშტაბიანი ქართული სამხედრო ოპერაციით ქალაქ ცხინვალისა და მისი შემოგარენის მიმართულებით 2008 წლის 7-8 აგვისტოს ღამეს. ოპერაციები დაიწყო ქართული არტილერიის მასობრივი შეტევით. ოპერაციის დასაწყისში ქართული კონტინგენტის სამშვიდობო ძალების სარდალმა, ბრიგადის გენერალმა მამუკა ყურაშვილმა განაცხადა, რომ ეს ოპერაცია მიზნად ისახავდა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე კონსტიტუციური წესრიგის აღდგენას.** მოგვიანებით ქართულმა მხარემ უარყო მამუკა ყურაშვილის განცხადება და მოწინააღმდეგე რუსულ მხარეს ოპერაციის შეწყვეტისკენ მოუწოდა.

**ქართულ ოფიციალურ საინფორმაციო წყაროზე დაყრდნობით, მისია ამ მხრივ ამბობს, რომ „საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვისთვის და, ასევე, საქართველოს მოსახლეობის უსაფრთხოების მიზნით, 7 აგვისტოს, 23.35 სთ-ზე, საქართველოს პრეზიდენტმა გასცა ბრძანება, რომ თავდაცვითი ოპერაცია დაეწყოთ:**

1. ცხინვალის რეგიონში, სამხრეთ ოსეთში, მოქალაქეების დასაცავად;
2. სროლის ადგილების ნეიტრალიზებისათვის, საიდანაც ცეცხლს უხსნიდნენ მშვიდობიან მოსახლეობას, ქართველი სამშვიდობოების დანაყოფებსა და პოლიციას;

3. რუსეთის ფედერაციის რეგულარული ერთეულების როკის გვირაბის გავლით ცხინვალის რეგიონში, სამხრეთ ოსეთში, მოძრაობის შესაჩერებლად“.

**15) საქართველოს განცხადებები რუსეთის შემოჭრასთან დაკავშირებით, სხვათაშორის, გამართლდა — რუსული ჯარებისა და ჯავშანსატანკო შეიარაღების სამხრეთ ოსეთში უკანონო შესვლა, რომელსაც წინ უსწრებდა ქართველთა მოქმედებების დაწყება.** კომისიის შეკითხვებზე საქართველოს პასუხის თანახმად, სამხრეთ ოსეთში რუსული ძალების გაძლიერება დაიწყო 2008 წლის ივლისის დასაწყისში, გაგრძელდა აგვისტოს მოვლენების დროს. ეს შეეხებოდა ჯარებს, სამედიცინო პერსონალს, ბანაკების დადგმას, ჯავშანსატანკო შეიარაღებასა და ტანკებს, თვითმავალ არტილერიასა და საარტილერიო ქვემეხებს. ეს პროცესი უფრო გაძლიერდა 6 აგვისტოს ღამეს და 7 აგვისტოს გვიან საღამოს. საქართველოს განცხადებები 2008 წლის 8 აგვისტომდე რუსული სამხედრო შეიარაღების გაძლიერებაზე სამხრეთ ოსეთში უარყო რუსულმა მხარემ. **რუსული მხარის ინფორმაციის თანახმად, რომელიც მიაწოდეს კომისიას, პირველი რუსული ქვედანაყოფები სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე შევიდნენ და რუსულმა საჰაერო ძალებმა და არტილერიამ საქართველოზე შეტევა დაიწყეს 8 აგვისტოს 14.30 სთ-ზე, ე.ი. დაუყოვნებლივ, როგორც კი გადაწყვეტილება ინტერვენციაზე მიიღეს რუსეთის ფედერაციის ლიდერებმა.**

**16)** კომისიას არ აქვს საკმარისი მტკიცებულებები საქართველოს პრეტენზიასთან დაკავშირებით, რომელიც ფართომასშტაბიან რუსულ სამხედრო თავდასხმას შეეხება სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე 2008 წლის 8 აგვისტომდე. თუმცა არის მთელი რიგი მოხსენებები და პუბლიკაციები რუსული წყაროების ჩათვლით, რომელიც მიუთითებს რუსული მხარის მიერ წვრთნების ჩატარებას და სამხედრო აღჭურვილობის უზრუნველყოფას სამხრეთ ოსეთში და აფხაზურ ძალებში 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის წინ.

დამატებით ჩანს, რომ სამხრეთ ოსეთში ხდებოდა მოხალისეებისა და დაქირავებული მეომრების შედინება რუსეთის ფედერაციის ტერიტორიიდან, კავკასიის მხრიდან, როკის გვირაბის გავლით, აგვისტოს დასაწყისში. გარდა ამისა, რუსეთის გარკვეული ძალები სამხრეთ ოსეთში არსებობდნენ მანამდეც, ხოლო რუსეთის JPKF ბატალიონი — 2008 წლის 8 აგვისტოს 14.30 სთ-მდე. აგრეთვე, ჩანს, რომ **რუსეთის საჰაერო ძალებმა საქართველოს წინააღმდეგ შეტევა დაიწყეს სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრის გარეთ უკვე 8 აგვისტოს დილით, ე. ი. იმ დროზე ადრე, რაც მოწოდებულია რუსული ოფიციალური საინფორმაციო წყაროების მიერ.** როგორც იტყობინებიან, რუსეთის საჰაერო ძალებმა შეტევა ცენტრალურ საქართველოზე (ვარიანი, გორი) დაიწყეს. თანდათანობით ასეთი მოქმედებები გავრცელდა ქვეყნის სხვა ნაწილებზეც — სენაკის სამხედრო ბაზის, ფოთის პორტის სამხედრო ნაწილებისა და დედა-

ქალაქ თბილისის ჩათვლით, ისევე, როგორც ზოგიერთ ორმაგი დანიშნულების ობიექტებზე, როგორიცაა თბილისის აეროპორტის რადიოლოკაციური საშუალებები, რკინიგზის ლიანდაგები და სხვა ინფრასტრუქტურა და საკომუნიკაციო საშუალებები. **არსებობს ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებები იმის თაობაზე, იყო თუ არა ცალკეული შემთხვევები გამიზნული დასახლებული პუნქტების წინასწარი განზრახვით დაბომბვის ან ეგრეთ წოდებული პარალელური დაზიანების თვალსაზრისით. კომისიამ ვერც ერთი ვერსიის დამამტკიცებელი დამაჯერებელი საბუთები ვერ მოიპოვა.** შეიარაღებულ კონფლიქტში დამატებით ჩაერთო რუსეთის სახმელეთო და საჰაერო ძალები და, აგრეთვე, შავი ზღვის ფლოტი, რომლის შეტევების სამიზნე იყო საქართველოს ტერიტორია სამხრეთ ოსეთის ფარგლებს გარეთ და რომელიც წარმოადგენდა სახმელეთო ოპერაციებისთვის სამხედრო საზღვაო მხარდაჭერას.

17) შეიარაღებული კონფლიქტის დროს, რომელსაც შემდგომში ,,ხუთდღიანი ომი" ეწოდა, რუსულმა მხარემ თავისი შეიარაღებული ინტერვენცია გაამართლა ქართული შეიარაღებული ძალების მიერ ოსეთის მოსახლეობის გენოციდის მტკიცებით და, აგრეთვე, სამხრეთ ოსეთში მცხოვრები რუსეთის მოქალაქეებისა და სოჭის 1992 წლის შეთანხმების თანახმად, სამხრეთ ოსეთში განთავსებული სამშვიდობოების რუსული კონტინგენტის დაცვის მიზნით. **რუსეთი ამტკიცებდა, რომ ქართველებთან შეტაკებისას ცხინვალში სამშვიდობოების შენობასთან 2008 წლის 8 აგვისტოს მოკლეს 2 და დაჭრეს 5 რუსი სამშვიდობო. საქართველომ უარყო წინასწარ განზრახული შეტევა რუსი სამშვიდობოების წინააღმდეგ, იმ არგუმენტით, რომ, როდესაც ქართული ჯარი ცხინვალში შევიდა, მას ცეცხლი გაუხსნეს რუსული სამშვიდობოების შენაერთებმა და რომ ქართველები იძულებული იყვნენ, გაეხსნათ საპასუხო ცეცხლი. კომისიას არ აქვს დამოუკიდებელი ცნობები, რომ დაამტკიცოს ან უარყოს რომელიმე მხარის ბრალდებები.** თუმცა, არსებული სახიფათო მდგომარეობის გათვალისწინებით, დაჭრილებს შორის იყო რუსული სამშვიდობოების დანაყოფის პერსონალიც. რაც შეეხება რუსეთისა და სამხრეთ ოსეთის მხრიდან გენოციდის ბრალდებებს, მომდევნო თვეებში მათმა ინტენსივობამ იკლო, რამდენადაც ქართველთა განზრახვა გენოციდის მოწყობისა, როგორც ამას ამტკიცებდნენ, არ დადასტურდა. აღმოჩნდა, რომ დაჭრილთა რიცხვი ოსეთის მოსახლეობას შორის იმაზე ბევრად ნაკლები იყო, რასაც ამტკიცებდნენ. **თავიდან რუსეთის ოფიციალური მხარე აცხადებდა, რომ სამხრეთ ოსეთში დაახლოებით 2000 მოქალაქე მოკლეს ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა, მაგრამ მოგვიანებით, 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის დროს, მთლიანად ოსეთის მოსახლეობის დანაკარგი 162-მდე შემცირდა.** 10 აგვისტოს საქართველოს მთავრობამ ცალმხრივი ცეცხლის შეწყვეტა და თავისი განზრახვა გამოაცხადა, გაეყვანა ქართული შეიარაღებული ძალები სამხრეთ ოსეთიდან. თუმცა ამას მოწინააღმდეგის მხრიდან ცეცხლის შეწყვეტა არ მოჰყოლია. საბოლოოდ, 10 აგვისტოს ღამისთვის ქარ-

თული შეიარაღებული ძალების უმეტესობა გაიყვანეს სამხრეთ ოსეთის ტერიტორიიდან. ამას მოჰყვა ის, რომ რუსეთის ჯარები უფრო ღრმად შევიდნენ საქართველოს ტერიტორიაზე სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრების გადაკვეთით და სამხედრო პოზიციები დაიკავეს მთელ რიგ ქართულ დასახლებულ პუნქტებში ქალაქების — გორის, ზუგდიდის, სენაკისა და ფოთის ჩათვლით.

**ბოლო სამხედრო შეტაკების დროს აფხაზურ შენაერთებს რუსული შეიარაღებული ძალები ეხმარებოდნენ, რომლებმაც შეტევა ზემო კოდორის ხეობაში განახორციელეს და ეს ტერიტორია დაიკავეს, რომელიც 2008 წლის 12 აგვისტოსთვის დაცალეს ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა და ქართული მოსახლეობის უმეტესობამ.**

18) რუსეთი თავის შეიარაღებულ მოქმედებებს საქართველოში ,,იძულებით სამშვიდობო ოპერაციებს“ უწოდებდა, მაშინ, როდესაც საქართველო მას მოიხსენიებდა როგორც „აგრესორს“. საერთაშორისო საზოგადოება, ევროკავშირის ჩათვლით, იძულებული იყო, დაეწესებინა რაიმე ოფიციალური შეზღუდვები, თუმცა იყო, აგრეთვე, საერთო მოწოდება საომარი მოქმედებების შეწყვეტის შესახებ. 12 აგვისტოს საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლას სარკოზი, თავისი უფლებამოსილებით, როგორც ევროკავშირის თავმჯდომარე, ჩავიდა მოსკოვსა და თბილისში სამხედრო მოქმედებების შეწყვეტის მოთხოვნით. შედგა ცეცხლის შეწყვეტის ექვსპუნქტიანი შეთანხმება, რომელიც მოითხოვდა სამხედრო მოქმედებების დაუყოვნებლივ შეწყვეტას და იმას, რომ შეიარაღებული ძალები დაბრუნებოდნენ იმ პოზიციებს, რომლებიც შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებამდე ეკავათ; თუმცა **რუსეთისა და სამხრეთ ოსეთის შეიარაღებულმა ძალებმა, როგორც იტყობინებიან, გააგრძელეს თავიანთი ძალების დაწინაურება მომდევნო დღეების მანძილზე, მას შემდეგ, რაც ცეცხლის შეწყვეტა გამოცხადდა, და დამატებითი ტერიტორიები დაიკავეს ახალგორის რაიონის ჩათვლით, რომელიც საქართველოს ადმინისტრაციული ერთეული იყო 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტამდე, მიუხედავად იმისა, შედიოდა თუ არა სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ საზღვრებში საბჭოთა კავშირის პერიოდში.** რუსეთის ჯარების უმეტესობამ 22 აგვისტოს შემდეგ თავისი პოზიციებიდან უკან დაიხია სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრებისკენ, ხოლო ზოგიერთმა მათგანმა — მხოლოდ მას შემდეგ, რაც შეთანხმების შესრულება იქნა მიღწეული მოსკოვში 2008 წლის 8 სექტემბერს და 2008 წლის ოქტომბრის ბოლოს. სრული თანხმობა ორივე მხარის ზემოთ აღნიშნულ შეთანხმებებზე განხილვის საგანი რჩება, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ **შეთანხმების შესრულების გადაწყვეტასთან ერთად 2008 წლის 8 სექტემბერს სამხედრო მოქმედებები შეწყდა და მოვლენები პოლიტიკური და დიპლომატიური მოქმედებების სფეროს დაუბრუნდა.** ეს მოიცავდა მძაფრ დისკუსიებს კონფლიქტზე პასუხისმგებლობების თაობაზე, რომელიც ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, სანამ იარაღის ხმა საბოლოოდ მიჩუმდებოდა.

**19)** ისმის კითხვა, იყო თუ არა საქართველოს მიერ სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ 2008 წლის 7-8 აგვისტოს ღამით გამოყენებული ძალა, რაც ცხინვალის დაბომბვით დაიწყო, საერთაშორისო კანონით გამართლებული? — **არ** იყო. **საქართველომ დაადასტურა, რომ კონკრეტული იურიდიული საერთაშორისო დოკუმენტებით, როგორიცაა სოჭის 1992 წლის შეთანხმება ან 1996 წლის მემორანდუმი, რომელიც უზრუნველყოფს უსაფრთხოებასა და ორმხრივი ნდობის გაძლიერებას მხარეებს შორის, ქართულ-ოსურ კონფლიქტში აკრძალული იყო ძალის გამოყენება სამხრეთ ოსეთის კონფლიქტში მაშინაც კი, თუ ვივარაუდებთ, რომ საქართველო მტრის იერიშს იგერიებდა;** მაგალითად, ქართველებით დასახლებულ რეგიონის სოფლებში სამხრეთ ოსეთის მხრიდან ცეცხლის საპასუხოდ, საერთაშორისო კანონის თანახმად, მისი შეიარაღებული კონტრიერიში ერთდროულად უნდა ყოფილიყო აუცილებელიცა და პროპორციულიც. შეუძლებელია იმის დაშვება, რომ ცხინვალის დაბომბვა ღამის განმავლობაში „გრადის“ მრავალჯერადი ბომბდამშენი რაკეტებითა (MRLS) და მძიმე არტილერიით აკმაყოფილებდა აუცილებლობისა და პროპორციულობის მოთხოვნებს აღნიშნული სოფლების დაცვის მიზნით. **ქართულმა უკანონო სამხედრო იერიშმა გამოიწვია ის, რომ სამხრეთ ოსეთის საპასუხო თავდაცვითი მოქმედებები შეესაბამებოდა თავდაცვის ლეგიტიმაციის საერთაშორისო კანონის ნორმებს. თუმცა სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალების ნებისმიერი ოპერაციები საზღვრებს გარეთ ქართული შეიარაღებული ძალების მოგერიების მიზნით, განსაკუთრებით ჩადენილი დანაშაულებრივი მოქმედებები სამხრეთ ოსეთში და მის საზღვრებს გარეთ მცხოვრები ეთნიკური ქართველების მიმართ უნდა ჩაითვალოს როგორც საერთაშორისო ჰუმანიტარული კანონისა და, აგრეთვე, ხშირ შემთხვევაში, ადამიანის უფლებათა დაცვის კანონის დარღვევად. გარდა ამისა, ქართული შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ მიმართული სამხრეთ ოსეთის ყველა სამხედრო მოქმედება გაგრძელდა მას შემდეგაც, რაც ძალაში შევიდა 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე, რაც, აგრეთვე, იყო კანონდარღვევა.**

**20)** რაც შეეხება კონფლიქტის დასაწყისს, აქ კიდევ ერთი სამართლებრივი შეკითხვა ჩნდება: **გამართლებული იყო თუ არა საქართველოს მიერ რუსეთის სამშვიდობო ძალების მიმართ საქართველოს ტერიტორიაზე, ე.ი. სამხრეთ ოსეთში, შეიარაღებული ძალის გამოყენება? პასუხი ისევ უარყოფითია.** რუსეთის მხრიდან არანაირ შეიარაღებულ სამხედრო იერიშს არ ჰქონია ადგილი საქართველოს მიერ სამხედრო ოპერაციების დაწყებამდე. **საქართველო ამტკიცებს, რომ რუსეთის ფართომასშტაბიანი შეიარაღებული სამხედრო ძალები სამხრეთ ოსეთში იმყოფებოდნენ 7-8 აგვისტოს საქართველოს მიერ განხორციელებულ თავდასხმამდე, რაზეც კომისიამ ვერ მიიღო საკმარისი დამადასტურებელი ფაქტები. ასევე, არ მტკიცდება, რომ რუსეთი იყო ასეთი მნიშვნელოვანი შეტევების მიჯნაზე, ზოგიერთი უკვე მომზადებული ელემენტისა და**

**აღჭურვილობის მიუხედავად. არ არსებობს, ასევე, მტკიცებულება, რომ სამხრეთ ოსეთში არსებული რუსეთის მშვიდობისმყოფელების შენაერთებმა დაარღვიეს საკუთარი ვალდებულებები საერთაშორისო ხელშეკრულების სოჭის შეთანხმების თანახმად და რომ ამგვარად მოახდინეს საერთაშორისო იურიდიული სტატუსის გაძლიერება. შესაბამისად, 2008 წლის 7-8 აგვისტოს ღამეს საქართველოს მიერ რუსეთის მშვიდობისმყოფელების წინააღმდეგ ძალის გამოყენება ეწინააღმდეგება საერთაშორისო კანონმდებლობას.**

21) საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის სამხედრო ძალების გამოყენების შესახებ საუბრისას პასუხი იქნება დიფერენცირებული. **რუსეთის რეაქცია საქართველოს შეტევის წინააღმდეგ შესაძლოა, დაიყოს ორ ფაზად: პირველი, უცაბედი რეაქცია რუსი მშვიდობისმყოფელების დასაცავად და მეორე, რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ საქართველოს ტერიტორიის დაპყრობა სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრების მიღმა.** პირველ შემთხვევაში, არსებობს მცირედი ეჭვი, რომ, თუ რუსეთის მშვიდობისმყოფელებზე განხორციელდა შეტაკება, რუსეთს უფლება ჰქონდა, თავი დაეცვა შეტევის შესაბამისი, პროპორციული სამხედრო ძალით. **ამ შემთხვევაში კონფლიქტის პირველი ფაზის დროს რუსეთის მიერ თავდაცვითი მიზნით ძალის გამოყენება კანონიერი იქნებოდა. მეორე შემთხვევაში, უნდა დადგინდეს, იყო თუ არა რუსეთის სამხედრო კამპანია, რომელიც ღრმად შეიჭრა საქართველოში, საჭირო და პროპორციული იყო თუ არა საქართველოს წინააღმდეგ დაცვითი მოქმედებები.** ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ მარტივი არაა, განისაზღვროს, თუ სად არის ხაზის დასასრული; ჩანს, რომ რუსეთის სამხედრო ქმედებები გასცდა თავდაცვის საზღვრებს. ეს ეხება ყველა სახის მასობრივ და გახანგრძლივებულ სამხედრო ქმედებას, რომელიც გავრცელდა ზემო კოდორის ხეობის დაბომბვისას საქართველოს ტერიტორიაზე შეიარაღებული ძალების ფართოდ გაშლის მცდელობით, საქართველოში არსებულ ყველა ახლომდებარე ძირითად ქალაქებში სამხედრო პოზიციების შენარჩუნებით, ასევე, ძირითადი მაგისტრალების გაკონტროლებითა და შავ ზღვაზე საზღვაო ძალების გაშლით. ეს ყოველივე არ უნდა იქნეს განხილული როგორც სამხრეთ ოსეთში არსებული რუსეთის მშვიდობისმყოფელების წინააღმდეგ მიმართული საშიშროების პროპორციული ზომა. **გარდა ამისა, მათი უწყვეტი განადგურება, რომელიც ცეცხლის შეწყვეტის შემდეგაც გაგრძელდა, არანაირად არ იყო გამართლებული. აქედან გამომდინარეობს, რომ რუსეთმა საქართველოს ტერიტორიაზე გაგრძელებული სამხედრო ქმედებებით დაარღვია საერთაშორისო კანონმდებლობა. საქართველოს სამხედრო ძალები ახორციელებდნენ ლეგიტიმურ თავდაცვას გაეროს ქარტიის 51-ე მუხლის თანახმად.** რამდენიმე დღეში ლეგიტიმური და არალეგიტიმური სამხედრო ქმდებების საკითხი დადგა ორ მთავარ მოქმედ პირს — საქართველოსა და რუსეთს შორის.

24) საბოლოოდ, სამხედრო მოქმედება ზემო კოდორის ხეობაში კრიტიკული განხილვის საგანი ხდება. მოსკოვის 1994 წლის შეთანხმებამ

ცეცხლის შეწყვეტის თაობასა და ძალების დაშორიშორებაზე, რომელსაც ხელს აწერს, ასევე, აფხაზეთის მხარე, განაპირობა, რომ „მხარეებმა ზედმიწევნით უნდა შეასრულონ ხმელეთზე, ცასა და ზღვაში ცეცხლის შეწყვეტის პირობა და უნდა შეაჩერონ ყოველგვარი სამხედრო მოქმედება ერთმანეთის წინააღმდეგ“. **რამდენადაც ზემო კოდორის ხეობა არ მიეკუთვნება აფხაზეთის მიერ კონტროლირებად ტერიტორიას, მოსკოვის შეთანხმების დებულების თანახმად, მასზე აფხაზეთის შენაერთების მიერ რუსეთის ძალების მხრიდან მხარდაჭერილმა შეტევამ ძალების არაკანონიერი გამოყენება გამოიწვია, რაც აკრძალულია გაეროს ქარტიის მეორე მუხლით (4) ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების თანახმად და, ასევე, შეიარაღებული შეტევა საქართველოს წინააღმდეგ, როგორც ეს განმარტებულია გაეროს ქარტიის 51-ე მუხლში. საქართველოს მიერ თავდაცვის მიზნით ძალის გამოყენება, ამავე დროს, გამართლებულია როგორც კანონიერი თავდაცვითი ქმედება.** აფხაზეთის მმართველი გუნდი იძლევა ოთხ განსხვავებულ განმარტებას, რათა გაამართლოს სამხედრო ოპერაცია. აფხაზეთი ამტკიცებდა, რომ სამხედრო ოპერაცია ჩატარდა „კოდორის ხეობის გასათავისუფლებლად“, რათა თავიდან აეცილებინათ მშვიდობიან მოსახლეობაზე ტერორისტების თავდასხმა. ასევე, ამტკიცებს, რომ აფხაზეთის ოპერაცია საჭირო იყო აფხაზეთის წინააღმდეგ საქართველოს მხრიდან მოახლოებული საფრთხის თავიდან ასაცილებლად; დაბოლოს, აფხაზეთის მხარე ფიქრობდა, რომ ვალდებული იყო, გაეხსნა „მეორე ფრონტი“ 2005 წლის 19 სექტემბერს სამხრეთ ოსეთთან დადებული მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების თანახმად. თუმცა არც ერთი განმარტება არ ითვლება არსებითად ან კანონის ძალით ქმედითად. ამდენად, **აფხაზეთის მიერ ძალის გამოყენება საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისად არ არის გამართლებული. იგივე ითქმის რუსეთის მხარდაჭერაზე ასეთ ქმედებებში.** 2008 წლის აგვისტოში ძალის გამოყენების შესახებ დისკუსიების შესაჯამებლად ყურადღება უნდა მივაქციოთ ძალისმიერი მუქარის განმეორებით შემთხვევებს თუ ერთი და თუ მეორე მხრიდან, რასაც ადგილი ჰქონდა 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის დაწყებამდე. **უნდა აღინიშნოს, რომ პუნქტი 2 (4) და, ასევე, შესაბამისი ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება მოითხოვს, რომ სახელმწიფოებმა და კონფლიქტის მხარეებმა არა მხოლოდ თავი უნდა შეიკავონ ძალის გამოყენებისაგან, არამედ ძალისმიერი მუქარისგანაც კი.** ნებისმიერი ასეთი სახის მუქარა თანაბარზომიერად შეუსაბამოა მეორე მუხლის (3) პირობებთან, რომელიც განსაზღვრავს კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების ვალდებულებას. ძალისმიერი მუქარა ნებიმიერი მხრიდან არის უკანონო და წარმოადგენს საერთაშორისო კანონის დარღვევას.

**25)** მართალია, პოლიტიკოსების ყურადღებას იქცევს პოლიტიკური და სამხედრო მოვლენები, მათი განვითარება და მნიშვნელობა საერთაშორისო კანონის მიხედვით, ადამიანთა უმრავლესობას, რომლებიც პირდაპირ იყვნენ კონფლიქტის თანამონაწილენი, ახსოვს ბედის უკულმართობისა და,

უწინარეს ყოვლისა, ადამიანთა ტანჯვა-წამების ფაქტები. **2008 წლის აგვისტოს შეიარაღებულმა კონფლიქტმა სისხლის სამართლის ბევრი საქმე გამოავლინა, რომლებიც საერთაშორისო ჰუმანიტარული კანონისა და ადამიანის უფლებების შესახებ კანონის დარღვევითაა ჩადენილი. ამ ქმედებათა მიღმა, რომლებიც ჩადენილია ხუთდღიანი საომარი მოქმედებების განმავლობაში, 7-დან 12 აგვისტომდე, ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების ძალაში შესვლის შემდგომ, აქტების დამატებითი დარღვევა მოხდა, რაც სერიოზულ შეშფოთებას იწვევს სიტუაციის მაკონტროლებელი ძალების თანაპასუხისმგებლობის შესახებ, რომელთა ვალდებულება იყო, დაეცვათ მოქალაქეები. დარღვევებს, რომლებიც ჩადენილია 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტისას და ცეცხლის შეწყვეტის შემდგომ, ადგილი ჰქონდა სამხრეთ ოსეთსა და ეგრეთ წოდებულ ბუფერულ ზონებში. უმნიშვნელო დარღვევებს ადგილი ჰქონდა კოდორის ხეობასა და აფხაზეთში. ეს გამონაკლისი არ ეხება ეთნიკური ქართველების სიტუაციას გალის რეგიონში და აფხაზეთსა და ზემო კოდორის ხეობაში, სადაც მათი, როგორც ეთნიკური უმცირესობის უფლებები, საფრთხის ქვეშ იდგა.**

**26)** სამხრეთ ოსეთისა და ახლომდებარე ტერიტორიების კონფლიქტს რაც შეეხება, **კომისიამ დაამტკიცა, რომ კონფლიქტის ყველა მხარემ — ქართულმა, რუსულმა და სამხრეთ ოსეთისამ — დაარღვია საერთაშორისო ჰუმანიტარული კანონი და ადამიანთა უფლებები. უმეტესწილად, ეს ჩაიდინეს სამხრეთ ოსეთის არარეგულარულმა შეიარაღებულმა ჯგუფებმა, მოხალისე თუ დაქირავებულმა შეიარაღებულმა ინდივიდებმა, თუმცა ძნელია დარღვევაზე პასუხისმგებელი მხარისა და დამნაშავეთა დადგენა. ის ფაქტი, რომ საქართველოსა და რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა უმეტესწილად გამოიყენეს ერთნაირი იარაღი, უფრო ართულებს კონკრეტული ქმედებების განსაზღვრას. მათი უმრავლესობა, ნიშან-თვისებების მიხედვით, სამხედრო დანაშაულს განეკუთვნება.**

**27)** რუსეთისა და სამხრეთ ოსეთის ბრალდება საქართველოსადმი, გენოციდთან დაკავშირებით, ყველაზე სერიოზული განაცხადი იყო. არსებობდა გადაუდებელი აუცილებლობა იმისა, რომ გამოკვლეულიყო წინამდებარე განცხადება, სერიოზული კონოტაციების (მეორადი მნიშვნელობის), რომელიც სიტყვა „გენოციდის“ ფარგლებში თავსდება და, ასევე, მისი კონკრეტული იურიდიული განმარტების გამო და, საერთაშორისო სამართლის თანახმად, აქედან გამომდინარე თანამდევი სერიოზული შედეგების გამო. **ფაქტების საგულდაგულო შემოწმების შემდგომ, შესაბამისი კანონმდებლობის თანახმად, კომისია იძლევა დასკვნას, რომ გენოციდის შესახებ განაცხადი, რომელიც თითქოსდა განხორციელებულ იქნა საქართველოს მხარის მიერ 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის კონტექსტში, არ დასტურდება — არც მისი კვალი და არც ფაქტობრივი სამხილია აღმოჩენილი.** აქედან გამომდინარეობს, რომ საგანმანათლებლო

და საზოგადოების ინფორმირების ზომები ისე უნდა განხორციელდეს, რომ აღმოუჩენელი და დაუდასტურებელი გენოციდის უსაბუთო მტკიცებამ არ გამოიწვიოს დაძაბულობის გაღვივება თუ შურისძიებისკენ წაქეზება. რაც შეეხება მტკიცებას სამხრეთ ოსეთის ან არარეგულარული შეიარაღებული ჯგუფების მიერ ეთნიკურ წმენდასთან დაკავშირებით, **კომისიამ აღმოაჩინა ეთნიკური ქართველების იძულებითი გადაადგილების შემთხვევები, რომლებიც საკუთარ სახლებში რჩებოდნენ საომარი მოქმედებების მიმდინარეობისას. ამასთან, ადგილი ჰქონდა სისტემატური ძარცვის ფაქტებს და სამხრეთ ოსეთში ეთნიკური ქართველებით დასახლებული სოფლების დანგრევას. შედეგად, არსებობს ელემენტები, რომელთა საფუძველზეც ვასკვნით, რომ ადგილი ჰქონდა ეთნიკურ წმენდას სამხრეთ ოსეთში მცხოვრები ეთნიკური ქართველების წინააღმდეგ როგორც 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის დროს, ასევე, მას შემდეგაც.** ამ მოხსენების დაწერის დროსაც კი სამხრეთ ოსეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ახალგორის რეგიონში, სიტუაცია კვლავაც სერიოზულ შეშფოთებას იწვევს, რადგან ეთნიკური ქართველები კვლავაც ტოვებენ საცხოვრებელ ადგილებს.

**28)** საერთაშორისო ჰუმანიტარული კანონის დებულების თანახმად, სამხედრო მოქმედების ჩატარებისა და არამეომარი ხალხის დაცვისათვის, საქმე ეხება დარღვევებს, რომლებიც, ძირითადად, მოიცავს ადამიანების მიმართ სასტიკი მოპყრობის, საკუთრების დანგრევისა და იძულებით გადაადგილების ფაქტებს; უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, **დარღვევები შეიცავს გაურკვეველ შეტაკებებს იარაღის ტიპისა და სამიზნის მიხედვით, რუსეთისა და საქართველოს მიერ ადეკვატური დაცვის ნაკლებობას, ფართოდ გავრცელებულ ძარცვის კამპანიებსა და ეთნიკური ქართველების დასახლებათა ნგრევას სამხრეთელი ოსების მიერ, ასევე, სასტიკ მოპყრობას, გენდერულ სისხლის სამართლის საქმეებს, როგორიცაა გაუპატიურება, დახოცვა, მძევლების აყვანა და თვითნებური დაკავებები. ამასთან, რუსეთის ძალების უძლურებას, შეეჩერებინათ სამხრეთ ოსეთის ძალების დანაშაულებრივი ქმედებები, აღეკვეთათ შეიარაღებული არარეგულარული ჯგუფებისა და შეიარაღებული ინდივიდების არსებობა სამხრეთ ოსეთსა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე ცეცხლის შეწყვეტამდე და მას შემდეგ;** სიტუაციას ამძაფრებს ისიც, რომ ადგილი ჰქონდა იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა ნაკადის გადინებას. დაახლოებით 135 000 პიროვნებამ დატოვა საკუთარი სახლი. უმეტესობა სამხრეთ ოსეთის მიმდებარე ტერიტორიებიდანაა. იმ დროს, როდესაც ადამიანები გადადიოდნენ საქართველოს სხვა რეგიონებში, დიდი ნაწილი ლტოლვილის სტატუსით რუსეთს შეეკედლა. დიდი ნაკადის გადასვლა გამოიწვია კონფლიქტური სიტუაციის გამო არსებულმა საფრთხემ, მაგრამ იძულებითი გადაადგილების სხვადასხვა შემთხვევები საერთაშორისო ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებების დაცვის კანონის დარღვევით მოხდა. მოსალოდნელია, რომ ახლო მომავალში ვერ მოხერხდება 35 ათასზე მეტი ლტოლვილის საკუთარ

სახლებში დაბრუნება, უწყვეტი საფრთხის არსებობის, დანგრეული სახლებისა და საკუთრების გამო. ხაზგასასმელია, რომ **სამხრეთ ოსეთმა და აფხაზეთმა რუსეთთან ერთად უნდა გაატაროს შესაბამისი ზომები ლტოლვილთა და 1990 წელს იძულებით გადაადგილებულ პირთა საკუთარ სახლებში იმ პირობების დაცვით დასაბრუნებლად, რომელსაც შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტები ითვალისწინებს და რომ საქართველომ პატივი უნდა სცეს დაბრუნების პრინციპს, რომელიც გადაადგილებულმა პირმა ინდივიდუალური თავისუფლების გადაწყვეტილების საფუძველზე უნდა მოახდინოს.**

29) „გრადის“ მრავალჯერადი რაკეტული სისტემა და კლასტერული შეიარაღება არის ორი სახის იარაღი, რომლებიც განსაკუთრებით საშიშია, რადგანაც მას აქვს შერეული სასიკვდილო ეფექტი. საქართველომ დაადასტურა მათი გამოყენება მხოლოდ გარკვეული სამხედრო დანიშნულების მიზნით, თუმცა რუსეთი ამტკიცებს, რომ საქართველომ იგი მოქალაქეების წინააღმდეგ გამოიყენა.

სხვადასხვა დამოუკიდებელი მტკიცებულების მიუხედავად, რუსეთმა უარყო კლასტერული იარაღის გამოყენება სპეციალური კომისიის ჩატარების მიუხედავადაც კი, როდესაც ჰოლანდიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ჩაატარა გამოძიება 12 აგვისტოს გორში ჰოლანდიელი ჟურნალისტის დაღუპვის საქმესთან დაკავშირებით. **არსებობს ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულება, რომელიც ეხება „გრადის“ ტიპის რაკეტებს. საქართველო ამტკიცებს, რომ იგი გამოიყენეს მხოლოდ მკაცრი სამხედრო დანიშნულებისათვის სამხრეთ ოსეთის არტილერიის წინააღმდეგ, ცხინვალის ერთ-ერთ რეგიონში, თუმცა OSCE დაკვირვებისა და სხვა დამოუკიდებელი წყაროების თანახმად, მასობრივი დაბომბვა განხორციელდა ცხინვალის სხვა ნაწილებზეც, ასევე, 2008 წლის 7-8 აგვისტოს მრავალჯერადი რაკეტული სისტემისა და საარტილერიო ნაწილებიდან. ამ ფაქტს ასევე ადასტურებს „Amnesty International“ და „Human Rights Watch“ მოხსენება. ეს აღნიშნავს, რომ ცხინვალზე საქართველოს შეტევისას კლასტერული იარაღი გამოიყენეს, რომლითაც საქართველომ შერეული შეტევა განახორციელა დასახლებულ ზონაში, რამაც არაკონტროლირებული ეფექტი გამოიწვია. ასევე, არსებობს რუსეთის მიერ გორზე განხორციელებული შეტაკებისას (და, შესაძლოა, სხვა ადგილებშიც) კასეტური იარაღის გამოყენების რამდენიმე ინდიკატორი და შესაბამისი ეჭვიც.**

30) არსებობდა კი კონფლიქტის აცილების გზები? მართალია, რომ მშვიდობიანი მცდელობები იყო წლების განმავლობაში და, ასევე, — სიტუაციები, როდესაც მშვიდობიანი თანაცხოვრება ნაკლებად შორეული პერსპექტივა ჩანდა, ვიდრე მანამდე? მცდელობის მარცხის მიუხედავად, ის მაინც საუკეთესო გაკვეთილია ყველა მონაწილისათვის. ასეთი გეგმებიდან გადახვევის მიზანი ის იყო, რომ ნებისმიერი დასახლება, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს კონსტიტუციური რეფორმის თანახმად, უნ-

და ჩამოყალიბებულიყო, რათა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ავტონომიებს ჰქონოდათ ავტონომიის მნიშვნელოვანი ხარისხი საქართველოს ფედერაციის შიგნით. ქვეყნის ამ ორი ნაწილისათვის პოლიტიკური სტატუსის მინიჭების შესახებ მოლაპარაკებისას მხარეებს ჰქონდათ ფედერალიზმის ვარიანტებიდან არჩევანის საშუალება. საქართველოს მთავრობა მხარს უჭერდა ეგრეთ წოდებულ ასიმეტრიულ ფედერალიზმს, სადაც ერთ კონსტიტუციურ სახელმწიფოს უფრო მეტი ძალა ექნებოდა, ვიდრე მეორეს. ასეთი მოდელის ქვეშ აფხაზეთს უფრო მაღალი დონის ავტონომია მიენიჭებოდა, ვიდრე — სამხრეთ ოსეთს. თუმცა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მხარეებს უფრო დიდი მოთხოვნები ჰქონდათ – თუ დამოუკიდებლობის მოთხოვნის პირველი მცდელობა უშედეგო იქნებოდა, მაშინ მოეთხოვათ კონფედერაცია. კონფედერაციის მოდელის ქვეშ სუვერენიტეტის აღიარება საერთაშორისო მასშტაბით მოხდებოდა; ეს პრინციპი კი მათ გამოყოფის უფლებას მისცემდათ; ეს არის ვარიანტი, რომელსაც ისინი ხედავდნენ. სუსტი ფედერალური მთავრობის კომბინაცია და წევრი ქვეყნების სუვერენული ძალები საქართველოს მთავრობისათვის არ იყო მისაღები. ქართველებს, ასევე, ეშინოდათ, რომ თუ გამოყოფა არ მოხდებოდა, შემადგენელი ქვეყნები, მათი ინტერესები და მათი შესაძლო უბედურება შეიძლება გამოყენებულიყო როგორც გარე ძალისათვის ხელსაყრელი ბერკეტი საქართველოს შიდა საქმეებში მუდმივი ჩარევისათვის.

36) წინამდებარე მოხსენება გვიჩვენებს, რომ **კონფლიქტის წარმომავლობის განმარტება ვერ იქნება დამყარებული მხოლოდ ცხინვალის 2008 წლის 7-8 აგვისტოს საარტილერიო შეტევაზე და არც იმაზე, თუ შემდგომში როგორ განვითარდა საქართველოს საეჭვო იერიში სამხრეთ ოსეთზე და რუსეთის სამხედრო მოქმედება. შეფასებამ, ასევე, უნდა მოიცვას მრავალწლიანი ომამდელი პერიოდი და თვეებისა და კვირების განმავლობაში მიმდინარე დაძაბულობა, რომელიც წინ უსწრებდა სამხედრო მოქმედებათა დაწყებას.** ასევე, ყურადსაღები უნდა იყოს წლების განმავლობაში მიმდინარე პროვოკაციები, ორმხრივი ბრალდებები, სამხედრო და პოლიტიკური მუქარები და შეტევების აქტები კონფლიქტის ზონის შიგნით და გარეთ. ასევე, უნდა ჩაითვალოს, რომ ადგილი ჰქონდა ძლიერი ქვეყნის იძულებით პოლიტიკას და დიპლომატიას პატარა და არასუბორდინებული მეზობლის წინააღმდეგ, სხვა მცირე და გადაბირებულ მეზობლებთან ერთად, რომელთა ხელითაც ხდებოდა სიტუაციის ესკალაცია საბოლოო შედეგებზე დაფიქრების გარეშე, რომ აღარაფერი ვთქვათ ქვეყნის მნიშვნელოვანი ნაწილების შეფარული ანექსიით სამუდამო დაკარგვის შიშზე. ჩვენ, ასევე, სინანულით აღვნიშნავთ, რომ **ადგილი აქვს საერთაშორისო კანონმდებლობაში ჩამოყალიბებული პრინციპების მიმართ უპატივცემულობას, როგორიცაა ტერიტორიული მთლიანობა, რადგან, ამავე დროს, ყველა მხარე ისწრაფვის, ძალის გამოყენებით მიაღწიოს პოლიტიკურ მიზანს და, მოლაპარაკების გზების ძიების ნაცვლად, ცალმხრივად იმოქმედოს.** შედეგად, შეიარაღებული მოქმედებების კვალდაკვალ, ჩვენ ვხედავთ ადამიანთა ტანჯვის დიდ

კვალს. სად არის პასუხისმგებლობა იმაზე, რაც მოხდა? მთლიანობაში კონ-ფლიქტის წარმოშობას მრავალი მიზეზი ჰქონდა, რომლებიც გაბნეულია დროსა და კომბინირებულ ქმედებებში. **მიუხედავად იმისა, რომ შესაძ-ლებელია მნიშვნელოვან მოვლენებსა და გადაწყვეტილებებზე განხორციელებული ძალაუფლების იდენტიფიკაცია და ამის გამო რომელიმე მხარისათვის კონკრეტული პასუხისმგებლობის წაყენება, არ არსებობს მექანიზმი, რომელიც მთელ პასუხისმგებლობას მხოლოდ ერთ რომელიმე მხარეს დააკისრებდა. ყველა მათგანმა ჩაიდინა არამართებული ქმედება და მათ ეკისრებათ პასუხისმგებლობა ვითარების გამოსასწორებლად.**

37) **საბოლოოდ უნდა აღინიშნოს, რომ ამ კონფლიქტში გამარჯვებული არ არსებობს. ყველა წაგებული დარჩა სიცოცხლისა და საკუთრების დაკარგვის, თუ, სულ მცირე, მომავლის იმედის დაკარგვის თვალსაზრისით.** უცაბედი დანაკარგების პარალელურად, პოლიტიკური სიტუაცია უფრო რთულდება, ვიდრე აქამდე იყო. სიტუაცია რეგიონებში კვლავაც დაძაბული რჩება. ნებისმიერ ინციდენტს შესაძლოა, მოჰყვეს უბედური შემთხვევა. რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობა უპრეცედენტოდ დაბალ დონეზე დაეშვა. **დამარცხებულთა შორისაა საერთაშორისო საზოგადოებაც, ძალისმიერი მუქარა და საფრთხე ამჯერად ევროპულ პოლიტიკას მიუბრუნდა. საერთაშორისო კანონმდებლობის ჩამოყალიბებული პრინციპები, რომლებიც სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას ეხება, უგულებელყოფილ იქნა. საქართველომ კონფლიქტი მოლაპარაკების გზით უნდა მოაგვაროს.**

# „შეაყარე კედელს ცერცვი...“

**წიგნში წარმოდგენილი და განხილული მასალების საშუალებით მკითხველს შესაძლებლობა ჰქონდა, გასცნობოდა მოვლენებს, რაც გაჟღერდა სახალხო დამცველის 2008 წლამდე წარდგენილ ანგარიშებში და რომელთა შესახებ დოკუმენტაციები მოპოვებული იყო როგორც დამოუკიდებელი ჟურნალისტური ძიების შედეგად, ისე საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციების მიერ.**

**ახლა კი გთავაზობთ ამონარიდებს საქართველოს სახალხო დამცველის 2009 წლის მოხსენებიდან, სადაც აშკარად იკვეთება, რომ საქართველოს ხელისუფლებას არა თუ არ გაუთვალისწინებია საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციები ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სფეროში, არამედ ამ ბოლო პერიოდში ამ მხრივ მდგომარეობა მკვეთრადაც კი გაუარესდა.**

შინაგან საქმეთა სამინისტრო და ადამიანის უფლებები

მანიფესტაციებში მონაწილე პირების მიმართ გამოყენებული ძალა რიგ შემთხვევებში სცილდებოდა დასაშვებ ზღვარს. ამასთან, იყო ფაქტები, როცა სამართალდამცველთა ქმედებების გამო ჟურნალისტებს თავიანთი მოვალეობის სრულყოფილად შესრულების საშუალება არ ეძლეოდათ.

ზემოაღნიშნული იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ ბოლო პერიოდში კვლავაც შეინიშნებოდა სამართალდამცველების მიერ ძალის გადამეტებული გამოყენება, რამაც ისევ ეჭვქვეშ დააყენა 2004 წლიდან განხორციელებული სამართალდამცავი სისტემის რეფორმა.

პოლიციის მიერ ძალისა და უფლებამოსილების გადამეტების ფაქტებმა იმატა დასავლეთ საქართველოში.

საჩივრების დიდი ნაწილი კვლავ ეთმობა პოლიციელების მიერ დაკავების პროცესში პირზე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლის განხორციელებას. მაგალითისათვის დავასახელებთ **სულხან ქობულაძის** ახსნა-განმარტებას, საიდანაც ირკვევა, რომ იგი 2009 წლის 10 თებერვალს, ღამის საათებში, ქუთაისის შს სამმართველოს პოლიციის მე-2 განყოფილებაში შევიდა და თანამშრომლებს სთხოვა, ტელეფონით მეგობრებს დაკავშირებოდა, რათა იქვე გაჩერებული ავტომობილისთვის საწვავი მოეტანათ. პიროვნებასა და პოლიციის თანამშრომლებს შორის მოხდა ხანმოკლე შეკამათება, რის შემდეგაც ს. ქობულაძე იატაკზე აღმოჩნდა. დაკავებული იხსენებს, რომ პოლიციის თანამშრომლებმა მას სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა (სცემდნენ წიხლებით) მიაყენეს.

ქობულაძის დაზიანებების შესახებ მითითებულია დროებითი მოთავსების იზოლატორში განთავსებულ დაკავებულ პირთა აღრიცხვის წიგნშიც.

ბოლო პერიოდში არაერთხელ აღნიშნულა დროებითი მოთავსების

იზოლატორში პირებისათვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების ფაქტები. რიგ შემთხვევებში აღნიშნულ მოვლენებს თვითმხილველებიც ადასტურებენ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსგან მიღებული ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, შსს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს დროებითი მოთავსების იზოლატორებში 2009 წლის 1 იანვრიდან 1 ივლისამდე სულ შესახლებულ იქნა 9 358 პირი, მათგან სხეულის დაზიანებით — 2 748, პოლიციის მიმართ პრეტენზია გამოთქვა 16 პირმა.

მაგალითად, **ნუგზარ ოთანაძეს** 2009 წლის 12 მაისს, დროებითი მოთავსების იზოლატორში მოთავსების შემდეგ, უნიღბო პირები სცემდნენ რეზინის ხელკეტებით, ხოლო ცემის დროს პერიოდულად გაჰყავდათ და წყალში თავს აყოფინებდნენ. სახალხო დამცველის რწმუნებულებისთვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში **დენის გვენეტაძემ** აღნიშნა, რომ 2009 წლის 21 იანვარს ის სცემეს სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა, რაც თვითმხილველებმაც დაადასტურეს.

## საქართველოს პროკურატურა და ადამიანის უფლებები

მკაფიოდ იკვეთება, რომ სამართალდამცველთა მიერ შესაძლო სამართალდარღვევების ფაქტები რეალურად არ არის ეფექტიანად გამოძიებული და ხშირად არაგონივრულად იწელება ვადებში. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ რიგ შემთხვევებში საქმის გამოძიება ჭიანურდება მაშინაც, როცა საქმეში არსებობს კანონის დამრღვევი პირების ამოცნობისათვის საჭირო ვიდეომასალა.

**ვახტანგ ლაღიძეს** მიმდინარე წლის 14 აპრილს 12 პიროვნებამ მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა. ვინაიდან (მისი განმარტებით) მას სცემეს „მსოფლიო ბანკის“ ოფისის მიმდებარე ტერიტორიაზე, სახალხო დამცველმა ,,მსოფლიო ბანკის“ ოფისიდან გამოითხოვა ბანკის შენობაზე დამონტაჟებული ვიდეოკამერების ჩანაწერი. ჩანაწერში კარგად ჩანს თავდასხმის დეტალები და თავად თავდამსხმელთა სახეებიც.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ, როცა სისხლის სამართლის საქმეში არსებობს მასალები, რომლებიც დამნაშავეთა იდენტიფიკაციის შესაძლებლობას იძლევა, სისხლის სამართლის საქმეზე კი 6 თვის მანძილზე მიმდინარეობს გამოძიება, ეს ბადებს პროკურატურის მიერ არა მარტო ეფექტიანი გამოძიების, არამედ კონკრეტული პროკურორების მიერ თავიანთი ფუნქციების კეთილსინდისიერად განხორციელების საფუძვლიან ეჭვს.

## შესაძლო წამების ფაქტების (სსკ 144-ე მუხლი) დაკვალიფიცირება სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების (სსკ 333-ე) მუხლით

2009 წლის პირველ ნახევარში საპროტესტო აქციების მიმდინარეობისას სამართალდამცველთა მხრიდან ჩადენილ კანონდარღვევებზე გამოძიება დაწყებულია ძირითადად მხოლოდ სსკ 333-ე მუხლით (იხ. შეკრებები და მანიფესტაციები), მაშინ, როცა რიგ შემთხვევებში სამართალდამ-

ცავი ორგანოების მიერ გატარებული ქმედებები ბევრად უფრო მძიმე ხასიათის იყო და შეიძლება შეიცავდა წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ნიშნებსაც.

ადამიანის უფლებათა სფეროში საქართველოს მიერ რატიფიცირებული მრავალი ხელშეკრულება ცალსახად და უპირობოდ კრძალავს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახავ მოპყრობას. საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლი და გაეროს წამების საწინააღმდეგო კონვენციის 1-ლი მუხლი აბსოლუტური უფლების სახით აყალიბებს წამების, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის აკრძალვას. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144[3]-ე მუხლის თანახმად, „დასჯადია პირის დამცირება ან იძულება, არაადამიანურ, ღირსებისა და პატივის შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენება, რაც მას ძლიერ ფიზიკურ, ფსიქიკურ ტკივილს ან მორალურ ტანჯვას აყენებს“.

# მდგომარეობა საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში

## მდგომარეობის ზოგადი მიმოხილვა

2007 წლის 21 მარტიდან 2 აპრილამდე საქართველოში განხორციელებული ვიზიტის შემდეგ წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და სასჯელის აღკვეთის ევროპულმა კომიტეტმა (CPT) აღნიშნა: ,,საქართველომ რომ ამდენი მოქალაქე გამოკეტა ციხეში, არ შეიძლება აიხსნას მხოლოდ დანაშაულის მატებით, არამედ „ნულოვანი ტოლერანტობითაც“ დამნაშავეთა მიმართ ძალოვანი სტრუქტურების მხრიდან. ამაზე პასუხისმგებლობა პროკურატურამ და სასამართლომაც უნდა გაინაწილოს. შეუძლებელი გახდება ციხის მშენებლობის პროგრამისთვის, ფეხი აუწყოს ასე სწრაფად მზარდ მოთხოვნას.

ევროპული ციხის წესების ერთ-ერთი საბაზისო პრინციპი ასე ჟღერს: „ადამიანის უფლებების შემლახავი ციხის პირობების არსებობა არ არის გამართლებული რესურსების ნაკლებობით“. აქედან გამომდინარე, სახელმწიფომ ყველა ეტაპზე უნდა უზრუნველყოს სასჯელაღსრულების სისტემაში არსებული პრობლემების მოგვარებისათვის აუცილებელი რესურსების გამოყოფა.

სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოთავსების შემდეგ დაპატიმრებული პირები არ უნდა კარგავდნენ ადამიანური ღირსების შეგრძნებას, მიუხედავად მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა. თუმცა საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაში არის დაწესებულებები, სადაც პატიმრის ყოფნა არაადამიანურ მოპყრობადაც კი შეიძლება ჩაითვალოს. ამის მაგალითებია №1 საპყრობილე, №3 საპყრობილე, №4 საპყრობილე, №7 საერთო, მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულება, №9 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულება.

სასჯელის მიზანი, სამართლიანობის აღდგენისა და ახალი დანაშაულის თავიდან აცილების გარდა, არის დამნაშავის რესოციალიზაცია. ამ უმნიშვნელოვანესი მიზნის მიღწევა კი იმ პირობებში, რომლებშიც ბევრ პატიმარს უწევს ყოფნა, შეუძლებელია. უფრო მეტიც, ადამიანი, რომელმაც ჩაიდინა ნაკლებად მძიმე, საზოგადოებისთვის ნაკლებად საშიში დანაშაული, შეიძლება სასჯელაღსრულების დაწესებულების პირობებში ჩამოყალიბდეს ასოციალურ, გაბორკტებულ, ფსიქიკადარღვეულ ინდივიდად, რომელიც გაცილებით უფრო საშიში იქნება საზოგადოებისათვის სასჯელის მოხდისა და გათავისუფლების შემდეგ, ვიდრე თავისუფლების აღკვეთამდე იყო.

სხვადასხვა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულები და მათი ოჯახის წევრები ხაზს უსვამენ პატიმრების მძი-

მე პირობებში ყოფნას, ზოგიერთ დაწესებულებაში ადმინისტრაციის თანამშრომლების მიერ მათ მიმართ დამამცირებელ მოპყრობას. ზემოაღნიშნული განსაკუთრებით ქსნის №7 საერთო, მკაცრი და საპყობილის რეჟიმის დაწესებულების ადმინისტრაციას ეხება.

ქ. ქუთაისის №2 მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულებაში, ხონის №9 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში, მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში, გეგუთის №8 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში განთავსებული პატიმრებიც აღნიშნავენ, რომ დაწესებულების თანამშრომლები მათ გულგრილად და უხეშად ექცევიან.

## არასათანადო მკურნალობა

პენიტენციარული სისტემის დაწესებულებებში ერთ-ერთ ძირითად პრობლემას წარმოადგენს ტუბერკულოზი. მიუხედავად წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მიერ გაწეული დახმარებისა, ამ მხრივ სისტემაში საგანგაშო სიტუაციაა შექმნილი.

თუ გადავხედავთ სიკვდილიანობის სპექტრს, 2009 წლის პირველ ნახევარში გარდაცვლილ პაციენტთა დიდ უმრავლესობაში სიკვდილის მიზეზი ტუბერკულოზი იყო.

გარდაცვლილ პაციენტთა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზების განხილვის, ასევე, არსებული სამედიცინო დოკუმენტაციის გადახედვისა და პაციენტთა სპექტრის გათვალისწინებით სერიოზული პრობლემა არსებობს, რაც განპირობებულია სამედიცინო მომსახურების ტოტალური კრიზისით.

პენიტენციარული ჯანდაცვის საკითხებში ცალკე უნდა გამოიყოს ვირუსული ჰეპატიტის პრობლემატიკა.

პენიტენციარული სისტემის დაწესებულებათა ნაწილში (6 დაწესებულება) ვირუსული ჰეპატიტის რეგისტრაციას საერთოდ არანაირ ყურადღებას არ აქცევენ, დანარჩენ დაწესებულებებში კი ვირუსული ჰეპატიტით დაავადებული სულ 290 რეგისტრირებული პაციენტია.

ადგილობრივ ექიმებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ პრობლემა გაცილებით უფრო ღრმაა, ვიდრე მხოლოდ სტატისტიკური მონაცემები აჩვენებს. ჰეპატიტის ტოტალური სკრინინგის შემთხვევაში პაციენტთა დაახლოებით 40-60%-ს შესაძლოა, სისხლში აღმოაჩნდეს რომელიმე ვირუსული ჰეპატიტის მარკერი.

სანუგეშო შედეგებს არც გარდაცვლილ პაციენტთა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნების განხილვა იძლევა. გარდაცვლილ პაციენტთა დიდ ნაწილს მორფოლოგიურად დადგენილი აქვს ღვიძლის ამა თუ იმ ხარისხის დაზიანება მარტივი მორფოლოგიური ცვლილებებიდან ციროზის შორს წასულ ფორმამდე.

სწორედ ამგვარი მდგომარეობის ფონზე შეიძლება პირდაპირ თქმა იმისა, რომ ჰეპატიტის სახეობების გავრცელების ასეთი ფართო მასშტაბები სწორედ პენიტენციარულ სისტემაში შექმნილი მდგომარეობით აიხსნება. აღნიშნული ტენდენცია არაერთხელ დადასტურდა სტრასბურგის ადა-

მიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საქმეებში საქართველოს წინააღმდეგ.

უპირატესად გავრცელებული სხვა დაავადებებიდან აღსანიშნავია შაქრიანი დიაბეტი. ამ დიაგნოზით სულ რეგისტრირებულია 154 პირი. საგანგაშოა ის გარემოება, რომ შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ პაციენტთათვის არ არსებობს სამკურნალო კვების დაცვის შესაძლებლობა. ამ ფონზე ნებისმიერი ყველაზე სრულყოფილი სამკურნალო რეჟიმის პირობებშიც კი ყველა სამედიცინო ღონისძიება არაპერსპექტიული და წარუმატებელია. საგანგაშოა ის ფაქტიც, რომ დიაბეტით დაავადებულ პაციენტთაგან მხოლოდ ერთეული შემთხვევებია დაფიქსირებული, როცა პაციენტს ჩატარებული აქვს ენდოკრინოლოგის კონსულტაცია. სხვა შემთხვევებში დანიშნული მკურნალობა და რეჟიმი არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებსა და პაციენტის ჯანმრთელობის ინტერესებს.

საკმაოდ მწვავეა ბრონქული ასთმის საკითხიც. დამატებითი ფაქტორებიდან გასათვალისწინებელია გარემოს დაბინძურების პრობლემაც. ამ მხრივ შემაძრწუნებელია მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებისა და თბილისის №8 საპყრობილის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული ნაგავსაყრელი (ნაგვის წვის პროცესი).

რაც შეეხება პატიმართა შორის ეპილეფსიის გავრცელებას, ამ მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ პენიტენციარული სისტემის დაწესებულებებში ექიმების მიერ რეგისტრირებულია ეპილეფსიის 142 შემთხვევა. მათ შორის არიან პატიმრები გულყრის მძიმე ფორმებით.

დაფიქსირებულია ეპილეფსიური სტატუსის განვითარების შემთხვევებიც. ამ დროს პრობლემის გადაწყვეტის ღონისძიებად რჩება სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახება და პაციენტის გადაყვანა პენიტენციარულ სამკურნალო დაწესებულებაში. მიუხედავად იმისა, რომ პაციენტთა ძირითადი ნაწილი კონსულტირებულია ნევროლოგის მიერ, ექიმსპეციალისტის ზედამხედველობა საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ამ მდგომარეობის კონტინგენტზე არაადეკვატურია. შესაბამისად, ჩატარებული მკურნალობის ხარისხიც არადამაკმაყოფილებელია. მარტივად რომ ვთქვათ, ეპილეფსიით დაავადებულ პატიმარს, რომელსაც ნევროპათოლოგი წელიწადში ერთხელ ან ორჯერ ნახულობს, დაავადების მიმდინარეობის მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ პაციენტი კვალიფიციური მკურნალობის გარეშეა დატოვებული.

დაწესებულებათა დიდ ნაწილში ფართოდაა გავრცელებული ტილი, ბაღლინჯო, რწყილი. პაციენტებს აქვთ მუნი და სხვა გადამდები დაავადებები, რომელთა შემცირება და მომატება სეზონურ-ტალღურ ხასიათს ატარებს.

ემოციური დაძაბულობის, დეპრესიის ან თვითმკვლელობის მცდელობის შემთხვევებში ფსიქიატრი და ფსიქოლოგი, როგორც წესი, არ ერთვებიან საქმეში. ამის მიზეზიც, უმეტეს შემთხვევაში, ამ სპეციალისტთა საერთოდ არარსებობაა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ პენიტენციარულ დაწესებულებებში ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხე-

ბი უკვე კარგა ხანია, მკვეთრად გასცდა კრიზისისა და საგანგაშო მდგომარეობის ნიშნულს.

## განსაკუთრებული კატეგორიის პატიმართა უფლებების უგულებელყოფა

პატიმართა განსაკუთრებული კატეგორიების მიმართ არ არსებობს ადეკვატური მიდგომა. ქალები და არასრულწლოვანი პატიმრები ზოგან შეუსაბამო პირობებში იმყოფებიან. უხეშად ირღვევა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე თავისუფლებააღკვეთილ პირთა უფლებებიც. უმრავლეს შემთხვევებში მათ მიმართ არაჰუმანური მოპყრობის ფაქტები ვლინდება, რაც დაუყოვნებლივ მოითხოვს აღკვეთას.

**არის დისკრიმინაციის ფაქტებიც, ასევე, შემთხვევები, როდესაც ეპიდემიოლოგიური ფაქტორების აშკარა უგულებელყოფით საფრთხე ექმნება სხვა პატიმართა და საპყრობილის თანამშრომელთა ჯანმრთელობასაც. საქართველოს პენიტენციარული სისტემის დაწესებულებებში საკმაოდ დიდი რიცხოვნობით არიან ისეთი პირები, რომელთათვისაც შეუთავსებელია ხანგრძლივი პატიმრობა. არ არსებობს ასეთ პატიმართათვის სპეციალური მოვლის პირობები, კვალიფიციური პერსონალი და ადეკვატური საშუალებები. მათი ყოფნა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არაჰუმანური მოპყრობის ნათელ მაგალითებადაა განსახილველი.**

## პაციენტთა უფლებების ხელყოფის სხვა შემთხვევები

მონიტორინგის დროს აღმოჩნდა, რომ უმეტეს შემთხვევაში პატიმრების სამედიცინო შემოწმებას მხოლოდ ფორმალური ხასიათი აქვს და იგი არ შეესაბამება კანონით მოთხოვნილ სავალდებულო კრიტერიუმებს. პაციენტთა შემოწმებას შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში ესწრება საპყრობილის თანამშრომელი — მორიგე ოფიცერი ან კონტროლიორი. საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მსგავსი ტენდენცია შენარჩუნებულია პაციენტის ექიმთან კონტაქტის ნებისმიერი ფორმის დროს. ამ თვალსაზრისით უხეშად ირღვევა საექიმო საიდუმლოს, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და კონფიდენციურობის პრინციპი, რაც აბსოლუტურად დაუშვებელია.

## გარდაცვლილი პატიმრები

საქართველოს პენიტენციარული სისტემის დაწესებულებებში 2009 წლის პირველ ნახევარში გარდაცვლილ პაციენტთა ზუსტი რაოდენობის შესახებ ოფიციალური ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი.

მონაცემების შეჯერების შედეგად, ირკვევა რომ 2009 წლის პირველ ნახევარში პენიტენციარული სისტემის დაწესებულებებში გარდაიცვალა არა 54 პატიმარი, როგორც ამას სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა აცხადებს, არამედ — 62 პატიმარი.

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ მოწოდებული

დასკვნების ანალიზის საფუძველზე, გარდაცვლილ პატიმართა დაახლოებით 63%-ს აღენიშნებოდა ფილტვების, ზოგიერთ შემთხვევაში — სხვა ორგანოების ტუბერკულოზი. გასული წლების მსგავსად, ტუბერკულოზი ამჯერადაც სახელდება პატიმართა სიკვდილიანობის №1 მიზეზად. ტუბერკულოზურ ცვლილებებს 22%-ის შემთხვევაში ფილტვში ერთვოდა ტუბერკულოზური პნევმონია და პლევრიტი. შემთხვევათა 9%-ში სიკვდილის უშუალო მიზეზად ექსპერტიზამ ბანალური პნევმონია (ფილტვების ანთება) დაასახელა.

საგანგაშოა, რომ 21-ე საუკუნეში ფილტვების ანთებით გამოწვეული სიკვდილი კვლავ მაღალ ნიშნულს ინარჩუნებს. გარდაცვალების მიზეზის სიხშირით მეორე ადგილზეა ჰეპატიტი და ციროზი (17%).

**გარდაცვლილთა ასაკობრივი კატეგორიები**

21-30 წლის ასაკის პატიმრები — 22%;
31-40 19%;
41-50 30%;
51-60 20%;
61-70 9%;

პაციენტთა აბსოლუტური უმრავლესობა (77%) გარდაცვლილია სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში, დაახლოებით 10% — სასჯელაღსრულების სხვადასხვა დაწესებულებაში, ხოლო 13% — სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში პენიტენციარული სისტემის გარეთ.

აღნიშნული სურათი ბოლო წლებში პენიტენციარული ჯანდაცვის სისტემის კვლავ ღრმა კრიზისის პირობებში ყოფნაზე მეტყველებს, რასაც ასეულობით პატიმრის სიცოცხლე და ათასობით მსჯავრდებულის ჯანმრთელობა ეწირება.

## არასათანადო მოპყრობა

ქუთაისის №2 საპყრობილის და მკაცრი რეჟიმის დაწესებულების დირექტორი აგრესიულად არის განწყობილი როგორც პატიმრების, ისე საკუთარი თანამშრომლების მიმართაც. იგი მისსავე კაბინეტში დაწესებულების თანამშრომლებს მიმართავს უხეშად და შეურაცხმყოფელად.

პატიმართა გადმოცემით, დაწესებულების ადმინისტრაცია მათ დასჯის მიზნით ხანგრძლივი დროით ათავსებს ე.წ. სასამართლოზე გამსვლელ პირთა მოსათავსებელ ოთახებში, რომელიც დაახლოებით 1 კვ მ ფართისაა და დგას ხის მხოლოდ ერთი გრძელი სკამი. გარდა ამისა, მონიტორინგის ჯგუფის წევრებმა ნახეს ერთი პატიმარი, რომელიც მოთავსებული იყო კარცერში, სადაც ჩამოდიოდა წყალი და იატაკზე იდგა გუბე.

ქუთაისის №2 დაწესებულებაში პატიმრებთან არასათანადო მოპყრობის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია 2009 წლის ივლისში მომხდარი ინციდენტი, როცა დაწესებულებაში განთავსებულმა არასრულწლოვნებმა მიიღეს სხეულის დაზიანებები.

2009 წლის 6 ივლისს, 21.00 საათისათვის, კონტროლიორმა შენიშნა, რომ №102 საკნის გისოსიდან რკინის ჩხირები იყო გამოღებული და სა-

კანში სარეჟიმო განყოფილების თანამშრომელი მიიყვანა. როგორც პატიმრები ამბობენ, საკნის გისოსში მათ ადრე ტელევიზორი ჰქონდათ ჩადგმული, რომელიც გვერდით საკანს გადასცეს. შესაბამისად, სარკმელზე არსებული ჩხირებიც ადრე იყო მოშორებული.

სარეჟიმო განყოფილების ხუთამდე თანამშრომელმა საკანი შეამოწმა, მაგრამ გისოსიდან გამოღებული ჩხირები ვერ იპოვა. 20-ოდე წუთის შემდეგ ისინი საკანში სხვა თანამშრომლებთან ერთად დაბრუნდნენ და პატიმრები ე.წ. კარანტინის კორპუსში გადაიყვანეს. კორპუსის შესასვლელთან არასრულწლოვანი პატიმარი ლ. ლ. მეორე პატიმარს გაეხუმრა, რაზეც დაწესებულების თანამშრომელმა მას სახეში ხელი გაარტყა. ხმაურზე მობრუნებულმა პატიმრებმა დაინახეს, რომ ერთ-ერთ თანამშრომელს ლ. ლ. ხელით ეჭირა, მეორე კი ურტყამდა. შემდეგ საპყრობილის თანამშრომლებმა ერთ-ერთი პატიმარი ძალით მიიყვანეს კედელთან და ყელზე ხელი წაუჭირეს.

პატიმრების ცემას დანარჩენი არასრულწლოვნების სიტყვიერი პროტესტი მოჰყვა. მათ ჯერ საკანში დაბრუნება, მერე კი უფროსთან შეხვედრა მოითხოვეს. საბოლოოდ არასრულწლოვნები საკანში დააბრუნეს, მაგრამ მათ პროტესტის ნიშნად ხმაური და კარებზე ბრახუნი დაიწყეს. პატიმართა მხარდასაჭერად ხმაური გვერდით საკანშიც ატეხეს. ამის შემდეგ მათ შეხვდათ დაწესებულების უფროსი, რომელთანაც მომხდარის გამო უკმაყოფილება გამოთქვეს. მათი განცხადებით, სიტყვიერი შეურაცხყოფა მხოლოდ იმ თანამშრომელს მიაყენეს, ვინც მათ თანასაკნელებს სცემდა. დირექტორთან შეხვედრის შემდეგ არასრულწლოვნები დამშვიდდნენ და, როგორც აღნიშნეს, რამდენიმემ დაიძინა კიდეც.

მიუხედავად იმისა, რომ უკვე ყველაფერი მიწყნარდა, ღამის 2 საათისთვის საკნებში ნიღბიანი სპეცრაზმელები შევიდნენ და პატიმრებს გარეთ გამოსვლა მოსთხოვეს. არასრულწლოვნები ამბობდნენ, რომ თავდაცვის მიზნით ისინი თვითდაზიანებით იმუქრებოდნენ. ზოგიერთმა მათგანმა ხელიც გადაისერა. სამ საკანში განთავსებული არასრულწლოვნები დერეფანში გაიყვანეს, ხელები კედელზე დააწყობინეს და სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. არასრულწლოვნებს სცემდნენ გაშლილი ხელით, სველი ცხვირსახოცით, ბოქლომით, არ აძლევდნენ განძრევის უფლებას.

პატიმართა გადმოცემით, სპეცრაზმელები განსაკუთრებით №102 საკნის პატიმრებს გაუსწორდნენ, მათ შორის, ლ. ლ.-ს, რომელიც გონდაკარგული ძირს დაეცა. დერეფანში გამოყვანის შემდეგ სპეცრაზმელებმა 7 არასრულწლოვნის გვარი ამოიკითხეს, რომელთაც განსაკუთრებით გაუსწორდნენ. როგორც პატიმრები ამბობენ, მათ კედელზე ხელებდაწყობილებმა დაახლოებით 5 საათი გაატარეს, განძრევის შემთხვევაში მათ თავზე დაშარდვით და ე.წ. ქათმების საკანში მოთავსებით ემუქრებოდნენ. შემდეგ არასრულწლოვნები ორჯერ გაატარეს ე.წ. კორიდორში, სადაც მათ საპყრობილის თანამშრომლები და სპეცრაზმელები ერთობლივად სცემდნენ და აფურთხებდნენ. შემდეგ ისინი კარანტინის კორპუსში გადაიყვანეს.

საკარანტინო კორპუსის სხვადასხვა საკანში მსხდარი არასრულწლოვანი პატიმრები აბსოლუტურად ერთნაირ ინფორმაციას იძლევიან ცემის მიზეზების, ფორმებისა და მეთოდების თუ ადგილის შესახებ.

პატიმრებს სხეულზე დაზიანებები აღენიშნებოდათ, ნაწილს არ ჰქონდა ტანსაცმელი, ზოგმა გადაყვანისას ფეხსაცმელი დაკარგა. მათი თქმით, საკნებიდან არასრულწლოვანთა გამოყვანა ვიდეოფირზეა ასახული.

აღსანიშნავია, რომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერ ოფიციალურად გავრცელებული ინფორმაციით, ინციდენტის დროს არავინ დაშავებულა, რაც რეალობას მოკლებულია რადგანაც არასრულწლოვანთა ვიზუალური დათვალიერებისას აშკარა იყო, რომ ქუთაისის №2 საპყრობილისა და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში 7 ივლისის მდგომარეობით მყოფ 12 არასრულწლოვან პატიმარს სხვადასხვა სახისა და ზომის დაზიანება აღენიშნებოდა.

7 ივლისს პატიმრებს შემოწმება ჩაუტარდათ (სავარაუდოდ, სამედიცინო), რომელიც ზედაპირული იყო და, ფაქტობრივად, არც დაფიქსირებულა, სინამდვილეში რა დაზიანებები აღენიშნებოდათ. ვიზუალური დათვალიერება უცნობმა მამაკაცმა განახორციელა, რომელმაც პატიმართა მხოლოდ ბიოგრაფიული მონაცემები ჩაინიშნა. არასრულწლოვნების განმარტებით, დაზიანებების მიღების შემდეგ ისინი არც დაწესებულების ექიმს მოუნახულებია.

როგორც არასრულწლოვანი პატიმრები ახსნა-განმარტებაში აღნიშნავენ, 8 ივლისს, დაახლოებით 11 საათზე, საკანში კანალიზაცია გაიჭედა და კონტროლიორს დაუძახეს. შემოსულმა ოთხმა კაცმა არასრულწლოვნები აიძულა, ზურგით დამდგარიყვნენ და დაუწყო ცემა. ისინი თან აგინებდნენ და აფურთხებდნენ. მერე მაგიდიდან ყველაფერი გადაუყარეს და აიძულებდნენ, იატაკი მოეწმინდათ.

აშკარაა, რომ ქუთაისის №2 საპყრობილისა და მკაცრი რეჟიმის დაწესებულების თანამშრომლებმა გამოიყენეს სრულიად შეუსაბამო ძალა, რაც შეიძლება შეფასდეს, როგორც არაადამიანური მოპყრობა – 4-5 საათის განმავლობაში ზურგსუკან თავზე ხელებდაწყობილ მდგომარეობაში დგომის იძულებით, წიხლებთან ერთად სველი ცხვირსახოცით და ბოქლომით ცემით და დამამცირებელი მოპყრობით, სახეში შეფურთხებით და არასრულწლოვანთა მისამართით უცენზურო და უშვერი სიტყვების გამოყენებით.

ცალკე აღსანიშნავია, რომ ერთი არასრულწლოვანი პატიმარი — დ. ბ. ინციდენტის შემდეგ სხვა არასრულწლოვნებისგან განაცალკევეს და ე.წ. ბოქსში გადაიყვანეს — მცირე ზომის ბნელ ნესტიან უჰაერო საკანში, სადაც კედლები და ჭერი დაზიანებულია, ჩამოდის წყალი და გაჟღენთილია სპეციფიკური სუნით. 2,5 კვ მ საკნის ნახევარში ორ სანტიმეტრამდე წყალი დგას.

არასათანადო მოპყრობის მაგალითია, ასევე, გეგუთის №9 საერთო და მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფი პატიმრის, **ტრისტან ახრახაძის** საქმე. სასჯელის მოხდის პერიოდში აღნიშნულ პატიმარს ძოწენიძის სახელობის იმერეთის სამხარეო კლინიკურ საავადმყოფოში ორივე ქვედა კიდურის მაღალი ამპუტაცია ჩაუტარდა.

პაციენტი ხანგრძლივად იმყოფებოდა ხონის №9 საერთო და მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. იგი განთავსდა ე.წ. სამედიცინო ნაწილის ცალკე საკანში, სადაც არ იყო სველი წერტილი, კარი, ფანჯარა ბოლომდე არ იკეტებოდა, სუფევდა ანტისანიტარია. ტრისტან ახრახაძეს არ ჰქონდა პაციენტისათვის აუცილებელი და შესაფერისი სამედიცინო დანიშნულების ავეჯი და საგნები. იგი მუდმივად უმოძრაოდ იჯდა საწოლზე და დამოუკიდებლად ვერ გადაადგილდებოდა, ვერ იცავდა პირად ჰიგიენას. ადგილობრივი პერსონალის განმარტებით, მას ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილებაში ერთ-ერთი პატიმარი ეხმარებოდა. ყოველი ასეთ აუცილებლობის შემთხვევისას პაციენტი ღრმად განიცდიდა თავის მდგომარეობას.

## რეჟიმის არასწორი განსაზღვრა

თბილისის №7 საპყრობილიდან მსჯავრდებულები, რომლებსაც განსაზღვრული აქვთ საერთო ან მკაცრი რეჟიმი, გადაჰყავთ რუსთავის №6 საპყრობილეში. ითვლება, რომ ამით ისინი საპყრობილის რეჟიმიდან გადადიან საერთო ან მკაცრ რეჟიმზე. პრაქტიკულად კი ისინი ისევ რჩებიან საპყრობილის რეჟიმზე. აღნიშნულის მიზეზად უნდა დასახელდეს ის გარემოება, რომ №7 საპყრობილეში, ძირითადად, განთავსებული არიან ე.წ. ქურდული სამყაროს წევრები. მიუხედავად იმისა, რომ კანონი არ ითვალისწინებს ამ კატეგორიის პატიმრებისათვის გამორჩეულად მკაცრ პირობებს, რეალურად ისინი სასჯელის უდიდეს ნაწილს საპყრობილის რეჟიმზე იხდიან.

## გადატვირთულობა

გადატვირთულობის პრობლემის მოუგვარებლობის მიზეზად, პირველ რიგში, არასწორი მიდგომა უნდა დასახელდეს – პრობლემის გადაჭრის უპირველეს მეთოდად განიხილება დაწესებულებების რაოდენობის გაზრდა, მაშინ, როდესაც ევროპის საბჭოს 1999 წლის 30 სექტემბრის რეკომენდაციაში გადატვირთულობის პრობლემის გადაჭრის გზად მიჩნეულია ისეთი ღონისძიებები, როგორიცაა: სისხლის სამართლის პოლიტიკის შერბილება, მცირე საფრთხისმატარებელი ქმედებების დეკრიმინალიზაცია, თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივობის მაქსიმალური შემცირება, არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების თუ სასჯელების, პირობითი მსჯავრის, ამნისტიებისა და შეწყალებების ფართო გამოყენება.

აღნიშნული რეკომენდაციის 1-ლი პუნქტის მიხედვით, „თავისუფლების აღკვეთა უნდა განიხილებოდეს როგორც უკიდურესი შემთხვევა და მხოლოდ მაშინ გამოიყენებოდეს, როდესაც, დანაშაულის სიმძიმიდან გამომდინარე, ნებისმიერი სხვა სანქცია ან ზომა აშკარად არაადეკვატური იქნებოდა“. იგივეა ნათქვამი 2006 წლის 11 იანვრის რეკომენდაციაში ევროპული ციხის წესების შესახებ.

რუსთავის №2 დაწესებულებაში, რომლის ლიმიტია 2744, განთავსებულია 3223 მსჯავრდებული; ქსნის №7 დაწესებულებაში, ლიმიტი – 1600,

განთავსებულია — 2475; ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში, ლიმიტი – 540, განთავსებულია — 672; თბილისის №1 საპყრობილეში, ლიმიტი – 750, განთავსებულია — 947; ბათუმის №3 საპყრობილეში, ლიმიტი – 557, განთავსებულია — 832; ზუგდიდის №4 საპყრობილეში, ლიმიტი – 305, განთავსებულია 462.

ზოგიერთ მათგანში გადატვირთულობას ემატება ის უმძიმესი საყოფაცხოვრებო პირობები, რომლებშიც პატიმრებს უწევთ ყოფნა, რაც, ერთად აღებული, შეიძლება შეფასდეს, როგორც არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა.

მდგომარეობას ამძიმებს ისიც, რომ ზოგიერთ დაწესებულებაში, კანონის დარღვევით, ერთად არიან მოთავსებული მსჯავრდებულები და წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირები.

## სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები

საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებების სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები, რბილად რომ ვთქვათ, არადამაკმაყოფილებელია. შხაპის მიღების ინტენსივობა, როგორც წესი, არ აძლევს საშუალებას პატიმარს, შეინარჩუნოს სისუფთავე. აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით თვალშისაცემია საპყრობილეებში, სადაც პატიმრებს ადმინისტრაციის გარეშე ხელი არ მიუწვდებათ საშხაპეებზე. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ქუთაისის №2 დაწესებულება, სადაც რამდენიმე წელია, პატიმრები მოკლებულნი არიან შხაპის მიღების საშუალებას და იბანენ საკნის პირობებში, ბოთლებში დაგროვილი წყლით.

ადმინისტრაცია არ უზრუნველყოფს პატიმრებს საჭირო თეთრეულით და ჰიგიენის ნივთებით. მათ მიეწოდებათ მხოლოდ სარეცხი საპონი და ფხვნილი, ისიც — არა რეგულარულად, არამედ მოთხოვნისამებრ.

თეთრეულს მსჯავრდებულები იღებენ ამანათით ან ყიდულობენ დაწესებულების მაღაზიაში.

ამასთან, დაწესებულებებში, სადაც თეთრეულის ამანათით მიწოდება აკრძალულია, პატიმრები ხშირად ჩივიან იმის თაობაზე, რომ მაღაზიაში არსებული თეთრეული უხარისხო (გადასდის ფერი) და ძვირია.

სასჯელაღსრულების დაწესებულებების უმრავლესობის ზოგადი სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა არათუ არ აკმაყოფილებს ეროვნულ ან საერთაშორისო სტანდარტებს, არამედ შემაშფოთებელიც კია. საკნებსა და სხვა ინფრასტრუქტურებში სიბინძურეა, საკნებში არის მკბენარები და მღრღნელები, არ ხდება სრულყოფილი და რეგულარული დეზინფექცია და დერატიზაცია. აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთი დაწესებულების საკნების იატაკი, კედლები თუ საპირფარეშოები ისეთ სავალალო მდგომარეობაშია, რომ თითქმის შეუძლებელია სისუფთავის შენარჩუნება. აღნიშნული პრობლემა დაუყოვნებლივ გადაჭრას მოითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში სერიოზული საფრთხის ქვეშ დგება პატიმართა ჯანმრთელობა.

## კონტაქტი გარესამყაროსთან

სასჯელაღსრულების დაწესებულებების უმრავლესობაში მსჯავრდებულების ტელეფონით სარგებლობის უფლება გარანტირებულია, თუმცა ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს ზუგდიდის №4 საპყრობილე, სადაც, 2009 წლის I ნახევრის მონიტორინგის დროს საერთოდ არ იყო დამონტაჟებული ტელეფონის აპარატები და მხოლოდ სამეურნეო ნაწილში დასაქმებულ პატიმრებს ეძლეოდათ ტელეფონით სარგებლობის საშუალება.

ბათუმის №3 საპყრობილეში პატიმრები ვერ ახერხებდნენ სატელეფონო ბარათების შეძენას, რის გამოც ვერ სარგებლობდნენ ტელეფონით, თუმცა უკანასკნელი მონიტორინგის დროს აღნიშნული პრობლემა უკვე მოგვარებული იყო.

უფრო პრობლემატურია რადიოსა და ტელევიზიის ტრანსლაცია. რაც შეეხება რადიოს, დღეისთვის ყველა დაწესებულებაში ხდება რადიოს ტრანსლაცია. უფლების მინიჭება — პატიმარს ჰქონდეს ტელევიზორი, დღემდე წახალისებად აღიქმება. ამის გამო ბევრ დაწესებულებაში პატიმრებს ტელევიზორი არ აქვთ, თუმცა კანონით ამგვარი სახის შეზღუდვა არცერთი არსებული რეჟიმისთვის არ არსებობს.

ცალკე აღნიშვნის საგანია თბილისის №7 საპყრობილე, სადაც 2009 წლის ივნისსა და ივლისის პირველ ნახევარში არ მუშაობდა ტელეფონი და შეწყვეტილი იყო ტელეტრანსლაცია. არის ეჭვი, რომ ეს მოხდა მსჯავრდებულთა დასჯის მიზნით. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საპყრობილეში არ ხდება სატელევიზიო არხების ტრანსლაცია, იქ მხოლოდ ცენტრალიზებულად ირთვება DVD გასართობი პროგრამებითა და ფილმებით. რადიოც მხოლოდ ერთ, ადმინისტრაციის მიერ შერჩეულ არხს ტრანსლირებს.

ხშირია პატიმრების ჩივილი მათ მიერ დაწერილ საჩივრებთან დაკავშირებითაც — მათ ზოგჯერ არ იბარებენ ან არ აგზავნიან. იგულისხმება ისეთი საჩივრები, რომლებიც შეეხება დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან პატიმრების უფლების დარღვევას. ხშირია შემთხვევები, როდესაც დაწესებულების ადმინისტრაცია აგზავნის პატიმრების საჩივრებს, თუმცა ამ უკანასკნელთათვის მიუწვდომელია გაგზავნილი წერილის ნომერი, რაც გაუგებრობებს იწვევს და კიდევ ერთხელ ადასტურებს სასჯელაღსრულების სისტემაში მოქმედი სოციალური სამსახურის უუნარობას.

# წამება, სხვა სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობა

საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ წამების ფაქტების სწრაფი და ეფექტიანი გამოძიების საკითხი 2009 წელს კვლავ პრობლემად რჩება.

რიგ შემთხვევაში, პროკურატურის მხრიდან წამების ფაქტების გამოძიებათა გაჭიანურება აშკარად სცილდება გამოძიების გონივრულ ვადებს, მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ: **ვ. ირემაძის**, **როინ შავაძის,** მარტყოფის ბავშვთა სახლის აღსაზრდელების საქმე, **ა. ბახუტოვის და** „შიშველი პატიმრების“ საქმეები. **ზაზა მეკარიშვილის** საქმესთან დაკავშირებით ირკვევა, რომ ადგილი ჰქონდა მისთვის ყუმბარის ჩადების ფაქტს (აღნიშნული დასტურდება ზ. მეკარიშვილის ნათესავების მიერ მოპოვებული ფარული ჩანაწერებით), ხოლო დაკავებისას მას ცემის შედეგად მიაყენეს სხეულის დაზიანება, რაც დასტურდება შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაციით.

**ჯიმშერ ჯაფარიძე** დაკავებულ იქნა 2009 წლის 15 თებერვალს ზესტაფონის პოლიციის თანამშრომლების მიერ. პოლიციის განყოფილებაში გადაყვანის შემდეგ პოლიციის თანამშრომლები მასზე ახორციელებდნენ ზეწოლას. კერძოდ, სთხოვდნენ გაუპატიურების ფაქტის აღიარებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ემუქრებოდნენ ციხეში გაშვებით. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ პოლიციის განყოფილებაში მას სცემეს და აიძულეს, გაეხადა ტანსაცმელი და მიეცა აღიარებითი ჩვენება.

# შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს არალეტალური იარაღის გამოყენება სამართალდამცველთა მხრიდან

როგორც უკვე აღინიშნა, ,,პოლიციის შესახებ“ კანონის მე-12 მუხლში ცვლილება 2009 წლის 17 ივლისს შევიდა და სპეციალური საშუალებების შესახებ ჩამონათვალს დაემატა არალეტალური იარაღი.

„პოლიციის შესახებ“ კანონის მე-12 მუხლის ძველ რედაქციაში ამომწურავად იყო ჩამოთვლილი სპეციალური საშუალებების სახეები. 6 მაისისათვის ჩამონათვალით დაშვებულ საშუალებებს წარმოადგენდა რეზინის ხელკეტი, ცრემლსადენი გაზი, წყალსატყორცნი, მაგრამ ჩამონათვალში არ ფიგურირებდა რეზინისა და პლასტიკური ტყვიები. აღნიშნული წარმოადგენდა ამომწურავ ჩამონათვალს და დაუშვებელი იყო კანონით გაუთვალისწინებელი იძულების სხვა სპეციალური საშუალების გამოყენება. ამ მოსაზრებას ამყარებს „პოლიციის შესახებ“ კანონის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტი, სადაც აღნიშნულია, რომ „სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას პოლიციელს უფლება აქვს, გამოიყენოს ფიზიკური იძულება, სპეციალური საშუალებები და სამსახურებრივი დანიშნულების ცეცხლსასროლი იარაღი ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში და წესით“. ვინაიდან მე-12 მუხლი არ ითვალისწინებდა პოლიციის მიერ რეზინისა და პლასტიკური ტყვიის გამოყენების უფლებამოსილებას, ცხადია, საჯარო კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი და, შესაბამისად, აკრძალული საშუალების გამოყენებით შინაგან საქმეთა ორგანოებმა 2009 წლის 6 მაისს გადაამეტეს სამსახურებრივ უფლებამოსილებას. შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მასში შემავალ გასამხედროებულ ნაწილებს, რომლებიც აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებს წარმოადგენენ, ეკისრებათ კანონის ზუსტი აღსრულების ვალდებულება, რაც გულისხმობს, რომ აკრძალულია ადამიანის მიმართ კანონით გაუთვალისწინებელი ნებისმიერი საშუალების გამოყენება. ამგვარად, რეზინისა და პლასტიკური ტყვიების გამოყენების ფაქტი 6 მაისს, როდესაც არალეტალური იარაღი არ იყო გათვალისწინებული ,,პოლიციის შესახებ“ კანონით, წარმოადგენს გადამეტებული ძალის გამოყენებას. შესაბამისად, **დავით ჩანტლაძის** წინააღმდეგ ადგილი ქონდა უკანონო იარაღის გამოყენებას და ჩადენილი ქმედება წარმოადგენს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას, ქმედება გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით.

## ფიზიკური შეურაცხყოფა

2009 წლის 11 მაისს საერთაშორისო უფლებადამცველმა ორგანიზაცია „Human Rights Watch“-მა გაავრცელა განცხადება, სადაც აღნიშნულია, რომ საქართველოს მთავრობამ პოლიტიკურ ოპონენტებთან მოლაპარაკების დროს არ უნდა თქვას უარი თავის ვალდებულებაზე, დაიცვას ადამიანის უფლებები. ,,2009 წლის 9 აპრილიდან თბილისში ქართული პოლიტიკური ოპოზიცია აწყობს განგრძობად საპროტესტო აქციებს პრეზიდენტ სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით. „Human Rights Watch“-მა მოახდინა ოპოზიციონერ დემონსტრანტებზე მომხდარი სანიმუშო თავდასხმების დოკუმენტირება და ასკვნის, რომ ამგვარი თავდასხმები მიმართული იყო დემონსტრანტების დაშინებისა და მათი შეკრების თავისუფლების უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლისაკენ“.

შეკრება-მანიფესტაციების მიმდინარეობისას დაფიქსირდა არაერთი ფაქტი, როდესაც დაზარალებულები აცხადებდნენ, რომ მათ უცნობმა პირებმა მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა. ისინი თავდასხმებს მათ პოლიტიკურ აქტივობას უკავშირებდნენ. არსებობს ახსნა-განმარტებები 32 ასეთ შემთხვევაზე. უმეტეს შემთხვევებში, პირებმა მიიღეს ფიზიკური დაზიანებები, რომლებიც დასტურდება სამედიცინო დოკუმენტაციით. თითოეულ შემთხვევაში ეს ახსნა-განმარტებები და თავდასხმის ამსახველი ვიდეოფირები შემდგომი რეაგირებისათვის ეგზავნებოდა საქართველოს მთავარ პროკურატურას. მიუხედავად ამისა, ამ საქმეებზე რეაგირება დღემდე არ მომხდარა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს შემთხვევები, როდესაც დაზარალებულები საუბრობენ ინციდენტის ადგილას სამართალდამცველი პირების ყოფნასა და მათ უმოქმედობაზე (მაგალითად, **შმაგი გელბახიანის, შალვა** და **თემურ რადიანების, გოჩა** და **ამირან გაბაიძეების** ახსნა-განმარტებები).

იდენტურ პოზიციას აფიქსირებს „Human Rights Watch“.

## არაპროპორციული ძალის გამოყენება

მოქალაქეების ჯგუფმა 2009 წლის 15 ივნისს, დაახლოებით 14.00 საათზე, თბილისის შს მთავარი სამმართველოს წინ საპროტესტო აქცია გამართა. აქციაზე 100-მდე მომიტინგე იმყოფებოდა. საპროტესტო აქციის დაწყებიდან დაახლოებით 10 წუთში აქციის მონაწილეები დაარბიეს სამართალდამცველებმა. აქციაზე მყოფ ყველა ჟურნალისტსა და ოპერატორს ჩამოართვეს აპარატურა, მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა.

პოლიციამ აქციის 38-მდე მონაწილე დააკავა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური განცხადებით, თბილისის შს მთავარ სამმართველოსთან ოპოზიციის წარმომადგენლებმა ბლოკირება გაუკეთეს პოლიციის მთავარ შესასვლელს და გადაკეტეს სამანქანო გზა. პოლიცია შეეცადა შესასვლელი და სამანქანო გზის გათავისუფლებას. მომიტინგეები არ დაემორჩილნენ პოლიციის თანამშრომლებს და გაუწიეს ფიზიკური წინააღმდეგობა. სამართალდამცველთა მიერ პოლიციისათვის წინააღმდეგობის გაწევის ფაქტზე დაკავებულ იქნენ აქციის მონაწილეები.

მოგვიანებით სამინისტრომ გააკეთა კიდევ ერთი განცხადება, რომლის თანახმადაც, სამართალდამცველებმა აქციის მიმდინარეობისას შენიშნეს რამდენიმე პირი, რომლებიც მონაწილეობდნენ 2009 წლის 12 ივნისს პარლამენტთან განვითარებულ მოვლენებში და სცადეს მათი დაკავება. სამართალდამცველებს წინააღმდეგობა გაუწიეს აქციის მონაწილეებმა, რამაც გამოიწვია ინციდენტი.

ამ დროს კი აქციის მონაწილეებისა და ჟურნალისტების, ასევე, ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირების ახსნა-განმარტებებიდან ირკვევა: 2009 წლის 16 ივნისს ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის მიმღები განყოფილების ჟურნალის თანახმად, 15 ივნისს ღუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრში ქალა-ტვინის ტრავმებითა და სხეულის სხვადასხვა სახის დაჟეჟილობებით აქციის 17 მონაწილე შეიყვანეს. ახსნა-განმარტებებიდან და მასობრივი ინფორმაციის საშუალებით, კერძოდ, ინტერნეტგამოცემა iTV.ge-ს მიერ გავრცელებული კადრებიდან ჩანს, რომ აქციის მონაწილეების მხრიდან ადგილი არ ჰქონია ძალადობას ან წინააღმდეგობას, მაშინ, როდესაც პოლიციამ ყველანაირი გაფრთხილების გარეშე დაიწყო აქციის დაშლა. ამასთან, აქციის მონაწილეებს არ გადაუკეტავთ გზა და მათი ადგილსამყოფელი სამმართველოს შენობიდან აღემატებოდა 20 მეტრის რადიუსს.

iTV.ge-ს მიერ გავრცელებული კადრებისა და აქციის მონაწილეთა ახსნა-განმარტებების თანახმად, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე ალყაში მოაქციეს მომიტინგეები, არ მისცეს გაქცევის საშუალება და დაუწყეს ცემა. აქციის მონაწილეთა განმარტებით, ფიზიკურ შეურაცხყოფას, ძირითადად, ზურგისა და თავის არეში აყენებდნენ. აღნიშნული დასტურდება ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის მიმღები განყოფილების ჟურნალში არსებული ჩანაწერებითაც. პოლიციელებმა აქციის მონაწილეებს ჯერ დაკავებისას სცემეს, შემდეგ დაკავებულები სამმართველოს შენობაში იატაკზე დააწვინეს და იქ ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. აღნიშნულ ფაქტს ადასტურებს სახალხო დამცველის რწმუნებული, რომელსაც, ასევე, სასტიკად სცემეს და დააკავეს. შემდეგ დაკავებულები დაარეგისტრირეს და დროებითი მოთავსების იზოლატორში ჩაიყვანეს.

დროებითი მოთავსების იზოლატორში მათ ჩამოართვეს ნივთები და გახადეს ტანსაცმელი. საკანში დაკავებულების ხელახალი რეგისტრაცია ჩაატარეს, თუმცა დაკავების ოქმი არც სახალხო დამცველის რწმუნებულსა და არც სხვა დაკავებულ პირებზე დაკავების მომენტში არ შედგენილა.

2009 წლის 23 ივნისს წამების, ძალადობისა და გამოხატული სტრესული ზემოქმედების მსხვერპლთა ფსიქორეაბილიტაციის ცენტრმა „ემპათიამ“ შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს დროებითი მოთავსების №2 იზოლატორში სამედიცინო მონიტორინგი ჩაატარა და კონსულტაცია გაუწია 5 დაკავებულს. „ემპათიას“ ანგარიშის თანახმად, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადებისა და დროებითი დაკავების იზოლატორის სამედიცინო პერსონალის მიერ გაკეთებულ და-

ზიანებათა აღწერა ერთმანეთს არ ემთხვევა და ხშირ შემთხვევაში ეწინააღმდეგება კიდეც. **„ემპათიას“ დასკვნით, მოხდა, სულ მცირე, სასტიკი, ღირსებისშემლახავი და არაჰუმანური მოპყრობა, რასაც ამძიმებს არაადეკვატური სამედიცინო მომსახურება.**

„ძირითადი პრინციპები სამართალდამცველი პირების მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ“ განსაზღვრავს, რომ ,,თავიანთი მოვალეობის შესრულებისას სამართალდამცველმა პირებმა მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ არაძალადობრივი საშუალებები, ვიდრე ისინი ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებას მიმართავენ. ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება მათ შეუძლიათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველა სხვა საშუალება უშედეგო აღმოჩნდება, ან მათი გამოყენებით სასურველი შედეგის მიღწევის იმედი არ არსებობს“. ამავე პრინციპებში სპეციალური თავი ეთმობა პოლიციურ კონტროლს უკანონო შეკრებებზე, სადაც ნათქვამია, რომ „უკანონო, მაგრამ მშვიდობიანი შეკრებების დაშლისას სამართალდამცველი პირები უნდა მოერიდონ ძალის გამოყენებას ან, თუ ეს შესაძლებელია, საჭირო მინიმუმამდე დაიყვანონ ძალის გამოყენების ფარგლები“.

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პოლიციელი ვალდებულია, ფიზიკური იძულების, სპეციალური საშუალებების და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ წინასწარ გააფრთხილოს პირი, მისცეს საკმარისი დრო, რათა მან შეასრულოს პოლიციელის კანონიერი მოთხოვნა იმ შემთხვევის გარდა, როდესაც დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს მოქალაქის ან/და პოლიციელის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფა, სხვა მძიმე შედეგი, ან თუ შექმნილ სიტუაციაში შეუძლებელია ასეთი გაფრთხილების გაკეთება“.

ამავე კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, პოლიციელს უფლება აქვს, „აღკვეთოს უკანონო მიტინგი, დემონსტრაცია, პიკეტირება და სხვაგვარი აქცია, აგრეთვე, მიმდინარე აქცია, თუ იგი საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, საკუთრებას და კანონით დაცულ სხვა უფლებებს“.

15 ივნისს ქ. თბილისის სამმართველოს წინ მიმდინარე აქციის ამსახველი კადრებიდან დადგინდა, რომ აქციის მონაწილეთა მიმართ სამართალდამცველთა მხრიდან არანაირი გაფრთხილება არ გაკეთებულა. ამას გარდა, არ ყოფილა აშკარა საფრთხე იმისა, რომ მიმდინარე აქცია, რომელშიც 70–80 კაცი მონაწილეობდა, მიიღებდა კანონსაწინააღმდეგო ხასიათს.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ „ძალის გამოყენება არ უნდა იყოს იმაზე მეტი, რაც აბსოლუტურად აუცილებელია ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. ძალის გამოყენებისას მხედველობაში მიიღება არა მარტო იმ პირთა ქმედება, რომლებიც წარმოადგენენ სახელმწიფოს, არამედ ყველა მასთან დაკავშირებული გარემოება, მათ შორის, ძალის გამოყენების დაგეგმვა და კონტროლი“.

გაეროს გენერალური ასამბლეის 1979 წლის 17 დეკემბრის N34/169 რე-

ზოლუციით დამტკიცდა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის ქცევის კოდექსი. აღნიშნული კოდექსის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად: **„ძალის გამოყენება უნდა მოხდეს პროპორციულობის პრინციპის შესაბამისად. დაუშვებელია, ამ პრინციპის ინტერპრეტაცია მოხდეს იმგვარად, რომ ძალის გამოყენება იყოს ლეგიტიმური მიზნის მიღწევის არაპროპორციული“.**

ამრიგად, ღუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრში მოთავსებულ დაშავებულთა მიმართ პოლიციის თანამშრომელთა ქმედებაში იკვეთება სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება) და 144[3]-ე (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა) მუხლებით აკრძალული ქმედებები.

# სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება

გამოხატვის თავისუფლების კუთხით ამჟამინდელი არსებული პრობლემები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება 2008 და წინა წლებში არსებული სირთულეებისაგან. მნიშვნელოვნად არც საქართველოს მედიარუკა შეცვლილა.

**2009 წლის 9 აპრილისა და შემდგომ პერიოდში რიგი პოლიტიკური პარტიების მიერ გამართულმა აქციებმა გამოკვეთა პრობლემა, რომელიც ჟურნალისტების მიერ შეკრებებისა და მანიფესტაციების გაშუქებისას მათ უსაფრთხოებასა და პროფესიული საქმიანობის სრულფასოვნად განხორციელებას ეხება. პრობლემად დარჩა საჯარო მოხელეების (განსაკუთრებით, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების) მიერ ჟურნალისტებისათვის პროფესიული საქმიანობის განხორცილების დროს დაბრკოლებების შექმნა.**

თითქმის ყველა ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციის ანგარიშში საუბარია საქართველოში მედიის მდგომარეობის გაუარესებაზე. საერთაშორისო ორგანიზაცია Freedom House-ის ახალი ანგარიშის თანახმად, საქართველო იმ 18 ქვეყანას შორისაა, სადაც დემოკრატიის თვალსაზრისით მდგომარეობა გაუარესდა. მეტიც, საქართველოს მაჩვენებლები 2003 წლის შემდგომ პერიოდში ყველაზე დაბალ დონემდე დაეცა და დემოკრატიის ხარისხი თითქმის ყველა მიმართულებით გაუარესდა.

ცალკეული ქვეყნის მაჩვენებლებს ანგარიშის ავტორები სხვადასხვა კატეგორიის მიხედვით აფასებენ, მათ შორის ერთ-ერთი დამოუკიდებელი მედიაა.

საქართველოს კონსტიტუცია უზრუნველყოფს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას და კრძალავს ცენზურას, თუმცა, პრაქტიკულად, კონკრეტული ჟურნალისტები და მედიამფლობელები ზოგჯერ განიცდიან ზეწოლას, ხოლო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, რომელიც კონსტიტუციითა და კანონით არის უზრუნველყოფილი, ხშირად დაბრკოლებები ექმნება. იმ მედიასაშუალებებს, რომელთა მფლობელები მხარს უჭერენ სახელისუფლებო ძალებს, დომინანტური ადგილი უჭირავთ ქართულ მედიაში.

## ზეწოლა ჟურნალისტებზე და მათი საქმიანობისათვის ხელის შეშლა

2004 წლიდან დღემდე ჟურნალისტებზე თავდასხმისა თუ მათი პროფესიული მოვალეობის განხორციელებაში ხელის შეშლის მრავალი შემთხვევა დაფიქსირდა.

დემოკრატიული საზოგადოებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ჟურნალისტების თავისუფალ და დაუბრკოლებელ მუშაობას. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო, შესაბამისი ორგანოების სახით, უნდა უზრუნველ-

ყოფდეს ამგვარ საქმეებზე ეფექტიანი ღონისძიებების გატარებას, დროულ და გამჭვირვალე გამოძიებას. არსებული მდგომარეობის კიდევ უფრო ნათლად წარმოსაჩენად საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საქართველოს მთავარი პროკურატურიდან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია, 2004 წლიდან დღემდე რამდენ საქმეზეა დაწყებული გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 153-ე და 154-ე მუხლების საფუძველზე. გაირკვა, რომ საქართველოს მთავარი პროკურატურა არ აწარმოებს სტატისტიკას აღნიშნულ საკითხზე.

გაზეთ „ბათუმელების“ ცნობით, ქ. ბათუმში 2009 წლის 23 იანვარს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის (სოდ) აჭარის რეგიონული განყოფილების თანამშრომლებმა **ნათია როყვა** იმ დროს დააკავეს, როცა ჟურნალისტი სოდ-ის მიერ ორგანიზებულ სპეცოპერაციას ფოტოკამერით აფიქსირებდა.

Presa.ge-ს რეგიონული კორესპონდენტის, **ნანა ფაჟავას** განცხადებით, 2009 წლის 20 მაისს ზუგდიდში მთავრობის გასვლითი სხდომის „გაშუქების მცდელობისათვის“ დადიანის სასახლის ღია კარიბჭესთან იდგა, როდესაც მას სამხარეო პოლიციის მაღალჩინოსნებმა ეზოს დატოვება უბრძანეს.

„გურია ნიუსის“ რედაქციამ 26 იანვარს გაავრცელა მიმართვა, რომელშიც დასახელებული იყო „გურია ნიუსის“ ჟურნალისტების — **გიორგი გირკელიძისა** და **ნატო გოგელიას** მიმართ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ანტონ ხუნდაძის მხრიდან განხორციელებული სატელეფონო მუქარის ფაქტები. რედაქციის მიმართვის თანახმად, ხუნდაძე გააღიზიანა ჟურნალისტების დაინტერესებამ ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირების პროცესით და ამ თემაზე გამოქვეყნებულმა საგაზეთო პუბლიკაციებმა.

2009 წლის 16 მაისს ქუთაისის რეგიონული რადიოკომპანიის — „ძველი ქალაქი“ საინფორმაციო სამსახურის რედაქტორისა და ჟურნალისტის, **ზვიად ხუჯაძის** განმარტებით, ქუთაისის მერიის კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და განათლების საქალაქო სამსახურის უფროსმა გიზო თავაძემ მას ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა.

## ჟურნალისტთა შეურაცხყოფა სამართალდამცველთა მიერ

**2009 წლის აპრილიდან საქართველოს დედაქალაქ თბილისის ცენტრალური ქუჩები პერმანენტულად იყო გადაკეტილი დემონსტრანტების მიერ. ამ საკითხის მიმართ საზოგადოების ძალზე მაღალი ინტერესის გამო დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ჟურნალისტების თავისუფლად მუშაობას და მათი უსაფრთხოების დაცვას, რათა ინფორმაცია არსებული სიტუაციის შესახებ მათ ზუსტად, დაუბრკოლებლად და ამომწურავად მიეწოდებინათ. სამწუხაროდ, არცთუ იშვიათი იყო, როცა ჟურნალისტები სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა აგრესიის მსხვერპლი ხდებოდნენ. ჟურნალისტის იძულება, თავი შეი-**

**კავოს ინფორმაციის მოპოვების ან გავრცელებისაგან, წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 153-ე მუხლით (სიტყვის თავისუფლების ხელყოფა) და 154-ე მუხლით (ჟურნალისტის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა) გათვალისწინებულ დანაშაულებს. გარდა ამისა, სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, აღკვეთოს ჟურნალისტის პროფესიულ საქმიანობაში ხელშეშლა, წინააღმდეგ შემთხვევაში უმოქმედობა განიხილება როგორც გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა.**

როგორც უკვე აღინიშნა, აქციების მიმდინარეობის პერიოდში ადგილი ჰქონდა ჟურნალისტთა შეურაცხყოფას და პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში ხელის შეშლას სამართალდამცველთა მხრიდან.

2009 წლის 6 აპრილს „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ შენობასთან საპატრულო პოლიციამ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა გაზეთ „ვერსიის“ ჟურნალისტ **ნინო კომახიძესა** და ფოტორეპორტიორ **ანი ხავთასს**, რომლებიც პროფესიულ მოვალეობას ასრულებდნენ.

2009 წლის 6 მაისს ქ. თბილისის შს მთავარ სამმართველოსთან მომხდარი ინციდენტის დროს დაზარალდა „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ჟურნალისტი. ჟურნალისტმა ამ ფაქტის დაფიქსირებისგან თავი შეიკავა.

ჟურნალისტები ფიზიკურად დაზარალდნენ 2009 წლის 15 ივნისსაც. ტელეკომპანია ,,მაესტროს“ ჟურნალისტ **ანა ბროლაძისა** და ოპერატორ **შოთა კაპანაძის** განმარტებებით, ისინი 15 ივნისს ქ. თბილისის შს მთავარ სამმართველოსთან მომხდარი ინციდენტის გასაშუქებლად იმყოფებოდნენ. მათ პოლიციელებმა ვიდეოკამერა და გადაღებული ფირები წაართვეს, ოპერატორს კი ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. ჟურნალისტების განმარტებით, პოლიციელები გამიზნულად მოქმედებდნენ, ისინი სწორედ ფირების წართმევის მიზნით გამოედევნენ ჟურნალისტებს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის მიხედვით, ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა ინკრიმინირებულ ქმედებადაა გამოცხადებული. შესაბამისად, საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ უნდა მომხდარიყო ყველა ასეთ შემთხვევაზე სწრაფი რეაგირება.

# ეპილოგის მაგივრ

ამ წიგნის მკითხველს კანონზომიერი კითხვა დაებადება: რა არის ეს, მხოლოდ ფაქტების უბრალო ნაკრები, რომლებიც ცალკეულ, კერძო შემთხვევებს წარმოადგენს, თუ საქმე გვაქვს მიზანმიმართულ პოლიტიკასთან, სისტემურ მიდგომასთან?

შევეცდებით, ვუპასუხოთ ამ კითხვას.

ადამიანის უფლებათა დაცვის საქმეში სახელმწიფოში ორი ფუნდამენტური ინსტიტუტი არსებობს:

1. ქვეყნის პრეზიდენტი როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური, რომელიც წარმოადგენს თავისი ქვეყნის მოქალაქეთა უფლებების უზრუნველყოფის უმაღლეს კონსტიტუციურ გარანტს; და თუ მაინც სახელმწიფო აპარატი ამ უფლებების უზრუნველყოფას თავს ვერ ართმევს, მაშინ —

2. სასამართლო სისტემა, სადაც კანონიერი საფუძვლებითა და მეთოდებით შეიძლება დაიცვა შენი უფლებები, მათ შორის, სახელმწიფოს წინააღმდეგაც.

ორ მაგალითზე გაჩვენებთ, როგორ ფუნქციონირებს ეს ინსტიტუტები საქართველოში.

1995 წლის შემდეგ, როდესაც ჟვანია-სააკაშვილის გუნდი ხელისუფლებაში მოვიდა პარლამენტის დეპუტატების სახით, სხვა ყველაფერთან ერთად მათ ორი რამ გააკეთეს — შეეცადნენ, ხელში აეღოთ ქვეყანაში ფინანსური ნაკადები და, რაც უფრო საყურადღებოა წინამდებარე წიგნის თემისათვის — სასამართლო სისტემა. ამისათვის მათ შექმნეს ორი უწყება: გადასახადებისა და შემოსავლების სამინისტრო და იუსტიციის საბჭო, რომელიც იყო და დღესაც არის სასამართლოებზე ადმინისტრაციული კონტროლის ორგანო. შემდეგი ეტაპი იყო ამ სტრუქტურების საკუთარი კადრებით დაკომპლექტება, რისთვისაც მოიგონეს საკვალიფიკაციო გამოცდები და ამ ფილტრში მხოლოდ თავიანთი კანდიდატები გაატარეს.

საფინანსო და სასამართლო სისტემებში პროცესი სხვადასხვა გართულებებით მიმდინარეობდა, მაგრამ განსაკუთრებით უცერემონიოდ საგადასახადო ინსპექციის სფეროში წარიმართა. ბუნებრივია, ამას მოჰყვა მრავალრიცხოვანი სასამართლო სარჩელები ახალშექმნილი გადასახადებისა და შემოსავლების სამინისტროს წინააღმდეგ, რომელსაც შექმნის დღიდან სათავეში ედგა ჟვანიას პროტეჟე და დღევანდელი პარლამენტის ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი.

ჩვენს თემასთან მიმართებით ამ პროცესებში განსაკუთრებით საინტერესოა ერთი შემთხვევა, რომელიც კარგად წარმოაჩენს ზოგადად გამეფებულ ატმოსფეროს. მოქ. ა.ა. რეფორმამდე ათი წელი მუშაობდა საგადასახადო ინსპექციის სისტემაში და საკმაოდ მცოდნე და გამოცდილ კადრად ითვლებოდა. იგი თანამდებობებზე არასოდეს ყოფილა და მაჭავარიანის სამინისტროს შექმნისას რიგით საგადასახადო ინსპექტორად მუშაობდა თბილისის ერთ-ერთ რაიონულ საგადასახადო ინსპექციაში.

მან წარმატებით ჩააბარა საკვალიფიკაციო გამოცდები, აკმაყოფილებდა ყველა თანამდებობრივ მოთხოვნას და ყველა წესისა და კანონის მიხედვით, უნდა დანიშნულიყო თავის წინანდელ თანამდებობაზე. ყოველივე ამის მიუხედავად, საკვალიფიკაციო კომისიამ მას არ მისცა წარდგინება თანამდებობაზე დასანიშნავად და რეკომენდაცია გაუწია სხვას, რომელსაც წინათ საგადასახადო-ფისკალურ სისტემაში არასოდეს უმუშავია და სულ სხვა თანამდებობაზე იყო პრეტენდენტი.

მოქ. ა.ა. არ შეეგუა მისდამი ასეთ აგდებულ დამოკიდებულებას და სხვა გზით რომ ვერაფერს გახდა, სარჩელით მიმართა სასამართლოს.

მოცემული შემთხვევა ნათლად წარმოაჩენს პრინციპს, რომელიც ჟვანია-სააკაშვილმა იმთავითვე გაიხადა სახელმძღვანელოდ და რომელსაც დიდი მონდომებით ნერგავდა ცხოვრებაში „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ: „ის, ვინც ჩვენთან არ არის, ან ვინც ჩვენ არ გვინდა, ის ჩვენი მოწინააღმდეგეა; მასთან ჩვენ ყოველთვის, ყველგან და ყველაფერში მართალი ვართ, ფერებას არ დავუწყებთ და გავსრესთ დემონსტრაციულად და ყველას დასანახავად“.

მოქ. ა.ა.-ს ისტორიის გაგრძელება არანაკლებ საინტერესოა. სასამართლოში მისი საქმის განხილვას, უფრო სწორად, ამ საქმეზე სასამართლოს გადაწყვეტილებას ალბათ ბადალი არ მოეპოვება მსოფლიო პრაქტიკაში და არა კანონისა და კანონიერების თვალსაზრისით, არამედ სწორედ თავისი ციინიზმითა და ზემოაღნიშნული პრინციპის დემონსტრირებით: სააპელაციო სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში დაეთანხმა მოსარჩელეს, რომ მისი უფლებები დარღვეულია, დაეთანხმა, რომ მისი უფლებები შელახა მოპასუხემ (ე.ი. გადასახადებისა და შემოსავლების სამინისტრომ მ. მაჭავარიანის მეთაურობით) და დაადასტურა, რომ იგი უნდა დაენიშნათ შესაბამის თანამდებობაზე, მაგრამ (!) ბოლოს სიტყვასიტყვით მიუთითა, რომ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლო ვერ აიღებს თავის თავზე მოსარჩელის უფლებებში აღდგენას და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი უთხრა.

შეგახსენებთ, ასეთი გადაწყვეტილება მიიღო სააპელაციო სასამართლომ.

უზენაესმა სასამართლომ ეს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

იქნებ ვინმეს არ სჯერა, მაგრამ ეს არის სამწუხარო სინამდვილე.

აღწერილ ამბებამდე სულ ცოტა ხნით ადრე მ. სააკაშვილი რომელიღაც საერთაშორისო ჯილდოთი დაასაჩუქრეს საქართველოში სასამართლო რეფორმის „წარმატებით“ ჩატარებისთვის.

ახლა მეორე მაგალითი თავად პრეზიდენტის შესახებ:

ე. შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს პრეზიდენტის კანცელარიასთან არსებობდა სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც მთავრობასა და ქვეყნის პირველ პირებს ემსახურებოდა. მას რამდენჯერმე შეუცვალეს დასახელება და იურიდიული სტატუსი და ბოლოს ჩამოაყალიბეს შპს-ს ფორმით.

გარკვეული პერიოდის შემდეგ გადაწყდა, რომ ეს სამსახური უნდა გაეუქმებინათ და ე. შევარდნაძემ გამოსცა სათანადო განკარგულება, მაგ-

რამ სამსახურის ლიკვიდაცია დროში გაიწელა სხვადასხვა მიზეზის გამო, მათ შორის, იმიტომაც, რომ უზრუნველყოფის სამსახურის წინააღმდეგ მის ყოფილ თანამშრომელს გ.ც.-ს აღძრული ჰქონდა სარჩელი სახელფასო დავალიანების გადახდევინების მოთხოვნით და მიმდინარეობდა საქმის განხილვა.

ასეთი იყო მდგომარეობა, როდესაც მოხდა „ვარდების რევოლუცია“ და მ. სააკაშვილი გახდა ქვეყნის პრეზიდენტი.

სააკაშვილის გაპრეზიდენტებიდან ცოტა ხანში მას და მის გარემოცვას დასჭირდათ სახ. უზრუნველყოფის სამსახურის ლიკვიდაციის სასწრაფოდ დამთავრება და გამოსავალიც მოიძებნა: არ დაელოდა რა სასამართლო განხილვის დამთავრებას, მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი კრძალავდა სასამართლოს წარმოებაში არსებული საქმის გადაწყვეტას ნებისმიერი სხვა ორგანოს მიერ, მ. სააკაშვილმა გამოსცა განკარგულება სამსახურის ლიკვიდაციის დამთავრების შესახებ. ამ განკარგულების საფუძველზე სასამართლომ გ.ც.-ს უარი უთხრა სარჩელის დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ მოპასუხე აღარ არსებობდა და გადახდევინებას ვერავის ვეღარ დააკისრებდა.

ხსენებული განკარგულებით მ. სააკაშვილმა პრეზიდენტის უფლებამოსილების გამოყენებით პირდაპირ დაარღვია სხვა კანონი, თავის თავზე აიღო არბიტრის როლი პრეზიდენტის ორგანოსა და სხვა სუბიექტს შორის მიმდინარე დავაში, გადაჭრა ეს დავა თავის სასარგებლოდ და, ამავე დროს, როგორც პრეზიდენტმა, თავისი ქვეყნის მოქალაქეს მოუსპო შესაძლებლობა, სასამართლოს საშუალებით ეპოვა სამართლიანობა და მიეღო კუთვნილი გასამრჯელო თავისი შრომისათვის.

ამ ბრძანებულებით პრეზიდენტმა პირდაპირ წაართვა თავის მოქალაქეს ორი ფუნდამენტური უფლება — შრომის უფლება და სასამართლოსათვის მიმართვის უფლება.

უკვე პრეზიდენტობის დასაწყისშივე ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კონსტიტუციური გარანტიდან სააკაშვილი გადაიქცა ამ უფლებათა უმაღლეს შემლახავად, რასაც ჯერჯერობით დღემდე დაუსჯელად აგრძელებს.

სურათის სისრულისთვის უნდა ვთქვათ, რომ სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახური ფლობდა სოლიდურ ქონებას, მათ შორის, უძრავ ქონებას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. სახელდობრ, მას ეკუთვნოდა მოსკოვში, ძველ არბატზე მდებარე საქართველოს კულტურის ცენტრ „მზიურის“ შენობა. მზადდებოდა სარფიანი უძრავი ქონების პრივატიზაცია (უფრო სწორად, „პრიხვატიზაცია“) და მოქ. გ.ც თავისი სასამართლო დავით ხელს უშლიდა ამ პროცესს, რისთვისაც სამაგალითოდ დასაჯეს კიდეც. იმ დროისათვის მასმედიაში იყო შეტყობინებები, რომ „მზიურის“ პრივატიზაციას ლობირებდა საქართველოს მაშინდელი ელჩი რუსეთში, ჟვანიას პროტეჟე ი. ჩუბინაშვილი. ერთ-ერთი პირდაპირი ტელეეთერის დროს მას შეკითხვაც დაუსვეს ამის თაობაზე.

2004 წელს სააკაშვილის პრეზიდენტად არჩევისა და გენერალურ პროკურორად ზ. ადეიშვილის დანიშვნის შემდეგ მცირე ხანში სისხლის სამარ-

თლის საპროცესო კოდექსში მიზანმიმართულად შეტანილი ცვლილებების შემდეგ ფაქტობრივად დაკანონდა ადამიანის დაპატიმრება პროკურორის შეხედულებისამებრ, ხოლო ამ პროცესზე სასამართლო კონტროლი დავიდა ფორმალური პროცედურების შესრულებამდე: აღკვეთის ღონისძიების შერჩევა დარჩა სასამართლოს კომპეტენციაში, მაგრამ ამ საკითხის განხილვისას მოსამართლეს აკრძალული აქვს, შეისწავლოს, წაყენებული ბრალდება დასაბუთებული და დამტკიცებულია თუ არა.

მას ისღა დარჩენია, შეამოწმოს, წაყენებული ბრალდებისთვის გათვალისწინებულია თუ არა სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით და მორჩილად დაეთანხმოს პროკურორის მოთხოვნას.

შექმნილია ისეთი საკანონმდებლო გარემო, როცა პროკურორს კანონი აძლევს უფლებას, პირს წაუყენოს ნებისმიერი ბრალდება და მოითხოვოს მისი დაპატიმრება, მისი ქმედებების კანონიერების და ადეკვატურობის კონტროლის მექანიზმი კი არ არსებობს.

ასეთი ვითარებაა წინასწარი გამოძიებისას. უკეთესი მდგომარეობა არც სასამართლოში საქმის განხილვისასაა.

ყველა პროკურორს და მოსამართლეს აქვს ერთგვარი სამაგიდო წიგნი სახელმძღვანელო მოქმედებისთვის, რომელიც წარმოადგენს გენერალური პროკურორის და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის „რეკომენდაციებს“. მასში სათითაოდაა ჩამოთვლილი სისხლის სამართლის კოდექსის თითქმის ყველა მუხლი და მითითებულია, რომელი მუხლის შემთხვევაში როგორი სასჯელი უნდა მოითხოვოს პროკურორმა და როგორი განაჩენი უნდა გამოიტანოს მოსამართლემ.

დაბოლოს — სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოიღეს მუხლი, რომელიც ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას უკანონო განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანისათვის.

ისღა დაგვრჩენია, დავამატოთ, რომ მაშინ, როცა ორი უმაღლესი უფლებადამცველი სახელმწიფო ინსტიტუტი გადაქცეულია საკუთარ მოქალაქეთა დათრგუნვის, ხოლო კანონები — განუკითხაობის ლეგიტიმაციის მექანიზმად, არ უნდა გაგვიკვირდეს არც წიგნში მოყვანილი ფაქტები და არც სხვები, უფრო მრავალრიცხოვანი, რომლებიც წიგნში ვერ მოხვდა. საჭიროა მათი გამომწვევი მიზეზების ანალიზი და მათი აღმოფხვრა, რაშიც, იმედი გვაქვს, ჩვენი წიგნი შეიტანს თავის მოკრძალებულ წვლილს.

**ტარიელ გაგნიძე**
**თავმჯდომარე არასამთავრობო ორგანიზაციისა**
**„ისტორიული მემკვიდრეობა“**
**ნოემბერი, 2009 წელი**

# სარჩევი


| | |
|---|---|
| წინასიტყვაობა | 5 |
| პოლიტიკური ოპონენტების დევნა | 7 |
| სამსახურიდან დათხოვნა პოლიტიკური მოტივით | 16 |
| მეწარმეებზე ზეწოლა | 20 |
| შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლების შეზღუდვა | 23 |
| სასჯელის (სანქცია) სიმკაცრის ხარისხი | 28 |
| სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა | 37 |
| ჟურნალისტების პროფესიული საქმიანობისათვის უკანონოდ ხელის შეშლა | 47 |
| თავისუფალ მედიაზე ზემოქმედების ეკონომიკური ბერკეტები | 51 |
| სოციალურ-ეკონომიკური უფლებების დარღვევა | 61 |
| საკუთრების უფლების ხელყოფა | 66 |
| უძრავი ქონების უკანონო დემონტაჟი | 76 |
| ადამიანის უფლებების დარღვევა ფსიქიატრიული მკურნალობისას | 82 |
| დევნა ხელისუფლების კრიტიკისა და ოპოზიციის მხარდაჭერისათვის | 85 |
| პოლიტიკური პარტია „სამართლიანობის“ აქტივისტთა და მომხრეთა სისხლის სამართლის საქმე | 121 |
| საქართველოს ციხეები — პატიმართა გამოსასწორებელი თუ სიცოცხლესთან გამოსამშვიდობებელი დაწესებულება? | 132 |
| სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უმოქმედობის გამო ციხეებში პატიმრები იხოცებიან | 136 |
| სასამართლომ ერთადერთი მოწმე დარბაზიდან გააძევა | 138 |
| „ბატონო პრეზიდენტო, რატომ მომიკლა შვილი თქვენი დაცვის წევრმა?!“ | 140 |
| თითქმის ჩადენილი დანაშაული, ანუ თითქმის სამართლიანი სასამართლო | 145 |
| მინისტრი დახმარების თხოვნით შესულ დევნილს ემუქრებოდა — კედელზე ტვინს მიგასხმევინებო | 151 |

„თუ არ გახვალთ, სპეცრაზმით გაგათრევთ“ 153

სახალხო დამცველი ახალაიას წინააღმდეგ 156

„კანონიერი ქურდები“ ხელისუფლებაში 161

სკოლის მასწავლებლებს „ნაცმოძრაობაში“ გაწევრებას აიძულებენ 165

საწოლიც არ აქვთ, ბეტონის იატაკზე ცხოვრობენ...
დახმარება მაინც შეუწყვიტეს 167

პოლიტპატიმარ ვახანიას სასამართლო პროცესის დაწყებამდე
იძულებით გაუკეთდა უცნობი პრეპარატის ორი ინიექცია 170

შინაგან საქმეთა სამინისტრო ჟურნალისტ ბესიკ ფიფიას დევნის 171

რა შუაშია ბესიკ ფიფია? 176

ალექსეი ვენედიქტოვი: მიხეილ ნიკოლოზის ძე სააკაშვილი
ჟურნალისტებს უმსგავსად ექცევა,
იგი უმსგავსად იქცევა პრესასთან 178

როგორ შეიწყალეს „ნაცებმა“ მიცვალებული 179

„033“-ის თანამშრომლები სამსახურიდან
თანამშრომლის არდასმენის გამო დაითხოვეს 180

3-დან 60 წლამდე მოქალაქეთა უმრავლესობას ხელი
არ მიუწვდება ჯანდაცვის მომსახურებაზე 183

წაგებული ომის შემდეგ ქვეყანას რეპრესიების ტალღამ გადაუარა 187

ამოიცანით ჯალათები! 192

პოლიციის მაღალჩინოსანმა საპატრიარქოს
დაცვის თანამშრომელი მოკლა 197

ისე დაუნდობლად გვირტყამდნენ,
თითქოს პოლიციის შენობის ასაღებად მივედით 200

მერაბიშვილის უწყებამ დევნილებს
საპროტესტო აქციაზე მისვლა სპეცწერილით აუკრძალა 202

თვითმხილველ ჯაბა ჟვანიას ჩვენება 205

თვალამოთხრილ მომიტინგეებს
შინაგან საქმეთა სამინისტრო აშინებს 208

„ნაცების“ ნაცემები 212

ირმა ინაშვილი: მართლმადიდებლურ ეკლესიასა და
პატრიარქზე შეტევა ხუთი წლის წინათ დაიწყო
„თავისუფლების ინსტიტუტმა” 221

ჟურნალისტთა კავშირ „ობიექტივის“ გამოძიება
საქართველოში სიტყვის თავისუფლების უხეშ დარღვევებზე 226

გელა ნიკოლაიშვილი: პატიმრებს უკვე ციხის ეზოში
გაშლილ კარვებშიც კი სძინავთ 244

სტრასბურგი გირგვლიანის საქმეს განიხილავს,
სააკაშვილმა კი სანდროს მკვლელები შეიწყალა 253

საქართველოში სიცოცხლის უფლების ხელყოფის ფაქტებმა
რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია 257

სიცოცხლის უფლების ხელყოფა საქართველოში 262

ამონარიდები ევროპის კავშირის ეგიდით შექმნილი
საქართველო-რუსეთის 2008 წლის ზაფხულის კონფლიქტის
მიზეზების დამდგენი საგამოძიებო კომისიის დასკვნიდან 266

## დასკვნითი ნაწილი

„შეაყარე კედელს ცერცვი...“ 281

მდგომარეობა საქართველოს
სასჯელაღსრულების დაწესებულებებში 284

წამება, სხვა სასტიკი, არაადამიანური და
ღირსების შემლახავი მოპყრობა 294

შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს არალეტალური
იარაღის გამოყენება სამართალდამცველთა მხრიდან 295

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება 300

ეპილოგის მაგიერ 303